

ქართული პედაგოგიკის კლასიკოსები



ლუარსაბ ბოცვაძე

თხზულებანი

თომი I



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კვლავობის კლასიკოსები

ლუარსაბ ბოცვაძე

თხზულებანი

I ტ.

თბილისი 2023

Udc(უაკ)37.01
ბ-895

შეადგინა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო საქართველოს
განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, პროფ. **ზურაბ ბოცვაძემ**

სახელთა საძიებელი დაურთო **ეთერ შუბითიძე**

ტექნიკური რედაქტორი: **ეთერ შუბითიძე**
დაკაბადონება: **შალვა პაპალაშვილი**

გულწრფელ მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, რათა დღევანდელი ძნელბედობის ჟამს წიგნებისა და მითუმეტეს სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემის სამწუხარო მდგომარეობის ფონზე, კვლავ აგრძელებს სახელოვან ტრადიციებს და ქართველ საზოგადოებას შესთავაზა დიდი ხნის ნანატრი პედაგოგიკის კლასიკოსის, ლუარსაბ ბოცვაძის ოთხტომეულის ამ ეტაპზე პირველი ტომი. – **ზურაბ ბოცვაძე**

© ზურაბ ბოცვაძე, 2023

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023

ISBN 978-9941-9866-5-9 (I ტომის)

ISBN 978-9941-9866-6-6 (ყველა ტომის)

ლუარსაბ ბოცვაძე

1920 წლის 14 იანვარს, საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველ ყრილობაზე, მისმა მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი მიაგეს ლუარსაბ ბოცვაძის ხსოვნას. აქვე ყრილობამ დაადგინა, რათა რესპუბლიკის ყველა სკოლაში დაიკიდოს იაკობ გოგებაშვილისა და ლუარსაბ ბოცვაძის სურათები.

1919 წელს ჟურნალი „განათლება“ წერდა: „სახალხო სკოლამ დაჰკარგა მეორე იაკობ გოგებაშვილი, ხოლო სახალხო მასწავლებლობამ – სამაგალითო მოღვაწე, ხელმძღვანელი და იშვიათი პედაგოგი“. (ჟ. „განათლება“, 1919 წ. №2, გვ. 22).

ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე დაიბადა 1865 წლის 16 იანვარს (ძვ. სტ. 4 იანვარს) სამტრედიის რაიონში, სოფელ ნოლაში.

პატარა ლუარსაბი მშობლებმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, ხოლო შემდეგ ხონის საოსტატო სემინარიაში გადაიყვანეს, სადაც იგი დიდი მონდომებით ეწეოდა თვითგანვითარებას.

1888 წელს, ხონის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ლუარსაბმა მუშაობა დაიწყო სოფელ წყალტუბოს სკოლის მასწავლებლად. სამი წლის განმავლობაში ლუარსაბმა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ადგილობრივ მოსახლეობაში არამარტო პედაგოგიური მოღვაწეობით, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობითაც.

ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე მიქაბერიძე თავის მოგონებებში წერს: „თავის დღეში არ დამავიწყდება ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი ლუარსაბისა და ჩემი ცხოვრებიდან“.

ეს ის დრო იყო, როცა უმაღლესი სწავლის მისაღებად პირველად რუსეთში მივემგზავრებოდი. განსვენებულს მაშინ არ ვიცნობდი, თუმცა წყალტუბო, სადაც ლუარსაბი ამ დროს მასწავლებლობდა, ჩემი სამშობლო სოფლის მეზობლად მდებარეობს. რუსეთში გამგზავრების რამდენიმე დღის წინათ, ჩემი სოფლის ეკლესიის გალავანში, ნაცნობმა წერილი და 25 მანეთი გადმომცა და მითხრა – წყალტუბოს სკოლის მასწავლებელმა გამოგიგზავნაო. ჯერ კიდევ გაუცნობელი ლუარსაბი მწერდა: „მიიღეთ ჩემგან ეს ოცდახუთი მანეთი, თუმცა მცირეა, მაგრამ სულით და გულით მოძღვნილია. როცა სწავლას დაამთავრებთ, ვიმედოვნებ, თქვენ სხვას გაუწევთ დახმარებას და

ამრიგად გადავიხდით ერთიმეორის ვალსაო“. მე არ ვიტყვი, რამდენად გავამართლე განსვენებულის იმედი, ხოლო ის კი აშკარაა, რომ ლუარსაბი მაშინაც კი, როცა თვიურად იღებდა არა უმეტეს ოცი მანეთისა, ლუკმა – პურს იკლებდა და მოსწავლე ახალგაზრდობას იშვიათ მზრუნველობას უწევდა. ფაქტი კი მეტად საგულისხმიერო და დამახასიათებელია განსაკუთრებით ლუარსაბის საზოგადო მოღვაწეობის დაფასების დროს“.

1891 წელს, ლუარსაბ ბოცვაძე წყალტუბოდან ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადაიყვანეს მაწავლებლად, სადაც ერთი წელი დაჰყო. 1892 წლიდან იგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ კავკასიაში გახსნილ ქართულ სკოლაში გაგზავნეს მასწავლებლად. ლუარსაბი აქ ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს, გალობას.

ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გ. ნათაძე იგონებს:

„ქართული ენის ცოდნა ხომ საუცხოო ჰქონდა მის მოწაფეებს, რუსულ ენას საგანგებოდ ასწავლიდა ლუარსაბი. ერთხელ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი ეწვია ქართულ სკოლას. დაესწრო ლ. ბოცვაძის რუსული ენის გაკვეთილს მე-4 განყოფილებაში. მზრუნველს კმაყოფილება ეტყობოდა ბავშვების ცოდნით. ერთი მოხევის გოგონა ააყენა და ჰკითხა მზრუნველმა, კრილოვის რომელი არაკი იგი ზეპირადაო. გოგონამ დაუსახელა. მზრუნველმა ათქმევინა ზეპირად, მერე უთხრა – აბა, გადი, ეს არაკი საკლასო დაფაზე დაწერეო. გოგონამ მშვენიერი სწორი ხელით, გარკვეულად დაწერა არაკი რაც დაეჭია დაფაზე და მხოლოდ ერთი უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა. პატარა ქალის რუსული ენის ასეთმა ცოდნამ განცვიფრებაში მოიყვანა მზრუნველი. იგი, როგორც ეტყობოდა, მოელოდა, რომ „ინოროდცების“ სკოლაში რუსული ენის სწავლების სისუსტეს იპოვიდა და მასწავლებელს შეახურებდა, უბრძანებდა რუსული ენის სწავლების ადრე დაწყებას და გაკვეთილების რიცხვის მომატებას. ზავადსკის „ცნობილი“ სლავინსკიც ახლდა. რეალური სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ზავადსკის ეთქვა – გააკვირვა ქართული სკოლის მოწაფეთა რუსული ენის კარგად ცოდნამაო. თერგის ოლქის სკოლების დირექტორი გრუშევსკი სუსტ მასწავლებლებს ეტყოდა ხოლმე: „идите в грузинскую школу, поучитесь у учителя Бочвадзе“ და გზავნიდა ლუარსაბ ბოცვაძის გაკვეთილებზე დასასწრებად რუს მასწავლებლებს“.

1897 წელს ლ. ბოცვაძემ კავკავის სპირტის სახდელი ქარხნის მმართველ ალ. სარაჯიშვილის თხოვნით, ქარხანასთან საკვირაო სკოლა გახსნა, სადაც ასწავლიდა საღმრთო სჯულს, ქართულ და რუსულ წერა-კითხვას და ანგარიშს.

ლუარსაბ ბოცვაძის ღვაწლს კავკავის სკოლაში დიდად აფასებდა იაკობ გოგებაშვილი, რის შესახებაც ხაზგასმით წერდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე მიქაბერიძე:

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ჩემი მდივნობის დროს, იაკობ გოგებაშვილმა ერთხელ ლაპარაკი ჩამომიგდო ქართველი მასწავლებლების მოღვაწეობის შესახებ და სხვათა შორის შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „... ჩვენდა სასიხარულოდ ჯერ კიდევ მოგვეპოვება სოფლად სახალხო მასწავლებლები, რომლებიც აქტიურ მუშაობას აწარმოებენ და, რამდენადაც კი შეუძლიათ, ცდილობენ სამოსწავლო უწყების წარმომადგენლების ანტიპედაგოგიურ განკარგულებებს არ დაემორჩილონ და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ.

...ჩემის ღრმა რწმენით ამ მებრძოლ მასწავლებელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კავკავის სკოლის აწინდელ ხელმძღვანელს და გამგეს ლუარსაბ ბოცვაძეს, რომელიც თავისი თეორეტიკული ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით სათანადო სიმძლავრედ სდგას და თავისი ნაყოფიერი მუშაობით გაბედულად იგერიებს შემოსეულ მტრის მიერ მოტანილ იერიშებს.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კავკავის ქართული სკოლა ლუარსაბ ბოცვაძემ დააყენა ფეხზე, ქართული საქმე კავკავში ლუარსაბ ბოცვაძის მეცადინეობით განმტკიცდა და გამაგრდა. დიდ საქვეყნო საქმეს ჩაუყარა მტკიცე საძირკველი ლუარსაბ ბოცვაძემ. ჩვენი სასიქადულო ნიჭიერი მასწავლებლის დაუღალავი შრომით და მეცადინეობით მიეცათ საშუალება შორეულ კავკავში ძალაუნებურად გადახვეწილ ჩვენი თანამოძმეების შვილებს შედარებით ნორმალურ პირობებში მიიღონ საჭირო სწავლა-განათლება.

კავკავის ქართულ სკოლას ძალიან ახლოდ ვიცნობ. ამ სასწავლებლის დაარსებაში პირადად ჩვენ დიდ მონაწილეობას ვიღებდით, სასწავლებლის დაარსების დღიდანვე თვალყურს ვადევნებდით მის მოღვაწეობას, მის ყოველდღიურ საქმიანობას.

სკოლა ლუარსაბ ბოცვაძის თავდადებული მუშაობით ჩვენს თვალიწინ გაიფურჩქნა, გაიზარდა და ამჟამად დიდ საქვეყნო საქმეს პირნათლად ემსახურება.

მართალია, ზოგი ადგილობრივი მოღვაწე საკმარის დახმარებას ვერ უწევს ჩვენს სასიქადულო მასწავლებელს, მეტსაც ვიტყვით, კიდევაც ხელს უშლის, ასე ვთქვათ, ფარულად თუ აშკარად „უჩხიკინებს“, მაგრამ სკოლის კეთილისმყოფელთა მიერ გამხნეებული ლუარსაბ ბოცვაძე ძრიელ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ „ჩხიკინს“ და თავიდანვე აღებულ სწორ გემს არ ღალატობს, თავის საქმეს პირნათლად ასრულებს.

ამიერიდან ჩვენი სასიქადულო მასწავლებელი კიდევაც რომ ჩამოშორდეს კავკასის სკოლას, კავკასიში მცხოვრებ ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდობის ნორმალურად სწავლა-აღზრდის საქმეს საშიშროება არ მოელის.

ლუარსაბ ბოცვაძის მგზავსი თეორეტიკულად და პრაქტიკულად მომზადებული მასწავლებლები ამჟამად გვჭირდება ცენტრში, საცა ლევიცკებს, დიმიტრიევებს, ვოსტორგოვებს და მათ შეხმატკბილებულ კამპანიას იერიში იერიშზე მოაქვთ ჩვენი სახალხო სკოლების წინააღმდეგ.

ლუარსაბ ბოცვაძეს კალამი ემარჯვება, საკმარისი ცოდნაც შესწევს და მისი ტფილისში დატრიალება ჩვენ მტერ-მოყვრებს ხელ-ფეხს შეუკრავდა და მათ ძალმომრეობას საზღვარს დაუდებდა. სამწუხაროდ, ლუარსაბ ბოცვაძის ტფილისში ამჟამად გადმოყვანა არ ხერხდება, მაგრამ ჩვენ ცდას ამ მხრით არ დავაკლებთ და ამ თვალსაჩინო მასწავლებელს ტფილისში გადმოვიყვანთ“.

ლუარსაბ ბოცვაძის დაულალავი შრომის შედეგად კავკასის ქართული სკოლა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად გადაიქცა და როგორც გიორგი ნათაძე გადმოგვცემს „კავკასის ქალაქის გამგეობამ კავკასის ქართველებს მისცა ქალაქის საუკეთესო მაღლობზე საკმაოდ დიდი ფართობი მიწისა. აქ აშენდა გრანდიოზული შენობა. ზაფხულობით ლუარსაბი დასვენების მაგიერ თვალყურს ადევნებდა ამ სკოლის მშენებლობას. ამ შენობაში მოთავსებული იყო ქართული სკოლა, საკრედიტო საზოგადოება, თეატრი და ჭრა-კერვის პროფესიული სკოლა. ხალხი ამბობდა: „ამ შენობის კედლები ლუარსაბის ფილტვებით არის გამომშრალიო“.

ლუარსაბ ბოცვაძემ კავკასიში გახსნა მდიდარი სამკითხველო, მუზეუმი, რისთვისაც საკუთარი ხელოფასით იძენდა უძველეს ხელნაწერებს, ლიტერატურას და სამუზეუმო ნივთებს.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ლუარსაბ ბოცვაძის ფასდაუდებელ მრავალმხრივ ღვაწლს ქართველი ერის სამსახურში, კერძოდ,

საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის განვითარების საქმეში, რასაც 1898 წელს ლუარსაბისადმი მიწერილი წერილი მოწმობს:

„ბატონო ლუარსაბ! დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ თქვენს წერილს ჟურნალ „ჯეჯილზედა“. ასეთი მიმოხილვები დიდად და დიდად საჭიროა ჩვენთვის. საბავშვო მწერლობის გაჯანსაღება და მკვიდრ საფუძველზე დამყარება დიდი მნიშვნელობის საქმეა ჩვენი ყმაწვილების გონივრულად აღზრდისათვის. უმორჩილესად გთხოვთ ნუ მოაკლებთ თქვენს ფხიზელ ყურადღებას ჩვენს საბავშვო მწერლობასა და ხშირად გამოგვიგზავნეთ თქვენი კალმის ნაღვაწი.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე“.

ერთი წლით ადრე, 1897 წლის 13 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძემ, როგორც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარემ, ლუარსაბ ბოცვაძეს მადლობა გამოუცხადა სამაგალითო გაკვეთილებისათვის.

„მოწყალეო ხელმწიფევ, ლუარსაბ გერასიმეს ძევ! წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მოისმინა რა თავის სხდომაზე 9 ამთვისას მოხსენება მდივნისა იმის შესახებ, რომ თქვენ გამგეობის მინდობილობისამებრ დაესწართ ამ ბაფხულს ტფილისში სამრევლო სკოლათა მასწავლებელთათვის გამართულს პედაგოგიურს კურსებზე და აძლევდით სამაგალითო გაკვეთილებს, დაადგინა გამოგეცხადოთ მადლობა შრომისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე“.

იაკობ გოგებაშვილმა, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, დაპირება მაინც შეასრულა და 1906 წელს ლუარსაბ ბოცვაძე თბილისის ქართულ გიმნაზიაში გადმოიყვანა მასწავლებლად და ზედამხედველად, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერად იღვწოდა.

ქართულ გიმნაზიაში ლუარსაბ ბოცვაძემ პედაგოგიურ საქმიანობას ფართო საზოგადოებრივი შრომაც შეუთავსა.

როდესაც მადლიერმა ერმა დიდ პედაგოგს ნაყოფიერი მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავი აღუნიშნა, გიმნაზიის პედაგოგებმა მას შემდეგი ხასიათის წერილი გაუგზავნეს:

„ჩვენო ძვირფასო ამხანაგო ლუარსაბ! დღეს ჩვენ, შენი ამხანაგები, ერთსულად და ერთგულად გილოცავთ 25 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას საზოგადო და პედაგოგიურ ასპარეზზე. გისურვებთ კვლავაც გაგვერძოს ნაყოფიერი და სასარგებლო შრომა ჩვენი ერის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ. გვჯერა, რომ შენს მიერ ნათესს პატიოსან და ადამიანურ გრძნობებზე აღზრდილია და აღიზრდება

მრავალი თაობა, რომელიც აღიბეჭდავს გულში უკვდავ ძეგლად შენდამი ღრმა სიყვარულს, რაიცა საუკეთესო ჯილდოდ უნდა ჩაითვალოს ყველა პატიოსან მოღვაწისათვის“.

1908 წელს ლუარსაბ ბოცვაძემ დააარსა სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე რედაქტორობდა და თვითონვე გამოსცემდა.

ჟურნალს გარს შემოკრებილი ჰყავდა საქართველოს გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: აკ. წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ი. გოგებაშვილი, ი. ევდოშვილი, თ. რაზიკაშვილი, ბაჩანა, ეკ. გაბაშვილი, ნ. ლომოური, გ. ქუჩიშვილი, შ. მღვიმელი, ალ. ხახანაშვილი, ილ. ნაკაშიძე, იპ. ვართაგავა, დ. თურდოსპირელი, გ. ლეონიძე, გ. ტაბიძე და სხვები.

1911 წლის №1 ჟურნალში ლუარსაბ ბოცვაძე აღნიშნავდა:

„ჩვენს ჟურნალს არა აქვს ვიწრო სპეციალური ხასიათი... თუ ჟურნალში ცოტად თუ ბევრად სჭარბობს პედაგოგიური ელემენტი, ამას მოითხოვს არა მარტო დღევანდელი ცხოვრება, ამას ღალატებდნენ ამ 35 წლის წინადაც, როცა ჩვენში გაიხსნა ახალი სკოლები და იმ დღიდანვე გაზეთებში აღნიშნავდნენ პედაგოგიური ჟურნალის აუცილებლობას. საერთოდ კი ჩვენი ჟურნალი ისეთ მასალას იძლევა, რომ იშვიათი მკითხველი იქნება, რომელმაც ვერ იპოვოს შიგ ისეთი რამე, რაც მისთვის მაინც საინტერესო არ იყოს, ხოლო პედაგოგიური საკითხები დღევანდელ პირობებში ისეთს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ მისი გაცნობა, საქმეში გამოყენება და ცხოვრებაში საღი აზრის გატარება საჭიროა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ მშობლების, საზოგადოებისა, კერძო პირთათვისაც, ვინც კი ცდილობს დაიცვას გადაგვარებისაგან ჩვენი ერის მომავალი“.

ლუარსაბ ბოცვაძის მეუღლე, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, ორგზის ლენინის ორდენოსანი ნინო ბოცვაძე თავის მოგონებებში „ნორჩ მეგობრებთან ერთად“ აღნიშნავს ლუარსაბის, როგორც რედაქტორის, თვისებებს:

„იშვიათი მიდგომა ჰქონდა ლუარსაბს ჟურნალ „განათლების“ თანამშრომლებთან. არ მახსოვს დაწუნებული მასალა ამ სიტყვებით გაებრუნებინოს: „თქვენი წერილი არ დაიბეჭდება“. არა, იგი უხსნიდა მიზეზს, რომელიც ხელს უშლიდა დაბეჭდვას, ან თუ შესწორება სჭირდებოდა, ეტყოდა, როგორ უნდა შესწორებულიყო“ და იქვე მოჰყავს ლუარსაბ ბოცვაძის სიტყვები:

„ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ საქმე ის არის, როგორ ეტყვი. შეიძლება ისე უთხრა, რომ სამუდამოდ ხელი ააღებინო წერაზე დამწყებ მწერალს. საჭიროა მითითება, თუ როგორ უნდა წეროს. ასეთი მითითებებით იწვრთნება დამწყები კალამი“.

ლუარსაბ ბოცვაძის, როგორც რედაქტორის, თვისებებზე მიუთითებს აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძე:

„ლუარსაბი იყო ნამდვილი რედაქტორი ამ სიტყვის სრული გაგებით. რომელ მწერალს არ განუცდია შიში და მღელვარება, როდესაც პირველად მიაქვს მასალა რედაქტორთან. რა ძვირფასია ამ დროს მისთვის რედაქტორის აზრი და გამხნელება. ხშირად ამ პირველ მიღებაზე დამოკიდებული მწერლის მომავალი ბედი და გამარჯვება. და აი, ლუარსაბიც, როგორც ნამდვილი მეგობარი და მრჩეველი, ყოველ ავტორს თანაგრძნობით ხვდებოდა და მასთან ერთად გულთბილად მსჯელობდა ყოველ დეტალზე“.

მიუხედავად იმისა, რომ ლუარსაბ ბოცვაძე ძალზე დაკავებული იყო დიდი საპასუხისმგებლო საქმეებით, იგი ყურადღებას არ აკლებდა ჟურნალ „ნაკადულს“ – იყო ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ხშირად რედაქციას დასაბეჭდად შესაფერის მასალასაც აწვდიდა, რამდენიმე ღარიბ სკოლასაც უწერდა ჟურნალ „ნაკადულს“.

ლუარსაბ ბოცვაძემ „ნაკადულის“ რედაქციაში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე ნინო იოსების ასული ბაქრაძე, რის შესახებაც ზუსტ ცნობებს გვაწვდის ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში:

„ნაკადულის“ მუშაობაში ღებულობდა აგრეთვე მონაწილეობას ორი სიმპატიური ახალგაზდრა ქალი, ჩვენი სარედაქციო კომისიის წევრები, დები. ესენი იყვნენ ნინო და კატო ბაქრაძეები. ისინი ხშირად დადიოდნენ პირველი სარედაქციო კომისიის კრებებზე. ორივენი სერიოზული და ცნობისმოყვარე ქალები იყვნენ. თვითონაც წერდნენ „ნაკადულისათვის“ მოთხრობებს და თარგმნიდნენ კიდევ.

ერთ კვირა დღეს, მგონი 1912 წ. იყო, ლუარსაბი შემოვიდა ჩემთან რედაქციაში, ძალიან მხიარულ ხასიათზე იყო და სიცილით მითხრა:

– ახალი ამბავი უნდა გითხრა, ახლა გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებ „ნაკადულში“, რადგანაც ორნი ვიქნებით. ორი ახალგაზრდიდან ერთი ჩემი მეუღლე იქნება.

– რომელი, – ვკითხე მე.

– ეს თვითონ გამოიცანი, – მითხრა მან, – შენი სეხნია არისო. რასაკვირველია, ამის შემდეგ გამოცნობაც აღარ იყო საჭირო, ეს იყო

ნინო ბაქრაძე. მიველოცე, ვუსურვე, ეს ბედნიერება შერჩენოდა მას სამუდამოდ. ლუარსაბი თავის შინაურ ცხოვრებაში მართლაც ბედნიერი იყო. მართალია, ჩვენ სარედაქციო კრებებს მას შემდეგ ისე ხშირად ვერ ესწრებოდა, მაგრამ ჟურნალისათვის ისე გვაწვდიდა მასალებს და საკონსულტაციოდ გაგზავნილ ახალგაზრდა მწერლებს დიდი ყურადღებით ეპყრობოდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა“.



ლუარსაბ ბოცვაძე მეუღლესთან – ნინო იოსების ასულ ბაქრაძე-ბოცვაძესთან



ლუარსაბ ბოგვაძე მეუღლესთან და თავის უფროს შვილ იოსებთან ერთად

ლუარსაბ ბოცვაძე გარდაიცვალა 1919 წლის 24 ივნისს. დასაფლავებულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

„...ბ-ნი ბოცვაძე ერთი საუკეთესო პირია გამოცდილ და დამსახურებულ მასწავლებელთა შორის. იგი არამც თუ აღიარებულია ჩვენი რევიზორების და დირექციის წევრების მიერ ჩინებულ მასწავლებლად, არამედ ცნობილია განათლებულს საზოგადოებაში, როგორც განვითარებული პედაგოგი, რომელიც საქმის კურსში სდგას, როგორც იტყვიან. მისი ხელიდან გამოვიდნენ მეტად საფუძვლიანი პედაგოგიური წერილები რუსულს და ქართულ ენაზე და ისიც რაგვარ საკითხებზე? რომელნიც შეეხებიან შუაგულს ხალხის განათლებისას და ცენტრალური მნიშვნელობა აქვს... მისმა საკამათო წერილებმა განსაკუთრებული ყურადღება და სიმპატია დაიმსახურეს მკითხველთა შორის, რაც აღნიშნა თვითონ რედაქციამ ამ გაზეთისამ – „НОВОЕ ОНЦПРИИЕ“. – ზ. ბ. / ერთ სარედაქციო წერილში... “ – ასე დაახასიათა ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი უმცროსი მეგობარისა და თანამებრძოლის ლუარსაბ ბოცვაძის ღვაწლი ქართული განმანათლებლობის ისტორიაში.

ლუარსაბ ბოცვაძე, ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც გამოჩენილი პედაგოგი, პუბლიცისტი, მწერალი, პირველი ქართული პედაგოგიური ჟურნალის „განათლების“ დამაარსებელი და რედაქტორი.

ლუარსაბ ბოცვაძე ყოველთვის მხარში ედგა იაკობ გოგებაშვილს და თავისი პუბლიცისტური და პედაგოგიური წერილებით ხელს უწყობდა სახალხო სკოლის სწორ გზაზე დაყენებას, მის განვითარებას. ლუარსაბ ბოცვაძის აზრით „სწავლა-განათლების რაციონალურად მოწყობით შესაძლებელია ხალხი ვიხსნათ ათასგვარი გასაჭირისაგან და თავდაპირველად იმ უვიცობისაგან, რომელიც აფერხებს ხალხის წინსვლას და აუტანელად ჰქმნის მისს არსებობას“. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია ცნობილია სწავლა-განათლების სარგებლიანობის ჭეშმარიტება, – აღნიშნავს ლუარსაბ ბოცვაძე, მაგრამ არ ივიწყებს იმასაც, რომ ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ არ ტარდება ყველგან საჭიროებისდამიხედვით, კერძოდ, „რუსეთის ბიუროკრატია დღესაც გაიძახის, რომ უვიცი ხალხის მართვა ბევრად უფრო ადვილია და ამის გამო ეჭვის თვალით უყურებს ხალხის განათლების გაფართოებას და საზოგადოების მოქმედებას განათლების საქმეში“.

ლუარსაბ ბოცვაძე ვერ ითმენდა საქართველოში სწავლა-განათლების საქმის წარუმატებლობას, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკა-

ვშირებული „ჩვენი ცხოვრების მრავალი უკუღმართობა, ჩვენი ენის, ლიტერატურის, მეცნიერების... კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრების შეფერხება“ და ამ საკითხს ქართველი საზოგადოების ყველაზე საჭირობოროტო საქმედ თვლიდა.

ლუარსაბ ბოცვაძე ძალას და ენერგიას არ იშურებდა რათა სახალხო სკოლები გაეთავისუფლებია რუსიფიკატორული რეჟიმის სულისშემხუთველი მარწუხებისაგან, რისი მიზეზითაც თვალნათელი ხდებოდა საზოგადოების დაცემა-დაქვეითება:

„ასის წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიულ რეჟიმის ხელში მყოფი ქართველი საზოგადოება იძულებული გახდა ეროვნულ განათლებისათვის ზურგი შეექცია. საქართველოში სწავლა-განათლების ისტორია მე-XIX საუკუნეში არის ისტორია რუსულ სკოლის დამყარებისა და გაძლიერებისა. ქართველი ერი ნორმალურ განვითარების გზას ასცდა იმ დღიდან, რაც მან დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოში მე-XIX საუკუნის განმავლობაში მედგარი საერთო ბრძოლა ეროვნულ სკოლის დაცვისათვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო ოროლა საგაბეთო წერილებს და კანცელიარულ მიწერ-მოწერებს, თითქმის არ ყოფილა. სწავლა-განათლების საქმეს არ ჰქონია მიქცეული ჯეროვანი ყურადღება და აქედგან მომდინარეობს ჩვენი საზოგადო დაქვეითება“.

აქვე, ლ. ბოცვაძეს მოჰყავს ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის მარშალის სიტყვები, სადაც აღნიშნულია, რომ ხალხის განვითარებისათვის იმაზე მეტი დაბრკოლება არაფერი შეიძლება იყოს, როცა გენიოსი, რომელიც გაუნათლებელმა და სწავლა-აღზრდას მოკლებულმა ხალხმა უნდა წარმოშვას, უპატრონობითა და უყურადღებობით იძულებულია თავისი შესაძლებლობები შეუფერებელ შრომაში გაფლანგოს და ამით დაიკარგოს მისი ნიჭი კაცობრიობისათვისო. ლუარსაბ ბოცვაძე ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა, რათა ღრმად შეეგნოთ ეს იდეა და მისი ცხოვრებაში გატარებისათვის არ დაემურებინათ ძალ-ღონე.

ლუარსაბ ბოცვაძე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საზოგადოება დაერწმუნებინა სწავლა-განათლების საქმის სარგებლიანობაში, „რომლის წესიერად მოწყობას შეუძლია დაიხსნას ხალხები და მთელი კაცობრიობა დღევანდელ ცხოვრების უკუღმართ პირობებისაგან... განათლება ძალაა და ერთად ერთი საშუალება იმ უვიცობის მოსასპობლად, რომელიც დიდ უბედურებას უქადის ჩვენს ერს“. ეს საკითხი ყოველთვის და დღესაც ძალზე მნიშვნელოვანია. „შესაძ-

ლებელია, ვინმემ იფიქროს, რომ სწავლა-განათლების სარგებლობა კაი ხანია უკვე საზოგადო ჭეშმარიტებად გადაქცეულა და ამისათვის გვისაყვედუროს კიდევ, რომ ამ გამორკვეულ საგნის შესახებ რა საჭიროა ბაასიო, – აღნიშნავს დიდი პედაგოგი და იქვე სამართლიანად დასძენს, – „საუბედუროდ არ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ სწავლა-განათლების სარგებლობა საერთოდ რუსეთში და კერძოდ საქართველოში, დიდი ხანია რაც საზოგადო ჭეშმარიტებად გადაიქცა: არ უნდა დავმალოთ, რომ თვით ჭეშმარიტება ჯერ კიდევ სავსებით არ არის შეწყნარებული: რუსეთის ბიუროკრატია დღესაც გაიძახის, რომ უვიცი ხალხის მართვა ბევრად უფრო ადვილია და ამის გამო ეჭვის თვალთ უყურებს ხალხის განათლების გაფართოებას და საზოგადოების მოქმედებას განათლების საქმეში“.

განათლების საკითხს უძველესი დროიდან ენიჭებოდა უმთავრესი როლი ერის წინსვლისა და სრულყოფილად განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ სოკრატე, ევთიდიმესთან საუბრისას აღნიშნავდა, – „მითხარი, ევთიდიმე, მართალი თუა, რაც გავიგე, თითქოს სახელგანთქმულ ბრძენს მრავალი თხზულება შეგიკრებია? – მართალია, ჩემო სოკრატე, ვფიცავ ზევსს, ახლაც ვაგროვებ და მანამდე არ შევწყვეტ ამ საქმეს, ვიდრე რაც შემეძლება მეტს არ შევიძენ. – ჰერას გეფიცები, – უთხრა სოკრატემ, – აღტაცებული ვარ შენი საქციელით იმიტომ, რომ ოქრო და ვერცხლი კი არ აგირჩევია შეძენის ღირს განძად, არამედ სიბრძნე. აშკარაა, რომ შენი აზრით ადამიანს უკეთესად ვერ ხდის ოქრო და ვერცხლი, ბრძენთა აზრები კი მათ შემძენელს უზენაესი სიკეთით ამდიდრებენ“.

დღევანდელი ტექნიკური რევოლუციის ხანაში კი ეს საკითხი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ლუარსაბ ბოცვაძეს კულტურული ცხოვრების საფუძვლად მშობლიური ენა მიაჩნდა, რომელიც ის ნიადაგია, „რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა“. იაკობ გოგებაშვილთან ერთად იგი არაფერს არ ზოგავდა, რათა ხალხის სწავლა-განათლება ძირითადად მშობლიურ ენაზე წარმართულიყო, რაც ყველა დროის პედაგოგიის ძირითად მოთხოვნებად მიაჩნდა. ამასთან ერთად იგი აუცილებლად თვლიდა უცხო ენებისა და მათ შორის სახელმწიფო ენის შესწავლას, ხოლო ეს უკანასკნელი მისი აზრით საშუალებას აძლევს „ამა თუ იმ ხალხს, სახელმწიფოში მცხოვრებს, ქონდეს ურთიერთობა სხვა ენაზე მოლაპარაკე მოქალაქეებთან და სახელმწიფოს ცენტრალურ დაწესებულებასთან“.

ლუარსაბ ბოცვაძე ითვალისწინებდა რა ევროპისა და სხვა ხალხების მიღწევებს სამეცნიერო დარგში, საჭიროდ თვლიდა უცხო ენების შესწავლას განსაკუთრებით სამეცნიერო დარგის მუშაკებისათვის.

„ეროვნული შევიწროება, საოცარი სიღარიბე და სიღატაკე, რომელიც წყაროა ხალხის გადაგვარებისა, მდაბალი ხარისხი ტექნიკურ და ყოველგვარ პროგრესისა. სერიოზულ პროფესიონალურ განათლების უქონლობა სრულიად მოუწყობელი შრომის ჰიგიენური პირობები, შრომის კოოპერაციების სუსტი განვითარება, კრედიტის უქონლობა, განვითარება მევახშეობისა და ბოლოს მცირე სამუშაო ხელფასი – აი, რეალური პირობები ქართველ ხალხის არსებობისა და ამ პირობებში ქართველ ხალხის უმრავლესობა უმეცრების მორევში სცურავს, ძალა არ შესწევს თავი დაახწიოს გადამგვარებელ კულტურას და სწავლა-განათლებით სხვა ხალხებზე უკან რჩება“, – წერდა ლუარსაბ ბოცვაძე.

ლუარსაბ ბოცვაძეს, მიუხედავად ევროპის პედაგოგთა ნაწილის აშკარა წინააღმდეგობისა, აუცილებლად მიაჩნდა სავალდებულო სწავლების შემოღება; ამით ისინი საყოველთაო განათლებას მიაღწევდნენ. რამდენადაც ამა თუ იმ ქვეყანაში ბავშვის შრომა შემცირდება, მეტი საშუალება ექნებათ მუშებს ხელფასი გაუზარდონ, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, „რომ საზოგადო საქველმოქმედო დაწესებულება ვალდებულია აღმოუჩინოს დახმარება ღარიბ მშობლებს, რომელთათვისაც ბავშვების სამუშაო ძალის დაკარგვა საგრძნობელია, დავინახავთ რომ სავალდებულო განათლებასთან შესაძლებელია დავიცვათ ღარიბ ოჯახთა ინტერესებიც, რასაც უკვე მიაღწიეს შვეიცარიაში, ამერიკაში და სხვ.“

ლუარსაბ ბოცვაძეს ამხნევებდა და სამოქმედო ასპარეზზე იწვევდა იმ აზრის შეგნებას, რომ „ხალხის სწავლა-განათლება ნამდვილი საფუძველია ერის კეთილდღეობისა“.

როგორც ზემოთ ავლინებთ, ლუარსაბ ბოცვაძე ხალხის განათლების, კულტურული ცხოვრების საფუძველად მშობლიურ ენაზე სწავლებას მიიჩნევდა და იმოწმებდა ყველა ქვეყნის საუკეთესო პედაგოგთა აზრს, რომ სკოლა უნდა იყოს სახალხო, ხალხის ენის, მწე-ჩვეულებათა და ისტორიის ერთგული, აკმაყოფილებდეს ხალხის გონებას, მისი არსებობისა და ცხოვრების მოთხოვნილებას, აცნობდეს წარსულსა და აწმყოს, უნათებდეს გზას ნათელი მომავლისაკენ. თავისი შეხედულების განსამტკიცებლად იგი ცნობილი რუსი პედაგოგის კ. უშინსკის აზრს გვაცნობს:

„ეროვნული გრძნობა ისეთი ძლიერია, რომ ყველა კეთილშობილურ წმინდა გრძნობათა დაკარგვის შემდეგ ადამიანში ის ქრება უკანასკნელად. მექრთამე, რომელიც თავის სამშობლოს ძალებს ჭიასავით ძირს უთხრის, თანაუგრძნობს სამშობლო ქვეყნის დიდებას და გაჭირებას. ავაზაკში, რომელშიაც ჩამქრალია ყველა კეთილშობილური, ადამიანური გრძნობა, კიდევ მოიპოვება მცირეოდენი სიყვარული სამშობლო ქვეყნისა, რომლის მინდვრები, ტყე-ველნი, ენა, გადმოცემანი და ცხოვრება არა ჰკარგვენ მიუწდომელ ძლევა მოსილს უფლებას ადამიანის გულზედ“. კ. უშინსკის სამართლიანად მიაჩნდა, რომ ენაში მთელი ხალხი და მთელი მისი სამშობლო სახიერდება, მასში აზრად, სურათად და ბგერად აისახება სამშობლოს ცა, მისი ჰაერი, ფიზიკური მოვლენები, ჰავა, ველები, მთები და მდინარეები, მისი ქარიშხლები და ჭექა-ქუხილი, მასში აირეკლება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ ხალხის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორიაც, ხალხის თაობანი ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ თითოეული თაობის ცხოვრების შედეგები ენაში რჩება შთამომავალთა მემკვიდრეობად. კ. უშინსკი თვლიდა, რომ ენა არა მარტო ხალხის სიცოცხლის ძალას გამოხატავს, არამედ თვითონ არის ეს სიცოცხლე და როდესაც ხალხის ენა ქრება, ხალხიც წყვეტს არსებობას.

იან ამოს კომენსკისათვისაც მშობლიური ენა ერის არსებობის საფუძველს წარმოადგენს, მშობლიური ენის განვითარებისათვის არ უნდა არსებობდეს არავითარი დაბრკოლება, მშობლიური ენა უცხო ენების შესწავლისათვის გზის მაჩვენებელი უნდა გახდეს, ხოლო ვინც ცდილობს მშობლიური ენის შესწავლამდე პატარას უცხო ენა შეასწავლოს, ეს იმას უდრის, რომ „ვინმეს სურდეს ასწავლოს თავის შვილს ცხენოსნობა, სანამ სიარულს ისწავლიდეს,“ – განაგრძობს დიდი ჩეხი პედაგოგი.

ილია ჭავჭავაძე აღშფოთებას ვერ ფარავდა და მკაცრი კრიტიკის ცეცხლში ატარებდა იმ ბიუროკრატ მოხელეებს, რომლებიც ანტიპედაგოგიურ გზას დასდგომოდნენ და სკოლებიდან მშობლიურ ენას დევნიდნენ. ილია ჭავჭავაძეს კიდევ უფრო უკლავდა გულს ის ფაქტი, რომ „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდან აყროლდებაო; სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით, ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის

სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“.

ლუარსაბ ბოცვაძე უპირველეს მნიშვნელობას აძლევდა მშობლიური ენის შესწავლის საქმეს ერის სულიერი და ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის და წერილში „ენა და ეროვნება“ საკუთარი შეხედულებების განსამტკიცებლად მკითხველი საზოგადოების წინაშე განიხილავს თუ როგორ უყურებს და ხსნის მეცნიერება ეროვნებას საზოგადოდ, რა მნიშვნელობას აძლევს იგი ეროვნულ ენას. კერძოდ, ლუარსაბ ბოცვაძე ამ წერილში ეყრდნობა ოვსიანიკოვ-კულიკოვსკის, დარვინის, სეჩენოვის, დიუბუა რაიმონის, ჰუმბოლდტის, ტენის, გოეთეს, ტურგენევის, პოტებნიას, სოლოვიოვის, ლოპატინის, რენანის და სხვათა შეხედულებებს.

ლუარსაბ ბოცვაძე მშობლიური ენის საფუძვლიანად შესწავლაში უპირველეს როლს საბავშვო ლიტერატურას ანიჭებდა. მისი აზრით, ბავშვების აღზრდა-განათლებას ყველა ქვეყანაში ოჯახი, სკოლა და საბავშვო მწერლობა უწყობს ხელს. იგი მიზლით იხსენიებდა ისეთ ოჯახებს, სადაც „ბავშვების აღზრდას მხოლოდ სასმელ-საჭმელის ძლევას და დროზე გამოკვებას უწოდებენ, რომ სასმელ-საჭმელ მოკლებული ბავშვი არ დაზიანდეს ფიზიკურად“, და მოუწოდებდა ქართველ დედებს, რათა შეეგნოთ თავიანთი მოვალეობა ბავშვების აღზრდის საქმეში.

სამშობლო ქვეყნის უანგარო სიყვარულიდან გამომდინარე, თავისი სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში დიდი პედაგოგი მიიჩნევდა ახალი თაობის დაინტერესებასა და სიყვარულს ლიტერატურისადმი. „სკოლებსა და ოჯახებში ბავშვების გონიერად განვითარების საქმეში უპირველესი ადგილი საბავშვო მწერლობას უჭირავს, რომელსაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ყველა ყველგან, ვისაც ძვირფასად მიაჩნია მომავალი კეთილგონივრული არსება თავისის ერისა“, – წერდა ლუარსაბ ბოცვაძე და მოუწოდებდა „ერის გულშემატკივართ“, „ჭემმარიტად განათლებულთ“, რათა საბავშვო ლიტერატურის აყვავების საქმისათვის მთავარი ყურადღება დაეთმოთ, გვერდში ამოსდგომოდნენ ერთმანეთს და ყოველგვარი კერძო ინტერესების მიუხედავად სწორად წარემართათ საბავშვო მწერლობის საქმე.

„ყველა საბავშვო საკითხავი წიგნი, სახელმძღვანელო და საყმაწვილო საკითხავი ჟურნალები უსათუოდ უნდა იწერებოდეს ბავშვისათვის შეძლებისადაგვარად ადვილად გასაგების, მაგრამ აუცი-

ლებლად საზოგადო ლიტერატურულის ენით“, – წერდა ლ. ბოცვაძე. მას „საზოგადო ლიტერატურულ ენად“ მიაჩნდა ის ენა, „რომელიც მიღებულია მხოლოდ სამშობლოს მკვიდრთა რომელსავე ნაწილში“ და „არა მხოლოდ ადგილობრივის კილოს მიხედვით“. პირველდაწყებითი სახალხო სკოლების დანიშნულებად თვლიდა, რათა მან მოწაფეებს ლიტერატურული ენა გააცნოს, რომლის შემწეობითაც მათთვის ადგილი გასაგები გახდება ის სულიერი საუნჯე, რომელიც დაცულია წინაპართაგან დაწერილ წიგნებში.

ლუარსაბ ბოცვაძე დიდ უპირატესობას აძლევდა ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებს და წერდა, რომ „რომელისავე ისტორიულის კაცის ცხოვრების აწერილობას დიდი აღმზრდელი გავლენა შეუძლიან იქონიოს მოწაფეებზედ... ბედნიერად მიგვაჩნია ის ბავშვები, რომლებიც როგორც ცხოვრებაში, აგრეთვე წიგნებშიაც ჰპოულობენ მისაბაძავ კაცებს“, ხოლო თუ ამას მოკლებულია რომელიმე ისტორიული თუ ბიოგრაფიული ნაწარმოებები „მაშინ ამგვარი ნაწერები პატარა მკითხველების გულში ვერ დასტოვებს და ვერ აღბეჭდავს სავსებით სასურველს კვალს შესანიშნავის ადამიანის მისაბაძველად“.

ლუარსაბ ბოცვაძე, იხილავდა რა „ივერიის“ ფურცლებზე ჟურნალ „ჯეჯილის“ 1898 წლის ნომრებს, რედაქციას მოუწოდებდა, უფრო ხშირად დაებეჭდათ „ადგილობრივ ცხოვრებიდან აღებული საკითხავი მასალა, ადგილობრივ საგნების, მოვლენათა აწერილობა იქნება თუ სხვა...“ და განაგრძობს, რომ „ადგილობრივ მასალიდგან ადვილად შეეძლებათ უფროსებს განუმარტონ პატარებს ჩვენი ცრუ-მორწმუნეობანი, თვალსაჩინოდ დაანახვონ მისი შეუძლებლობა და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის მხრივაც... ჩვენთვის და ჩვენის ბავშვებისათვის ყველაზედ უფრო ადვილად გასაგებია მშობლიური ჰანგები, მშობლიური ქვეყნის აწერილობა, ადგილობრივის ბუნების მოვლენანი, ჩვენი წარსული ისტორიული ამბები და სხვა, რადგანაც ყველა ის ჩვენ სულში, გონებაში იპოვოს მზა ნიადაგს შეთვისებისათვის“. ამიტომ იგი საბავშვო საკითხავ წიგნში „ადგილობრივის ელემენტს“ უპირველეს ადგილს უთმობს.

ლუარსაბ ბოცვაძეს აღნიშვნის ღირსად მიაჩნია ის, რომ ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქცია სიტყვითა და საქმით ძალ-ღონეს არ ზოგავს საქმის რიგიანად წარსამართავად. ეს ჟურნალი, რომელიც ზოგიერთ სკოლაში საკითხავადაც კი იქნა შემოღებული, მისი აზრით, განათლებული საზოგადოებისაგან მეტი ყურადღების ღირსი უნდა ყოფილიყო. ლუარსაბ ბოცვაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ

ვინაიდან „ჩვენებური ოჯახი ბავშვების კანონიერად აღზრდის ცოდნას მოკლებულია“ „ჯეჯილის“ რედაქციას დამატებად პედაგოგიური წერილებიც ებეჭდა.

ლუარსაბ ბოცვაძის აზრით, თუკი საბავშვო მწერლობის საშუალებით ყურადღებას მივაქცევთ „ბავშვის სულიერ ნიჭთა განვითარების საქმეს“, ვნახავთ, რომ „ყველა საბავშვო ჟურნალი უნდა იპყრობდეს უმეტესს შემთხვევაში ხუთს განყოფილებას: სარწმუნოებრივ-ზნეობრივს, საბუნებისმეტყველო-საისტორიოს, ისტორიულ-ბიოგრაფიულს, გეოგრაფიულს და ბელეტრისტულს. ამის მიხედვით რომ გადავხედოთ „ჯეჯილ“-ს საზოგადოდ, დავინახავთ, რომ ზოგი განყოფილება სრულიად აკლია, ზოგი – კი სუსტობს და ამისთვის გვითქვამს და შემდეგშიაც ბევრჯელ ვიტყვით, რომ ჟურნალის წარმატებისათვის ფრიად საჭიროა მეტი თანაგრძნობა და დახმარება, ვისაც რითი შეუძლიან“.

ლუარსაბ ბოცვაძეს ადამიანის ზნეობრივი მხარის უმაღლეს ნიჭად ესთეტიკური გრძნობა მიაჩნია და ამიტომ ამ გრძნობის გახსნა-განვითარებას მისი აზრით ადამიანში ზნეობრივად ამაღლება, გაკეთილშობილება და ზნეობრივად გაფაქიმ-განსპეტაკება მოსდევს. დიდ პედაგოგს სწამდა, რომ ისე, როგორც ყველა სხვა გრძნობა, აგრეთვე ესთეტიკური გრძნობაც ბავშვს სუსტი და განუვითარებელი აქვსო. აქვე იგი სვამს კითხვას, თუ რა გზითა და რა საშუალებებით შეიძლება ამ გრძნობის განვითარება ბავშვებში და იქვე სავსებით სწორად პასუხობს, რომ „ერთ უპირველეს საშუალებად ბავშვებში ესთეტიკურ გრძნობათა განვითარებისათვის, სამართლიანად აღიარებულია საბავშვო მწერლობა – ხელოვნურად და სინამდვილით დახატვა გარშემორტყმულის ბუნებისა, პოეზია, რომელსაც ძველ დროში პედაგოგიკის საღმრთო ნაწილს უწოდებდნენ და დღეს-კი უსამართლოდ ექცვიან ბევრგან სკოლებში, ოჯახებში, საზოგადოებებში, ხალხშიაც, სადაც ნათლად შეინიშნება დღითი დღე დასუსტება სარწმუნოებრივის გრძნობისა საზოგადოების მატერიალურის მხრივ მიმართულებისა გამო. ამ უკანასკნელს შემთხვევაში პოეზია უფრო საჭირო ხდება იმ დანაკლისის შესავსებად, რომელიც რჩება სარწმუნოებრივი გრძნობისა და იდეალის დანაკლისის შემდეგ“.

ლუარსაბ ბოცვაძის აზრით, პოეზია ადამიანს მძინარე ძალას უღვიძებს, უვიცი ხალხი კი მისი წყალობით გონებითი ძილისაგან ფხიზლდება, ვინაიდან პოეზია ახედებს თავისს თავზე, ჩასძახის იდეალურს სიტყვებს, ე. ი. ისეთს სიტყვებს, რომელშიაც იხატება ზნეობრივი სიმართლე, გამთბარი კაცობრიულის გრძნობით, უმღერის მას გრძნობას

სიყვარულისას, სიმხიარულ-სიმწუხარისას, ჩივილ-სამდურავისას, წუხილ-იმედისას, ეჭვიანობისას, რწმენისას, რომელიც ბუნდოვნად გაისმის ადამიანის საკუთარს სულში“, ჭეშმარიტი პოეზია კაცობრიობას აღამაღლებს და შველის რათა „იშვას ადამიანი კაცობრიობისათვის“, ადამიანს გააჩნდეს შეგნებული სული, რომ შეეძლოს საკუთარი მე-ს გაფართოვება იმ საზღვრამდის, „რომელშიაც მოქცეული უნდა იყოს – ოჯახიც, სამშობლოც, კაცობრიობაც, ბუნებაც და ღმერთიც“.

ლუარსაბ ბოცვაძე აღნიშნავს, რომ ჟურნალ „ჯეჯილში“ / 1898 წ. № 4/ მოთავსებული ლექსები ზემოთ ჩამოთვლილი ღირსებებითაა აღსავსე.

დიდ პედაგოგს ნორჩი მკითხველის „სულიერ ძალღონის გასაკეთილშობილებლად მიაჩნდა მის გულში თანაგრძნობისა და გულშემატკივრობის დაბადება და გამოწვევა. ხოლო ასეთი თანაგრძნობისა და გულშემატკივრობის გამოწვევა იმისთანა მოთხოვნებს შეუძლიათ, რომლის „სურათი და გმირები, ანუ მომქმედნი აღებულია ადამიანის ცხოვრებიდან, ანუ ცხოველთა სამეფოდგან, რომლის ცხოვრების გამოხატულება ასე თუ ისე უახლოვდება ადამიანის ცხოვრებას“. შემდეგ კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბავშვებიც და მოზრდილებიც არა მარტო სულიერს თანაუგრძნობენ, არამედ უსულო არსებათაც – ქვას, ყვავილს, რომლის მხატვრულ აღწერასაც შეუძლია პატარა მკითხველებში შესაფერისი თანაგრძნობა გამოიწვიოსო.

ლუარსაბ ბოცვაძე სავსებით იზიარებს ი. გოგებაშვილის შეხედულებას საბავშვო ლიტერატურის ენის შესახებ და მწერლებს მოუწოდებდა, რომ საბავშვო საკითხავი წიგნები, სახელმძღვანელოები და საბავშვო ჟურნალები ბავშვებისათვის შეძლებისადაგვარად ადვილად გასაგები, მაგრამ აუცილებლად საზოგადო ლიტერატურული ენით უნდა იწერებოდეს და არა მხოლოდ ადგილობრივი კილოს მიხედვითო.

დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი საბავშვო წიგნების ენის შესახებ წერდა:

„რაც შეეხება ენას, რომლითაც დაწერილია „საკითხავი წიგნი“, ვცდილობდი ვადმომეცა ჩემს მიერ არჩეული საგნები უბრალო ენით, არ მეხმარა ბავშვებისათვის გაუგებარი სიტყვები, მაგრამ სრულიადაც არ ვფიქრობდი მიმებაძა ბავშვის გამოთქმებისათვის, რადგან სრულიად უადგილოდ მიმაჩნია ყოველგვარი მიბაძვა ხალხური და ბავშვური ენისადმი როგორც იმ წიგნებში, რომლებიც ხალხისათვის იცემა, ისე საბავშვო წიგნებში. ბავშვის ტიტინი მიზმიდველია მხო-

ლოდ დიდებისათვის და არა ბავშვებისათვის; სერიოზული სწავლების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ის არის, რომ ბავშვს შევასწავლოთ სერიოზული მეცნიერული ენა“.

ლუარსაბ ბოცვაძეს გულწრფელად ახარებდა ის ფაქტი, რომ აქამდე აბუხად აგდებულ ენას ნათელი უდგებოდა – მალე სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე დაიწყებოდა, სახელმძღვანელოების გამოცემაც დღის წესრიგში იდგა, მაგრამ მარტო სკოლებში დედა ენაზე სწავლება მას საკმარისად არ მიაჩნდა. მისი აზრით „საჭიროა სკოლის გარეთ კითხვაც დრო-გამოშვებით გამოცემებისა, საბავშვო ჟურნალებისა და შესაფერისი წიგნაკებისა, მაგრამ გვაქვს კი საბავშვო წიგნაკები? ძალიან მცირე, და რაცა გვაქვს, ისიც ბურუსით არის მოცული, არ არის გარჩეული, კრიტიკის ჯანდრაკში გატარებული და არც ვიცით თუ რა მივასწოდოთ ბავშვებს საკითხავად, რომ კითხვაში რამე თანდათანობა და სისტემა შევიტანოთ, დავაჩვიოთ ბავშვები თანდათან ქართულ წიგნების კითხვას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ბავშვის გონების განვითარებისათვის“.

ლუარსაბ ბოცვაძე პრესის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდა წერილებს საბავშვო წიგნების გამოცემის აუცილებლობის შესახებ, ვინაიდან მას ღრმად სწამდა, რომ კლასგარეშე საკითხავი წიგნები პატარა მკითხველს გონებასა და გრძნობას უვითარებს, ხასიათს უწვრთნის და რწმენას უმტკიცებს. ვერც მშობელი და ვერც სკოლა ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუკი ბავშვი მოკლებული იქნება კლასგარეთ საკითხავ წიგნებს, როგორც სწორი აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებასო, – წერდა იგი.

საბავშვო წიგნების უაღრესად დიდი აღმზრდელობითი ფუნქციის შესახებ იაკობ გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა:

„თუ თქვენ შვილს პატარაობისასვე მარჯვედ დაწერილნი საბავშვო ნაწარმოებნი მიიზიდვენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გებრძებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩინს დაუღალავს გონებითს მოქმედებას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნობა, მსჯელობა იქნება ისეთივე მიუცილებელი ყოველ დღიური საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის“.

ცნობილი გერმანელი პედაგოგი ჰენრიხ ვოლგასტი საბავშვო წიგნების დანიშნულებას ნორჩი მკითხველების განათლებასა და გა-

კეთილშობილებაში ხედავდა, რასაც ხელს უნდა უწყობდეს სკოლა და ოჯახი.

საბავშვო წიგნი აღმზრდელით დანიშნულებას დაკარგავს თუ კითხვას სისტემატური ხასიათი არა აქვს, თუ უფროსები არ მისცემენ ბავშვებს ზოგიერთ საჭირო რჩევა-დარიგებებს წასაკითხი ლიტერატურის შერჩევისას. ლ. ბოცვაძე სწორედ ამ აზრს ავითარებს, როდესაც წერს, რომ „კითხვა სისტემატური უნდა იყოს იმიტომაც რომ წარმავალი ცნობები ღრმად ვერ მოიდგამს ფესვებს ბავშვის სულში, მისთვისაც ძნელია ყველაფერში გარკვევა. აი, ამიტომაც სისტემატური კითხვა გავლენას აგრძელებს, მუდმივად დაჟინებულად ხდის და არ სპობს ბავშვის თავისუფალ ზრდას და განვითარებას“.

ლუარსაბ ბოცვაძე აღნიშნავდა, რომ მართალია, ამ ბოლო დროს საბავშვო ლიტერატურა აღორძინდა, მაგრამ ჯერ კიდევ მცირეა საბავშვო საკითხავი წიგნები. აქედან გამომდინარე, მან ექვსი პირობა შეიმუშავა, რისი გათვალისწინების შედეგად საბავშვო წიგნი შეასრულებს მასწავლებლისა და აღმზრდელის როლს. ესენია:

ა/ „კითხვა უნდა იყოს სისტემატური, ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ ბავშვებს კითხვაში, მაგრამ იმავე დროს, შეძლებისა და გვარად არ უნდა ჩაუქრონ ბავშვს თავისუფალი ინტერესები.

ბ/ საჭიროა სახეში გვქონდეს ბავშვის წლოვანება და მისი მიდრეკილება. ე. ი. საჭიროა შეძლებისდაგვარად კითხვის დროს დაცული იქმნას მკითხველის ინდივიდუალური /პიროვნული/ მხარე.

გ/ არ უნდა მიეცეს ბავშვს საკითხავად ზნეობრივი სწავლით გაჟღენთილი წიგნები.

დ/ სრულიად უნდა განიდეგნოს საბავშვო წიგნთსაცავიდან საშინაო მითხრობები.

ე/ კითხვით უნდა გააძლიერონ სამხიარულო ემოციები, რომელიც უვითარებს ადამიანს სიცოცხლის ნიჭს.

ვ/ ბავშვებს უნდა მიეცეს საკითხავად სხვა და სხვა შინაარსის წიგნები, რომლებიც ეხებიან, შეძლებისა და გვარად, ცხოვრების ყველა მხარეს“.

ლუარსაბ ბოცვაძეს მიაჩნდა, რომ მხოლოდ ამ ძირითადი პირობების დაცვით შეგვიძლია გავამდიდროთ ბავშვის გონება, აღვზარდოთ მასში სალი და ფხიზელი გრძობები, განვუმტკიცოთ ნებისყოფა.

საბავშვო წიგნმა მასწავლებლისა და აღმზრდელის როლი რომ შეასრულოს, საჭიროა გაირკვეს აგრეთვე თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს მწერლის ამოცანა. მწერალმა ნორჩ მკითხველს უნდა ჩაუნე-

რგოს წმინდა ზნეობის საწყისები, გაუთბოს ნორჩი სული, ჩამოუყალიბოს კეთილი, ჰუმანური დამოკიდებულების გრძნობა, განუვითაროს და საზრდო მისცეს მის გრძნობა-გონებას, შეაყვაროს სიკეთე სიკეთისათვის და არა ანგარებისათვის.

ლუარსაბ ბოცვაძე სიამოვნებით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ქართველი მწერლები მოწადინებულნი იყვნენ შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოთ საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის, ხოლო მათი მაღალმხატვრული ნაწარმოებების „შინაარსი... ერთსა და იმავე დროს სწვდება ბავშვის სულსა და გულს და ახდენს მთელს შთაბეჭდილებას“.

დიდი პედაგოგი შემდეგ მოთხოვნილებებს უყენებდა ბავშვებისათვის დაწერილ წიგნებს:

1/ „საბავშვო წიგნი პირველ ყოვლისა უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები. ცოცხალი სახეები, მართალი შინაარსი, კაბმული ფორმა – ყველა ეს ხელს უწყობს ბავშვში წიგნის კითხვის სიყვარულის გაძლიერებას და საზოგადოთ ბავშვის სულის აღზრდას. ჩვენ საბავშვო მწერლობაშიაც ბლომად მოიპოვება მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ, საუბედუროდ, ისეა გაფანტული ჟურნალ-გაზეთებში, რომ თუ ვინმემ თავი არ მოუყარა და არ გამოსცა, უსარგებლო იქნება ჩვენი ბავშვებისათვის“.

2/ საბავშვო წიგნი საკმარისად შემაქცევარი და მიმზიდველი უნდა იყოს ბავშვისათვის. დიდების შეხედულებით ბევრს კარგს წიგნს ბავშვები არ კითხულობენ. ბავშვის ხალისის გაგება თეორიულად არ შეიძლება, ამისათვის დაკვირვებაა საჭირო.

3/ საბავშვო წიგნის შინაარსი სიმართლეს უნდა შეიცავდეს. იმაში საჭირო არ არის ცხოვრების დაფერადება, არც მისი იდეალიზაცია, არც ფერების შესქელება.

4/ საბავშვო წიგნმა უნდა მისცეს ბავშვებს დებულებითი შინაარსი. იმაში ცხადად უნდა ჩანდეს სიმართლისა და სიკეთის ზნეობრივი იდეალი, შეზავებული ბავშვებისადმი სიყვარულით, რომელიც თავისთავად უარჰყოფს, როგორც ზედმეტს რეალიზმს, აგრეთვე სანტიმენტალობასაც. რამდენადაც არასასურველია ტიპი ასეთის ბავშვებისა, რომელთაც არ იციან რა ხდება თავის გარშემო, იმდენადვე დამლუპველია მეორე ტიპი ათის წლის ბავშვისა, რომელიც ჩაფლულია ცხოვრების პრობაში და მის სიცრუეში.

5/ საბავშვო წიგნი გამამხნეველი და სამხიარულო უნდა იყოს. იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პესიმიზმს, მოქანცულობას, უიმედობას.

წიგნმა არ უნდა მოშალოს ბავშვის საღი სიყვარული ცხოვრებისადმი, არ უნდა გაანაღვლიანოს ცხოვრება ტრაგიზმით, არ უნდა განუვითაროს მეღანხოლია.


6/ საბავშვო წიგნი ტკუის მასწავლებელი უნდა იყოს, მაგრამ არა ტენდენციობური. არ შეიძლება უარვწყობ ზოგიერთი საბავშვო მოთხრობები, რომელიც იძლევა შესაფერისს მორალურ დარიგებას. იქ, სადაც ფაბულა იმდენად ცხადია და სამართლიანი, დასკვნა თავისთავად ცხადია და გასაგები ბავშვებისათვის, იქ ყველაფერი საგულისხმეო იქნება, მაგრამ თუ მოთხრობა იდეას ემორჩილება, შეთხზულია მორალურ მოძღვრებისათვის, სადაც მწერალი სიმართლეს ღალატობს ზნეობრივი სწავლის გასამარჯვებლად, იქ ჩვენ თვალწინ ტენდენცია გვეჩხირება“.

ლუარსაბ ბოცვაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე წიგნის გარეგან სახეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის ესთეტიკურ მოთხოვნილებას თავისი მხატვრული სურათებით, ქაღალდი უნდა იყოს სქელი, ხოლო ასოები საკმარისად მსხვილი, გარკვეული.

1892 წლიდან 1906 წლამდე, 14 წლის განმავლობაში თავდადებულად, ენერგიის დაუზოგავად ემსახურებოდა ლუარსაბ ბოცვაძე კავკავის ქართულ სკოლას.

იაკობ გოგებაშვილი სათანადოდ აფასებდა ლუარსაბ ბოცვაძის ამავს კავკაველი ქართველი ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეში და კავკავის სკოლის წარმატებასაც ლუარსაბ ბოცვაძის დამსახურებად თვლიდა. 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა:

„კავკავის სკოლამ ცხადად დაგვანახვა, თუ რა შეუძლიან რიგიანად დაყენებულს სკოლას. იგი გახდა ცენტრად ადგილობრივი ქართველების ცხოვრებისა და იმდენად შეაყვარა თავი, რომ ერთმა მუჭა ქართველობამ სკოლასაც აუშენა მშვენიერი სახლი, ეკლესიაც ააგო მის გვერდით და თვითონვე იხდის ამ სკოლის ყოველ წლიურს ხარჯს თითქმის სავსებით“. ორიოდ წლის შემდეგ, დიდი პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „კავკავის ქართველობა, თავის სასახელოდ, დიდად აფასებს ბ-ნი ბოცვაძის ნიჭს, გამოცდილებას, მხნეობას, მამულიშვილობას, და თავისი ხარჯით იგი გაგზავნა ხუთის წლის წინად მაკარიის გამოფენაზე და შარშან პარიზის გამოფენაზე, პედაგოგიურის ნაწილის დასათვალიერებლად და შესასწავლად“.



კავკასის ქართული სკოლა

ლუარსაბ ბოცვაძე კავკასელი ქართველების განათლების საქმეში ერთ-ერთ უპირველეს საჭიროებად თერგის ოლქში ქართული წიგნების გავრცელებას თვლიდა. 1897 წელს იგი გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას წერდა:

„თქვენის გაზეთის „ცნობის ფურცლის“ მე-ნნ №-ში წავიკითხე, რომ ჩვენი წიგნების გამომცემლებს გ. ი. როსტომაშვილს და ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავთ ჩემთვის თავიანთი გამოცემული ქართული წიგნების გამოგზავნა თერგის ოლქში მცხოვრებელ ქართველებისათვის უფასოდ დასარიგებლად. ეს აზრი ფრიად სასიამოვნო და სასურველიც არის, თუ სხვებიც მიაქცევენ ყურადღებას ამ მხრისაკენ გადმოხვეწილ ქართველობას, რომელთა გარემოება და მდგომარეობა, ასე თუ ისე, რიგინად მაქვს გაცნობილი. აქაურს ქართველებში ქართული მწიგნობრობის გავრცელებას ზოგიერთ ნაცნობი პირების შემწეობით, დღემდისაც ვაქცევდი ყურადღებას, მაგრამ ამ გვარი ყურადღება, კერძოდ, ჩემთვის არ იყო სანატრელი, რადგანაც საკომისიოდ გამოგზავნილს წიგნებს ვაგზავნიდი აქეთ-იქით, ფულებს კი ყოველთვის ვერ

ვლებულობდი და მე კი იძულებული ვიყავი ჩემის ხარჯით წიგნების გამომცემლები დამეკმაყოფილებინა. თუ ამ გარემოებას ჩვენი წიგნების გამომცემლები ყურადღებას მიაქცევენ და მომაწვდიან უფასოდ ხალხში გასავრცელებლად თავიანთ წიგნებს, მე დიდის სიამოვნებით და სიხარულით ვიკისრებ ხალხში ქართული წიგნების გავრცელებას, რომელსაც დარწმუნებული ვარ, მოყვება ფრიად სასიამოვნო და სასურველი ნაყოფი“.

ლუარსაბ ბოცვაძე დღენიადაგ ბრუნავდა იმის შესახებ, რომ კავკასის ქართველებს საკუთარი მღვდელი და ეკლესია ჰქონოდათ, რათა „ყოველ დროს თავისუფლად შეეძლოს ღვთის მსახურების მოსმენა და მღვდელ-მოქმედების შესრულება მშობლიურს ენაზე“. ამ საქმის მოსაგვარებლად კავკასიში ჩამოყალიბდა სამზრუნველო კომიტეტი, რომლის რიგებშიც ლუარსაბ ბოცვაძის ამრით უნდა გაერთიანებულიყვნენ წევრები „შეწირულებისა და ღვაწლის მიხედვით“. ლუარსაბ ბოცვაძეს სასურველად მიაჩნდა, რომ ყოველ წლებით ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულიყო შემოსავალ-გასავლის და შემომწირველთა სია, გადახალისებულიყო კომიტეტის წევრების შემადგენლობა, ვინაიდან „სასურველია, რომ კომიტეტში არჩეულნი იქმნან იმისთანა პირნი, რომელთაც, როგორც ზნეობრივად, ისე ნივთიერის მხრითაც და სხვა მოხერხებით შეეძლოს სამი წლის განმავლობაში პირნათლად გაუძღვეს საზოგადო საქმეს, რომელსაც, შეიძლება, კომიტეტის წევრთა სასახელოდ, მუდმივი წყაროც დაუარსდეს არსებობისათვის“.

1898 წელს „ცნობის ფურცელში“ /№ 555 / ლუარსაბ ბოცვაძემ სასიხარულო ამბავი ამცნო ქართველ საზოგადოებას:

„7 ივნისს კავკასის ქართულ სკოლასთან მოხდა ეკლესიისა და ახალი სკოლის სადგომის საძირკვლის კურთხევა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ როგორც ადგილობრივი ქართველი საზოგადოება, აგრეთვე ბევრი საპატიო პირებიც. საძირკვლის კურთხევა შეასრულა ადგილობრივის გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მღვდელმა კ. ალექსანდროვმა, ოსების მღვდლის მამა გათუევის და სამრევლო-საკელესიო სკოლების მეთვალყურის მამა იოსებ ორეხოვის დახმარებით. კურთხევა ასრულებული იქმნა რუსულად – ქართული გალობით..“

1895 წელს კავკასიში გაიხსნა საკვირაო სკოლა მოზრდილი ვაჟებისათვის. 900-იანი წლებიდან ამ სკოლაში მოწაფეთა რიცხვმა იმდენად იკლო, რომ „ხშირად მასწავლებელთა რიცხვი აღემატებოდა მო-

წაფეთა რიცხვს და სულ ბოლო წლებში-კი საკვირაო სკოლამ მთლად თქვენი ჭირი წაიღო და განუტევა ტანჯული სული წიაღსა შინა უთავისობისასა“. საკვირაო სკოლების სავალალო მდგომარეობას ლუარსაბ ბოცვაძე აქაური ქართველი ინტელიგენციის უყურადღებობით ხსნიდა. იგი საყვედურს გამოთქვამდა იმ მასწავლებლების მიმართ, რომელთაც არავითარი ძალ-ღონე არ უხმარიათ, რათა „საკვირაო სკოლა, ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება დაყენებული ყოფილიყოს სასურველს ნიადაგზე და წარმართულიყოს ერთობის ძალით მოწაფეთა სასარგებლოთ“.

ლუარსაბ ბოცვაძე, კავკასის საკვირაო სკოლის გაუქმების მთავარ მიზეზად შემდეგ გარემოებას ასახელებს:

„ხსენებულს სკოლაში თავიდანვე შემოღებული იქმნა განყოფილებანი და არა ჯგუფები, როგორც ყოველგან არსებობს ყოველს კეთილგანწყობილს საკვირაო სკოლებში. თუ დაუვკვირდებით კავკასის ქართულ საკვირაო სკოლის საქმის მსვლელობას ყოველ წლებით, შენიშნავთ, რომ სკოლა შესდგებოდა ყოველ წელს სამი განყოფილებისაგან. ამასთან თვითოეული განყოფილების მოწაფენი ყველანი ვერ უდგებოდენ ერთი-მეორეს სწავლაში. მაშასადამე ამ შემთხვევაში მასწავლებლისათვის ფრიად ძნელი იყო აერჩია ისეთი სასწავლო მასალა, რომლითაც დაეკმაყოფილებინა თვითოეული განყოფილების ყველა მოწაფენი, რომელნიც, რა-კი ვერ ხედავდნენ სასურველს დაკმაყოფილებას, ვერ პოულობდენ შესაფერის და საჭირო სულიერ საზრდოს, გულს იცრუებდენ სწავლაზე და ბოლოს სკოლაში სიარულის ხალისიც ეკარგებოდათ“. ლუარსაბ ბოცვაძის აზრით, თუ კი საკვირაო სკოლებში სასწავლო პროცესი სათანადოდ დონეზე არ არის მოგვარებული და მისი შედეგი მოსწავლეს არ იტაცებს, მას ჯობითაც ვერ აიძულებ სკოლაში შევიდეს. კავკასის საკვირაო სკოლა თავიდანვე არ ყოფილა სათანადოდ მოწყობილი და თუ პირველ წლებში სკოლას შედარებით კარგი ნაყოფი მოჰქონდა, ეს აიხსნებოდა მოწაფეების მიერ „პირველისავე ხალისით და სურვილით სწავლის შექენით, რომელიც შემდეგ გაუგრილდათ და თანდათან მოესპოთ სწავლის საქმის უხერხულად წაყვანის წყალობით“. მეორე მიზეზად ლუარსაბ ბოცვაძე თვლის „საგნებური სწავლების“ წესს, რომელიც საკვირაო სკოლაში თავიდანვე იქნა შემოღებული. „ჩვენ ბევრი საკვირაო სკოლა გვინახავს, ბევრის შესახებაც წავგვიკითხავს რამე, მაგრამ არსად არ შეგვხვედრია, რომ საკვირაო სკოლებში სადმე ადგენენ საგნებურს წესს სწავლებისას და არა ყოველგან მიღე-

ბულს და საუკეთესოდ ცნობილს საკლასო სისტემას სწავლებისას“, – განაგრძობს ლუარსაბ ბოცვაძე და სამართლიანად მიაჩნია, რომ არსებული წესის მიხედვით მოსწავლეთა გონების განვითარება ჰარმონიულად ვერ წარიმართება, ასეთი სისტემა ხელს უშლის სწავლებაში ერთობის პრინციპის დაცვას, უდროოდ ხდება მეცნიერების სპეციალიზაცია და ჭეშმარიტი საზოგადო განათლება კი განზე რჩება. როცა საკვირაო სკოლაში მასწავლებელს ცალკე ჯგუფი აბარია, რომელიც თანაბარი ცოდნის მოწაფეებისაგან შედგება და ყველა საგანს ერთმანეთთან კავშირში ასწავლის, მოწაფეები თვითონვე გრძნობენ სწავლების კეთილ ნაყოფს. „ამ შემთხვევაში მოწაფენი და მასწავლებლები უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს, მათ შორის ადვილად დამყარდება პატივისცემა, მეგობრული კავშირი და სიყვარული, რომელიც შეადგენს ქვაკუთხედს ყოველის საქმისას“, – წერს ლუარსაბ ბოცვაძე.

კავკავის საკვირაო სკოლის წარუმატებლობის მესამე მიზეზს ლუარსაბ ბოცვაძე სასწავლო პროგრამის უქონლობაში ხედავს. მას მიაჩნია, რომ ასეთ პროგრამებს ყოველი ჯგუფის მასწავლებელი წინასწარ უნდა ადგენდეს, მთელი წლის განმავლობაში ამით უნდა ხელმძღვანელობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში „პროგრამის უქონლობა და სასწავლო მასალის სისტემაზე დაუღალავებლობა თვით ფრიად გამოცდილს მასწავლებელსაც იძულებულად ჰხდის შევიდეს გაკვეთილზე სრულიად მოუმზადებლად, მოუფიქრებლად და, რასაკვირველია, ამ უწესო წესით მასწავლებელი ვერ მოახერხებს ნასწავლსა და ახლად სასწავლო მასალათა შორის სასურველს კავშირის დამყარებას“.

საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის რომ მხოლოდ წერა-კითხვის შემსწავლელ საშუალებად არ გადაიქცეს, ლუარსაბ ბოცვაძეს სამართლიანად მიაჩნია, რომ აუცილებელია პროგრამის გაფართოვებაც, „რომელიც უნდა შეიცავდეს ყველა ადამიანისათვის ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცნობებს“.

ლუარსაბ ბოცვაძე საკვირაო სკოლების წარმატების გზაზე ერთ-ერთ უმთავრეს როლს სკოლის ადმინისტრაციას აკისრებს – „მართალია, სწავლების საქმეში სკოლის სულისჩამდგმელი და მწარმოებელი მასწავლებელია, მაგრამ მასწავლებელზე უფრო ბევრი მოეთხოვება მმართველს, რომელიც არის მოწესრიგე, მაღალი განათლების პედაგოგი, რომელმაც უნდა წარმართოს ყველა მასწავლებელთა მოქმედება ერთს საზოგადო მისწრაფებად; სადაც ამისთანა წერა საკვირაო სკოლებში, სადაც საკვირაო სკოლის მმართველი ასე უყურებს თავისს

მოვალეობას, იქ სკოლაც ხეირობს – მასწავლებლებიც ხალისიანად მუშაობენ თანხმობით და მოწაფენიც, როგორც ფუტკარი თაფლს, ისე ეწაფებიან სწავლას“.

კავკავის ქართველმა ინტელიგენციამ გაითვალისწინა ეს შენიშვნები და სერიოზულად მოჰკიდა ხელი საკვირაო სკოლის საქმეს. გაზეთ „ივერიის“ 1902 წლის 239-ე ნომერში ლუარსაბ ბოცვაძე წერს, რომ ქართველ ინტელიგენციას საკვირაო სკოლის საკითხზე სპეციალური თათბირი მოუწვევია და იქვე გადაუწყვეტიათ ასეთივე სკოლის დაარსება ქალებისათვისაც.

1897 წელს დ. მ. სარაჯიშვილის კავკავის სპირტის სახდელ ქარხანასთან მისი მმართველის ალ. სარაჯიშვილის თხოვნით ლუარსაბ ბოცვაძემ გახსნა საკვირაო სკოლა, რომლის ხარჯსაც თვითონ ალ. სარაჯიშვილი კისრულობდა. ლუარსაბ ბოცვაძე ყოველ კვირა დღეს აქ მუშებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა ლუარსაბ ბოცვაძის შრომას საკვირაო სკოლაში და აღნიშნავდა: „აქ შრომობდა ის დილის შვიდი საათიდან ცხრა საათამდე და მერმე პირდაპირ ზავოდისაგან მიისწრაფებოდა ქართულს ეკლესიაში ხოროს სალოტბაროდ. ასეთი შეუწყვეტელი ჯაფა თვით მაგარ კაცსაც დიდ ხანს არ შეუძლიან... გაუმართავს კითხვები კვირაში ორჯერ სარაჯიშვილის ქარხანაში მუშებისათვის, ხოლო კვირაობით სკოლაში საკვირაო სკოლისა და უფროსს განყოფილებათა მოწაფეთათვის“.

ერთი წელიწადი სკოლა კერძო იყო. ამ დროის გამოცდილებამ დაარწმუნა ლუარსაბ ბოცვაძე, რომ ეს სკოლა დიდ ნაყოფს გამოიღებდა მუშებისათვის და მეორე წლიდან ოფიციალურად გაიხსნა. ლუარსაბ ბოცვაძემ შეადგინა სასწავლო გეგმა და ყველა საგნის შემოკლებული პროგრამა, რის სწავლებაც აუცილებელი იყო მუშებისათვის. ლუარსაბ ბოცვაძე წერს: „ეს სასწავლო გეგმა და პროგრამები ბ-ნმა ალ. სარაჯიშვილმა წარუდგინა ადგილობრივს სასულიერო მთავრობას, სასწავლებლის საბჭოს, რომელმაც თანახმად ჩემის სურვილისა, დამამტკიცა ყველა საგნის მასწავლებლად საკვირაო სკოლაში და დამამტკიცა წარდგენილი პროგრამებიც და სამოსწავლო გეგმაც, რომლითაც ყველა საგნები ისწავლება ქართულ ენაზე, ხოლო რუსული ენა ისწავლება, როგორც კერძო საგანი მის შემდეგ, როცა მოწაფე მუშები ცოტად თუ ბევრად კარგად შეისწავლიან წერა-კითხვას მშობლიურს ენაზედ“.

ყველა საგნების სწავლების დროს ლუარსაბ ბოცვაძე ცდილობდა გადაეცა უმთავრესი და უსაჭიროესი ცნობები, რომლებიც მუშათა

ცოდნას მტკიცე ნიადაგზე დაამყარებდა და ამ უკანასკნელთ ისე მოამზადებდა, რომ „ყველა მუშას წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, წიგნების კითხვით თვითონ შესძლებოდა თავისი გონების განვითარება, შეწყვარებოდა წიგნების კითხვა, რომლითაც შეეძლებოდათ ბევრი კარგი აზრების შეთვისება და ცხოვრებაში გამოყენება“.

ნაშრომ-ნატანჯ მოზრდილ მუშებს წერა-კითხვის შესწავლა მიუწვდომელ საგნად მიაჩნდათ და ამიტომაც გულაცრუებულნი იყვნენ სწავლაზე. ლუარსაბ ბოცვაძეს მოუხერხებლად მიაჩნდა ასეთ დროს პირდაპირ წიგნის სწავლების დაწყება და საჭიროდ ჩათვალა პირველად მუშებში გაეღვიძებინა სწავლის ხალისი საუბრების საშუალებით, მოემზადებინა ხალხი ისე, რომ გულიდან ამოეღოთ ის აზრი, თითქოს წერა-კითხვის შესწავლა მათთვის შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ ლუარსაბ ბოცვაძე იწყებდა წერა-კითხვის სწავლებას „დედა-ენიდან“. იგი თვლიდა, რომ „ყველაზედ უფრო მეგობრული განწყობილება უნდა სუფევდეს მასწავლებელს და მოსწავლეთა შორის საკვირაო სკოლაში, რომ სკოლამ ნამდვილად მიაღწიოს თავისს წმინდა დანიშნულებას და სადაც მეგობრული განწყობილება სუფევს მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის, თუნდ ეს უკანასკნელები დიდები იყვნენ, გინდ პატარები, ამისთანა სკოლაში ყოველთვის ხალისიანად დადიან დიდებიც და პატარებიც. ვინაიდან მუშები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათთვის წერა-კითხვის სწავლა ძალზე დაგვიანებულია, ლუარსაბ ბოცვაძე იძულებული გახდა შესაბამისი სწავლების მეთოდი შეემუშავებინა სწავლების გასაადვილებლად:

„დიდს თაბახს ქალაქდზე დავუწერეთ ბეჭდურის ასოებით და სურათებით ანბანი და საკითხავი მასალა იმ წესზედ, როგორც „დედა-ენაშია“. გამოვიდა სულ ოცი დიდი თაბახი სურათებიანი ანბანი, სადაც ყოველი ახალი ასო ბეჭდურის შრიფტით წითელი მეღვინით არის დაწერილი, რომ ცხადად გარკვეული და გამოცალკეებული იქმნას სხვა ასოებისაგან. ეს დასურათებული კედელზედ ჩამოსაკიდი ანბანი გამოვუკიდეთ კედლებზედ მუშათა საზოგადო სამყოფ დარბაზში იმ აზრით, რომ ყველას თვალწინ ჰქონოდა ეს ანბანი საკითხავი მასალით და თავისუფალს დროს ყოველ დღე ცოტ-ცოტა ეკითხათ თავის თავად სურათების საშუალებით და ან წერა-კითხვის მცოდნე მუშათა დახმარებით. ამ ხერხმა სასურველი ნაყოფი გამოიღო: ბევრმა მუშამ თავის-თავად შეისწავლა კითხვა, რომლის შემდეგ უფრო გაბედულად მოდიოდა საკვირაო სკოლაში და ჩემს კითხვაზე, სად დაისწავლა კითხვა, მიპასუხებდნენ: „აი, შენი ჭირიმე, კაზარმაში კედელზე რომ ჰკიდია, იმაზე ვისწავლეო“.

ალ. სარაჯიშვილმა, რათა მუშებს საფუძვლიანად ესწავლათ წერა-კითხვა, საკუთარი ხარჯებით ბიბლიოთეკაც დაუარსა.

როდესაც ქართულ წერა-კითხვას დაეუფლებოდნენ, ლუარსაბ ბოცვაძე მათ რუსულს ასწავლიდა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი „Родное слово“. ანგარიშის სწავლების დროს ლუარსაბ ბოცვაძეს მთავარი ყურადღება პრაქტიკულ მხარეზე ჰქონდა მიჰყრობილი – „მუშები სწავლობდნენ ციფრების წერას, ოთხს მოქმედებას ჯერ ასამდის და შემდეგ დიდს რიცხვებზედაც, სწავლობდნენ სავაჭრო ჩოთქის ხმარებას, ანგარიშების წერას და შედგენას, ჯამის გამოყვანას და სხ“.

ლუარსაბ ბოცვაძის უანგარო ღვაწლი კავკასელი თანამემამულეების განათლების დარგში ნათლად არის გადმოცემული კავკასელი ქართველების მიერ მათი მოამაგის პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლისთავზე თბილისში გამოგზავნილ ადრესში:

„ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, ბატონო ლუარსაბ! 1913 წელს ენკენისთვეში შესრულდა 25 წელიწადი თქვენი დაუღალავი შრომისა სახალხო განათლების ასპარეზზე. ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა ღირსეულად აღნიშნა თქვენი ეს ხანგრძლივი და მძიმე მამულიშვილური მოღვაწეობა. დიდი დანაშაული იქნებოდა, რომ ჩვენც, კავკასელ ქართველებს, არ შეგვეერთებინა ჩვენი ხმა ქართველების საერთო ხმასთან და შენი უკვდავი გვირგვინი ჩვენც არ შეგვემკო თუმცა მკრთალი, მაგრამ თქვენდამი ღრმა პატივისცემით და გულწრფელი სიყვარულით მოძღვნილი ყვავილით. საუკეთესო დღენი თქვენი ცხოვრებისა და უმეტესი დრო თქვენი სასარგებლო მოღვაწეობისა კავკასის ქართველებში გაატარეთ. თქვენ თოთხმეტი წელიწადი ეწეოდით მძიმე უღელს მასწავლებლობისას კავკასის ქართულ შკოლაში. იმ დროს ის იყო კავკასელი ქართველები გამოდიოდნენ თავდავიწყების ბურუსიდან, მაშინ ჯერ კიდევ სუსტად ჰგრძნობდნენ განათლების და დედა ენის საჭიროებას და მნიშვნელობას. აი ამ დროს თქვენ მხნედ და დაუღალავად აღვიძებდით ჩვენში, როგორც მოზარდ თაობაში, ისე მდაბიო ხალხში, მამულიშვილურს გრძნობებს. თქვენი მხნეობით და მეცადინეობით შეიყვარა კავკასელმა ქართველმა ქართული შკოლა, დედა ენა და ქართული წიგნი. თქვენ მოაგონეთ და შეაყვარეთ კავკასელ ქართველებს დავიწყებული სამშობლო...“

ჩვენი პატარა შკოლა, თქვენ თვალწინ და თქვენი დიდი ღვაწლით, გარდაიქცა დიდ ეროვნულ-განმანათლებელ საქმედ. თქვენ დროს ჩაიყარა პირველი საძირკველი ჩვენი შკოლის საკუთარის შენობისა

და თქვენის მონაწილეობით ეს შენობა გაიზარდა, გაფართოვდა და გარდაიქცა აქაური ქართველების საერთო ეროვნულ კერად... თქვენი პირადი მაგალითით ასწავლეთ ჩვენს ბავშვებს ჯაფა, შრომა, მიწის მუშაობა, ბალის მოვლა, მეურნეობა და ბუნების სიყვარული. თქვენ აღზარდეთ კავკავში რამდენიმე თაობა შეგნებული ქართველებისა, რომელთა შორის ბევრია უმაღლესი სწავლა მიღებული... რომელნიც სიყვარულითა და სასოებით შესცქერიან თავიანთ მადლიან მასწავლებელს ლუარსაბს. თქვენ აქედამ წასვლის შემდეგაც ყოველთვის დიდს მზრუნველობას უწევთ ჩვენს ეროვნულ საქმეს, ჩვენი ავი გაწუხებთ და სიკეთე გახარებთ.

იდღეგრძელებთ, ჩვენო ლუარსაბ, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ.

გაუმარჯოს სახალხო მასწავლებელს! გაუმარჯოს ლუარსაბს!“

სახალხო სკოლების საქმიანობის ნაყოფიერად წარსამართავად ლუარსაბ ბოცვაძე ქართველ პედაგოგებს სასწავლო საქმიანობის საერთო ნაკლოვანებებზე მიუთითებდა და ამ ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის სწორ დარიგებებს აძლევდა. მას უპირველეს საჭიროებად მიაჩნდა, რათა სკოლებში, სადაც ეს მოსახერხებელი იქნებოდა, ფიზიკისა და ქიმიის პატარა კაბინეტები მოეწყოთ. ეს კაბინეტები საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს „რეალური საგნებისა და ბუნების მოვლენათა შეგნებით და დაკვირვებით შესწავლისათვის და ხელს უწყობს მოწაფეთა გონების განვითარებას დაკვირვებისა და თვალსაჩინოების გზით“. სახალხო სკოლის დაბალი განყოფილებებისათვის აუცილებლად მიაჩნდა „დედა ენის“ მიხედვით სხვა და სხვა საგნებისა და მოდელების კოლექციების შეკრება, რადგანაც კითხვის დროს ბავშვებს ხშირად ისეთი საგნები ხვდებათ, რომლებიც უმეტეს მათგანს არ უნახავს. ლუარსაბ ბოცვაძე მასწავლებელთა ყურადღებას მიაპყრობს ზოგიერთი წერიტი სავარჯიშოების მისამართით, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების შემოქმედებითი უნარისა და თავისუფალი აზროვნების განვითარებას, საკუთარი აზრის გამოთქმას. „ამ გვარ სავარჯიშოებს წარმოადგენენ სხვათა შორის მოწაფეების მოგონებანი თავიანთ ცხოვრებიდან, ნახული და გაგონილი... ამისთანა სავარჯიშოებს, როგორც უფრო სახალისოს, დიდი გავლენა აქვს, როგორც თავისუფლად აზრის გამოთქმის დაჩვევაზე, აგრეთვე მოწაფეთა აღზრდაზეც“, – წერდა ლუარსაბ ბოცვაძე.

დიდი პედაგოგი წინააღმდეგი იყო სკოლებში ქართული და რუსული კალიგრაფიისა – „ყველა სკოლებში ქართული წერა პირდაპირი, სწორი ხელით წარმოებს, რუსულს კი მრუდუ ანუ დახრილი ხელით აწერინებენ“, რის შედეგადაც ირღვევა ქართულ და რუსულ

წერას შორის ბუნებრივი კავშირი – მოწაფეები იწყებენ რუსულად პირდაპირ წერას, მასწავლებელი კი ხელს ამრუდებინებს, ბავშვის გონებაში იწყება ბრძოლა – ხან რუსულ წერას ქართულს უმორჩილებს, ხან – პირიქით. „პირდაპირ წერას საზოგადოთ უკანასკნელს დროში საუკეთესო პედაგოგები და ექიმებიც უპირატესობას აძლევენ“, – წერს ლუარსაბ ბოცვაძე და მასწავლებლებისაგან მოითხოვს, რომ „ჩვენს სკოლებშიაც შემოღებული იქმნას სრული ერთობა რუსულსა და ქართულს წერაში, რომელიც უნდა ისწავლებოდეს პირდაპირის ხელით, რომელიც, როგორც ყველგან შენიშნულია, უფრო საადვილოა მასწავლებლისათვისაც, სასარგებლო მოწაფეთა ჯანსაღობისათვის“.

ლუარსაბ ბოცვაძემ თითქმის ყველა სკოლაში შენიშნა, რომ არითმეტიკის სწავლება თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილების დონეზე არ მიმდინარეობდა. არითმეტიკის სწავლების დროს სკოლებში თავდაპირველად მეტი ყურადღება იყო მიქცეული განყენებულ რიცხვებზე მოქმედებათა შესწავლაზე, ხოლო მარტივი და რთული სახელწოდებული რიცხვებისა და მათზე ოთხი მოქმედების შესწავლა მეოთხე განყოფილებისათვის არის გადატანილი, ნაწევრებს თითქმის სულ არ ასწავლიან და ამოცანების ტიპებად დაყოფას და კეთებას ყველგან საჭირო ყურადღებას არ უთმობენ. „თანამედროვე პედაგოგიური მწერლობა კი ამ საკითხს სხვანაირად არკვევს, – წერს ლუარსაბ ბოცვაძე, – იგი მოითხოვს, რომ ყოველგვარი სავარჯიშოები სახელწოდებულს, განყენებულს რიცხვებზე და ნაწევრებზე თვალსაჩინოდ უნდა ისწავლებოდეს პირველი განყოფილებიდანვე და თან და თან ფართოვდებოდეს შემდეგს კონცენტრებში. ეს თავიდანვე სხვა და სხვა გვარობა ვარჯიშობისა არითმეტიკაში უფრო ხელს უწყობს ბავშვის გონების განვითარებას და არითმეტიკის შესწავლასაც უფრო ნაყოფიერს ჰხდის“.

ლუარსაბ ბოცვაძე სინანულით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მის მიერ დათვალიერებულ არც ერთ სკოლას არც ერთი რიგიანი პედაგოგიური ჟურნალი არ ჰქონდა გამოწერილი, სკოლის ბიბლიოთეკები კი მოკლებული იყვნენ საუკეთესო პედაგოგების თხზულებებს. იგი ყოველ პედაგოგს დანაშაულად უთვლის იმას, რომ არ ეცნობიან პედაგოგიური პრესის საშუალებით პედაგოგიურ სიახლეებს.

ლუარსაბ ბოცვაძე უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე სპარსეთში მცხოვრები ქართველების ეროვნულ ნიადაგზე სწავლა-აღზრდის საქმეს.

1908 წლის № 5-6-ში ლუარსაბ ბოცვაძე წერდა:

„ჩვენი მკითხველები „განათლების“ ამავე ნომერში წაიკითხვენ სპარსეთიდან მოწერილ წერილებს იქაურის ქართველებისაგან. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა შეგნებული მკითხველი, ამ წერილების წაკითხვის შემდეგ, განიმსჭვალება იმ გრძნობით, რომ ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ ხელი გაუწოდოთ სპარსეთის ქართველობას, რომელსაც მიუხედავად ათასგვარი ტანჯვა-ვაებისა, რაც თავზე გადახედიათ ამ საცოდავებს სამასი წლის განმავლობაში, მაინც შეურჩენიათ სამშობლო ენა და ქართველური ზნე-ჩვეულებანი. დღეს ორმოც ათასზე მეტი მცხოვრები ფერეიდანის ქართველობა დიდის იმედით შეჰყურებს თავის მოძმეებს, ამიერ ქართველებს და მოელიან მათგან ქართული სკოლის დაარსებას და კულტურულად აღორძინებას“.

ჟურნალ „განათლების“ ამ ნომერში ფერეიდნელი ქართველების სამი წერილი გამოქვეყნდა, სადაც ისინი თხოვნით მიმართავენ ლუარსაბ ბოცვაძეს, რათა დაეხმაროს ქართული სკოლის აშენებაში. ამის საილუსტრაციოდ მიზანშეწონილად ვთვლით ერთ-ერთი მათგანი გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას სრული სახით: ჩემო საყვარელო მასწავლებელო! ღმერთსა ვსთხოვ თქვენს მრავალ სიცოცხლეს, თქვენი წერილი მივიღე, რომელმაც დიდი სიხარული მომცა. ქომო მარტყოფი ვიყავი, როდესაც წერილი მივიღე მ გაზეთით. იძულებული შევიქენ ავსულიყავ ზემო მარტყოფი და რამდენიმე მოწაფისათვის სალაში მომეწერინა თქვენთან. ზოგიერთებმა, რომელთაც წერა იცოდნენ, დასწერეს და ბევრი არიან, რომ კითხვა იციან, მაგრამ წერა არ იციან, რადგანაც ჯერჯერობით ერთ ადგილას დაჯდომის მოცლა არ მაქვს, ხოდა სხოგანებში დავდივარ საქმეების გასაკეთებლად, მაგრამ ყველგან მეხვეწებიან სკოლისათვის და ერთი ჰექიმისათვის. თქვენი წერილი რომელიც გამოგეკითხა სად უნდა აშენდეს სკოლა ან რამდენი ხარჯი აქვსო, პასუხი ასეა, რომ სკოლა ზემო მარტყოფი უნდა, რომელიც მისი ადგილი მომისაზრავ და ხარჯიც ორასი თუმანი უნდა რომ ავურით მაგრა გაკეთდეს. ხალხი ძალიან მონდომილია და ყოველ დღეს მე მეკითხვენ. ეს ხალხი პირველად იყნეს მთის წერზედ და არაფერს უახლოვდებოდეს, ათასი ნაირი პოლიტიკაით რაღაც ენა შევასმენიეყე. ზოგიერთმა შუა ზამთარში მითხრეს: აბა თუ შენ ასები იციო ეხლა ტერები გააკეთეო, აბა ეს თოვლი ფქილად აქციეო. მაგრამ მისაც რამე ესმოდა, როგორც ჩვენი ხანები, ან ჰაჯი შეიხულისლა მის და ზოგები იმათ გაიხარიან ჩემი საუბარზედ. მეც რაღაც შემეძლო ემ

მინდრის ნადირებთან მეტად ტაშქელნელებთან და ახშაველებთან ვიბრძოლე. აი დღეს საქმე კარგად მიდის, ვინაც შეგნებული იყო და ვინაც არა, იმასაც შევასმინე, ეხლა დღეს დარჩენილვარ უხარჯოდ იმდენად, რომ ფოსტის ფული არ მაქვს მივსცე, თუმც პირს არ მომდის, მაგრამ ძალიან საქმე გამჭირვებია, იმედია რომ პატივცემული საზოგადოება არ დამიმიწყებს. თუ შემწეობისა რამე გულჩიაცე თქვენ მალეზე მომწერეთ, რომ ჩამოვიდე ისპაგანს და ან სკოლის შესახებ, ან ჩემთვის იქიდან ტელეგრამით მოვილაპარაკოთ. თუმცა არაფერია მე ნუღარავის დავპირდე. იმედია ჩემო ძვირფასო მასწავლებლო, რომ ჩემი წერილს უპასუხოს არ დაიტოვებთ და რალაც საქმეა მალეზე მომწეროთ.

მასწავლებლო, რაისი პირობაც მე მომიცია თქვენთვის, იმედია რომ ავათავო და თქვენ კი თქვენი იცით, მომიკითხვე ძმა ქაიხოსრო იაკობ ცინცაძე. ჩემი სალამი გადაეც ყველა საზოგადოების წევრებს, ყველა მასწავლებლებს, სამსონს, და ცხვედაძეს, ორივე შიოს, ვასოს, ნაკადულის კრებაზე ყველას და მარიამ დემურიას და მთლად რედაქციის ხალხს, მიხაკო წერეთელს, რომელიც არ მამიწყდების იმისი გამომშვიდება თავისი ამხანაგებითა, ოჰ, აბა რა ვქნა.

შენი ერთგული ძმა ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი...

პატივცემულო ძვირფასო მასწავლებლო ლ. ჩონი ძმა ყოლა ჰუსეინამ შენი ნაშრომი და ნაყოფი მოიტანა. მეც პარსული წერა-კითხვის მასწავლებელი ვარ და ეხლა ზოგიერთ ჩემი მოწაფეებს ქართულს ვასწავლიყე.

შენი ერთგული ძმა მად ისმაილ გულიაშვილი“

ლუარსაბ ბოცვაძე მოუწოდებდა ქართველ ინტელიგენციას, რათა თავიანთ ზნეობრივ მოვალეობად გაეხადათ სწავლასმოწყობილი მოძმე ხალხისადმი დახმარების გაწევა, იმ ხალხისადმი, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ დაეარსებინათ ქართული სკოლა, წელში გამართულიყვნენ, განათლება მიეღოთ და ადამიანური ცხოვრება ღირსებოდათ. „ჩვენ უნდა ვეცადოთ, ის ცხოველი გრძნობა, ის ჩვენდამი ნდობა, რასაც ფერეიდანის ქართველობა იჩენს ამ ჟამად, განვამტკიცოთ საქმით, – წერდა ლუარსაბ ბოცვაძე. – თუ სომხობას აუარებელი სკოლები აქვს სპარსეთში, მასწავლებლებსაც აქედან გზავნიან, სწავლებაც სომხურ ენაზე აქვსთ მოწყობილი, ნუ თუ ქართველ ერს გაუჭირდება თავდაპირველად თუნდ ერთი სკოლა მაინც გამართონ ფერეიდანში და შეიტანოს იქაურს ქართველებში ჭეშმარიტი სხივი განათლებისა“.

ვინც ამ საქმეს მხარში არ ამოუდგებოდა და მის განხორციელებას საქმით არ შეუწყობდა ხელს, ლუარსაბ ბოცვაძე ერის მოღალატედ თვლიდა.

ლუარსაბ ბოცვაძე, გარდა ნაცოფიერი პედაგოგიური საქმიანობისა, დიდი წარმატებით ემსახურებოდა ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეს, მთელი ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო, პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლებას“. მისი პუბლიცისტური წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა როგორც ადგილობრივ, ისე რუსულ პერიოდულ პრესაში და მკითხველი საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა.

ლუარსაბ ბოცვაძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა პედაგოგიური ჟურნალის გამოცემას, რომელიც ხალხში შეიტანდა განათლების სხივს, აღზრდის მეცნიერებას, ბევრ მასწავლებელს გამოადგებოდა ბავშვთა სწორი სწავლა-აღზრდის საქმეში. ასეთ პედაგოგიურ გამოცემებში სამეცნიერო წერილები უბრალო, ადვილად გასაგები ენით უნდა იქნეს გადმოცემული, – წერდა ლუარსაბ ბოცვაძე და ჟურნალ „ნაკადულის“ დამატების – „პედაგოგიური ფურცლის“ თანამშრომლებს უსაყვედურებდა:

„ჩვენი პედაგოგ-მწერლები, რომელნიც „პედაგოგიურს ფურცელში“ იღებენ მონაწილეობას, ან არ აქცევენ ყურადღებას პედაგოგიის მეცნიერების პოპულარიზაციას, რის გამოც მათი ნაწერები მიუწოდებელი ხდება უმრავლესს მკითხველებისათვის და ან ყველას ვერ ეხერხება მეცნიერების გადაცემა ადვილ გასაგებად, მდაბიურად, რადგანაც მართალი რომ ვსთქვათ, რომელიმე მეცნიერების პოპულარიზაციის საქმე არც ისე ადვილი საქმეა და ამისთვის ნიჭს გარდა, საკმაო მეცნიერული მომზადებაც არის საჭირო“.

ლუარსაბ ბოცვაძე საჭიროდ მიიჩნევდა, რათა „პედაგოგიური ფურცელის“ ნაცვლად გამოცემულიყო ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი, სადაც გამოქვეყნდებოდა „ადვილ გასაგებად შემუშავებული, სისტემაზედ დალაგებული წერილები პსიხოლოგიიდან, ლოგიკიდან და პედაგოგიკიდან“, რომელნიც დიდ დახმარებას გაუწევდნენ მშობლებსაც და მასწავლებლებსაც, რომელთაც საქალაქო და სასულიერო სასწავლებლის გარდა არსად არ უსწავლიათ. „დღეს, როცა საჭიროა მოხდეს ძირითადი ცვლილება სკოლებში, როცა ყველა მოწადინებული უნდა იყოს შეჭქმნას ახალ ტიპის სკოლები თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით, როცა ძველს სკოლას და დახავსებულს ცხოვრებას ანდერძი უნდა აეგოს,

სირცხვილიც იქნება ქართველს ერს არ ჰქონდეს ამ დროს მაინც ერთი რიგიანი პედაგოგიური ჟურნალი, რომელმაც საზოგადოებას და მასწავლებლებსაც გზა გაუკვალოს და ნათელი მიმართულება მისცეს ამ რთულ საკითხის გამოსაკვლევად“, – განაგრძობს ლუარსაბ ბოცვაძე. მისი აზრით ასეთ ჟურნალში ადგილი უნდა დაეთმოს წერილებს სასწავლო საგნების შესახებ, თითოეული საგნის პროგრამის განხილვას, სწავლების მეთოდს, ყველა სასწავლო საგნებში სამაგალითო გაკვეთილებს, სწავლა-აღზრდის საქმის მიმოხილვას ჩვენში და უცხოეთში, ჰიგიენას. „სხვა და სხვა ფერობა ჟურნალისა, მეტი შინაარსი, მეტი სხვა და სხვა მასალა საინტერესოდ გახდის ჟურნალს მკითხველებისათვის, რომელთა რიცხვიც თანდათან იმატებს და სწავლა-აღზრდის მეცნიერებაც ჩვენში ასე თუ ისე ფეხს მოიდგამს და საყურადღებო საგნად გახდება“, – წერს ლუარსაბ ბოცვაძე. მას ღრმად სწამდა, რომ იმ ერს, რომელსაც ერთი სერიოზული სამეცნიერო ჟურნალი არ მოეპოვება და არ ცდილობს მშობლიურ ენაზე მეცნიერების აყვავებას, შორს ვერ წავა.

ლუარსაბ ბოცვაძის ფართო და მრავალმხრივი შემოქმედების კვლევის გარეშე შეუძლებელია ქართული პედაგოგიკისა და ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიის ღრმად შესწავლა.

დიდი პედაგოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დაბალი კლასებიდანვე ბავშვთა სწავლა-აღზრდის სწორ ნიადაგზე დამყარებას. „ვინ არ იცის, რომ ძნელია განსწავლულის სწავლება. თუ ცუდი რამე ისწავლეს ბავშვებმა პირველდაწყებით სკოლებში, მათ შემდეგში ძლიერ გაუჭირდებათ მისი მიტოვება. ამიტომ უნდა ვცდილობდეთ გონივრულ ნიადაგზე დავაყენოთ ჩვენს სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე, რომ არ ვიქნეთ პასუხისმგებელნი ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე.

რაც დრო გადის, ვითარდება ხალხი, ვითარებიან მათი შვილები – ჩვენი მოწაფეები; სწავლების სხვადასხვა ხერხიც იცვლება, სასწავლო პროგრამა ფართოვდება და საჭიროა მასწავლებლებმაც მეტი ფხა და ენერჯია გამოიჩინონ, არ ჩამორჩნენ ცხოვრებას“, – აღნიშნავდა ლ. ბოცვაძე.

ლ. ბოცვაძე აუცილებლად მიიჩნევდა რათა ბავშვებისათვის თავიდანვე შეეყვარებინათ ყოველივე მშობლიური და დედა ენის სწავლებაც სათანადო სიმაღლეზე დაეყენებინათ. იმდროინდელი ცარიზმის სულისშემხუთველ პირობებში ეს ძალზე რთული იყო და ამიტომაც პედაგოგებს მოუწოდებდა გული არ გაეტეხათ, „საქმე ის არის –ცუდი

პირობები გადალახო, თორემ კარგ პირობებში მოქმედება ყველა-სათვის ადვილიაო“, აღნიშნავდა დიდი პედაგოგი.

რაც შეეხება ოჯახური აღზრდის მნიშვნელობას ყოველთვის უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის არა მხოლოდ პედაგოგიკისა და ფილოსოფიის კლასიკოსები. ჭეშმარიტებაა რომ ბავშვის აღზრდა დედის მუცლიდან უნდა იწყებოდეს, მისი ბუნების სწორი ჩამოყალიბება აქედან იღებს სათავეს. ეს პრობლემა ყოველთვის იყო, არის და სამწუხაროდ მოწმენი ვხდებით რომ მომავალშიც სასიკეთოს არაფერს არ უნდა ველოდეთ, როცა „მოუცლელ“ მშობლებს ურჩევნიათ ბავშვები ინტერნეტს დამოკიდებულნი დარჩნენ, ვინემ „მყუდროობა არ დაერღვეთ“.

ოჯახური აღზრდის საკითხს ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია ლ. ბოცვაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში და ეს შეხედულებები დღესაც აქტუალურია და ყურადსაღებნი. სტატიაში – „ოჯახი და მისი დანიშნულება სამართლიანად აღნიშნავს:

„ხშირად, ძალიან ხშირად გაიგონებთ მშობლებისაგან სამდურავს სასწავლებელზე, როცა ყველანი ცხადად ხედვენ შვილების უხეირობას, უზნეო საქციელს, თავ-აშვებულს ცხოვრებას და გარყვნილების მორევში შეტოპვას. ახალთაობა ცხოვრების შვილია. მისი უზნეობა და ავ-კაცობა ცის მონაბერს რასმე არ წარმოადგენს თუ მას ამ არასასურველ თვისებათა მაგალითები ოჯახში და ცხოვრებაში არ უნახავს, არ შეუთვისებია იგი და ამის გამო არ ამცდარა ჭეშმარიტს და საიმედო გზას“.

იქვე ლ. ბოცვაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ეხლანდელს სკოლას, რასაკვირველია, ბევრი ნაკლულევიანება აქვს, მაგრამ ცხადია ისიც, რომ სკოლა უძღურია იქ, სადაც ოჯახი და კერა გაცივებულია, სადაც ყოველს ბრალს სკოლასა სდებენ, მაშინაც კი, როცა ნამდვილად პირველი დამნაშავე ოჯახია და არა სკოლა“.

სასკოლო ასაკამდე ბავშვის ბუნებისა და ფსიქიკის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვნად დიდი გზა აქვს გასავლელი თუ არ ჩავთვლით ბაგა-ბაღში გატარებულ პერიოდს, მაგრამ საფუძველი უდავოდ ოჯახში ეყრება და რაც დრო გადის, ჩამოყალიბებული ხასიათი უფრო და უფრო მტკიცდება, ცუდი კი ძნელად მოსაცილებელს იარად გაჰყვებათ, რისი გამოსწორებაც განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

„გონივრული აღზრდით ბავშვს ადამიანად გავზრდით და მემკვიდრეობით თანდაყოლილ ცუდ მხარესაც შევუსუსტებთ“, – აღნიშნავს

ლ. ბოცვაძე და თან დასძენს – „დაუდევრობით კი სულსა და გულს მოვუწამლავთ, საზოგადოების მავნე წევრად შევქმნით“.

ოჯახთან ერთად სკოლასაც უდიდესი როლი აკისრია ბავშვის აღზრდაში. სკოლასა და ოჯახს შორის ურთიერთობას, მშობელთა და პედაგოგთა ჰარმონიული კავშირი წარმატებული შედეგების საწინდარია. ლ. ბოცვაძე ხაზს უსვამს მასწავლებლის რთულ და საპასუხისმგებლო მოვალეობას და მოჰყავს დისტერვეგის შეხედულება ტემპარატი პედაგოგის შესახებ – „ვუსურვებ მათ არმინიის (გერმანელთა საყვარელი გმირი, რომელმაც ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანებას მე-19 საუკ. პირველ ნახევარში) ძალას, ლესინგის გონებამახვილობას, ჰეგელის სულს, პესტალოცის აღფრთოვანებას, ტელმანის ჭკუა-გონებას, ბალცმანის მჭერმეტყველებას, ლეიბნიცის ცოდნას, სოკრატეს სიბრძნეს და იესო ქრისტეს სიყვარულს.“

ლუარსაბ ბოცვაძის ფართო და ღრმა პედაგოგიურ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა თავის ღირსეულ მკვლევარს მოელის რაც მეტ ნათელს მოჰფენს პედაგოგიკის კლასიკოსის სახელსა და მისი შრომების მნიშვნელობას თანამედროვეობისათვის.

**ზურაბ ბოცვაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.**

სოფლის მასწავლებელთა საყურადღებოდ

ხშირად, ძალიან ხშირად, გაგვიგონია და გვესმის კიდეც სოფლის მასწავლებელთაგან საყვედური მათ გაჭირვებულსა და შევიწროვებულს მდგომარეობაზედ. ერთი სოფლის მასწავლებელი ამასწინად სწერდა „ივერიაში“ (1) იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს გაუნათლებელი ხალხი სოფლის მასწავლებელს: ყველა უნდა დაიმონავოსო, აბუჩად აიგდოს სოფლის სკოლის მზრუნველიდამ მოკიდებული უკანასკნელ სოფლის მოხელემდის. საზოგადოდ, ამ წერილმა (2) ბევრი არასასიამოვნო სურათი წარმოგვიდგინა თვალწინ სოფლის მასწავლებლებზედ, არასასიამოვნო იმ შემთხვევაში თუ ასწავლი, არიგებ, კეთილ გზაზედ აყენებ სხვას და შენს სწავლებას გასავალი არა აქვს, არავინ ყურადღებას არ აქცევს, ან შენს სწავლა-დარიგებას ეჭვის თვალთ უცქერის ვინმე. ამგვარი სწავლა-დარიგება წყლის ნაყვას და თავის შეწუხებას ნიშნავს და მეტს არაფერს. ჩვენ, სოფლის მასწავლებელთ, რომელთაც დიდი მოვალეობა გვაძევს კისერზედ, ის მოვალეობა, რომ მომავალს თაობას მივცეთ შესაფერი და რიგიანი აღზრდა-განათლება, თავდაპირველად უნდა ვეცადოთ მოვიპოვოთ მკვიდრთა შორის სახელი პატიოსანის და კეთილსინდისიერის მოღვაწისა. ბევრიც რომ ვუქადაგოთ ხალხს სწავლის საჭიროებაზედ, ჩვენი მჭერმეტყველებაც მთლად დავლიოთ, მაინც იმდენს ვერ ჩავაგონებთ უვიცს ხალხს, ვიდრე თვალსაჩინოდ არ დავანახებთ ჩვენის მოქმედებით, რომ სკოლა ნამდვილი სასარგებლო დაწესებულება არის. ამნაირად ჩვენ, მასწავლებელთ რომ გაგვიგონონ, უნდა გვექონდეს გავლენა ხალხზედ ჩვენის ცხოვრებით, მაგალითით, პატიოსნებით და მაღალის ზნეობით, ამ უკანასკნელს სათნოებაში ფრიად დიდი ძალა არსებობს, იმის წინაშე ქედს იხრის ყველა არამზადაც, რომელიც თითქმის ყველაფრით მოსწყვეტია საზოგადოებას. მაშასადამე, ჩვენი ბუნებით ჭკვიანი გლეხიც დაინახავს თუ არა სოფლის მასწავლებელში გონიერს, ჭკვიანს და უანგარო ადამიანს, უეჭველად ნდობის თვალთ დაუწყებს ცქერას მასაც და მის მოქმედებასაც, რომელსაც დააფასებს კიდეც. ამნაირად, სოფლის მასწავლებელი თანდათან დაიმსახურებს ხალხის სიყვარულს, ხალხი მალე მიჰხვდება თავის მასწავლებლის უკიდურესს მდგომარეობას და მიემხველება კიდეც ჯამაგირის მიმატებითაც და სხვაფრივადაც. ჩვენში, სასოფლო

სკოლებში ჯამაგირი მასწავლებლისა უფრო მეტია, ვიდრე რუსეთის სხვადასხვა მიყრუებულს სოფლებში. აქ მასწავლებელი იღებს წლიურად 250 მანეთს, უფრო ხშირად კი 300-400 მანეთს, რასაკვირველია, ესეც მცირედი სასყიდელია იმ შრომისათვის, რომელიც ჩვენ გვაწევს კისერზედ, მაგრამ რას იქმ, როდესაც ამ მხრით ჯერ-ჯერობით არაფერი სახსარი არ არსებობს.

თითქმის ყოველივე სკოლის საქმე დამოკიდებულია მასწავლებელზედ. სამართლიანად სთქვა დისტერვემა: „Если школа падает, то падает от учителя и наоборот“. ვსთქვათ, სოფლის საზოგადოება გულგრილად უყურებს სკოლას, არ გზავნის ბავშვებს სკოლაში. მასწავლებელთა ვალია, ვეცადოთ მოვიგოთ მკვიდრთა გული. სხვადასხვა დროს მიბარება ბავშვებისა სკოლაში და მათი უწესურად სიარული სასწავლებელში შეადგენს საზოგადო წყლულს ყველა სოფლის სკოლისას. ეს ერთის მხრით აიხსნება, როგორც შედეგი ხალხის უმეცრებისა, მაგრამ მეორე მხრით ჩვენც ბრალს გვდებენ, რადგანაც ვერ შევიძელით ბავშვების წახალისება სწავლის საქმეში. მასწავლებლებმა ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ თვითონ მოსწავლეები ისწრაფოდნენ სასწავლებლისაკენ.

საზოგადოთ ბევრს ჩვენს სოფლის მასწავლებელს, რომელთათვისაც ბედს ხვედრად ურგუნებია მიყრუებულს სოფლებში ცხოვრება, ერთი მეტად დამაქვეითებელი და დამახურდავებელი საქმე გვჭირს. ეს გახლავთ უბრუნველობა თვითგანვითარებაზედ. თითოეული ჩვენთაგანი ძალიან მცირე ცოდნით და გამოცდილებით გამოვიდა სასწავლებლიდამ, სადაც ჩვენ შევიძინეთ მხოლოდ მეხანიკური მხარე სწავლებისა, ნამდვილ პედაგოგად აღზრდა-კი ჩვენზედ, ჩვენს თვითგანვითარებაზედ არის დამოკიდებული. ვინც თვითონ ერთ წერტილზედ სდგას, იმას არ შეუძლიან სხვები წინ წასწიოს, ან ვინც თვითგანვითარებას მოკლებულია, იმას არ შეუძლიან ეს თვისება ჩაუნერგოს სხვას; მაშასადამე ვერც თავის მოსწავლეებზედ იქონიებს გამაცოცხლებელს გავლენას. ვიცი ისეთი მასწავლებელი, რომელიც 250 მანეთს იღებს წლიურ ჯამაგირს და სამ-ოთხს სხვა და სხვა დროგამოშვებითს გამოცემას იკვეთს, მაშინ როდესაც ბევრი 400 მანეთიანი არცერთს გაზეთსა და ჟურნალს არ კითხულობს. უმეტეს ნაწილად მასწავლებელთ საკითხავს უნდა შეადგენდეს უფრო პედაგოგიური თხზულებანი, პედაგოგიური ისტორია და ბიოგრაფია შესანიშნავის პედაგოგებისა. პესტალოცი ბევრს მასწავლებელს მხოლოდ სახელად გაუგონია და იმის მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ პედაგოგი-

ურს ასპარეზზედ არა იცის რა. დისტრევეგი ამბობს: „Не знать этих законов/установленных Песталоцци/есть педагогическое невежество; не желать знакомства с ним – педагогическая дикость; не принимать их – педагогическое варварство“.

თვითგანათლებაზე უფრო სოფლის მასწავლებელნი მოკლებულნი ვართ ერთობას, შეერთებულის ძალით მუშაობას. რაც გაყოფილია, ის სუსტი და უძლური არის: მასწავლებელნი ვერ ვიცნობთ ერთმანეთს; საზოგადო და საერთო არაფერი გვაქვს, ამისათვის განცალკევებული ჩვენი მოქმედება ყოველთვის სუსტი იქნება და მცირე ნაყოფიანი. არა გვაქვს ერთმანეთის ქომაგობა, სარჩლობა და დანდობა. მასწავლებელნი უნდა შევადგენდეთ ერთ საზოგადოებას, რომელმაც ერთმანეთს უნდა მოუტანოს სასარგებლო შედეგი. ვინც საზოგადოებიდან გამოერიცხება, ის ავნებს პირველად თავისს თავს. ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან დავაარსოთ საკუთარი სპეციალური ორგანო, რომლის შემწეობით მკვიდრად შევვერთდეთ, შევადგინოთ პროგრამა ჩვენის მოქმედებისა სოფლად, დავამტკიცებინოთ მთავრობას და ერთობლივი ძალით განვაგრძოთ ის წმინდა საქმე, რომელიც თავისს თავზედ მიგვიღია. ნუ მივაქცევთ ყურადღებას ვინც დაგვძრახოს კეთილის საქმისათვის, გვამხნევენბდეს პოეტის სიტყვები: „უღირსი კაცისაგან გმობა ისეთი სანატრელია, როგორც ღირსეული-საგან ქება“. ჩვენის უანგარო და პატიოსანის შრომით გამოვალვიძოთ უმეცრებით მოსილი მძინარე ხალხი. „Народу мил и дорог тот, кто спать в нем мысли не дает“.

თანდათან ხალხის გულცივობა და გულქვაობა სწავლა-განათლებისადმი შევამოკლოთ – თანდათან და არა ერთბაშად, რასაკვირველია. „Народное невежество – не такое благо, чтобы его можно было загасить разом; много оно поглотит жизней, прежде чем можно будет человеку держаться на поверхности без особенных усилий», ამბობს უშინსკი.

წერილი იმერეთიდან

ამ ცოტა ხნის განმავლობაში გურია-სამეგრელომ დიდი ხალისი გამოიჩინა სწავლა-განათლების საქმეში. სკოლები თანდათან მრავლდება და ამას გარდა იმართება წიგნთ-საცავები. იმერეთში კი ამ გვარ საქმეებისათვის დიდად თავს არ იტკივებენ. გურია-სამეგრელოში იშვიათად ჰნახავთ სოფელს, სადაც საერო ან სამრევლო სკოლა არ არსებობდეს. გურიაში ხომ უფრო მეტია ხალხში სწავლის სურვილი. ამას სხვათა შორის გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ გურიაში ზოგი სოფლის მკვიდრთა რიცხვი ასი კომლიც არაა, იმდენს ხარჯს კისრულობს მარტო სკოლის დასაარსებლად, რომ ბევრგან იმერეთში მთელს სოფელს არა აქვს იმოდენა გადასახადი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, გურიაში, სოფელ სურებში, რომლის მკვიდრთა რიცხვი მხოლოდ ასი კომლია, თითოეულს კომლს თორმეტ-თორმეტი მანეთი გადაუხდია სკოლის შენობის ასაგებად და ყოველ წელს თითოეულმა კომლმა სამ-სამი მანეთი უნდა იხადოს მასწავლებლის ჯამაგირად.

„სჯობს საქმე უხმო სიტყვასა,
თქმულსა, არ გათავებულსა:
თქმა და არა ქმნა სარცხვენელ
ჰყოფს კაცსა გათავებულსა“.

დიალ, უთქვამთ სურებლებს თუ არა, თქმა მაშინვე საქმედ გადაუქცევიათ, რადგანაც სწავლა-განათლების სურვილი ძვალ-რბილში გასჯდომიათ და არსებობის პურად გადაჰქცევიათ. სურებს, ამის შემდეგ, იმედია, ბევრი მიმბაძველი აღმოუჩნდება, მაგრამ სად? ისევ გურიაში. იმერლები ბევრად დაშორებულნი არიან იმ წერტილს, რომელზედაც გურულები სდგანან სწავლა-განათლების ხალისით. იმერეთში ბევრი უფრო იმას ცდილობს, რომ რაც მთავრობამ ძალა-უნებურად აგერ-აგერ სკოლები დააარსებინა, ძირიანად მოსპონ, არა თუ შემწეობა მისცენ დააარსებულ სკოლას...

რაკი სწავლაში გულგრილობას, გულქვაობას ჰხედავს სოფლის მასწავლებელი იმერეთში, იმასაც გული უტყდება. ჰფიქრობს, რომ ჩემი შრომა, ჩემი მოღვაწეობა არა ფასდებაო და ხშირად იძულებულია ადგილი იკვალოს, წავიდეს იქ, სადაც გამგონე და თანამოაზრე

ეგულის და სადაც მისი მოღვაწეობა უფრო ბევრად თვალსაჩინო შეიქმნება...

საზოგადოდ, იმერეთის ბევრ მიყრუებულს სოფელში ეხლაც ბო-
გიერთი ისეთი ზნე-ჩვეულება არსებობს, რომელიც სარწმუნოების
წინააღმდეგ არის და მაშასადამე ერის ზნეობით დამამცირებე-
ლიც. ამგვარ ზნე-ჩვეულებათა არსებობა სწავლა-განათლების საქმე-
საც აძნელებს. მაგალითად, სოფელს წყალტუბოში სცხოვრობდნენ
გლეხნი ჯიქიები /60 კომლი/, რომელთა წინაპარნი უხსოვარ დროი-
დამ გადმოსულან აქ აფხაზეთიდან. პირველად ჰავისა თუ სხვა მი-
ზეზისა გამო, ვერ შეგუებულან აქაურობას და მათში სიკვდილი გახ-
შირებულა. ამის გამო აუჩინიათ ერთი ვეებერთელა მუხა და ყოველ
წელიწადს მარიამობა დღეს, 15 აგვისტოს იკრიბება ხსენებული მუხის
ძირში მთელი ჯიქიას გვარეულობა და მიაქვთ შესაწირავად ფული და
სანთელი. ფულს თავზედ შემოივლებენ, ღმერთს მშვიდობას სთხო-
ვენ და მუხის ძირში ჩაფლავენ. შემდეგ შეუდგებიან ლხინს, რომელიც
იშვიათად მშვიდობიანად დასრულდება. ამნაირი ჩვეულება აქვს ბე-
ვრს სხვა გვარსაც სოფელ წყალტუბოში.

სოფელ ხომულში /წყალტუბოს სამამასახლისოშია/ ყოველ წლივ
25 თებერვალს დღესასწაულობენ აყლორტებას; ამ დღეს ყველა
ოჯახში მყოფნი, გარდა მდედრობითის სქესისა, იკრიბებიან სხვა და
სხვა სანოვაგით ერთს დაბურულს ტყეში, რომელსაც ჯერ ადამიანის
ხელი არ შეჰხებია, რადგანაც აქაურებს წმინდა ადგილად მიაჩნიათ
იმისთანა ტყე და იქიდან არავის არ შეუძლიან თუნდ ერთი ჩხირი გა-
მოიტანოს.

როდესაც ყველა თავს მოიყრის, ყველა იქ მყოფნი სალდათე-
ბივით დამწკრივდებიან, აანთებენ სანთლებს და ამნაირად სამჯერ
შემოუვლიან ირგვლივ ტყეს. შემდეგ ყველა ერთბაშად დაიჩოქებს,
ილოცავენ და მერე შეუდგებიან ტყეშივე სადილს, რომელიც ხშირად
მეორე დღემდინაც გასტანს ხოლმე.

ეს დღეობაც იშვიათად მთავრდება მშვიდობიანად.

მცირე შენიშვნა

„Новое обизрение“-ს (3) № 2671-ში დაბეჭდილია რედაქციის შენიშვნებით ერთი საყურადღებო წერილი სოფლის მასწავლებლის დ. მიხაილიძისა. ბ-ნი მიხაილიძე, რომელიც სოფლის სკოლების მდგომარეობას დაჰკვირვებია არაქართველებით დასახლებულ სოფლებში, იმ დასკვნას დასდგომია, რომ საზოგადოდ სოფლებში სკოლების რიცხვი საკმარისია, მაგრამ მოსწავლეთა რიცხვი ძლიერ ცოტააო – 15-30-მდე. ამის მიზეზად ბ-ნი მიხაილიძე ასახელებს სოფლებების გულგრილობას, დაუდევრობას და მოჰყავს კიდევ სოფლებების სიტყვები, რომ ისინი თავის გასამართლებლად სიღარიბეს ასახელებენო. ბოლოს ბ-ნი მიხაილიძე დასძენს: ყოველსავე გემოხსენებულის დაბრკოლების ასაცილებლად საჭიროა, რომ ყველასათვის სავალდებულო იყოს სწავლაო. „Новое обизрение“-ს რედაქცია შესაფერს შენიშვნას უძღვნის და ამიტომაც ჩვენც აღარას ვიტყვიო.

მოსწავლეთა რიცხვის სიმცირე უკანასკნელად ბევრს ჩვენს სკოლაშიაც შეინიშნება. პირველად თუ ასობით ჰგზავნიდნენ ბავშვებს სკოლაში, ეხლა ბევრგან 30 ბავშვსაც ვერა ჰნახავთ, მაგრამ ამის მიზეზად ჩვენ უფრო ის მიგვაჩნია, რომ ჩვენი სასწავლებლები საზოგადოდ ეროვნულს ხასიათს არის მოკლებული. უამისოდ შეუძლებელია დედა-ენის, სამშობლო გეოგრაფიის, ისტორიის და ხალხის ზნე-ჩვეულებათა რიგინად შესწავლა და მჭიდროდ შეკავშირება სკოლისა და ხალხისა. სკოლა ხალხის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს, ყურადღებით ისმენდეს ხალხის ხმას და აძლევდეს დროსა და ადგილის შესაფერს სწავლა-განათლებას მეურნეობის მხრივაც. სკოლის დანიშნულებაა, არა ამოჰკვეთოს, არამედ გააკეთილშობილოს ხალხის ზნეობითნი თვისებანი. სკოლის საქმე ისე მოაწყეთ, რომ გლეხი ჰხედავდეს იმის სარგებლობას და ნახავთ, მოსწავლეთა რიცხვიც და სწავლის სურვილიც როგორ იმატებს; პირიქით, თუ გლეხი სარგებლობას სკოლისას ვერ ჰხედავს, გულსაც აიკრუებს სკოლაზედ, უგულოდ იძლევა ორიოდე გროშს მასწავლებლის ჯამაგირად, რადგან ფულის გადახდა მეტად ემძიმება გლეხკაცს, მეტადრე მაშინ, როდესაც ფულებს ისეთის დაწესებულებისათვის სთხოვენ, რომელსაც თითონ არ თანაუგრძობს.

მჭიდრო კავშირი სკოლასა და ერს შორის დედაბოძია ქვეყნის წარმატებისა. ამ კავშირს ისე ვერაფერი ვერ განამტკიცებს და განაძლიერებს, როგორც სამშობლო ენა და ლიტერატურის შესწავლა; ენა და ლიტერატურაა უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალს თაობას ძვირფასს განძსავით შეუნახავს საუკეთესო ნაწარმოები გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა. ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლით ყოველი მოსწავლე გულითა და სულით შეუთვისდება წარსულს და აწმდგომს თავის ერისას და ჭეშმარიტს სულიერს შვილობას გაუწევს. ამიტომ ყოველს ქვეყანაში სამშობლო ენის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა შეადგენს უმთავრესს საბრუნველს საგანს. მას ყოველს სასწავლებელში დათმობილი აქვს უპირველესი ადგილი და მასწავლებლებიც სამშობლო ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის მხრივ დიდად დახელოვნებულნი არიან. ჩვენში კი ორივე მხრით სამწუხარო და უნუგემო სურათს ვხედავთ. ჩვენი სოფლის მასწავლებლები, უმეტესობა, ისეთი დაქვეითებულნი არიან სამშობლო ენის ცოდნის მხრივ, რომ რომლისაზეც სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე გაცილებით აღემატება.

სამშობლო ენისა და ლიტერატურის შესწავლა აუცილებელს საჭიროებას უნდა შეადგენდეს სოფლის მასწავლებელთათვის, რომელნიც ისე დაახლოებულნი არიან ხალხთან, როგორც სოფლის მღვდელია. სხვა თანამდებობის კაცს იშვიათად მოუხდება ხალხთან ყოფნა, სოფლის მასწავლებლები კი ყოველთვის იქა ტრიალებენ, მხარში უდგანან გლეხს ჭირშიაც და ლხინშიაც. თუ მასწავლებელი იმ ერის წარსულის და აწმყოს ცოდნით არის შეიარაღებული, რომლის შვილებსაც ასწავლის, თუ იმის ენისა და ლიტერატურის სიყვარული და პატივისცემა აქვს, ის უეჭველად დიდს ნუგემს, ლხენას და სიკეთეს მოჰფენს ხალხს, მაგრამ თუ მასწავლებელი სხვა გზით არის აღზრდილი, თუ მოკლებულია ერის საუნჯის ცოდნასა და სიყვარულს, თუ გულიდგან თავისი ერის პატივისცემა აღმოფხვრილი აქვს, დამახინჯებული, მაშინ ვნებისა, ბარალისა და გარყვნილების მეტს ვერაფერს შესძენს ერს. რასაკვირველია, ამგვარი მასწავლებელი ვერც სკოლას დააყენებს რიგიანს გზაზედ და ვერც ხალხში აღძრავს და მოჰფენს სწავლა-განათლების სურვილს. ამის მაგალითი ბევრი ყოფილა სოფლად, ვისაც კი თვალყური უდევნებია სოფლის სკოლების ცხოვრების მიმდინარეობისათვის, და დღესაც ბევრია.

ქართული თეატრი ქუთაისში

დაიწყო ქუთაისშიაც სეზონი ქართული თეატრისა. ახლა-კი შევიძლებთ, ვგონებ, ხოლერისაგან შეშინებულ-დადარდიანებული გული თეატრში სიარულით გავართოთ. პირველი წარმოდგენა ჩვენს პატარა, კოპწია თეატრში იყო კვირას, 11 ოქტომბერს, ბ-ნ კ. მესხის მოთავეობით წარმოადგინეს გუცკოვის 5 მოქ. ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. არტისტები იყვნენ: ქ-ნი ე. ს. მესხისა, ქ. ივანიძისა და ბ-ნი: კ. მესხი, სარუმელი, დ. მესხი, ბალანჩივაძე, ჯ-ანი, ზეგანელი და ბოლქვაძე. უმთავრესი როლი ამ პიესისა /ურიელ აკოსტა, ებრაელთა ფილოსოფოსი/ ითამაშა ბ-ნმა კ. მესხმა, რომელმაც დიდის ხელოვნებითა და შნობით წარმოგვიდგინა თვალწინ ავტორის მიერ დახატული კაცი. საზოგადოებამ ამის გამო უხვად დააჯილდოვა არტისტი განუწყვეტელის „ბრავოს“ ძახილით. ლამაზად და მოხდენილად ითამაშა აგრეთვე ქ-ნმა მესხისამ „იუდიფის“ როლი, ნამეტნავად ის ადგილი, სადაც იმედ-დაკარგული თავს იწამლავს და კვდება თავის საყვარელის „ურიელ აკოსტას“ თვალწინ. კარგნი იყვნენ აგრეთვე ქ. ივანიძისა ურიელის დედის „ესფირისა“ და დ. მესხი – „დე-სილვას“ /მსწავლული ექიმი/ როლში; აგრეთვე ზეგანელი „დე-სანტოს“, რაბინის როლში. დანარჩენები-კი ვერ თამაშობდნენ ისე კარგად. ეტყობოდათ, რომ გაუჩვეველნი არიან ჯერ სცენაზედ და სცენისათვის საჭირო, ლაბათიანი მიხვრა-მოხვრა აკლიათ, ბ-ნ სარუმელს უფრო შეეტყო ეს ნაკლულეგანება: თავისი საყვარელი ქალი – იუდიფი უკვდება და ის-კი, ტირილისა და ქვითინის მაგიერ, უხერხულად დასცქეროდა თავს. ვერ იყო კარგი აგრეთვე ბ-ნი ჯ.-ანი, „ბენ-აკიბას“ /რაბინთა უფროსი/ როლში, რომელიც ოთხმოცდაათის წლის მოუძღურებულ მოხუცის მიხვრა-მოხვრის ნაცვლად ცერცვივით ხტუნავდა.

საზოგადოდ-კი წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. როლებიც კარგად იცოდა ყველამ. ხალხი წარმოდგენას იმდენი არ დასწრებია, რამდენისაც იმედი იყო. ალბად თვით პიესამ თუ ვერ მოიზიდა.

რაც შეეხება ახალს დეკორაციებს, სწორედ ცხოველად და ლამაზად არის დახატული. ფარდაც გამოცვლილია. დასურათებულია ზედ შენობა და შენობის თავზედ მარჯვენა მხარეს გამოხატულია ეკატერინე მეორე, მხოლოდ მარცხნივ – ქართველი ქალის ტიპია. არ იქნებოდა ურიგო, რომ ფარდის თავს, საცა ბევრია ცარიელი ალაგი,

დაეხატვინებინათ სურათი ჩვენთა სახელოვან მოღვაწეთა, როგორც, მაგალითად, თამარ მეფისა, შოთასი და სხვათა. თუ მოისურვებენ თეატრის პატრონები: ბ-ნი კ. მესხი და ს. გამრეკელი, ეს ახლაც მოხერხდება. საცა იმდენი შრომა გასწიეს და ასეთი ლამაზი თეატრი გაჰმართეს, ნულარც ამას დაიზარებენ.

ერთი შენიშვნაც. წარმოდგენის დროს ხალხით სავსე თეატრში საშინელი სიციხეა ლამპრების სიმხურვალით, სუნთქვა უძნელდება კაცს. ამისათვის საჭიროა რამდენიმე ჰაერის სამუშაო გაკეთდეს კედლებში.

კვლეობითი შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ

I

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენში სამრევლო სკოლების (4) დაარსება შემოიღეს. ამგვარი სკოლების რიცხვი ჩვენი ქვეყნის გულშემატკივართა სასიამოვნოდ, თანდათან ჰბარტყობს, ასე რომ ჩვენი სამშობლოს ბევრ სხვადასხვა მივარდნილს და მივიწყებულს კუთხეებშიაც დაიწყეს ამ ხალხთა განათლების, გონება განვითარების და ნივთიერად ამამაღლებელის პირველდაწყებითი ლამპრის ანთება.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბევრს სამრევლო სკოლის მასწავლებელს ჩვენში არა აქვს შესაფერისი მომზადება და პრაქტიკული გამოცდილება სწავლა-აღმზრდელობის საქმეში, არ არიან სპეციალურად მომზადებულნი თავიანთ ხელობაზედ, ისე, როგორც მოითხოვს ეხლანდელი პედაგოგიური მეცნიერება /რიგინად მომზადებული მასწავლებლები გიმნაზიებში და სემინარიებშიც არა გვყავს/. მოუმზადებელ მასწავლებლებზე ცნობილი რუსი პედაგოგი უმინსკი სამართლიანად ამბობს: – „Преступник, үбийца тот, кто берется за воспитание не зная его“.

მიუხედავად ამისა თუ მასწავლებელს საქმის სიყვარულის გამო მოუკიდია მასწავლებლობისათვის ხელი, თუ მას აქვს ცოტა მაინც მოწოდება მასწავლებლობისადმი, უყვარს სკოლა, ბავშვები, ხალხი-სიანად მეცადინეობს და მასთან ცოტა მაინც თვითგანვითარებასაც

აქცევს ყურადღებას – იმ შემთხვევაში მასწავლებელს ბევრს წინ გადაღობილს დაბრკოლებას დასძლევს და პირნათლად აასრულებს თავის თავზედ მიღებულს დიდს და მძიმე მოვალეობას ახალთაობის სწავლა-აღზრდისას; მაგრამ ჩვენში ყველგან ამისთანა მასწავლებლები არ არიან, ჩვენში სამრევლო სკოლებში მასწავლებლობა ბევრს მღვდლობის ხარისხის მიღების საშუალებათ გაუხდია და როცა მიზნამდის მიუღწევია – შემდეგ სულ გუულგრილად მოუკიდებია ხელი მასწავლებლობის საქმისათვის. პირიქით, ჩვენ გვგონია, მღვდლობა უფრო უნდა ახალისებდეს ადამიანს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში, რადგანაც მღვდელი ერის კაცზედ უფრო ზნეობრივად მოვალეა ზრუნავდეს თავის ერის, მრევლის კეთილდღეობისათვის, რომელიც შეიძინება სწავლა-განათლებით, პირველდასაწყისი სასარგებლო, ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცნობების გავრცელებით.

ვისაც უფრო დიდი გავლენა აქვს, იმას უფრო მეტი კეთილის დათესვა შეუძლიან ხალხში. ჩვენს სამღვდელოებას სოფელში ჯერ კიდევ დიდი ღირსება და პატივი აქვს ხალხის თვალში მოპოვებული, რომელიც თანდათან სუსტდება, რისი მიზეზი უეჭველად თვითონ სამღვდელოება არის. ჩვენი ძველი სულიერი მოძღვრები ისე არ იქცეოდნენ, როგორც ბევრი ეხლანდელნი; ისინი სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ აქცევდნენ, რომ მამული და ეროვნება სჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს. აი, სწორედ ამგვარმა საქებურმა მიმართულებამ ძველი სამღვდელოებისამ გაამაგრა სარწმუნოება ქრისტესი ჩვენს პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. ამგვარმა მიმართულებამ აღამაღლა ჩვენი სამღვდელოება და დააყენა ისეთ მაღალ ხარისხზედ, რომლისთვისაც მეფეთა ძენიც ბედნიერად ჰრაცხდნენ თავის თავს, თუ ეღირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ამგვარი დიდი პატივი სამღვდელო პირისადმი ჩვენი სოფლის ხალხისაგან ჯერ კიდევ მტკიცედაა შენახული და ვიმეორებ, რომ ღირსს და პატიოსან მოძღვარს ვრცელი სამოქმედო მოედანი აქვს გაშლილი თავის მრევლთა გონებითი, ზნეობითი და მატერიალურად წინ წაწევისათვის, თუკი ის არ გაყვება კერძო ინტერესებს.

ჩვენ განვიძრახეთ მცირე საუბრის გამართვა ჩვენებურ სამრევლო სკოლების მასწავლებლებთან, რომლებიც, როგორც ზემოდ

მოვიხსენიეთ, ვერ არიან შესაფერისად მომზადებულნი მასწავლებლობის ასპარეზზე და რადგანაც ზოგიერთი მათგანი შეიძლება გამოვიდეს მშვენიერი შრომისმოყვარული, ჭკვიანი, ცოდნის შემძენი, საქმის მოყვარული, ამისათვის სამართლიანად მიგვაჩნია იმათთან ქომაგობა, საუბარი, ბაასი საჭირო, ძნელზე და საზოგადოთ საინტერესო საგანზე. რასაკვირველია, ჩვენ არაფერს ახალს არ ვიტყვით და ვერც დავპირდებით მკითხველს, მაგრამ ერთის მიერ ცნობილი ჭეშმარიტება, შეიძლება, უცნობი იქნეს მეორისათვის, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს საქმეში. მართალია, რომ მასწავლებელმა ბრმად არ უნდა ირწმუნოს რომელიმე მეთოდი ანუ ფორმა სწავლებისა, თვით პედაგოგიური საქმის არსებობა დამოკიდებულია თვითონ მასწავლებელზე, მის ცხოველ პიროვნებაზე; მასწავლებელმა თვითონ უნდა შეიმუშაოს მეთოდი და წესი ყველა საგნების სწავლებისა, მაგრამ ეს არ ჰნიშნავს იმას, რომ მასწავლებელს არ შეეძლოს ისარგებლოს სხვისი გამოცდილებით და რჩევით, პირიქით, ის მოვალეა შეისწავლოს სხვისი მეთოდებიც, რომ არ გაიმეოროს ძველი შეცდომები და ისარგებლოს ყველა იმით, რაც კი გაკეთებულია მასწავლებლობის შრომის სფეროში. რადგანაც მუდამ ცოცხალი, დაუსრულებლად სხვადასხვანაირი და აუცილებლად წინმსვლელი პედაგოგიური მოქმედება მასწავლებლისა არ შეიძლება მთლად გათავებული, ერთს ჩარჩოში მომწყვდეული იყოს, ამისათვის ვერც ჩვენი რჩევა წარმოადგენს რასმე სრულიად დამთავრებულს. ჩვენი აზრია, ჩვენი რჩევა უბრალო, ყველასთვის ხელმისაწვდენი, პრაქტიკულად მოსახმარი იყოს, რომ ამით მცირე დახმარება აღმოვუჩინოთ გამოუცდელს ახალ დამწყებ მასწავლებელს.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი სკოლაში პირველ დღეს ახლად შემოსულ ყმაწვილებთან სწავლების მხრით? აი, პირველი ჩვენი საკითხი.

ბავშვებს პირველად, როცა მათ სკოლაში მიაბარებენ, ყველაფერი ეუცხოებათ აქ, სასწავლო ნივთები, საკლასო ოთახი და მისი მოწყობილობა, მასწავლებელი, მოსწავლეთა სიმრავლე, ბევრი ბავშვი ყველა ამაებს თითქმის პირველად ჰხედავს, ყველასაგან სხვადასხვა შთაბეჭდილებას იღებს. ამისათვის ისინი რომ კარგათ გაეცნონ ახალ მოწყობილობას, სკოლის წესებს, მასწავლებელს და სხვას, თავდაპირველად საჭიროა მასწავლებელი სწავლების საქმეს შეუდგეს მოწაფეებთან საუბრით. სასაუბროთ მასალას მასწავლებელი თვითონ არჩევს, ან წაუკითხავს რასმე მოკლე მოთხრობას და წაკითხუ-

ლის შინაარსს კითხვების შემწეობით ათქმევინებს მოწაფეებს, ან ებასება სკოლაზე და მის კუთვნილებაზე და სხვ. მშიშარა ბავშვები დაინახავენ თუ არა ალერსიანობას მასწავლებლისას, უფრო მეტის ნდობით მოექცევიან მას და მონაწილეობასაც მიიღებენ სამუშაოში.

დიდი მნიშვნელობა აქვს პირველი დღის სკოლის შთაბეჭდილებას მოწაფეებზე, პირველი შთაბეჭდილება ყველაზე უფრო მტკიცეთ აღიბეჭდება ბავშვის სულში. ჩვენი უმეცარნი დედ-მამა ხშირად ბუნებით მკვირცხლ და ცქვიტს და ცელქ ყმაწვილს სიცელქის დროს სკოლაში გაგზავნით ემუქრებიან. რასაკვირველია, ამგვარ პირობებში აღზრდილს ყმაწვილს სკოლა რაღაც ჯოჯოხეთურ დაწესებულებათ ექნება წარმოდგენილი. მაშასადამე, ამ შემთხვევაში თუ მასწავლებელი ალერსით შეხვდა მოწაფეებს, გაართო ისინი, თვით ამოქმედა, წაახალისა სწავლების საქმეში, მაშინ მოწაფე კმაყოფილებით ივლის სკოლაში და ხალისიანად მეცადინეობასაც იწყებს.

პირველ დღიდანვე საუბრით სწავლების დაწყება საჭიროა აგრეთვე იმისთვისაც, რომ მასწავლებელმა კარგად გაიცნოს თავის მოწაფეები, რომლებიც სასაუბროების შემწეობითვე ემზადებიან სასწავლო საგნების სისტემატურად შესწავლისათვის და მასთან თანდათან ეჩვევიან სკოლის წესიერების დაცვას, რომელიც აუცილებლათ საჭიროა სკოლის კეთილნაყოფიერებისათვის. ორი-სამი დღე ხშირად საკმაოა, რომ ყმაწვილმა კარგად გაიცნოს სკოლა და მისი წესწყობილება, მის შემდეგ კი ამ მიზნით საუბარი უადგილო იქნება, მით უფრო, რომ ყველა საგნის სწავლებას თავისი მოსამზადებელი ნაბიჯი აქვს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველდაწყებითი მოსამზადებელი მეცადინეობის და სავარჯიშოების შემდეგ, როგორც წერა-კითხვის, ისე სხვა საგნების სწავლებაც უფრო წარმატებით მიდის, ვიდრე მაშინ, როდესაც ბავშვს სკოლაში შემოსვლისთანავე ანბანს მისცემენ ხელში და შეუბრალებლად აყვირებენ – „ან“, „ბან“, „გან“, „დონ“ და სხვ. პირველდაწყებით მოსამზადებელ მეცადინეობას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ბოლოს შემოსულ შეგირდებს შეძლება ექნებათ წინად შემოსულებთან ერთად ისწავლონ და მასწავლებელს შეეძლება ერთ დროს დაუწყოს მთელს კლასს ანუ განყოფილებათა თამამად სწავლება სასწავლო საგნებისა. თუ მასწავლებელს ორი ან სამი განყოფილება ჰყავს, მაშინ პირველ დღეს სწავლების საქმეს, გაკვეთილების წაყვანას, ჩვენ ასე ვურჩევთ. ჯერ მასწავლებელი ახალშემოსულების სახელსა და გვარს ჩასწერს საკლასო დავთარში, და ჰკითხავს მათ სათითაოდ – სწავლობდა სადმე თუ არა, თუ სწა-

ვლობდა – რას? ან ვისთან? შეგირდების ოჯახობაზედ ბაასი, როგორც ბევრი პედაგოგი გვირჩევს, ჩვენ უადგილოდ მიგვაჩნია, რადგანაც შინაურობაზედ საუბარი ბავშვს ხშირად მორცხვადა ჰხდის.

მცირე ხნის საუბრის შემდეგ მასწავლებელი სტოვებს თავისუფლად ახლად შემოსულებს და მეცადინეობს სხვა განყოფილებაში, ეს მისთვის, რომ ახალ შემოსულები დაუკვირდნენ სკოლის წესიერებას, გაიგონ, რომ მაგალითად მასწავლებლის კითხვაზე დასახელებული მოწაფე, რომელიც ხელის აწევით აცხადებს პასუხის მიცემის სურვილს, დგება ზეზე და იძლევა სრულს და განსაზღვრულს პასუხს. ამის შემდეგ მასწავლებელი ამ განყოფილებას მისცემს ისეთ სამუშაოს, რომლის შესრულებაც მასწავლებლის დაუხმარებლად შეუძლიან და თვითონ მასწავლებელი ისევ ახლად შემოსულებთან მიდის და დაუწყებს მათ საუბარს საკლასო კუთვნილებაზედ, რომელთაც პირველად ჰხედავენ, მოითხოვს მოწაფეებისაგან თავითგანვე სრულს პასუხს და სკოლის წესიერების დაცვას. რომ ერთნაირი სავარჯიშოები თავმომაბეზრებელი არ იქნეს მოწაფეთათვის, პედაგოგები გვირჩევენ პირველ დღიდგანვე დააწყებინონ ბავშვებს ელემენტარული ხატვა, რომლის მასალაცაა წერტილის დასმა, თანასწორი ხაზების გაყვანა, სხვადასხვა კუთხეებით ქეშა ხაზების გაყვანა უჯრების შემწეობით და სხვ. ყველა ამას ჯერ მასწავლებელი აკეთებს საკლასო დაფაზედ და შემდეგ მოწაფეებს აკეთებინებს ფანქრით უჯრებიან რვეულებში. ამგვარი სახატავის ნიმუშები ყველა პირველსაკითხავი წიგნის დასაწყისშია მოთავსებული. ამ ვარჯიშობასთან შეგირდები ანგარიშობენ კიდევ წერტილებს და გასმულ ხაზებს: ამ დროს ყმაწვილები გაიცნობენ ელემენტარულ ცნობებს – მარცხნით, მარჯვნით, ზევით, ქვევით, პირდაპირ, მრუდით და საზოგადოთ გაიცნობენ ერთმანეთის დამოკიდებულებას ადგილით, სივრცით და დროით; ყველა ერთად კი ეჩვევიან არსებით საკლასო წესიერებას, რომელზედაც ვრცელი საუბარი შემდეგ წერილში გვექნება.

II

სკოლაში წესიერების ანუ დისციპლინის დაცვა უნდა შეადგენდეს ერთს უმთავრესს და უსაჭიროეს სამზრუნველო საგანს მასწავლებლის და მოსწავლეთა მხრით.

ყველა სკოლაში, სადაც სიჩუმე არსებობს, სალდათური გაწვრთნის წესებია შემოღებული ან საზოგადოთ, სადაც გარეგანი წესიერება სუფევს, არ არის შესაფერისად დაცული გონიერი მოთხოვნილება სკოლის წესიერებისა, დისციპლინისა. დისციპლინა არის ცხოველი თვითონ სკოლის წესიერება, სისტემა სკოლის და მასწავლებლის მნებობრივად გავლენისა მოწაფეზედ. შესანიშნავი პედაგოგები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ სკოლის წესიერება, დისციპლინა, სულია სკოლისაო. რუსების ერთი საპატიო პედაგოგი მიროპოლსკი ამბობს, რომ სკოლის წესიერება, დისციპლინა თვით მასწავლებელი არისო.

სკოლის წესიერების მიზანი უნდა იყოს ბავშვის მნებობის და მტკიცე ხასიათის აღზრდა, ამისათვის ყოველთვის ყველაზე უპირველესი და უმჯობესი საშუალება არის თვითონ მასწავლებლის პიროვნება, ამიტომ მასწავლებლისაგან მოითხოვება, რომ ის მაგალითს წარმოადგენდეს თავის მოწაფეებისათვის. საზოგადო ამრი კარგ მასწავლებელზე ისეთია, როგორც კარგ კაცზე, მაშასადამე კარგი აღმზრდელი და მასწავლებელი, ამბობს ჟან-ჟაკ რუსო, უნდა ცდილობდეს ჯერ თავის კარგ კაცობაზე, რომ მოწაფეებს შეეძლოს მასში პოვნა კეთილი, კარგი მაგალითებისა. ნემეცების ერთი პედაგოგი კერი ამნაირად ახასიათებს მასწავლებლის პიროვნების გავლენას მოწაფეებზე: ბავშვი იცავს წესიერებას, რიგიანობას ყველაფერში, თუ ამგვარ თვისებასვე ჰხედავს თავის მასწავლებელში, აღმზრდელში; ბავშვი არის მშვიდი, კეთილის მსურველი, პატიოსანი, სიმართლის და მშვიდობის მოყვარე, თუ მასწავლებელი უყურებს მას ყოველთვის მშვიდათ, სამართლიანათა, გულკეთილათ. ბავშვი არის მხიარული, კმაყოფილი, გულკეთილი და ბედნიერი, თუ მასწავლებელი ამ თვისებით არის აღჭურვილი. პირიქით, ფრიად ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენა არის სამოსწავლო გამოცდილებანი, რომ ჟინიანი მასწავლებელი ჩივის თავის მოწაფის თავნებობაზე, ჟინიანობაზე, უწესო, უხეირო და ზარმაცი ხშირად ებრძვის სიზარმაცეს; უმეცარი და კადნიერი ჰხედავს თავის მოწაფეში კადნიერებას, თავხედობას, გაქსუებულობას და სხვ. ამიტომ, როცა მასწავლებელი ჰხედავს თავის მოწაფეში უწესურობას, ნაკლულევანებას, პირველად მან უნდა მიაქციოს თავის საქციელს ყურადღება, ანალიზი უყოს და იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ ყმაწვილის ცუდი ყოფა-ქცევის ნაკლულევანების მიზეზი მასწავლებელი და მისი საქციელი არ იყოს.

მოწაფეების ხელმძღვანელობა შეუძლიან მხოლოდ იმისთანა მასწავლებელს, რომელსაც სიყვარული და პატივისცემა დაუმსახუ-

რებია თავის მოწაფეთაგან. ზოგჯერ მოსიყვარულე მასწავლებლის ერთი სიტყვა, შეხედვა საკმაოა, რომ შეაკავოს მოწაფე წესიერების დარღვევისაგან. ხშირად ერთი აზრი, რომ პატივცემული მასწავლებელი ჩვენზე უკმაყოფილო იქნებაო, შეაჩერებს მოწაფეებს ნებადაურთველ მოქმედებისაგან. ერთი და იგივე მოთხოვნილება, თუ ის ეკუთვნის კეთილ სახელიანს, ავტორიტეტის მქონე მასწავლებელს, ხალისიანად, დაუყოვნებლივ სრულდება მოწაფეთაგან; მაშინ როდესაც იგივე მოწაფეთა მხრით ბევრს სკოლის წესიერების დარღვევას. ბავშვები ხშირად არ არიან მორჩილი მასწავლებლისა მისთვის მხოლოდ, რომ არ აქვსთ ხალისი დაემორჩილონ უავტორიტეტო, მძულვარე პირს.

აქედამ სჩანს, საქმის კეთილნაყოფიერებისათვის საჭიროა მასწავლებელმა მოიპოვოს და დაიმკვიდროს მოწაფეთა შორის კეთილი სახელი და სიყვარული. კეთილი სახელი, ანუ ავტორიტეტობა შეიძინება კეთილ-განწყობილების ჩამოგდებით მოსწავლეთა და მასწავლებელს შორის, სამართლიან და პატიოსან დამოკიდებულებით, მუდმივი, დახელოვნებულად ზრუნვით მოწაფეთა გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე, წარმატებაზე. უეჭველია ამ გზით სწავლის საქმეში წარმატებას რაკი დაინახავენ მოწაფეები – სწავლაც შეუყვარდებათ და მასწავლებელიც.

მართალია, რომ ჩვენი ბავშვები უმეტეს დროს ოჯახებში ატარებენ, სადაც, სამწუხაროდ, დედ-მამის უმეცრების გამო ბევრს ზნეობით საწინააღმდეგოსაც, ცუდ მაგალითებს ხედევენ, ისმენენ, – მაგრამ სკოლას იმისათვის აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რომ აქ მაინც, ამ განათლების ტაძარში ბავშვი უნდა ხედავდეს, უნდა ისმენდეს ყოველივე მას, რასაც შეუძლიან კეთილ-ნაყოფიერად იმოქმედოს ბავშვის აზროვნებაზე, კეთილისადმი მისწრაფებაზე, მტკიცე ხასიათის შეთვისებაზე, შემუშავებაზე და სხვა.

სკოლაში წესიერების დამყარება და გაძლიერება იმაზე არის დამოკიდებული, თუ როგორ მიჰყავს სწავლების საქმე მასწავლებელს. თუ სწავლება მიდის ცოცხლად, ბავშვები არ იღლებიან მოწყენილობისა და ხანგრძლივი ჯდომისა გამო, ამგვარი სწავლება იქნება საუკეთესო საშუალება სკოლაში შესაფერი წესიერების გასაგრძელებლად. დისტერვეგის აზრით კარგს სწავლებას ისეთივე კეთილ-ნაყოფიერი გავლენა აქვს ბავშვის ყოფა-ქცევაზე, როგორც კარგს სკოლის წესიერებას, დისციპლინას: „ვისაც შეუძლიან კარგად სწავლება, ამბობს დისტერვეგი, იმას შეუძლიან კარგად წაიყვანოს სკოლის წესიერება,

დისციბლინა“. უშინსკი ამას არ კმარობს, ის ამტკიცებს, რომ გონივრულად მოწყობილ სკოლაში მოსწავლის დასჯა სიზარმაცისათვის არ შეიძლებაო, მისთვის რომ გაკვეთილები სკოლაშივე ისწავლებაო. არ შეიძლებაო ეშმაკობისათვისაც ყმაწვილის დასჯაო, ამბობს უშინსკი, მისთვის რომ სკოლაში სწავლის დროს ბავშვები საქმეში არიან გართული და ეშმაკობის და ცელქობისათვის არა სცალიანო. ამგვარი შეხედულობის არიან სკოლაზე ეს პედაგოგები და ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამით, რასაკვირველია არ ირღვევა საჭიროება სხვა ზომებისაკეთილ წესიერების დასამყარებლად ჩვენს სკოლებში, სადაც უმრავლესობა ბავშვებისა იკრიბება უმეცარ ოჯახებიდან... ამისათვის მასწავლებლის და მოწაფეთა მხრით, რომელნიც სკოლაში დადიან, სავალდებულოდ მიგვანჩნია წესების დაცვა: ყველა მოსწავლეს და მათ სასწავლო ნივთებს, მასწავლებლის ჩვენებით, უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ადგილი. თავის ახლო მასწავლებელმა უნდა დასვას დიდი და უფრო საიმედო მოწაფე კი არა, – პატარები, სუსტები და უფრო ცელქები, რომლებიც ითხოვენ მასწავლებლისაგან უფრო ფხიზელ ყურადღებას, უფრო ხშირ შემწეობას, მასწავლებლისაგან შველას და დახმარებას გაკვეთილების დასწავლის დროს. კარგია აგრეთვე, რომ კარგი მოწაფეები ისხდნენ სუსტებთან, რომელთაც უფრო მალე და ადვილად შეუძლიათ დაისწავლონ რიგინად კალმის დაჭერა ხელში, რვეულების დადებაც და წერაც. მე ჩემი გამოცდილებით ბევრჯერ დავრწმუნებულვარ ამაში, ყოველთვის, როცა კარგ მწერალთან დავსვამდი ცუდათ, გლახად მწერალს – ეს უკანასკნელი უფრო მალე იცვლიდა ხელს და წერდა ისე, როგორც მისი მეზობელი კარგად მწერალი ამხანაგი.

საზოგადოთ ბავშვები ადვილად ჰბაძავენ წლოვანებით და ძალით ერთნაირს თავის მახლობელს, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში იმათ დიდი იმედი აქვსთ და დიდათ ცდილობენ არ ჩამორჩნენ თავის ამხანაგებს. ერთხელ დატერილი ადგილი, მასწავლებლის ნებადაურთველად, მოსწავლემ არ უნდა დასტოვოს. ცარცი, ჩვარი, ღრუბელი, ავეჯულობა და სხვა სასკოლო კუთვნილება, ხმარების შემდეგ უნდა შეინახონ მისთვის მიჩენილ ადგილზე. ამაში პასუხისმგებელი უნდა იყოს მორიგე მოსწავლე. თავის საკუთარს ნივთს თვითონვე უნდა ადევნონ თვალყური. თუ სკოლაში ბევრი მოწაფე არის, სკოლიდამ გამოსვლის დროს, რომ ასცილდნენ ხმაურობას და უწესობას სკოლაში, საჭიროა დაწყობილი გავიდნენ გარედ; როგორც მასწავლებელი, ისე მოწაფეებიც დანიშნულ დროს უნდა გამოცხადდნენ

სკოლაში და დანიშნულ დროსვე წავიდნენ სკოლიდგან. ყველა გაკვეთილი თავის დროზე უნდა იწყებოდეს და თავის დროზე თავდებოდეს. ამნაირად დროს განსაზღვრა და სასტიკად შესრულება ჰშველის, როგორც სწავლის წარმატების საქმეს, აგრეთვე უმტკიცებს ბავშვებს კარგს ჩვეულებას – თავგამოდებულ სწორე და რიგიან მუშაობას. თუ სწავლა იწყება არა განსაზღვრულ დროს, მასწავლებელი და მოწაფეებიც იგვიანებენ, იქ არ იქნება თანამდებობის ანუ მოვალეობის პატიოსნად აღსრულება და წარმატება სწავლის საქმეში. სკოლა დაეცემა. მთელი კლასის თვალ-ყურის საგდებლად სწავლების დროს მასწავლებელი უნდა იდგეს კლასში ისეთ ადგილს, რომ მას ადვილად შეეძლოს მთელი კლასის ყოველი მხრით ადვილად დანახვა. გაკვეთილების დროს მასწავლებლის სიარული საკლასო ოთახში, რადგანაც მოწაფეთ გულის ყურს უფანტავს, თუ შემთხვევა და საჭიროება არ მოითხოვს, საჭირო არ არის. იქ სადაც მოწაფეები თავისუფლად, ფართოდ, ხალვათად სხედან, ადვილად შეიძლება სკოლის წესიერების დაცვა, მაგრამ თუ ბევრი მოწაფე ზის ერთად და ვიწროობა არის – მასწავლებელს უფრო დიდი ყურადღება, ენერჯია და მეცადინეობა მართებს სკოლის წესიერების დაცვაში.

ამ უკანასკნელ დროში, როგორც პედაგოგებმა, აგრეთვე ექიმებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საკლასო სტოლებისა და სკამების რიგიანად, ჰიგიენური მოთხოვნილების შესაფერისად მართავს, მოწყობას. ცნობილია, რომ ადამიანი, როცა ზის, მხოლოდ ნახევრად ისვენებს; ჯდომის დროს ტანს იჭერს, მაგრდება ხერხემლის ძვალი და ზურგის კუნთები, თავ-კისრის კუნთები, რომელიც ზოგიერთ ძალდატანების შემდეგ თხოულობს დასვენებას; რადგანაც ცუდად მოწყობილი სკამები, სტოლები, არაფერ შემწეობას არ აძლევს კუნთებს, ამიტომ კუნთები მალე იღლებიან, სუსტდება, რის გამოც ბავშვი ზურგში იხრება და თავიც წინ მკერდზე ჩამოეკიდება. ხერხემლის ძვლის გამრუდების გარდა სკამზედ საზურგის და ფეხის დასადგმელის უქონლობის გამო ბავშვს ხშირად ემართება სისხლის ავარდნა თავში, ამას მოყვება ცხვირიდან სისხლის დენა და სხვა ბევრი ცუდი შედეგი. პირველ გაკვეთილის დასაწყისში მოწაფეები სხედან როგორც რიგია, – პირდაპირ, არ ეყრდნობიან რასმე, არ ირხევიან აქეთ-იქით, მაგრამ რაკი ნახევარი საათი გაივლის, თუ სტოლი და სკამი, როგორც უნდა ისე არაა მოწყობილი, კუნთები სუსტდება და ბავშვი სცდილობს როგორც მოუხდება მას, ისე დაჯდეს, დაისვენოს, იდაყვს სტოლზე დასდებენ, თავის მეზობელ ამხანაგს მიაწვებიან,

მიეზინებიან, ფეხებს აბარტყუნებენ. კლასში დაიწყება ხმაურობა, ასტყდება ხანდისხან ხრიალი, ალიაქოთიც, იშლება სკოლის წესიერება, დისციპლინა, მასწავლებელი იძულებულია რომ ამის გამო რამდენჯერმე სხვადასხვა ზომები მიიღოს წესიერების ჩამოსაგდებად და თავის პირდაპირ გზას ასცილდეს.

ამ ნაკლოვანებათა ასაცილებლად საჭიროა მასწავლებელმა საკლასო სტოლებისა და სკამების გაკეთების დროს სახეში იქონიოს შემდეგი პირობანი: სტოლს ისეთი სიმაღლე უნდა ჰქონდეს, ბავშვს ძირს ჩაშვერილი ხელის იდაყვამდის უსწორდებოდეს. სკამის სიმაღლე იატაკიდან ბავშვის წვივის სიმაღლეს უნდა უდრიდეს, ასე რომ, დაჯდომის დროს ბავშვის ფეხი სწორი კუთხით უნდა მოიხაროს მუხლში, ტერფი მთლად უნდა იდგეს იატაკზე, ან ფეხის დასადგმელ ფიცარზე, რომელიც სკამებს უეჭველად უნდა ჰქონდეს სიგანით ხუთ დიუიმზე არა ნაკლები, რომ ფეხი თავისუფლად მოთავსდეს ზედ. სკამს უნდა ჰქონდეს აგრეთვე ცოტა უკნით დახრილი საზურგე. თითო სტოლს ორი ბავშვისათვის სამყოფი ადგილი უნდა ჰქონდეს.

ყველა შემოღებულ საკლასო წესების დაცვას და ასრულებას მკაცრად უნდა თხოულობდეს მასწავლებელი მოწაფისაგან, მაგრამ რომელიმე წესიერების დარღვევის შემდეგ მოწაფისაგან, მასწავლებელმა არასოდეს სასტიკი ზომები, როგორცაა ცემა, ხელით შეხება, სახაზავების მტვრევა თავზე, დაჩოქება და სხვა, არ უნდა იხმაროს. ეს ზომები დიდი ხანია, რაც ახალი სკოლებიდან, ამ „ჰუმანიურ სახელოსნოდად“ განიდევნა და ძველი სკოლების ისტორიულ არხივს ჩაბარდა. სამწუხაროდ, ზოგ ჩვენ მაღალგანათლებულებშიდაც, რომელთაც პედაგოგიური განათლება ჩრდილოეთში დომოსტროის პედაგოგიური თხზულებებიდან შეუძენიათ, მოიპოვება ისეთები, რომელთაც თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებისა არა ესმით რა. სამასი წლის წინად ამბობდა, ქადაგებდა ამოს კომენსკი, რომ სასტიკ დასჯას სკოლაში და არც შინ ადგილი არ უნდა ჰქონდესო. ადამიანის ბუნებაში თვითონ მოიპოვება თესლი ცოდნისა, სიკეთისა, ადამიანი თავის ბუნებით ეწაფება სწავლას, ცოდნის შეძენას, მაშასადამე საჭიროა ცოტათი შეგულიანება, გონიერი ხელმძღვანელობა, რომ ყმაწვილი გასწორდეს, არ საჭიროებდეს სასტიკი ზომებს. მაგრამ ეს შეიძლება მაშინ, თუ სწავლების საქმე რიგიანად, გონიერად მიდის. ცუდად სწავლების დროს დასჯა აუცილებელია, ამიტომ მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვების გულისყური, ერთს საგნისადმი მიქცეული, ხშირად არ იფანტებოდეს აქეთ-იქით. ეს შეიძლება

მაშინ, როდესაც ყველა მოწაფე სამუშაოში მონაწილეობას იღებს და მასწავლებელიც აძლევს მოწაფეებს გასაგებს, მისახდომ კითხვებს, რომლებზედაც დაწვრილებით შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ.

III

ისეთი კითხვები, რომელიც მთელი კლასისადმი არის მიქცეული სწავლების დროს, ღირსია მასწავლებლის განსაკუთრებული ყურადღებისა. სამწუხაროდ ზოგი გამოუცდელი მასწავლებელი სრულიად არ მიმართავს მას, ზოგიც ვითომ სარგებლობს, მაგრამ უხერხულად, წარუმატებლად, ასე რომ, ხშირად ეს ზომა ხდება მიზნად საკლასო წესიერების დარღვევისა, „ვის შეუძლიან პასუხის მოცემა?“ კითხავს ზოგი მასწავლებელი მოსწავლეთ, რომელნიც ერთბაშად დაიწყებენ ყვირილს და ხმაურობას, არაფრის გარჩევა არ შეიძლება, ყველა ყვირის, ვისაც როგორი პასუხი მოუვა თავში – მასწავლებელს დარდიც არ აქვს. იმას ესმის, რომ ზოგმა წამოიყვირა რაღაც საქმის მონაგვარი, ის მოხარულია და ამბობს: „დიალ – ეს ასეა“. კლასში ეშმაკი და ცელქი ყმაწვილებისათვის საზოგადო კითხვები დიდს გასართობ საგანს შეადგენს; იმათ უყვართ ამგვარი კითხვები საზოგადოთ მისთვის, რომ ხმაურობენ სრულებით საქმეზე დაუფიქრებლად. ამიტომ ამგვარი წესი კითხვა-მიგებისა ორპირ-ლესულ მახვილს შეადგენს გამოუცდელი მასწავლებლის ხელში.

საზოგადო კითხვების მიცემა ყველა მოწაფეთათვის განსაკუთრებით იმით არის სასარგებლო, რომ მასწავლებელმა გაასწორობინოს მოწაფეებს ის შეცდომები, რომელთაც ისინი დაუშვებენ პასუხის მიცემის დროს. თუ კლასი წესიერებას და ყურადღებას არის დაჩვეული, ყოველთვის მოიძებნება ისეთი მოსწავლე, რომელიც განაცხადებს შეცდომის გასწორობის სურვილს. თუ ამანაც ცუდათ გაასწორა, მაშინ მასწავლებელს ეძლევა შემთხვევა ცუდად შეგნებული სამოსწავლო მასალა ხელახლად განუმარტოს მოსწავლეთ. ამნაირად, თუ შეცდომებს ყოველთვის მოწაფეები ასწორებენ – მასწავლებელს ცოტა დასჭირდება თავის მხრით მიუმატოს რამე – ყმაწვილებს ჩვეულებად გადაეცევათ ძალდატანებითი ყურადღება, გულისყურით, ყურადღებით მოსმენა ყველა მისი, რაც კლასში კეთდება, ეძლევა შემთხვევა მასწავლებელს შეამოწმოს, კარგად შეითვისეს მოწაფეებმა ახსნილი

განაკვეთი თუ არა, ჩნდება შემთხვევა, რომ მასწავლებელმა თავის დროზე მოახდინოს შესაფერისი განმარტება და გასწორება შეცდომებისა და ამასთანავე ეძლევა შემთხვევა მასწავლებელს თანასწორად გაუძღვეს მთელს კლასს.

აგრეთვე, არ უნდა იყოს ყურადღებას მოკლებული ის გარემოებაც, თუ როგორ კითხვებს უნდა აძლევდეს მასწავლებელი მოწაფეებს. ხშირად მასწავლებლის უხერხულ კითხვებზედ არის დამოკიდებული ცუდი პასუხი მოსწავლისა. ყველა საკითხი, მიმართული მოწაფისადმი, უნდა იყოს მარტივი, განსაზღვრული და ცხადი. მარტივი, ე. ი. არ უნდა შესდგებოდეს ორი ან ბევრი კითხვებისაგან, რომლებიც ამდენსავე პასუხს ითხოვენ. განსაზღვრული, ე. ი. ამგვარ საკითხს უნდა ჰქონდეს ისეთი შინაარსი და გამოხატული იყოს ისეთი ფორმით, რომ მასზედ შესაძლებელი იყოს მხოლოდ ერთი სწორი პასუხის მიგება. ცხადი – ე. ი. არ უნდა იყოს გაუგებარი რასაც მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს.

არ არის კარგი პასუხის გაჯანჯლება, დაგვიანება, მაგრამ არც ის ვარგა, რომ ააჩქაროთ ბავშვი. ყოველ შემთხვევაში სწორი და რიგიანი პასუხისათვის საჭიროა მიეცეს ბავშვს ცოტა დრო მოსაფიქრებლად და საკითხის არსებითი მხარის შესაგნებლად. ზოგი მასწავლებელი კითხვების მიცემის დროს ძალიან ჩქარობს, არ აცლის ბავშვს მოფიქრებას, ზოგჯერ გააღებს ბავშვი პირს პასუხის სათქმელად თუ არა, მასწავლებელი თვითონ მიახლის პასუხს. ამგვარი სწავლება ყოველად უნაყოფია. იმისთანა სწავლა შერჩებათ ცხოვრებაში მოწაფეებს, რაც თვით მოქმედებით არის შეძენილი და არა პირდაპირ გადაცემული. ყველა კითხვების შემდეგ, რასაკვირველია, სრული პასუხი უნდა ითხოვებოდეს მოწაფეთაგან. სკოლაში საჭიროა, რომ მასწავლებელი თვითონ ცოტას ლაპარაკობდეს, მოსწავლეებს კი უფრო ბევრს ალაპარაკებდეს. ლაპარაკი ზომიერი, ხმამაღალი და გარკვეული უნდა იყოს და აგრეთვე მოწაფეთაგანაც უნდა მოითხოვებოდეს გარკვეული, ცხადი, შეგნებული და ზომიერად ხმამაღალი პასუხი. კითხვები უნდა ბავშვის გონებით გახსნილობას და ცოდნას შეეფარდოს, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმითაც. კითხვები უნდა იყოს ძალისებრივი, არც ძალიან ძნელი და არც ძალიან ადვილი მოწაფეთათვის. ძნელ კითხვებზე მასწავლებელი პასუხს ვერ მიიღებს მოწაფეებისაგან და ძალიან ადვილი კითხვები კი, რომელიც დაფიქრებასაც არ ითხოვს ბავშვის გულისყურს, ყურადღებას, უკარგავს მათ თვითმოქმედებითი ძალის აღორძინებას. ურიგო კითხვებით შეიძლება შევიწროვდეს ბავშვის აზროვნება, დაიკარგოს მისი

გონებრივი თვითმოქმედება. ცუდ კითხვებს ისე შეუძლია დააბნოს ბავშვები, რომ ხშირად უბრალო მოფიქრება-მოსაზრებაზედაც უარს ჰყოფენ. ძნელია აღნუსხვა ყველა იმ მოთხოვნილებათა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სწავლების დროს კითხვები, მაგრამ ზემო მოყვანილი საზოგადო წესები კითხვების შესახებ რიგიანად სწავლებისათვის უსათუოდ კარგად შეგნებული და დაცული უნდა იყოს მასწავლებლის მიერ.

სამუშაოები კლასში უნდა წარმოებდეს ყველა მოწაფეთათვის. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს ყველა მოწაფემ და სასწავლო საგნებიდან შეიძინონ საუკეთესო ცნობები, გონებითი სიმდიდრე, რომელიც აგრეთვე დამოკიდებულია სწავლის ფორმაზე. საზოგადოდ, პირველდაწყებით სკოლებში ყველა ფორმას სწავლებისას სჭარბობს კითხვა-მიგებითი, ანუ კატეხიზური და ევრისტიული ანუ სოკრატული ფორმა სწავლებისა. შინაგანი მხრით ე. ი. თუ როგორ მონაწილეობას იღებენ ბავშვები სწავლის, ცნობების შექმნაში ამგვარად სწავლების დროს, ამ ორ ფორმას სწავლებისას აქვს შემდეგი მნიშვნელობა: კითხვა-მიგებითი ფორმა სწავლებისა იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი ზეპირად, თავის სიტყვით, ან წაკითხვით გადასცემს მოწაფეებს შინაარსს რომელიმე სასწავლო მასალისას. შემდეგ ამ შინაარსს დაჰყოფს კითხვებად, რომლის შემწეობით გამოკითხავს მოწაფეებს წაკითხულის თუ ზეპირად ნათქვამის შინაარსს და გაიგებს თუ რამდენად კარგად შეითვისეს მოწაფეებმა გადაცემული მასალის შინაარსი. ამ ფორმით ყველაზე მომეტებულად ისწავლება სამღვთო სჯული. მასწავლებელი გარკვევით და მკაფიოდ უამბობს მოწაფეებს შინაარსს რომელიმე მოთხრობისას სამღვთო ისტორიიდან მოკლედ, კითხვების საშუალებით გამოითხოვს მოწაფეებისაგან ნათქვამის შინაარსს, შემდეგ კი დალაგებით და აზრდაწყობილად ათქმევინებს. კატეხიზური ანუ კითხვა-მიგებით ფორმას სწავლებისას განსაკუთრებული გონებითი გახსნილი მნიშვნელობა არ აქვს იმიტომ, რომ ამ ფორმით სწავლების დროს გონებითი თვითმოქმედება ბავშვისა ძალიან მცირედ აღიძვრის.

მეორე, ევრისტიული, ანუ სოკრატულად სწავლებით მოწაფეები თვითონ მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელიც თავის კითხვებით უძღვება და ხელმძღვანელობას უწევს ბავშვის სულიერ მოქმედებას, საკუთარის გონებაძალდატანებით გაიცნობენ და შეიგნებენ იმ ცნობებს, რომელიც შეადგენს სასწავლო საგნის ნაწილს. ეს

ფორმა სწავლებისა აღძრავს თვითმოქმედებას მოწაფეებში, იწვევს მოქმედებისადმი მათ სულიერ ძალას, რომელზედაც აქვს გამხსნელი და განმაძლიერებელი გავლენა; – ეს აწვევს ბავშვს აზროვნებას და თვითმოქმედებით შესწავლას საგნებისას. ცნობილია, რომ ძველი ფილოსოფოსი სოკრატე, რომლის სახელიც დაერქვა ხსენებულს სწავლების ფორმას – სოკრატული, არასოდეს თავის მსმენელებს მზამზარეულს სწავლას, შეხედულებას არ გადასცემდა. სოკრატე კითხვების შუამავლობით მსმენელებს იქამდის მიიყვანდა, რომ თვით მოქმედებით შეემუშავნათ საჭირო შეხედულება რომელიმე საგანზე, მოვლენებზე. სოკრატმა ერთხელ თავის სულელ მონას გააკეთებინა ერთი უძნელესი მათემატიკური გამოცანაო, ვკითხულობთ სოკრატზე. თვითონ სოკრატე ხშირად აღიარებდა, რომ მისი ღვაწლი, შრომა იმაში მდგომარეობდა, რომ შველოდა სხვებს იდეების, დედა აზრების დაბადება-განხორციელებაში.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ რიგიანი კითხვების და ყველა მოსწავლის სამუშაოში მონაწილეობის მიღების საჭიროება, აღძვრა მთელი კლასის მონაწილეობისა მეცადინეობაში, აქ ჩვენ მივმართავთ გერმანულ საუკეთესო პედაგოგების აზრს ამ საგანზე. იმათი აზრით – მხოლოდ ყველა მოწაფის საკლასო სამუშაოში მონაწილეობის მიღებით შეიძლება გამაგრება და გაწვრთნა ბავშვის გულისყურისა, ყურადღებისა. ამაში შეუძლიან ყველას დარწმუნდეს თავისი გამოცდილებით, თუმც არ მიიღებენ მხედველობაში ზოგჯერ მომატყუარ გარეგნობას. საკლასო სამუშაოში ყველა მოწაფის მიერ მონაწილეობის მიღების დროს მოწაფის ყურადღება უფრო ძალდატანებულია. ამ დროს ყველა მოწაფე, რადგანაც არაა დარწმუნებული, რომ მასწავლებელი მე არ მკითხავსო, დაფიქრებულია, აზროვნობს და ამზადებს პასუხს ყველა კითხვაზე მოთხოვნილების თანახმად, სხვა მოწაფეებთან ერთად. ყურადღების ხშირი ვარჯიშობა აწვევს ბავშვს მოსწრებულ სიტყვა-პასუხს.

რადგანაც მოწაფეებისათვის სულ ერთი არ არის კითხვებზე კარგათ უგებენ მასწავლებელს თუ ცუდათ, ამისათვის საკლასო მეცადინეობაში მონაწილეობა შველის ამასთანავე ბავშვის შეგულიანებას, კლასგარედაც ვაკვეთილების რიგიანად მომზადებას, ე. ი. შეიკავებს და გააძლიერებს ბავშვებში ბეჯითობას, გულსმოდგინებას, მუყაითობას; რადგანაც მოსწავლის რიგიანი პასუხი გამოიწვევს მასში კმაყოფილების გრძნობას და ყველა მოწაფე მოხარულია, თუ მათ მოუხდათ თავის მუყაითობის ნაყოფის გამოჩენა მასწავლებელ-

თან; ამიტომ მეცადინეობაში მონაწილეობის მიღება არა თუ მარტო ბავშვის ბეჯითობას შველის, არამედ უძლიერებს სწავლის ხალისსაც, რომელიც ბეჯითობას მოთხოვნილებათა ჰხდის. დიდი ხნის ვარჯიშობით ბავშვები შეიძენენ კარგ ჩვეულებათა დახელოვნებას, თავისუფლად მსჯელობას და სწრაფად რიგიანის პასუხის მიცემას. ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია რომ ბავშვი უფრო ბევრს შეიძენს, უფრო დახელოვნდება სიტყვა-პასუხში, გონება-გამჭრიახობაში, თუ მას მოუხდება ოცდაათჯერ პასუხის მიცემა ყოველ წუთში მიცემულ კითხვებზე, ვიდრე იმავე პასუხს მისცემდა თხუთმეტ-თხუთმეტი წუთის შემდეგ მიცემულ კითხვებზე. როდესაც სწავლება ცოცხლად მიდის, მაშინ მასწავლებელიც მოხარულია. მასწავლებელმა წინ ნაბიჯი არასოდეს არ უნდა წადგას, თუ დარწმუნებული არაა, რომ ყველაფერი გადაცემული მოწაფეებს კარგად ესმით. ამაში დარწმუნება შეიძლება იმ საშუალებით, თუ ყველა მოწაფე მონაწილეობას იღებს სამუშაოში.

ერთი საუკეთესო, აუცილებელი და მეტად საჭირო რჩევა პირველდამწყებ მასწავლებლისათვის ის არის, რომ არასოდეს მოუმზადებელი კლასში არ უნდა წავიდეს. ტყუილი ფიქრია, ვითომ პირველდამწყებით სკოლებში გაკვეთილები ისეთი ადვილია, რომ იმათ შესახებ სახლში დროს დაკარგვა არ ღირდეს, ყველა მასწავლებელს ადვილად შეეძლოს მოაგვაროს რამე კლასში. რომ ყურადღებით დავუკვირდეთ საქმეს, ყველა გაკვეთილში შეიძლება ვიპოვოთ ისეთი საჭირო რამ, რომელიც თხოულობს მოფიქრებულს მოქმედებას, სერიოზულ შეგნებას საგნისას და წინდაწინ მომზადებას. ხედავენ თუ არა წარუმატებლობას, მასწავლებლები ხშირად ამის მიზეზად მოწაფეებს ასახელებენ, მაშინ როდესაც წარუმატებლობა საქმისა ხშირად იქიდანაა წარმოსდგება, რომ მასწავლებელი თვითონ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, შედის კლასში და მეცადინეობს ისე, როგორც შეხვდება, ალაღ-ბედზედ. ამ უკანასკნელ დროში აუცილებელ საჭიროებად არის აღიარებული, რომ პირველდამწყებით სკოლებში ყველა საგანი ერთად უნდა წარმოადგენდეს ერთ შეერთებულს მთელს, ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია წინდაწინვე მოემზადოს გაკვეთილებისათვის, რომ უკანასკნელი არ იყოს ნაწყვეტ-ნაწყვეტი, შეუერთებელი, შემთხვევითი და სწავლა-აღმზრდელობის მნიშვნელობას მოკლებული. საჭიროა და აუცილებელი საჭიროც, რომ ყველა გაკვეთილის დაწყებამდის მასწავლებელმა წარმოიდგინოს მოცულობა გაკვეთილისა, აგრეთვე წესი და რიგი სწავლება-გადაცემისა,

გამოიკვლიოს ის კავშირი, რომლითაც უნდა შეერთდეს ახალი გაკვეთილი წინა გაკვეთილთან და სხვ. საზოგადოდ ყველა ადვილი გაკვეთილისთვისაც საჭიროა მასწავლებლის მხრით მომზადება. წინდაწინ გადახედვა, შეგნება, რომ გაკვეთილისათვის დანიშნული დრო არ დაიკარგოს უსარგებლოდ.

წინა გაკვეთილების უკანასთან დაკავშირების დროს მასწავლებელი იმაზედაც უნდა ზრუნავდეს, რომ ყველა გაკვეთილი წარმოდგენდეს რაღაც მთელს, დასრულებულს, რომ მოწაფეებს ადვილად შეეძლოთ მათი განხილვა გაკვეთილების ბოლოს. კარგია მასწავლებელი თუ ამგვარ წესს შემოიღებს, რომ ყოველდღიური გაკვეთილების შემდეგ, კითხოს მოწაფეებს – რა გაიგეს დღეს? რა ცოდნა შეიძინეს და რა მოითხოვება მათგან ხვალისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხშირად სკოლებში და სახალხო სკოლებში თითქმის მუდამ გაკვეთილები ისწავლება კლასში. ნასწავლის მტკიცე და შეგნებით შეთვისებისათვის საჭიროა იმათი განხილვა მთლად. ეს საქმე ძნელი არ არის, მაგრამ ბევრი მასწავლებლისაგან უყურადღებოდ არის დატოვებული.

IV

წინა წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ სხვათა შორის ისიც, თუ რამდენად, სკოლის საქმის კარგად წარმოებისათვის, აუცილებლად საჭიროა მასწავლებლის მხრით წინდაწინ რიგიანად მომზადება გაკვეთილებისა. ამას დავსძენთ კიდევ ერთს არანაკლებ საჭირო პრაქტიკულ საშუალებას.

ყოველ სასწავლებელს აქვს თავისი განსაკუთრებითი პროგრამა თავისი ცხადად წინდაწინვე მომზადებული გეგმა სწავლებისა, რომლის გონიერად შესრულება შეადგენს უმთავრესს გამოცანას სკოლის და მასწავლებლის მხრით. ამ საქმეში გამოუცდეღ მასწავლებლებს შემდეგი უმეცრება მოსდით: მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას დროს სწავლებისას; მოწაფეთა ძალის და სკოლის შეძლების მიუხედავად ზოგი მასწავლებელი დიდს გულმოდგინებით ჰკიდებს საქმეს ხელს, პირველ დღიდანვე ცდილობს გადასცეს სასწავლო საგნების მასალა სრულად, დაწვრილებით. ამნაირად, პროგრამის ერთი ნაწილის შემუშავების დროს მასწავლებელი ვერ ამჩნევს, რომ დრო თა-

ნდათან ჩქარა მირბის და თვითონ კი ნელ-ნელა მიიწევს წინ. ბოლოს სამოსწავლო წელიწადიც გათავდება და მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შენიშნავს, რომ ძლიერ ფართოდ მოუკიდია საქმისთვის ხელი. სწავლა თავდება და მასწავლებელს ამგვარი შრომით პროგრამის ერთი ნახევარიც ვერ მოუხწვრია, ვერ გაუვლია. მასწავლებელი ცხადათ ხედავს რომ პროგრამის შესრულება მოუხერხებელია და უეჭველია ბევრს ამ შემთხვევაში უკმარობის გრძნობაც დაებადებათ, მაგრამ „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმე თითზედა კბენანი“.

ზოგი მასწავლებელი კი ამ შემთხვევაში გულგრილად გაიძახის, – რაც შემეძლო ვასწავლე, გავაკეთე, და მეტი მე არ შემეძლიანო. ზოგი ასე არ იტყვია: როცა ხედავს, რომ წლის ბოლოს პროგრამა ვერ შეუსრულებია, რაც ძალი და ღონე აქვს, ადიდებს სამუშაოს, აძლევს მოწაფეებს ვეება გაკვეთილებს, ჩქარობს შეასრულოს პროგრამის მოთხოვნილება და ათავებს მით, რომ თავის სიჩქარით აფუჭებს იმასაც, რაც წინათ ჰქონდათ ბავშვებს შეგნებული. არასოდეს სწავლების საქმეში სიჩქარე კეთილ ნაყოფს არ მოიტანს.

პოეტის სიტყვებს: „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“, ისე არაფერ საქმეში არა აქვს საპატიო ადგილი, როგორც პირველდაწყებით სწავლების საქმეში, რადგანაც სწავლება უნდა მოხდეს შეგნებულად, მკვიდრად და საფუძვლიანად, მისთვის რომ სხვანაირად შეძენილი სწავლა სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ, მალე გაეპარებათ ბავშვებს თავიდგან; ამიტომ მასწავლებელი თავიდგანვე უნდა ზრუნავდეს, რომ უბრალოდ, ცხადად და ადვილ-გასაგებად, პირდაპირ გზიდგან გადაუხვევლად, განუმართოს ბავშვებს რომელიმე საგნის სასწავლო მასალა ისე, რომ ბავშვმა მკვიდრად, ცხადად შეითვისოს, შეისისხლხორცოს არსებითი მხარე სასწავლო საგნისა. ძველი რომაელები ამბობდნენ: „non multa, sed multum“ /ცოტა, მაგრამ ბევრიო/. მხოლოდ იმას შეითვისებს და შეისისხლხორცებს ბავშვი, რაც ცხადად ესმის, გაეგება. ეს არის ის ბევრი, რაზედაც უნდა ზრუნავდეს მასწავლებელი. ერთმა საპატიო პედაგოგმა ნეველსბახმა თქვა: „კარგი მასწავლებელი მხოლოდ ის არის, რომელიც გაკვეთილების დროს სულ განსაკუთრებით გაკვეთილების გადაცემაზე ფიქრობსო, მასზედ ამყარებს ყველა თავის ძალას, ყურადღებას და ცდილობს რომ კლასში სამეცადინოდ დანიშნული დრო მოახმაროს განსაკუთრებით მას, რომ მოსწავლემ რიგიანად შეითვისოს სასწავლო მასალაო“.

ზემოდ აღნიშნულ შეცდომების თავიდან აცილებისათვის ჩვენ ვურჩევთ პირველ დამწყებ მასწავლებლებს შეიგნონ პირველდა-

წყებითი სკოლის მიზანი, დანიშნულება, განსხვავება მეცნიერებასა და სკოლაში სასწავლო საგნებს შუა. ზოგიერთი საგნების, როგორც მაგალითად ქართული ენის გრამატიკა ან სხვა საგნები – მეცნიერულად მათი შესწავლა პირველდაწყებით სკოლებში შეუძლებელია, მაგრამ ელემენტარული ცნობები ყველა ამ საგნიდან ადვილად მისაწვდომია ყველა ბავშვისათვის. მაშასადამე, ყველა მასწავლებელი, ვისაც უნდა რომ მიზანს მიაღწიოს, უნდა ცდილობდეს, ზრუნავდეს, რომ თვითონ ცხადათ წარმოიდგინოს ყოველივე, რაც შესაძლებელი და შესაფერისია გადასცეს პირველდაწყებით სკოლის მოწაფეებს. ყველა სკოლას აქვს განსაზღვრული დრო წლიური სწავლისა, განსაზღვრული რიცხვი წლიური გაკვეთილებისა. ამის მიხედვით მასწავლებელმა წინდაწინვე უნდა ყოველივე გავლილი პროგრამის ძალით სამოსწავლო წლის განმავლობაში, გაკვეთილების რიცხვის თანახმად გაყოს ნაწილებად, განყოფილებად, თუნდ კვირაობით, შემდეგ მიიღებს რა მხედველობაში ნელა მსვლელობას სწავლებისას, როგორც ეს ყოველთვის უნდა იყოს, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს გაათავოს დანიშნულის დროის განმავლობაში აღნიშნული ნაწილი სასწავლო პროგრამისა. ამნაირად მასწავლებელს შეძლება ექნება მუდმივი თანასწორობა დაიჭიროს მოწაფეების მეცადინეობაში, აიცილოს თავიდან წლის ბოლოს აჩქარება, მოწაფეების დაღდატანება, მოკლედ გავლა საგნისა, ანუ პროგრამის შეუსრულებლობა. უმჯობესია, რომ მასწავლებელმა წინდაწინვე მოიფიქროს, მოისაზროს საქმე, ვიდრე ბოლოს ინაღვლოს. ამ მხრივ მასწავლებელი უნდა ბაძავდეს გონიერ მეოჯახეს, რომელმაც კარგად იცის ზომა თავისი შემოსავლისა, რომელსაც შეუფარდებს გასავლის ანგარიშსაც. თანასწორობის დაუცველად მეოჯახე მალე ჩავარდება სიღარიბეში, წინდაწინ მოსაზრებით, წინდახედულობით კი შეიძლება უვალოდ და რიგიანად ცხოვრებაც.

მასწავლებლის გამოუცდელობა, უვიცობა ხშირად გამოიხატება მოწაფეების ცუდის პასუხის დროს. მოწაფეების ცუდ პასუხს ზოგი მასწავლებელი ძლიერ სასტიკად უყურებს და სჯის მოწაფეს შემდეგის საბოლოო განაჩენით: „შენ არაფრის შეგნება არ შეგიძლია, უნიჭო ხარ! შენი უნიჭობა ცხადია და სხვ.“ ანდა მასწავლებელი, კმაყოფილი მოწაფის სუსტი პასუხით, ზომამედ მეტს ბეჯითობას იჩენს, თვითონ კი არ შეველის მოწაფეს რიგიან პასუხის მიცემაში, თვითონვე იძლევა მზა პასუხს. რასაკვირველია, ორივე შემთხვევას დიდი ზარალი და მავნებლობა მოაქვს. პირველს ის შედეგი მოჰყვება, რომ მოწაფე

მთლად ჰკარგავს მხნეობას, ენერგიას, რადგანაც ხედავს თავის მეცადინეობის უნაყოფობას, ვარდება სასოწარკვეთილებაში. მეორე შემთხვევაში ეჩვევა დაუდევნელობას. უთაურობას სამუშაოში იმ რწმენის მიხედვით, რომ მასწავლებლის მოწყალებითი მიხედვა ყველაფერს დაფარავს. ხშირად მოწაფის სწავლაში დაქვეითება არის ნაყოფი მასწავლებლის უყურადღებობისა, უმეცრებისა. მასწავლებელი თავის სიტყვა-პასუხში მოწაფეებთან ძალიან თავდატყერილი და წინდახედული უნდა იყოს. არასოდეს ბავშვს არ უნდა უთხრას მასწავლებელმა, უნიჭო ხარო, ან სხვა რამე ამგვარი ადამიანის პიროვნების შემლახავი სიტყვები. ხშირად ამნაირ განაჩენზე არის დამოკიდებული ბავშვის მომავალი.

ძნელია განისაზღვროს ბავშვის ნიჭიერების ზომიერება საზოგადოთ. შეიძლება რომ ბავშვის უნიჭობის მიზეზი იყოს ბავშვის სულიერი ძალის გვიან გახსნა, ან სხვა რამე შემთხვევითი გარეგანი მიზეზი. ყოველ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს მასწავლებლებს, რომ როდესაც საზოგადოებაში, ტოლამხანაგებში ვამცირებთ ბავშვებს მისი თავმოყვარეობის შემლახველი ეპითეტებით, მაშინ ვკლავთ ჩვენ მოწაფეში თავის ძალისადმი რწმენას, ამნაირად მოწაფის მომავალ შრომას უმიზნოთ ვრაცხთ, – ამის გამო შეიძლება ბავშვი ზნეობრივად აღზრდის მაგიერ გავაგიჟოთ კიდეც, ამიტომ არ უნდა გვავიწყებოდეს, რომ ბავშვები არიან მომავალი კაცობრიობის, რომელიც მხოლოდ მაშინ მიდის წინ, თუ ჰყვანან კარგი, გონიერი, დახელოვნებული ახალ თაობის აღზრდელები. „ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასო“, ჩვენი ხალხიც ხომ ამას ამბობს. თუ მოწაფე მცირე წარმატებას იჩენს სწავლაში, გაკვეთილებს ვერ ამზადებს, ამის გამო მასწავლებელმა უცებ თავის დასკვნა არ უნდა შეადგინოს. – საჭიროა მასწავლებელმა გამოიკვლიოს მიზეზები ბავშვის მცირე წარმატებისა სწავლის საქმეში. ხშირად მოწაფე მისთვის ვერ იჩენს ნიჭიერებას, ბეჯითობას, რომ ან ჯანმრთელად არ არის სრულიად და ან საჭიროდ შესაფერისად გონებაგახსნილი არ არის და ან ვერ შეუგნია კარგად სასწავლო საგნების ახსნა და სხვა. გარდა ამისა, მოწაფეების სწავლებაში დაქვეითება იმის გამოც მოხდება ხოლმე, რომ მოწაფეებმა არ იციან, როგორ უნდა მოჰკიდონ გაკვეთილების სწავლის საქმეს ხელი. ყველა ამ ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, რასაკვირველია, ერთი და იგივე ზომები საჭირო ნაყოფს ვერ მოიტანს. აქ ყველა მიზეზებს თავისი შესაფერი ზომა ესაჭიროება და ამგვარ ზომებს უნდა აქცევდეს ყურადღებას მასწავლებელი.

მაგალითად, იშვიათი საქმეა, რომ მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები გაკვეთილებს სახლში. გაკვეთილების მომზადებაში მოწაფეები, რასაკვირველია, შემწეობას, ხელმძღვანელობას თხოულობენ, როგორც კლასში, ისე კლასს გარედან. ბავშვებმა თუ არ იციან, როგორ უნდა მოჰკიდონ გაკვეთილების სწავლებას ხელი, ჩვეულებრივ დაიწყებენ სიტყვების შეუვნებლად გაზეპირებას წიგნიდან. ამგვარი გარემოების მსხვერპლი ბევრი იყო ძველად, უფრო სასულიერო სასწავლებლებში და ზოგან ვგონებ ეხლაც არის უფრო იქ, სადაც უცხო ენებს უცხო ენების საშუალებით ასწავლიან და ან პირველ განყოფილების შეგირდს საღმრთო წერილსაც უცხო ენაზე ასწავლიან და სხვ. ამნაირი მოვლენა ჩვენს საერთო სასწავლებლებში ხომ ჩვეულებათ არის გადაქცეული, თუ მასწავლებელი რიგიანად ჰშველის მოწაფეებს გაკვეთილების მომზადებაში სკოლის გარეთაც, სახლში, ეჭვი არაა, საქმე კარგად და მარჯვედ წავა.

ბევრი ეხლანდელი პედაგოგი წინააღმდეგია სახლში გაკვეთილების მიცემისა, განსაკუთრებით პირველდაწყებით სკოლებში, სადაც ხანდისხან ამისათვის არც დრო არის და არც ადგილი, მაგრამ თუ მასწავლებელს წესად აქვს გაკვეთილების მიცემა, უნდა ეცადოს, რომ დანიშნულ მიზანს მიაღწიოს. პირველი გაკვეთილები საზოგადოდ ყველა სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, მზადდებოდეს მასწავლებლის ზედამხედველობით. ამიტომ მასწავლებელი, როდესაც სახელმძღვანელოებს ურიგებს, უნდა ცდილობდეს დაკვირვებით, გულმოდგინეთ გადაათვალიეროს ის და მიაქციოს განსაკუთრებით ყურადღება ბავშვებისათვის უფრო ძნელად გასაგებ ადგილს. უკეთესნი საშუალებანი ბავშვების მეხსიერებაში გაკვეთილების შთაბეჭდისათვის არიან სამოსწავლო ვარჯიშობანი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ ყველა მოწაფეები. თავის თავად ალალებდნენ მითოვებულ ბავშვს შეუძლიან ბევრი იმუშაოს და გაიზეპიროს კიდევ გაკვეთილები, მაგრამ ამგვარად ნასწავლი მალე დაავიწყდება, რადგანაც უმეცრულად ჰკიდებდა საქმეს ხელს – სწავლობდა გაკვეთილებს უთავბოლოოდ, უაზროდ.

გაკვეთილებისათვის ნუსხის შედგენა ყოველ დღისათვის, საათობით თვითეული კვირის განმავლობაში პირველდაწყებით სკოლებისათვის ადვილი საქმე არ არის. ყველა მასწავლებელს არ შეუძლია შეასრულოს ეს ისე, როგორც რიგია. ვსთქვათ, მასწავლებელს ჰყავს სამი განყოფილება, რომელიც მოთავსებულია ერთს ვიწრო, ურიგოთ განათებულს ოთახში, სკოლაში არ მოიპოვება ბევრი უსაბჭიროესი სწავლაში დამხმარე ნივთები და საკლასო კუთვნილებანი, რის გამო მასწავლებელი იძულებულია ბევრი სასარგებლო ვარჯიშობა უარჰყოს ბავშვებთან. მასწავლებელმა ერთსა და იმავე დროს უნდა იმეცადინოს სამი განყოფილებასთან, რომელიც ცოდნით და გონებაგახსნილობით ძრიელ განირჩევა ერთი მეორისაგან. ამიტომ, ამ გარემოებათა გამო, მასწავლებლის მხრით დიდი გამოცდილებაა საბჭირო, რომ ყველა განყოფილების მოწაფეები, კლასში მეცადინეობის დროს, ყოველთვის მოუცდენლად საქმეში იყვნენ გართულნი. უეჭველია, რომ ყველა ეს გარემოება სახეში უნდა ჰქონდეს მასწავლებელს გაკვეთილებისათვის ნუსხის შედგენის დროს.

სამ განყოფილებაში ამნაირად უნდა მეცადინეობდეს მასწავლებელი: ერთს განყოფილებაში თვითონ მეცადინეობს რამდენიმე წამს, ამ დროს სხვა ორ განყოფილებას მისცემს მასწავლებლის დამოუკიდებლად შესასრულებელ სამუშაოს: როცა ამ სამუშაოს შეასრულებენ, მაშინ მასწავლებელი იმ განყოფილებას, რომელშიდაც მეცადინეობდა დაუნიშნავს თავისთავად, მასწავლებლის დაუხმარებლად შესასრულებლად სამუშაოს და გადავა სხვა განყოფილებაში, მოისმენს პასუხს მოწაფეებისაგან, მისცემს მათ კიდევ სამუშაოს და გადავა კიდევ სხვა განყოფილებაში. ამნაირად მასწავლებელი მუდამ გადადის ერთი განყოფილებიდან მეორეში, მეორედგან მესამეში და ხელმძღვანელობას უწევს მოწაფეებს სწავლების საქმეში, ცდილობს, რომ არცერთი მოწაფე უსაქმოდ არ დატოვოს, არამედ ყველას მიაწვდინოს შესაფერისი სულიერი საზრდო. როდესაც მასწავლებელს ამნაირად აქვს წარმოდგენილი სწავლების საქმე, ის ცდილობს, რომ გაკვეთილების ნუსხაში, რომელიც ყოველ კვირისათვის წინდაწინ უნდა შეადგინოს, მიაქციოს შინაარსი ყოველ საათში მეცადინეობისათვის თვითეულ განყოფილებისათვის. ამასთანავე მასწავლებელი უნდა აქცევდეს ყურადღებას გაკვეთილების ცვლას იმ რიგზე, რომელიც უფრო კეთილნაყოფიერია ბავშვების ჯანმრთელობისათვის, უნდა

მიეცეს ყურადღება სხვადასხვაფერობას გადაცემაში და იმ გარემოებას, რომელსაც მოითხოვს განსაკუთრებით თვისება რომელიმე სასწავლო საგნისა. მაგალითად, ისეთი საგნები, რომლის შესწავლა უფრო ძალდატანებით ყურადღებას ითხოვს მოწაფეთაგან, საჭიროა ისწავლებოდეს დილით, პირველ გაკვეთილზე, როცა ბავშვების გონება ფხიზელია და დასვენებული. შემდეგ იმათ უნდა მოჰყვეს ისეთი საგნები, რომლებიც უფრო ნაკლებ ძალდატანებას ითხოვს ყურადღებისას, როგორცაა წერა, ხატვა, გალობა, გიმნასტიკა და სხვ. საჭიროა, რომ ბუნების მეცნიერებიდგან ცნობები შეისწავლებოდეს გაზაფხულზე, ზაფხულზე ან ადრე შემოდგომაზე, როდესაც მასწავლებელს ადვილად შეუძლია უჩვენოს მოწაფეებს ცოცხალი სახეობები მცენარეებისა, მწერებისა, ქვეწარმავალთა და სხვისა, რომელიც სხვა დროს არ მოიპოვება. თუ ამგვარი გეგმის დადგენა ყოველთვის არ შეიძლება შეუცვლელად, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შეადგენს უპირველესს საშუალებას, რომ უბრალოდ და უსაქმოდ დრო არ იკარგებოდეს და მასწავლებლის მოქმედებასაც ჰეროვანი შედეგი მოჰქონდეს. განსაკუთრებით პირველდაწყებით სახალხო სკოლებში როგორც შენიშნულია, საუკეთესო პედაგოგებისაგან, აუცილებლად საჭიროა დაწვრილებითი გეგმა სწავლებისა, რომელიც წინდაწინ უნდა უჩვენებდეს მასწავლებელს, როგორც ზომათა და თვისებათა სასწავლო მასალისას, აგრეთვე სასტიკად მოფიქრებულს თანდათანობას, გონივრულად განხილვას, განრიგებას სასწავლო მასალისას.

ბევრს საუკეთესო პედაგოგს ძალიან სასარგებლოდ მიაჩნია სწავლების საქმის წაყვანა კონცენტრიულს წესზე; ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე წრე ცოდნისა ანუ ერთხელ გადაცემული მასალა განმეორდება რამდენჯერმე, თანდათან ვრცელდება და იხსნება დაწვრილებით. ამნაირად, სწავლების დროს ახლად შეძენილი ცოდნა უერთდება წინანდელს, მიემატება მას, ვრცელდება, დიდდება და ბოლოს კი ყველა შეძენილი სწავლა რომელიმე საგნიდან წარმოადგენს ერთს შესაფერის მთელს.

თუ გვინდა, რომ ყველა ცოდნა მკვიდრად შეითვისოს ბავშვმა, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, არ გავანაწილოთ და მეტი ძალა არ დავატანოთ ბავშვების გონებით ძალას ძლიერ რთული პროგრამით, არ უნდა ვასწავლიდეთ ბავშვს ბევრ საგანს ერთბაშად, უკეთესია ზოგიერთი საგნის სწავლება სხვა დროისთვის გადაიდოს, რომ მოწაფე არ დაიქანცოს. ბევრი საგნის სწავლება ერთსა და იმავე დროს ძლიერ ასუსტებს ბავშვის სულიერ ძალას, ამიტომ უცხო ენებს არასოდეს არ

უნდა ასწავლიდენ ბავშვებს იმაზე ადრე, სანამ სამშობლო ენას არ ექნება მკვიდრი საფუძველი ჩადგმული. ბავშვებისათვის სწავლება რამდენიმე უცხო ენისა ერთად შეადგენს დიდ პედაგოგიურ შეცდომას. სამწუხაროდ, ეს ტემპარიტება ამჟამად ბევრისაგან უსაფუძვლოდ უარყოფილია. ამას უარჰყოფენ, როგორც ზოგი ჩვენი სოფლის მასწავლებლები და მათი უფროსები, აგრეთვე ბევრი ჩვენი უმეცარი დედ-მამაც, რომელნიც, ბავშვი აიდგამს ენას თუ არა, ნაცვლად თავის დედაენაზე ტიკტიკისა, ბუნების წინააღმდეგ, ცდილობენ, უცხო ენაზე დააწყებინონ ლაპარაკი. ამას მოჰყვება არა საკვირველი შედეგი – ბავშვი როცა წამოიზრდება, ვერც დედა ენაზე ლაპარაკობს ხეირიანად და ვერც უცხო ენაზე.

ძალიან კარგადაც რომ ჰქონდეს მასწავლებელს შეთვისებული და სწავლების საქმეში გამოყენებული ყველა შემუშავებული ფორმები და მეთოდები სწავლებისა – ამ უკანასკნელის საქმე მაინც რივიანად ვერ წავა, თუ ეს ფორმები არ იქმნა განცხოველებული თვითონ მასწავლებლის მიერ. მასწავლებლის პიროვნებაზე, მისი გადაცემის თვისებაზე, გარეგან მანერებზე, მიხვრა-მოხვრაზე, ცოცხლად სწავლებაზე, თავის მოვალეობისადმი სიყვარულზე, მოწაფეების სწავლაში წარმატების ზრუნვაზე, მათ განვითარებაზე, თავის თავის ღირსების გრძნობაზე, მოთმინებაზე და აგრეთვე იმათ წინააღმდეგ თვისებაზე არის დამოკიდებული სკოლის ბედი და უბედობა. ერთი სიტყვით, ყოველს გონებითს და ზნეობითს პიროვნებას მასწავლებლისას აქვს დიდი გავლენა მის სწავლებაზე. მასწავლებლის პიროვნება ისე მოქმედობს მოწაფეზე, რომ გონებათა მიქცევა, რომელიც გამოიხატება მასწავლებლის სწავლებაში, გაიღვიძებს მოწაფის სულში, სადაც შესამჩნევად აღიბეჭდება ის ხასიათი, რომლითაც გამსჭვალულია მასწავლებელი სწავლების დროს – გულსმოდგინება, ინტერესი, კმაყოფილება, ყურადღება და სხვა ან პირიქით – მცონარეობა, უკმაყოფილება, გაფანტულობა, უყურადღებობა – აღიბეჭდება ბავშვის გონებაში, თუ მასწავლებელიც ამ თვისებითაა აღჭურვილი. ცხადია ამისთვის, რომ ერთსა და იმავე მეთოდს, ანუ ერთსა და იმავე დიდაქტიურ წესს შეუძლია მიიღოს სხვა და სხვა სახე და მოიტანოს სხვა და სხვა შედეგი სხვა და სხვა მასწავლებლის ხელში. აქ უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ მხოლოდ მარტო გარეგნობით პედაგოგიურ პირობათა შესრულებით არაგულწრფელობა, თვალთმაქცობა, ფარისევლობა მასწავლებლისა არ გამოეპარებათ ბავშვებს შეუნიშნავად. ისინი უკვირდებიან მასწავლებელს ზედმიწევნით, დაწვრილებით გა-

მოიცივნებენ და შეისწავლიან მის თვისებათა, ხასიათს თუ სიტყვები-
დგან არა, მისი მოქმედებიდგან და განსაკუთრებით სწავლების დროს
შემოღებულ წესებიდგან. მოწაფეები ძალიან მალე გაიგებენ, რით
ხელმძღვანელობს მასწავლებელი – მოწაფეების სიყვარულით, თუ
თავის სიყვარულით... კაცთა სათნოებით, რის თანახმაც იქნება მისი
მოქმედება სწავლების დროს. მასწავლებლის სიტყვებიდგან არ შეი-
ძლება არ გამოაშკარავდეს მის მიერ გულგრილად შესწავლა თავის
საგნისა, მაშასადამე გულგრილად სწავლებაც, ან ცოცხალი და გულ-
წრფელი სურვილი და მეცადინეობა გადასცეს ბავშვებს თავის ცოდნა.
დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთათვის დიდი ფილოსოფო-
სის სოკრატის სიტყვებს. ერთხელ სოკრატმა სასწავლებლად მიბარე-
ბული ყმაწვილი ისევ უკან მიუყვანა მამას და უთხრა: „მე არ შემი-
ძლია მაგის სწავლება, მისთვის, რომ მე მაგას არ ვუყვარვარო“. ამავე
სოკრატმა სთქვა: „ის კაცი, ვისაც არ უყვარს და ისე უნდა სწავლება,
ჰგავს ისეთს კაცს, რომელიც იჯარით იღებს მიწას და ჰფიქრობს მის
გაუმჯობესებას კი არა, არამედ უფრო მეტი გამორჩენა და სარგებ-
ლობა მიიღოს პირადად; პირიქით, ის, ვისაც უყვარს სწავლების საქმე
და ისე ჰკიდებს ხელს, ის ჰგავს მინდვრის პატრონს, რომელსაც ყო-
ველ მხრიდგან მოაქვს ის, რასაც შეუძლიან გაამდიდროს საგანი მისი
სიყვარულისა“.

საზოგადოთ ყველა და კერძოდ პირველდაწყებითი სკოლე-
ბის მასწავლებლების ყველა უმთავრეს თვისებათა შორის საპატიო
ადგილი უნდა ეჭიროს მოთმინებას. მასწავლებელს გული არ უნდა
მოსდიოდეს თუ გონებითი და ზნეობითი წარმატება მოწაფისა არ
ამართლებენ მის მოლოდინს. ამით ბავშვები სრულიადაც არ ფიქრო-
ბენ შეურაცხყოფა მიაყენონ მასწავლებელს, არამედ ეს წარმოსდგება
მათი სუსტი ძალისა გამო და ხშირად მასწავლებლის უმეცრების, პე-
დაგოგიური უმეცრების ანუ დაუდევრობის გამო.

როდესაც მასწავლებელი დაწვრილებით განსაზღვრავს კვირა-
ობით გაკვეთილების რიცხვს თვითეულ განყოფილებაში ყველა საგ-
ნებისა, მან უნდა მიაქციოს აგრეთვე ყურადღება, თუ რამდენი გაკვე-
თილი და რომელ საგნებში და რა დროს თვითონ უნდა იმეცადინოს
და რამდენი რჩება მასწავლებლის დამოუკიდებლად შესასრულებ-
ლად მოწაფეების მხრით. ამასთან, მასწავლებელი განსაკუთრებულ
ყურადღებას უნდა აქცევდეს პირველ განყოფილებას, რომელიც,
როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ხშირად ითხოვს მასწავლებ-
ლის მხრით დახმარებას და ამიტომ, რომელშიდაც რიცხვი დამოუ-

კიდებული გაკვეთილებისა, სხვა განყოფილებასთან შედარებით, მეტად მცირეა.

უფროსი განყოფილების მოწაფეები უკვე შეჩვეულნი არიან სწავლებას. მათ კარგათ ესმით მასწავლებლის მოთხოვნილება, სკოლის წესიერება, შეგნებული აქვთ სხვა და სხვა უსაჭიროესი ჩვეულება – მაშასადამე მათთვის მცირედ არის საჭირო მუდმივი ყურადღება მასწავლებლისა, მისი ხელმძღვანელობა. ამას არ ვხედავთ პირველ განყოფილებაში: აქ მასწავლებლის შემწეობა-დახმარება მოითხოვება ყოველ ნაბიჯზე; აქ მასწავლებელმა უნდა უჩვენოს ბავშვებს, როგორ უნდა ისხდნენ წერის დროს, როგორ უნდა დაიჭირონ კალამი, როგორ უნდა დაიდონ წინ რვეულები და სხვა.

მართო განსაზღვრა დამოუკიდებელ სამუშაოთა რიცხვისა საკმაო არ არის, საჭიროა კიდევ განისაზღვროს თვით ხასიათი ყველა ვარჯიშობათა. ამასთანავე უნდა გვექონდეს სახეში შემდეგი პირობები:

ა/ დამოუკიდებელი სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს მოწაფის სულიერ ძალას; როგორც ძალიან ადვილი, ისე ძალიან ძნელი სამუშაო არ ვარგა, რადგანაც მოწაფეები ამ შემთხვევაში ან ვერ შეასრულებენ სამუშაოს მასწავლებლის დაუხმარებლად და ან მალე შეასრულებენ და შემდეგ უსაქმოდ დარჩენილნი ხელს შეუშლიან მასწავლებელს სხვა განყოფილებასთან მეცადინეობის დროს.

ბ/ დამოუკიდებელი სამუშაო უნდა თანშეზომილი იყოს მისთვის დანიშნულ დროსთან, რასაკვირველია; ძალიან ძნელია მიღწევა იქამდის, რომ როდესაც მასწავლებელი ერთ განყოფილებაში მეცადინეობს, სხვა განყოფილების შეგირდები ერთ წუთსაც არ მოცდენ საქმეს, ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე, რომ უკეთესი გონება-გამჭრიახი მოწაფე თავის ამხანაგებზე ადრე გაათავებს სამუშაოს; შემდეგ სხედან უსაქმოდ და იწყებენ ცელქობას, ეშმაკობას. მასწავლებელმა თუ შეწყვიტა მეცადინეობა უდროოდ იმ განყოფილებაში, რომელშიაც თვით მეცადინეობდა, საქმეს ბევრს ვერ უშველის, რადგანაც ერთ საქმეს გააკეთებს, მაგრამ მაშინ მეორეს ახდენს. მეორეს მხრით ძნელია ისიც, რომ კაცმა მათემატიკურის სინამდვილით გამოიანგარიშოს, რამდენ დროს მოითხოვს შემუშავებისათვის რომელიმე სასწავლო მასალა. რაც უნდა იყოს, მასწავლებელი მაინც უნდა ცდილობდეს დაახლოებით შეძლებისდაგვარად შეუზომოს, შეუფარდოს მიცემულ სამუშაო დროს, რომელიც მის შესასრულებლად არის დანიშნული.

გ/ დამოუკიდებელი სამუშაოები არასოდეს არ უნდა გაირჩოდეს ნამდვილ გაკვეთილებისაგან; ხშირად მოხდება, რომ მასწავლებელი

ამგვარ სამუშაოებს უყურებს, როგორც ბავშვების შესაქცევარ საშუალებას იმ დროს, როდესაც ის სხვა განყოფილებაში მეცადინეობს; ამიტომ ზოგი მასწავლებელი მცირე ყურადღებას აქცევს როგორც გამორჩევას ამგვარ სამუშაოებისას, ისე მათ შესრულებასაც. აქედგან საკვირველი არ არის რომ ეს გადაეცემათ ბავშვებსაც, რომლებიც დამოუკიდებელ სამუშაოს ისე დაუწყებენ ცქერას, როგორც ამ შესაქცევარ რასმეს და ან არა საჭირო სამუშაოს, რომლის შესრულება, შეკეთება შეიძლება როგორც მოხდება, მხოლოდ მოწაფეები კი უსაქმოდ არ ისხდნენ. თემა საჭირო არაა, თუ რამდენი ბოროტება მოსდევს ამგვარად საქმის წყვანას. პირიქით, თუ მოწაფეები ხედავენ, რომ მასწავლებელი უყურებს დამოუკიდებელ სამუშაოებს სერიოზულად, როგორც ნამდვილ გაკვეთილებს და არა შესაქცევარ რასმე – თვითონ ისინი მოეპყრობიან სერიოზულად, საჭირო პატივისცემით.

დ/ ერთ ხასიათიანი გაკვეთილები ერთად არ უნდა დაინიშნოს, რადგან ერთგვარობა მეცადინეობის საქმეში ძლიერ სწყინთ ბავშვებს და ჰლლის, ჰქანცავს, როგორც გონების ძალას, აგრეთვე ბავშვების გარეგან გრძნობებსაც. ამიტომ პედაგოგები არ ურჩევენ მასწავლებლებს წერისა და გადაწერის, ხატვისა და წერის გაკვეთილები ერთმანეთს მიაბან და სხვ. ორი საათის ძალდატანებას თვალებისას, წერის დროს, განსაკუთრებით ცუდათ განათებულ ოთახში, შეუძლია ცუდათ იმოქმედოს ბავშვის მხედველობაზე, ამნაირად გაგრძელებულმა მუშაობამ ანგარიშიდაც, რომელიც ითხოვს განსაკუთრებით გონების ძალდატანებას, არ შეიძლება არ მოლალოს, მოქანცოს ბავშვის უმთავრესი შემგნებლობითი ნიჭიერება, ყურადღება, გულისყური, მეხსიერება და აზროვნება. ამიტომ სასარგებლოა, რომ ყოველ ნახევარ საათის შემდეგ იცვლებოდეს სამუშაოები.

პირველდაწყებითი სკოლის მოწყობაზე, სასწავლო საგნებზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა ჩვენსა და უცხო მწერლობაში და დღესაც ბევრს ლაპარაკობენ. ბევრიც ეხლა იმ აზრისაა, რომ პირველდაწყებითი სკოლის მიზანი წერა-კითხვის და მცირე ანგარიშის შესწავლაში მდგომარეობსო. ზოგი ამბობს, რადგანაც სკოლა ყოველთვის ხალხის სასარგებლოდ არსდება და ჩვენი ხალხი საზოგადოდ მიწათმოქმედი ხალხია, ამიტომ ჩვენთვის უფრო საჭიროა სამეურნეო სკოლებიო. ზოგი ამბობს, სოფლის სკოლის კურსი ცვალებადია, არაფერი მუდმივი არა აქვსო, ზოგი კი პირიქით ამტკიცებს, რომ საფუძველი ელემენტარული სკოლის კურსს აქვს მუდმივი და საზოგადოებრივი, რადგანაც ის გამოდის კაცობრიობის დედა აზრიდგან ბავშვის გახსნა-განვითარებაზე.

კანონმდებლობით მიზანი პირველდაწყებითის სკოლისა შემდეგში მდგომარეობს: განმტკიცება ხალხში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ცნობებისა და გავრცელება პირველდაწყებითი სასარგებლო ცნობებისა. ამის მიხედვით პირველდაწყებით სკოლების სავალდებულო კურსს ჩვენში შეადგენს შემდეგი საგნები: სამღვთო სჯული, რუსული და ქართული ენები, არითმეტიკა, გეომეტრია, სამშობლო ისტორია და გეოგრაფია, გალობა და გიმნასტიკა.

თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ყველა ამ საგნებს პირველდაწყებით სკოლებში საზოგადოდ და ჩვენ სკოლებში კერძოდ, ამაზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

VI

...ბავშვებისათვის დიდად საავტორიტეტოა სიტყვა ისეთის მასწავლებლისა, რომელსაც მოწაფეები მოწიწებით უყურებენ და პატივსაცემენ. მხოლოდ ამგვარი მასწავლებლის ცხოველ სიტყვას შეუძლიან გაატაროს აზრი ბავშვის გულში და ეს თითქმის ყველაფერია, რის სურვილიც შეიძლება ბავშვის ზნეობრივად აღზრდისათვის...

დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ შთაბეჭდილებას ბავშვის ზნეობრივ აღზრდაზე ...

ჭკუით და ხნით მომწიფებულ კაცს ხშირად, რომელიმე საგანზე ფიქრის გამო, გრძნობა აენთება, რომელიც თანდათან ცხოველდება და უერთდება კაცობრიობის ცხოვრების შემთხვევებს და ბუნების გამოხატულებათა. ბავშვის ცხოვრებას რომ დაუკვირდეთ, ადვილათ მივხვდებით, რომ ის ცხოვრობს დამოუკიდებელ შთაბეჭდილებებით, ის გრძნობს, რაც მას ემართება და სხვებსაც, ვინც და რაც მას ახლო-მახლო გარს არტყია. ავხსნათ ეს მაგალითით. ვთქვათ, ბავშვი უჭირავს ხელში თავის დედას, რომელიც ეალერსება მას, ელაპარაკება ტკბილ სიტყვებს, რომლიდგანაც ბავშვს ესმის მხოლოდ სიყვარულის ხმები, იმას ეალერსება მამა, ძმები, დები და სხვ. ბავშვის გარშემო არ იბრძვიან, არ ილანძღებიან, არ სცემენ ერთმანეთს. ეს იქნება სარწმუნო, ცხოველი გაკვეთილი ზნეობრივი სწავლისა. ამნაირად ბავშვის სულშიდაც აღორძინდება გრძნობა ალერსიანობისა, მშვიდობიანობისა. აი, ბავშვიც ცოტათი წამოიზარდა, დაიწყო რაღაცეების გაგება, იცის, რა არის ტკივილი, სიცივე, სუფთა და ტალახიანი ტანი-

სამოსი, ლამაზი, კობტად მორთული სახლი და ღარიბად მოწყობილი ქობი; ხედავს ეს ბავშვი, უფროსები როგორ ეალერსებიან ძაღლს, ცხენს, ძროხას, ეცოდებათ ისინი, როცა დაჭრილნი არიან, ცდილობენ მათ მორჩინას, თავის ხელით ჰკვებავენ ცხოველებს, ასწორებენ დანგრეულ, დაფუშულ ჩიტების ბუდეებს, იფარავენ მათ მტაცებელი ფრინველებისაგან; აიყვანენ პატარა და უძლურ ბარტყს, რომელსაც დედა სადღაც დაჰკარგვია, დაღუპვია, გამოკვებავენ მას და თანაგრძნობით და სიამოვნებით უყურებენ, როცა ის აფრინდება და გასწევს ტყის, ან მინდვრისაკენ.

ბავშვი ჰხედავს, რომ შებრალებით ეპყრობიან უფროსები ღარიბ-ღატაკ მოხუცს, ობოლს, მცირეწლოვანს მშიერ ბავშვს აძლევენ საჭმელს, საცმელს, ანუგეშებენ მას. დედა მიდის უმწეოდ დატოვებულ ღარიბ ავადმყოფთან და თან მიჰყავს თავის შვილიც, მიაქვს წამალი, არიგებს ავადმყოფს თუ როგორ უნდა იხმაროს წამალი, თვითონაც მოჰბანს და შეუხვევს იარებს, თანაგრძნობით და ალერსით ამშვიდებს და ანუგეშებს მათ. რასაკვირველია ამნაირი გავლენით ბავშვში განიღვიძებს და გაძლიერდება ღმობიერება, გულის შეტკივება, შებრალება მაშვრალთა და ტვირთმძიმეთადმი...

ყველა სამოსწავლო საგანს აზრად უნდა ჰქონდეს, რომ ბავშვს განუძლიეროს მეტყველება, გაუღვიძოს გრძნობანი, წარმოდგენანი, გაუფართოვოს ცნობების ჰორიზონტი და შეუმუშავოს აზროვნება ...

VII

ვისაც ცოტათი მაინც თვალყური უდევნებია ჩვენებური სახალხო სკოლებისათვის, ის უეჭველია შენიშნავდა, რომ უცხო ენის სწავლება, ბევრგან ამგვარ სკოლებში, უფრო ამ უკანასკნელ დროში, წამების გზაზედ არის დაყენებული. ხშირად გაიგონებთ ბევრს ისეთს უკულმართობას უცხო ენის სწავლების შესახებ, რომელიც არა თუ სპეციალურად მომზადებულ მასწავლებელს, არამედ იმასაც არ ეპატიება ვისაც პედაგოგიკა თვალთ არ უნახავს. დღეს იშვიათი მოვლენა არ არის იმისთანა ამბები, რომ ზოგნი, გადაბირების გზაზედ დაყენებული მასწავლებელნი, ჩვენებურ სოფლის ბავშვებს სკოლაში შემოსვლის დღიდგანვე მისთვის გაუგებარ ენაზე აწყებინებენ წერა-კითხვას. ამ უცნაურ ხერხს სწავლებისას, რასაკვირველია, მოჰყვება არა საკვირ-

ველი შედეგი – ბავშვი წლის განმავლობაში ვერც სამშობლო ენაზე სწავლობს წერა-კითხვას რიგიანად და მით უფრო ვერც უცხო ენაზე იგნებს რასმე, ქართულ სიტყვებს ნახევარს უცხო ასოებით და ნახევარს ქართული ასოებით სწერს. ბაბილონის არეულობა სწორედ ამას ჰქვია.

ვინ მოსთვლის ყველა იმ ცუდს შედეგს, რომელიც მოსდევს უცხო ენის უკუღმართად სწავლებას. ეს უკუღმართობა ესმის ყველას, ვისთვისაც სკოლა არ შეადგენს განყენებით საგანს თანაგრძნობისას, არამედ – საშვილიშვილო, სასიხლხორცო საქმეს, რომლისთვისაც ტანჯვით და ოფლით ნაშოვნს გროშს არ ჰზოგავენ და შვილების ბედს და უბედობას სკოლას ანდობენ.

უცხო ენის სწავლებას პირველდაწყებით სასოფლო სკოლებში, რაც უნდა ბევრი ღონისძიება ვიხმართ, დიდი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან. ხშირად ვხედავთ ამისთანა მაგალითს, რომ ბავშვს, სკოლაში შეძენილი ორიოდე უცხო სიტყვა, რაკი ცხოვრებაში სავარჯიშო მოედანი ვერ უპოვია, მალე დავიწყებია და მამასადამე მისთვის უსარგებლოდ შექმნილა. საკვირველი არ არის მოველოდეთ დიდს და კარგს შედეგს მცირედის მიზნისაგან. თუ ჩვენი მიზანი, ჩვენი ამოცანა მართო იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს უცხო ენაზე თუთიყუშური ყბედობა ვასწავლოთ, რასაც ზოგი მასწავლებელი თავის გამოსაჩენად უკვე ცდილობს, მეტს ვერ შევძენთ მათ, ვინც არის ჩვენი ერის მომავალი. ცხადია, რომ ამგვარი საქმის გაუგებრობა, მცირე მიზანი, აფუჭებს ყოველგვარ ჭკვიანურ საქმეს. ენის ცოდნის სარგებლობა ბევრს ძალიან ცუდად ესმის. უცხო ენის შესწავლის სარგებლობა მდგომარეობს უთავბოლო და უაზრო ყბედობაში კი არა, არამედ ამ ენის აზრის და სულის გაცნობაში. ეს არის უმთავრესი და უპირველესი მიზანი უცხო ენის შესწავლისა; ეს მაღალი მიზანი ისე უნდა იყოს დაყენებული და წარმართული, რომ ამ მიზნისადმი მისაღწევად მიღებული საშუალებანი არასოდეს უღირსს და მატყუარა გზას არ უნდა მიმართავდეს და არც უნდა ეძებდეს უპირატესობას თავისთვის სხვა ამგვარივე მიზნის საზიანოდ.

უცხო ენის უდროოდ სწავლების დაწყება აჩერებს ყმაწვილის გონებით გამოფხიზლების, წესიერს განვითარებას. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ჩვენი სახალხო სკოლების უფროს განყოფილების მოწაფეები ვერ იჩენენ შესაფერის გონებაგახსნილობას, განვითარებას. რუსების ცნობილი პედაგოგი უშინსკი ამბობს: ბავშვს რომ უცხო ენის სწავლება დააწყებინოთ, როდესაც დედაენაზე კარგად ვერც კი

კითხულობს, განა ეს სწავლის სურვილის დასაწყისშივე მოკვლა არ იქნებაო? ყველა ხალხის წარჩინებული ძველი თუ ახალი პედაგოგები სულ იმ აზრისანი იყვნენ და არიან, რომ ვიდრე უცხო ენის სწავლებას დავაწყებინებდეთ ბავშვს, საჭიროა საფუძვლიანად შევასწავლოთ სამშობლო ენა და როცა ბავშვი ცოტათი თუ ბევრად გაიმართება სამშობლო ენაში, დედაენაზე წერა-კითხვაში, მაშინ შეიძლება ბავშვს უცხო ენის სწავლებაც დავაწყებინოთ, მხოლოდ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე სწავლის გადაცემა უცხო ენის სწავლების დროს ისე უნდა იყოს დაწყებული, რომ ბავშვს ყოველთვის შეეძლოს ჰქონდეს ნამდვილი, ცხადი და სწორი წარმოდგენილობა სასწავლო საგანზე. მხოლოდ ამნაირი შეგნებულად შესწავლა უცხო ენისა არა თუ არ ავნებს ქართულ ენას, არამედ ძლიერ დაეხმარება მის წარმატებას და აყვავებას. სამართლიანად ამბობს ჩვენი ცნობილი, პატივცემული პედაგოგი ი. ს. გოგებაშვილი, რომ „ამ რიგზე დაყენებული სწავლება მოზარდ თაობას შემოქმედებითს ძალასაც გაუძლიერებს, ენის ალღოსაც განუვითარებს, სახსოვარსაც განუმტკიცებს, შედარებით ნიჭსაც უვარჯიშებს, რადგანაც ყოველ ნაბიჯზედ უცხო ენას ადარებს დედაენასთან და უხსნის მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას, ენის ბუნებას ღრმად შეათვისებინებს და ორკეცს ნამდვილ მეტყველებას მიანიჭებს“.

პირველნი ვარჯიშობანი უცხო ენაზე ყოველთვის უნდა წარმოებდეს ბავშვის მიერ უკვე ცნობილ მასალაზედ, იმიტომ, რომ არ დავატანოთ ძალა ბავშვის გონებას, რომ ის ერთსა და იმავე დროს იძულებული არ იქმნას თავისი ყურადღება დაანაწილოს ორს უცნობ საგანს შუა, რის გამო გამოწვეული სუსტი ყურადღება უშლის ბავშვს სასწავლო მასალის ადვილად და ჩქარად შეთვისებას. აგრეთვე რომ სწავლების დროს მუდამ მივყვეთ პედაგოგიურს თანდათანობას. იმ პედაგოგიურს კანონს, რომელიც ამბობს, გადადი ნაცნობიდან უცნობზე, საჭიროა პირველადვე შევასწავლოთ ბავშვს მხოლოდ ის ფორმები უცხო ენისა, რომლის მსგავსი მოიპოვება სამშობლო ენაში. შემდეგში კი, როცა ბავშვი ცოტა თუ ბევრად შეისწავლის ლექსიკურად საგნების, მოქმედების, თვისებათა და სხვის სახელებს, შეისწავლის უცხო ენაზე წერა-კითხვასაც, შეიძლება მიექცეს მასწავლებლის ყურადღება უცხო ენის სწავლების დროს იმ ფორმებს და წესებსაც, რომლითაც უცხო ენა განირჩევა მშობლიური ენისაგან. აგრეთვე უცხო ენის შესახებ კანონის დადგენის დროსაც შედარებითი მეთოდით დედაენასაც უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება.

უცხო ენის სწავლება ჩვენ სკოლებში მაშინ იქნება წარმატების გზაზე დაყენებული, როდესაც ამ საგანს ასწავლიან ბავშვებს თვალსაჩინოდ. კომენსკი ამბობს, რომ სიტყვები უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ საგანთან, ნივთებთან შეერთებით. ხმაღს აქვს გარედ ქარქაში, ხის გულს – ქერქი, ხილს – ნაჭუჭი. ღვინოს ყიდულობენ, გადააქვთ ბოჭკებით, ტიკებით. რა არის სიტყვაო, თუ არა სამოსელი, გარეთა კანი საგნისა თუ რომელიმე ნივთისაო, მაშასადამე, განაგრძობს კომენსკი, როდესაც და რომელ ენასაც უნდა ვსწავლობდეთ, თითქმის სამშობლო ენის სწავლების დროსაც კი, აუცილებლად საჭიროა თვალსაჩინოდ ვუჩვენებდეთ შეიძლებისა და მოხერხების გვარად ყველა საგნებს, ნივთებს, მოქმედებებს, რომელთა სახელსაც ვასწავლით; აგრეთვე საჭიროა და სასარგებლო, რომ მოწაფეებსაც შეეძლოს გამობატვა სიტყვებით იმისი, რასაც ისინი ჰხედავენ, ისმენენ, შეეხებიან – ერთის სიტყვით, რომ ენა რომელსაც ბავშვი სწავლობს, უნდა გაიხსნას, განვითარდეს მუდმივ მეტყველებასთან ერთად. ამნაირად, ამბობს კომენსკი, შეიძლება დავადგინოთ ამნაირი კანონი – ვისაც როგორ ესმის, გაეგება, იმნაირად ეჩვევა ლაპარაკსაც, უნდა კარგად ესმოდეს და გაეგებოდეს კიდევ. არავის ნება არ უნდა მიეცეს ლაპარაკისა იმ საგნის შესახებ, რაც მას არ ესმის, ან არ შეუძლიან გამოთქვას, რადგანაც ვისაც თავისი აზრის გამოთქმა არ შეუძლიან, ის ჰგავს ანდრიანტს, გამოქანდაკებულ სახეს და ვინც ყბედობს უთავბოლოდ, შეუგნებლად – ის თუთიყუშია. ჩვენა ვზრდით მომავალ თაობას, ადამიანებს და უნდა ვსცდილობდეთ გავზარდოთ ისინი ისე, როგორც სასარგებლოა მომავალი თაობისათვის. – ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ უცხო ენის სწავლების დროს, განსაკუთრებით პირველდაწყებით სკოლებში, მუდამ სიტყვა და საგანი, საგანი და სიტყვა ივლიან სწორის ნაბიჯით.

ჩვენებურ სოფლის სკოლებში, რუსული ენის შესასწავლად განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, თითქმის რამდენიც სკოლაა, იმდენი სხვა და სხვა სახელმძღვანელოები არსებობს. აქ იპოვით ვოლპერის წიგნებს, ბუნაკოვისას, ბარანოვისას, პუციკოვიჩისას, უშინსკის „Подное слово“, (5) ვოლოტოვსკისას, შესანიშნავ პედაგოგის შესანიშნავ „კურსსაც“, გოგებაშვილის წიგნსაც და კიდევ სხვას. ერთის სიტყვით, მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ, რაც ჩვენსა და რუსულ საყმაწვილო მწერლობაში რუსული ენის შესასწავლად სახელმძღვანელო წიგნები კი მოიპოვება, მოწონებული იყო მთავრობისაგან თუ არა ... ვამბობ, ბაზარი აქვს ჩვენებურ სკოლებში და ამას თუ რა შედეგიც

მოჭყვება, მგონია, ყველასათვის ცხადი იყოს. არ ვიცი, რამდენად ბრმა უნდა იყოს და უვიცი მასწავლებელი, რომ ბევრ ამნაირ წიგნების უვარჯისობას ვერ ხედავდეს ჩვენებურ სკოლებში. პირიქით, ბევრი ზემოხსენებული სახელმძღვანელოთაგანი ახლა რუსულ სახალხო სკოლებშიაც არ იხმარება სახელმძღვანელოდ, სასწავლო წიგნად.

ჩვენებურ სოფლის სკოლის მასწავლებლებში ერთობის, ერთის მიზნისადმი, ერთობლივი, შეერთებულის ძალით მისწრაფების მაგივრად, სამწუხაროდ, ამ ჟამად ბაბილონის კოშკის შენებას ვხედავთ; ამისთანა არეგ-დარევა, რასაკვირველია, მასწავლებლის მიზნია და არა სხვისი. ჩვენ სკოლებში სახელმწიფო ენის შესასწავლად საჭიროა განსაკუთრებული, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული და პედაგოგიურად შემუშავებული სახელმძღვანელო წიგნი. ამისთანა წიგნი დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ, შორს საძებარი არა გვაქვს. დღეს ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა მასწავლებელმა, არა თუ გამოცდილებიდან, ისეც იცის, რომ „Русское право“ (6) შედგენილი ჩვენი პატივცემულის პედაგოგის ი. გოგებაშვილის მიერ, არის საუკეთესო სახელმძღვანელო წიგნი რუსული ენის სწავლებისათვის ჩვენს სკოლებში; მხოლოდ ეს წიგნი არის სამოსწავლო მთავრობის მიერ მოწოდებული სასწავლებელ წიგნად ჩვენებურ სკოლებში, მიუხედავად ამისა, ბევრი ჩვენი სოფლის მასწავლებელი, რომელიც დიდად პასუხისმგებელია, როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების წინაშე, ამ ღირსოვან წიგნს ყურადღებას არ აქცევს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი გოგებაშვილის წიგნი შედგენილია თანახმად სამოსწავლო ოლქის მბრუნველის მიერ გამოცემული სასწავლო გეგმის მოთხოვნილებებისა: ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ეს გეგმა, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იქნა ნამესტნიკის მიერ 13 იანვარს 1881 წელს, წარმოადგენს სოფლის სკოლებისათვის საკანონმდებლო წიგნს, პედაგოგიურად საგულისხმოს, სადაც რუსული ენის შესახებ მასწავლებელი იპოვის საუკეთესო რჩევას. ეს ხსენებული გეგმა ბევრი მასწავლებლის მიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული. მაშასადამე, საკანონმდებლო წიგნის უარყოფა, შეადგენს კანონის დარღვევას და თუ ეს ასეა, როგორი მასწავლებელი უნდა იყოს ის, რომელიც თავის მოწაფეებს უჩვენებს მაგალითს საზოგადო კანონის უარყოფისას, დარღვევისას? ეს მკითხველისთვის მიგვიჩნდება.

VIII

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ყველა გამოჩენილი პედაგოგი პირველდაწყებით სკოლებს სხვანაირად დედაენის სკოლებს ეძახიან. დედაენაო, ამბობენ საპატიო პედაგოგები და მეცნიერები, არისო დედაბოძი, საძირკველი, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული, დამკვიდრებული სხვა საგნების შესწავლა. ერთი ჩვენი ნიჭიერი მწერალთაგანი სრულის სინამდვილით ამბობს ქართველი დედის პირით:

„მერწმუნე, რომა გამოცდილია,
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია“.

დიალ, თუ დედაენა რიგიანად არ ესმის ბავშვს, ისე სხვა საგნების სწავლება არასოდეს ნაყოფიერი არ იქნება. უშინსკი, რუსების შესანიშნავი პედაგოგი, ისე მტკიცედ და სამართლიანად ლაპარაკობს დედაენის მნიშვნელობის შესახებ ხალხისათვის, რომ აქ საჭიროდ მიმაჩნია მისი უტყუარი აზრი ამ საგანზე პირდაპირ გადმოვიღო: „დედაენაო“, – ამბობს უშინსკი, „არის საუკეთესო ყვავილი ერის ცხოვრებისა, ისეთი დაუმტკნარი ყვავილი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტლივ იფურჩქნება. დედაენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო, დედაენაში ერის შემოქმედების ძალის წყალობით იქცევა აზრად, სურათად და ხმად ცა სამშობლოსი, მისი ჰაერი, მისი ფიზიკური მოვლენანი, მისი ჰავა, მისნი მინდორ-ველნი, მთანი და ღელენი, ტყენი და მინდორნი, ელვა-ჭექანი და ქარიშხალნი, იხატება მთელი ის ღრმა, სავსე აზრით და გრძნობით ხმა სამშობლო ბუნებისა, რომელიც ისე ხმამაღლა ჭღაღადებს კაცის სიყვარულში, მის ხშირად ველურის სამშობლო ქვეყნისადმი, სამშობლო ჰანგებში, სიმღერებში, სახალხო პოეტების სიტყვებში. დედაენის კამკამა სიღრმეში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის სულიერის ცხოვრებისა: თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად. დედაენის საღაროში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფსა: გულის ღრმა მოძრაობისას, ისტორიულის მოქმედებისას, სარწმუნოებისას, აზრისას; სტოვებენ კვალთა გამოვლილის სიხარულისას და მწუხარებისას, ერთი სიტყვით მთელს ნაშთსა და ნაყოფსა თავის სულიერი ცხოვრებისას ხალხი იცავს და ინახავს დედაენაში. დედაენა არის უცხოველესი და უმტკიცესი კავშირი, რომე-

ლიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალთა თაობათა და ჰხდის მათ ერთს დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმად. იგი არა თუ გამომხატველია ხალხის სიცოცხლისა, იგი არის თვითონ ეს სიცოცხლე. როდესაც ქრება ერის ენა, ერი აღარ არსებობს“.

ჩვენი სახელოვანი პოეტი გ. ორბელიანიც ამას ღაღადებს: „ერის ცხოვრება, მისი დედაბა, მის ისტორია დაცულ არს ენით: რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი საყდარსა წმიდას“. უმინსკის სიტყვით, დედაენა არის აგრეთვე უდიდესი მოძღვარი ერისა. როცა რომელიმე თაობა სწავლობს დედაენას, იგი იძენს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ათასის წინანდელის თაობისას, რომელნიც დიდი ხანია მიწად არიან ნაქცევნი. რაც კი უნახავთ და გამოუცდიათ, რაც კი უგრძნვიათ და უფიქრნიათ ამ აურაცხელ წინანდელ თაობასა, გადაეცემა ბავშვსა დედაენის შუამავლობით ადვილად და უშრომელად და ბავშვი უდიდესი ძალით აღჭურვილი შედის ცხოვრებაში.

„როდესაც ბავშვი სწავლობს დედაენას, იგი გარეგან ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს – იგი სვამს სულიერ სიცოცხლეს და ძალას დედაენის სამშობლოს ძუძუდგან. დედაენა უხსნის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა მას ვერცერთი ბუნებისმეტყველი. იგი ასწავლის მათ ხასიათს ადამიანებისას, რომელნიც გარს არტყიან საზოგადოებას, რომელშიაც ბავშვი ტრიალებს, მის ისტორიას და მის მისწრაფებათა ისე, როგორც ვერ ასწავლიდა მას ვერცერთი ისტორიკოსი. მას შეყავს ხალხი რწმუნების პოეზიის ტაძარში ისე, როგორც ვერ შეიყვანდა ვერცერთი ესთეტიკოსი. დედაენა შესძენს ბავშვს აზრს იმისთანა ლოგიკურ შენობათა და ფილოსოფიურ შეხედულებათა, რომელთაც მას ვერ შეაძენინებდა ვერცერთი ფილოსოფოსი და სხვ“.

ამ ზემოთ მოყვანილ ვრცელი ციტატიდამ ნათლად სჩანს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია დედაენას რომელიმე ერის არსებობისათვის. პირველდაწყებით სკოლებში დედაენის სწავლების მიზანი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ბავშვს ცხადათ ესმოდეს, გაეგებოდეს ლიტერატურული ენა და თვითონ ხმარობდეს მას, როგორც წერაში, ისე ზეპირ ლაპარაკშიაც. თუ პირველდაწყებითი სკოლის ბავშვს კარგათ გაეგება თავის წლოვანებასთან შედარებული თხზულებათა შინაარსი, სწორედ ესმის სხვისი აზრი და თვითონაც კანონიერად გამოხატავს თავის საკუთარ აზრს, იმ შემთხვევაში ეტყობა, რომ ბავშვს შეუძენია დადაენის შესასწავლად უსაჭიროესი ელემენტები. მამასადამე, რამოდენიმე წლის სწავლების შემდეგ სასწავლებელმა უნდა იქამდის მიიყვანოს მოწაფე, რომ მას ჰქონდეს განვითარებული

გონება, ცხადი წარმოდგენილობა გარშემორტყმულ ბუნებაზე, განვითარებული მოსაზრება, გულის ზრახვა, მესხიერება და გრძნობები და ყველა ამის შემდეგ კარგად უნდა ესმოდეს განათლებული ზეპირი და წერიტი სიტყვა-პასუხი.

ერთი უსაჭიროესი დიდაქტიკური მოთხოვნილებათაგანი, როგორც ყველა საგნების, ისე დედაენის სასწავლებლადაც, არის ის, რომ თანდათან სწავლება უნდა იწყებოდეს იმ გონებითი განვითარებიდან, ცოდნიდან, რომელიც უკვე შეძენილი აქვს ბავშვს და აქედან უნდა გაუძღვეს წინ. ბავშვს აქვს მცირე წარმოდგენილება იმაზე, რასაც დაჰკვირვებია და უნახავს, ახალ წარმოდგენილებას იძენს ბავშვი თანდათან ახალ შთაბეჭდილებათა შეგროვებისდაგვარად. მაშასადამე, სწავლების დასაწყისი და მსვლელობა უნდა იწყებოდეს იქიდან, რაც ყმაწვილს კარგად შეუძენია შთაბეჭდილებათა საშუალებით, რომელნიც მიუცია მისთვის გარშემორტყმულ ცხოვრებას. ამის მიხედვით პირველდაწყებით სკოლებში წერა-კითხვის სწავლა უნდა იწყებოდეს მოკლე წინადადებებიდან, რომლებშიაც ცხადად სჩანს სიტყვების ურთიერთშორის კავშირი და გრამატიკული დამოკიდებულებანი. ეს წინადადებანი უნდა დაიყოს სიტყვებად, შემდეგ მარცვლებად და ხმებად. როდესაც მასწავლებელი იწყებს და შეუდგება სწავლებას ბავშვის მიერ ცნობილი ფაქტებიდან, ის უნდა წარუძღვეს სწავლების საქმეს შეუცდომლად და შეუფერხებლად. ამასთანავე მასწავლებელს ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს, რომ ახალი ცოდნა, სწავლა, რომელიც გადაეცემის ბავშვს, მჭიდროდ იქნას შეკავშირებული იმ დაკვირვება-ცოდნასთან, რომელიც ბავშვს უკვე შეძენილი აქვს. ახლად შეძენილი ცოდნა ძველ გონებრივ მასალასთან თავის მხრით უნდა შეადგენდეს წყაროს და საფუძველს შემდეგის დასკვნისათვის. მაგალითად, ვსთქვათ, წერა-კითხვის სწავლების დროს ბავშვმა გაიგო, რომ გამოთქმული აზრი, ანუ წინადადებანი შესდგებიან სიტყვებისაგან, მაშასადამე, სიტყვა ყოფილა წინადადების ნაწილი. აქ პედაგოგიური შედგომილობის მოთხოვნილებით უნდა გადავიდნენ სიტყვების მარცვლებად და არა ხმებად დაყოფაზე, როგორც ზოგი მასწავლებელი შვრება ხოლმე. დიდაქტიკური წესების და მოთხოვნილების დარღვევა ხშირად მოსდით მოუზადებელ და გამოუცდელ მასწავლებლებს და ეს შეადგენს იმის უმთავრეს მიზეზს, რომ ბავშვს კარგად არ ესმის გადაცემული ცნობები. იმის ნაცვლად, რომ მასწავლებლებმა წაიყვანონ სწავლების საქმე წინდაწინ შემუშავებულ, სასტიკად მოფიქრებულ გეგმაზე და ახსნან

სასწავლო მასალა ისეთი ფორმით და სისტემით, რომლის დროსაც შესაძლებელია მოწაფემ კარგად შეიგნოს, შეითვისოს გადაცემული სწავლა, ბევრი ჩვენებური მასწავლებელი ხშირად აძლევს გაკვეთილებს სრულიად უგეგმოდ, მოუფიქრებლად, უსისტემოდ, ამის გამო, ხშირად ბავშვის მიერ გასაგებ ცნობებთან გადასცემენ ისეთებსა, რომელთაც არავითარი ლოლიკური კავშირი არა აქვს წინად შექმნილს სწავლასთან.

ყველა საგნის წარმატებით სწავლება დამოკიდებულია აგრეთვე სწავლების დროს თანდათანობის დაცვაზე. გადადი ახლოდგან შორზე, მარტივი და ადვილიდგან რთულსა და ძნელზე, ცნობილიდგან უცნობზე, თვალსაჩინოდგან განწყენებულზე. ამბობენ, დიდაქტიკური კანონები, რომლებიც სასტიკად დაცულნი უნდა იქმნენ ყველა საგნისა და აგრეთვე დედაენის სწავლების დროსაც. სიახლოვე და სიშორე საგნებისა პირდაპირ კი არ უნდა გვესმოდეს, როგორც ეს მოდათ ზოგ პედაგოგებს და მათ შორის შესანიშნავ პედაგოგს პესტალოცსაც – ეს უნდა გვესმოდეს, გაგვეგებოდეს აზრგადატანილად, ფსიხოლოგიურად. დაიწყე სწავლება ისეთის საგნებიდგან და ფაქტებიდგან, რომლებიც ახლოა, მონათესავეა და საინტერესო ბავშვის ჭკუა-გონებისათვის და თანდათან გადადი ისეთ საგნებზე, რომელიც ცოტათ დაშორებული, მცირე მონათესავე და მცირედ საინტერესოა. დედაენაში პირველდაწყებითი სკოლის მოწაფეთათვის უფრო გასაგები და დაახლოვებულია ისეთი მოკლე სიტყვა-პასუხი, რომელიც შესდგება აზრით დამთავრებული წინადადებათაგან. უფრო გასაგებია ისეთი ნაწარმოებები, რომელშიაც სიტყვები ეხება თვალსაჩინო და არა განწყენებულ საგნებს. აქედგან ცხადათ სჩანს ის თანდათანობა, რომელიც უნდა დაიცვას მასწავლებელმა საკითხავი მასალის მოწოდების დროს. მარტივი და ადვილი ისეთი საგნებია, რომელნიც არ განირჩევიან გარეგან და შინაგან თვისებათა სხვადასხვაფერობით: იმერული კავი უფრო მარტივია გუთანზე, მზის საათი – კედლის ანუ ჯიბის საათზე. პირველდაწყებით სწავლებაში უფრო მარტივი არის ისეთი კითხვები, რომელიც თავის შედგენილობით შეეხებიან არა რთულ საგნებს, რომელიც ისწავლება ბავშვების მიერ დაკვირვებით. ცალცალკე სიტყვების ამოკითხვა პირველად უფრო ადვილია, ვიდრე კითხვა წინადადებათა და მთელი სტატიებისა. ამის მიხედვით, რაკი ბავშვი შეისწავლის რამდენიმე ასოს გარჩევას და მათ მარცვლებად შეერთებას, უნდა მიეცეს წასაკითხად ჯერ ცალკე სიტყვები, მერე ორის, სამის და ოთხის სიტყვისაგან შემდგარი წინადადებები,

ბოლოს მოკლე სტატიები, რომელთაც მოყვება თანდათან ვრცელი მოთხრობები, ლექსები, აწერილობანი, ზღაპრები და სხვა.

„გადადით ცნობილიდგან უცნობზეო“, – ამ მოთხოვნის შესრულება შეადგენს ერთგვარ პრაქტიკულ სიძნელეს, რადგანაც პირველად სკოლაში შემოდიან სულ სხვა და სხვა ცნობით აღჭურვილი ბავშვები. მაგრამ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მასწავლებელს შეუძლიან და შეუმსუბუქდება კიდევ მისი დაკმაყოფილება თუ ყურადღებას მიაქცევს და გაიცნობს სკოლაში შემოსვლის დრომდის ბავშვების ერთფერულ ცხოვრებას, მათ მომზადებულობას, განვითარებას. ამიტომ საუკეთესო პედაგოგები და პსიხოლოგები ურჩევენ მასწავლებლებს – მოწაფეებს დაუწყონ სწავლება მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად გაიცნობენ საზოგადოდ ყველა მოწაფის გონებაგახსნილობის ვითარებას და კერძოდ თითოეულის პიროვნებით, ინდივიდუალურ განსაკუთრებას. ინგლისელი პსიხოლოგი ბენი ამბობს: „ის მასწავლებელი, რომელიც სწავლების დროს არღვევს დიდაქტიკურს კანონს – გადადი ცნობილიდგან უცნობზეო – უნდობლად ცუდია და რომელსაც კი შეუძლიან გულზე ხელდადებითა სთქვას, რომ მას არასოდეს არ დაურღვევია ეს კანონი, ღირსია უკვდავი დიდებისაო“. მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სწავლების დროს ცნობილიდგან უცნობზე გადასვლა შველის ბავშვებს ცნობების საფუძვლიანად, ცხადად და სისტემატურად შეძენაში. ვსთქვათ მოწაფეებმა უნდა შეისწავლონ რომელიმე ახალი ხმა, ამისათვის ხმის გამოსაცალკევებლად, ანალიზისათვის უნდა იქმნას ალბუმი ისეთი სიტყვა, რომელშიაც ერთის ხმის გარდა ყველა იციან. ცნობილ ხმებთან ერთად ბავშვები ადვილად გამოიცნობენ უცნობ ხმასაც. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს კაცმა, რომ ვიდრე მასწავლებელი გადასცემდეს მოწაფეებს რასმე ახალ ცნობებს, საჭიროა მასწავლებელმა წინ და წინ მოიფიქროს, თუ რომელ წინად შეძენილ ნასწავლ მასალას შეუძლიან შეუერთონ ახლად ნასწავლი და სხვ.

ყველა ახლად შეძენილი ცოდნა შეიქმნება ბავშვის საკუთრებად და დაიცვის მათ მეხსიერებაში მხოლოდ მაშინ, თუ ხსენებული ცოდნა შეძენილი აქვს ბავშვს თავისთავად, დამოუკიდებლად, თავის საკუთარი მოსაზრებით. აქედან გამომდის საჭიროება მოწაფის თვითმოქმედების გაღვიძებისა, სამშობლო ენის შესწავლის დროსაც, უმეტეს ნაწილად, წერა-კითხვის გაკვეთილი იქნება თუ კითხვის ან გრამატიკის, ყოველთვის მოწაფე უნდა მუშაობდეს დამოუკიდებლად; მხოლოდ მასწავლებელმა კი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მო-

წაფეებს მისახვედრი კითხვებით, დააწყოს, დაალაგოს სასწავლო მასალა წინად მოფიქრებულ გეგმაზე; მოწაფეები იძენენ ცნობებს ან დასკვნიდგან, რომელსაც თვითონ დამოუკიდებლად მასწავლებლის მისახვედრი კითხვების შემწეობით გამოიყვანენ და ან მზამზარეულ დებულებათაგან. მათი უპირატესობა დამოკიდებულია როგორც სასწავლო საგნის ხასიათზე, აგრეთვე მოწაფეების გონება-განვითარებაზედაც. მაგალითად, გრამატიკის, ენის კანონების შესწავლის დროს სასარგებლოა პირველი საშუალება. რადგანაც, საზოგადოდ, ერთის მხრით ბავშვის გონება გაფანტულია და მეორეს მხრით, რადგანაც ის ცნობები, რომელიც დამოუკიდებლად თვითმოქმედებით არის შეძენილი, უფრო მკვიდრი და საფუძვლიანია, ვიდრე მზამზარეულად გადმოცემული სწავლა; ამიტომ, მასწავლებლები ყოველ საჭირო შემთხვევით უნდა სარგებლობდნენ, რომ შესაფერისი და მისახვედრი კითხვებით გამოიწვიონ მოწაფეებში თვითმოქმედება რომელიმე წესის და კანონის შესამუშავებლად.

უმთავრესნი საშუალებანი სამშობლო ენის წესიერად შესასწავლად არის: კითხვა, ზეპირი სიტყვა-პასუხი, მწერლობითი და გრამატიკული ვარჯიშობანი.

მასწავლებელი მოვალეა ასწავლოს მოწაფეებს ხმამაღალი, კანონიერი, სწრაფი, შეგნებული და ხელოვნებითი კითხვა. ამისათვის მასწავლებელს ცხადად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, როგორც კითხვის ჩამოთვლილ თვისებათა მნიშვნელობა, აგრეთვე ის საშუალებანიც, რომლითაც შეიძლება მიზნისადმი მიღწევა.

ხმამაღლა კითხვა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული მოწაფის მიერ გამოთქმული სიტყვა ადვილად, ცხადად, თავისუფლად, მსმენელების ძალადაუტანებლად იყოს გასაგონი, როგორც სხვა მოწაფეთა, ისე მასწავლებლებისათვისაც. თუ კითხვის ამ თვისებას სკოლაშივე არ მიექცა შესაფერისი ყურადღება, ბავშვი ამგვარ ჩვეულებას სკოლიდან ცხოვრებაშივე გაიტანს; ამიტომ, მასწავლებლები კითხვის დაწყების პირველ დღიდანვე ვალდებული არიან ეცადონ და დააჩვიონ მოწაფეები ზომიერ ხმამაღალ წაკითხვას. ამისათვის არსებობს შემდეგი საშუალებანი: ა/ მუდმივი აუცილებელი მოთხოვნა, რომ ბავშვმა იკითხოს ხმამაღლა. როცა ბავშვი ჩუმად კითხვას დაიწყებს, მასწავლებელმა მაშინვე უნდა მიაქციოს ყურადღება და ეცადოს წაკითხოს ის ხმამაღლა, როგორც რიგია. რაკი მოწაფეები გაიგებენ მასწავლებლის მუდმივ მოთხოვნა, თვითონაც ეცდებიან მისს დაკმაყოფილებას.

ბ/ მასწავლებლის საქციელში, სიტყვა-პასუხში, მოქმედებაში არაფერი არ უნდა იყოს იმისთანა, რომელსაც შეეძლოს ბავშვის დაფრთხობა, შეშინება, მისთვის რომ მშიშარას და დამფრთხალ ბავშვს არასოდეს არ შეუძლიან თავისუფლად, მთელის ხმით წაკითხვა. მასწავლებლის დაუნდობლობა და შიში, ბავშვებს უკარგავენ თავიანთ ფიზიკურს და სულიერს ძალას, პარვენ ხმებს და ძლივს გასაგონებლად კითხულობენ. შიში და გაუბედაობა კი არა, სრული ნდობა და სიყვარული მასწავლებლისადმი – აი, რა უხსნის ენას ბავშვებს და ავალებს ამ უკანასკნელებს დააკმაყოფილონ მასწავლებლის ყველა მოთხოვნილება და მასთან ხმამაღალი კითხვაც.

გ/ თუ მოწაფე ჩუმად, ხმადაბლა კითხულობს, მასწავლებელმა უნდა უთხრას მოწაფეს, რომ მას არ ეყურება წაკითხული, გაშორდეს თვითონ მოწაფეს, რომელიც ჩუმად კითხულობს და მოითხოვოს ხმამაღალი კითხვა. ამ ზომის ვარვისობას გამოცდილება სრულიად ამტკიცებს.

დ/ როცა მოწაფე ჩუმად კითხულობს, მასწავლებელი უბრძანებს სხვა მოწაფეს, რომელიც ხმამაღლა კითხულობს, იმასვე, შემდეგ მიუბრუნდება და ეტყვის: აბა, ახლა შენ სცადე, წაიკითხე ისე ხმამაღლა, როგორც შენმა ამხანაგმა წაიკითხა, რასაკვირველია შენც ისე წაიკითხავ, მხოლოდ უნდა ეცადო კი.

ეს საშუალება ამხნეებს ბავშვს და უღვიძებს კეთილმოშურნობას, უჩვენებს ბავშვს, რომ მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ იმასაც თავის ამხანაგვით კარგად შეუძლიან წაკითხვა.

ე/ ერთად ხოროთი კითხვაც ერთი კარგი საშუალებათაგანია ხმამაღალი კითხვის შესასწავლად. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ბავშვების უმეტესი რიცხვი ხმამაღლა წარმოსთქვამს სიტყვებს, ჩუმად მკითხველებიც თავის თავად შეუმჩნევლად მიყვებიან საზოგადო ხმამაღალ კითხვას, შესაფერისი სიძლიერით წარმოსთქვამენ სიტყვებს.

ვ/ გალობაც და სიმღერებაც ერთ საუკეთესო საშუალებად არის აღიარებული. გალობა უხსნის ბავშვს ხმის ორგანოებს. ამიტომ სიმღერა-გალობის სწავლებასაც დიდი გავლენა აქვს ხმამაღლა კითხვაზე. ის ბავშვი, რომელიც გალობს, ყოველთვის შესაფერისად ხმამაღლა კითხულობს.

ზ/ თვით მასწავლებლის ხმამაღალ კითხვასაც აქვს მნიშვნელობა. იქ, სადაც მასწავლებელი ჩუმად კითხულობს, მოწაფეებიც ამ თვისებით განირჩევიან. მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება მოწაფის ხმის სიძლიერეს; გაკვეთილების შუა, თამაშობის დროს, და თუ

დაინახა, რომ მოწაფე ხმამაღლა ლაპარაკობს თავის ამხანაგებში, მასწავლებელს შეუძლიან სამართლიანად შენიშნოს, რომ თუ თამაშობის დროს ლაპარაკობს ხმამაღლა, კლასში კითხვის დროსაც არ უნდა ჩამორჩეს თავის ამხანაგებს და სხვ.

კანონიერი კითხვა ჰქვიან ხმების, მარცვლების და სიტყვების ისეთს გამოთქმას, რომ მათში არ იყოს არც გამოტოვებული, არც ჩამატებული, არც გადატან-გადმოტანილი და არც ჩართული ერთის ხმის, მარცვლის, სიტყვის მაგიერ, რაც არ არის სიტყვაში ან წინადადებაში. პირველი საშუალება კანონიერი კითხვის შესასწავლად არის თვითონ მასწავლებლის მიერ ყოველის მხრით წესიერი კითხვის ცოდნა. მასწავლებლის მაგალითი, როგორც სხვა მხრივ, ისე კითხვის სწავლების დროსაც ნაყოფიერად მოქმედობს ბავშვზე. გარდა თავისი საკუთარი მაგალითისა, მასწავლებელი კანონიერი კითხვის სწავლების დროს უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი დიდაქტიკური წესებით: კითხვის დროს დაშვებული შეცდომები პირველად უნდა გაასწოროს იმ მოსწავლემ, რომელმაც დაუშვა შეცდომა, თუ მან ვერ გაასწორა, მაშინ უნდა მიმართონ სხვა მოწაფეებს. თვითონ მასწავლებელმა ძალიან იშვიათ შემთხვევაში უნდა გაასწოროს მოწაფის მიერ დაშვებული შეცდომები, მხოლოდ მაშინ, როცა ხედავს, რომ მოწაფეთაგან არავის შეუძლიან რომელიმე შეცდომის გასწორება; როდესაც სხვა მოწაფეთაგანი ან მასწავლებელი გაუსწორებს შეცდომას რომელიმე მოწაფეს, მაშინ ამ უკანასკნელმა უნდა წაიკითხოს ისე, როგორც გაუსწორეს. თუ მოწაფეებს უჭირთ რომელიმე სიტყვის კანონიერად გამოთქმა, მაშინ სიტყვა უნდა დაჰყონ მარცვლებად და ისე ათქმევინონ, სანამ არ დაისწავლიან. ხოროთი კითხვაც კარგი საშუალებაა კანონიერი კითხვის შესწავლისათვის. ხოროთი კითხვის დროს მოწაფეები უფრო ხალისიანად და ცოცხლად ვარჯიშობენ სიტყვების კანონიერად გამოთქმაში, ვიდრე ცალკე კითხვის დროს. სუსტი ბავშვი ყურს უგდებს თავისი ამხანაგების კანონიერს გამოთქმას და თვითონაც უნებლიეთ ბაძავს მათ. ისეთი სიტყვები, რომელიც წასაკითხავად ძნელია, უნდა დაიწეროს საკლასო დაფაზე და თვითონ მოწაფეებმა უნდა ჩასწერონ თავიანთ რვეულში. ამ შემთხვევაში მოწაფეებს ეძლევათ საშუალება მიაქციონ ყურადღება იმ ხმებს, რომლისაგანაც შესდგება ხსენებული სიტყვა და დაიმახსოვრონ მისი სწორი გამოთქმა. ხშირად მოწაფე ჩქარობს კითხვის დროს და უკანონოდ გამოთქვამს სიტყვებს უყურადღებობისა და სინქარის გამო. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა

უნდა შეაჩეროს მოწაფე, დაუშალოს სიჩქარე და მიაქციოს ყურადღება წასაკითხ სიტყვაზე.

ყველაზე უფრო გულმოდგინება და სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებელმა პირველ წელიწადს, პირველად კითხვის დაწყების დროს, რადგანაც პირველ წელიწადსვე იდება პირველი უსაჭიროესი საფუძველი და ჩვეულებები კითხვაში დახელოვნებისათვის. რამდენადაც უკეთესი საფუძველი ჩაიდება პირველ წელს კანონიერი კითხვის შესწავლისათვის, იმდენად უფრო ნაყოფიერად წავა კითხვის სწავლების საქმე შემდეგ წლებში; პირიქით, თუ ბავშვი პირველ წელს ცუდად კითხვას დაეჩვია, მაშინ მისი გადაჩვევა თუ სრულიად შეუძლებელი არ გახდება, მაინც ძალიან გააჯანჯლებს საქმეს.

კანონიერად კითხვის შესწავლის დროს აგრეთვე მცირე მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ როდის სწორდება შეცდომები და როგორ ატყობინებს ამას მასწავლებელი მოწაფეებს. შეცდომები უნდა სწორდებოდეს მაშინვე კი არა, როცა დაუშვა, – მთელი წინადადების წაკითხვის შემდეგ, მისთვის რომ ადვილად მიეჩქეს ყურადღება წაკითხული წინადადების ამრსაც. აგრეთვე არ შეიძლება შეცდომების გასწორება მთლად სტატიის წაკითხვის შემდეგაც, რადგანაც, ამ შემთხვევაში ბავშვებს ადვილად დაავიწყდებათ ის შეცდომები, რაც წინათ დაუშვეს.

თითოეული წინადადების, ანუ ცალკე სიტყვების წაკითხვის დროს მასწავლებელი ეუბნება მოწაფეებს, რომ ზოგიერთი სიტყვები უკანონოდ არის წაკითხულიო; მასწავლებელი ხან პირდაპირ და ხან დაახლოვებით ანიშნებს, სად არის შეცდომებით წაკითხული სიტყვა: დასაწყისში, შუაში, ბოლოში, რომელ სტრიქონზე და სხვა. ხან მასწავლებელი თვითონ წარმოსთქვამს მოწაფის მიერ შეცდომით წაკითხულ სიტყვებს, ან კანონიერად და ან ყველა იმ შეცდომებით, რომელიც მოსწავლემ დაუშვა წაკითხვის დროს. ხანდისხან შეცდომის დაშვების დროს მასწავლებელი მაგიდაზე ფანქრის დარაკუნებით ატყობინებს მოწაფეებს თუ სად რამდენი შეცდომა დაუშვა.

სწრაფად კითხვა იმაში მდგომარეობს, რომ მოწაფემ ჩქარა შეაერთოს ასოები მარცვლებად და ეს უკანასკნელი სიტყვებად, რომელიც შეადგენს წინადადებას.

პირველი საშუალება სწრაფად კითხვის შესწავლისათვის არის, რაც შეიძლება, კითხვაში ხშირი ვარჯიშობა. ვინც ცოტას კითხულობს, ის სწრაფად წაკითხვას ვერ ისწავლის. მოწაფეებმა უნდა იკითხონ, რაც შეიძლება ბევრი ახალ-ახალი სტატიები, მაგრამ ეს იმას არ ნიშ-

ნავს, რომ კითხვის სწავლება აჩქარებით იცოს წაყვანილი. ბავშვები წაიკითხავენ როგორმე ერთ სტატიას თუ არა, გადავიდნენ მეორეზე. არა, თითოეული სტატია, მოთხრობა, ანუ ლექსი უნდა იკითხებოდეს იქამდის, მანამ ყველა მოწაფე არ წაიკითხავს საკმაოდ სწრაფად და კანონიერად. ერთის მხრით, რომ გააცოცხლონ კლასი და მეორეს მხრით, რომ სუსტ მოწაფეებსაც ჰქონდესთ შეძლება თავის ამხანაგებთან ერთად მსვლელობისა. პედაგოგები ურჩევენ მასწავლებლებს ხშირად მიმართონ გუნდობით კითხვას, მხოლოდ ხოროთი კითხვა ისე უნდა იქმნეს წარმართული, რომ ნამდვილად ყველა მოწაფემ და განსაკუთრებით სუსტებმა მიიღონ შიგ მონაწილეობა, ასე რომ ხოროთი წაკითხვის დროს საზოგადოდ უსათუოდ ყველანი ვარჯიშობდნენ კითხვაში.

შეგნებითი ანუ განმარტებითი კითხვა თხოულობს, რომ მოწაფემ ყველა მის მიერ წაკითხულ სიტყვებს შეუერთოს ის მნიშვნელობა, რომელიც წაკითხულ სიტყვას ეკუთვნის, ამიტომ, თუ რომელიმე წაკითხვის დროს მოწაფის სულში არ განიღვიძებენ შესაფერისნი წარმოდგენანი და ცნებები, მაშ მოწაფე კითხულობს შეუგნებლად, მეხანიკურად. ყველა პირველ საკითხავ წიგნში მოიპოვება საჭირო რიცხვი ისეთი სტატიებისა და მოთხრობებისა, რომელნიც აცნობებენ ბავშვს მისთვის სრულიად ახალს ცნობებს, რომელიც აფართოებს ბავშვის გონებითს ჰორიზონტს და აკეთილშობილებს მისს ზნეობრივ ბუნებას, ამიტომ ამგვარი საკითხავი მასალის შემუშავების კითხვასთან უნდა მიყვებოდეს სხვა და სხვა განმარტება, ახსნა და საზოგადოდ მასწავლებლის საუბარი მოწაფეებთან, რომელნიც მხოლოდ მაშინ შეითვისებენ რომელიმე სტატიის დედა აზრს, როდესაც მასწავლებლის ხელმძღვანელობით ექმნებათ სრულიად შეგნებული და შეთვისებული რომელიმე სტატიის არა მარტო თითოეული აზრი ცალ-ცალკე, ერთი მეორეს დამოუკიდებლად, არამედ, შინაგანი ლოგიკური კავშირიც მათ შორის, როგორც ცნობილი, განსაზღვრული წესი აზრთა, როგორც რამე მთელი, მწყობრი, ორგანიული; მხოლოდ ამნაირი შეგნება აზრთა ურთიერთშორის დამოკიდებულებისა შველის ბავშვს გონების განვითარებაში და გონიერი სიტყვა-პასუხის შესწავლაში.

კითხვის უკანასკნელ და უმაღლეს ნაბიჯს შეადგენს ხელოვნებითი კითხვა, რომლის დროსაც მკითხველი ნათლად დაუხატავს და წარმოუდგენს მსმენელებს იმ აზრს და გრძნობას, რომელიც მიქცეულია წასაკითხ სტატიაში. რასაკვირველია, ბავშვს, რაკი ის სულიერად მცირედ განვითარებულია, არ შეუძლიან შესაფერისი სისრულით და

ძალით გამოთქვას იმისთანა გრძნობები, რომელიც მოზრდილ კაცს შეეხება; ამიტომ პირველდაწყებითი სკოლის მოწაფეთაგან სრულიად საკმარისია, თუ ისინი კითხულობენ ისე, თითქოს თავისუფლად ლაპარაკობდნენ. პირველდაწყებითი სკოლის მოწაფის კითხვის სასურველ დაფასებას წარმოადგენს ის გარემოება, თუ მოწაფის კითხვის დროს მსმენელი გამოცდის ისეთს შთაბეჭდილებას, რომ მკითხველი თითქოს კი არ კითხულობს, არამედ თავისუფლად და მკაფიოდ საუბრობს.

რუსების ერთი საპატიო პედაგოგი შემდეგნაირად ახასიათებს ხელოვნებითი კითხვის მნიშვნელობას პირველდაწყებით სკოლებში: „ყველა ჩვენგანს გამოუცდია, თუ როგორის სიამოვნებით ვუგდებთ ყურს იმისთანა მკითხველს, რომელიც კითხულობს ისე, თითქოს წიგნში არ იცქირებაო, მოგვითხრობს რასმე, ე. ი. კითხულობს ხელოვნურად, მაგრამ სოფლის და საზოგადო პირველდაწყებით სკოლებში ხელოვნური კითხვის სწავლებას არა მარტო კმაყოფილები-სათვის უნდა მიექცეს ყურადღება, არამედ, განსაკუთრებით მისთვის, რომ სკოლაში ნასწავლთ თავის კეთილხმოვანი კითხვით შეეძლოს გაუნათლებელი ხალხისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანა. სკოლამ უნდა აღზარდოს ისეთი წამკითხავები, რომელთაც სიამოვნებით უნდა უსმენდეს უბრალო წერა-კითხვის უმეცარი ხალხი, რომ თავის ხელოვნურ კითხვით მოიტაცონ მსმენელები, რომელთაც განეღვიძებათ სურვილი მკითხველისადმი ყურადღებისა. ჩვენში ყველა მასწავლებელი არ აქცევს შესაფერის ყურადღებას ხელოვნებით კითხვას. ჩვენი ხალხი სოფლებში მოკლებულია ამისთანა წამკითხველებს. ამიტომ ხშირად ვინ იცის კვირა-უქმე დღეებში როგორ ატარებენ დროს ჩვენებური წერა-კითხვის უმეცარი და ხელოვნურ წამკითხველებს მოკლებული გლეხები. წიგნების კითხვა და წასაკითხის მოსმენა შეადგენს საუკეთესო და ერთადერთ სასარგებლო დროს გატარებას მუშა ხალხისათვის. ამნაირი ნაყოფიერი შედეგი სკოლისა კითხვის საქმეში აღამალლებს სკოლას მდაბიო ხალხის თვალშიაც, რომელიც ისეთის ეჭვის თვალთ ცქერას არ დაუწყებს სკოლებს, როგორც დღევანდელ სკოლებს უყურებს. ამიტომ ვიმეორებთ, რომ ფრიად საჭირო არის მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ყველა ზემოთ მოყვანილ თვისებებს, რომ სკოლას, რომლის შესანახავად მიიღებენ ხარჯში მონაწილეობას გლეხები, ჰქონდეს ამ უკანასკნელებზედაც შესაფერისი გავლენა.

გარდა კითხვის სწავლებისა დედაენის სწავლების დროს მასწავლებლის ყურადღება უნდა იქმნას მიქცეული აგრეთვე მოწაფეების

ზეპირ სიტყვა-პასუხზედაც, ამისთვის მასწავლებელი უნდა სარგებლობდეს ყველა გაკვეთილით, რომ ბავშვი მართლა მიეჩვიოს სწორ ლაპარაკს. პირველად ზეპირსიტყვიერების გასაძლიერებლად საუკეთესო საშუალებად არის აღიარებული მოწაფეების სრული პასუხი, რომელშიდაც იმეორება თითქმის ყველა ნაწილი კითხვით წინადადებისა. სხვა საშუალებათა შორის საყურადღებოა აგრეთვე: ა/ ცოცხალი ლაპარაკი, ბ/ წაკითხულის ანუ გაგონილის შინაარსის წარმოთქმა. კითხვის გაკვეთილებიც წარმოადგენენ ერთ საუკეთესო საშუალებას, რომ ბავშვს შეეძლოს თავის აზრის კანონიერად, მკაფიოდ და ლოგიკურად გამოხატვა ზეპირად ანუ დაწერილ; ვინც კარგად ლაპარაკობს, ის კანონიერ წერასაც მალე ისწავლის. უმთავრესი მიზანი ბავშვების სიტყვიერების შემუშავებისა იმაში მდგომარეობს, რომ ის მცირე სიტყვები და გამოთქმანი, რომლითაც ბავშვი შედის სასწავლებელში, შეავსონ, გაამდიდრონ. ბავშვის პირველყოფილი ენა უნდა გაიხსნას, განვითარდეს, გაიწმინდოს ესრედწოდებული პროვინციალიზმებისა და ბარბარიზმებისაგან; გაკეთილშობილდეს იმ სიტყვა-პასუხით, რომელიც შეადგენს ლიტერატურული სიტყვიერების კუთვნილებას და ამნაირად ბავშვმა უნდა ისწავლოს არა მარტო გაგება ლიტერატურული ენისა, არამედ უნდა შესძლოს მისი ხმარება და სარგებლობაც. დიდი გავლენა აქვს აგრეთვე ოჯახსაც ბავშვის სიტყვიერების კანონიერ განვითარებაზე – ლაპარაკში ბავშვები ჰბაძავენ მათ, ვინც გარშემო არტყიათ, თუ ბავშვს მუდამ კანონიერი და წმიდა სიტყვა-პასუხი ესმის, – ისიც ერგევა წესიერად ლაპარაკს; პირიქით, თუ ბავშვს ესმის უწესო და უხეირო ლაპარაკი – თვითონაც მიეჩვევა ცუდ ლაპარაკს, ამისთვის ფრიად საჭიროა, რომ როგორც ოჯახში, ისე, რასაკვირველია, სკოლაშიაც ბავშვი მუდამ ხედავდეს უფროსებში კანონიერი სიტყვა-პასუხის მაგალითებს, აქედგან სჩანს, თუ რა მავნებლობას სჩადიან ზოგიერთი მშობლები და სხვებიც, რომლებიც პატარა ბავშვებს განგებ უქცევენ ლაპარაკს. როცა თავიდან დაეჩვევა კაცი ურიგოდ ლაპარაკს, შემდეგში ძნელი გადაჩვევა; ბავშვობის დროს შეძენილი ცუდი ჩვეულებები ყოველთვის თავს იჩენს და ხელს უშლის ადამიანს გონებრივი განვითარების საქმეში. ზეპირი სიტყვიერების გასაძლიერებლად ერთი უკეთესი საშუალება არის აგრეთვე დაკვირვებითი სწავლა, რომლისთვისაც, იმ მოსაზრებათა ძალით, რომ ყველა საგანი თვალსაჩინოდ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებით სკოლებშიო, ცალკე გაკვეთილები არ არსებობენ, მხოლოდ ხანდისხან მასწავლებელი რომელიმე სა-

კითხის ახსნის, განმარტების დროს, გამართავს მოწაფეებთან საუბარს წაკითხულ საგანზე. ბავშვის გარშემორტყმული ბუნება, ბუნებითი და ხელოვნებითი საგნები, მოვლენანი წარმოადგენენ ურიცხვ მასალას ბავშვების ცნებების და წარმოდგენილებათა გასამდიდრებლად, მხოლოდ საჭიროა ამ საქმეში გონიერი დახმარება და ეს დახმარება იმაში მდგომარეობს, რომ დედა, მამა ანუ სხვა პირი, რომელიც ზრდის ბავშვს, უნდა ცდილობდეს მისი ყურადღება მიაქციოს რომელიმე საგანზე, მის თვისებასა და მოქმედებაზე. როცა ბავშვი გაიცნობს საგნებს და მოვლენებს, ის შეადგენს წარმოდგენილებას და ცნებებს მათზე და თავის დაკვირვების სიტყვიერად გამოთქმის დროს, ბავშვი ავარჯიშებს თავის ზეპირ სიტყვიერებასაც მისთვის, რომ ბავშვმა ყურადღება მიაქციოს საგნებს და მის თვისებებს და გამოხატოს თვითონვე თავის შენიშვნები სიტყვებით, საჭირო არ არის მოწოდება გონიერის კითხვებისა ხსენებული საგნის და მის თვისებათა შესახებ. ბავშვი ზეპირ მეტყველებაში ვარჯიშდება, აგრეთვე წაკითხულის ანუ გაგონილის სტატიის შინაარსის მოთხრობით, მშობლიური სამაგალითო ლექსების ზეპირად დასწავლით და ხელოვნურად წაკითხვით, რომელიც აგრეთვე ღრმად განმანათლებლად და აღმზრდელად მოქმედებს ბავშვის სულზე, უღვიძებს მას ოცნებას, ესთეტიკურს და მწეობრივ გრძნობებს.

ბავშვების წერაში გასამართავად არსებობენ შემდეგი ვარჯიშობანი: ა/ პირდაპირ წიგნიდგან გადაწერა, ბ/ კარნახი, გ/ დასწავლილი სტატიების ზეპირად დაწერა, დ/ პატარ-პატარა თხზულებების შეთხზვა მიცემულ პროგრამაზე, ე/ უბრალო საგნების აღწერილობა, ადვილი მოთხრობები და საქმის ქაღალდების შედგენა იმ საგნის შესახებ, რომელიც არ გამოდის ბავშვის ცნობების წრიდგან.

წიგნიდგან გადაწერა არის ყველაზე უფრო ელემენტარული ხერხი ბავშვების წერაში სავარჯიშოდ, მაგრამ რომ ეს სამუშაო მექანიკურ ვარჯიშობად არ გადაიქცეს, საჭიროა მასწავლებელმა იშვიათად მიმართოს პირდაპირ გადაწერას.

კარნახი შეადგენს ისეთ სავარჯიშოს, როდესაც ბავშვი სხვის სიტყვებიდან ეჩვევა წერას, ვარჯიშდება მართლწერისათვის საჭირო გრამატიკულ და ორთოგრაფიულ ფორმებში.

ზეპირად დასწავლილი სტატიების და მოთხრობების წერა აჩვევს ბავშვებს აზრის ლოგიკურად დალაგებას, პრაქტიკულად იძენს ბავშვი ჩვეულებას, რომ კანონიერად შეუთანხმოს ერთმანეთს წინადადებების ნაწილები და თავიანთ ადგილას დასვან წერის ნიშნები.

კლასში ახსნილი სტატიების შინაარსის შემოკლებულად თქმა შველის გაუღვიძოს და განუვითაროს ბავშვებს მოსაზრება იმის შესახებ, თუ რომელი საგანი უფრო საჭიროა და აუცილებელი სტატიაში და რომლის გამოტოვებაა შესაძლებელი აზრის დაურღვევლად. შეიძლება სტატიის შემოკლებული შინაარსის დაწერაც. ეს ვარჯიშობანი მით უფრო ბევრს მასალას იძლევიან წერითი სიტყვიერების შესამუშავებლად, რამდენადაც სტატიის შინაარსის გამოთქმაში შეხვდებით უფრო სხვა და სხვაფერობა.

დასასრულ, პატარ-პატარა თხზულებებიც ითხოვენ მოწაფეთაგან თვითმოქმედებას. თხზულების შესამუშავებლად მასწავლებელი აძლევს მოწაფეებს მხოლოდ დარიგებას, საზოგადო მოცულობას, უმთავრესს აზრს და ლოგიკურ კავშირს წინადადებისას; მოწაფემ კი თანახმად თხზულების დანიშნულებისა თვითონ უნდა შეთხზას ფორმამცემული მასალის შესამუშავებლად. რასაკვირველია, ყოველთვის სავარჯიშო საგანი უსათუოდ უნდა ეთანხმებოდეს მოწაფის გონებითი განვითარების ხარისხს და სასწავლო მეცადინეობის საზოგადო მსვლელობას. ამასთანავე ყველა მოწაფის ნაწერები ყურადღებით უნდა გადაათვალიეროს მასწავლებელმა, აღნიშნოს ხაზის გასმით, სადაც შეცდომებია და რვეულების დაბრუნების დროს მოწაფეებს უნდა გაასწორობინოს. უამისოდ მოწაფეები შემდეგშიაც არ ისარგებლებენ შეცდომების გასწორობით. მასწავლებელმა მოწაფის მიერ დაშვებული შეცდომა თვითონ აღარ უნდა გაასწოროს. თვითონ უნდა უჩვენოს მოწაფეს, სად არის შეცდომა და თუ რომელ ადგილას რა შეცდომა არის; ამის გამოცნობა და შეცდომების გასწორობულად რვეულში ამოწერა მოწაფეებს უნდა ჰქონდეს დავალებული.

ენის შესწავლა შეიძლება თეორიულად და პრაქტიკულად. პრაქტიკულად ბავშვები სწავლობენ ენას ლაპარაკის და ცხოველ საუბრის დროს ანუ წერა-კითხვის სწავლების დროს; თეორიულ ცნებებს ენის შესახებ შეიძენენ გრამატიკის გაკვეთილებზე. პირველდაწყებით სკოლებში საგრამატიკო ვარჯიშობანი შეადგენენ კანონიერ მოთხოვნადას სამშობლო ენის შესასწავლად. თუ გრამატიკიდან ცნებები ბავშვებისათვის ძალისებრივი და ადვილად გასაგები იქნება, გრამატიკიდანაც შეუძლიან მასწავლებელს ამოიღოს ისეთი სავარჯიშოები, რომლითაც შეუძლიან გამოიწვიოს ბავშვის აზრის მოქმედება. მხოლოდ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პირველდაწყებითი სკოლებისათვის პროგრამით დანიშნული საგრამატიკო ცნობები უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკულად, შემოკლებით, უნდა ისაზღვრებოდეს მხოლოდ სი-

ნტაქსური და ეტიმოლოგიური მასალის უსაჭიროესად შემუშავებით. წიგნში გრამატიკის სწავლება ავნებს მხოლოდ საქმეს, რადგანაც ამ დროს გრამატიკის სწავლება მიიღებს დოღმატიურს ხასიათს, რაც უადგილო არის ელემენტარულად სწავლების დროს. ენის რიგიანად შესწავლისათვის საკმარისი არ არის მარტო ან თეორეტიკულად ან პრაქტიკულად შესწავლა ენისა, საჭიროა ერთიც და მეორეც. თეორეტიკულად შესწავლა ენის, ანუ გრამატიკა, ამოკლებს დროსა და შრომას ენის შესასწავლად, ადგენს საზოგადო კანონს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს სულ ყველა და არა რომელიმე პირი მარტო; პრაქტიკულად ცოდნა ენისა კი აძლევს სიცოცხლეს და მნიშვნელობას გრამატიკულ კანონებს, რომლებიც მკვიდრად ჩაიბეჭდებიან ბავშვის მეხსიერებაში და მოქმედებენ მასზე განმავითარებლად. უმახლობელესი დანიშნულება და მიზანი გრამატიკისა, როგორც სასწავლო საგნისა, იმაში მდგომარეობს, რომ განუვითაროს, გაუხსნას ბავშვს კანონიერი ზეპირი და მწერლობითი სიტყვა-პასუხი. წესებს და კანონებს სამშობლო ენისას ბავშვი გაიგებს, როგორც კანონიერ ზეპირ სიტყვა-პასუხიდგან, აგრეთვე ჩვენი სამაგალითო მწერლების საუკეთესო ნაწარმოებისადმი დაკვირვებიდგან. გრამატიკაში მოწაფეების სავარჯიშოდ მასწავლებელმა უნდა აილოს სხვა და სხვა გრამატიკული გამოცანები თვითონ სასწავლო მასალისაგან, რომელიც უკვე შემუშავებულია და შესწავლილი აქვთ ბავშვებს მხოლოდ არა გრამატიკის მხრით. ყველა გრამატიკული სავარჯიშოები პედაგოგიურის თანდათანობის მიხედვით უნდა იყოს მოქცეული პირველდაწყებით სამშობლო ენის სასწავლო წიგნში. ამნაირად, რიგიანად შესწავლა სამშობლო ენისა ბევრად დამოკიდებულია როგორც მასწავლებელზე და მის მიერ საქმის ცოდნაზე, აგრეთვე პირველდაწყებითი სასწავლო სახელმძღვანელო ენის შესასწავლ წიგნზედაც.

პირველდაწყებით სასწავლო წიგნს სამშობლო ენის შესასწავლად აქვს ფრიად პედაგოგიური მნიშვნელობა. ის არის საფუძველი მთელის პირველდაწყებითი, ელემენტარული სწავლა-განათლებისა: ამ წიგნიდგან უნდა შეიძინოს ბავშვმა ბრწყინვალე აზრები და სალი შთაბეჭდილებანი, ამიტომ პირველსაკითხავ წიგნში უსათუოდ უნდა იყოს საკმაო რიცხვი, როგორც პროზაიკული, ისე პოეტური სტატიებისა; თავის გარეგან ფორმით პირველსაკითხავი წიგნი ბავშვებისათვის უნდა წარმოადგენდეს წმინდას და სამაგალითო ენას; ამგვარ წიგნებს, გარდა საზოგადო განათლებისა, უნდა ჰქონდეს ბავშვებზე ღრმა აღმზრდელობითი გავლენაც; ამიტომ ენის შესასწავლად სა-

ხელმძღვანელო წიგნში უნდა იყოს მოქცეული ისეთი სტატიებიც, რომლის კითხვის დროს ბავშვის ხელში აღიზარდოს წრფელი... ზნეობრივი მიმართულება, წმინდა, შეგნებული და უანგარო სიყვარული სახელმწიფოსი, რომელსაც ეკუთვნის სამშობლო ქვეყანა და ყველა მშობლიურისა. რადგანაც სახალხო ენა შეადგენს ცხოველს და საზოგადო საფუძველს მთელის პირველდაწყებითი სწავლებისას, ამიტომ პირველდაწყებით საკითხავ წიგნებში უსათუოდ უნდა იყოს მოქცეული საკმაო რიცხვი სახალხო ლიტერატურული ნაწარმოებისა, როგორცაა: ლექსები, არაკები, ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები, რომ ხალხის შემოქმედებითი ნაწარმოებებითაც ისარგებლოს მასწავლებელმა სამშობლო ენის სწავლების დროს.

მართალია, ძალიან ძნელია ისეთი სახელმძღვანელოს პედაგოგიურად შედგენა, რომელიც აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნილებას პირველდაწყებითი სკოლისას. რუსი პედაგოგი უშინსკიც ამას ამბობს: ანბანის შემდეგ პირველდაწყებითი საკითხავი წიგნის შედგენა ყველაზე უფრო ძნელი ამოცანაა მთელს დიდაქტიკაშიო, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა იმ მცირე რიცხვს სახელმძღვანელოებისას, რომელიც არსებობს ჩვენს ღარიბს პედაგოგიურს ლიტერატურაში, არ შეგვიძლიან ჯერჯერობით პირველი ადგილი არ დავუთმოთ ჩვენის პატივცემულის პედაგოგის ი. გოგებაშვილის „დედა ენას“, რომელსაც ბევრი ნაკლულეგანება აქვს თავიდან აცდენილი და რომელიც ჯერ საუკეთესო წიგნს შეადგენს ჩვენს სკოლებში, მაგრამ კარგი წიგნიც კარგს ხმარებას ითხოვს. თუ მასწავლებელს არ გაეგება, როგორ წაიყვანოს სწავლების საქმე, ყოველის მხრით პედაგოგიურად შემკული წიგნიც ვერაფერს უშველის; ამიტომ მეტი არ იქნებოდა, რომ ჩვენ პატივცემულ პედაგოგს „დედა ენისათვის“ მეთოდური სახელმძღვანელოც შეედგინა; მართალია, დღეს სპეციალურად მომზადებული მასწავლებლები მცირედ ისარგებლებენ ქართული მეთოდური სახელმძღვანელოთი, რადგანაც რუსულიდანაც შეუძლიათ გაიგონ რამე თუ კი მოისურვებენ, მაგრამ დღეს არც ოჯახებში და არც ბევრგან წერა-კითხვის სკოლებში, სადაც „დედა ენას“ ხმარობენ, იმდენად არ იციან რუსული ენა, რომ ყველა წაკითხულის გაგება შეეძლოთ; ამას გარდა „მეთოდურ სახელმძღვანელოში“ ავტორს შეუძლია მოაქციოს იმისთანა სავარჯიშოები, რომელთაც „დედა ენაში“ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგალითად – ვრცელი სასაუბროები, რომელიც განუმარტებლად აბნევს ბევრს მცირედ მომზადებულ მასწავლებლებს. მე მართო ერთი არ მინახავს ისეთი მასწავლებელი და სკოლა, სადაც

„დედა ენაში“ მოთავსებულს სასაუბროებსაც ისე აკითხებენ ბავშვებს, როგორც რომელიმე სტატიას იმავე წიგნიდან.

IX

არითმეტიკა ანუ ანგარიში, მისი მნიშვნელობა პირველ დასაწყისს სკოლებში, ზომები ანგარიშის შესწავლისათვის, ამოცანების ახსნა – პირველ დასაწყისს სკოლებში ერთ ფრიად საჭირო და სასარგებლო საგნად ითვლება ელემენტარული არითმეტიკის ანუ ანგარიშის რიგიანად სწავლება. ამ საგანს მიზნად აქვს შეასწავლოს ბავშვს თვლა, შეგნებულად მოქმედებათა წარმოება ყოველგვარ რიცხვებზედ, როგორც ზეპირად, ისე წერილად, კითხვების გამოცნობა და ამოცანების გაკეთება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ ცხოვრებაში. თვითონ ეს საგანი არითმეტიკა ანუ ანგარიში ხალხის მიერ გამოგონილი საუნჯეა, ცხოვრებასთან ბრძოლა ხალხს ბევრს რასმე ასწავლის. ერთი ამ სწავლათაგანი არითმეტიკაა, რომელიც მჭიდროდ არის შეკავშირებული ხალხის შეგნებასთან. ყველა ხალხს თავისებური არითმეტიკა აქვს. ჩვენში უხსოვარ დროიდგან იცოდენ მიწის მუშაობა და ათას გვარი ხელობა. ამიტომ, რასაკვირველია, ჩვენ – ქართველებსაც ჩვენი არითმეტიკა გვექნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში არითმეტიკას ქართულად არ ასწავლიან. სხვა ხალხის სკოლებში არითმეტიკის შესახებ აუარებელი სახელმძღვანელოები არსებობს, ჩვენში კი, დედაენაზე არც მეთოდურად შემუშავებული არითმეტიკა არსებობს და არც ასწავლიან ამ საგანს ქართულად.

თავდაპირველად, რასაკვირველია, არითმეტიკა უფრო მარტივი იყო, ვიდრე დღეს. ცხოვრებასთან ბრძოლამ, ხალხის ურთიერთ შორის დამოკიდებულებამ ვაჭრობასა და მრეწველობის თანდათანმა აღორძინებამ არითმეტიკა განავითარა, შეავსო. ბოლოს უფრო ვრცელდება და ღვივდება ეს საგანი. არითმეტიკის ნაწილები: ოთხი მოქმედება, მარტივი და ათეული ნაწევრები, პროპორციები, პროცენტები და თამასუქის წესები, ამხანაგობის წესი და სხ. ცხოვრებამ შექმნა. მეცნიერებამ ყველა ეს წესები შეასწორა, შეავსო და შესასწავლად გააადვილა.

ცნობები, რომელიც შეიძინება ანგარიშის სწავლებით, საჭიროა არა მარტო პრაქტიკულ ცხოვრებაში, ცხოვრების ყოველდღიურ

მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ საჭიროა ბავშვების ჭკუა-გონების, შეგნების განვითარებისათვისაც. ბავშვს, როცა იგი ანგარიშს, არითმეტიკულ მოქმედებათ სწავლობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, თვითონ გამოჰყავს შემუშავებულ მასალისაგან საჭირო დასკვნა. თვითონ ადგენს იგი კანონებს არითმეტიკული მოქმედებისას, აკეთებს არითმეტიკულ ამოცანებს, ავარჯიშებს მეტყველების ნიჭიერებას აზროვნების კანონების დაცვით იმ გზის გამოძებნაში, რომელიც აპოვნინებს პასუხს ამოცანის უმთავრეს საკითხზე და მისთვის საჭირო მოქმედებათა წარმოებაზე.

რადგანაც ანგარიშს, როგორც სასწავლო საგანს პირველ დასაწყისს სკოლებში დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ამ საგნის შეგნებულად და გონივრულად სწავლებასაც უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება. ჩვენს ღარიბ საპედაგოგიო მწერლობაში ვერც ამის შესახებ იპოვიტ რასმე საგულისხმოს. ამიტომ ძალაუნებურად, დროთა ვითარებისა გამო, იძულებული ვართ მივსდითოტ რუსულს პედაგოგიურ მწერლობას. იქ ანგარიშის სწავლების შესახებ პირველ დასაწყისს სკოლებში ორნაირი აზრი ტრიალებს. ზოგი პედაგოგი ამტკიცებს, რომ ელემენტარული არითმეტიკის შესწავლას სკოლებში საფუძვლად უნდა ჰქონდეს რიცხვების ყოველმხრივ შესწავლა ასამდის /ევტუმევსკი/ და შემდეგ მოქმედებათა შესწავლა. სხვებს კი ეს აზრი სრულიად უსარგებლოტ მიაჩნიატ და ურჩევენ ასწავლონ ბავშვებს პირდაპირ მოქმედებათა წარმოება ამოცანების რიცხვებზე, ყურადღება მიაქციონ უფრო მიზნის შესახებ ამოცანათა გაკეთებას და არა რიცხვთა მაგალიტებს /შოხორ-ტროცკი და გოლდენბერგი/. როგორც თეორიული მოსაზრებანი, აგრეთვე გამოცდილებაც სრულს უპირატესობას აძლევს შოხორ-ტროცკისა და გოლდენბერგის მიერ შემოღებულ წესებს, რომელიც ანგარიშის სწავლების დროს მიზანს უფრო პირდაპირ ელწევა. ვისაც ევტუმევსკის სახელმძღვანელოტი უსწავლებია ანგარიში, უსათუოდ შენიშნავდა, რომ რიცხვის შესწავლა იმ რიგად, როგორც ევტუმევსკი ურჩევს მასწავლებლებს, წარმოადგენს ბავშვებისათვის ერთფეროვან და მოსაწყენ სამუშაოს, რომელსაც ბავშვი უნდება მთელი ორი წელიწადი, მოქმედებათა შესასწავლად კი რჩება მცირე დრო. რიცხვების ერთმანეთთან შედარება, მათი კომბინაცია სრულდება სრულიად მექანიკურად და ამიტომ ამოცანების გაკეთების დროს ამნაირ სავარჯიშოებს არ შეუძლია სარგებლობის მოტანა, რადგანაც შეუძლებელია ბავშვის მეხსიერებამ დაიტოს ყველა კომბინაციები სხვა-და-სხვა რიცხვებზედ ასამდის. ამასთან ევტუმევსკის

სახელმძღვანელოები არის დაფუძნებული ძველ ფსიხოლოგიურ კანონებზე, როგორც ნათლად უჩვენა თვითონ შოხორ-ტროცკიმ და ამიტომ ახლანდელს დროში ევტუშევსკის წიგნები თან-და-თან უკვე გამოდის ხმარებიდან რუსულ სკოლებში და მისს ადგილს იჭერს გოლდენბერგი, ლუბენეცი და სხ. პირველ დასაწყისი სამ წლიანი სკოლების პროგრამა არითმეტიკაში უნდა იყოს გაყოფილი ამ ნაირად: ა/ ანგარიში, თვლა ათამდის, ოთხი მოქმედება ათამდის, მოქმედება ათეულებზე, ზეპირი და წერით ანგარიში და ოთხი მოქმედება ასამდის, ბ/ ზეპირად და წერით ანგარიში – ოთხი მოქმედება ყველა სიდიდის განყენებულ რიცხვებზე და გ/ ოთხი მოქმედება რთულ სახელწოდებულ რიცხვებზე. ამნაირი პროგრამა არის დამტკიცებული უწმინდესის სინოდისაგან და შემოღებული რუსეთის ყველა სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებში. ამგვარი პროგრამით უნდა ხელმძღვანელობდნენ ჩვენებური სამრევლო სკოლის მასწავლებლებიც, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ სავარჯიშოები და ამოცანები ადგილობრივ ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული, ადგილობრივ ნიადაგზე დამყარებული, ხალხის თავისებურობასთან შეთვისებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ზომებს და საწყაოებს, რომელსაც ხალხი ხმარობს ადგილობრივ და შემდეგ თავის მეგობლის უცხო ხალხის საწყაოებსაც გაიცნობს. აგრეთვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ დასაწყის სკოლებში მასწავლებლები უფრო ხშირად ყურადღებას აქცევენ და ასწავლიან მოწაფეებს მარტო წერით ანგარიშს, მაშინ, როდესაც ბავშვის გონებისა და მოსაზრების გამოსაფხიზლებლად დიდათ საჭიროა ზეპირი ანგარიში, რომელსაც ითხოვს უფრო შემოკლებულს და სწრაფს საშუალებას. ამიტომ წერით ანგარიშთან ერთად აუცილებლად მასწავლებელმა უნდა იქონიოს სახეში ზეპირად ანგარიშის სწავლება.

დიდ ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე წინ და წინ მოუფიქრებელი კითხვები, რომელსაც მიმართავენ ხოლმე გამოუცდეელი მასწავლებლები არითმეტიკული ამოცანების ახსნის დროს. როცა ამოცანის შინაარსს გაიგებენ მოწაფეები, მასწავლებელი ხშირად ამისთანა კითხვებს აძლევს მათ – რა უნდა ვქნათ, რომ გავაკეთოთ ეს ამოცანა? ამ კითხვაზე შესაფერისს პასუხს მასწავლებელი იშვიათად მიიღებს. წინად, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული სწავლებაში ახალი წესები და მეთოდები, არითმეტიკის მასწავლებლები დაუნიშნავდნენ მოწაფეებს თავის თავად გასაკეთებლად ხუთ-ექვსს ამოცანას. თავი უნდა ემტვრიათ და გაეკეთებინათ კიდევ.

ამოცანების იმ ნაირ გაკეთებით, როგორც ეხლა აკეთებენ ზოგიერთ სკოლებში, არ შეიძლება მიზნის მიღწევა. ზოგიერთ სკოლებში, მართალია, ამოცანებს აკეთებენ, მაგრამ მოწაფეები კი არა, თვითონ მასწავლებლები. ბავშვები რომ თავიდანვე მიეჩვიონ დამოუკიდებლად ამოცანების გაკეთებას, საჭიროა საზოგადო ხერხი, საზოგადო კითხვების დადგენა ყველა ამოცანებისათვის. აქ მოვიყვანოთ ორს მაგალითს იმ კითხვებისას, რომლითაც შეუძლიან მასწავლებელს ისარგებლოს ყველა ამოცანებისათვის. მასწავლებელი ეტყვის მოწაფეებს ამოცანას, გაამეორებინებს ჯერ კარგს მოწაფეებს და შემდეგ სუსტს მოწაფეს და როცა კარგათ შეიგნებენ ამოცანის შინაარსს, მასწავლებელი მიაქცევს მოწაფეთა ყურადღებას იმ რიცხვებზე, რომელიც ცნობილია ამოცანაში და შემდეგ იმ პედაგოგიურს წესის დაცვით, რომელიც ამბობს – გადადი ცნობილიდან უცნობზე. მოწაფეები ასახელებენ უცნობ რიცხვებს, რომელიც საჭიროა ამოცანის უმთავრესი საკითხის გამოსაცნობლად. მაგალითად, ავიღოთ შემდეგი ამოცანა: სამმა ბავშვმა იყიდა 30 ლერი თაფლის სანთელი. ერთმა მისცა ამ სასყიდელში 2 კაპ. მეორემ – 3 კაპ. და მესამემ – 5 კაპ. რამდენი სანთელი შეხვდება თითოს? ამ ამოცანის შინაარსის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი ჰკითხავს მოწაფეებს – დამისახელოთ რა და რა რიცხვებია ამ ამოცანაში? ამ ამოცანაში არის შემდეგი რიცხვები: რამდენი ბავშვი იყო / 3 /, რამდენი ცალი სანთელი იყიდა სამივემ /30/ და რამდენი კაპიკი მისცა პირველმა /2/, მეორემ /3/ და მესამემ /5/. – აბა, ეხლა დამისახელოთ რა და რა რიცხვებია უცნობი ამ ამოცანაში? – ჩვენ არ ვიცით, როგორ უყიდიათ მთლად 30 ლერი სანთელი, რამდენი ლერი სანთელი უყიდიათ და რამდენი რგებია თითო ბავშვს? – როგორ გავიგოთ, რა მიუციათ 30 ლერ სანთელში? 2 კ.+ 3 კ.+ 5 კ. = 10 კ. – როგორ გამოვიცნოთ კაპიკათ რამდენი ლერი სანთელი უყიდიათ? – $30:10 = 3$ სანთ. – ეხლა როგორ გავიგოთ, თითოს რამდენი შეხვდებოდა? – პირველი წაიღებდა: 3 სანთ. $3 \times 2 = 6$ სანთ. მეორე: $3 \times 3 = 9$ სანთ. მესამე: $3 \times 5 = 15$ სანთ. – აბა, ეხლა გაიმეორეთ სულ როგორ გავაკეთეთ ეს ამოცანა? /იმეორებს რომელიმე სუსტი მოწაფეთაგანი/. შემდეგ მასწავლებელი მისცემს მოწაფეებს ამ გვარ ამოცანებს მხოლოდ სხვა რიცხვებით, რადგანაც მსჯელობა ერთი და იგივე უნდა ერთნაირ ამოცანებს, ამიტომ მოწაფეებიც მალე დახელოვნდებიან და ადვილად გაიგებენ საზოგადო გზას ამოცანის გასაკეთებლად.

მეორე ნაირად ამ ამოცანის ახსნა შეიძლება ასე: მასწავლებლის კითხვებზე მოწაფეები იძლევიან შემდეგ პასუხს /შემოკლებისათვის

აქ მოგვყავს მარტო პასუხი/: ამ ამოცანაში გამოსაცნობია რამდენი სანთელი ერგო თითო ბავშვს. ამ რიცხვის ერთი მოქმედებით გამოცნობა შეიძლება მაშინ, როდესაც ვიცით: ა/ რამდენი სანთელი უყიდათ 1 კაპიკათ და ბ/ თითო ბავშვს რამდენი კაპიკი მიუცია. მეორე რიცხვი ვიცით /ერთმა მისცა 2 კ. მეორემ 3 კ. და მესამემ 5 კ./ ერთის მოქმედებით რომ გამოვიანგარიშოთ კაპიკათ რამდენი სანთელი უყიდათ, ამისათვის უნდა ვიცოდეთ: ა/ მთლად რამდენი სანთელი უყიდათ და ბ/ რამდენი ფული დაუხარჯავთ სულ ყველას. პირველი ამ რიცხვთაგანი ვიცით / 30 /, მეორეს გამოსაცნობად უნდა ვიცოდეთ თითო ბავშვმა რამდენი ფული დახარჯა. გამოცანაში ეს რიცხვებიც ცნობილია. ამგვარ მსჯელობას ჰქვიან ამოცანის ანალიზი, რომელიც იწყება ყველა ამოცანის უმთავრეს საკითხით და თავდება ამოცანის ცნობილ რიცხვებით. ამის შემდეგ იწყება სინტეზი, ცნობილ რიცხვებიდან და თან-და-თან მიდის ამოცანის უმთავრეს საკითხავამდის ამ ნაირათ: თითო ბავშვს რამდენი ფული მიუცია სანთლის საყიდლად. ეს რიცხვები გვინდოდა მისთვის, რომ ერთის მოქმედებით გაგვეგო სამივე ბავშვს ერთად რამდენი ფული მიუციათ 30 ლერ სანთელში. ამისათვის 2 კ. + 3 კ. + 5 კ. = 10 კ. 30 ცალი სანთელი და 10 კაპ. გვინდოდა მისთვის, რომ ერთის მოქმედებით გაგვეგო კაპიკათ რამდენი სანთელი უყიდათ. ამისათვის 30 სანთ. : 10 : 3 სანთ. მიტომ რომ თუ 10 კ. იყიდეს 10 სანთ. კაპიკათ იყიდდენ 10-ჯერ ნაკლებს. კაპიკათ რამდენი სანთელი იყიდეს და თითო ბავშვმა რამდენი ფული მისცა, ის რიცხვები გვინდოდა მისთვის, რომ ერთი მოქმედებით გაგვეგო თითო ბავშვს რამდენი სანთელი ერგო. თუ კი კაპიკათ 3 სანთელი იყიდეს, მაშასადამე პირველი წაიღებდა 3 სანთ. $\times 2 = 6$ სანთ. მეორე – 3 სანთ. $\times 3 = 9$ სანთ. და მესამე – 3 სანთ. $\times 5 = 15$ სანთელს და სხ. ამ უკანასკნელ წესს სწავლებისას ის უპირატესობა აქვს პირველის წინაშე, რომ ამ შემთხვევაში ყველა კითხვებზედ მოითხოვება მხოლოდ ერთი პასუხი, ბავშვი კანონიერი კითხვების შემწეობით აკეთებს მხოლოდ იმას, რაც საჭიროა და თან-და-თან ლოლიკურის კანონების დაცვით უახლოვდება ამოცანის უმთავრესი საკითხის გამოცნობას; მაგრამ ეს წესი თხოულობს ბავშვებისაგან განყენებულ აზროვნებას, მსჯელობას, რომელიც მათთვის თავდაპირველად ძნელია. ამიტომ ამ მეორე წესით არითმეტიკული ამოცანების სწავლება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბავშვებს ცოტათ თუ ბევრათ გონება გაეხსნებათ. როცა ბავშვები კარგათ შეიგნებენ რიგს კითხვებისას და პასუხისას, იმათ მერე თვითონ შეუძლიათ მისცენ თავის კითხვებიც და პასუხიც. ასე

რომ ყველა ამოცანის ახსნას თვითონ შეიძლებენ მასწავლებლის და-
უხმარებლად, დამოუკიდებლად, თუ კი, რასაკვირველია, ამოცანა არ
აღემატება მოწაფეთა გონებრივ ძალას.

მეშველად არითმეტიკის სწავლების დროს, განსაკუთრებით ტე-
რმინების მხრით, ჩვენებური სკოლების მასწავლებლებს შეუძლიათ
იხმარონ მ. ზ. ყიფიანის მიერ შედგენილი სრული ქართული არითმე-
ტიკა და ჯაჯანაშვილის არითმეტიკული ამოცანების კრებული.

ანგარიში კავკასიის ქართულ სკოლისათვის 1892/3 წ.

ყველა საზოგადო საქმე, რომელსაც სული უდგას საზოგადოე-
ბის წევრთა შემოწირულების მეოხებით, ყველა საზოგადო დაწესე-
ბულება, რომელსაც თავის ხარჯით თავისდა სასარგებლოდ ინახავს
რამდენიმე წევრი კერძო საზოგადოებისა, ითხოვს ყოველთვის სამა-
რთლიან ანგარიშს საზოგადოების წინაშე, რომ ყველა წევრს საზოგა-
დოებისას ნათლად შეეძლოს დანახვა მისი, თუ რა საქმეს ხმარდება
მისი წვლილი, ან რა სარგებლობა მოაქვს მას მის მოძმისათვის. ჩვე-
ნის ამრით, ურიგო არ იქმნებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელ საზოგადოების“ (7) უწყებაში მყოფ სკოლების შესა-
ხებ მაინც ყოველ წლივ ვრცელი ანგარიში იბეჭდებოდა გაზეთებში.
ანგარიშებიდგან საქვეყნოდ და ნათლად შეიძლება გაიგოს ყველამ,
თუ როგორ მიდის ჩვენ სკოლებში სწავლა-განათლების საქმე. მარტო
რევიზორების მოკლე ანგარიში საკმაო არ არის ამ საქმისათვის. აქ
ჩვენ უფრო მოვალედ მიგვაჩნია მასწავლებელი, რომელმაც უნდა
მოკლედ უამბოს საზოგადოებას ყველაფერი, თუ რა კეთდებოდა სა-
სწავლებელში ერთის წლის განმავლობაში. ჩვენ ამ რწმენით აღჭუ-
რვილნი ვასრულებთ ამ ჩვენს მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

საანგარიშო წელს კავკასიის ქართულ სკოლაში ჯეროვანი სწა-
ვლა დაიწყო მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებიდან. ამის მიზეზი
იყო, როგორც ხოლერობა, რის გამოც ყმაწვილები გვიან შეიკრიბენ
სასწავლებელში, აგრედვე უფროსი მასწავლებლის გვიან დანიშვნა
ხსენებულ სასწავლებელში „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეო-
ბის მიერ.

პირველად სკოლაში ახალ შემოსულებიდან შეიკრიბა ოცდაათო-
თხმეტი ყმაწვილი, შემდეგ ერთის თვის განმავლობაში მოწაფეთა

რიცხვმა იმატა 49-მდე. ამათ რიცხვში ერია ათამდის ქალი, რომელიც მხოლოდ წელს მივიღეთ სასწავლებელში. წელს სკოლაში შემოსულთა რიცხვში ერიენ ისეთებიც, რომელნიც სხვა და სხვა რუსულ პირველ დაწყებით სასწავლებლებში იყვნენ, სადაც სწავლა გატრევიბოდათ უდედაენოთ. საკვირველიც არ არის. ბევრს აქაურს ქართველს სრულიად არ ესმის აზრი და დანიშნულება ჩვენის სკოლისა, რომელიც სხვათა შორის უადვილებს ქართველ ბავშვებს სწავლების საქმეს და ეხმარება აქედგან სხვადასხვა სასწავლებლებში გადასვლას. საანგარიშო წლის დამლევის, ე. ი. 15 ივნისისათვის ხსენებულ სასწავლებელში ირიცხებოდა სულ 48 მოწაფე ქალი და ვაჟი. პირველ განყოფილებაში ითვლებოდა 20 მოწაფე ქალებიანად, მეორეში მართო ვაჟები იყვნენ 13. მესამეში – 8 და მეოთხეში – 7 ყმაწვილი.

სწავლა საანგარიშო წელს იმავე პროგრამით და წესით სწარმოებდა, როგორც დადგენილია „წერა-კითხვის საზოგადოების“ უწყებაში მყოფ სკოლებისათვის მასწავლებლების კრებისაგან 1887 და 1888 წელს 4 სექტემბერს. სწავლა სწარმოებდა სადილობამდის და ნასადილევისაც ამ წესით: 1 ოქტომბრიდგან 1 ნოემბრამდის სწავლა იწყებოდა დილის 7 1/2 და თავდებოდა 10 3/4 საათზე. 10 3/4 – 12 საათამდის დრო დანიშნული იყო გალობისათვის, გიმნასტიკისა თუ თამაშობისათვის. 12 საათიდგან შუადღის 2 საათამდის ყმაწვილები თავისუფალნი იყვნენ და მიდიოდნენ სახლში სადილის საჭმელად. შუადღის 2-5 – მდის ისევ სწავლა გრძელდებოდა 15 წუთის დასვენებით. პირველ ნოემბრიდგან პირველ მარტამდე სწავლა იწყებოდა 8 საათზე და თავდებოდა 11 1/4. 11 1/4 – 12 საათამდის დრო ხმარდებოდა გალობას, გიმნასტიკას და თამაშობას. 12 1/4 – 2 საათამდის ყმაწვილები სადილის საჭმელად მიდიოდნენ სახლში და ნაშუადღევის 2-5 საათამდის ხელახლად სწავლა გრძელდებოდა სასწავლებელში. აპრილში სწავლა იწყებოდა 7 1/2 საათიდგან, მაისსა და ივნისში 7 საათიდგან. ყველა ორი გაკვეთილის შემდეგ ბავშვებს ვაძლევიდით ორ-ორ სტაქან ჩაის პურიოთ. პური და შაქარი ზოგს თვითონ მოჰქონდათ, ზოგს, ვინც მეტად ღარიბები იყვნენ, ჩვენ თითონ ვაძლევიდით სკოლის ხარჯით.

სადილის შემდეგ გაკვეთილები საზოგადოდ ხმარდებოდა სადილობამდის შესწავლილ სასწავლო მასალის კარგად შეთვისებას, გამეორებას, განმარტებას და განსაკუთრებით შემდეგის დღისათვის გაკვეთილების მომზადებას მასწავლებლის ზედამხედველობით, ხელმძღვანელობით.

წვიმიან დღეებში, ანუ საზოგადოდ ცუდ დარებში ყველა საკლასო მეცადინეობა თავდებოდა სადილობამდის. ამ შემთხვევაში ყველა გაკვეთილებისათვის დანიშნული იყო სულ 4 ანუ რვა ნახევარ საათიანი გაკვეთილები.

სკოლის ეხლანდელ სადგურში, რომელიც სკოლისათვის ყოველად გამოუსადეგარია, როგორც ჰიგიენურად ისე სხვაფრივადაც, აქაური სამზრუნველო კომიტეტი ყოველ წელიწადს იხდის ქირას 400 მანეთს, ამიტომ დიდის სიხარულით და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდგან კავკავის ქართული სკოლა გადავა თავის საკუთარ შენობაში, რომლის აგებასაც, ერთი თვე მეტია, დიდის გულმოდგინებით და ბეჯითად შეუდგა აქაური სკოლის კომიტეტი და ზოგი შეძლებული ქართველი, რომელიც არავითარ ღონისძიებას არა ზოგავს არც ფულით და არც მასალის შეწირულობით ამ საქველმოქმედო საქმისათვის.

წრევანდელმა სუსხიანმა ზამთარმა და სკოლის შენობის უვარგისობამ ძლიერ ხელი შეუშალა მოწაფეებს სწავლის საქმეში: საკლასო ოთახები რიგინად ვერ თბებოდა, მოწაფეებსაც დროს შესაფერი ტანისამოსი და ფეხსაცმელი არ ჰქონდათ და ამიტომ იძულებულნი იყვნენ, ავადმყოფობის გამო, გაკვეთილებს დაჰკლებოდნენ – როგორც საკლასო დავთრიდგანა სჩანს, I განყოფილებაში მთელი წლის განმავლობაში, დღეში ხუთ-ხუთ გაკვეთილის ანგარიშზე, დაჰკლებიან 1424 გაკვეთილს, მეორეში – 876, მესამეში – 447 და მეოთხეში – 511. სულ ოთხსავე განყოფილებაში – 3258 გაკვეთილს. მიზეზი ამისი ყმაწვილების მშობლების სიღარიბეც იყო. ზოგნი მართლა ისეთი ღარიბები არიან, რომ პურის ყიდვაც უჭირსთ თავიანთ ოჯახისათვის. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ერთმა აქაურმა პატივცემულმა ქართველმა იოსებ გრიგოლის ძე შვილიევმა, რომელმაც ხელისმოწერით შეაგროვა 33 მანეთი და ამ ფულით უყიდა ღარიბ შეგირდებს სახალათე მაუდი.

საანგარიშო წელს ბ-ნ-მა თერგის ოლქის საერო სკოლების დირექტორმა გრუმევსკიმ და ინსპექტორმა მოხირმა თითომ ოთხჯერ დაათვალიერეს კავკავის ქართული სკოლა და, როგორც მათ მიერ ჩაწერილს სარევიზიო დავთრიდგან სჩანს, როგორც დირექტორი, ისე ინსპექტორიც სრულად კმაყოფილი რჩებოდნენ ყმაწვილების სწავლაში წარმატებისა, სკოლაში შემოღებულ წესებსა და სკოლის საქმის წარმოებისა სწავლა-აღზრდის მხრით.

წელს „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობისაგან კავკავის ქართულ სკოლის დათვალიერება მინდობილი ჰქონდა გამგეობის წე-

ვრს ბ-ნს ექვთიმე თაყაიშვილს, მაგრამ, რადგანაც ბ-ნი თაყაიშვილი არ მოვიდა, იმავე გამგეობამ სკოლის დათვალიერება მიანდო აქაურ სამზრუნველო კომიტეტის წევრს, სკოლის მზრუნველს ტ. ბ. კახიძეს, რომელმაც მოახდინა ეგზამენები ყველა განყოფილებაში ზოგიერთ აქაურ ქართველ მასწავლებლის და საერო სკოლების ინსპექტორის – მოხირის თანადასწრებით. ეგზამენების შემდეგ საჭიროდ დაინახეს ცხრა შეგირდი ყველა განყოფილებიდან კარგის ყოფაქცევისა და სწავლაში წარჩინებისათვის დაესაჩუქრებინათ წიგნებით. მეოთხე განყოფილების შეგირდებმა ყველამ დაიჭირეს ეგზამენი აქაურ სამოქალაქო სასწავლებელში 8 ივნისს და მიეცათ შეღავათიანი მოწმობა სამხედრო სამსახურისათვის. მესამე განყოფილების 8 შეგირდიდან გადავიდა მეოთხეში 7 და ერთმა ხელახლად უნდა დაიჭიროს ეგზამენი. მეორე განყოფილების 13 შეგირდიდან გადავიდა მესამეში 10, ორსა ეგზამენი დაენიშნა მომავალ წლისათვის და ერთმაც თავი დაანება სწავლას წარსულ წლის დეკემბერში. პირველ განყოფილების 20 შეგირდიდან გადავიდნენ მეორეში მხოლოდ 13 ქალი და ვაჟი. ოთხი დარჩა იმავე განყოფილებაში, რადგანაც ვერ იყვნენ რიგიანად მომზადებულნი და სამმაც შუა წელში დაანება თავი სასწავლებელს. ამ საანგარიშო წელს ქალები, გარდა სხვა საგნებისა, მასწავლებლის ელისაბედ ხოჯევანოვის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ ხელსაქმეს. კავკასის ქართული სკოლის სამასწავლებლო ბიბლიოთეკაში წლის დამდეგს იყო მხოლოდ 36 ცალი ქართული წიგნი. წლის განმავლობაში ხელისმოწერის გამართვით თუ წიგნების შეგროვებით მიემატა 265 ცალი წიგნი, სულ გახდა წლის ბოლოს სამასწავლებლო ბიბლიოთეკაში 301 ცალი წიგნი. საყმაწვილო ბიბლიოთეკაში იყო წლის დამდეგს 38 ცალი წიგნი; მიემატა წლის განმავლობაში 132; წლის ბოლოს შეიქმნა 170 ცალი. ორსავე ბიბლიოთეკაში იყო წლის დამდეგს 417 ცალი სხვა და სხვა შინაარსის რუსულ-ქართული წიგნი.

სასწავლებელი საზოგადოდ ჯერჯერობით ძალიან ღარიბი არის, როგორც სწავლებაში დამხმარებელ საგნებითა და ნივთებით /посobie/, აგრედვე საკლასო ავეჯეულობითაც, მაგრამ, იმედია, აქაური სკოლის სამზრუნველო კომიტეტი, რომელიც ასე გულმოდგინედ იღწვის სკოლის კეთილ ნიადაგზე დამყარებისათვის, თავის დროზე ამ ნაკლსაც მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას.

მცირე შენიშვნა

„ივერიის“ №240-ში არის დასტამბული „ბუნების მეტყველების მოყვარის“ მიერ წერილი, რომელიც შეეხება სამეცნიერო წიგნების უქონლობას ქართულ ენაზე. ერთად ერთი მიზეზი ამგვარი არასასიამოვნო მდგომარეობისა, როგორც სამართლიანად ამბობს ბ-ნი „ბუნების მეტყველების მოყვარე“ არის ქართულს ენაზე ტერმინოლოგიის შეუმუშავებლობა და უქონლობა. ავტორი ზემოხსენებულის წერილისა ... ავალებს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართული წიგნის გამომცემელ ამხანაგობას, მიიღონ თავის თავზე ამ საქმის ინიციატივა და მოიწვიონ მცოდნე პირები საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის დასადგენად. რომ ბ-ნი „ბუნების მეტყველების მოყვარის“ სიტყვები არ დარჩენ გაუგებლად, ჩვენც აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ არასასურველ გარემოებათა, რომელთა მიზეზს შეადგენს ქართულს ენაზე სამეცნიერო წიგნების უქონლობა.

ზოგიერთ ჩვენებურ სკოლებში უკვე ნებადართულია, რომ ყველა საგნების სწავლება სამშობლო ენაზე წარმოებდეს. აქ დავასახელებთ მხოლოდ წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლას. (8) ამ სკოლის წესდების ძალით ყველა საგნების და მასთან საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაც სამშობლო ენაზე წარმოებს, რასაც მოითხოვს როგორც კეთილგონივრული აზრი პედაგოგიკისა, აგრეთვე საქმის ნაყოფიერად წარმოებაც. ახლა ვიკითხოთ, რა უკიდურეს მდგომარეობაში არიან ამ სკოლის მასწავლებლები ქართულს ენაზე ტერმინოლოგიის შეუმუშავებლობისა და სამეცნიერო წიგნების სახელმძღვანელოების გამო? ისინი იძულებულნი არიან ჰსთარგმნონ პირდაპირ რუსულიდან, საბუნებისმეტყველო საგნებიდან გაკვეთილები, ტერმინები, ანდა თვითონ დაადგინონ, მოიგონონ ისეთი ტერმინები, რომელიც „ბუნებისმეტყველების მოყვარის“ არ იყოს „გულს გიშფოთებენ და უსიამოვნო შთაბეჭდილებას ჰგვრიან“. საკვირველიც არ არის ამის შემდეგ, რომ საბუნებისმეტყველო საგნები ქართულს ენაზე, როგორც სასურველია, ვერ ისწავლებოდეს.

წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლა თავის ვრცელი პროგრამით ამჟამად წარმოადგენს ერთადერთ სასწავლებელს ჩვენში, სადაც სხვა ჩვენებურ სკოლებში აბუჩად აგდებულს სამშობლო ენას აქვს შესაფერისი პატივი, ვრცელი და სრული მოედანი სავარჯიშოდ,

რომ ღმერთმა იპრიანოს და ამგვარი სკოლები ჩვენში გამრავლდეს, რასაც სიამოვნებით მოელის ყველა ჩვენი ბეჩავი ხალხის გულშემატკივარი, მაშინ ხომ უფრო მეტი მთხოვნელები იქნება სამეცნიერო წიგნებისა, სახელმძღვანელოებისა ქართულ ენაზე. ჩვენ აქ დავასახელებთ ერთ წიგნს, რომელიც ღირსია ყურადღებისა იმისთვის, ვინც კი იკისრებს სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენას, შემუშავებას ქართულ ენაზე. ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველს ბ-ნს ა. ს. გამრეკლოვს აქვს ქართულს ენაზე ხელნაწერი „სამი სამეფო ბუნებისა“ (Три царство природы), დაწერილი პეტერბურგს 1814 წ. ბატონიშვილის იოანეს მიერ. რასაკვირველია, მეცნიერების მხრით ხსენებულს ხელნაწერ წიგნს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც თვითეული განყოფილება მეცნიერებისა თანდათან იკვლევს და იძენს სრულმყოფობას, მაგრამ რაც შეეხება ტერმინოლოგიას, ის წარმოადენს საუკეთესო განძს ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურისათვის. დღეს, როდესაც ზოგჯერ ერთს ენაზე ვფიქრობთ და მეორეზე ვსწერთ, უნებლიეთ ვცვებით იმ ენის წყობილებას და თვისებას, რომელზედაც ვფიქრობთ. ამის მაგალითი ათასია იმ ორიოდ სამეცნიერო წიგნებში, რომელიც ზოგიერთებს უთარგმნიათ ამ მოკლე დროში რუსულიდან ქართულად, სადაც არა თუ ტერმინები, სიტყვების გაწყობაც ფრაზაში ჰღალატობს წმინდა ქართულ ენას. სამწუხაროდ, ჩვენი ცნობილი პედაგოგების სახელმძღვანელოებიც სავსეა რუსიციზმებითა, რუსულად ნაფიქრი და ქართულ ენაზე გადმოღებული, რუსული ლექსთა თხზვა ხშირია მათ ნაწერებში.

ჩვენ მიერ დასახელებულ წიგნში სიამოვნებით წავიკითხეთ შარშან რამდენიმე აწერილობა მცენარეთა, ცხოველთა, ქვეწარმავალთა და სხვ. სადაც მეტისმეტი სიფრთხილით არის დაცული ქართული ენის სიფაქიზე და მკაფიობა. ბ-ნი გამრეკლოვი უეჭველია ათხოვებს ხსენებულ წიგნს ჩვენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ან ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობას, უკეთუ ისინი იკისრებენ მის გამოცემას. ამ წიგნის გამოცემა არა მცირე სარგებლობას მოუტანს იმათ, ვისაც სწადს სამშობლო ლიტერატურას გაუწიოს სამსახური.

აღ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო

ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტის აღ. ყაზბეგის უდროოდ გარდაცვალებამ დიდი თავზარი დასცა მთელ კავკასელ ქართველობას. ყველა, დიდი, პატარა, სწავლული, უსწავლელი, ვინც კი იცნობდა განსვენებულს პირადად ან ნაწერებით, ყველა გლოვობს და სწუხს სახელოვანი მწერლის უდროოდ გარდაცვალებას. არ ვგონებ იმდენი პირადად ნაცნობნი ჰყოლოდეს განსვენებულს სადმე საქართველოს სხვა კუთხეში, როგორც კავკასში; აქ თითქმის ყველა იცნობდა პირადად განსვენებულს; ხშირად ავადმყოფობის დროსაც კითხულობდნენ, სანდრო მორჩა, თუ ისევ ავად არისო. განსვენებულის გარდაცვალება კავკასში შევიტყვეთ 11 დეკემბერს ტფილისიდან გამოგზავნილი დეპეშით. კავკასის სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარის ერთთეოს სიდომონ ერისთავის სახელზე. ამ თავზარდამცემ ამბის შემდეგ კავკასის ქართველობა, რომელიც იმ ჟამად ქართულ სკოლაში იყო თავშეყრილი, გაემგზავრა ოსების საყდარში, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენიებლად რუსულად ქართულის გალობით.

დიაღ, გამოუთქმელია ის მწუხარება, რომლითაც ხალხი იგლოვს თავის ჭეშმარიტის შვილის უდროოდ გარდაცვალებას. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ცხოვრებაშივე დატანჯულო, ჭეშმარიტო მამულიშვილო და ჩვენის ღარიბის ლიტერატურის დედა ბოძო ალექსანდრევ! შენ საუკუნოდ უკვდავი დარჩები შთამომავლობის ხსოვნაში და ჩვენ კი შენი დამკარგველნი ვინუგეშებთ იმ იმედით, რომ

„Не бездарна та природа,
Не погиб еще тот край,
Что выводит из народа
Столько славных то и знай“.

საუკუნოდ განისვენე, უკვდავო მოღვაწე, სამშობლო ქვეყნის წი-
ალში, რომელიც პატივით მიგიღებს, როგორც ღირსეულ შვილს.

Библиография

**„Курс русского языка для грузинских начальных школ“., Год второй.
Составлен Ф. Левитским.Тифлис, 1891 г.**

Книга для чтения в начальной школе, по выражению известного педагога Кера, должна составлять основание и средоточие всего обучения в начальной школе, и написать такую книгу не то, что на чужом, но и на родном, более понятном для детей языке, составляет как справедливо замечает Ушинский, самую трудную задачу во всей дидактике. И действительно, составление более или менее удачной книги, на понятном для детей языке является весьма трудной задачей, справиться с которой мало кому удастся. Не удалось и автору разбираемой нами книги. Не вдаваясь в подробности мы постараемся бегло пересмотреть „Курс“, принятый во многих школах Кутаисской губернии, в качестве руководства по русскому языку и указать на некоторые промахи его.

По своему содержанию книга эта весьма однообразна. Она делится на два отдела; состав первого отдела слагается из 48 маленьких рассказов, большею частью заимствованных из книг Вольнера и Ушинского, второй отдел представляют сборник арифметических задач, соответствующих по своему лексическому материалу статьям, помещенным в I отделе. Об этих задачах скажем в конце, а теперь обратимся к первому отделу. В „Курсе“ предназначенном для изучения русской речи грузинскими мальчиками, нет ни одной картины, что, конечно, сильно мешает наглядности обучения. Вольнер в своих книгах „Русская речь“ поместил более 600 рисунков для того, чтобы дать учителю возможность показать ученикам наглядно предметы и их действия.

К числу недостатков книги следует отнести и полное отсутствие в ней стихотворений, на 150 страницах имеется лишь одно маленькое стихотворение „Песня розы“. Не говоря уже о том, что вообще принято отводить им в детской литературе важное место, на русском языке имеется много детских стихотворений, переведенных довольно удачно с грузинского т.Тхоржевским, которые несомненно читались бы учениками с большим интересом.

Однообразие содержания „Курса“ доказывается между прочим, и тем, что пословицы, поговорки и загадки совершенно игнорируются автором.

Исходя из общего мнения, что родной язык должен лежать в основе изучения чужого языка, автор допускает в своей книге переводы с русского языка на грузинский и обратно, но при этом, как видно, совсем не старается о том, чтобы в русскую речь не вошли так называемые грузинизмы, а в грузинскую — руссизмы, в особенности последние, которыми целиком наполнена книга.

Рассмотрим системы распределения учебного материала, которая является не менее важным делом при составлении книги для чтения в начальной школе. На счет этого нужно заметить, что современная педагогика и составители всех учебников держатся системы, состоящей в распределении статей, согласно основному правилу дидактики, от знакомого детям переходить к незнакомому, от легкого и простого к более трудному и сложному, от ближайшего к отдаленнейшему и т. д. По этой теории русский язык в грузинских начальных школах будет изучаться хорошо и, сознательно только тогда, когда ученики-грузины ознакомятся предварительно с теми формами русской речи, которая ближе всего подходит к грузинской. Наш автор, как видно, по многочисленным примерам, не особенно придерживается этого.

Сам Вольнер, трудившийся над составлением учебников по русскому языку для инородческих школ в своих „руководящих заметках“ на стр. 6-й говорит: „чем ближе к ним (к детям) среда, с названиями предметов и явлений, с которой будет их знакомить школа тем ближе они будут к цели своего обучения русскому языку“.

Автор обнаруживает особенное пристрастие к разного рода нравственным сентенциям. Так, на стр. 86-й мы читаем: „Не должно желать зла другим; кто желает зла другим, тому и другие будут делать зло“, на стр. 42-й: „Бог всем людям отец и все люди братья, и потому все должны любить друг друга и помогать друг другу“, „кто не делится с другими тем, что сам имеет, что не подает милостей бедным, тому и бог не будет милостив“. Все это хорошо, но ведь это только готовая мораль, не затрагивающая духовных сил учащихся и могущая скоро испариться из головы ребенка. Подобные мысли должны высказываться не в форме сентенций и требований, а сами вытекать из рассказов, проникнутых и согретыми духом любви.

Некоторые статьи „Курса“ не дают ясного представления о трактуемом предмете, напр. статья „Воробей и ласточка“, на стр. 117. Ученик, читая означенную статью вовсе не поймет судьбы воробья и может это узнать только после прочтения на 120 стр. отдельного предложения: „Ласточки замазали гнездо и воробей погиб. Статья эта взята из книги Вольнера „Русская речь“ стр. 76, выпуск второй. Вольнер говорит в этой статье: „Сначала видна была шея воробья, потом уже одна головка, потом носик, а потом ничего не стало видно – ласточки совсем замазали его в гнезде“, а Левитский это место статьи сокращает неудачно“, „ласточки замазали отверстия“, а куда делся воробей? этого не видно.

Теперь сделаем общее заключение о всех статьях, помещенных в „Курсе».

Большинство их отличается краткостью, простотою изложения, а также содержательностью, но считаем необходимым заметить следующее. Дети вообще легко усваивают, а главное, правильно понимают материал, занятый изображением детской жизни. Детская жизнь и есть для ребенка самая интересная и потому статьи, изображающая детей в их многообразных бытовых положениях, не должны быть игнорируемы составителями книги для чтения. Вот таких-то статей в книге г. Левитского мы и не встречаем.

Система вопросов, с полными ответами на них, не то что в книге для чтения, но и в методических руководствах для учителей не имеет смысла, вызывая только механическое подражание данным образцам. Тем не менее, в книге после каждой статьи мы видим вопросы, исчерпывающие содержание статьи, и тут – же полные ответы по ним. Каждый вопрос, задаваемый учителем, должен представлять своего рода посильную задачу, решение которой требует известной творческой работы со стороны ребенка, способствующей ясному и сознательному восприятию впечатлений. Поэтому, с какой – бы точки зрения ни смотреть на систему вопросов и полных ответов, которой придерживается автор, с нашей точки зрения она представляет педагогический абсурд.

Сравнительный метод, как составляющий необходимый элемент строгой индукции, совершенно опущен г. Левитский. Учитель, желая объяснить ученикам образование какой-либо этимологической формы русской речи, сравнивает ее с подобным или теми-же формами грузинского языка и обратно. Здесь сравнение служит средствам индукции. Без сравнения не может быть мышления и потому сравнение уже является

необходимым элементом преподавания. „Где есть сравнение, там есть и мышление; где нет первого, нет и последнего“. Владиславлевъ. Логика, стр. 2, изд. 2. СПб, 1881).

Для учеников элементарной школы слишком скучно и утомительно возиться с разными изменениями букв не только на чужом, но и на родном языке, это знают не только те, которые имели дело с первоначальным обучением в школе, но и не специалисты. Не знать этого автору „Курса“ — непростительно.

Автор разбираемой нами книги допустил еще и другую ошибку. Всякое правило, будет-ли оно грамматическим или арифметическим, должно быть выведено самими учениками, а учитель должен своими вопросами наводить их индуктивным путем.

В „Курсе“ мало примеров на склонение имен существительных и прилагательных, в то время как чуть-ли не каждая страница испещрена изменениями местоимений.

Не всегда правильные и сухие грамматические тонкости преподносимые автором в форме корней, приставок и окончаний, могут только подавлять детей массою тяжелого материала и внушить им отвращение к изучению русской речи.

Второй отдел курса, как мы сказали уже выше, состоит из 298 задач, на числа до 100. Распределены они без системы; задачи на большие числа предшествуют задачам на меньшие числа.

Одним из крупных недостатков книги нужно также считать отсутствие в конце ее краткого русско-грузинского словаря.

Наконец, нельзя не отметить и некоторых опечаток, которых в книге для чтения вообще желательно было-бы избежать.

Заклячая наш разбор „Курса“ некоторый за исключением некоторых достоинств, состоящих в краткости и большей или меньшей содержательности некоторых рассказов, мы должны констатировать, что он не свободен от многих крупных промахов и недостатков вследствие чего не выдерживает даже снисходительной критики. Если сопоставить эту книгу с подобными же трудами г. Гогебашвили, то нельзя не признать, что „Русское слово“ составленное последним, является лучшим из всех до сих появлявшихся руководств к обучению русскому языку в грузинских начальных школах. Только за это книга и одобрена в настоящее время учебным начальством в качестве руководства по русскому языку для грузинских начальных школ. Поэтому приходится сожалеть, что в

некоторых грузинских школах принята, в качестве учебника по русско-
му языку, такая Антипедагогическая компиляция, какую представляет
„Курс“ одобренный учебным начальством как пособие, а не как учебник.
– Бедные дети! Бедные школы!

დრამატურლის დღიურიდან

რა ძნელი მეგონა და რა ადვილი ყოფილა ლიტერატორობა!! მე-
ტადრე თუ დრამების, და უმთავრესად ისტორიულ დრამების წერა
დაიწყე. ამ რამდენიმე ხნის წინად ლიტერატორობა დიდს მძიმე გასა-
წევ მოვალეობად მიმაჩნდა, – დღეს კი, გუშინდელს სალამოს შემდეგ,
როდესაც ქართულს სცენაზე ჩემს პირველ ისტორიულ დრამას თამა-
შობდნენ, სრულებით აზრი შევიცვალე... ისტორიული დრამის დაწერა
ბოზბაშის ტამაზე ადვილი ყოფილა... არა გჯერათ? მერწმუნეთ, რომ
ასეა! მერწმუნეთ-მეთქი, იმიტომ, რომ დღეს მე ცნობილი დრამატუ-
რლი ვარ... არა თუ?... აი, რას ამბობს ჩემი რეცენზენტი: „დრამა სავსეა
სიცოცხლით... ენა მშვენიერია... იმედია, რომ ავტორი თავის ნიჭს არ
მოჰკლავს და უფრო უკეთესს დრამებს დასწერს“–ო. მე იმას სრულე-
ბით ვეთანხმები! თუ ნიჭი არა მაქვს, მაშ როგორ დავწერე ეს ამო-
დენა ხუთმოქმედებიანი დრამა... არა, უეჭველია, რომ ჩემი კრიტი-
კოსი არა სტყუის. მე დღეს ნიჭიერ დრამატურლად ვითვლები და მალე
ნაყოფიერ დრამატურლადაც გადავიქცევი! იმდენს დრამებს დავწერ,
რომ ქვეყანა განცვიფრებაში მოვიყვანო!.. წელიწადში ოცს, ორმოცს
დრამას დავწერ, სულ ისტორიულებს. გამიჭირდება თუ?... გადავშლი
რომელიმე დრამების კრებულს, ამოვარჩევ ისეთს დრამას, სადაც
ბრძოლა, კაცების კვლა, ან მოწამვლა, ან თავის ჩამორჩობაა წარმო-
დგენილი. მერე გადავშლი ჩვენს უებრო „ქართლის ცხოვრებას“, საცა
ან შაჰაბაშის შემოსევაა აწერილი, ან თემურლენგის ან კიდევ ჰო...
დიდებულის თამარის, ბაგრატის, ირაკლის და თუნდა სხვების ცხო-
ვრებაა მოთხრობილი. მე იქ მართო სახელებს მოვძებნი, ღვთის წი-
ნაშე იმისი კითხვა კი არ მიყვარს, ერთი იმისთვის, რომ მძიმე ენით
არის დაწერილი და არც მესმის; მეორე იმისთანა დაპუწული ამბებია,
რომ თავი გაგირეტდება იმის კითხვით და სულაც ვერას მოახერხებ,
მე კი ხერხიანად ვიქცევი, მართო ამოვწერ იქედან ისტორიულ სახე-
ლებს და თვითონ დრამას ხომ რომელსამე ევროპიული დრამიდან

გადმოვიღებ, მართო ქართულ სახელებს ჩავურთავ და დრამაც გამოცხვა. მორჩი და მოისვენე.

ამ ჩემ დრამას სულ რაღაცა ორი თვე ვწერდი და ისეთი მშვენიერი ისტორიული დრამა დავწერე, რომ მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოვიყვანე, მეტადრე, როდესაც ჩემმა გმირმა შეჰყვირა: „ან სიკვდილი და ან სიცოცხლეო!“ იშიშვლა ხმალი, დაცალა თოფი და გადაერია თათრების რაზმში.

ამ დროს მთელი საზოგადოება თავითფეხამდე ჩემი დრამით იყო ჩაყლაპული და, როგორც შევნიშნე, ყველა ავტორის განუზომელსა და ცოცხალს ნიჭზე ჰფიქრობდა... ასე იცის ნიჭმა!..

გათავდა თუ არა სპექტაკლი, მთელმა საზოგადოებამ ერთხმად გაჰყვირა: „ვაშა, ვაშა, ავტორსაო!“ და როცა სცენაზე გამოვედი, საშინელი ტაშისცემით მიმიღეს: „გაუმარჯოს ახალს დრამატურდს, გაუმარჯოს ნიჭსაო“. აშკარაა, რომ მე ნიჭიერი დრამატურლი ვარ!.. მერე რამდენი ხანია, რომ ეს ჩემი ნიჭი დამალული იყო, მე ვერც კი წარმომედგინა, რომ ასეთი ნიჭის პატრონი ვიყავი... ჩემმა ნიჭმა უცბად მთელი საზოგადოება ფეხზე დააყენა და ცოცხლად დაანახვა, თუ რა მამაცი ყოფილა ძველ დროს ქართველი და ლაჩარი ყოფილა თათარი! უეჭველია, რომ ჩემი დრამები... /ახლა ერთის მეტი არა მაქვს, მაგრამ მალე მრავალი მექნება/, უეჭველია, რომ ჩემი დრამები უქმად არ ჩაივლის და რადიკალურ ცვლილებას მოახდენს ქართველობის სოციალურ და უმთავრესად პოლიტიკურ ცხოვრებაში. მერე რა გამოვა აქედან? ის რომ მთელი ქართველები გმირებათ გავხდებით. როგორც მე დღესა, ისე ყველანი ხანჯლებს ჩამოვიკანკურებთ და გადავესევით ჩვენს მტრებსა და სულ ბოლს ავადენთ, ყველას ჩვენს მტრებს გავჟლიტავთ და ვისი მეოხებით? სულ ჩემი დრამატიული ნიჭის წყალობით. მაშ მე გავხდი თვით ის გმირი, რომელმაც გამოვიწვიე ერში ასეთი გმირული სული. მერე, რასაკვირველია, მე დამადგმენ თავზე დაფნის გვირგვინსაც და რეჩებში შემამკობენ ასეთი სიტყვებით: „შენ ხარ საქართველოს საუკეთესო დრამატურგი, უმაღლესი ნიჭის მწერალი და მასთან გმირიცა, რომელმაც მტერს ჭერეხივით თავები დააყრევინაო“...

მე მალე, ამ ცოტა ხანში, კრიტიკოსიც უნდა გავხდე. მაგრამ სახელი უნდა გამოვიცვალო, ფსევდონიმის ნაბად-ჩაბალახი უნდა მოვიხურო, რომ არავინ მიცნოს. რაკი ასე მოვირთვები, მერე დავწერ რამდენსამე სტატიას სათაურით: „ქართული ისტორიული დრამა“. პირველ წერილში ჩემს დრამას გავარჩევ, მეორეში იმის წარმოდგენაზე ვილაპა-

რაკებ, მესამეში და სხვებში კიდევ დავამტკიცებ, რომ დრამის წერა ნიჭიერ კაცისათვის ბოზბაშის ჭამაზე ადვილია და გამოვარკვევ, რომ ქართული ისტორიული დრამის დამწერმა მხოლოდ ორი პრინციპი უნდა დაიცვას: 1. რაც შეიძლება ბევრი თოფ-ზარბაზანის ტექსტ-ხილი და ხმალ-ხანჯლის ტრიალი უნდა მოახდინოს სცენაზე, ასე რომ თოფის წამლის კომლით მაყურებელს თვალები დაუბნელდეს, მისი სუნით გული წაუვიდეს და ბოლოს სურდო-ხველა შეექმნეს. 2. რაც შეიძლება იმგვარი სიტყვები იხმაროს, როგორც მამული, სამშობლო, საქართველო, საქართველოს გაუმარჯოს... ან გამარჯვება და ან სიკვდილი... ღმერთო მაღალო, დაიფარე შენი ქვეყანა. აბა, ძმებო, შევესიოთ და შევღებოთ წითლად ჩვენი ხმალ-ხანჯალი და სხვა და სხვა... ბოლო სტატიაში წინა სტატიების შინაარსს გავიმეორებ მოკლედ და მოვიწვევ საქართველოს შვილებს, რომ ერთად ავიღოთ ხელში საისტორიო კალამი და ვწეროთ ისტორიული ხუთ-ხუთ მოქმედებიანი და ექვს-ექვს სურათებიანი დრამები... აბა, მაშინ უყურეთ, რა უცბად წავა წინ ჩვენი გონების განვითარება. მთელი ევროპა განცვიფრებაში მოვა და ჩემს სახელს სამუდამოთ დაიხსომებს.

მერე?.. მერე როდესაც შეიტყობენ, რომ პირველი ქართული ისტორიული დრამის მკვლევარი მრავალი დრამების მწერალიც იყოვო, მერე?.. მერე ისა, რომ საქართველოს ერი ჩემი ნიჭის მეოხებით პირველი ერი გახდება დედამიწის ზურგზე და მე... მე ტაშის ცემით გამომაყრუებენ, აპოთეოზს გამიკეთებენ და წითელ ბენგალის ცეცხლში გამახვევენ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგობას

მაქვს პატივი მოგახსენოთ ხსენებულს გამგეობას, რომ 1894 წ. მაისის 20, №182 მიწერილის წინადადების შესახებ მოზდოკის სკოლაზე (9) ცნობების შესაკრებად ყველაზე უფრო სარწმუნოდ და დასაჯერებლად დავინახე მოზდოკში წასვლა და ადგილობრივ საქმის გარემოების გაგება; ამ მიზნით ვიყავი კიდევ მოზდოკში 7-10 ივნისამდის და შევკრიბე შემდეგი ცნობები: მოზდოკში მცხოვრებს კარგად შეძლებულს ქართველს იოსებ თევდორეს ძე გუბნელოვს თავის საფასით აუგია ეკლესიის გალავანში სასკოლო შენობა, რომელსაც აქვს ორი სრული და ერთი პატარა ოთახი სრული დერეფნით, შენობა საზოგა-

დოთ აკმაყოფილებს სკოლისათვის საჭირო, როგორც პედაგოგიურს, ისე ჰიგიენურს მოთხოვნილებას.

მოზდოკში ცხოვრობს დღეს 84 მოსახლე ქართველი, 300 სულზე მეტი, უმეტესი ნაწილი აქაურის ქართველებისა დიდს სიღარიბეში არის. ქართული სკოლის დაარსება და მისი სამართლიანი და აუცილებელი მოთხოვნილება დაუნახავთ და უკისრიათ მოზდოკელ შეძლებულს ქართველებს, რომელთა შორის, როგორც ნივთიერის, ისე მწეობრივ დახმარებაშიაც სარწმუნონი არიან: 1. იოსებ თევდორეს ძე გუბნელოვი, 2. პოლიცმეისტერი – სვიმონ დავითის ძე გაბაშვილი, 3. დეკანოზი – ბართლომე სინანოვი /სინანიშვილი/, 4. მათე იაკობის ძე ზუზინოვი, 5. სტეფანე დიმიტრის ძე იეგოროვი, 6. იაკობ ისაკის ძე კონჭუხიძე, 7. მიხეილ ჭყონია /მასწავლებელი იქაური საქალაქო სასწავლებლის/, 8. პეტროვი, 9. მარცველაძეები და 10. მარჯანიშვილი.

თუმცა ქართველი ბავშვები 17-მდის სწავლობს აქაურ სკოლებში, მაგრამ რუსული ენის წესიერად შეუთვისებლობისა გამო, სხვა ტომის მოწაფეებთან შედარებით სუსტად სწავლობენ.

ბემოხსენებულ პირთა შორის ჯერჯერობით სამს თუ ოთხს აღუთქვამს ყოველ წელს ერთად 200-250 მანეთის გადახდა სკოლის სასარგებლოდ: ესენივე ჰკისრულობენ სკოლისათვის პირველად საჭირო ნივთების შეძენას, მოპოვებასაც. შემდეგში უეჭველია აქაური პატარა წრე ქართველებისა, ერთი ამრითა და გრძნობით აღჭურვილი იფიქრებს სკოლისათვის უფრო მეტი საშუალების მოპოვებასაც.

ხოლო, რაც შეეხება სკოლის აუცილებელ საჭიროებას მოზდოკელ ქართველთა შორის, ამის მხრით დავსძენ, რომ მოზდოკელ ქართველთა, როგორც ეკონომიურ, ისე მწეობრივად ასამაღლებლად, უდიდესი საშუალება იქნება მათთვის ქართული სკოლა, რომლის გახსნას დიდს აღტაცებით მოელის მოზდოკელი ქართველიც, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია დედაენის მცირედი ნაწილი, რომელიც მისს მპყრობელთან ერთად დღეს თუ ხვალ გაქრობას აპირებს...

მათვალყურის შინიშვნები

ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, რუსეთსა და ჩვენშიაც, ხალხთა სიბნელის მოსასპობად, რაც ხელს უშლის ყოველგვარ კეთილ საქმესა, წინმსვლელობასა და ერის წარმატებას, არსდება სხვა და სხვა სახალხო და სამრევლო სკოლები, უფასო სამკითხველოები და წიგნთსაცავები, რომელთაც საგნად აქვთ ხალხის გონების გამოფხიზლება, განვითარება და აყვავება მისის ზნეობრივისა და ქონებრივის მდგომარეობისა.

ოცს წელიწადზედ მეტია, რაც ჩვენში სახალხო სკოლები დაიმართა. ეს დრო საკმაოა, რომ სოფლის სკოლას შესაფერისი გავლენა ჰქონოდა იმ სოფლის საზოგადოების მკვიდრზედ, სადაც სკოლა არსებობს; მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ ყველგან ამ საქმეში სასიამოვნო სურათს ვერ ვხედავთ: ბევრგან ჩვენი უბრალო ხალხი ვერ კიდევ ცუდის თვალთ უყურებს სასოფლო სკოლებს, არ უცხადებს კანონიერ თანაგრძნობას სწავლების საქმეს, ნებაყოფლობით, ძალდაუტანებლად, – პირიქით, ზოგიერთი ჩვენი გლეხი იმ აზრისაა: ოღონდ ეხლანდელი სკოლა, რომლისთვისაც გადასახადს იხდის და რომელიც, მისის აზრით უსარგებლო დაწესებულებაა, თავიდან აიცილონ, გადარჩენენ იმ ხარჯს, რასაც ეწვევიან სკოლის შესანახად და მეტი არა უნდათ რა. ნუთუ ჩვენებურ გლეხს, უფრო იმერეთში, შესწამებს ვინმე სწავლის გულგრილობას, სწავლის უნარის დაუფასებლობას? სრულიადაც არა. აქ მიზეზი სულ სხვაა და სხვაგანაც უნდა ვეძებდეთ. უმთავრესი მიზეზი კი, სხვათა შორის, ჩვენი გლეხის სასწავლებლის მიმართ გულგრილობისა, ჩვენი აზრით, ჩვენებური სკოლების პროგრამაა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს გლეხთა ცხოვრების მოთხოვნილებას, ვერ ამართლებს იმ იმედებს და მოლოდინს, რომლითაც შეჰყურებს გლეხკაცი სასწავლებელს. დღეს ამნაირი სურათი უკმაყოფილების გრძნობას დაჰბადებს ჩვენის ხალხის განათლების გულშემმატკივართა გულში და საჭირბოროტო საქმედ მიიღებს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია თავის ერის მომავალი, რომლის ბედი და უბედობა სწავლა-განათლებისაგან არის დამოკიდებული.

ამ ერთი კვირის წინად სოფ. წყალტუბოს /იმერეთშია/ სოფლის საზოგადოების ყრილობას დავესწარი. ბოქაულმა გამოუცხადა თავყრილ ხალხს, რომ მთავრობის განკარგულებით ყველა მამრას

და აგრეთვე ქუთაისის მამრაშიც ერობის ხარჯით უნდა გაიმართოს საპროფესიონალო სასწავლებელი, რომელიც დაარსებული უნდა იყოს ან დაბა სამტრედიაში და ან ხონშიო. ეხლა თქვენ გკითხავთ, სად გირჩევნიათ, ეს სასწავლებელი – ხონსა თუ სამტრედიაშიო. ხალხმა ერთხმად შესძახა: არ გვინდა არც ხონში და არც სამტრედიაში, თუ უნდათ, ეს ჩვენი სასწავლებელიც სამტრედიაში წაიღონო; არ გვინდა სასწავლებელი, ისეც ტყავი გვძვრება გადასახადისაგანო და სწრაფად დაბრუნდნენ სახლისაკენ, თითქოს სასწავლებლის ხსენებაზედ საწამლავი დაეღვეინებინოს იმათთვის ვისმეს.

დიაღ, ამგვარ სურათს ჰხედავთ დღეს იმისთანა სოფლის საზოგადოებაში, სადაც ცამეტი წელიწადია, რაც ერთკლასიანი სახალხო სკოლა არსებობს. ხალხი ამბობს, ამ სასწავლებელს სარგებლობა არ მოაქვს ჩვენთვისო, მანდედგან გამოსული ქართულად დაწერილის წაკითხვასაც ვერ ახერხებსო, კანცელარიიდგან მოსულს უწყებას ვერ წამიკითხავსო და სხვა. ამისთანა ჩივილს ხალხისას, რასაკვირველია, ბევრი არ დაეთანხმება, რადგანაც ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ცამეტი წლის განმავლობაში ამ სასწავლებელს, რომელიც 900 მოსახლე კაცისათვის ერთად ერთი დაწესებულებაა სწავლის გასავრცელებლად, ცოტა თუ ბევრად თვალსაჩინო სარგებლობა არ მოეტანოს საზოგადოებისათვის, რომელიც სამართლიანად თხოულობს ანგარიშს სკოლის ვითარებისას. ჩვენი ხალხი სჯერდება იმას, რასაც თავის თვალთა ჰხედავს, თავის ყურით ისმენს, სჯის ისე, როგორც თავის ჭკუა-გონება ამხილებს, – ეს სჯა, ეს დასკვნა, როგორც ერთხმობივი ჭკუის ნაყოფი, ზოგჯერ უსაბუთოა, უსამართლოა, მაგრამ ხანდახან კი საბუთიცა აქვს და სამართალიც. აქ უნდა გამოფხიზლება სკოლის გამგეს. ამ დროს უნდა ნათლად დაანახო საზოგადოებას მხნეობით, მეცადინეობით, ზნეობრივ გავლენით ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცნობების გადაცემით, საზოგადო მოქმედებით და არა სიტყვით, რომ სასწავლებელი ისეთი საფრთხობელა კი არ არის, როგორც დღეს მი-აჩნიათ, არამედ საშვილიშვილო სასარგებლო დაწესებულებაა, რომელსაც საზოგადო განათლებით ადამიანი გამოჰყავს პირუტყვულ მდგომარეობიდგან და ამაღლებს ზნეობრივად და ნივთიერად.

ჩვენ სასოფლო სკოლებში საზოგადოდ არსად არ არის წესად შემოდებული, რომ წლის დასასრულს, ყმაწვილების გამოცდის დროს, მოიწვიონ მოწაფეების მშობლები და სხვა საპატიო ხალხი, გამართონ წლიური აქტი, მიიპატიჟონ საზოგადოება, წაუკითხონ სკოლის წლიური ანგარიში, რომლიდგანაც ყველა ნათლად დაინახავს რაში და

როგორ იხარჯება საზოგადოების მიერ გაღებული ფული, მიაქციონ საზოგადოების ყურადღება სკოლის არსებითს ნაკლულევანებას, ამღერ-აგალობონ მოწაფეები, წაუკითხონ ლექსები ან ათქმევინონ ზეპირად რამე, აჩვენონ საზოგადოებას იმათი ნამოქმედარი. ამის შემდეგ ვერც ვერავინ ეჭვს შეიტანს სკოლის საქმეში და არც არავის ექნება საბუთი სთქვას, რომ სკოლა უსარგებლო დაწესებულებააო. დღეს გლეხმა არ იცის, რა კეთდება სასწავლებელში, იცის მხოლოდ, მეზობლის ბავშვი დადის სკოლაშიო. მიუტანს ვექსილის ქალაქს წასაკითხავად, თუ წაიკითხა, ხომ კარგი, თუ არა და იტყვის ზემოთ აღნიშნულს სიტყვებს და უკვე გამოიკვანძავს აზრს სკოლის უსარგებლობის შესახებ.

სოფ. წყალტუბოში მასწავლებლის თაოსნობით გაუმართავთ საერო წიგნთსაცავი და სამკითხველო. წიგნთსაცავში ჯერჯერობით ცოტა წიგნებია. ერთი აქაური მცხოვრები დაჰპირებია წიგნთსაცავს 50 მანეთის წიგნის შეწირვას, რაც დიდი შექნა იქნება ღარიბის წიგნთსაცავისათვის. სამკითხველო და წიგნთსაცავი მოთავსებულია სკოლაში, მაგრამ კარგს იქმოდნენ, თუ ცალკე ააგებენ წიგნთსაცავს.

მასწავლებელივე მეთაურობს ს. წყალტუბოში სასოფლო ბანკის დაარსებას, რომელიც ფრიად სასარგებლო დაწესებულება იქნება წყალტუბოს საზოგადოებისათვის, სადაც ხშირად საწყალი გლეხები უფულობის გამო დიდს განსაცდელში ვარდებიან; იმის გარდა, რომ თუმანში 24% იხდიან წელიწადში, ფულის პატრონი ვალდებულია ჰხდის გლეხს წელიწადში სამს დღეს უფულოდ მოეხმაროს, როცა კი ეტყვის; ეს სამი დღეც მაშინ იქნება, როცა გაცხარებული მუშაობაა და თითო კაცი მანეთი ან ექვსი აბაზი ჰღირს დღეში.

სოფ. წყალტუბო განთქმულია აგრეთვე თავისი აბანოებით და თბილი წყლებით. ეს აბანოები ერთი საუკეთესოთაგანია მთელს ქუთაისის გუბერნიაში: ხალხიც ბლომად ეტანება ყოველ მხრიდგან, შარშან 5000 მანეთამდის შემოსავალი ჰქონდათ მეპატრონეებს. ამ თხუთმეტი წლის წინად ამ წყლების ანალიზი მოახდინეს მეცნიერებმა: გრუმმა, სკოროვმა, სიმონოვიჩმა, ბაცკევიჩმა და სოროკინმა. იმათის შემოწმებით იგი შეიცავს: „Теплый известковый источник, имеющий температуру 26,8-7°P. Выходит из слоев среднего мела. Содержит серно-кислая и, углекислая соли магния и кальция, хлористые натрий и магний, следы железа и свободные сероводороды, углекислоту.“¹

წყალტუბოს წყლების შესახებ ბევრი წერებულა წინა ქართულ-

1. იხ. წიგნი მიოლლერისა „Полезн. иск. мин. воды кавк. края“, стр. 309.

რუსულ გაზეთებში და ყოველთვის აბანოს საცხოვრებელ ვითარებას სამართლიანად აძაგებდნენ; ამ უკანასკნელს წლებში წყალტუბოს წყლებს დიდი გაუმჯობესება ეტყობა, აუგიათ საკმაო რიცხვი მშვენიერის ქვითკირისა და ხის შენობებისა მომსვლელთათვის, შემოუღობავთ აბანოს ადგილები და დაუცავთ საჭირო სისუფთავე, დაურგავთ საკმაო რიცხვი სხვა და სხვა ხისა, გაუყვანიათ აბანოები რამდენიმე თავალად, ასე რომ მსურველს შეუძლიან ცალკე ნომერიც დაიქირავოს. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ წყალტუბოს აბანოების საქმე სულ წინ-წინ მიდის გაუმჯობესების მხრივ.

წყალტუბოს სოფლის საზოგადოება ისე დაშორებულია ქუთაისს და ხონს, რომ ავადმყოფობის დროს აქ ვერც ექიმს მოიყვანს კაცი და ვერც რიგიან წამალს იშოვნის. ერთი ქუთათური ვაჭარი აპირებს წყალტუბოს აბანოს ახლო აფთიაქის გამართვას, ამისთვის სახლიც დაუქირავებიათ. რასაკვირველია, აფთიაქის გამართვა ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ უფრო კარგს იქმნოდა აფთიაქის დამაარსებელი, რომ წამლების საწყობი გაემართა ხალხისათვის უფრო დასამხარ ადგილზე, სადაც სასწავლებელი და სოფლის სასამართლოა; ეს უფრო სასარგებლო იქმნებოდა როგორც დამაარსებელისათვის, ისე უბრალო ხალხისთვისაც, რომელიც ჯერ კიდევ მკითხავებისა და გაიძვერა ექიმების რჩევას უფრო მისდევს, ვიდრე სხვა გონიერ საშუალებას.

ამ ცოტა ხანში წყალტუბოს სოფლის მოხელეების არჩევნებს მოელიან, უნდა ვიფიქროთ, რომ დროა გამოფხიზლდნენ აქაურებიც, მიმართონ სხვა სოფლის საზოგადოების მაგალითს, სადაც სოფლის მოხელე-მამასახლისად ნასწავლი და შეგნებული კაცები ჰყავთ. დროა შეიგნოს ჩვენმა ხალხმა, რომ მხოლოდ ღირსს და პატიოსან კაცს, ნასწავლს და შეგნებულს შეუძლიან კარგად მოვლა და კარგი პატრონობა გაუწიოს საზოგადოებას. ამისთანანი წყალტუბოს საზოგადოებაში გამოჩნდებიან, შორს საქებარნი არ არიან და ამიტომ უფრო საბუთი გვაქვს კიდევ გავიმეოროთ: დროა წყალტუბოს საზოგადოების მკვიდრნიც მიხვდნენ, რომ „ერის ბედია, თუ დაჯდა კარგი რამ მოსამართლეა“.

ს. აბაშისა და ნანეიშვილისეული საზოგადოება /გურიაში/ და აბაშისა და საჭილაოს საერთო წიგნთსაცავის საქმე

პირველდაწყებითი სასწავლებლების სამაგალითოდ მოწყობით დღეს უფრო სახელგანთქმულია ავსტრია და გერმანია; ავსტრიელები სამართლიანად ამბობენ, თუ გინდა დამიმტკიცოთ რომელისამე ქვეყნის აყვავება განათლების მხრივ, სასახლეებსა და დარბაზებს კი ნუ მაჩვენებთ, სასწავლებლებში შემეყვანეთ. ავსტრიის მოწინავე და შეგნებული ხალხი სოფლის სასწავლებელს სარკვედ სთვლის უბრალო ხალხისათვის; როგორც ჰიგიენურად მოწყობილობა, ისე საჭირო, მაგრამ თუნდ ძვირფასი ნივთებითაც სასწავლებლის მოწყობა, საღმრთო ვალად მიაჩნია. ავსტრიის ხალხმა კაი ხანია შეიგნო დიდებული სიტყვა იმპერატორ იოსებ II-სა, რომ სასწავლებელზე დახარჯული ფული, ერთი ორად ჰბრუნდება საპყრობილეებისა და საავადმყოფოების ხარჯის შემცირებითაო. დასასრულ, ავსტრიელები დიდი და პატარა, განათლებული და გაუნათლებელიც შესაფერს პატივსა სცემენ ყველას მათ, ვინც პატიოსნად და სინდისიერად ჰმუშაობს სასწავლებლების გავრცელებისათვის. სკოლებისაგან, როგორც ერის ბედნიერების წყაროდგან, ავსტრიელები მოელიან ხალხის განახლებას, უკეთესს მამულიშვილებს; ამიტომ დღეს, ავსტრიელი მამულიშვილი ამას ჰლაღადებს: „ავსტრია ჯერ არ ყოფილა, მაგრამ იქმნება“.

ჩვენში ჯერ პირველ დაწყებითს განათლების საქმე ისე კუს ნაბიჯით მიდის, რომ ბევრს ჩვენებურ სოფლის საზოგადოებაში სასწავლებლებს ფარნითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი, ამბობენ და სტატისტიკითაც დამტკიცებულია, რომ მთელს საქართველოში პირველდაწყებით სასწავლებლების უნარი და მნიშვნელობა დასავლეთ საქართველომ და უფრო გურიაში შეიგნოვო. მაგრამ დღეს გურიაშიაც მოიპოვება ისეთი სოფლის საზოგადოებანი, რომელთაც აგერ ათი, თხუთმეტი წელიწადია სასწავლებლის საჭიროების შესახებ ეჩინებიან, მაგრამ მაინც ვერ შეიგნეს და ვერა, ხალხი მაინც უარზე სდგას სასწავლებელი დაიარსოს.

ამ ცოტა ხნის წინად სოფ. საჯავახოში, ნანეიშვილისეულ სოფლის საზოგადოებაში, სადაც სკოლის ხსენებაც არ არის, განაჩენი დაუდგენიათ სკოლის გახსნის თაობაზედ. ეს განაჩენი ადგილობრივ ბოქაულს წარუდგენია დასამტკიცებლად, სადაც ჯერ იყო, მაგრამ სანამ

განაჩენს დაამტკიცებდნენ, ნანეიშვილისეულმა საზოგადოებამ იჩივლა მთავრობის წინაშე, რომ ჩვენ განაჩენის თანახმანი არა ვართო, წერა არ ვიცოდით და ჩვენს მაგიერ, ჩვენის სურვილის წინააღმდეგ, სხვებს მოაწერინეს ხელიო, მაშინ როდესაც ჩვენ სკოლის დაარსების სურვილი სულ არ გაგვიცხადებიაო და სხვ. რასაკვირველია, წინანდელი განაჩენი დაირღვა და ამნაირად ხსენებულს საზოგადოებაში სკოლის გამართვის საქმე ვერჯერობით შეჩერებულია და ვინ იცის როდის ეღირსება საწყალი ნანეიშვილისეულის სოფლის საზოგადოების მოზარდი თაობა განათლების სხივის მიღებას?

განათლების მხრით ნანეიშვილისეულს საზოგადოებას არც მისი მემობელი აბაშის სოფლის საზოგადოება ჩამორჩება უკან; ამ სამამასახლისოს დიდი ხანია უნდა სასოფლო სკოლა დააარსოს. ამის შესახებ რამდენჯერმე შეკრებილან და მსჯელობაც ჰქონიათ, მაგრამ, რადგანაც სკოლისათვის ადგილის არჩევაში ვერ შეთანხმებულან სხვა და სხვა სოფლები, ამიტომ სკოლის გამართვის საქმეც ვერ განხორციელებულა. რასაკვირველია, სკოლის გამართვის დროს ორს უმთავრეს პირობას უნდა მიექცეს ყურადღება: ერთი იმას, რომ სკოლა ყველა სოფლელებისათვის დასამხარ ადგილას უნდა იყოს და მეორე, ის ადგილი აკმაყოფილებდეს შეძლებისდაგვარად ყოველს გვარს ჰიგიენურს მოთხოვნილებას.

ს. ჭოკნარში /აბაშის საზოგადოება/ ერთს სასულიერო სემინარი-აში კურსდამთავრებულს ბ. კანდელაკს გაუმართავს სამრევლო სასწავლებელი, წლიურად სწავლის ფასი გაუხდია 5 მან.; 40-მდის მოსწავლისათვის მოუყრია თავი, მაგრამ დაწესებულ ფასის ნახევარიც ვერ აუღია. მასწავლებელი და მისი მეუღლეც თურმე ძალიან გულმოდგინედ ასწავლიან პატარა ბავშვებს, რომლებიც დიდად მადლიერნი არიან თავიანთი მასწავლებლისა. თუ ნივთიერი სივიწროვისა გამო მასწავლებელი არ შენაღვლიანდა და გულგრილად არ მოეკიდა სწავლის საქმეს, უნდა ვიფიქროთ, იგივე მასწავლებელი ბ-ნი კანდელაკი მალე მოავგარებს აბაშის საზოგადოებაში საზოგადო ხარჯით სკოლის გამართვასაც. ღმერთმა ჰქნას!

აბაშის სოფლის საზოგადოების შესახებ ლაპარაკმა მომაგონა მეორე აბაშაც /სამეგრელოშია/. აქ, დ. აბაშაში, ამ სამი-ოთხი წლის წინად ერთი განათლებული ახალგაზრდა ყმაწვილი, საერო წიგნთსაცავისა და სამკითხველოს დაარსებას აპირებდა, ამისთვის წარმოდგენების გამართვით თუ სხვა შეწირულებათა შეგროვებით რამდენიმე შეწირულებაც შეგროვდა და გადაეცა ხსენებულს მეთაურს. აგერ

სამი თუ ოთხი წელიწადი გადის და არც წიგნთსაცავისა და არც ხსენებული ფულის შესახებ არაფერი არ ისმის. შესაძლებელია ბ-ნმა მეთაურმა დროებით მიივიწყა საერო წიგნთსაცავის საქმე, რომლითაც მაშინ დიდათ გატაცებული იყო, მაგრამ სამი-ოთხის წლის სიჩუმე საბუთს გვაძლევს გავახსენოთ ბ-ნს მეთაურს, რომ თუ საზოგადო საკეთილო საქმეში მეთაურობა სახელია, სამაგიეროდ საქმის დაწყება და შემდეგ კი გულგრილობა და მივიწყებაც არ არის კარგი, ამნაირად, შეიძლება ხალხის თვალშიაც სახელი პატიოსანის კაცისა დავკარგოთ და იმათი უნდობლობა დავიმსახუროთ. დ. აბაშაში მოღვაწე კაცი ყოველ ნაბიჯზე იშოვის დამხმარებელს, მხოლოდ პირველად უნდა გაძლოლა, გზის ჩვენება, წინამძღვრობა და შემდეგ თავიანთ სასარგებლო საქმეს თვითონ გამოაკეთებენ, თვითონ გაუძღვებიან.

წიგნთსაცავის საქმის კეთილმდგომარეობას არც ს. საჭილაოში ვხედავთ /აბაშის ახლოა/. აქ ამ თორმეტის წლის წინად ერთმა აქაურმა განათლების მოთავემ იკისრა საერო წიგნთსაცავის გამართვა სოფ. საჭილაოში, მარნის სამამასახლისოში, ამისათვის შეაგროვა ხელისმომწერის გამართვით 100 მანეთამდის და ამ ფულით კიდევ დაიბარა ტფილისიდან ქართული წიგნები, რომელიც ყდაში დაკაზმულები მიიღო. ბ-ნმა მოთავემ სთხოვა საერო სკოლების დირექტორს, რომ ნება მიეცა მიღებული წიგნების სკოლის წიგნთსაცავის ნუსხაში ჩაწერისა და სკოლაშივე შენახვისა, მაგრამ რადგან ხსენებული წიგნები სამინისტროსაგან მოწონებული არ იყო, დირექტორმა უარი უთხრა სკოლაში მოწონებელის წიგნების შენახვისა. ამის შემდეგ ხსენებულის 100 მანეთის წიგნების ჭაჭანებაც კი არ ისმის, სად გაიბნა, არის სადმე დღეს და სარგებლობს ვინმე თუ არა. ასეა დღეს ბოგიერთი სოფლის ინტელიგენციის საქმე; თავის მიერ დაწყებულ და გაკეთებულ საქმეს თვითონვე ახდენს მოუვლელობისა და უყურადღებობის გამო. დღეს ბ-ნი გუბერნატორი ყველას ნებას აძლევს უფასო წიგნთსაცავისა და სამკითხველოს დაარსებისას. რატომ მარნის საზოგადოებაში, სადაც 100 მანეთის სხვა და სხვა ქართული წიგნებია გაბნეული, არა ჰზრუნავენ იმისათვის. ამისი პასუხისმგებელი ადგილობრივი ინტელიგენციაა, რომელთაც სარკესავით თვალწინ უნდა ჰქონდეს უკვდავის პოეტის ღირსშესანიშნავი სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“.

ინტელიგენციის, ამ ქვეყნის მარილის ვალია ხალხის შეგონება, შეგულიანება კეთილ საზოგადო საქმეში, ინტელიგენციის ვალია, თა-

ვის თავი მდაბიო ხალხის თვალში იქამდის აამაღლოს, რომ ყველა იმის სიტყვას მოწონებითა და გულდასმით ისმენდეს. ეს ადვილად შეუძლია სოფლად ყველას, ცოტად შეგნებულს კაცსაც, რომელიც კი ჩვენის ნიჭიერ პოეტის ანდერძს მისდევს.

„აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვინ წმინდა ბერია,
ცხოვრობდეს, ერს ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია,
ბრძენმა არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია.
ბრძენის ურიგო ქცევისა ბაძვით წაწყდების ერია“.

კვდაგოგიური შინიშვნები საერო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ

ლექსები, როგორც ერთი საშუალებათაგანი დედაენის შესასწავლად პირველდასაწყის სკოლებში

პირველდასაწყის საშუალებაში დედაენის შესასწავლად, სხვათა შორის, ლექსების დასწავლასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საბავშვო საკითხავი წიგნების შემდგენლები პროზაიკულ სტატიებთან ერთად ათავსებენ საუკეთესო ლექსებსაც, როგორც სამაგალითოს, როგორც ძვირფასს მარგალიტს მშობლიური პოეზიისას, ფრიად სასარგებლოს დასასწავლად.

ლექსების სწავლებას აქვს დიდი მნიშვნელობა არა მარტო მისთვის, რომ გააცნოს ბავშვების გონება განსავითარებლად დედაენის საუკეთესო ნაწარმოებს, არამედ მისთვის, რომ აღზარდოს მოსწავლეში დასაწყისი უმაღლესი ზნეობრივი წესიერებისა, რომ გაიღვიძოს ბავშვის გულში სიმართლის, სიკეთის და სიმშვენიერის გრძნობებმა და აგრეთვე მისთვის, რომ ბავშვს ჰქონდეს ცოცხალი სიყვარული და მისწრაფება ყველა კეთილისადმი. ამნაირად ლექსების შესწავლას ყოველთვის უნდა მოჰყვეს შემდეგი შედეგი: ა/ გააცნოს მოსწავლე სიტყვა-კაზმულს მწერლობას, სამაგალითო ენას; ბ/ განავითაროს ბავშვის გონებითი ნიჭიერებანი: მეხსიერება, ჭკუა-გონება და წარმოდგენილობანი; გ/ აღზარდოს ბავშვში ესთეტიკური გრძნობანი, კეთილშობილური ბრწყინვალე აზრები, გაუღვიძოს ბავშვს აქტიური

მისწრაფება სათნოებისადმი და ზიზლი ბიწიერებისადმი. კერძოდ, ლექსები წარმოადგენენ მშვენიერ მასალას ბავშვების ხელოვნურად წაკითხვის შესასწავლად. ლექსების კითხვაში ვარჯიშობის დროს ბავშვები ადვილად გაიგებენ კარგი კითხვის კანონებს. ერთი სიტყვით, პოეზიის სამაგალითო ნაწარმოების კითხვას და შესწავლას ღრმა მნიშვნელობა აქვს ბავშვის განათლებისა და აღზრდის მხრით. პატარა ბავშვებს ვინც კი დაჰკვირვებია, ადვილად შენიშნავდა, რომ რითმოვანი სიტყვების გამოთქმა ძალიან უყვართ. ნანა, ხალხური ლექსები, სიმღერები ყოველთვის ატკობდა და ატკობს ბავშვის ცხოვრებას. უეჭველია, ბევრი შენიშნავდა ერთ გარემოებას, თუ თვალყური უდევნებია ბავშვებისათვის ანბანის შესწავლის შემდეგ, ბავშვი გაათავებს ანბანს და მიეჩვევა ცოტათი კითხვას თუ არა, მაშინვე პირველსაკითხავ წიგნში ის ჯერ გადაიკითხავს პატარ-პატარა და ადვილ გასაგებ ლექსებს. ლექსების რამდენჯერმე წაკითხვით ბავშვები ბუნებრივად თვითონ თავისთავად იწვრთნებიან, ვარჯიშდებიან კითხვაში. ამას გარდა წესიერად ლექსების შესწავლა საუკეთესო საშუალებაა ბავშვების მეხსიერების განვითარებისათვის. სიტყვაკაზმულ ნაწარმოებთა მნიშვნელობა ადამიანის და მთელი ერის აღზრდაში ყოველთვის საგრძნობელი და საგონებელი ყოფილა. ამისთანა ნაწარმოებთა ძლიერებას ემორჩილებიან არა მარტო განათლებულნი ხალხნი, არამედ, ველურებიც. კაცობრიობა დიდი ხანია, რაც სარგებლობს პოეტური ნაწარმოებებით ახალ თაობის ესთეტიკურ და მნიებრივ გრძნობების განსავითარებლად. ძველი ბერძნები სწავლობდნენ დედაენას ჰომერზედ, ჰესიოდზედ და ეზოპოსის არაკებზე. ლექსების ხელოვნურად წაკითხვა, სიმღერა-გალობა, საკრავებზედ დაკვრა შეადგენდა აუცილებელ საჭიროებას მოზარდ თაობის აღზრდისათვის. ლხინის დროს სუფრას შეამკობენ ათასნაირი ყვავილებით, ყურძნის მტევნებით. მოხუცებულებს შუა ჩასხდებოდნენ ახალგაზრდები, რომ ახლად გაფურჩქნილს უნაღვლო, უდარდელ ჭაბუკობის სიმშვენიერეს და სიკასკასეს დაემოშმინებინა მოხუცებულების დაღრევილობა, ნაღვლიანობა და გულისწუხილი, გამოწვეული მძიმე ჯაფისა და ბრუნვისა გამო. მასპინძელი და სტუმრები ერთმანეთს გაელექსებოდნენ, ეუბნებოდნენ ერთმანეთს მეტს მოსწრებულ სიტყვებს, აქვე იმართებოდა სასცენო წარმოდგენები, კითხულობდნენ ლექსებს, სააკომპანიმენტოდ ანუ ხმების შესაწყობად თამაშობდნენ, უკრავდნენ საკრავ იარაღებზედ და ამნაირად სიტყვების შეწყობილება საკრავი იარაღების ხმებთან, იძენდა მეტს ძალას, იძლეოდა მეტს სი-

ამოგნებას. ამგვარ სურათებს ვხედავთ ჩვენი ხალხის წარსულ ცხოვრებაშიაც. ამნაირ სურათს გვიხატავს ჩვენი პოეტი აკაკი „თორნიკე ერისთავში“ და ბევრი სხვებიც. ამნაირ სურათს ვხედავთ ბევრგან „ვეფხისტყაოსანშიაც“: – „ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს ტკბილთა ხმათა“. რა ზრდიდა ძველ ბერძნებს თუ არა „ილიადა“ და „ოდისეა“. ძველი ბერძნები იქიდან იღებდნენ პრაქტიკულს სიბრძნეს და ზნეობრივს კანონს ცხოვრებისათვის. რაზედ იზრდებოდნენ ჩვენი წინაპრები? რა გადაეცემოდათ მათ, როგორც სულიერი სამკვიდრო? – ძველი ამბები, მოთხრობები, ხალხური ლექსები, სიტყვაკაზმული მწერლობა, „ვეფხისტყაოსანი“, რომლებიდგანაც ყველა ჰხედავდა, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ, რომ გამხდარიყვნენ მამულის შვილნი, დროის გმირნი. ხალხური სიმღერები, რომელშიდაც ყველა ისმენდა კანონს, წესს ურთიერთშორის დამოკიდებულებისას; პატრიოტულის და ვაჟკაცური გრძნობების გასაღვიძებლად ხშირად მიჰმართავდნენ ხოლმე სახალხო სიმღერებს და დასასრულ საეკლესიო საგალობლები, ძილის პირები აღვიძებდნენ და აღვიძებენ უბრალო ხალხში რელიგიოზურ გრძნობებს. სიტყვაკაზმულ მწერლობის მიერ გამოწვეულს შთაბეჭდილებას შეუძლიან მთლად გადააკეთოს ადამიანის ხასიათი, გააკეთილშობილოს იგი. ხასიათიო, ამბობს სმაილსი, არის ერთი უსაჭიროესი ძალთაგანი ქვეყნიერებაში, კარგი და კეთილშობილური ხასიათის მპყრობელნი ყოველთვის სამაგალითოდ და კაცობრიობის ბუნების წარმომადგენლად იყვნენ. ადამიანი, რომელიც განსაკუთრებით განირჩევა ცხოვრების რომელიმე ასპარეზზედ, ადამიანი, დახელოვნებული, მაღალ-პატიოსანი, მაღალ-ზნეობიანი, დაუძრახავი, ამაღლებული მიზნით აუცილებლად გამოიწვევს კაცობრიობის პატივისცემას. ამისთანა ადამიანს კაცობრიობა, ხალხი სრულიად ენდობა და ცდილობს მიბაძოს მათ; ცხოვრებაში ყველაფერი კარგი მხოლოდ მათ შორის არის შეკავებული და თუ ამისთანა პირები არ იქნებიან ქვეყანაზედ, ცხოვრება არსად არ ეღირებოდაო, ამბობს იგივე სმაილსი.

რადგანაც პოეტურ ნაწერებს ამდენად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ პირველდასაწყისი სკოლის მასწავლებლებიც უნდა ცდილობდნენ, რაც შეიძლება უფრო მეტი რიცხვი ლექსებისა მიაწოდონ მოწაფეებს დასასწავლად. „დედა ენაში“, რომელიც იხმარება სახელმძღვანელოდ ჩვენს სკოლებში, ბლომად არის მოთავსებული ლექსებიც. ეტყობა, რომ ავტორიც დიდ მნიშვნელობას აძლევს ლექსების შესწავლას სკოლებში, მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ საზო-

გადო დიდაქტიკური მოთხოვნილობა: ყველა ლექსების მოხერხებულად დასწავლა შეუძლებელია, ლექსების სწავლების დროს აუცილებლად საჭიროა ვიქონიოთ სახეში, რომ ლექსი, როგორც შინაარსით, აგრეთვე გარეგანის ფორმით, გადმოცემით, ადვილი გასაგები იყოს ბავშვებისათვის, ლექსის შინაარსი უნდა ეთანხმებოდეს ბავშვების გონებით განვითარების ხარისხს, მათ მიერ შეგნება ამიტომ საჭიროა, რომ ის საგნები და მოვლენები, რომელზედაც ლექსებშია ლაპარაკი, ნაცნობი და დაახლოვებული უნდა იყოს ბავშვებთან, რომ ლექსის შინაგანი აზრი არ აღემატებოდეს ბავშვის მსჯელობის მასალას.

ყველა ლექსი, რომლის შესწავლაც შესაძლებელია პირველდასაწყის სკოლებში, შეიძლება გაიყოს სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს შეადგენენ იმისთანა ლექსები, რომლის შინაარსსაც შეადგენს ბუნების მხატვრობითი აღწერილობა, ბუნების მოვლენათა და მისი გარეგანი სახის გამოხატულობა. მეორე ჯგუფს შეადგენენ ის ლექსები, რომელიც შეადგენს პოეტურს ნაწარმოებს, აღებულს უბრალო ხალხის ცხოვრებიდან, სადაც გამოხატულია ხალხის მეცადინეობა, მისი სიმხიარულე და სიმწუხრე. მესამე ჯგუფის ლექსებს უნდა შეადგენდნენ ისეთი ლექსები, რომლის შინაარსსაც შეადგენენ წარსული დროის შესანიშნავი შემთხვევანი და ისტორიული პირები.

ამნიარად, თითოეულს ჯგუფს ლექსებისას აქვს თავიანთი მიზანი, დანიშნულება: მაგალითად, პირველი რიგის ლექსებმა უნდა აღძრას და განავითაროს მოწაფეების გულში სიყვარული მშობლიური ბუნებისადმი და განავითაროს მათი ესთეტიკური გრძნობა. მეორე ჯგუფის ლექსებმა უნდა აღზარდოს ბავშვის გულში სიყვარული, გულით მიდრეკილება და დაწაფება შრომისადმი, სოფლის ცხოვრებისა და გლეხის ყოფა-ცხოვრებისადმი. დასასრულ, მესამე რიგის ლექსებმა უნდა აღძრან და განავითარონ მოწაფეებში პატრიოტული გრძნობები და ეროვნული თვითშეგნებულობა.

რაც შეეხება არაკების სწავლებას – უფრო სასარგებლო იქნება ისწავლებოდეს იმისთანა არაკები, რომლებიც განირჩევიან მახვილი სიტყვებით, უბრალო ენით და აქვთ დამოკიდებულება უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან და რომლებიც იპყრობენ თავიანთ შორის ღრმა ზნეობრივ სწავლას, აზრს. ამისთანა არაკებს შეუძლიან ძლიერად იმოქმედონ მოწაფეებზე და განავითარონ მათი ზნეობრივი მხარე. რასაკვირველია, ლექსები და არაკები უნდა იყოს დალაგებული რიგზე, სისტემით და ერთი მეორის თანმიყოლებით, როგორც ენის, აგრეთვე შინაარსის მხრითაც, რომ დააკმაყოფილონ დიდაქტიკის უსაჭიროესი მოთხოვნილებანი.

სამწუხაროდ, ჩვენებური სკოლები, მიუხედავად აუცილებელის საჭიროებისა, ამნაირ ლექსთა კრებულს ჯერჯერობით მოკლებულია, ამიტომ მოწაფეები და მასწავლებლებიც იძულებულნი არიან დაკმაყოფილდნენ იმ ლექსებით, რომელიც მოთავსებულია საკითხავ წიგნში; ეს ნაკლიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ ჩვენს პატივცემულ პედაგოგს, პედაგოგიურ მწერლობაში მოღვაწეს ბ-ნს ი. გოგებაშვილს, მაგრამ მის მიერ გამოცემული „ხომლი“, ანუ ლექსთა კრება მოზრდილ ყმაწვილებისათვის“, (10) უფრო შეიცავს მარტო მესამე ჯგუფს ლექსთა კრებისას და ამიტომ ვერ აკმაყოფილებს ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილს მოთხოვნილებას.

ლექსებიც, როგორც პროზული სტატიები, უნდა ისწავლებოდეს განმარტებითი კითხვის გაკვეთილებზე. იქ სადაც გაკვეთილების მიცემა სახლში დასასწავლად წესად არის შემოღებული, დროის უქონლობის გამო, შეიძლება, უფროსი განყოფილების მოწაფეებს მიეცეს სახლში ზეპირად დასასწავლად კლასში წაკითხული, განმარტებული და ახსნილი ლექსები. ბავშვებს ძალიან უყვართ ლექსები და რადგანაც მეხსიერებაც ხელს უწყობს, ადვილად და ხალისიანადაც სწავლობენ; მხოლოდ აუცილებლად საჭიროა, რომ მიეცეს ჯეროვანი ყურადღება კლასში წინდაწინ ლექსების ახსნას და განმარტებას; შედეგი ამნაირი განმარტებისა იმაში მდგომარეობს, რომ მოწაფეებმა მთელი სიცხადით და ნათლად შეიგნონ, როგორც მთელი ნაწარმოების დედაბრი, აგრეთვე ხელოვნებითი წარმოთქმა, წაკითხვა განმარტებულის ნაწარმოებისა. თუ ეს პირობები არ არის დაცული, შეუძლებელია ბავშვს დაენიშნოს რომელიმე ლექსი სახლში ზეპირად დასასწავლად.

კითხვისა და წაკითხულის განმარტების დროს აუცილებლად საჭიროა მოწაფეებმა შეიგნონ ყველა უცნობი სიტყვის მნიშვნელობა, მათი კანონიერად ხმარება, განსაკუთრებული ფორმების – მეტაფორის, ტროპების და შედარებათა მნიშვნელობა და მათი კანონიერად გამოთქმა, ხმარება. მოწაფეებს უნდა ჰქონდეთ შეგნებული როგორც თითოეული წინადადების აზრი, აგრეთვე მათ შორის კავშირიც და უმთავრესად შეგნებული უნდა ჰქონდეთ მთელის ნაწარმოების დედაბრი, იდეა. ამისათვის ყოველი საჭირო განმარტება და ახსნა უნდა იყოს მოკლე და ადვილად გასაგები ბავშვებისათვის.

ლექსების განმარტებითი წაკითხვა და შესწავლა შეიძლება მოხდეს ამნაირად: ა/ პირველად რომელიმე დასასწავლ ლექსს წაუკითხავს კლასს მასწავლებელი თვითონ ხელოვნურად იმ მიზნით, რომ უჩვენოს მოწაფეებს მაგალითი კარგი წაკითხვისა და გააცნოს ისინი ლექსის შინაარსს. ბ/ წაკითხავს ლექსს რომელიმე მოწაფე, უფრო

საუკეთესოთაგანი ნაწილ-ნაწილად ან მთლად, თუ ლექსი დიდი არ არის, თითო ნაწილს კითხულობს თითო მოწაფე. ამ დროს ხდება განმარტება, ანუ ახსნა წაკითხულის ნაწილისა, სიტყვების და აზრის განმარტება; ასე წაკითხება ბოლომდის. ბოლოს ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი წაკითხავს თავიდან; ამის შემდეგ გ/ მოწაფეები გადასცემენ მასწავლებელს წაკითხული ლექსის შინაარსს თავის სიტყვებით, მასწავლებლის დაუხმარებლად, ან კითხვების შემწეობით; დ/ თვითონ მასწავლებელი წაკითხავს ლექსს ხელახლად თავიდან ბოლომდის იმ მიზნით, რომ მეორეჯერ უჩვენოს მაგალითი მკაფიო და ნათლად გამობატული გამოთქმისა, რომ მოწაფეებმა ადვილად წარმოიდგინონ ლექსის აზრების ერთმანეთის დამოკიდებულება და შემდეგ წაკითხვინებს საუკეთესო მონაფეებს; ე/ წარმოთქმა მთელის ლექსის შინაარსისა კითხვების შემწეობით, გამორკვევა ლექსის დედააზრისა, ზნეობრივი სწავლისა და დასახელება მოწაფეთა მიერ საჭირო მაგალითისა ცხოვრებიდან. დასასრულ, მასწავლებელი ავარჯიშებს მოწაფეებს ხელოვნურს კითხვაში, შეაჩერებს მოწაფეებს იმ ადგილზე, სადაც შეცდებიან, ან სადაც საჭიროა განსაკუთრებული გამოთქმა. ამიტომ მასწავლებელი ძნელ ადგილს ან თვითონ წაკითხავს და ან რომელიმე კარგს მოწაფეს წაკითხებს და ყველასაგან მოითხოვს ამ ნაირად წაკითხვას. შინაარსის დაწყობილად გადმოცემა საჭიროა მხოლოდ არაკების კითხვის დროს, სხვა ლექსების წაკითხვის დროს, განსაკუთრებით თუ ლექსი სალირიკო შინაარსისაა, ამ დროს თავისი სიტყვებით მისი გადმოცემა ზედმეტია, ამ დროს იკარგება ლექსის ხელოვნებითი სილამაზე, ენის სიფაქიზე, სიმშვენიერე, უამისოდ ლექსს არ შეუძლია იმოქმედოს ძლიერი შთაბეჭდილებით ბავშვის გრძნობაზედ, წარმოდგენილობაზედ და ამიტომ შეიძლება დაჰკარგოს თავისი მნიშვნელობაც. სალირიკო პოეზიას ყველაზე უფრო მსგავსება აქვს მუსიკასთან. მისი შინაარსი აგრეთვე არ გადიტანება უბრალო მოთხრობათ და არ გადაიცემა სიტყვებით, როგორც მუზიკალური პიესა. შეიძლება მხოლოდ იმისი გრძნობა, რადგანაც სალირიკო ლექსებში იხატება ყოველთვის თვითონ პოეტების გრძნობა და სხვ. ამიტომ თუ აუცილებელი საჭირო იქმნება ამგვარი ლექსების შინაარსის გადმოცემა, მასწავლებელმა მოწაფეთა შეძლებისა და გვარად კითხვებზედ უნდა მოითხოვოს სიტყვა-სიტყვით შინაარსის გადმოცემა. რაც შეეხება მოწაფეების მიერ ხელოვნურ წაკითხვას ლექსებისას, მასწავლებელმა თავიდანვე უნდა მიაქციოს ყურადღება და ეცადოს, რომ მოწაფეები

კითხულობდნენ ზომიერად ხმამაღლად, მკაფიოდ. აუჩქარებლად, გარკვევით, შეგნებით, შესაფერ ადგილას ლოლიკურის ხმის ამაღლებით და უნდა ცდილობდეს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, რომ მოწაფე წაკითხვის დროს ხატავდეს სულიერ მღელვარებას ხმის გადასვლა-გადმოსვლით, ხმის შეცვლით. გამოცდილებით ჩანს, რომ ბავშვების მიერ ხელოვნურ კითხვის შესწავლაში და საზოგადო ლექსების კარგად წაკითხვაში დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის კარგს სამაგალითო კითხვას. იმ სასწავლებელში, სადაც მასწავლებელი ჩინებულად კითხულობს, მოწაფეებიც კარგად და სასიამოვნოდ კითხულობენ. მოწაფეები ყოველ საქმეში თავიანთს მასწავლებელს ჰბაძავენ და ამიტომ კითხვაშიც მიბაძვით ადვილად გადაიღებენ მასწავლებლისაგან ხმის, კილოს სხვადასხვაფერობას. ამიტომ ფრიად სასარგებლო და საჭიროა, რომ თვითონ მასწავლებლები აქცევდნენ ყურადღებას ხელოვნურად წაკითხვას. ძალიან სასარგებლო იქნება, რომ ბავშვები ხშირად კითხულობდნენ იმისთანა ნაწარმოებს, რომელიც კითხვა-მიგებით არის დაწერილი და სადაც რამდენიმე მომქმედი პირია, განსაკუთრებით არაკებში. ერთი მოწაფე კითხულობს ერთი მომქმედი პირის სიტყვებს, მეორე მეორისას, მესამე – ავტორის სიტყვებს და სხვ. ამნაირი საკითხავი მასალა ძალიან აცოცხლებს გაკვეთილებს, ამხნეებს მოწაფეებს, უღვიძებს მათ კეთილმოშურნეობას; ამისთანების კითხვა ძალიან მოსწონთ ბავშვებს და ამით მოაქვს ამას არსებითი სარგებლობა.

ლექსების სწავლების დროს მასწავლებელმა უნდა მიაქციოს განსაკუთრებითი ყურადღება ლექსის დედა აზრის გამორკვევას, ზნეობრივ მნიშვნელობას და დასკვნას, რის შემდეგ უნდა განისაზღვროს ბავშვის გულში ის გრძნობები, რომელიც მოქცეულია ლექსში. წინააღმდეგ შემთხვევაში პოეტურ ნაწარმოების კითხვას და ზეპირად დასწავლას არავითარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა არ ექნება და ამნაირი წაკითხვა ვერც სასურველს სარგებლობას მოიტანს. მისთვის, რომ ლექსებმა მოახდინოს მოწაფეებზედ უფრო ღრმა და ძლიერი შთაბეჭდილება და განაღვიძოს მათ გულში კეთილი გრძნობები, საჭიროა, რომ თვითონ მასწავლებლები იყვნენ გამსჭვალულნი და გამხნეებულნი ამნაირი გრძნობებით. ამის შესახებ ერთი საპატიო პედაგოგი ამბობს შემდეგს: „დასასწავლმა ლექსებმა რომ მოახდინონ მოწაფეებზე აღმზრდელობითი მოქმედება, ამისათვის თავდაპირველად ყველაზედ უფრო უსაჭიროესია თვითონ მასწავლებლები იყვნენ გამსჭვალულნი იდეალურის სიმშვენიერის და სიმართლის გრძნო-

ბებით, რომ ეს გრძნობა ნათლად სჩანდეს, იხატებოდეს მასწავლებელში, როგორც მის მიერ პოეტურ ნაწარმოების სამაგალითოდ წაკითხვის დროს, აგრეთვე იმისი ახსნის და განმარტების დროსაც. თქვენ თუ გინდათ პოეტური ნაწარმოებით აღმზრდელობითად იმოქმედოთ მოწაფეებზედ, ეცადეთ თვითონ შეისწავლოთ პოეზია ყურადღებით, ეცადეთ იგრძნოთ თქვენშივე კეთილსუნოვანი ნიავი პოეზიისა, შეიყვარეთ იგი, როგორც იდეალური გამოხატულება ტემპარიტებისა, სინამდვილისა და მაშინ მოწაფეები თქვენც შეგიყვარებენ, როგორც მასწავლებელს და პოეზიასაც, როგორც სასწავლო საგანსა“.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი ჯონ გირშელის თხზულებიდან წიგნების კითხვის სიყვარულის მნიშვნელობაზედ. ეს ნაწყვეტი ერთნაირად შეეხება როგორც პოეტურს, ისე პროზაიკულ ნაწარმოებსაც: „მე რომ მდომებოდა მეთხოვნა ღვთისთვის იმისთანა ნივთი, რომელსაც შეძლებოდა ჩემი შეკავება ყველა გარემოებათა ცვლილებების დროს და ყოფილიყო მთელს ჩემს სიცოცხლეში ჩემთვის ბედნიერების წყარო, ნუგეში და მფარველი ყოველგვარ უბედურებისაგან ან ჩემი საქმეების ცუდად მსვლელობის დროს, ან როცა ხალხი აღსდგებოდა ჩემზედ, ეს ძვირფასი ნივთი იქნებოდა წიგნების კითხვის სიყვარული“. ამ სიტყვებში ძალიან ბევრი არის ნათქვამი. მიეცით კაცს სიყვარული წიგნების კითხვისა და საშუალება იმის დასაკმაყოფილებლად და თქვენ უეჭველად ბედნიერად გახდით მას, თუ არ მიაწვდით ცუდს წიგნებს. წიგნების კითხვით თქვენ შეგყავთ მკითხველი ყოველი ისტორიული დროის საუკეთესო საზოგადოებაში, მკითხველებს დაუყენებთ პირდაპირ უფრო ბრძენს, გონებამახვილს, ძლიერ და პატიოსან პირებს, რომლებიც ერთს დროში ამშვენებდნენ კაცობრიობას. თქვენ გახდით მკითხველს მთელი ეროვნების მოქალაქედ, ყველა საუკუნეების თანამედროვეთ. მთელი ქვეყანა მისთვის შეიქმნება გაჩენილი. ამასთან შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა, რომ მკითხველის ხასიათი არ ამაღლდეს და არ გაუმჯობესდეს საუკეთესო პირებთან, მუდმივ მოაზრეთა დასთან ერთობაში. შეუძლებელია ზნეობრივადაც რომ ვერ შეიძინოს კაცმა განსხვავება კეთილ აღმზრდელობაში და განათლებაში, როდესაც თავის თვალ წინ ხედავს ყოველთვის, როგორ ლაპარაკობენ და იქცევიან ერთმანეთში განათლებული და აღზრდილი ადამიანები. კითხვის ჩვეულებანი, თუ ის კარგად არის წარმართული, არის ჩივილი წრთვანა მთელი კაცობრიობის ხასიათისა და საქციელისა. ეს გავლენა იმდენად შეუმჩნევლად მოქმედებს, რომ ჩვენ ხშირად ყურადღებასაც არ ვაქცევთ

ხოლმე. დასასრულ, წიგნების კითხვის სიყვარული და მისი დაკმაყოფილება ანათლებს კაცის გონებას და არ აძლევს მას ნებას უმეცრებაში და უვიცობაში დარჩენისას. ამიტომ ლექსების კანონიერად და შეგნებულად სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნების კითხვის სიყვარულის აღძვრაზედაც.

ეხლა ვიტყვით რამდენიმე სიტყვას დროსა და ადგილის პირობებზედ, როდესაც უფრო სასარგებლოა შეურჩიონ ლექსების დასწავლა: ის ლექსები, რომელიც იპყრობს თავის შორის ბუნების და მის მოვლენათა მხატვრობრივ აღწერილობას, უნდა ისწავლებოდეს წლის შესაფერის დროს; მაშინ მოწაფეებს უშუამდგომლოდ შეუძლიათ განხილვა ბუნებისა იმ გვარათ, როგორც სიტყვიერათ გამოხატულია პოეტურ სურათში. ამ დროს ბავშვები უფრო გრძნობიერები და ადვილად შემთვისებლები არიან, მისთვის, რომ თვითონ ბუნება აღვიძებს მათ გულში გონებათა მიქცევას და გრძნობებს. ამ დროს ბავშვებს შეუძლიათ იგრძნონ ლექსის აზრი და თვალსაჩინოთ, დაკვირვებით შეითვისონ იგი. სრული პედაგოგიური უმეცრება იქნება ასწავლონ მოწაფეებს მაგ. ლექსი „ზამთარი“ რაფ. ერისთავისა მაშინ, როდესაც იწყება ბრწყინვალე და ცხოველმყოფელი გაზაფხული ყველა თავის სიმშვენიერით; ანდა მისივე ლექსი „ზაფხული“ – ზამთარში. სრული სინამდვილით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხსენებული ლექსები ვერ მოახდენენ მოწაფეებზედ ისეთს შთაბეჭდილებას, როგორც შეიძლოთ მოეხდინათ შესაფერისს დროზედ, ე. ი. პირველს ზამთრის დასაწყისში, სამობაოთ ბავშვების დათხოვნების დროს და მეორეს – შუა ზაფხულში. საზოგადოდ წაკითხვა და სწავლება რომელიმე რთული ლექსისა უნდა შეუფარდონ რომელიმე შემთხვევას ისე, რომ ლექსი ან უნდა გამოდიოდეს რომელიმე პრობაიკული სტატიის განმარტებიდან ანდა უნდა შეადგენდეს მის დამატებას, სხივს ჰფენდეს რომელიმე წაკითხულს მოთხრობას. მაგ. უკეთესია, რომ ლექსი „ჯვარი ვაზისა“ ისწავლებოდეს მას შემდეგ, როცა მოწაფეები წაიკითხავენ ისტორიულ მოთხრობას წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებლებზედ, „სამშობლო ხევსურისა“ – ფშავ-ხევსურეთზე სტატიის წაკითხვის შემდეგ და სხვ.

ლექსების სწავლება სკოლებში იწყება იმ დღიდან, როცა ანბანს მორჩებიან. მესამე თვის ბოლოში მოწაფეები სწავლობენ პატარა-პატარა ლექსებს. ლექსების სწავლების საქმე რომ კარგად მიდიოდეს და შეადგენდეს სრულად შეგნებულს ნაყოფიერ მეცადინეობას – საჭიროა, რომ მასწავლებელმა უჩვენოს მოწაფეებს გონიერი, ჩქარი

და წესიერი ხერხი ლექსების შესასწავლად. ბავშვები ხანდისხან თვითონაც დაისწავლიან ხოლმე ლექსებს, მაგრამ უთავბოლოდ, პატარ-პატარა ნაწილებს და შემდეგ უაზროთ იმეორებენ სიტყვებს. ამნაირი სწავლება უსათუოდ აღკრძალული უნდა იქნეს. პირველად ლექსების სწავლება ზეპირად უნდა წარმოებდეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ლექსის წაკითხვისა და ახსნის შემდეგ მასწავლებელი ნელა და გარკვევით გამოთქვამს პირველ ერთს ან ორს ტაეპს ლექსისას, შემდეგ მოწაფეები გაიმეორებენ ამასვე სათითაოდ და გუნდათ; ამ დროს მასწავლებელი უჩვენებს ზომას ხელით და აკვირდება, რომ ყველა მოწაფენი ერთსა და იმავე დროს გამოთქვამდნენ სიტყვებს და იცავდნენ წესიერებას. ბოლოს დასწავლულის ნაწილის გასამეორებლად მასწავლებელი გამოიწვევს სუსტს მოწაფეთაგანს, რომლის პასუხისაგან მასწავლებელი დარწმუნდება, დაისწავლეს ყველამ თუ არა. ამის შემდეგ მასწავლებელი უკარნახებს ქვევით შემდეგს ერთს ან ორს ტაეპს და იმ წესითვე შეასწავლის. შემდეგ ლექსი წაკითხება ხოროთი წინა დასწავლულთან შეკავშირებული და სხვ. ამნაირად ისწავლება ბოლომდის. ამნაირი სწავლება ყოველთვის ცოცხლად და მარდად მიდის. ეს წესი ითხოვს მასწავლებლისაგან განსაკუთრებულს ყურადღებას, სიფხიზლეს მოწაფეების ზედამხედველობაში, რომ სწავლების საქმე უქმ ყბედობად არ გადაიქცეს. როცა მოწაფეები ამ წესით შეისწავლიან რამდენიმე ლექსს ზეპირად, მაშინ ამათაც გაუადვილებათ მთელის აზრის და წინადადებათა ერთად შესწავლა და შემდეგ, მასწავლებლის დაუხმარებლად, თვითონ დაიბეპირებენ ლექსებს.

თუ სასწავლო წიგნში არ არის მოქცეული იმისთანა ლექსი, რომლის სწავლებაც საჭიროთ მიაჩნია მასწავლებელს, იმ შემთხვევაში შეიძლება ის ლექსი დაიწეროს საკლასო დაფაზე და წერის გაკვეთილების დროს დააწერინოს მოწაფეებს რვეულებში შეიძლება ზოგიერთი სიტყვების განმარტება იქვე ჩასწერონ მოწაფეებმა თავიანთ რვეულებში. ამნაირად მოწაფეებს რამდენიმე წლის შემდეგ შეეძენებათ საუკეთესო ლექსთა კრებული. სწავლის დამთავრების შემდეგ რვეულიც მისი სრული საკუთრება შეეძენება და ექმნება მას სახსოვრად ყმაწვილობის მოსაგონებლად. მოწიფულობის დროსაც არა ერთხელ წაკითხავს სიყვარულით, რაც ბავშვობის დროს უწერია. შეიძლება განიმსჭვალოს კიდევ პოეტური ნაწარმოებისადმი მაღალის აზრით, განეშოროს ცოტა ხნით მაინც ყოველდღიურს ზრუნვას, წუთის სოფლის სიმუხთლეს და იგრძნოს სიკეთე, სიმშვენიერე და მათდამი

მისწრაფება. შეიძლება თავის შვილსაც ასწავლოს ნაწყვეტები მის მიერ ცნობილი პოეტურ ნაწარმოებიდგან და მით მოამზადოს ბავშვის გონებაში და გულში ნიადაგი კეთილის მისაღებად. ყველა ამაში არც შეუძლებელია რამ და არც საეჭვო.

უნდა მოითხოვებოდეს მოწაფეთაგან დასწავლილი ლექსების დაწვრილებით დამახსოვრება. მხოლოდ ერთი ლექსის კარგად შესწავლის შემდეგ უნდა გადავიდნენ მეორე ლექსის დასწავლაზედ. სიჩქარე არც ამ საქმეში ვარგა. უკეთესია ცოტა შეისწავლოს ბავშვმა და კარგად, საფუძვლიანად, ვიდრე ბევრი, მაგრამ ცუდად, სუსტად. მოსწავლეებს რომ ყოველთვის შეეძლოთ ნასწავლი ლექსების თქმა, წაკითხვა ზეპირად, ამისთვის საჭიროა, რომ ნასწავლი ლექსი ხშირად იმეორებოდეს.

ამით ვათავებთ ლექსების მნიშვნელობაზედ საუბარს. შემდეგ წერილში განვმარტავთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხურ ზღაპრებს, ანდაზებს და გამოცანებს და რა წესით უნდა ისწავლებოდენ ისინი. იმედია, რომ სამრევლო და საერო სკოლის მასწავლებლები უფრო ყურადღებით მოეპყრობიან დაკისრებულ საქმეს და ისე არ მოიქცევიან, რომ სკოლას ბოლო მოეღოს. სკოლა იმისთანა დაწესებულებაა, რომ მან ბუნებრივად, თუ კეთილს ნიადაგზედ არის დამყარებული, უნდა იბარტყოს და არა მოისპოს სამუდამოდ, როგორც ზოგიერთს ადგილებში ჰხდება ხოლმე.

კვდაგომიური წერილები

**წინასწარი განმარტება ბავშვის აღზრდაზე,
ანუ პედაგოგის მეცნიერებაზე**

/წერილი პირველი/

ბევრს ჰგონია ბავშვის აღზრდა ისეთი ჩვეულებრივი საქმეა, რომ ის არ ითხოვს არავითარ განსაკუთრებულ ცნობებს. ყველა სოფლელ უმეცარ დედაკაცსაც კი შეუძლია ბავშვის აღზრდაო, ფიქრობენ ზოგიერთები, მაგრამ იმასაც კი არ ამბობენ, თუ რამდენი ჩჩვილი, უსუსური ბავშვი ესალმება წუთისოფელს ამ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში იმის გამო, რომ მოკლებულნი არიან შესაფერს, გონიერს მოვლას. თუ

რა ხშირია ჩვენში ბავშვების უდროოდ სიკვდილი, ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც კი უკვირდება ჩვენი ხალხის აწმყო ცხოვრებას; გადაშინჯეთ საეკლესიო მეტრიკის დავთრები და ნათლად დაინახავთ, თუ რამდენი ბავშვი ხდება ყოველ წელს მსხვერპლათ მშობელთა და აღმზრდელთა უმეცრებაზე დამოკიდებული მიზეზებისა თვითეულ სოფელში. საზოგადო, სწორი სტატისტიკური ცნობები ამ საგანზე ვერაფერ სანუგეშებელს მოგვიტანს. შეგვიძლია დარწმუნებით აღვიაროთ, რომ ნახევრამდის შთამომავლობა იღუპება დღის სინათლის დანახვისთანავე. საზოგადოთ ცნობილია ყველგან, რომ უფრო ხშირათ ბავშვები იხოცებიან ხუთ წლამდის. უცხო და განათლებულ ქვეყნებში, რასაკვირველია, ამგვარ არასასიამოვნო მოვლენის თავიდან ასაცილებლად დიდი ხანია მიღებულია შესაფერი ზომები; ყველაზე უკეთეს და სწორ საშუალებათ ბავშვის უდროოთ ხშირი სიკვდილის წინააღმდეგ აღიარებულია ისეთი ცნობების გავრცელება ხალხში და განსაკუთრებით ოჯახებში, რომელნიც შეეხებიან საზოგადოთ ახალ დაბადებულთა რიგიანათ აღზრდას, მოვლას. ეს სწავლა, რომელიც შეძენილია საუკუნოთა გამოცდილებით და დაკვირვებით, ეს საჭირო ცნობები, რომელნიც შეეხებიან ბავშვების აღზრდის საქმეს, ახსნილი და განმარტებულია ცალკე მეცნიერებაში, რომელსაც პედაგოგია² ჰქვია. პედაგოგია უჩვენებს ყველას, თუ როგორ უნდა ბავშვის აღზრდა და სწავლება მისი ბუნების მიხედვით.

ვინც კი დაკვირვებია გარშემორტყმულ ბუნებას, უეჭველათ შენიშნავდა, რომ ყველა მცენარეულობა და აგრეთვე ცხოველი ორგანიზმიც თანდათან ვითარდება – დიდდება, იზრდება და მაგრდება. ვაშლის პატარა მარცვლებიდან ჰაერის, სითბოს, სინათლის და წყლის შემწეობით დიდი ვაშლის ხე იზრდება, რომელსაც თავის დროზე ნაყოფიც მოაქვს. მაგრამ ეს ნაყოფი, რომ კარგი და გემრიელი იყოს, ამისათვის საჭიროა პატარა ვაშლის ხეს დაემყნას კარგი ჯიშის ვაშლის ტოტი. ყველამ, ვისაც ცოტა რამ ესმის ბალოსნობიდან, ძალიან კარგად იცის, რამდენ ბეჯითს შრომას და მოვლას ითხოვენ საზოგადოთ ხეხილები. ზოგს მცენარეულობას დაუმყნელადაც მოაქვს ნაყოფი, მაგრამ მათ მოსაყვანათაც ფრიად საჭიროა ნიადაგის წინათვე მომზადება და სხვა. არის ისეთი მცენარეც, მაგალითად, ვაზი, რომელიც ყველაზე უფრო მეტ შრომას და ჯაფას თხოულობს. საზოგადოთ მცენარეები წარმოადგენენ სულ სხვა და სხვა სახეს თავის განვითარებისას; მა-

2. პედაგოგია – როგორც სხვა მეცნიერებათა სახელებიც, ბერძნული სიტყვაა, ჩვენებურად ნიშნავს ხელმძღვანელობას, ანუ აღზრდას ბავშვებისას, აქედან პედაგოგი ჰქვია ბავშვების ხელმძღვანელს, აღმზრდელს.

გალითად რა განსხვავებაა რომელიმე პატარა მინდვრის ბალახსა და დიდ კაკლის ხის განვითარებათა შორის. ამავე წესებს ვხედავთ ცხოველთა ორგანიზმშიაც – რომელიმე ინფუზორია რამდენიმე საათის განმავლობაში ასრულებს თავის თავის განვითარების დღეს და სიკვდილის შემდეგ ტოვებს ურიცხვ შთამომავლობას, მაგრამ არიან ისეთი ცხოველებიც, რომელთა სიცოცხლე რამდენიმე ათი და ასი წელიც გასტანს ხოლმე. რამდენათაც ორგანიზმი რთულია, იმდენათ უფრო გვიან მიდის განვითარების საქმე და მისი შთამომავლობაც უფრო მეტ მოვლას ითხოვს, მშობელთა ზრუნვა თავიანთ შთამომავლობაზე ცხოველთა სამეფოში წარმოადგენს საგულისხმიერო მაგალითს. რამდენ შრომას. თვითგანწირვას იჩენენ პატარა ჩიტები თავიანთ ბარტყების აღზრდის დროს. მით უმეტეს საჭირო არის ადამიანთა შთამომავლობის გონივრულად აღზრდა და განვითარება. ადამიანი არის გვირგვინი ყველა ქმნილებათა შორის, უმაღლესი არსება ურიცხვ ორგანიზმთა შორის. ბუნებამ მისცა ადამიანს ყოველგვარი ნიჭი ორგანულ ცხოვრებისათვის. ადამიანის ცხოვრება ისე შეუმჩნეველათ არ ჰქრება, როგორც ცხოველების. მათი მოქმედება რჩება შთამომავლობას მესხიერებაში, გადადის ნათესაობიდან-ნათესაობამდე, საუკუნიდან-საუკუნემდე. კაცობრიობა თანდათან შესამჩნევად წინ მიდის, სრული ხდება და ცდილობს მიუახლოვდეს უსრულეს ხატებას, უუბრძნეს შემოქმედს, რომელმაც შექმნა კაცი ხატად და მსგავსად თვისად. ეს სრულყოფა ადამიანისა ყველაფერში ჩანს: სახლების აგებაში, ტანისამოსში, სასმელ-საჭმელში, მზე-ჩვეულებაში და თვით შეგნებულებაში. წარმოვიდგინოთ ჩვენი წინაპრები კერპთაყვანის ცემის დროს, როცა ადამიანსაც კი სწირავდნენ მსხვერპლათ კერპებს და შემდეგ ქრისტიანობრივი დროება, როცა ჩვენი ქვეყნის ყველა ადგილები ივსება უდიდესი ტაძრებითა და ეკლესიებით, ან ახლანდელი დრო სწავლა-განათლების გავრცელებით და წარსული საუკუნე, როდესაც დავით გურამიშვილის სიტყვით:

„ჩემსა ყრმობაში
სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში;
მით იკლო სწავლამ,
ჩვენში ლეკთ დავლამა
წიგნი წარტყვენა!
დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები,
ჩემის დროს ყრმანი
უწვრთელ-უცები“.

ამნაირი წინმსვლელობა, რომელსაც პროგრესი ჰქვია, არ შეიძლება ცხოველებში – თუმცა დიდი ხელოვნებით აკეთებს ახლა შაშვი თავის ბუდეს, მაგრამ ეს ბუდე არაფრით განსხვავდება იმ ბუდისაგან, რომელსაც ათასი წლის წინათ აკეთებდნენ ამის წინაპრები.

ასეთი მოძრაობა, ამნაირი პროგრესი არ შეიძლება ისე, თუ არა ადამიანის განსაკუთრებით მდიდარი ორგანიზაციით, რომელიც სრულიად ეთანხმება იმისთანა მაღალ დანიშნულების აღსრულებას, როგორც არის გონებრივი და მნეობრივი წინმსვლელობა. ამისათვის უმთავრეს იარაღად არის, რასაკვირველია, მეტყველება და გონება, რომლითაც განსხვავდება ადამიანი ცხოველთაგან. გამოცდილება და დაკვირვება უნათლებს გონებას ადამიანს, რომელიც თანდათან იძენს ცნობებს და ხდება ჭკვიანი. ყველა ცნობები, სწავლა, რაც კი კაცობრიობას შეუძენია გავლილი საუკუნოების გამოცდილებიდან, სისტემატიურ წესზე დალაგებული შეადგენს საზოგადოთ მეცნიერებას. კეთილისა და ბოროტის ცნობა, შეგნება, მეცნიერების შესწავლით გონების გაბრწყინდება ხდის ადამიანს არა მარტო გონიერათ და ჭკუიერათ, არამედ – უფრო სათნოიანათ და კეთილ მნეობიანათ...

ის უკრძალავს მაგალითად მშობლებს და საზოგადოთ აღმზრდელებს ბავშვების სასტიკად მოპყრობას, ცემას, როგორც ძველათ იცოდნენ და სხვ. პირიქით, პედაგოგია ურჩევს აღმზრდელებს მშვიდათ, მოთმინებით და სიყვარულით მოექცნენ ბავშვებს. საზნეო და სარელიგიო ჭეშმარიტების დამოუკიდებლად, პედაგოგია ურჩევს აღმზრდელებს პირველათ კარგათ გაიცნონ ბავშვის ბუნება და მისი სულიერი მდგომარეობა. ცნობები საზოგადოთ ადამიანის სულიერ ბუნებაზე და ბავშვის ნიჭიერებაზე – კერძოთ, ახსნილია ცალკე მეცნიერებაში, რომელსაც ბერძნულათ პსიხოლოგია ჰქვია /მეცნიერება სულზე/.

თუ მებაღისაგან კი მოითხოვება იმდენი ცოდნა, რომ კარგათ შეამუშაოს ნიადაგი, მოუაროს ხეხილს, რომ კარგად იხეიროს და მოიტანოს სასურველი ნაყოფი, მით უფრო ფრიად საჭიროა დედებისათვის და საზოგადოთ აღმზრდელებისათვის უსაჭიროესი ცნობების შეძენა ბავშვების კარგად აღზრდისათვის, რომლებიც შეადგენენ გონიერ არსებას და აქვთ მინიჭებული მდიდარი ორგანიზაცია. სიტყვით აღზრდა პედაგოგიაში იგულისხმება არა მარტო საჭმელით გამოკვება. ეს ძალიან მცირე იქნებოდა. ბავშვს გარდა ცხოველი მოთხოვნილებისა – ჰაერის, სასმელ-საჭმლის, მოძრაობის, ძილის და სამოსელისა, აქვს კიდევ სულიერი მოთხოვნილებანი, რომელნიც გამოიხატებიან სურვილში, გრძნობაში და აზროვნებაში. ერთის სიტყვით ბავშვს აქვს

გონება, ნება-სული და ამისთანა ძვირფასნი ნიჭიერებანი განა შეიძლება დატოვებულ იქმნეს განუვითარებელი, ბუნების ანაბარათ? ვინც კი დაუკვირდება ამ საგანს, ის უეჭველათ მიხვდება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდის შესახებ შესაფერი ცნობების შექმნას. დედის სიყვარული, რასაკვირველია, უძლიერესი ძალაა შვილის აღზრდაში, ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია შექმნას ის, რაც არ შეუძლია არცერთ ბრძენთაგანს; მაგრამ, ცოდნაც არანაკლები უძლიერესი ძალაა, რომელიც ხშირად სასწაულებსაც კი იქმნ ხოლმე. რამდენი დედაა, რომელიც სამწუხაროთ გვიან იგონებს, იგლოვს თავის შეცდომებს, დაუდევრობას, როგორც შედეგს უმეცრებისას.

კარგი და გონიერი აღზრდა თხოულობს ბევრ ცოდნას, მარტო კეთილი სურვილი არ კმარა. რომელ დედას არ უნდა თავისი შვილი ჯანსაღი, გონიერი გამოვიდეს, მაგრამ იგივე დედა ხშირათ ისეთი საჭმლით კვებავს ბავშვს, რომელიც მისთვის მავნებელია, ხშირათ დედა აღძრავს ბავშვში ისეთ სურვილებს, რომელნიც განვითარების მაგიერ აჩლუნგებს ბავშვის გონებით ნიჭიერებას და ეს ყველა ხდება იმის გამო, რომ არ იციან თუ რა არის ბავშვისთვის სასარგებლო და რა მავნებელი. ამის გასაგებათ, როგორც ვსთქვით, საჭიროა ბავშვის ბუნების ცოდნა. საჭიროა ბავშვის ხორციელ და სულიერ მოთხოვნილებათა საფუძვლიანათ ცოდნა, შესწავლა. მხოლოდ მაშინ შეიძლება დარწმუნებით ვაგება, თუ რა შველის ბავშვის სხეულის გამაგრებას და მის სულიერ ნიჭთა სრულად განვითარებას; მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულიად ჯანსაღის, ჭკვიანის და სათნოიანი შთამომავლობის აღზრდა.

ეს შეადგენს ამოცანას პედაგოგისას და ამ საგანზე ვაპირებთ საუბარის გამართვას ჩვენს მკითხველებთან. (11)

მათვალყურის შენიშვნები

ზოგიერთი ჩვენებური კრიტიკოსები, ბ-ნი ბალტაზარი. (12) „მშიშარა მასწავლებლები“ და მათი აზრი ბ-ნ გოგებაშვილის ანბანისა და „დედა-ენის“ შესახებ

საკვირველია ზოგიერთი ჩვენი მწერლების მსჯელობა ჩვენს შინაურს საქმეებზედ. ნაცვლად საქმის რიგიანად გამოკვლევისა და შესწავლისა, რომ ყოველივე მხარე რომელიმე საგნისა ღირსეულად აწონ-დაწონილ იქმნას ღირსება-ნაკლულეგანების ჩვენებით, ზოგი ჩვენი ვითომდა კრიტიკან-პუბლიცისტები ჩასტიდებენ ხოლმე ხელს რომელსამე საგნის რომელსამე სუსტ მხარეს და იმის მაგიერ, რომ დარბაისლურად და მიუდგომლად გამართონ მსჯელობა, უჩვენონ რამე ღონისძიება, საშუალება სუსტი მხარის გასასწორებლად, ჰგმობენ იმასაც, რაც კარგი რამე მიუძღვის რომელიმე საზოგადო საქმეს ან მოღვაწეს ერისა და საზოგადოების წინაშე. ამგვარ კილოს წერისას, რომელიც ყოველთვის სიმართლეს მოკლებულია, შეუძლიან, გარდა მკითხველ საზოგადოების მოტყუებისა და თუ ბაჯაღლო ოქროებით მიითვლიან ახლად მოვლენილ კრიტიკანების აღსარებას, გულ-წრფელსა და მიუდგომელს მკითხველს ათქმევინოს, რომ

„ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ,
გაფრთხილდი, ნუ მოსტყუდები,
გასწყერ, დასტერ და დახივე
მტყუანთ ტყუილის გუდები“.

სწორედ ეს აზრი მოგვივიდა თავში, როდესაც გადავიკითხეთ ბ-ნ ბალტაზარის წერილები ჟურნალ „კვალის“ № 33, 34, 37 დასტამბული შემდეგის დიადისა და საინტერესო სათაურით: „მომავალში საქართველოს შვილთა მოქმედების პროგრამა“. მკითხველი უეჭველად სათაურის დანახვისთანავე გულდასმით წაიკითხავდა ხსენებულს წერილებს – იქნება სათაურის შესაფერისი ან მზგავსი რამ ამოვიკითხო და გავიგო ჩვენის საზოგადო საქმისადმი გულ-შემატკივართა აზრები საქართველოს შვილთა საგულისხმოდ და სამოქმედოთო.

სხვა, მკითხველისა რა მოგახსენოთ და მე კი სავალალოდ უნდა აღვიარო, რომ ხსენებულს წერილებში სათაურის შესაფერისი შინაარსის ხსენებაც ვერ ვიპოვე. იქ ყველაფერია, გარდა პროგრამისა. იქ

იპოვით წერა-კითხვის საზოგადოების, დრამატიული საზოგადოების, (13) წიგნების გამომცემელ ამხანაგობათა, ბანკების, ჩვენებურ სახელმძღვანელოებისა და ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულებათა გაკიცხვას, გაკაწვრას, როგორც ნიმუშს უსაბუთო მსჯელობისას. ჩვენ არაფერს არ ვიტყვით არც ბანკზე და არც დრამატიულ საზოგადოებაზე და სხვ., რადგანაც მათ შესახებ საჭირო საბუთებს, როგორც საწინააღმდეგოს, ისე დამამტკიცებელსაც მოკლებული ვართ და ძნელათაც მიგვაჩნია ყოველის მხრით საქმის გაუცნობლად რომელიმე საგანზედ მსჯელობა გავმართოთ. ხოლო თუ ამ საგნებზედაც ისეთი სამართლიანია ღალადი ბ. ბალტაზარისა, როგორც ბ. გოგებაშვილის „დედაენაზე“, მაშინ უფრო საბუთიანი იქნება ჩვენ მიერ ზემო წარმოთქმული აზრი.

ჩვენს სკოლებში პირველ საკითხავ წიგნად შემოღებულია ჩვენი პატივცემულის პედაგოგის ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი „დედაენა“, რომელიც ჩვენს ღარიბს საპედაგოგო მწერლობაში წარმოადგენს უპირველესს და უკეთეს პედაგოგიურად შემუშავებულს სახელმძღვანელოს, რომელიც ისე არ სუნთქავს კომპილაციით, როგორც სხვა სახელმძღვანელოები. ამ ბოლო დროს გამოჩნდნენ ისეთი ანტიპედაგოგები, რომელთაც სწადიანთ უსაფუძვლო და უაზრო მსჯელობით თვალი აუბან საზოგადოებას და მთავრობასაც და დაარწმუნონ ისინი „დედაენის“ უვარგისობაზე. ამიტომ ზნეობრივად იძულებული ვარ ორიოდ სიტყვა მოვახსენო მკითხველებს „დედაენის“ ღირსებაზედ, რადგანაც რვა წელიწადია „დედაენა“ ხელში მიჭირავს და მისი ავკარგიანობაც საფუძვლიანად შესწავლილი უნდა მქონდეს. ამიტომ მეც ვხედავ „დედაენაში“ ზოგიერთ მცირეს და ადვილად გასასწორებელ ნაკლულოვანებას, მაგრამ, სანამ ჩვენი პედაგოგები არ შეგვიდგენენ ყოვლად უნაკლულო პირველ-დასაწყის საკითხავ წიგნს და ანბანსაც, მანამდის „დედაენის“ დამგმობი ჩვენ მოლაღატედ უნდა ჩაითვალოს.

ჯერ სანამ „დედაენის“ შესახებ ვიტყოდეთ რასმე, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიგონოთ ჩვენი პედაგოგები. ჩვენში თურმე ბ. ბალტაზარის სიტყვით ყოფილან ისეთი მშიშარა პედაგოგები, რომლებიც რიგიან საბუთებს იძლევიან „დედაენის“ ნაკლულოვანების შესახებ, მაგრამ ეს პედაგოგები ისე დაშინებულები არიან თურმე რაღაც მანქანების ძალით, რომ „დედაენის“ ნაკლულებანებაზედ მწერლობაში საქვეყნოდ ლაპარაკს ვერ ჰხედავენ, თუ არა კერძოდ, ან პატარა საზოგადოებაში მეგობრულად ლაპარაკის დროს. აი, ამ პედაგოგების

ხელისხელ საგომანებელ შენიშვნებისათვის მოუკრავს ყური ბ-ნ ბალტაბარს და თითონ, როგორც გამბედავი რაინდი, არა თუ დამფრთხალა, არამედ თამამად მიჰქროლავს უმეცრების ზღვაში და ჰგონია, რომ სანსალვადორის კუნძულს უკვე მიაღვა და დღეს ან ხვალ ამერიკაც თვალწინ გადაეშლება. ჩვენ ამ შემთხვევაში ერთი გარემოება გვაკვირვებს – ვისი ანუ რისი უნდა ეშინოდეთ ამ პედაგოგებს, თუ კი სამართლიანად ატყობენ, რომ თავიანთი შენიშვნებით სარგებლობას მოუტანენ საზოგადოებას და ქვეყანას; მაგრამ ჩვენა გვგონია, რომ იმგვარი შენიშვნებით გამოლაშქრება „დედაენის“ წინააღმდეგ, როგორც ბ-ნ ბალტაბარს აქვს მოყვანილი თავისს წერილში და რომელიც მას რივიან საბუთად მიაჩნია, დამამცირებელია მისი, ვისაც ცოტა რამ პედაგოგიური განათლება მიუღია და ერთისა ან ორის ბავშვისათვის წერა-კითხვა მანაც უსწავლებია.

უეჭველია მშიშარა პედაგოგები თითონვე გრძნობენ უნდილობას და სისუსტეს თავიანთ აზრისას, რომელიც „დედაენის“ შესახებ ბ. ბალტაბარს რივიან და საფუძვლიან საბუთად მიაჩნია, თორემ რომელიმე საგანზედ სალი შეხედულება, სალივე მსჯელობა ყოველგან და ყოველთვის საბუთია გამარჯვებისა.

დავუბრუნდეთ ისევ „დედაენის“ ანბანს. მას შემდეგ, რაც ასოთა შემაერთებელი წესი წერა-კითხვის სწავლებისა არხივს ჩაჰბარდა, ერთმა გერმანელმა პედაგოგმა ჰენრიხ სტეფანემ მოიგონა ესრედ წოდებული სახმო მეთოდი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელიც ბევრად შემუშავებული იქმნა გრაზერის მიერ, რომელმაც შემოიღო ერთსა და იმავე დროს წერისა და კითხვის სწავლებაც იმ აზრის მიხედვით, რომ ბავშვები უფრო აღიბეჭდავენ თავიანთ გონებაში არა მარტო რასაც ხედავენ, არამედ რასაც თვითონვე აკეთებენ. ამ შემთხვევაში მოსწავლეები უფრო დამოუკიდებელნი არიან, სავარჯიშოებიც და სხვა და სხვა სწავლებაც უფრო კონცენტრიულს წესზედ მიდის, რომელიც ცნობილია, როგორც უფრო ბუნებრივი და მოწაფეთათვისაც სახალისო. ამ აზრს ადგანან დღესაც საუკეთესო პედაგოგები და ცდილობენ კიდევ თავიანთ სახელმძღვანელოებში და მომეტებულად ანბანში განახორციელონ იგი. ეს აზრი ყველაზედ უფრო ნიჭიერად განხორციელებული აქვს ჩვენში ჩვენს პედაგოგს ი. გოგებაშვილს, როგორც ანბანში, ისე პირველ საკითხავ წიგნშიაც.

წინად პედაგოგებს მიაჩნდათ საუკეთესოდ, რომ წერა-კითხვის სწავლება წარმოებულყო სინტეტიურს წესზედ, რომლის დროს ბავშვები სწავლობენ ჯერ ხმებს, მერე მარცვლებს, სიტყვებს და წინადა-

დებებს. ამ წესის მიხედვით არის შედგენილი რუსული სახელმძღვანელოები კორფისა და უშინსკის „Подное слово“-ც.

მალე შეამჩნიეს, რომ ხმებიდამ და მარცვლებიდამ დაწყებინება სწავლისა მოსაწყენი და თავ-მომბებრებელია მოწაფეთათვის, მაშინ როდესაც ბავშვებს, ლაპარაკის დროს, ესმის და თითონაც გამოსთქვამენ ჯერ ხმებსა და მარცვლებს კი არა, სიტყვებს და წინადადებებს, და შემდეგ შეუძლიანთ წინადადებათა დაყოფა მარცვლებად და ხმებად. ამის მიხედვით საუკეთესო პედაგოგებმა სცნეს სასარგებლოდ, რომ წერა-კითხვის სწავლება დაწყებული ყოფილიყო წინადადებათა და სიტყვებიდან, შემდეგ გადასულიყვნენ მარცვლებზე და ხმებზედ, ე. ი. ეხელმძღვანელათ ანალიტიკური წესით, რომელიც ითხოვს გადასვლას მთელიდგან ნაწილზე. ამ წესით ბავშვები სწავლობდნენ ჯერ რომელიმე წინადადებას, შემდეგ მის დაყოფას სიტყვებად, მარცვლებად და ხმებად და ასე გაიცნობდნენ და სწავლობდნენ მთელ ანბანს წერა-კითხვის საშუალებით. ამ ანალიტიკურ წესზე სწავლების მიმდევარნი ფიქრობდნენ, რომ წერა-კითხვის სწავლება შეიძლება ყოველგვარ წიგნებზეო, მაგრამ ნემეცების პედაგოგებმა ამნაირ სწავლებასაც მალე შეამჩნიეს ნაკლულოვანება, რომლის თავიდგან ასაცილებლად გადაწყვიტეს, რომ პირველდასაწყისს საკითხავ მასალას უნდა შეადგენდეს საგანგებოდ არჩეული სიტყვები და წინადადებანი; ამნაირად ყველა ქვეყნის თანამედროვე პედაგოგებმა უკანასკნელად შემოიღეს ესრედ წოდებული „მეთოდი ნორმალურის სიტყვებისა“, ანუ ანალიტიკო-სინტეტური წესი სწავლებისა, რომელიც შეადგენს ახლანდელს დროში უკანასკნელ სიტყვას ეხლანდელს საპედაგოგო მეცნიერებაში.

ეს უკანასკნელი ანალიტიკო-სინტეტურ წესად იწოდება იმისთვის, რომ სიტყვების მარცვლებად და ხმებად დაყოფის და ხმების გაცნობის შემდეგ ისევ მოითხოვება ნაცნობი ხმებისაგან ახალი სიტყვების შედგენა. რუსეთში ამ წესს უწოდებენ სინტეტიურს ანუ გამაერთიანებელს წესს სწავლებისას, რადგანაც ამ წესით ერთდება ერთად არა მარტო წერა-კითხვა, ანალიზი და სინტეზი, არამედ დაკვირვებითი სწავლა, ხატვა, გალობა, მოთხრობა. ერთი სიტყვით ამ შემთხვევაში წერა-კითხვის სწავლებას უჭირავს შუაგული, რომლის ირგვლივ თანაბრად არიან შეგროვილნი, თავმოყრილნი ყველა ელემენტარული ცნობები და სავარჯიშოები, რომლებიც შეადგენენ სასწავლო საგანს პირველდასაწყისს სკოლაში. რაკი ეს მოეთხოვებათ ანბანის შემდგენლებს, ამ მხრითაც უნდა აღვიაროთ, რომ ბ. გოგებაშვილის ანბანი ყველაზე

უფრო პედაგოგიურად არის შედგენილი, არა თუ ჩვენებურ ანბანთა შორის, არამედ ეს ანბანი ბ. გოგებაშვილისა გაცილებით სჯობიან ბარონ კორფის და რუსების გამოჩენილი პედაგოგის უშინსკის ანბანსაც. უპირატესობა ბ. გოგებაშვილის ანბანისა სხვა უცხო და ჩვენებურ ანბანებთა შორის, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ გოგებაშვილი ერთ დროს გააცნობს ბავშვებს ორ ხმოვან ასოს /ია/, რომ უფრო მტკიცედ გააცალკევოს ბავშვის გონებაში წარმოთქმული ხმები. აქედგან იწყება ის პედაგოგიური წესი, რომელიც ამბობს – გადადი ადვილიდგან ძნელზეო. ეს წესი მეტ-ნაკლებობით არის დაცული მთელს ანბანში, როგორც საკითხავისა და წერის, ისე ხმების ფონეტიკურად გამოთქმითაც. ბავშვი, რომელიც კარგად წერს „ი“ და „ა“-ს, ადვილად დასწერს შემდეგ ასოებს: თ, ს, ხ, ო და სხვ. კითხვა ი. გოგებაშვილის ანბანში იწყება ერთმარცვლოვანი სიტყვებით, შემდეგ გადადის ორსა და სამ მარცვლოვან სიტყვებზე; ჯერ მოწაფეები კითხულობენ ორ სიტყვისაგან შემდგარ წინადადებას; შემდეგ თანდათან გადადიან სამ და ოთხ სიტყვიან წინადადებებზე; აქედამ ცხადად სჩანს, რომ ბ. გოგებაშვილის ანბანში სრულის სინამდვილით არის დაცული საჭირო „თანდათანობა და სიმარტივე“, რომელიც, სამწუხაროდ ბალტაზარისებრივე პედაგოგებისათვის როგორღაც უჩინარია.

ბ. ბალტაზარი, თავისს წერილში „კვალის“ №37, ამბობს, რომ გოგებაშვილი პირველ გაკვეთილიდგანვე დაწყებული, თითქოს ჯიბრზე, აყრის და აყრის უბედურ ბავშვს სულ ახალსა და ახალს სიტყვებს, მაშინ, როდესაც მას წინა გაკვეთილის სიტყვებშიაც ვერ შეუგნია ჯერჯერობით კითხვის პროცესის საიდუმლოება.

კარგს იზამდა ბ. ბალტაზარი, რომ თვითონ ერთხელ მაინც ჩაეხედა გოგებაშვილის ანბანში და ისე ბრმად არ მიეღო მშიშარა პედაგოგების უკბილო შენიშვნები, მაშინ, დარწმუნებული ვართ, თვითონ ბალტაზარივე დაინახავდა, რომ ხსენებულს ანბანში წინა გაკვეთილებში ნახმარი სიტყვები ხშირად იმეორება შემდეგ გაკვეთილებში სხვა და სხვა სიტყვებთან შეერთებული. გადაფურცლეთ დედაენის ანბანი და ნახავთ რამდენჯერ არის ნახმარი, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები სხვა და სხვა გაკვეთილებში: – აი, ათი, თასი, ეს, ხე, თხა, თევზი, შეშა, ძიძა, მუხა, ძუა, ზუთხი, თევზი, ჩემი, ძროხა, რძე, ნადირი, ქალაქი, მარილი, აპეური, დედა, ღობე, მცხეთა, ასი, ერთი, ღვინო, ავი, ძალლი, ყველა ნორმალური სიტყვები და სხვ. ამას გარდა ბ. გოგებაშვილს ძალიან მოხდენილად აქვს დაწყობილი ისეთი სიტყვები, რომლის ზოგიერთი მარცვლების ამოკითხვა ბავშვებმა უკვე

იცინა წინა გაკვეთილებიდან, მაგ. იაფია, ვისია, ნაზია, ფინია, ჩემია, შენია, იარაღია, ბებია, ასხია და სხვა. ეს გარემოება ძალიან უადვილებს ბავშვებს სიტყვების სწრაფად ამოკითხვას და კითხვის პროცესის საიდუმლოების შეგნებასაც. ის ნორმალური სიტყვები, რომელიც ბ. გოგებაშვილის ანბანში არის მოქცეული ბავშვებისათვის უცნობ საგანს არ უნდა შეადგენდეს. ის საგნები, რომელიც უცნობია ბავშვებისათვის, მასწავლებელმა თვითონ საგნების ჩვენებით ან სურათბედ, წერა-კითხვის დაწყებამდის უნდა გააცნოს მოსწავლეებს პროპედევთიკურის სავარჯიშოების გაკვეთილებზედ. ამას გარდა ბ. გოგებაშვილის ანბანში მეექვსე გაკვეთილზედ ბავშვი გაიცნობს საზოგადოდ ხეს, როგორც საზოგადო ცნებას. მერვე გაკვეთილზე ბავშვები გაიცნობენ მუხას, როგორც მონათესავე ცნებას და სხვ. ნუთუ ამის შემდეგ სამართლიანია ბ. ბალტაბარის შენიშვნა, რომ ვითომ ბ. გოგებაშვილი თავის ანბანში „შეუბრალებლად აყრის ზედიზედ ახალ სიტყვებს წასაკითხად და იმავე დროს სულ ახალ-ახალ წარმოდგენებს გასათვალისწინებლად“ /„კვალი“ №37/. პირიქით, ბ. გოგებაშვილი სრულს პედაგოგიურს ნიადაგზეა, როდესაც რომელიმე ცნობილ მასალას უერთებს უცნობსაც. ამ წესზედ არის უმთავრესად დამოკიდებული ბავშვის გონებითი განვითარება.

ბ. გოგებაშვილის ანბანში ხმები და ასოები თვალსაჩინოდ გამოიყოფება ბავშვების მიერ ცნობილ სიტყვებისაგან. მაგ. „თ“ გამოიყოფება სიტყვებისაგან თითი, „ს“ – სიტყვისაგან საათი და სხვ. ერთი ფრიად საჭირო და უმთავრესი განსხვავება ბ. გოგებაშვილის ანბანისა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი თანდათან ეჩვევა თვითმოქმედებას, რომელიც დაფუძნებულია უბრალო კანონზე, რომლითაც ადვილად გამოსაცნობია ერთი შესაერთებელი რიცხვი, როცა ცნობილია ორი შესაერთებელი რიცხვის ჯამი და ერთი შესაერთებელი რიცხვთაგანი. ჯამის ადგილს ამ შემთხვევაში იჭერს ბავშვის მიერ ცნობილი საგნის გამოხატულება, მისი სრული სახელწოდება; ხოლო ცნობილ შესაერთებელს შეადგენს ის ნაწილი საგნის სახელისა, რომელიც გამოიხატება გავლილ ნასწავლ ხმებისა და ასოების შემწეობით. შვიდისა ან რვა გაკვეთილის შემდეგ, თუ მასწავლებელს პროპედევთიკური კურსი კარგად აქვს გავლილი, არ უძნელდებათ მოწაფეებს ყველა სიტყვების მარცვლებად და ხმებად დაყოფა. მოწაფეები ნორმალური სიტყვებისა და სურათების შემწეობით ადვილად გამოიცნობენ მასწავლებლის დაუხმარებლად შემდეგს ხმებს, ასე რომ, საუკეთესო მოწაფეები ყოველთვის წინდაწინ მიისწრაფიან და

სურათების შემწეობით თვითონვე გამოიცნობენ დასასწავლ ხმებს. ეს გარემოება ძალიან შველის წერა-კითხვის ჩქარა შესწავლასაც, რომელიც პროპედევტიკურის კურსით ორ კვირაზე სრულდება, ორთავე ნახევარს არ გადასცილდება, თუ სწავლების საქმე წესიერად, შეუფერხებლად იქმნა წაყვანილი. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია იმისთანა ანბანი და მასწავლებელიც, რომლებიც წერა-კითხვის სწავლებას სამიოდ კვირაში ასრულებდეს, როგორც ბ. ბალტაზარი ამბობს. ამნაირი მსჯელობა ეხლანდელს დროში წერა-კითხვის სწავლების შესახებ მართო გულდამკოდავი სიცილის გამომწვეველია. წერა-კითხვის სწავლება ცოტა ხელოვნებას არ ითხოვს, სიჩქარითაც არაფერი გაკეთდება. წერა-კითხვის სწავლებით უნდა ხდებოდეს ბავშვის სულიერი განათლებაც და მეცნიერებისაკენ წახალისებაც. თუ კი წერა-კითხვის სწავლების დროს აუცილებლად საჭიროა სახეში გვექონდეს ბავშვის გონებითი განათლება, – აქედგან სჩანს, რომ სრულიად საჭირო არ არის თავის მტვრევა იმის შესახებ, რომ ჩქარა შეისწავლოს ბავშვმა წერა-კითხვა, უმთავრესი ინტერესი სიჩქარეში კი არ მდგომარეობს, არამედ საქმის გონივრულად წაყვანაში, რომელიც იძლევა შედეგად ნამდვილს და ჭეშმარიტს განათლებას და არა მაშინასავით წარმოებას. ერთი პატივცემული რუსი პედაგოგი სამართლიანად ამბობს: „Оценивайте методы обучения со степенью возбуждения ими самостоятельности учащихся; помните, что не та метода лучше, которая скорее учит, но та, которая /вместе с тем/ учит вернее и воспитательнее“.

წერა-კითხვის სწავლების დროს საკმარისი არაა, რომ მუშაობდეს მართო მექანიკური მეხსიერება ბავშვისა, არამედ საჭიროა იწრთვნებოდეს ბავშვის მსჯელობაც, მეტყველებაც, ფანტაზიაც, საზოგადოდ ვითარდებოდეს ბავშვის მთელი სული, რომ იგი სწავლის დროს თანდათან განახლდებოდეს; – ამას ყველაფერს და ანბანის შესწავლასაც ბ. ბალტაზარის რეცეპტით სამ კვირას უნდა ასრულებდნენ მასწავლებლები. აქედგან ძნელი არ არის გავიგოთ, თუ როგორ ესმის ბ. ბალტაზარს პედაგოგიური საქმე და რად იწუნებს იმისთანა სახელმძღვანელო წიგნს, როგორიც „დედაენაა“, რომლის ბადალი ჯერ სხვა არ მოგვეპოვება და რომელშიაც ბ. ბალტაზარს არ მოსწონს მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ნახატები, მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაელების სკოლებში წმინდანების ნახატების გამო „დედაენას“ არ იხმარებენ და ჩვენ ქართველები, როგორც ძალის მქონებელი ერი, უნდა თავაზიანობით ვექცეოდეთ იმ ჩვენ შორის მცხოვრებელ ხალხებს, ებრაელებს და სხვ. ამასთან, ბ. ბალტაზარი დასძენს, რომ ქართველ

ებრაელებს, ქართველ მაჰმადიანებს, ქართველ ფრანგებს, ქართველ მართლმადიდებლებს სულ სხვა და სხვა დედაენა უნდა შევუდგინოთ. რისთვის? იმიტომ, რომ წმინდანების ნახატი აფრთხობს ებრაელს, მაჰმადიანს და ფრანგსო. თუ მხოლოდ მარტო ეს საბუთი აქვს სახეში ბ. ბალტაზარს, მაშინ შეიძლებოდა შენიშვნა მიგვეცა „დედაენის“ ავტორისათვის, რომ ზოგიერთი გამოცემა „დედაენისა“ გამოცემით ისე, რომ წმინდანების ნახატები არ იყოს შიგ – თორემ სულ სხვა და სხვა დედაენა არ ვიცით რა შუაშია აქ. მაგრამ მგონია ბ. ბალტაზარს თავის გულის წადილი აუხდეს კიდეც. პატივცემულს პედაგოგს ივანე როსტომაშვილს, როგორც მისი განცხადებიდგან სჩანს, განზრახვა აქვს შეთხზას და ბეჭდოს პედაგოგიური გამოცემები. ამ დღეებშიაც გამოვა სამი წიგნი. მათ შორის ერთი ისეთი ანბანია თურმე, რომელიც ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა და ადვილად. ღმერთმა ქმნას, რომ ეს ანბანი სჯობდეს ბ. გოგებაშვილის ანბანს, მაგრამ თუ ეს მოლოდინი არ აგვისრულდა და პატივცემულმა ავტორმა თუ თავის ანბანში წმინდანების ნახატი არ მოაქცია, მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხსენებული ანბანი ებრაელების სკოლებს მაინც გაუწევს სამსახურს და შეაკავშირებს ენით მათ ქართველ ხალხთან.

ბ. ბალტაზარი ამბობს, რომ წიგნი ზნეობითი აღმზრდელი იყოს მოწაფისა, საჭიროა მივცეთ მას წასაკითხავად მარტივი და სადა აღწერილობა და არა ნაგლეჯები სატენდენციოთ მომზადებულიო, რომელთა წაკითხვის დროს ბავშვი ირევა, იბნევა და გონებით ჩლუნგდება. აქაც დიდი პედაგოგიური ნიჭი სჩანს ავტორისა. ბ. ბალტაზარსა ჰგონია აღწერილობითი ფორმა სწავლებისა უფრო ზნეობრივად და ხდის მოწაფეებს, ვიდრე უბრალო მოთხრობები, რომელშიაც არის რამე ზნეობრივი სწავლა გატარებული. ეს ასე არ გახლავთ. აღწერილობას, როგორც დოღმატიურს გადაცემას, არა აქვს მეტად დიდი ზნეობრივი გავლენა ბავშვებზედ, რადგანაც ამ დროს ბავშვს უკითხავენ მხოლოდ სხვა და სხვა დარიგებებს, რომელიც დღეს ახსოვს ბავშვს, მაგრამ ხვალ კი ავიწყდება. ამისთანა მოთხრობები კი, რომელშიაც რამე ზნეობრივი სწავლაა გატარებული, სხვანაირად მოქმედებენ ბავშვზედ. მოთხრობებში თითონ ზნეობრივი სწავლა ცოცხლად არის დახატული ხოლმე, ამიტომ მოთხრობები და არაკები მოქმედებენ პირდაპირ ბავშვების გრძნობაზედ, უღვიძებენ მათ დამოუკიდებელს, თავისუფალ აზრებს, უბადავს მათ თავის გულის დაჯერებას. აღწერილობითი ფორმა, როგორც საუკეთესო დარიგება, ყოველთვის შეადგენს განყენებულს ცნობებს, რომელიც რჩება ბა-

ვშვის თავში მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ის სკოლაში არის. შემდეგ კი იპარება. გულის დაჯერება კი უფრო ცოცხალია, თვალსაჩინო და პირდაპირ მიდის ცხოვრებაში. ამასთან კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ მოთხრობითი წესი სწავლებისა უფრო ადვილად შესათავსებელია ბავშვებისათვის, ვიდრე აღწერილობითი; ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც არავითარს დამტკიცებას არ ითხოვს იმათთვის, ვინც ცოტათ თუ ბევრად დაჰკვირვებია ბავშვების აღზრდის საქმეს. აღწერილობაზედ არის უფრო დამოკიდებული ბავშვის გონებითად აღზრდა, ვიდრე ზნეობრივი.

ანბანის შემდეგ, რომელიც ასომთავრული ასოებით იბეჭდება, მოწაფეები გადადიან პირველ საკითხავ წიგნზედ, სადაც შრიფტი იცვლება. ამიტომ აქ საჭიროა მიწოდება ისეთი საკითხავი მასალისა, რომელიც ადვილად წასაკითხავი იყოს. ამგვარ მასალად პატივცემულ პედაგოგს მოჰყავს სახალხო სიმღერა „მოდი ვნახოთ“... ჩვენ არაფერს ვიტყვით იმაზედ თუ რა ზნეობრივი სწავლა უნდა გამოიყვანოს მასწავლებელმა ხსენებულ ლექსიდან; ვიტყვით მხოლოდ, რომ რაც შეეხება იმ მიზანს, რისთვისაც ეს ლექსი მოუქცევია ავტორს პირველ გვერდზე, ეს ლექსი მიზნისებრივია და თავისს ადგილზედაც არის მოთავსებული.

ცნობილია, რომ ბავშვებს საზოგადოდ მდიდარი და თან გადაჭარბებული ოცნება, ფანტაზია აქვთ. სამი წლის ბავშვი დიდის გულმოდგინებით ისმენს ზღაპრებს და ეწაფება სხვა და სხვა სათამაშოებს. ამ დროს ბავშვებს ისეთი ცხოველი წარმოდგენა აქვს, რომ მათთვის უსულო საგნები სრულიად არ არსებობენ: დედოფლებს ისე უვლიან, როგორც ცხოველ არსებას, აცმევენ, რთავენ, ელაპარაკებიან და სხვ. თამაშობის დროს ბავშვს გულწრფელად სწამს ის, რაც მის ოცნებას შეუქმნია – ჯოხზე მჯდომარე ბავშვს, მათრახით ხელში ჰგონია, რომ ნამდვილ მერანზედ ზის და მიაქროლებს მას რაც ძალი და ღონე აქვს. ბავშვი პირველად ძნელად არჩევს იმას თუ რა არის შესაძლებელი და რა არა. ხშირად ამნაირი ოცნებით გატაცებული ბავშვები შემოდინან ხოლმე სასწავლებელში, სადაც ბავშვი დაკვირვებით, გარშემორტყმული ბუნების გაცნობით, აზროვნების განვითარებით შეიგნებს და გაარჩევს ნამდვილს საოცნებოსაგან. „ნუცას სკოლა“-ც იმისთანა მოთხრობაა ბავშვების ცხოვრებიდან აღებული, რომელიც დიდს მასალას აძლევს მასწავლებელს ზემოხსენებულ მიზნისადმი მისაღწევად. თუ კი აუცილებლად საჭიროა, რომ ბავშვებს მიეცეს წასაკითხავად იმისთანა სტატიები და მოთხრობები, რომელსაც შეეძლოს

მათი დაახლოვება საზოგადოდ კაცობრიულ ყოფა-ცხოვრებასთან, ამისათვის თავდაპირველად უნდა იქმნეს ბავშვის ყურადღება მიქცეული მისვე ცხოვრებაზე და შემდეგ იმ პირების ცხოვრებაზე, რომლებიც მას გარს არტყია; ამნაირ შინაარსის მასალაზე უნდა იქმნას დამკვიდრებული მტკიცე საფუძველი ბავშვის აზროვნებისა და მეტყველებითი მოქმედებისა. ერთი ფსიხოლოგიური კანონი ამბობს, რომ ჩვენ სრულს გულის ყურს ვერ ვამყარებთ იმ საგანზე, რომელიც მთლად ცნობილია ჩვენთვის, თუ ის არ ეხება და არ აღძრავს რომელიმე შინაგან გრძნობას, ვერ მივაქცევთ გულის ყურს, ყურადღებას, აგრეთვე ისეთ საგანსაც, რომელიც ჩვენთვის სრულიად უცნობია.

ბავშვებისათვის, რასაკვირველია, უფრო ცნობილია ბავშვობა იმდენად, რომ მათ თავში, ჭკუა-გონებაში უმეტესი ადგილი ბავშვობის ცხოვრებას უკავია და ამიტომ იმისთანა სტატიები, რომელიც ბავშვების ცხოვრებისგან არის აღებული და რომელიც უფრო ელაპარაკება ბავშვის სულს და გულს დიდად საინტერესო და სახალისო არის ბავშვებისათვის. აი, ამიტომ „ნუცას სკოლა“ დიდაც მოხდენილი სტატიაა თავის ადგილზე მოთავსებული. ამაზე შევდგებით ჯერჯერობით და შემდეგისათვის ვეცდებით გამოვიკვლიოთ სიმართლე ბ. ბალტაზარისა სხვა შენიშვნებზედაც, რაც შეეხება მის პედაგოგიურ მოსაზრებას და იდეების პროგრამას.

Библиография

**„Курс русского языка для грузинских начальных школ“.,
Тод второй. Составлен Ф. Левитским.Тифлис, 1891 г.**

В числе периодических педагогических изданий „Педагогический сборник“ (14) редактируемый А. Острогорским, занимает видное место. Ноябрьский номер этого журнала представляет много интереса: в нем, между прочим, напечатана статья Г. А. — Нейфельда „Ненормальности детей на психопатической основе“. Автор во вступлении указывает на то, что до сих пор психология и педагогика мало обращали внимания на такие явления, которые уклонялись от нормы. Теперь, говорит автор, взгляды изменились и в подтверждение своей мысли указывает на мнения автора одного из новейших руководств физиологической психо-

логии Цигена, на „Педагогическую патологию“ Штрюмнеля и на „Ненормальности характера детей“ Шольца.

В начале психиатрия занималась и интересовалась не только „духовно-отсталыми“ и представителями еще низшей степени слабоумия или идиотизма; между тем, педагог и врач могут натолкнуться на целый ряд прирожденных или приобретенных психических ненормальностей, имеющих сильное влияние на развитие ребенка.

Существование подобных ненормальностей не указывает на ненормальность всей психической жизни ребенка; во всех других отношениях такие ненормальные дети превосходят детей нормальных одного с ними возраста, но в них есть „что-то“, чем они существенно отличаются от своих сверстников и что делает их своеобразными. Недостатки эти дают право ставить их в один ряд с идиотами, эпилептиками и другими психическими больными и, по мнению компетентных врачей, зависят от прирожденных или приобретенных ненормальностей мозга или нервной системы. Г. Нейфельд говорит о тех недостатках и ненормальностях на невропатической основе, которые хотя бессознательно, но все-таки развиваются семьей, школой и обществом и которые характеризуются им следующим образом: „в них замечается слабость при сильно повышенной возбудимости, являющейся обыкновенно при прирожденных психопатических ненормальностях“.

Возбудимость повышена, ребенок, повидимому, многое обещает, но действие возбуждения скоро прекращается и даже притупляется на некоторое время. Болезненная возбудимость замечается в области органов внешних чувств; дети, обладающие ею, плачут от малейшей боли, на уроках они останавливаются на середине предложения, чтобы прислушаться к бою часов в соседней комнате, мелочи часто точно ими усваиваются, важное же не замечается, и сосредоточенное внимание чередуется с полной рассеянностью. В младшем возрасте такие дети обнаруживают особую чувствительность: расставание на не очень продолжительное время трогает их до слез, свидание после краткой разлуки вызывает судорожные припадки. Такие дети быстро и необдуманно сочетают представления и потому кажутся более или менее остроумными, чего на самом деле нет. У таких детей воля и энергия бывают ослаблены. Представления, которые не могут служить волевым импульсом для здоровых — у них вызывают безрассудные действия. В дошкольный период они интересуются всем, они умны не по летам, но им не достает спокойствия и

постоянства. Если воспитатели слабы, то у таких детей легко развивается упрямство. В школе при строгом учителе, они образцово ведут себя, иногда боязливы, безсловесны, дома же часто раздражаются, тиранят мать и домашних. Самостоятельно делать что-нибудь они научаются не легко, при обучении замечают только слова, самые же предметы отходят у них на задний план и все усваивают они памятью. Такие дети, обыкновенно, засиживаются в классах и в заключение увольняются из заведений, не окончив курса, между тем как, по замечанию автора, многие из них при целесообразном ходе воспитания могли бы быть спасены.

Одну из причин подобных ненормальностей автор видит в наследственности, причем — по наследству передается не самая болезнь, а только предрасположение к ней, а потому при правильном воспитании можно задержать развитие болезни по наследству. Но кроме этой, существуют еще и другие причины: соматические и психологические. К первым относятся: воспаление головного мозга, ранние детские болезни, и знеживание или чрезмерное закаливание тела, повреждение мозга, злоупотребление возбуждающими средствами и лакомствами. Причины — психически-умственное переутомление, происходящее от непосильного труда, усиленных безчисленных элементов и погони за правами, и однообразие учебного материала, притупляющего ему и чувство. По мнению Нейфельда, переутомление зависит еще и от того, что психология и педагогика имеют в виду лишь нормально одаренных детей, причем приводит данные статистики: из 42 первоклассников получают аттестат зрелости только 3. Психопатические ненормальности могут быть результатом не только духовного пресыщения но и духовных лишений. Отсутствие духовной жизни у сельчан и недостаточных горожан создает многочисленные ненормальности в форме слабоумия и нравственного вырождения.

Далее автор задается вопросом, чем остановить распространение этого зла, как бороться с нервностью, увеличивающейся с каждым годом и делающейся слишком распространенным злом. Главнейшим средством предупреждения неврозов и психозов в детском и юношеском возрастах автор считает заботу о специальной подготовке будущих учителей и воспитателей, так как в настоящее время они, большею частью, недостаточно подготовлены к учебно-воспитательной деятельности, незнакомы с нормальной психической жизнью, не понимают патологических явлений и в своей практике делают много губительных по своим последстви-

ям ошибок. Не следует торопиться с помещением детей в учебные заведения, программа которых не соответствует их телесным и духовным силам; домашние работы, задаваемые детям учебными заведениями, должны быть устранены. Родители часто дают детям карманные деньги, устраивают детские балы, посещают с детьми театр, одобряют выпивки, курение и т. д. Нервная или истеричная мать не может воспитывать чрезмерно раздражительного ребенка, ребенок капризный не должен оставаться с отцом пьяницей. Так как учебные заведения, вследствие скопления в них большого числа воспитанников, не могут индивидуализировать уход за детьми, то автор советует устроить для таких ненормальных детей специальное учебное заведение подобно основанному Трюпером в Германии, около Иены.

Автор высказывается также и против учебного плана: „Снимают мерку со среднего учебника и в этот шаблон втискивают всех“. Между тем, важно, чтобы учебный план был более эластичен и походил к различным способностям; эти требования особенно необходимы для ненормальных детей.

Библиография

Новейшие легкие способы сознательно закреплять в памяти все слышанное и читанное. Научный рассказ. С. Петербург, 1896 г.

Под вышеприведенным заглавием неизвестным автором издана недавно в Петербурге книга, представляющая интерес как для воспитателей и родителей, так и для учащихся. Касаясь вопроса о школьной мнемонике, автор высказывает по этому предмету собственные взгляды, сравнительно со взглядами Ушинского, Гартенбаха и Локка, причем устанавливает следующее положение: „Память напоминает небосклон, усеянный мириадами звезд. Как звезды мерцают, так и память колеблется: то она бывает ясна, то на время гаснет или совсем угасает, подобно аэролиту“.

Из современной психологии о памяти и воспоминаниях известно, что душевные состояния не исчезают из души совершенно, но длятся и могут в разных случаях вновь появляться и затем исчезать. Восстановление душевных состояний в сознании называется воспроизведением,

которое совершается в душе по определенному правилу, называемому законом смежности. По этому правилу все душевные состояния, пережитые душою в тесном приемстве или одновременно, соединяются так, что когда одно из них повторяется в сознании, то и другие в то же время стремятся повториться. Из этого закона ассоциации вытекает, что все душевные состояния, вызывающие одно другое, связаны вместе, ассоциированы. Исходя из этого психологического положения, автор на званной книге советует, чтобы учащийся при обучении сознательно и ясно представлял себе то, что заучивает, чтоб он наглядно объяснял себе по возможности каждое слово, каждую мысль и все объяснения связывал как бы одной нитью, т. е. одно за другим в строгом порядке. При разучивании например, описания улицы Москвы, из „Евгения Онегина“ — „Мелькают мимо будки, бабы, мальчишки, лавки, фонари и т. д., автор составляет мерцающую „звезду“ со столькими лучами, сколько главных предметов в стихотворении. У Пушкина предметы перечислены в сжатом виде, автор же соединяет их распространено: первый предмет со вторым, второй с третьим и т. д., так что составляется связный рассказ, который уже напоминает перечисленные предметы в их порядке. Кто не знает сколько мучений испытывает учащийся при заучивании слов на н. Автор ухитрился по тому же способу разместить эти слова таким образом, что из них составляется рассказ, вроде следующего: „Немой немец с гневом разорил гнездо нежной птицы, которая утонула в Днепре“ и т. д. Искусственно связанные фразы охотно и быстрее заучиваются детьми и дольше остаются в памяти. Такие же приемы, с некоторыми только изменениями, допускает автор книги при запоминании фамилий и собственных имен, при запоминании пословиц, энциклопедических данных, связных статей из литературы, истории, философии и т. д. При изучении латинских, французских и других слов автор прибегает к созвучным русским словам. Весьма оригинальные советы дает автор для запоминания чисел, рецептов, адресов, хронологии и т. п. Хотя изданная книга не лишена крупных недостатков, все-таки она заслуживает некоторого внимания. Книга стоит всего 60 коп.

Библиография

Русско-грузинский словарь по астрономии, зоологии, минералогии и разных терминов и технических слов. Составил К. Д. Кипиани, Тифлис, 1896 г.

Необходимость установления в грузинской литературе правильной научной терминологии чувствуется уже давно. Об этом можно судить и по выпущенным в последнее время на грузинском языке полным руководством по арифметике и геометрии и переведенным учебникам химии и анатомии, в которых научные термины не всегда точно выражают заключающиеся в них понятия. Труд г. Кипиани, как первый опыт в этом отношении, не может считаться вполне удачным. Автор словаря собрал большею частью такие слова и выражения, которые когда-то употреблялись в грузинской литературе, но в настоящее время вышли из употребления и остались только в древних грузинских книгах и рукописях. Собрание таких слов может способствовать лучшему пониманию древней литературы, но этой цели можно достигнуть и при посредстве тех источников и лексиконов, которыми пользовался г. Кипиани при составлении своего словаря.

Другая, повидимому, задача автора состоит в том, чтобы показав, что древняя грузинская литература и изобилует всевозможными научными терминами, способствовать возобновлению этих терминов в современной литературе, из которой следует изъять иностранные слова, приобретшие уже популярность как в литературе, так равно и в образованном обществе. В этом отношении г. Кипиани забывает одно весьма важное условие жизни всякого языка: прочность и жизнь всякого языка возможны только при соединении двух тенденций — сохраняющей и изменяющей. Язык подвергается то большему влиянию сохраняющего направления, то большему влиянию направления изменяющего, и потому всякое механическое вмешательство в жизнь языка всегда имеет обоюдоострое значение. Если вмешательство это, подобно ножу хирурга, сообразуется с законами и условиями органической жизни, то оно может устранить наросты на языке, если же оно, грубо пренебрегая этими условиями, станет слепо срывать эти наросты, то оно повредит и здо-

ровую ткань, на которой они образовались. Ввиду этого, нет никакой необходимости заменить грузинское слово, например, წაღები (сапоги), вполне известное и в народе и в литературе – неизвестным პერიკმები, или слово ხატი (икона) – заменять словом ამინაშატი или სტაქანი, ჭიქა словом წედა и т. д. Вообще можно посоветовать автору при следующих изданиях своего словаря, если они будут держаться, указанного взгляда относительно выработки научной грузинской терминологии.

არქიფო ტყემალაძის ხსოვნას

„კვალის“ 51 №-ში ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი წავიკითხეთ: შვიდს ნოემბერს სოფელ ბაჯითში /შორაპნის მამრა/ დაუსაფლავებიათ ორის წლის ავადმყოფობის შემდეგ ერთი სამაგალითო სახალხო მასწავლებელი არქიფო ტყემალაძე. სახალხო მასწავლებლობა საზოგადოთ, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც, დიდ თანამდებობად არ ითვლება და არც სახალხო მასწავლებელს უყურებენ როგორც დიდის თანამდებობის კაცს, მაგრამ ვინც კი გონიერის თვალთ დაჰკვირვებია სოფლის მასწავლებლის მოვალეობას, მიზანს და დანიშნულებას, უეჭველად შენიშნავდა, რომ ერთის მხრით, ხალხის მომავალი ბედნიერება და ერის საუკეთესო მომავალი, სახალხო მასწავლებელზეა დამოკიდებული. სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა დღეს ვერაფერ ნუგეშს ვერ იძლევა საზოგადოთ. ამიტომ, რადგანაც სოფლის მასწავლებელი ვერ ხედავს ვერაფერ ნუგეშს ვერც აწმყოში და ვერც მომავალში, უმეტესი ნაწილი სარგებლობს პირველსავე შემთხვევით, სტოვებს სოფლის მასწავლებლობას და შედის ისეთ სამსახურში, რომლიდგანაც გამოეღის უფრო მეტს კერძო სარგებლობას. ამნაირად, ბევრი სახალხო მასწავლებელი ცხოვრების სხვადასხვა უკუღმართობის წყალობით, ხშირად აითვალისწინებს თავისს თანამდებობას, სახალხო მასწავლებლობას, რომელსაც მოსწავლის სკამიდგან ერთ დროს ტკბილის იმედებით და სასიამოვნო ოცნებით შესცქეროდა. ზოგი მასწავლებელი, ისიც ძალიან მცირე რიცხვი მისდევს თავიდანვე აღნიშნულს კვალს, მიზანს. მხოლოდ ძალიან მცირე რიცხვი სახალხო მასწავლებლისა არ ღალატობს თავისს იდეალს, შეხედულობას სასოფლო სკოლების მოქმედებაზე და რჩება ერთგული ყმაწვილობის დროს შედგენილ შეხედულობისა.

ამისთანა მასწავლებლები ყოველთვის გრძნობენ განსაკუთრებულს სიყვარულს თავის თანამდებობის მიმართ და ახალ თაობის კანონიერად სწავლა-აღზრდისადმი, რომელიც მიაჩნიათ აგრეთვე ცხოვრების უმაღლეს მიზნათ და ამაში ჰპოვებენ მხოლოდ ნუგეშს, და ამიტომ ამისთანა სახალხო მასწავლებელი ჭეშმარიტად ბედნიერია. მას პასუხი ყველა კითხვებზე, რომელიც კი შეეხება მისს თანამდებობას, დარწმუნებით და დამტკიცებით გადაწყვეტილი აქვს. ბედნიერ სახალხო მასწავლებელს თავდაპირველად ამხნეებს შეგნება და წარმოდგენილობა თავის შრომის სარგებლობაზე და ამტკიცებს მისს განსაზღვრულს შეხედულობას სკოლის დანიშნულებაზე.

ამ უკანასკნელს მცირე დასს ეკუთვნოდა განსვენებული არქიფო ტყემალაძე. ერთმა რუსების ცნობილმა პედაგოგმა სთქვა: „ძნელია კაცისათვის პროფესორად მომზადება, უფრო ძნელია გიმნაზიის მასწავლებლობა, მაგრამ ყველაზე უფრო ძნელია სახალხო მასწავლებლად მომზადება, მისთვის, რომ აქ ცხოვრება და სკოლა, წესიერების დაცვა და სწავლება, ცნობების გადაცემა და კარგი ყოფა-ქცევის შექმნა ერთმანეთს უნდა დაუახლოვდნენ, ერთმანეთს უნდა გაუჯდნენ“. განსვენებული არქიფო ტყემალაძე თავიდანვე, სასულიერო სასწავლებელში სწავლის დასრულებიდანვე, გრძნობდა სოფლის მასწავლებლობის ასპარეზზედ მოწოდებას. მაგრამ მალე იგრძნო თავისი მოუშადებლობა და ამიტომ რამდენისამე წლის მასწავლებლობის შემდეგ შევიდა ახლად გახსნილს ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც კურსის დასრულების შემდეგ რამდენსამე ხანს კიდევ მასწავლებლობდა, მაგრამ აქაც გრძნობდა, რომ კიდევ ისე არ იყო სახალხო მასწავლებლად მომზადებული, რომ ყოველ გაჭირვებულ მდგომარეობაში შველა, დახმარება და რჩევა მიეცა ხალხისათვის. აი, ამიტომ წავიდა განსვენებული ნიკიტას სამეურნეო სასწავლებელში და იქ სწავლის დასრულების შემდეგ განაგებდა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლას, და აი, დღეს ეს პატიოსანი, შესაფერისის ცოდნით აღჭურვილი, მტკიცე ხასიათის მქონე, ყოვლად უწყინარი მოღვაწე უდროვოდ გამოეხალმა წუთისოფელს. მისი უდროვოდ დაკარგვა დიდათ შეაწუხებდა მის ნაცნობებს, მეგობრებს და მოწაფეებს. ამ ორი წლის წინად ვნახე განსვენებული, ტფილისიდან ავადმყოფი მიდიოდა თავისს სოფელში, საიდგანაც შემდეგ არ დაბრუნებულა. განსვენებულმა შემომჩივლა: – დამიგდო ამ წყეულმა ავადმყოფობამო. შევატყვე, რომ მისი გამობრუნება შეუძლებელი იყო. თვითონაც ამბობდა: სკოლას გამოვეთხოვე, ამის შე-

მდეგ იქ წასვლას და საქმის გაგრძელებას ვერ ველირსებო. მაგრამ ყველაზე უფრო, ეტყობოდა, განსვენებული იმას სწუხდა, რომ ბოლო ელებოდა ამისთანა დროს, როდესაც ასე თუ ისე უფრო რიგიანად იყო მომზადებული ხალხის სამსახურისათვის და ეხლა კი ვერავის ვერაფერს ვარგებო. ეს უღონებდა გულს საცოდავს და ამიტომ უბედურად სთვლიდა თავის თავს. მაგრამ ამისთანა მკაცრე ხასიათის მქონებული მასწავლებლის მოქმედება, როგორც იყო განსვენებული, რაც უნდა მცირე ნამოქმედარი იყოს, უნაყოფოდ არ დარჩება, თესლი მისი სწავლისა მისს მოწაფეებში აღორძინდება და გამოიტანს სასურველს ნაყოფს. ამიტომ მისი ხსოვნაც მუდამ დარჩება მისს ნაცნობებში და მეგობრებში, რომლებიც ყოველთვის დიდის სიყვარულით და პატივისცემით მოიგონებენ, უეჭველია.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სამაგალითო სახალხო მასწავლებლო, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო არქიფო!

პედაგოგიური განყოფილება სრულიად რუსეთის გამოფენისა ნიჟნი-ნოვგოროდში

ქ. ნიჟნი-ნოვგოროდი. მისი ისტორიული მნიშვნელობა. ანტონ II კათალიკოზი. – მაკარიის ბაზრობა სრულიად რუსეთის გამოფენისა

I

ქ. ნიჟნი-ნოვგოროდი რუსეთის ისტორიაში თავისი წარსულით და აწმყოთი ერთი შესანიშნავი ქალაქთაგანია. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ღვაწლი, რომელიც ამ ქალაქს მიუძღვის მთელის რუსეთის წინაშე, გამოიხატება იმაში, რომ 1510-1513 წლებში, როდესაც მთელი რუსეთი უბედურს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი შინაგანი და გარეგანი არეულობისაგან, მტრების შემოსევით, მთელი ქალაქებისა და სოფლების დარბევით, დაწვით და აოხრებით, ამ დროს დიდებული აზრი მოუვიდა თავში ერთს ნიჟნი-ნოვგოროდის მცხოვრებელს, უბრალო ხელოსანს სახელად კოზმა მინინს, რომელსაც თავისი მეზობლები და ნაცნობები იცნობდნენ პატიოსან და ჭკვიან ადამიანად; მაგრამ ვინ იცოდა მაშინ, რომ ამ უბრალო ადამიანში იხატებოდა შე-

სანიშნავი გმირი, რომლის სახელი უკვდავი იქნებოდა შთამომავლობათა ხსოვნაში. აი, ამ უნუგემო მდგომარეობის დროს, ამ მინინმა შეკრიბა ქალაქის მცხოვრებლები და დაუწყო მათ ცოცხალი სიტყვით აღტაცებული ქადაგება სამშობლო ქვეყნის გამოხსნის თაობაზე. მინინის სიტყვებში იმდენი ძალა და სიყვარული გამოიხატებოდა სამშობლო ქვეყნის წინაშე, რომ მისმა სიტყვებმა ძლიერად იმოქმედეს მსმენელებზედ, ამიტომ რომ ყველა ჰგრძნობდა, ყველას საღმრთო ვალად მიაჩნდა ის საგანი, რაზედაც მინინი ელაპარაკებოდა მათ საჯაროდ, ხმამაღლა. მინინის შესანიშნავი და მომხიბვლელი ქადაგების შემდეგ ყველა მსმენელი მზად გახდა გაეყიდა სახლ-კარი, დაეგირავებინა ცოლ-შვილი და გამოეხსნა სამშობლო ქვეყანა და სარწმუნოება გაჭირვებისაგან. მართლაც, ნიჟნი-ნოვგოროდელების ერთსულობამ, ერთგულობამ, შეერთებულის ძალით მოქმედობამ იმდენი სარგებლობა მოუტანა მთელს რუსეთს, რომ დაიხსნა ის და გადაარჩინა სამუდამოდ დაღუპვას, განდევნილ იქნა ურიცხვი მტრები და არჩეულ იქნა პირველი მეფე მიხეილ თეოდორის ძე – წინაპარი ეხლანდელი მეფეებისა.

თვით გარეგანი მდებარეობა ნ. ნოვგოროდისა საზოგადოდ ბუნების სიუხვით და სიმდიდრით ბევრად განსხვავდება რუსეთის სხვა ქალაქებისაგან. ეს ქალაქი გაშენებულია ისეთს მაღლობზე, რომელსაც რუსეთში ბევრს ადგილს ფარნითაც ვერ იპოვით. ამ მაღლობიდან მშვენიერი სურათი გადაეშლება თვალწინ მნახველს, უფრო კარგი სანახავია ის ადგილი, სადაც რუსეთის ორი დიდი მდინარე ვოლგა და ოკა მოსიყვარულე დებივით ხელს გადახვევენ ერთმანეთს და სადაც დაუღალავად დასრიალობენ პატარა გემები. ქალაქი მდიდრულ მცენარეულობაშია ჩაფლული. ამ მცენარეულობიდან ამაყად ამოიქვირება ძველი ციხე-ნანგრევების კბილები, რომელიც ბევრს წარსულ დროს და ქალაქის თავგადასავალს აგონებს მნახველს. საზოგადოდ აქაური ბუნების სხვადასხვაფერობა ქართველ კაცს ბევრად მოაგონებს თავის სამშობლოს ბუნებას, ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, რომ აქაური მდებარეობა უფრო მოიტაცებდა სამშობლოდან გადმობეჭვიწილს ქართველებს. წარსული საუკუნის გასულს, როგორც ამბობენ, რამდენიმე ქართველსაც უცხოვრია აქ, თუმცა დღეს მათი გზაკვალისა არა სჩანს-რა.

ნ. ნოვგოროდში ფერიცვალების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში, ტრაპეზიდან მარჯვნივ ასაფლავია საქართველოს უკანასკნელი კათალიკოზი ანტონ II, რომლის შესახებ აქვე ტაძარში შენახუ-

ლია შემდეგი ცნობები: „1783 წელს, როგორც ამბობს აქაური მატინე, საქართველოს ეკლესია შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, საქართველოს კათალიკოზ ანტონ II და არსენს³ უთანხმოება მოსდიოდათ ერთმანეთში. ანტონი წავიდა პეტერბურგში ეკატერინე II-თან სამართლის გასაჩენად. ეკატერინე II წინადადება მისცა ანტონს გადმოსულიყო სადმე რუსეთში სამსახურში, მაგრამ ანტონმა ავადმყოფობის გამო, სამსახურს თავი დაანება და უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილად აირჩია ნიჟნი-ნოვგოროდი, სადაც იღებდა პენსიას სახელმწიფო ხაზინიდან 3000 მანეთს. ნიჟნი-ნოვგოროდში ცხოვრობდნენ აგრეთვე ანტონის ახლო ნათესავები.⁴

ქ. ნიჟნი-ნოვგოროდი შესანიშნავია აგრეთვე იმით, რომ აქ იმართება შესანიშნავი ბაზრობა, რომელსაც ჩვენში მაკარის ბაზრობას ეძახიან. დასაწყისი ამ ბაზრობისა უხსოვარ დროს ეკუთვნის. წყლებზე მოგზაურობის შეერთება ქარავნებით მოგზაურობასთან დიდი ხანიდან ითხოვდა სავაჭრო საქონლების გადაცვლას. ისტორიაში დარჩენილია ცნობები, რომ პირველადი ხაზარელების დროს ეს ვაჭრობა იმართებოდა მდინარე ვოლგის ჩასართავში. ხაზარელების ქალაქი ატილი მდინარე ვოლგის ორივე ნაპირზე ყოფილა გაშენებული. მარცხენა ნაწილი ქალაქისა სულ სავაჭრო დუქნებიდან შესდგებოდაო. სავაჭროდ აქ მოდიოდნენ სხვა და სხვა შორეული ადგილებიდანაც. რამდენიმე ხნის შემდეგ ქ. ტილი დაანგრიეს სლავიანთა ტომის ხალხმა და ბერძნებმა და ვაჭრობაც გადიტანეს ვოლგაზე ზევით, სადაც ცხოვრობდნენ ძველებური ბულგარები. ბულგარების დაცემისა და ყაზანის სამეფოს დაარსების შემდეგ 1257 წლიდან ბაზრობა გადაუტანიათ ყაზანის მახლობლად არსკის მინდორზე, სადაც ყოველ წლებით მოდიოდნენ ვაჭრები: სპარსეთიდან, ინდოეთიდან, შუა აზიის სახელმწიფოებიდან, ციმბირიდან, შუა რუსეთიდან და სხვ. 1523 წელს, რუსეთის მეფემ იოანე III, იმის გამო, რომ თათრებმა გაძარცვეს რუსების ვაჭრები თავის სავაჭრო ადგილზე, აღუკრძალა რუსების ვაჭრებს ყაზანში სიარული სავაჭროდ და თვითონ დააარსეს ვაჭრობა ყაზანის ზევით სოფელ ვასილსურკში, მაგრამ ბაზრობამ აქ ფეხი ვერ მოიდგა და

3. ვინ ყოფილა ეს არსენი, საქართველოს ისტორიაში ამაზე არაფერია ნათქვამი. აქ მოყვანილი ზოგიერთი ცნობა ანტონ II შესახებ არეული უნდა იყოს ანტონ I ცნობებთან. ანტონ II ჰმართავდა საქართველოს ეკლესიას 1788-1811 წლამდის, მის შემდეგ დაწესდა ექსარხოლობა. პირველი ექსარხოლი იყო ქართველი ვარლამი / ერისთავი/. შეიძლება ამ ვარლამს და ანტონს ჰქონდათ უთანხმოება ერთმანეთში.

4. დღეს მხოლოდ ერთ ქუჩას შერჩენია სახელად „грузинский переулок“. ანტონ II ცხოვრების სრული აღწერილობა დაბეჭდილი ყოფილა 1850 წლის ნიჟნი-ნოვგოროდის საეპარქიო უწყებებში.

ამიტომ მალე გადატანილი იქნა კიდეც ზევით წმ. მაკარიის მონასტრის მახლობლად სოფ. ლისკოვოში. აქედან დაერქვა ამ ბაზრობას მაკარიის ბაზრობა, მაგრამ აქაც უხერხულად სცნეს ბაზრობის დატოვება სამუდამოდ, ფიქრობდნენ მის გადმოტანას ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში, მაგრამ ამის განხორციელებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მაკარიის მონასტერთან ბაზრობის გამართვაში დიდძალი ფული იყო დახარჯული სავაჭრო შენობებისა და სასტუმროების აგებაში. მაგრამ 1816 წელს განზრახ ცეცხლის წაკიდებით ეს შენობები სულ მთლად გადაიწვა და ამის შემდეგ ბაზრობა გადატანილი იქმნა ნიჟნი-ნოვგოროდში, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა ბაზრობის საქმეს უფრო ხელს უწყობდა. ამ ბაზრობასაც მას შემდეგ შერჩა ძველი სახელი და დღესაც თუმცა ეს ბაზრობა იმართება ნიჟნი-ნოვგოროდში, მაგრამ იწოდება მაკარიის ბაზრობად. სოფელ ლისკოვოში თურმე დღესაც შენახულია ხალხში ის გადმოცემა განზრახ ცეცხლის წაკიდების შესახებ. ამბობენ ეს გარემოება, დაფარული არ იყო მაშინდელი ნიჟნი-ნოვგოროდის მმართველობისათვის, რომელთაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ თავად გრუზინსკისთან, რომელსაც საკმაო შემოსავალი ჰქონდა მაკარიის ვაჭრობიდანო.

წრევანდელ ბაზრობას ნიჟნი-ნოვგოროდში მიემატა კიდეც გამოფენის გამართვაც, რომელიც დიადს მოვლენას წარმოადგენს აქაურს ცხოვრებაში, სადაც პირველად იმართება გამოფენა. წინად გამოფენები იმართებოდა უფრო პეტერბურგში, მოსკოვში და ვარშავაში. 1895 წლის სრულიად რუსეთის გამოფენის უმთავრესს დანიშნულებას შეადგენდა ის, რომ უფრო ფართო მონაწილეობის მიღება შესძლებოდა აზიის სამფლობელოების ნაწარმოებთა. ამიტომ, საუკეთესო ადგილად, სადაც ადვილად შეიძლება გამოსაფენ საგნების გამოტანა ციმბირიდან და შუა აზიიდანაც, აღიარებულ იქნა ქ. ნიჟნი-ნოვგოროდი, რომელიც მდებარეობს დასამხარს ადგილზე და სადაც ბევრის მხრიდან ხალხი უკვე დაჩვეულია მოსვლას; ერთის სიტყვით ნიჟნი-ნოვგოროდის გეოგრაფიული მდებარეობა ყველაფრით ხელს უწყობდა გამოფენის გამართვის საქმეს.

სრულიად რუსეთის გამოფენას საზოგადოდ ეროვნული ხასიათი ჰქონდა. ყველა საგნები დამზადებული იყო შიგ რუსეთში, გარდა ბოგიერთი მხატვრობითი ნაწარმოებისა, რომელიც საზღვარგარეთ იყო დახატული რუსების მხატვრებისაგან. მთელი გამოფენა დაყოფილი იყო სულ 20 განყოფილებად: 1. სოფლის მეურნეობა, 2. ცხენების მოვლა-მოშენება, 3. შინაური საქონლობა, 4. ბაღოსნობა, ხეხილის მო-

შენება და მებოსტნეობა, 5. ბეწვიანი ნადირისა და თევზების ტერა, 6. ტყის მეურნეობა, 7. სამთო საქმე და მეტალურგია, 8. ნაწარმოები ბოჭკოიანი /волокнистый/ ნივთიერებისა, 9. ქარხნებისა და სახელოსნოების ნაწარმოები, 10. სამხატვრო ალებ-მიცემობითი, 11. ადგილობრივი სოფლის ნაწარმოები, 12. მანქანები, ელექტრო-ტექნიკა, 13. ციმბირი, რუსეთის ვაჭრობა ჩინეთთან და იაპონიასთან, 14. საშუალო აზია, რუსეთის ვაჭრობა სპარსეთთან, 15. სამხედრო განყოფილება, 16. სამხედრო-საზღვაო განყოფილება, 17. ხუროთმოძღვრება და საინჟინერო საქმე, სავაჭრო გემთა მიმოსვლა მდინარეებზე და ზღვებზე, 18. ხელოვნებითი სამხატვრო განყოფილება, 19. ხალხის განათლება, ჯანმრთელობა, ქველმოქმედება, მშიერთა და მწყურვალთათვის შემწეობის აღმოჩენა, წყალში გადარჩენა, 20. განაპირა ჩრდილოეთი.

თითო განყოფილება კიდევ დაყოფილი იყო რამდენსამე ჯგუფებად. მთლად გამოფენას უჭირავს 100 დღიურამდის ადგილი. სივრცით ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენა აღემატება როგორც 1882 წლის მოსკოვის, აგრეთვე 1889 წლის პარიჟის გამოფენებს. გარეგან შეხედულებით, გამოფენა ძალიან ლამაზად და რიგზედ არის მოწყობილი, მშვენიერი გზები, ელექტრონის რკინის გზა, მწვანე ხავერდით ადგილები, ათასნაირი ყვავილებით შემკული ადგილები, ხშირი აუზები და შადრევნები, რომლიდანაც 30 საჟენი სიმაღლეზე დიდის ძალით ამოქუხს წყალი, სხვა და სხვა გემოზე და გეგმაზე აგებული პავილიონები, რომელთა შორის 55 სახელმწიფო და 117 ექსპონენტების მიერ თავის ხარჯითაა აგებული, ყველა ეს ერთად დიდს შთაბეჭდილებას აძლევს მნახველს.

მეცხრამეტე განყოფილება გამოფენისა, რომელიც შეადგენდა უმეტესად ჩვენთვის საინტერესო საგანს, იყო სამეცნიერო სასწავლო ჯგუფი, მოთავსებული სხვა და სხვა შენობებში. ამ განყოფილების უმთავრესი მიზანი და დანიშნულება იყო მიეცა მნახველებისათვის შეძლებისდაგვარად სრული და თვალსაჩინო ცნობები სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის წარმოების შესახებ. ამ აზრით გამოფენილი იყო სასწავლებლების ურიცხვი გეგმები, შენობების ფოტოგრაფიული სურათები, მოწაფეების სურათები, გადაღებული სხვა და სხვა დროს: კლასში მეცადინეობის დროს, კლას გარეთ თამაშობის დროს, ანგარიშები, წიგნაკები, რომლებიც შეეხებოდა რომელიმე სასწავლებლის ცხოვრებას, მოქმედებას. აქვე მნახველი გაიცნობდა თუ სად როგორ ზომებს ხმარობენ ბავშვების გონებითად და ფიზიკურად აღზრდისათვის. განყოფილების შესავალს პირდაპირ ელაგა ექსპონატები

უმაღლესი სასწავლებლებისა, სტატისტიკური ცნობები, დიაგრამები, მოსწავლეთა ნამუშევარი და პროფესორების სამეცნიერო შრომანი. უმაღლეს სასწავლებლებს მიჰყვებოდა საშუალო სასწავლებლები, რეალური სასწავლებლები, საქალო და სავაჟო გიმნაზიები, პროგიმნაზიები, ინსტიტუტი, სამასწავლებლო სემინარიები, საქალაქო და პირველ დასაწყისი სასწავლებლები. უფრო დაწვრილებით გამოფენილი იყო სასწავლებლების საქმის მიმდინარეობა იმ საგნებში, რომლის სწავლებაც დამოკიდებულია წერაზე. საზოგადოდ ამ შემთხვევაში უპირველესი ადგილი ეჭირათ მოწაფეთა ნაწერებს. წარმოდგენილი იყო რომელიმე სასწავლებლის საშუალო წარმატების მოწაფის ნაწერები, მოწაფე ქალების ნამუშევარი, ნაკერი, ნაქსოვი, ნაქარგავი, სახელოსნო სკოლების მოწაფეთა გაკეთებული ნივთები, მოწაფეების ნახატები. საზოგადოდ სრულიად რუსეთის გამოფენის პედაგოგიურს განყოფილებას ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა მიქცეული და განირჩეოდა კიდევ თავისი სისრულით პეტერბურგისა, მოსკოვისა და ვარშავის გამოფენებისაგან. სასწავლო სამეცნიერო განყოფილება დაყოფილი იყო სულ ექვს პატარა განყოფილებად: ხალხთა განათლება, ხალხის ჯანმრთელობა, ქველმოქმედება, შემწეობის აღმოჩენა მშვიერთა და მწყურვალთათვის, წყალში გადარჩენა და მეტალურგია. ეს ექვსი განყოფილება დაყოფილი იყო სულ 32 ჯგუფად, რომელიც მოთავსებული იყო შემდეგს შენობებში: განყოფილების უმთავრესს შენობაში, ხალხთა განათლების სამინისტროს სამაგალითო სკოლის შენობაში, წითელი ჯვრის საზოგადოების პავილიონში, მარიამ იმპერატრიცის უწყების დაწესებულებათა პავილიონში, წყალში გადარჩენის საზოგადოების პავილიონში, მეწისქვილეთა პავილიონში ერლანგერის ამხანაგობითურთ, ცეცხლისაგან დამზღვეველს საზოგადოების „რუსეთის“ პავილიონში, ურიებში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების პავილიონში, პრინცის პ. გ. ოლდენბურგის სკოლის პავილიონში, სასწავლო სახელოსნოსი იაგნის პავილიონში, კუმისით წამლობის დაწესებულებათა შენობაში, მეტეროლოგიური ობსერვატორიის შენობაში, ეკლესია-სკოლის შენობაში და კიდევ სხვა ხუთ შენობაში ხალხთა შორის ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოებისა.

აქედან ცხადად სჩანს თუ როგორ სრულად იქნებოდა გამოფენილი პედაგოგიური ნაწილი სრულიად რუსეთის გამოფენისა.

პირველდასაწყისი სკოლების მოწაფეთა ნაწერები კალიგრაფი-ისა და შინაარსის მხრით. წესები წერის სწავლებისა და ნაწერების გასწორებისათვის. უცხო ხალხის სკოლები რუსეთში. პირდაპირი წერა და ექ. ვირენიუსი

ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი, როგორც წინად ვამბობ-დით, რომლითაც შეიძლება გაიგოს კაცმა სკოლის წარმატების, სწავლა-აღზრდისა და მოწაფეთა გონება-განვითარების საქმე, არის მოწაფეთა ნაწერები. თითქმის რუსეთის ყველა სამოსწავლო ოლქებიდან გამოეგზავნათ რვეულები გამოფენისათვის. რვეულების შეგროვების შემდეგ შემდგარა ცალკე კომისია, რომელსაც გადაუსინჯავს ყველა დასაწყისის სკოლის უკანასკნელი განყოფილების მოწაფეთა ნაწერები შესრულებული სამოსწავლო წლის დასასრულს, რომელშიაც უნდა ყოფილიყო კარნახით ნაწერი, გადმოღებული და დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოები. კომისიას ამნაირი რვეულები ყველა სამოსწავლო ოლქებიდან ცალკე ყუთებში გამოეფინა ზედ წარწერით, რომელი რვეული რომელი სამოსწავლო ოლქის რა ჯურის სკოლას ეკუთვნის. პირველდასაწყისის სკოლების ყველა რვეულის გადაკითხვის შემდეგ დავადექით შემდეგს დასკვნას: ერთ კლასიანი სკოლების უფროსს განყოფილებაში წერით სავარჯიშოს შეადგენს: თავისი სიტყვით წერით გადმოცემა მოწაფის მიერ წაკითხულისა და გაგონილისა, კარნახი და გრამატიკული სავარჯიშოები. თავისი სიტყვებით აღწერა კლასში წაკითხულის მოთხრობისა ასე სწარმოებს: რომელიმე საკითხავი მასალა შეიმუშავება ჯერ განმარტებისა და მოწაფის მიერ შეგნების მხრით, ამის შემდეგ აღინიშნება რამდენიმე საკითხი რომელზედაც პასუხს წერით აძლევენ მოწაფეები. ამნაირად მზადდება კლასში მასალა, რომელიმე თხზულების დასაწერად, მაგალითად: სოფლის აღწერილობა, სოფელში დღეობის აღწერა, ქალაქში მოგზაურობა, როგორ მსურს მოვეწყო ცხოვრებაში სწავლის დასრულების შემდეგ. ზოგი სასწავლებლები ამათ გარდა დიდს ყურადღებას აქცევენ საქმიანი წერილების შეთხზვას – მაგალითად, წერილი ნათესავებთან, ნაცნობებთან, სოფლის სასამართლოში, მსგავსება და განსხვავება ცნობილ საგანთა შორის, სურათების აწერილობა, მაგალითი ცხოვრებიდან მოყვანილი, შესაფერისი ნასწავლი არაკის შინაარსისა; გადმოცემა წერითი ისტორიულის, გეოგრაფიულის სტატიების შინაარსისა, რო-

მელიც წაუკითხავს არა სახელმძღვანელო წიგნებიდან თავისთავად, წერილების წერა სხვადასხვა საპატიო პირთან. ზოგიერთ სკოლაში საწერად აძლევენ მასალას სამეურნეო საგნებიდანაც, მაგალითად: „კალია და მისი მოსპობა“, „ფუტკრის მოშენება“, „თაფლზე“, „მოპოვება მადნეულობისა და ლითონებისა“, „ახსნა ბუნების მოვლენათა“, „შველა უბედურსს შემთხვევაში“, „მწერების ცხოვრების აღწერილობა“, „ანდაზები, მათი განმარტება და შესაფერისი მაგალითი, შემთხვევა ცხოვრებიდან“. „გლეხების ცხოვრების აღწერა, მაგალითები გლეხების ცრუმორწმუნეობის შესახებ“, „სათიბი“, „წყლის სარგებლობა სამის მხრით“, სრული ახსნა წერით არითმეტიკული ამოცანების გაკეთებისა, როგორ უნდა გამრავლება მრავალ ნიშნოვანი რიცხვებისა, „რომელი უფრო სასარგებლოა გლეხის მეურნეობაში – ცხვარი, ცხენი თუ ძროხა?“. „რომელი გლეხის ცხოვრება მომწონს უფრო და რად?“, „სწავლის სარგებლობა“, „შრომის სარგებლობა“, „რით არის სასარგებლო ბავშვი გლეხის ოჯახში“, „მცენარეთა სარგებლობა“, „თავისუფალ ადგილზე ხეების გაშენების სარგებლობა“, „რა შევიძინე მე სასწავლებელში“. /რა ცოდნა, სულიერი, ანუ სარწმუნოებრივი განვითარება, გონებითი განვითარება, ჩვეულება ანუ ხასიათი, შრომა, მოთმინება, ყურადღება, რიგიანობა, სისუფთავე, ბრდილობა/, „რაში მდგომარეობს კეთილმსახურება“ და სხვ.

ზოგიერთს სკოლებში კარნახად აწერინებენ ცალკე წინადადებაებს რომელიმე უკვე შესწავლილ საგრამატიკო კანონზე ან მთელს სტატიას, ზოგს სკოლებში კარნახი უდრის თითქმის სხვა ყველა სავარჯიშოს, ზოგში /მაგალითად – ორენბურგის სასწავლო ოლქში/ კარნახით წერას ბევრს ყურადღებას არ აქცევენ. ყველაზე უფრო ყურადღება ექცევა კარნახს მოსკოვის სასწავლო ოლქში, სადაც კარნახით წერა სკოლებში ყოველდღე სწარმოებს. ბევრს რვეულში მოქცეულია აგრეთვე ბლომად გრამატიკიდან სავარჯიშოებიც. გამოფენაზე წარმოდგენილს რვეულებს წინ აქვს მასწავლებლის მიერ ან დირექციისაგან განმარტება იმის შესახებ თუ როგორ მიჰყავთ წერითი სავარჯიშოების სწავლების საქმე ერთკლასიან სკოლების უფროსს განყოფილებაში. საზოგადო წერა-სავარჯიშოებს შეადგენენ სავარჯიშოები მართლწერის, გრამატიკის და სტილისტიკის მხრით. მართლწერის შესასწავლად შემოღებულია: ზეპირად წერა, კარნახი ორნაირი შეცდომების გაფრთხილებით და შესამოწმებელი /იშვიათად წიგნიდან პირდაპირ გადაწერა/. ზეპირად აწერინებენ კარგად გაზეპირებულს, შეგნებულად გაკვეთილებზე ახსნით ლექსებს და არაკებს. ლექსების

დასწავლის დროს მოწაფეთა ყურადღებას აქცევენ უფრო ძნელს, უცნობს სიტყვებზე წერის მხრითაც. ამნაირად შესწავლილი ლექსი ანუ არაკი მეორე დღეს გადაისინჯება კიდევ ერთხელ და შემდეგ მიეცემა ბავშვებს ზეპირად დასაწერად. კარნახით წერა საზოგადოდ, როგორც ბევრი განმარტებითი წერილებიდან სჩანს, ასე წარმოებს: აიღებენ საკარნახოდ რომელიმე წერილს-ნასწავლს ან უცნობს, წაიკითხავს მასწავლებელი ჯერ მთლად, შემდეგ თითო წინადადებებს, რომელთაც მოწაფეები იმეორებენ სათითაოდ და ერთად ყველა და შემდეგ სწერენ. თუ წაკითხულ წინადადებაში გამოერია იმისთანა სიტყვა, რომელიც მოწაფეებმა არ იციან როგორ იწერება, მასწავლებელი იქვე წინდაწინვე გააფრთხილებს, თუ შემთხვევა მისცემს, იქვე აცნობებს მართლწერის მხრით წესებსაც. ხანდისხან წარმოებს შესამოწმებელი კარნახი, თავი მიზანი ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ გაიგონ, შეამოწმონ თუ რამდენად შეუთვისებიათ მოწაფეებს რომელიმე კანონი რუსული მართლწერისა, ამისათვის საკარნახოდ აღირჩევა იმისთანა ნაწყვეტი, ანუ მთელი წერილი, რომელშიაც მოიპოვება უკვე ნასწავლი კანონები მართლწერისა. საგრამატიკო სავარჯიშოები უფრო ბევრს სკოლებში განისაზღვრება მიცემულ კითხვებზე პასუხის დაწერით, ანუ რომელიმე გრამატიკულ კანონზე მაგალითების მოყვანით. როდესაც მოწაფეები გაიცნობენ მარტივ-გავრცელებულ წინადადებათა შედგენილობას, მაშინ მიცემულს ქვემდებარეს მოუძებნიან შესმენილს, განმარტებით, დამატებით და გარემოებით სიტყვებს. ერთის სიტყვით, გრამატიკის ყველა განყოფილების შესწავლას თან დაჰყვება შესაფერისი წერითი სავარჯიშოც. სტილისტიკური სავარჯიშოები მდგომარეობს თავისი სიტყვებით წერილის შინაარსის გადმოცემაში წერით: წაიკითხავენ რომელიმე მოთხრობას ან არაკს ჯერ ნაწილ-ნაწილად და შემდეგ მთლად, წაკითხვის შემდეგ მასწავლებლის კითხვებზე, რომელიც შეეხება წაკითხულის შინაარსს, იძლევიან პასუხს და როცა კითხვების მიუცემლად შეიძლებენ პასუხის ან შინაარსის გადმოცემას, მაშინ წერენ რვეულებში. ამნაირი წერა თითქმის ყველა სკოლებშია და აქ, რასაკვირველია, ახალი არაფერია. ჩვენშიაც ამ წესით წარმოებს რუსული მართლწერის სწავლებაც.

უცხო ერის სკოლები შუა რუსეთში, ყაზანის სამოსწავლო ოლქში, თავისი წარმატებით და შედეგით ბევრად არ ჩამორჩება პირდაპირ რუსულ სკოლებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უცხო ერის ერთკლასიანი სკოლების უმეტესი ნაწილი ოთხწლიანებია. ზოგს ოთხგანყოფილებიან სკოლას ასწავლის ერთსა და იმავე დროს

ერთი მასწავლებელი, თუ მოწაფეთა რიცხვი არ აღემატება სამოცს. უკანასკნელ შემთხვევაში ან ინიშნება კიდევ მეორე მასწავლებელი და ან რჩება მართო ერთი მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ერთს დროს ორს განყოფილებას და მოწაფეებს ლებულობს სკოლაში ყოველი ორი წლის შემდეგ; ზოგი ასწავლის სამ განყოფილებას ერთს დროს და მოწაფეებს ლებულობს ერთის წლის შემდეგ. ყველაფერი ამ შემთხვევაში დამოკიდებულია ადგილობრივს პირობებზე. სწავლება უცხო ერის სკოლებში თუ იმ ერს თავისი ანბანი აქვს, როგორც მაგალითად თათრები, სწარმოებს ჯერ დედაენაზე ანბანის სწავლებით. რუსულს პირველს წელიწადს ასწავლიან ლექსიურათ და მეორე წლიდან იწყება რუსული წერა-კითხვის სწავლება. საღმრთო სჯულს მონათლულ თათრებს სკოლებში ასწავლიან ორ წელიწადს დედაენაზე და შემდეგ აჩვენებენ რუსულადაც. რუსული ენის სწავლება ძალიან დაკავშირებულია დედაენასთან, შესაფერისს შემთხვევებში ყველაფერი, რაც რუსულად ბავშვისათვის გაუგებელია, დედაენის შემწეობით იგნებს. ესრედ წოდებული „ბუნებითი მეთოდი“ უცხო ენის სწავლებისა არსად არ არის შემოღებული მთელს ყაზანის სამოსწავლო ოლქში, რომელშიაც ყველაზე მეტი უცხო ერი ირიცხება, პირიქით, ყველა – მასწავლებლებიდან დაწყებული სამოსწავლო ოლქის მბრუნველამდე – მოწინააღმდეგეა ხსენებულის მეთოდისა, – უცხო ერის განათლების შესახებ ყველა ადგას იმ ჰუმანიურს აზრს და მიმართულებას, რომელსაც ადგა განსვენებული პედაგოგი ილმინსკი, დირექტორი ყაზანის სამასწავლებლო სემინარიისა, რომელიც დიდის პატივით ეპყრობოდა რომელიმე ერის დედაენას, ამასვე ასწავლიდა თავისს მოწაფეებს, რომ რომელიმე ერის აზროვნება, მთელი მისი სულის მოძრაობა იხატება დედაენაში. ვინც იცის რომელიმე ერის ენა, ამბობს ილმინსკი, იმას შეუძლიან ინსტიქტიურად მაინც გაიგოს მისი გონება-განვითარება /миросозерцание /. ვინც ელაპარაკება უცხო ერს თავის დედაენაზე, იმას უფრო გაუგებენ და უფრო დარწმუნდებიან მისთვის, რომ სიტყვებთან ის ხმარობს ერის აზრის ელემენტსაც. ამიტომ ამბობს იგივე ილმინსკი, ჰუმანიურად საჭიროა სასწავლო და აგრედვე უცხო ერის განათლებისათვის საჭირო წიგნები დაწერილი და გადაცემული იქმნეს აუცილებლად, სრულიად, წმინდად თავისს დედაენაზე! მასწავლებლად უცხო ერის სკოლებში უმეტესად ინიშნებიან იმავე ერიდან, რომელსაც სკოლა ეკუთვნის. იშვიათ შემთხვევაში და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მასწავლებელს ვერ იშოვნიან ადგილობრივს, უცხო ერიდან ჰგზავნიან სხვა ტომისა და ერის

მასწავლებელს, რომელმაც აუცილებლად უნდა იცოდეს იმ ხალხის ენა, სადაც ინიშნება მასწავლებლად. რამდენად უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დედაენას რუსული ენის შესწავლაში, ეს სჩანს სხვათაშორის უცხო ერის სკოლის მოსწავლეთა ნაწერებიდან. მაგალითად, ჩებოკსარის მამრამი ბანგულოვსკის საერო სასწავლებელში მოწაფეებს აქვსთ ისეთი რვეულები, რომელშიაც სლავიანურ ლოცვებიდან აქვსთ ამოწერილი უცნობი სიტყვები და იქვე თარგმანი რუსულად და ჩუვაშურად; არის იმისთანა რვეულებიც, რომელშიაც სწერენ რუსული სიტყვების თარგმანს ჩუვაშურად, თათრულად. ყაზანის გუბერნიის ერთს სასწავლებელში მოწაფეებს აქვთ შემოღებული თითო დიდი რვეული ლექსიკონისათვის. ამ რვეულებს თითო გვერდზე თავში თითო ასო უზის, როდესაც შეხვდება რუსული უცნობი სიტყვა, ჩასწერენ რვეულში იმ გვერდზე, რომელზედაც სწერია რუსული სიტყვის პირველი ასო და იქვე გადათარგმნიან ჩერემისულს ენაზე. ამისთანა რვეულების წყალობით მოწაფეების ლექსიკონი რუსული სიტყვებით შეუმჩნევლად მდიდრდება და ბოლოს მოწაფეს რჩება ხელში სამუდამო ვრცელი ლექსიკონი რუსულ-ჩერემისული სიტყვებისა, მისივე შედგენილი.

სუფთა წერის ცალკე რვეულები ძალიან ცოტა იყო გამოფენილი, ამიტომ წერა, როგორც ცალკე საგანი, ძალიან ცოტა სასწავლებელშია დაყენებული. უმეტეს შემთხვევაში წერით სავარჯიშოს მაშინ ასრულებენ მოწაფეები, როდესაც მასწავლებლები სხვა განყოფილებასთან მეცადინეობენ. საზოგადოდ წერა მკვიდრად არის შეკავშირებული დედაენის სწავლებასთან. ზოგიერთ სკოლებიდან იყო წარმოდგენილი რვეულები, რომელშიაც დაცული იყო სრული სისტემა წერის სწავლებისა, რომელიც იწყება ხელის გასამართავ წინასწარ სავარჯიშოებით, გადადის ასოების ელემენტების წერაზე, შემდეგ ნაწერი ელემენტებისაგან შემდგარ ასოების წერაზე, რომლიდანაც გადადიან ნაწერი ასოებიდან შემდგარი სიტყვებისა და ნაწერი სიტყვებიდან შემდგარ წინადადებათა წერაზე და სხვ. ყველაზე უფრო დაწვრილებით წესები წერის სწავლებისა და ნაწერების გასწორების შესახებ წარმოდგენილი იყო სტავროპოლის სახალხო სკოლების დირექციიდან. ახალი წესები, რასაკვირველია, ხსენებულის დირექციის მიერ წარმოდგენილს განმარტებაში არაფერია, მაგრამ ყველა საჭირო რჩევა და მოთხოვნილება წერის შესახებ შეძლებისდაგვარად სისტემატურად დაულაგებია სტავროპოლის დირექციას. „პირველი თავი, ყურადღება რასაც უნდა მიაქციოს მასწავლებელმა, ინსპექტორ-

რის ბ. თვალჭრელიძის აზრით, არის მოწაფეებისათვის სტოლები და სკამები, რომლის დამზადების დროს მასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს პროფესორის ერისმანის და ვირენიუსის წინადადებით. წერის დროს მოწაფე ისე უნდა იჯდეს, რომ ფეხები მთელის ტერფებით ებჯინებოდეს სტოლს იატაკზე, იდაყვები სტოლზე იდვას, ხერხემალი სწორედ პირდაპირ უნდა იყოს და მკერდით მოწაფე სტოლს არ უნდა მიაწვეს არაფერს შემთხვევაში. წერის სწავლება ანბანის სწავლებასთან ერთად უნდა სწარმოებდეს და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გაუშვან მხედველობიდან ხელისა და თვალის მოძრაობის ანატომიური კანონები. თავიდანვე უნდა მოითხოვონ მოწაფეთაგან გარკვევითი და შეძლებისდაგვარად ჩქარი, ლამაზი წერა, სწორი მართლწერის მხრით. თავიდანვე დააწყებინეთ წერა კალმებით, რადგანაც რამდენიმე სკოლაში გამოცდილებამ კარგი ნაყოფი მოიტანა. წერის სწავლების დროს დაცული უნდა იქმნას ტაქტი, ხშირად უნდა შეამოწმონ ასრულებენ მოწაფეები ტაქტის მოთხოვნილებას თუ ვერა. პირველად აწერინონ უნდა 7 მილიმეტრის სიმაღლის ასოები და თანდათან დაამცირონ სამს მილიმეტრამდის. წერაში ერთგვარობის დაცვისათვის საჭიროა სკოლაში ერთნაირი დედნები იხმარებოდეს. ნაწერებში არცერთი შეცდომა გაუსწორებელი არ უნდა დარჩეს. ერთ ნაირის ყურადღებით და მუყაითობით უნდა სწორდებოდეს როგორც მართლწერის, ისე კალიგრაფიის მხრით მომხდარი შეცდომები. თითოეული შეცდომა, მასწავლებლის გასწორებული, მოწაფემ გასწორებულად უნდა ამოწეროს რამდენჯერმე, ან რვეულის ნაპირზე და ან ნაწერის ბოლოში. თუ ბევრს მოწაფეს ერთი და იგივე შეცდომები მოსვლიათ წერაში, მაშინ მასწავლებელმა მთელს კლასს უნდა განუმარტოს, აუხსნას შეცდომა და გაასწორებინოს წერის გაკვეთილზე. კალიგრაფიისა და მართლწერის მხრით შეცდომები ერთნაირად უნდა სწორდებოდეს, როგორც რუსულ საწერ რვეულებში, აგრეთვე სხვა საგნებიდანაც; საანგარიშო რვეულებში უნდა სწორდებოდეს ცუდად დაწერილი ციფრები. თვითონ შეცდომების გასწორება შეიძლება ასე: მართლწერის წინააღმდეგ შეცდომებს ქვევით უნდა გაესვას სწორი ხაზი, კალიგრაფიისას – მრუდე ხაზი, თუ რომელიმე ასო ცუდად არის დაწერილი, მასწავლებელი ამ ასოს გამოსწერს კარგად და მოითხოვს მოწაფეთაგან მიბაძვას. ასე უნდა მოიქცეს მასწავლებელი შეცდომით დაწერილი სიტყვების გასასწორებლად. წერის სწავლების დროსაც უნდა აუცილებლად დაცულ იქმნას საჭირო თანდათანობა, არაფერს შემთხვევაში არ უნდა აწერინოთ ელემენტები და ასოები

მას შემდეგ, როდესაც ბავშვები მთელ ფრაზებსა სწერდნენ. ერთსა და იმავე განყოფილებაში მოწაფეები უნდა სწერდნენ ყველა საგნებიდან ერთნაირად დახაზულ რვეულებში ყოველთვის სუფთად და ლამაზად. საწერის მიცემის დროს მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს პედაგოგიურის კანონით ადვილიდან ძნელზე, მარტივიდან რთულზე და ცნობილიდან უცნობზე გადასვლით. ამის მიხედვით საწერი მასალაც თანდათან რთული ხდება შესწავლილ წერილებთან, ლექსებთან და არაკებთან შეკავშირებით და სხვ.

პირდაპირი და სწორი ხელის ნიმუშადაც იყო გამოფენილი რამდენიმე რვეული, თუმცა შედარებით ძალიან ცოტა იყო. მოსკოვს, სადაც უფრო მეტი ცდა ხდებოდა სწორი ხელით წერაზე, მარტო ერთი სკოლის რვეული წარმოედგინა, ისიც სადღაც პავლიონში იყო. ერთკლასიან სკოლების მოწაფეთა ნაწერები ჯგუფში სწორი ხელის ნიმუშს წავაწყდით ჩერნიგოვის გუბერნიის მგლინსკის მაზრის სოფ კულნევსკის სახალხო საერო სასწავლებლის მოწაფეთა ნაწერს. მასწავლებელი ხსენებული სკოლისა ამბობდა განმარტებით წერილში, რომ მიზნად ამ რვეულების გამოგზავნისა მე მაქვს ერთის მხრით საჭიროება და მეორედ ინტერესი, რომელსაც ამჟამად წარმოადგენს პირდაპირი ხელით. ყველა ნაწერი შესრულებულია 12 მოწაფის მიერ 8 წლიდან 11 წლამდის, სამუშაოები შესრულებულია ყოველის მხრით ცუდს გარემოებაში, როგორსაც წარმოადგენს სახალხო სკოლა, უვარგისი სკამები, ცუდი კალმები, გაკვეთილების ხშირი გაცდენა, ერთი მასწავლებლის მეცადინეობა 70 მოწაფესთან; აი, ამ პირობებში შარშან 189 $\frac{4}{5}$ წელში შემოვიღე სწორი წერის სწავლება წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად; 17 მოწაფეში არცერთი არ სწერდა ცუდად. ორი წლის განმავლობაში სასწავლო დღეებია სულ 265.

როგორც ყველგან, სადაც კი სცადეს სწორი ხელით წერა, აგრედვე ხსენებული სკოლის ნაწერიც ყოველის მხრით მშვენიერი იყო. ამ სამი წლის წინად თვითონ ნიჟეგოროდის მაზრაში ოცდაათს სასწავლებელში შემოულიათ პირდაპირი წერა სკოლებში საცდელად. ეს ნაწერები 30 სკოლისა გამოფენილი იყო სამინისტრო სკოლის შენობაში. ჩვენ გადავსინჯეთ შემდეგი სკოლების სწორი ნაწერები: ბორკოვსკის, ნოვოლინევსკის, ჩიჟკოვსკის, კლიუჩინსკის, ბოკშევსკის, ბორცოვსკის, გეორგიევსკის, ტროიცკის, როჟდესტვენსკის, მაკარიის, ილინსკის, კუტაისოვის, გუცინსკის, პოდვალნიხინსკის და ალისტეევსკის; წერაში წარმატება შესანიშნავად ეტყობა ყველგან. იქაურს დირექციას პირდაპირ წერა ძალიან მოუწონებია; ამ წერის

შესახებ დირექცია წერს საზოგადოდ, რომ წარმატება პირდაპირ წერაში, ჩვენის დაკვირვებით, ძალიან კარგია, მასწავლებლები – ქალი და კაცი ერთ ხმად აღიარებენ, რომ ჩვენი საკუთარი შრომაც, პირდაპირ წერის სწავლების დროს, შეგვიმსუბუქდაო. ზოგიერთებს შეუნიშნავს, რომ ზოგ ბავშვს სწორად წერის დროსაც ეტყობა რვეულის და სხეულის მობრუნება, როგორც მრუდე წერის დროსაო, მაგრამ ესაო, ამბობს დირექცია, რამდენადაც ვიცით, შეეხება უფრო იმ ბავშვებს, რომელთაც წელიწად ნახევარი მრუდე ხელით უწერიათ და შემდეგ სწორ ხელზე გადასულან. ამისთანა გადასვლას დირექცია არ ურჩევს მასწავლებლებს.

ჯერ კიდევ დაუსრულებელი ბრძოლაა ატეხილი სწორი ხელისა და მრუდე ხელის მოსარჩლეთა შორის. ამ საზოგადო დავამ, რომელიც თუმცა-ლა საკმარისად არ არის დამყარებული სერიოზულს სამეცნიერო ნიადაგზე, მაგრამ გამოიწვია ძალიან ბევრი ცდა-დაკვირვება და გამოკვლევა წრის საქმეში, რომელსაც ყველგან მოჰყვა პირდაპირი წერისათვის სასარგებლო შედეგი. საზოგადოდ წერის შესახებ საკითხს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ საკითხის მიუდგომლად გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული სკოლის მოწაფეებში შენიშნულის მხედველობის გაფუჭების, მკერდის სისუსტის, ხერხემლის გამრუდების და აქედან მთელი სხეულის სუსტი აგებულობის მოსპობა. ამ რამდენიმე წლის წინად ცნობილმა ექიმმა ბაკმა მოსკოვის სამოსწავლო ოლქის ცირკულიარში დასტამბა მოხსენება შემდეგის სათაურით: „ეხლანდელი წერის მეთოდის ნაკლულევანება და სახსარი მისი თავიდან ასაცილებელი“. ეს მოხსენება დასურათებული შემდეგ ცალკე წიგნაკადაც გამოიცა. აქ სხვათა შორის ექიმი ბაკი ამბობს: „თუ პედაგოგები და ექიმები სამართლიანად აყვედრიან მშობლებს და აღმზრდელებს, რომ ისინი საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ბავშვების რიგიანად სხდომას წერის დროს, მაშ ამ მხრით პირდაპირ წერის შემოღებით დიდს საშუალებას უნდა მოველოდეთ. თუ კი სკოლა მუდამ მოითხოვს, რომ ყველა ნაწერები შინ და სკოლაში პირდაპირად იწერებოდეს, მაშინ ამნაირად ასრულებული სამუშაოები პირდაპირ დამამტკიცებელია იმისი, რომ ბავშვები წერის დროს რიგიანად ისხდნენ, რადგანაც პირდაპირი წერის მეხანიზმზე არის დამოკიდებული, როგორც რვეულის, ისე მოწაფის მთელი სხეულის, მხარის და თვალების სიმეტრიულად, პირდაპირ დაჭერა“.

ნიურნბერგის თვალის ექიმმა შუშერტმა ხანგრძლივის მუყაითად შრომით და მოხსენებით გამოარკვია ბევრი ნაკლულევანება მრუდე

ხელისა სწორ ხელთან შედარებით; პირდაპირ წერის ერთი ფიცხელი მომხრეთაგანია, სხვათა შორის, აგრედვე ბრესლავის ცნობილი პროფესორი კონი, რომელსაც ბევრი შრომა მიუძღვის სკოლებში მხედველობის ჰიგიენის დაცვის შესახებ. თვალის ექიმი რეიხი პირდაპირ წერის დროს ბავშვების სხდომას „საკვირველებად“ უწოდებს. ექიმ ბაკს თავის წერილში მოხსენებული ჰყავს აგრედვე სხვა ბევრი სწავლული, რომლებიც ღალადებენ პირდაპირი წერის თვალსაჩინო ღირსებას. ვიურტენბურგის ხალხთა განათლების სამინისტრომ ამ რამდენიმე წლის წინად დანიშნა ცალკე კომისია ცნობილი პირებისაგან, რომელთა შორის იყვნენ აგრედვე პროფესორი ბერლინცი და ექიმი რემბოლდი, რომლებიც ამტკიცებდნენ პირდაპირი ხელის ღირსებასაც; მაგრამ ამ შემთხვევაში დაკვირვება აკლდათ და ამის გამო ცოტათი მრუდე ხელმა სძლია; ამის შემდეგ ექიმი მერკელი, ხსენებულს კომისიასთან გამოცხადებულის დაკვირვებით, რომელიც მოეხდინა 186 სასწავლებელში იმ დასკვნამდის მივიდა, რომ მოწაფეები პირდაპირ წერის დროს, როდესაც რვეულიც პირდაპირ უძევს სტოლის წინა კიდის პარალელურად, სხედან ყოველის მხრით უკეთესად იმ მოწაფეებთან შედარებით, რომლებიც მრუდე ხელით სწერენ. საფრანგეთის ხალხთა განათლების სამინისტროს მიერ დანიშნული კომისია სკოლებში ბეცობის /*нижорукость*/ გამოსარკვევად და მისს საწინააღმდეგოდ ზომების მისაღებად ურჩევს სავალდებულოდ გაიხადოს პირდაპირი წერის შემოღება სკოლებში. უნგრეთი, იმის გამო, რომ იქაური სამინისტრო თანაგრძნობით უყურებს პირდაპირი წერის საქმეს, იმყოფება იმისთანა მდგომარეობაში, რომ ამ ცოტა ხანში ყველა სასწავლებლებში პირდაპირ წერა სავალდებულო გახდება. ამ ხუთი წლის წინად ლონდონის ერთა შორის საჰიგიენო კონგრესმა აზრი წარმოსთქვა პირდაპირი წერის სასარგებლოდ.

დახრილი წერის მოსარჩლეებს, როგორც სჩანს, არ შეუძლიანთ რომელიმე ძლიერი საბუთი წარმოადგინონ გარდა იმისა, რომ დახრილი ხელით უფრო სწრაფად იწერებაო. შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ დახრილი ხელი მოხერხებულია ძალიან სწრაფი წერისათვის, რომელიც საჭიროა სამსახურის კაცისათვის, რომელიც დატვირთულია საწერებით, სტუდენტებისა და მწერლებისათვის. ჩვეულებრივი სწრაფი წერა, იმისთანა, რომელიც მოეთხოვება პირველდასაწყის სკოლებს, ესე იგი საშუალო, ზომიერი ადვილად მისაღწევია პირდაპირ წერაშიაც. პირიქით, ბევრი ამკიცებს და ჩვენც ცოტა ხნის გამოცდილებით ვრწმუნდებით, რომ პირდაპირი წერით დახრილ ხელზე

არა ნაკლებ სწრაფად შეიძლება წერა. ამას გარდა პირდაპირი ხელი განირჩევა გარკვევით, რაშიაც შეიძლება ყველა დარწმუნდეს, მაგრამ უმთავრესი ღირსება, სწავლულ-გამომკვლეველთა შემოწმებით, პირდაპირი წერისა იმაში მდგომარეობს, რომ ამ წერის დროს ადვილად მისაღწევი ხდება ის, რაც ამდენ ხანს მიუღწევლად მიაჩნდათ – წერის დროს მოწაფის ტანის სწორედ დაჭერა, ესე იგი იმისთანა მდგომარეობის დაცვა, რომელსაც არ მოჰყვება ცუდი შედეგი, წარმომდგარი ხერხემლის გამრუდებით, მკერდის შეზნექით და მხედველობის გაფუჭებით.

ნიჟნი-ნოვგოროდის სახალხო სკოლების დირექცია იმ მასწავლებლებს, რომელთაც პირდაპირი წერა შემოულიათ შემდეგს განმარტებას აძლევს: ა/ პირდაპირი, ანუ სწორი მდგომარეობა სხეულისა ჰქვია ისეთ მდგომარეობას, როდესაც სხეული არ დაიხრება არც მარჯვნივ, არც მარცხნივ და არც წინ სტოლზე და რვეულზე. / ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ სიმაღლე სკამიდან სტოლის წინა კიდედის უდრიდეს მოწაფის სიმაღლის ერთს მეშვიდედს ნახევარი ვერშოკის მიმატებით; გ/ რვეული უსათუოდ შუა ადგილს უნდა იდვას, ბავშვის მკერდის პირდაპირ, არც მარცხნივ და არც მარჯვნივ, სტოლის წინა ნაპირის პარალელურად, რვეულის მრუდე მდგომარეობა მავნებლად არის ცნობილი იმის გამო, რომ ჰლლის მხედველობას, აბრუციანებს თვალებს, ამრუდებს თავსა და ტანს; დ/ მანძილი კალმის წვერსა და მოწაფის თვალს შუა უნდა იყოს 5-6 ვერშოკი, ანუ 30 სანტიმეტრი; ე/ თითები, რომლითაც კალამი უჭირავს ბავშვს, კალმის წვერთან ძალიან დაახლოვებული არ უნდა იყოს. სხვა პირობები საზოგადოდ ცნობილია – ისეთია, როგორც დახრილი ხელის დროს უნდა, მაგრამ აქ საჭიროდ მიგვაჩნია მიექცეს ყურადღება ერთს გარემოებას – დახრილად წერის დროს რამდენიმე ასოს დაწერის შემდეგ მოხერხებულია მარჯვენა ხელი გაიწიოს მარჯვნივ, რვეული რჩება უძრავად; პირდაპირად წერის დროს კი უფრო მოხერხებულია მარცხენა ხელით რვეულის გაწევა მარცხნივ და მარჯვენა ხელის უძრავად დაყენება. ეს, რასაკვირველია, ბავშვებსაც უნდა აეხსნას.

გამოფენაზე კლუბის დარბაზში, ექიმმა ვირენიუსმა წაიკითხა წერის სწავლების შესახებ ლექცია. ლექტორმა უჩვენა ბევრი კარგი მხარე პირდაპირის წერისა, ილაპარაკა ბევრი დახრილ ხელზედაც, მაგრამ ახალი არაფერი არ უთქვამს და ძლიერი საბუთიც დახრილი ხელის უპირატესობაზე ვერ უჩვენა, თუმცა, თვითონ დახრილი ხელი ამკობინა პირდაპირს და ურჩევდა მასწავლებლებს – ისევ „ძველი

ჭირი სკობიან ახალ ლხინსაო“, ანუ ნუ დააგდებ ძველსა გზასაო, ისევ დახრილი ხელით აწერინეთო.

ვირენიუსმა ძალიან მალე შესცვალა თავისი აზრი; ამ ორი წლის წინად ტექნიკურ განათლების მოღვაწეთა კრებაზე თავის მოხსენებაში: „Установка правил при обучении письму с гигиенической точки зрения“, ამბობდა – ორს წელიწადს პირველდასაწყისს სკოლაში აწერინეთ პირდაპირი ხელით და შემდეგ გადადით მესამე წელიწადს მრუდე ხელზედაო. აქ გვაგონდება ერთი პროფესორი ოფტალმოლოგი, რომელიც ათი წლის წინად დახრილი ხელის მოსარჩლე იყო, მაგრამ ეხლა, როდესაც დაუკვირდა პირდაპირი ხელის წარმატებას, საყოველთაოდ თავისი თავი საჯაროდ დამარცხებულად აღიარა.

III

ანგარიშის საწერი რვეულები გამოფენაზე. ევტუშევსკის პროგრამის ნაკლულევანება რიცხვითი ტაბლიცა 100-მდის ნიჟეგოროდის დირექციისა. ლექციები პირველად დასაწყისს სკოლებში ანგარიშების სწავლებისა და პროგრამის შესახებ ლატიშევისა და შოხორ-ტროცკისა. გამოცანების გაკეთება რვეულებში. ათეულიანი ნაწევრების შესწავლა მარტივი ნაწევრების წინ. საზოგადო გავრცელება მეტრიული სისტემის ანგარიშის სწავლებაში.

გამოფენაზე წარმოდგენილ ანგარიშის საწერ რვეულებიდანაც სჩანდა, რომ საზოგადოდ ამოცანებს აკეთებენ სხვა და სხვა ამოცანათა კრებულიდან, როგორც განყენებული, ისე სახელწოდებით მარტივსა და რთულს რიცხვებზე გამოანგარიშებით. ზოგჯერ ამოცანის გაკეთების ახსნასაც სწერენ რვეულებში. ეს წესი ყველაზე უფრო გავრცელებულია მოსკოვის სამოსწავლო ოლქში, ზოგან კიევის ოლქშიაც, მაგალითად, სოფ. დუნავეცკის სასწავლებელში ერთი ამოცანის ახსნას რვეულის ექვსი გვერდი უჭირავს. ჩერნიგოვის გუბერნიის ბევრ საანგარიშო რვეულებში აღწერილია სიტყვებით სახელწოდებით რიცხვებზე მოქმედებათა წარმოება. ნახევარზე გამოანგარიშება ერთკლასიან სკოლებში იშვიათია, ამას შეხვდებით მხოლოდ პეტერბურგისა და მოსკოვის ოლქებში, ვარშავის ოლქის სკოლებში სწავლობენ ნაწევრებზე ოთხს მოქმედებას.

ჩვენში და რუსეთშიც ზოგიერთს სამოსწავლო ოლქებში ანგარიშის სწავლება მიდის ევტუშევსკის პროგრამის მიხედვით. რუსეთში ბევრს ადგილას შეუნიშნავთ სამართლიანი ნაკლულევანება ევტუშევსკის წიგნებისა და განსაკუთრებით პროგრამისა. პირველ განყოფილებაში ანგარიშიდან ევტუშევსკის პროგრამით უნდა ისწავლებოდეს იანვრამდის და ზოგჯერ თებერვლამდისაც პირველი ათეული, მთელს წელიწადს სწავლობენ რიცხვს ოცამდის, ხოლო ორი წელიწადი უნდება ასამდის რიცხვების შესწავლას, მაშინ როდესაც მესამე წელიწადისათვის რჩება მთელი კურსი ანგარიშის შესასწავლად: ოთხი მოქმედება მრავალ-ნიშნოვან რიცხვებზე, დაყოფა, გადაქცევა ოთხი მოქმედება რთულ სახელწოდებით რიცხვებზე, ელემენტარული ცნობები მარტივს ნაწევრებზე, ანგარიში ჩოთქზე, ამოცანები ზედაპირისა და მოცულობის საანგარიშოდ, ცნობები %-ზე და სხვა პრაქტიკული ცნობები. ამნაირად გამოდის, რომ ორ წელიწადს ევტუშევსკის პროგრამით პირველ ორ განყოფილებას ანგარიშიდან ეძლევა ერთგვარი მეხანიკური სავარჯიშოები, რიცხვების დაუსრულებელი დაყოფა, რომელსაც მცირე სარგებლობა მოაქვს; ეს ერთგვარობა, ზოგიერთების აზრით, დამოკიდებულია პირველი ათეულის ნელა გავლის გამო, ამიტომ საზოგადო აღმზრდელობითი მნიშვნელობა ანგარიშისა უმცროსს განყოფილებაში აღინიშნება მცირე შედეგით. ამ ნაკლულევანების ასაცილებლად ბევრია იმ აზრისა, რომ პირველს განყოფილებაში ანგარიშიდან დავჯერდეთ მხოლოდ აუცილებელს და უსაჭიროესს ცნობებს, ტყუილად დაკარგვა დროსი იმაზე, რაც მალე თავისთავად მოვა და მიეცემა ბავშვს ადვილად მისი გონების განვითარების თანაბრად, უსარგებლოა. დიდი ნაკლულევანება არ იქნება, თუ 8-9 წლის მოწაფე, საშუალო განყოფილებაში გადასული სწრაფად ვერ მოგვიგებს რამდენია 53 + 18 ან თუ მკვიდრად არ იქნება შეგნებული რიცხვი 60, როგორც შედგენილი 4-ჯერ 15 ან 5-ჯერ 12. საჭიროა მხოლოდ ბავშვების გაჩვევა ანგარიშში, რაც კი შეიძლება, ბავშვმა უნდა იცოდეს საქმით ყველა ანგარიშისათვის საჭირო წესები, გაეჩვიოს ამოცანების გაკეთებაში ვარჯიშობით აზროვნების პროცესს. ამნაირად, როგორც ქვემოდაც დავინახავთ, ბევრი ეხლანდელი რუსების მოწინავე პედაგოგები იმ აზრს ადგანან, რომ პირველს წელიწადს სკოლებში ისწავლებოდეს რიცხვები 100-მდის. ნიჟგოროდის დირექციის სახალხო სკოლებში ეს სწავლება დიდი ხანია შემოუღიათ და სასურველი შედეგიც უნახავთ. იქაურს სკოლებში პირველ განყოფილებისათვის, აგრედვე სხვებისათვისაც შემოღებული აქვთ რიცხვითი ტაბლიცა,

რომელიც ბევრს მასალას აძლევს მასწავლებელს როგორც პირდაპირ, ისე დამოუკიდებლად სამუშაოსათვის.

მოგვყავს აქ ეს ტაბლიცა განმარტებით:

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ი	კ	ლ		
I	8	1	9	2	5	6	7	3	4	7	9	10
II	16	16	18	17	15	12	14	19	11	12	18	20
III	28	24	21	27	25	24	28	26	22	23	29	30
IV	32	32	33	39	35	36	35	38	34	31	37	40
V	44	48	45	48	45	48	49	41	42	43	47	50
VI	52	56	54	51	55	60	56	57	58	59	59	60
VII	60	64	65	69	65	60	63	68	62	61	67	70
VIII	72	72	78	77	75	72	70	73	74	76	79	80
IX	80	88	81	87	85	84	84	82	86	83	89	90
X	96	96	93	99	95	91	91	98	94	92	97	100

ამ ტაბლიცის ხმარება მასწავლებელს ზეპირად სწავლების დროს შეუძლიან ასე: 1/ წაიკითხეთ IV რაზმის რიცხვებში თითოს შვიდის მიმატებით. 2/ I რაზმის რიცხვთაგანი თითო გაადიდეთ რვაჯერ, 3/ შეადგინეთ ჯამი წყვილი რიცხვებისა – სვეტზე ლ და ა, ან ჯამი I, II და III რაზმის საშუალო განყოფილებაში – ჯამი სამი რაზმის და სამი სვეტის რიცხვებისა, – უფროსს განყოფილებაში ჯამი სამი რაზმის ათიანი რიცხვებისა. 4/ რიცხვები 8 – სვეტზე ქვევით დაამცირეთ შვიდჯერ. 5/ მეოთხედი ნაწილი თითო რიცხვისა ა სვეტზე, 6/ რიცხვები VII რაზმისა დაამცირეთ ცხრით. 7/ რა რიცხვებია ხუთჯერ ნაკლები თითოზე ე სვეტზე ქვევით.

წერით, როგორც დამოუკიდებელი სამუშაო, ამ ტაბლიცაზე შეიძლება შესრულდეს შემდეგი სავარჯიშოები: 1/ II რაზმის თითოეული წყვილი რიცხვების ჯამიდან გამოაკლეთ I რაზმის თითოეული წყვილი რიცხვების ჯამი /ასე V რაზმამდის პირველ განყოფილებას, მეორესაც წლის დასაწყისში და შემდეგ დანარჩენი რაზმები/. 2/ გამოიცანით ნაშთი II და III რაზმის რიცხვებისა აღებული სამჯერ /28-16X3=36/ /ასე აკეთებს ერთი მოწაფეთაგანი, ამის მეზობელი მოწაფე აკეთებს ამასვე III-IV რაზმში, მესამე მოწაფე IV-V რაზმებში, მეოთხე აკეთებს იმას, რასაც პირველი, მეხუთე – რასაც მეორე და ამნაირად დაცული იქმნება მოწაფეებში თვითმოქმედება და არ შეეძლება თავისს მეზობელ ამხანაგიდან პასუხის გადაწერა/. 3/ გამოიცანით ლ და ე ქვეით ორივე რიცხვის ჯამის მეხუთედი /5+10:5=3/. 4/ თვითეული რიცხვი 8 სვეტზე II-დან დაწყებული VIII-მდის დააპატარავეთ შვიდჯერ, მიღე-

ბული რიცხვი გაადიდეთ ათჯერ და გამოაკლეთ თექვსმეტ-თექვსმეტი /14:7X10-16=4/. მოწაფეებს რომ არ დაავიწყდეთ მასწავლებლის ნათქვამი, ერთ მაგალითს დასწერს საკლასო დაფაზე და გაამეორებინებს მოწაფეებს. 5/ თითო რიცხვს დ სვეტზე მიუმატეთ რაც აკლია 100-მდის და შემდეგ გამორიცხეთ მეზობელ რიცხვზე გ ქვევით /2+98-9=91/ გამოიცანით ერთი მესამედი თითო რიცხვისა გ სვეტზე და მიუმატეთ რაც აკლდეს ასამდის /9:3+97=100/. 7/ გამოიცანით 3/4 თითო რიცხვისა ა სვეტზე / 8:4X3=6/ და სხვ.

ეს ტაბლიცა შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა ჩოთქით ანგარიშზედაც, მაგალითად, მივიღოთ ყველა რიცხვი კაპიკებად. რამდენი ფული შესდგება, რომ ჩავაგდოთ ჩოთქზე I რაზმის ფული? II-სი? პირველს ოთხს სვეტზე სამის რაზმისა? ჩავაგდეთ III რაზმის ფულები და გამოვაკლოთ ჯერ I რაზმის და შემდეგ II რაზმის ფულები. ჩავაგდოთ ჩოთქში VI რაზმის თითო რიცხვი და მაშინვე გამოვაკლოთ V რაზმის რიცხვები სათითაოდ. პირველი რაზმის რიცხვები მანეთებად ვიანგარიშოთ, მეორესი – კაპიკებად და შევადგინოთ ჯამი 8 მან. 16 კაპ.+ 1 მ. 16 მ.+ 9 მ. 18 კ. და სხვ. რიცხვების იმავე მნიშვნელობით მანეთების ჩასვლის შემდეგ გამოვიდეთ კაპიკები 8 მან. 16 კ. + 1 მ. 16 კ. + 9 მან. 18 კ. და სხვ.

ეს რიცხვთა ტაბლიცა, როგორც ზემოთ ნაჩვენებიდან სჩანს, იძლევა ბლომა მასალას სხვადასხვა საზეპირო და საწერ სავარჯიშო-სათვის. გარდა ერთი დიდი ამისთანა ტაბლიცისა თავისუფალს დროს მასწავლებელს შეუძლიან დააკეთოს პატარ-პატარა ტაბლიცები ან მოწაფეებსავე დააკეთებინოს და დაურიგოს მათ.

პირველდასაწყისს სასწავლებლებში ანგარიშის სწავლებისა და პროგრამების შესახებ გამოფენაზე წაკითხულ იქმნა რამდენიმე ლექცია პეტერბურგის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ლატიშევისა და შოხორტროცკის მიერ. პირველ ლექციას უფრო მეტი წარმატება ჰქონდა და ამიტომ მოვიყვანთ იმის შინაარსაც. ლატიშე-ვმა საზოგადოდ თავისს ლექციაში მოკლედ გამოარკვია მათემატიკის მნიშვნელობა საზოგადო განათლების სკოლებში. მათემატიკა უნდა უხსნიდეს მოწაფეს განყენებულად აზროვნების ნიჭს. ეს არის პირველი და უმთავრესი პრინციპი მათემატიკისა, როგორც მეცნიერებისაო. არითმეტიკასაც აგრედვე, როგორც პირველს საფეხურს მათემატიკის მეცნიერებაში, სახეში უნდა ჰქონდეს ეს პრინციპი და პრაქტიკულის ვარჯიშობით მიიყვანოს მოწაფე იქამდის, რომ შეეძლოს ყველა კითხვების გამოცნობა განყენებულიდან. რასაკვირველია, არ შეიძლება

მოველოდეთ, რომ არითმეტიკის სწავლებამ მიიყვანოს მოწაფე ყოვლის მხრით განვითარებამდის, მაგრამ განყენებულად აზროვნებაში ნიჭის განვითარება, გახსნა შეადგენს მთელს დანიშნულებას, არსს მათემატიკური მეცნიერებისას პირველდასაწყისს სკოლებში. მაგრამ უმთავრესი საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად ეს მოთხოვნილება? მეთოდური რჩევანი, ამბობს ლატიშევი, ამ შემთხვევაში ცოტას გვიშველის, მასწავლებელი თვითონ უნდა სარგებლობდეს მის მიერ შემუშავებული მეთოდით, მაგრამ უმთავრეს პირობაში აღნიშნულის პრინციპების განხორციელებისათვის უსათუოდ უნდა ჩაითვალოს მასწავლებლის მხრით თავის საქმის სიყვარული, მეორედ ცხადი და სრული განსაზღვრული შეგნება იმისი, რისკენაც მიისწრაფვის, ამის შემდეგ ლექტორმა გააცნო მსმენელებს, თუ როგორ განვითარდა ანგარიშის სწავლების საქმე რუსეთში. პეტრე დიდის დროს რუსეთის სკოლებს წმინდა პრაქტიკული ხასიათი ჰქონდათ. იმ დროს საანგარიშო სახელმძღვანელოებში ვკითხულობთ: „შეერთების დროს დასწერე რიცხვები ასე, შეერთება დაიწყე აქედან“, მაგრამ რისთვის ასე, ან ყოველთვის ასე უნდა თუ არა, ამას მაშინდელს სახელმძღვანელოებში ვერ იპოვით. ამისთანა მიმართულება დიდ ხანს სუფევდა რუსეთში. ეკატერინე II დროს სწავლების საქმეში იწყება ახალი ხანა. მაშინ სწავლების საქმე დაყენებული იქმნა წმინდა თეორიულად. ეს მოძრაობა გაგრძელდა ამ საუკუნის მე-40 წლამდის. მეორმოცე წლებში სახელმძღვანელო წიგნებმა დიდს წარმატებას მიაღწიეს თეორიულად განმარტების მხრით. მაშინ პირდაპირ გამოცხადებული იყო: „საჭიროა მხოლოდ კარგად და დაწვრილებით თეორიის განმარტება და მოწაფეები თვითონ გაიგებენ ამა თუ იმ მეცნიერებას“. ამისთანა აზრმა და მიმართულებამ დაჰბადა მეთოდებით გატაცება და აი, მესამოცე წლებიდან მეთოდულად დაიწყო ყველაფერი სწავლების საქმეში. გამოკვლეულ და მოპოვებულ იქმნა ადვილი საშუალებანი თვლისა და ამოცანების გამოცნობის შესასწავლად. ამ მეთოდური მხრით გატაცებამ საზოგადოდ ცუდად იმოქმედა მათემატიკის სწავლების უმთავრესს პრინციპზე. ლექტორის აზრით, ნამდვილი სწავლება ანგარიშისა უნდა წარმოებდეს თეორიულად და პრაქტიკულადაც, ორივე მხარის თანაბრად შეერთებით, განსაკუთრებით მეთოდულად გაუტაცებლად. დასასრულ, ლექტორმა წარმოადგინა ანგარიშის პროგრამა პირველდასაწყისი სკოლებისა. იქვე გარდასცა ზოგიერთი მეთოდური რჩევაც, რადგანაც ეს პროგრამა მოწონებულ იქმნა ყველა დამსწრეს მიერ,

რომელთა შორის 500 მასწავლებლებიც იყვნენ, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ სრულად:

პირველ წელიწადს ლატიშევის პროგრამით მოწაფეებმა უნდა შეისწავლონ თვალსაჩინო საგნებზე პირდაპირ და უკუქცევითი თვლა 100-მდის, ოთხი მოქმედება პირველად ორს ათეულზე, შემდეგ მეტზე, ასამდის. ციფრებისა და მოქმედებათა ნიშნების შესწავლა. შესწავლა მაგალითებზე უმთავრესის არითმეტიკულის ცნებებისა: რომაული ციფრების შესწავლა XX-მდის. პირველ წელსვე მოწაფეებმა უნდა ისწავლონ ამოცანების გაკეთება და მათი ჩაწერა სტრიქონებად.

მეორე წელიწადს მოწაფეები შეისწავლიან ნუმერაციას 10.000-მდის, ზეპირ და წერით ანგარიშს განყენებულ რიცხვებზე არა უმეტეს 10.000-სა. გამრავლების ტაბლიცა. განმარტება – ახსნა არითმეტიკულ მოქმედებათა წარმოებისა. გამოცნობა რიცხვების ერთმანეთში დამოკიდებულობისა /разностное и кратное отношение/, რომელიც არ აღემატება ათიათასს. გადიდება მიცემულის რიცხვისა ათჯელ, ასჯელ, დამცირება რიცხვებისა, რომელიც ნოლებით დაბოლოვდება, ათჯელ, ასჯელ, რიცხვების სახის გამოცვლა /მთელი რიცხვის ნაწილებად გამოხატვა/, გადაქცევა, დაყოფა /превращение и раздробление /; სავაჭრო ჩოთქების ხმარება, გაცნობა სიგრძის ზომების, სიმძიმის, საგნევე სხეულთა და ფულების ანგარიში; ნაწევრები, გაცნობა მარტივის ანგარიშისა ნაწევრებზე, ერთნაირი ნაწილების შეერთება, პატარა მთელი რიცხვის სწორ ნაწილებად გამოხატვა, ზეპირი და საწერი ამოცანები.

მესამე წელიწადს წერით ანგარიში მილიონამდის და განმარტება მოქმედებათა წარმოებისა რიცხვებზე. ცნობები მოქმედებათა შემოწმებაზე, გაგრძელება ზეპირად ანგარიშისა არა დიდს რიცხვებზე, ჩვენება ადვილის ხერხისა, საშუალებისა ზეპირად სწრაფად ანგარიშისათვის. მარტივი გამოანგარიშება ნაწევრებზე: $1/2$, $1/3$, $1/4$ და სხვ. მოქმედება სახელწოდებით რიცხვებზე იმ პირობით, რომ დანაწილების დაყოფით დროს მილიონზე მეტი დიდი რიცხვი არ მიიღონ. ცნობები ოთხკუთხა და კუბიკურ ზომებზე. დროებზე გამოსაცნობი ამოცანები.

ლატიშევის შემდეგ ამავე საგნის შესახებ: „რას უნდა ვასწავლიდეთ ელემენტარული არითმეტიკის გაკვეთილებზე,“ – წაიკითხა ლექცია შოხორტროცკიმ, რომელმაც წარმოსთქვა აგრეთვე ზოგიერთი წინააღმდეგი აზრი წინად წაკითხული ლექციების შესახებ. შოხორტროცკის ლექციამ ბევრი ბაასი ატეხა. ლექტორს არ მოუწონეს ბევრი და მათ შორის თვით სიტყვის მეთოდის განმარტება – „მეთოდი

გემოვნების საქმეაო“. ამით შოხორტროცკიმ თავის მეთოდურ სახელმძღვანელოებსაც მოაშორა სამეცნიერო საფუძველი.

წერით საანგარიშო ამოცანების განმარტებას საზოგადოდ ბევრს სასწავლებლებში აქვს მიტყეული ყურადღება. ზოგიერთს სკოლებში ხმარობენ ერთს რომელიმე წესს ამოცანათა გასაკეთებლად, ზოგში რამდენიმეს და სხვა და სხვა წესებს მისდევენ. ყველაზე უფრო საზოგადოა წესები ამოცანების ახსნისა ნიჟეგოროდის მაზრის სკოლების რვეულებიდან. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მაზრა რუსეთის სხვა კუთხეებთან შედარებით სწავლა-განათლების საქმეში ჩინებულად არის დაყენებული, როგორც სკოლების რიცხვით, ისე სწავლა-განათლების მოწყობითაც. ამას ამტკიცებს, როგორც მოწაფეთა ნაწერები, აგრეთვე ნიჟეგოროდის მაზრის სასწავლებლის რჩევის უკანასკნელი წლის ანგარიში, რომელშიაც მოხსენებულია, რომ – „ხალხთა განათლების საქმეში არც ერთს მაზრას რუსეთში არ გაუკეთებია ნიჟეგოროდზე მეტით“. სწავლების საქმე, როგორც საერო სკოლებში, ისე სამრევლო სკოლებში წარმატებით მიდის. ნიჟეგოროდის სახალხო სკოლების ინსპექტორს რაევსკის სამინისტრო სკოლის შენობაში ფიცრებზე გაეკრა და გამოეფინა თავისი შენიშვნებით ყველა ის წესები ამოცანების ჩაწერისა და განმარტებისა რვეულებში, რომელიც მიღებულია პირველდასაწყის სკოლებში. ბ-ნი რაევსკი ამოცანების გაკეთებას საზოგადოდ ჰყოფს ხუთ რიგად: 1/ შეადგენს: ა/ ამოცანათა პირობის ჩაწერას რვეულებში, ბ/ შემდეგ განმარტება ანუ ახსნა ამოცანის გაკეთებისა წერით რვეულში და გ/ ბოლოს გამოანგარიშება. 2/ რიგს შეადგენს: ა/ ამოცანათა პირობა, ბ/ მთელი გეგმა, პლანი ამოცანათა გაკეთებისა, ფორმულა და გ/ გამოანგარიშება. 3/ რიგია: ა/ ამოცანის პირობა, ბ/ ახსნის გეგმა დაყოფილი ცალკე კითხვებად, გ/ ყველა კითხვების შემდეგ იმავე სტრიქონზე გამოანგარიშება. 4/ რიგია: ა/ პირობა ან № ამოცანისა, ბ/ გამოანგარიშება და წერით ახსნა თვითეული მოქმედებათა შედგენისა; 5/ რიგია: ა/ პირობა ან № ამოცანისა, ბ/ გამოანგარიშება და უკანასკნელი შედეგის წერით განმარტება.

თვითონ ამოცანის ახსნა ერთი და იმავე წესით საზოგადოდ არ უნდა წარმოებდეს, მაგალითად, ამოცანის პირობიდან დაწყებული თანდათან გადასვლა ამოცანის უკანასკნელი საკითხის გამოცნობაზე მარტო. ბავშვი უნდა მიეჩვიოს აზროვნების სხვადასხვა პროცესს, შეიძლება დაიწყოს მსჯელობა ამოცანის უმთავრესი საკითხიდან თანდათან ამოცანის პირობებზე გადასვლით, რომლითაც შეიძლება პა-

სუხის მოპოვება გამოსაცნობ კითხვაზე. ეს უკანასკნელი წესი უფრო ხშირად უფროს განყოფილებაში უნდა იხმარებოდეს. ეს საზოგადო მიმართულება იხატებოდა ბევრს ანგარიშის რვეულებში, რომელიც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი.

ერთს დიდს ნაკლულევანებას რუსეთის პირველ დასაწყისს სკოლებისას შეადგენს სწავლების დროის სიმოკლე, სამი წელიწადი, რის განმავლობაში ძნელი ხდება ერთკლასიანი სკოლებისათვის და-ნიშნული პროგრამების ყოვლის მხრით უნაკლოდ შესრულება, ამას ჰგრძნობენ თითქმის პირველდასაწყისი სკოლების მასწავლებლებიც, რომლებიც ზოგიერთს შემთხვევაში სკოლაში კურსდამთავრებულებს ხშირად იწვევენ სასწავლებელში კიდევ მეოთხე წელიწადსაც; ამნაირად ეს კურსდამთავრებულები შეადგენენ მესამე განყოფილების ცალკე ჯგუფს. როგორც წინადაც ვამბობდი, ზოგიერთს სკოლებში, უფრო ვარშავის სამოსწავლო ოლქში, მოწაფეებთან გადიან ოთხს მოქმედებას მარტივ ნაწევრებზე, ამასვე შვრებიან ის მასწავლებლებიც, რომელნიც მეოთხე წელიწადსაც სტოვებენ მოწაფეებს სკოლაში კურსის დასრულების შემდეგ. გამოცდილებიდან დაუნახავთ მასწავლებლებს, რომ მარტივ ნაწევრებზე მოქმედებათა სწავლებას სისტემატურის კურსის შემდეგ ვერ მოუტანია მოწაფეებისათვის შესაფერისი ნაყოფი. ცოდნა მარტივი ნაწევრების შესახებ მალე ავიწყდებათ ბავშვებსაო, აღდგინება მოწაფეთა მეხსიერებაში მარტივ ნაწევრებზე რომელიმე წესისა დიდს სიძნელეს შეადგენსო; ესევე შეუნიშნავთ ბევრს დირექტორ-ინსპექტორებსაც, რომლებიც ურჩევენ მასწავლებლებს ანგარიშიდან სისტემატიური კურსის დასრულების შემდეგ გადავიდნენ ათეულიანი ნაწევრების ოთხი მოქმედების სწავლებაზე, რომელსაც უფრო დიდი კავშირი აქვს სისტემატიურს კურსთან და არა მარტივ ნაწევრებზე, რომელიც უფრო ძნელი წარმოსადგენია მოწაფისათვის, რადგანაც ეს აზრი ერთის მხრით მართლის მლალადებელია და მეორედ მათემატიკის მწერლობაში ახალია, ამიტომ აქვე შევხებით მისს მეთოდურს სწავლების მხარესაც, თუ როგორ შეიძლება ამის განხორციელება.

მოწაფეებმა ნუმერაციიდან უკვე იციან, რომ ორს ან მრავალნიშნოვანს რიცხვებში ერთი რიგი /разряд/ რიცხვისა ათჯერ ნაკლებია მისს მეზობელ წინა რიცხვზე მარცხნით, აქედან ძნელი არ იქნება ბავშვებისათვის, მაგალითად, ავილოთ რიცხვი 51, უკანასკნელი რიცხვის შემდეგ დავსვამთ მძიმეს იმ პირობით, რომ უკანასკნელი რიცხვი, როგორც წინად, ისე ეხლაც უნდა აღნიშნავდეს ერთეულს, მძი-

მეს შემდეგ დავწერთ ახალ რიცხვს ასე: 51,1 ეს ახალი ციფრი უნდა აღნიშნავდეს არა მთელს ერთეულს, არამედ ათჯერ ნაკლებს, ე. ი. ერთეულის მეათედს ნაწილს. ამ ახალ ადგილს შეგვიძლიან დავწეროთ 51, 3 – იქნება სამი მეათედი ნაწილი, /51,5/ ხუთი მეათედი ნაწილი და სხვ. ამის შემდეგ შეიძლება მოწაფეებს ათეული ნაწევრების წერაში და კითხვაში გავარჯიშება. შემდეგ უნდა აეხსნას მოწაფეებს თუ როგორ დაიწერება ათიანი ნაწევრები, როდესაც მთელი რიცხვი არ იმყოფება. აქაც უნდა იხმარონ ცნობილი საშუალება – დავწეროთ ნული ერთეულის ადგილს, როგორც ვსწერდით ათეულებს და ასეულებს, რომელთაც ერთეული აკლდათ: 0,1, 0,3, 0,7 და სხვ. ამის შემდეგ ათეულიანი ნაწევრის შემდეგ სხვა ციფრი რომ დავწეროთ, რას აღნიშნავს? 0,11 ან 0,01. ამნაირად გაიგებენ ასეულიანი ნაწევრებსაც, რის შემდეგ ბავშვები უნდა ავარჯიშონ ათიან-ასიანი ნაწევრების წერა-კითხვაში და მთელი რიცხვის ათჯელ გადიდება-დამცირებაში მძიმეს გადატანით: 1,52. 15,2. 3,97. 39,7. 0,75. + 7,5. 3,1. 15, 1,5; ამის შემდეგ უნდა გადავიდნენ ნაწევრიან რიცხვების ზეპირად და წერით შეერთების ვარჯიშობაზე; მარტივი ნაწევრების წერა მესამე წლიდან იციან ბავშვებმა. ეხლა საჭიროა ვიცოდეთ, მაგალითად $\frac{1}{4}$, მწოლარე ხაზი მოვაცილოთ, დარჩება $\frac{1}{4}$; $\frac{2}{5} = \frac{2}{5}$ და სხვ. ამის შემდეგ გამოცნობა შეიძლება მეხუთედი ნაწილის ათეულ ნაწილად გამოხატვა თუ არა. ვსინჯოთ. 1 გავყოთ 5. ხუთი ერთიანში, რასაკვირველია არ იმყოფება, ამიტომ ნაწილადში დავწეროთ 0, ე. ი. ეს ნიშნავს, რომ მთელი ერთიანი ამ შემთხვევაში ნაწილადში არ მოხერხდება, ამიტომ ეს ნული არის ერთეულის ადგილზე და ეხლა უნდა გავაცალკევოთ მძიმეთი. ეხლა მოვიგონოთ, როგორ ვიქცეოდით სახელწოდებიან რიცხვების დაყოფის დროს – გირვანქას ვაქცევდით მისხლებად, საჟენს – არშინებად, ფუტებად; დავანაწილოთ ჩვენც ერთიანი, მაგრამ რად? ათეულიან ნაწილებად. რამდენი იქნება. $\frac{10}{10} | \frac{5}{0,2}$, მამასადამე $\frac{1}{5}$ უდრის 0,2; ეხლა შევამოწმოთ, მართალია თუ არა: რამდენია უზალთუნის $\frac{1}{5}$; $\frac{1}{10}$; $\frac{2}{10}$; ამის შემდეგ აძლევენ ბავშვებს რამდენსამე მაგალითს მარტივი ნაწევრების დასასრულიან /конечный/ ათეულიან, ასეულიან ნაწევრებად გადასაქცევად: $\frac{2}{10}$, $\frac{3}{10}$, $\frac{5}{10}$, $\frac{1}{4}$, $\frac{3}{5}$, $\frac{2}{6}$, $\frac{1}{8}$, $\frac{3}{4}$, $\frac{4}{5}$, $\frac{1}{2}$. ამის შემდეგ ათეულიანი ნაწევრების გაცნობა, მარტივი ნაწევრების ათეულიანად გადაქცევა და მოქმედებათა წარმოებაც არ წარმოადგენს სიძნელეს. როდესაც მარტივი ნაწევრებისაგან მიიღებენ დაუსრულებელ /бесконечный/ ათეულიან ნაწევრებს, რამდენიმე ციფრს შემდეგ უნდა აეხსნას ბავშვს, რომ სამი ანუ ოთხი ათეულიან

რიცხვების შემდეგ არ ღირს მოქმედების გაგრძელება, მისთვის, რომ ათასეულიანი და ათი ათასეულიანი ნაწილები ძალიან პატარაა, მაგალითად, მანეთის ათასეული /ათი ათასეული ნაწილი/ 10.000 /მანეთისა? ათასეული ნაწილი ვერსის? /1/2 საჭ. ან 42 დ. მ./.

ამნაირად, ათიან ნაწევრებზე გადაყვანით ბავშვები უფრო ადვილად, ჩქარა და შეგნებით გაიცნობენ მარტივ ნაწევრებსაც, რომელიც წინად სიბნელით მოცული იყო, ეხლა ყველასათვის ცნობილი, ცხადი და ადვილად წარმოსადგენიც იქნება.

ერთი საჭირო საკითხი, რომელიც სპეციალურმა კრებამ გაარჩია სრულიად რუსეთის გამოფენაზე, არის მეტრიული სისტემის ანგარიშის შემოღება რუსეთში. ცნობილია, რომ ეხლანდელს დროში მთელი კაცობრიობის მესამედი მეტრიულ ზომებს ხმარობს ყველა სფეროში, ალებ-მიცემაში და სხვ. სამი სახელმწიფო: ინგლისი, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი ჩამორჩა ამ მხრით სხვა სახელმწიფოებს. პირველს ორს სახელმწიფოში დიდი ხანია ამ საგნის შესახებ ბჭობა არის და, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, მეტრიული ზომების შემოღება მალე განხორციელდება, როგორც ინგლისში, ისე ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. შარშან ინგლისის უმთავრესს სამმართველოში თხოვნა შეიტანეს ორმოცდაექვსმა სავაჭრო სამსჯავრომ, რომელთაც თხოვნაში აღნიშნული ჰქონდათ სხვათა შორის სამი მუხლი: 1/ მეტრიული სისტემის გამოცხადება ისეთ კანონიერად, როგორც ინგლისურია, 2/ სავალდებულოდ სწავლება მეტრიული სისტემით ანგარიშისა ყველა პირველდასაწყისს სასწავლებლებში, ამასთანავე ათეულიანი ნაწევრების კურსი მარტივ ნაწევრებზე წინ უნდა ისწავლებოდეს და 3/ ორი წლის შემდეგ მარტო მეტრიული სისტემით ანგარიშის გახდომა სავალდებულოდ. ამაზე უმთავრესს ლორდისაგან დეპუტაციამ პირველი ორი მუხლის შესახებ თანხმობა მიიღო, ხოლო მესამე მუხლის შესახებ უთხრა, რომ პირველი ორი მუხლის ძალაში შესვლის შემდეგ თქვენ თვითონ ეცადეთ მის გატარებას ცხოვრებაშიო, რომ მომზადდეს საზოგადოების აზრი, რომლითაც ყოვლად უვნებლად შეიძლება აწ ხმარებული ზომების მეტრიულ ზომებზე შეცვლაო.

მეტრიულ სისტემას ანგარიშისას, სხვათა შორის, ერთი კარგი თვისება აქვს. მისი წყალობით ხალხთა განათლების საქმე მიდის უფრო ნაყოფიერად და ჩქარაც. მაგალითად, აკადემიკოს იაკობის ანგარიშით ერთი მესამედით და ინგლისის პროფესორის მორგანის ანგარიშით ნახევრად შემცირდება არითმეტიკის მთელი კურსისათ-

ვის საჭირო დრო ეხლანდელზე. ეს ადვილი გასაგებია. არც ერთი სიძნელე, რომელიც აუცილებელია სახელწოდებიან რიცხვების ხმარების დროს, მეტრიულ სისტემაში არ მოიპოვება. რასაც ეხლა ოთხი მოქმედების საშუალებით ვაკეთებთ და დროს ვკარგავთ, ის მეტრიულ სისტემით ანგარიშის სწავლებაში მძიმეს გადატანით კეთდება. თუ ინგლისელები, სადაც სწავლის დროც მეტია, ვიდრე რუსეთში და ჩვენში, თხოულობენ სკოლებში მეტრიული წესების სავალდებულო სწავლებას, მით უმეტეს რუსეთშია საჭირო ამის განხორციელება, სადაც სწავლისათვის ასე მცირე დროა სკოლებში, თუმცა-ღა მისი სავალდებულოდ ცხოვრებაში სახმარებლად შემოღება რუსეთისათვის ჯერ ადრე უნდა იყოს. მარტო სიადვილე ანგარიშისა არ შეადგენს მეტრიული სისტემის საჭიროებას, არამედ აუცილებელი მონაწილეობა ერთა შორის საქვეყნო სამრეწველო სავაჭრო საქმეებში. ინგლისი მწარე გამოცდილებით დარწმუნდა ამაში, როდესაც სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებიდან ვაჭრობა გადავიდა ფრანგებთან და ნემცებთან. ამიტომ მეტრიული სისტემის შემოღება ეხლანდელს დროში საზოგადოდ შეადგენს არა მარტო თეორიულს საკითხს განყენებულ მეცნიერებაში, არამედ არსებით პრაქტიკულ საკითხს პოლიტიკური ეკონომიისას.

IV

ხელსაქმე, ნამუშევარი პირველდასაწყისი სკოლის მოწაფეებისა. დიდაქტიკური კანონები საჭირო ხელსაქმის სწავლების დროს. ხელსაქმის პროგრამა ერთკლასიან სკოლებში. ლექციები ხელსაქმის შესახებ პოსპელოვისა და კასატკინისა, სამინისტრო სკოლის სამაგალითო შენობა. ეკლესია-სკოლა. ჩვენური სკოლები გამოფენაზე.

პედაგოგიური განყოფილების მნახველის ყურადღებას იპყრობდა, სხვათა შორის, ურიცხვი სახელსაქმო საგნები, დამზადებული პირველდასაწყის სკოლების მოსწავლე ქალებისა ხელსაქმეში და ვაჟებისა დურგლობიდან. ყველაზე უფრო ბევრი ადგილი მოწაფეების მიერ დამზადებულ ნივთებს ეჭირათ. საზოგადოდ ყველა იმ შთაბეჭდილებას გამოიტანდა უეჭველად, რომ ხელსაქმის და რამე ხელობის სწავლებას სკოლებში სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული.

ამ მხრით საეკლესიო სკოლებს თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ. ისინი არა თუ ჩამორჩებოდნენ სამინისტროს სკოლებს, – ბევრში სჭარბობდა კიდევ. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ავიღოთ თუ გინდ ტფილისის წმინდა დავითის სამრევლო სკოლის IV განყოფილების მოწაფის გაკეთებული თევზი /ширма/, რომელსაც საპატიო ადგილი ეჭირა და როგორც ხელოვნურად საუცხოოდ ნაკეთებს საზოგადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული, ან ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების საქალებო სკოლის მიერ გამოფენილი მოქარგული ბალიშები და ქოშები, ცხადი დამამტკიცებელი იყო იმისი, რომ სკოლაში ხელსაქმის სწავლების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პრაქტიკულს მხარეს, აკერინებენ, აქარგვინებენ ისეთ რასმეს, რასაც გასავალი და ადგილი აქვს ცხოვრებაში. ყველაზე უფრო ბევრი მოწაფეების ნამუშევრები ხელსაქმეში, პროგრამები, ანგარიშები, განმარტებითი წერილები ხელსაქმის სწავლების შესახებ რუსეთში წარმოადგინა ოლონეცკის გუბერნიამ, სადაც იშვიათად იპოვით იმისთანა სკოლას, რომელშიაც საზოგადო საგნების გარდა არ ასწავლიდნენ ხელსაქმესაც ქალებს და ხელით შრომას ვაჟებს. – იქვე მნახველი იპოვიდა სხვა და სხვა დარიგებას, რჩევას იმის შესახებ, თუ რა დიდაქტიკურს წესებს უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება ხელსაქმის მასწავლებელმა, რომელი წესები უნდა შეიგნოს, შეისწავლოს საფუძვლიანად და გაიხადოს თავისთვის სავალდებულოდ გაკვეთილებზე პრაქტიკულად შესასრულებლად. რადგანაც ჩვენებურს სკოლებშიაც, სადაც მასწავლებლად ქალები არიან, ასწავლიან ხელსაქმეს, რომელიც მალე აუცილებელ სავალდებულო საგნადაც შეიქმნება, ამიტომ ჩვენც მოვიყვანთ აქვე რამდენიმე სწავლა-დარიგებას, რომელიც ხელსაქმის სწავლებას შეეხება და რომელიც ბევრით არ განსხვავდება აგრედვე სხვა საგნების სწავლების წესებისაგან. პირველი სავალდებულო კანონი ხელსაქმის სწავლებისათვის არის ის, რომ სწავლება უნდა წარმოებდეს მთელის კლასისათვის და არა სათითაოდ. ამის მიხედვით, როდესაც მასწავლებელს უნდა ხელსაქმის სწავლებისათვის რომელიმე ახალი წესი შემოიღოს, ან საგანი რამე – ეს საგანი მასწავლებელმა შესაფერისი სიდიდის თვალსაჩინო საგნების საშუალებით უნდა აუხსნას, განუმარტოს მთელს კლასს, თუ რომელიმე განსამარტებელი საგანი შესანიშნავად რთულია, ამ შემთხვევაში მოწაფეებს უნდა აეხსნას ნაწილ-ნაწილად. ერთი ნაწილის განმარტებისა და შეთვისების შემდეგ უნდა განემარტოს მეორე, შემდეგ მესამე და ასე, როცა მოწაფეებს არ

გაუძნელდებათ ნაწილების გაკეთება, მაშინ მთელ საგანსაც გაუჭირებლად გააკეთებენ. საზოგადო მუშაობის დროს ხელსაქმის მასწავლებელს შეუძლიან სათითაოდ ჩამოუაროს მოწაფეებს და უჩვენოს რომელიმე შენიშნული ნაკლულოვანება, მაგრამ თუ მასწავლებელმა შენიშნა, რომ რამდენსამე მოწაფეს ერთი და იგივე შეცდომა აქვს, იმ შემთხვევაში ცალკე განმარტების მაგიერ უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება მიეცეს ხელახალი განმარტება ისევე მთელს კლასს თვალსაჩინო საშუალებითვე. როდესაც მასწავლებელს უნდა დარწმუნდეს იმაში, შეითვისეს მოწაფეებმა განმარტებული საგანი თუ არა, ჯერ საზოგადო კითხვა უნდა მისცეს მთელს კლასს და შემდეგ გამოუძახოს რომელსამე მოწაფეს როდესაც პასუხის სურვილს განაცხადებენ საპასუხოდ. ამ წესის საშუალებით უფრო შემაგრებული და დაცული იქნება მთელი კლასის ყურადღება, რომელიც ჰშველის საგნის კარგად შეგნებას. მოწაფეების პასუხი ყოველ შემთხვევაში სრული უნდა იყოს, მაგალითად, მოწაფემ მიცემულს კითხვაზე ასე არ უნდა მიუგოს: „ვკერავ“, „ვქსოვ“, არამედ ისეთი პასუხი უნდა მოითხოვებოდეს, რომლიდანაც ყველასათვის გასაგები იყოს თუ რომელი საგნის რომელ ნაწილს ჰკერავს, ან ჰქსოვს მოწაფე. ახალი საგნის სწავლების შემოღების დროს ხელსაქმეში უნდა იხელმძღვანელოს სამუშაოში წინად შეძენილი მკვიდრი სწავლით, რომელზედაც უნდა დაამყარონ ახალი სასწავლო საგანი; ყოველს შემთხვევაში მარტივი და ადვილი სამუშაო წინ უნდა უსწრებდეს რთულსა და ძნელს. პატარა მოწაფე ქალები უნცროსი განყოფილებისა არ უნდა ამუშაონ დიდხანს ერთგვარი სამუშაოთი, თორემ ამას თან მოჰყვება მუშაობის შეზიზღება, ზოგჯერ გაფუჭებაც გაკეთების მაგიერ, მოწაფეების გაეშმაკება და ბინძურობის დაჩვევა. ამ შემთხვევაში ყვირილითა და მუქარით მასწავლებელი ვერას გახდება. ბავშვებში ყურადღებისა და მუშაობაში ერთგულობის გამოსაჩენად ეს საშუალება უღონოა, პირიქით, უფრო მავნებელია მით, რომ ყვირილი და მუქარა ჰკლავს ბავშვებში პიროვნებით ნებას და მასწავლებელთან კეთილ დამოკიდებულობას. ბავშვის ნება და ყურადღება, განსაკუთრებით პატარების, ჯერ კიდევ ისეთი სუსტი და ჩჩვილია, რომ არ შეუძლიან დიდხანს დაემორჩილოს სხვის ნებას, ისიც ბრძანების კილოთი წარმოთქმულს. ამნაირი გავლენით ბავშვმა თუ 5-10 წუთი დაჰყო შეუმჩნეველად, დიდი საქმეა, ამის შემდეგ უთუოდ დაღლილობას იგრძნობს; უფრო თავაზიანად და ხელოვნურად ზემოქმედებით ბავშვს შეუძლიან იმუშაოს სამჯერ, ოთხჯერ დიდ ხანს და, მაშასადამე, უკეთეს წარმატებასაც მი-

აღწევს. ამის მიხედვით მასწავლებელმა, საზოგადოდ ყველა საშუალება უნდა იხმაროს, რომ მოწაფეებთან დამოკიდებულება დაფუძნებული იყოს ერთმანეთის გულწრფელს გრძნობებზე. ეს გრძნობა მასწავლებლის მოსიყვარულე გულს ბევრ სხვა და სხვა ზომებს და საშუალებებს მისცემს ბავშვების სამუშაოზე აღერსიანად წასაქვებლად, კეთილი მოშურნეობის გასაღვიძებლად და რომელიმე მოსაწყენი სამუშაოს გასაგრძელებლად. იგივე გრძნობა უჩვენებს მასწავლებელს მოწაფეთა ძლიერის ერთგულობით სამუშაოში დაწაფების დროს, რომლის შემდეგ კარგი იქნება ან გამოცვლა სამუშაოსი და ან შეწყვეტა მუშაობისა რამდენსამე ხანს. რამდენადაც რომელიმე სამუშაო მიზნის შესაფერისია, იმდენად უფრო ნაყოფიერიც არის. ამიტომ მასწავლებელმა, არა თუ კარგად უნდა შეაგნებინონ მოწაფეებს რისთვის რას აკეთებენ, არამედ მისცენ ისეთი სამუშაოებიც, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკულს, ცხოვრებაში გამოსაყენებელ ნივთს. ამასთანავე თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ხელსაქმეს სწავლებას სკოლებში მიზნად აქვს არა მარტო მექანიკურად დახელოვნება ტრა-კერვისა და ქსოვა-ქარგვის შესწავლაში, არამედ სასწავლო საგნისადმი ინტერესის აღზრდა, მაშინ უფრო ცხადი იქნება ზემოთ მოყვანილ რჩევათა აუცილებლად ასრულება, რომლის დროსაც ბავშვები ეჩვევიან სისუფთავეს, მოთმინებას და მშვენიერების გრძნობის განვითარებას.

რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ხელსაქმის სწავლების საქმე სკოლებში, აქ მოვიყვანთ ერთს სამწლიანი სკოლის პროგრამას, შედგენილს მასწავლებლის დერჟავინის მიერ. ეს პროგრამა, როგორც პედაგოგიურად შედგენილი, ბევრმა მოიწონა. თითო განყოფილებას თავის პროგრამის შესასრულებლად წელიწადის განმავლობაში ყოველ კვირას ექვსი საათი დრო უნდა, ე. ი. თითო საათი დღეში. პირველ წელიწადს თავდაპირველად მოწაფეებმა უნდა დაიწყონ ქსოვა ორ ჩხირზე, შემდეგ ქსოვა ოთხს ჩხირზე; ბავშვების წინდების ქსოვა უბრალო ქუსლით ერთის წლის განმავლობაში, კერვა ადვილი საკერავებისა, კერვა და ქარგვა კანვაზე კილოკავად.

მეორე წელიწადს წინდების ქსოვა ათი წლის ბავშვისათვის ორნაირი ქუსლით, კერვა ყველა საკერავების ნიმუშების მიხედვით უფრო სრულად, ნიმუშებში კანვაზე ქსოვისა და კერვისა კილოკავად უფრო პატარა სურათებით, ბავშვების საცვლების კერვა, ქსოვა არშიებისა და ხელსახოცისა კილოკავად, ქარგვა ბავშვების საცვლებისა კანვაზე კილოკავად /тамбуром/, საკინძეების ან საკილოვეების ამოყვანა ნი-

მუშების მიხედვით, ნიშანის დასმა ბავშვების საცვლებზე ჯვარედინად, ბავშვების საგნების და იუბკების დალიანდაგება.

მესამე წელიწადს ტანისამოსის ტრა-კერვა, კაცებისა და ქალების საცვლების კერვა, პალტოსი და კოფტის დალიანდაგება, /ჩოხა-ახალოხის ტრა-კერვა/ კანვაზე მოქარგვა ყველა სურათებისა კილოკავად. წინდების ქსოვა უფრო წვრილი მასალისაგან. წინდების ქუსლების ქსოვა, გამოკერვა, გაახლება წინდებისა და საცვლებისა, საცვლებზე ნიშნების დასმა ჯვარედინად და გვირისტად, ოქრომკერდით ქსოვა სარტყელებისა და შალის ყელსახვევებისა და სხვ. რასაკვირველია, ეს პროგრამმა ისეთი სრული არ არის, რომ ყველა სკოლებისათვის გამოსადეგარი იყოს დაუმატებლად ან შეუმოკლებლად. აქ უფრო საგნების სწავლების თანდათანობას უნდა მიექცეს ყურადღება და სხვაფრივ იხელმძღვანელონ მხოლოდ იმ საგნების სწავლებით, რაც ჩვენი ხალხისათვის იქნება სასარგებლო. როგორც საზოგადოდ სხვა პროგრამებიდან და ანგარიშებიდან სჩანს, უმთავრესს სამუშაოს ხელსაქმეში შეადგენს კაცებისა და ქალების ტანისამოსის ტრა-კერვა, საბნების კერვა, კანვაზე ქარგვა კილოკავად, ხელსახოცის, წინდების და არშიების ქსოვა, ერთი სიტყვით განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქმნეს მიქცეული ყველა იმაზე, რაც შეადგენს ამ საქმეში გლეხიკაცის არსებით საჭიროებას. ამის მიხედვით ხელსაქმის სწავლების მნიშვნელობისა გამო, სკოლებში გამოფენაზე წაკითხულ იქმნა რამდენიმე ლექცია ტრა-კერვის შესახებ სკოლებში ქ-ნ პოსპელოვას მიერ. მან უჩვენა დამსწრე საზოგადოებას, რომელსაც შეადგენენ რამდენიმე მასწავლებელი ქალიც, მოსწავლე ქალების ნამუშევრის ნიმუშები, რომელიც გამოფენილი იყო ექსპონანტებად. ამის შემდეგ ქ-ნმა პოსპელოვამ გააცნო საზოგადოებას ხელსაქმის მდგომარეობა ამერიკის, გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის სკოლებში, სადაც ამ საგნის სწავლების მნიშვნელობა ქალებისათვის დიდი ხანია შეიგნეს და სადაც ხელსაქმეს ერთნაირი ადგილი უჭირავს სხვა სასწავლო საგნებთან ერთად; ხელსაქმეში ცუდად სწავლისათვის მოწაფე არ გადაჭყავთ შემდეგს განყოფილებაში; პრუსიაში მოწაფის მშობლებს ჯარიმას ახდევინებენ, თუ მოწაფემ ხელსაქმის გაკვეთილი გაუშვა. ამის შემდეგ ქ-ნმა პოსპელოვამ განმარტა შემდეგი ტემისები: იქ სადაც არის მასწავლებლად ქალი და მოწაფეებად ქალები, ხელსაქმის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს; მოცულობა ანუ სივრცე ხელსაქმის სწავლებისა შეიძლება განისაზღვროს უბრალო ტრა-კერვის სწავლებით. ამასთანავე

ქ-ნი პოსპელოვა უპირატესობას აძლევდა ერთს ხერხს ხელსაქმის სწავლებისას, რომელსაც დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი ამერიკის სკოლებში. ეს ხერხი მდგომარეობს ხელსაქმის გაკვეთილებისა და დაკვირვებითი სწავლების ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, იმ საგნის შესწავლაში დაკვირვებითი სწავლების გაკვეთილებზე, რომელიც შეადგენს ხელსაქმის კუთვნილებას, როგორც, მაგალითად, მოთხრობა მაკრატლის მოგონებაზე, ბამბისა და სელის მოყვანაზე და სხვ. ლექციამ საზოგადოდ გამოიწვია აზრთა შეცვლა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ლატიშევი, ლუბენცი და სხვ.

შემდეგი ლექცია იქმნა წაკითხული ცირულის მიერ, რომელსაც მხოლოდ 50 მასწავლებელი დაესწრო. ცირულის ლექცია ეხებოდა სავაჟო სკოლებში ხელით შრომის /ручной труд / სწავლებას. ლექტორმა განუმარტა დამსწრე საზოგადოებას ამ საგნის სწავლების მდგომარეობა საზღვარგარეთ და რუსეთის სკოლებში. ამავე საგნის შესახებ წაიკითხა ლექცია კასატკინმა შემდეგის სათაურით: „ხელით შრომის მნიშვნელობა საზოგადო განათლების სკოლებში“. ლექტორმა განმარტა შემდეგი ტემისები: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიხედვით ხელთა შრომის სწავლების შესახებ პირველდასაწყის სკოლებში შესაძლებელია ვიქონიოთ თეორიული სურვილი სწავლების შემოღებისა. ავტორის აზრით, არც ეკონომიური მდგომარეობა სოფლის სკოლებისა, არც მოწაფეთა წლოვანება ნებას არ იძლევა ამ საგნის გავრცელებისას ყველა სკოლებში. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ დასავლეთ ევროპის და ზოგიერთი ჩვენებურს სკოლების ნაყოფს, გამოცდილებას და წარმატებას ამ მხრით, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ სწავლა-განათლების წარმომადგენელი უნდა დახმარებით ეგებებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილს, თუ ეს უკანასკნელი მისცემენ საშუალებას ხელით შრომის სწავლების შემოღებისათვის სკოლებში და თუ თვითონ მასწავლებელი იკისრებს ამ საქმის ხელმძღვანელობას. ახლანდელს დროში, ლექტორის სიტყვებით, ხელთა შრომის სწავლების შემოღება შესაძლებელია ექვსკლასიან საქალაქო სკოლებში და ზოგჯერ ორკლასიანშიაც, განსაკუთრებით აღმზრდელობითის მიზნით და არა სავაჭრო ან სახელოსნო განათლების მიღებისათვის. ამ აზრს ადგა უმეტესი ნაწილი მასწავლებელთა, რომელთაც განაცხადეს, რომ სკოლა უნდა დარჩეს სკოლად, ე. ი. სკოლა უნდა მიისწრაფვიდეს, მისცეს მოწაფეებს საზოგადო განათლება და არ იქმნეს გატაცებული გარეშე ამოცანებით.

გამოფენის პედაგოგიური განყოფილების ზოგიერთი ნაწილები,

როგორც წინადაც მოვიხსენიეთ, გამოფენილი იყო სამინისტროს სამაგალითო სკოლის და ეკლესია-სკოლის შენობებში. სამინისტროს სამაგალითო სკოლის შენობასთან გამართული იყო ბოსტანი და ბაღი ხეხილებით, სადაც მოსულ მასწავლებლებს შეეძლოთ გაცნობა სხვადასხვა წესებისა პრაქტიკულად სკოლასთან ბოსტნისა და ბაღის მოშენების შესახებ. სკოლის შენობა ხისა არის და შეიცავს სულ ცხრა ოთახს. აი, იმათი ზომაც: 1. წინა კარებიდან შეხვალთ ერთს პატარა ოთახში, რომელიც დანიშნულია მოწაფეების ტანისამოსის შესანახ ოთახად, რომელსაც სიგრძით აქვს 7 არშინი, სიგანით 5 არშინი და 8 ვერშოკი. იატაკის ზედაპირი 38 ოთხკუთხი არშინია, აქედან პირდაპირ შეხვალთ მოსამსახურის ოთახში, მარცხნით საკლასო ოთახში, მოსამსახურის ოთახი არის სიგრძით 7 არშინი, სიგანით 3 არშინი, სიმაღლე 4 არშინი და 2 ვერშოკი. იატაკის ზედაპირი 21 ოთხკუთხი არშინი, მოცულობა 86 1/2 კუბიკური არშინი. იქვე პატარა ოთახში მოთავსებულია ფეხის ადგილი. საკლასო ოთახს აქვს სიგრძით 14 არშინი, სიგანით 10 არშინი, სიმაღლე 5 1/2 არშინი, იატაკის ზედაპირი 140 ოთხკუთხი არშინი 62 მოწაფისათვის, თითოზე 2 1/2 ოთხკუთხი არშინი. მოცულობა 770 კუბიკური არშინი 57 მოწაფისა, თითოს 13 1/2 კუბიკური არშინი; საკლასო ოთახიდან მარჯვნივ შეხვალთ ორს ოთახში, რომელიც დანიშნულია ერთი წიგნთსაცავისათვის და მეორე საწოლ ოთახად შორიდან მოსული ბავშვებისათვის. საკლასო ოთახიდანვე პირდაპირ შეხვალთ მასწავლებლის ორს პატარა ოთახში, რომელსაც მარჯვნივ აქვს სამზარეულო და უკანიდან შემოსასვლელ კარებთან ტანისამოსის შესანახი პატარა ოთახი. წიგნთსაცავისათვის დანიშნულს ოთახს აქვს სიგრძით 10 არშინი, სიგანით 5 არშინი, სიმაღლე 5 1/2 არშინი; იატაკის ზედაპირი 50 ოთხკუთხი არშინი, მოცულობა 275 კუბ. არშინი. ღამის გასათევი ოთახი არის სიგრძით 10 არშინი, სიგანით 8 1/2 არშინი, სიმაღლით 5 1/2, იატაკის ზედაპირი 85 ოთხკუთხი არშინი 21 მოწაფისათვის, თითოს ოთხ-ოთხი ოთხკუთხი არშინი, მოცულობა 467 1/2 კუბ. არშინი 17 მოწაფისათვის თითოზე 27 კუბიკური არშინი. ეს ოთახი ისეა მოწყობილი, რომ დღისით საწოლი, რომელიც შესდგება წვრილი გრძელი ფიცრისა და ტილოსაგან, შეიძლება კედელზე აეკრას და ოთახი სამუშაო ოთახად გადაიქცეს. მასწავლებლის ორ პატარა ოთახს სიგრძით ორივეს აქვს 8 არშინი, თითოს ოთხ-ოთხი არშინი. მამასადაძამე, მოსამსახურის ოთახის სიგრძე 3 არშინით ნაკლები, სიგანით ორივეს 7 არშინი, სიმაღლე 4 არშინი და 2 ვერშოკი. იატაკის ზედაპირი 56 ოთხკუთხი საჟენი, მოცულობა 455 კუბ. არშინი, სამზარე-

ულო ოთახი სიგრძით და სიგანით ხუთ-ხუთი არშინი, სიმაღლე ოთხი არშინი და 2 ვერშოკი, იატაკის ზედაპირი 25 ოთხკუთხი არშინი, მოცულობა 103 კუბ. არშინი, მასწავლებლის ოთახში ცალკე შესასვლელი სამზარეულოს მხრით ტანისამოსის გასახდელი ოთახი – სიგრძით და სიგანით სამ-სამი არშინი, სიმაღლე 4 არშინი და 2 ვერშოკი, იატაკის ზედაპირი 9 ოთხკუთხი არშინი, მოცულობა 37 კუბიკური არშინი. თუმცა-ლა ეს შენობა სამაგალითოდ არის გამოფენილი, მაგრამ ჩვენი აზრით, არ არის სრულიად უნაკლულო, უფრო ჰიგიენის მხრით; ერთი რომ, რაც უნდა იყოს, ფეხის ადგილის გამართვა თვით საკლასო შენობაში ყოველის მხრით ხელს დაუშლის ჰიგიენური წესების დაცვას სკოლებში, მეორედ, საკლასო ოთახი, სამზარეულო და მასწავლებლის ოთახები ძალიან დაახლოვებულნი არიან ერთმანეთთან, ყველაზე უფრო ვნებას ამ შემთხვევაში მასწავლებელი იგრძნობს მით, რომ არც საკლასო ოთახიდან გაფუჭებული ჰაერი და არც სამზარეულოდან გამოსული სუნი მისს ოთახს არ ასცილდება და ეს, რასაკვირველია, ცუდად იმოქმედებს მასწავლებლის ჯანმრთელობაზე. ეს ნაკლულოვანება საზოგადოდ ყველა სკოლებისა საზღვარგარედ დიდი ხანია შენიშნულია, ამიტომაც აქ ცდილობენ ყოველს შემთხვევაში მასწავლებლის ბინა, სადგომი სულ მოაშორონ სასწავლებელს.

ძალიან ლამაზს და ორიგინალურ შენობას წარმოადგენდა ეკლესია-სკოლა, რომელიც ორსართულიანია. ქვემო სართულში მოთავსებულია მოწაფეების საწოლი ოთახი, სასადილო ოთახი და მასწავლებლის ბინა. ზემო სართულშია ეკლესია, ოთხი საკლასო ოთახი და ბიბლიოთეკა. ამ შენობაში გამოფენილი იყო საზოგადოდ ისეთი საგნები, რომლებიც შეეხება სკოლის ცხოვრებას, მისს მორთულობას და საზოგადოდ თვალსაჩინოდ უჩვენებდა ყველას სამრევლო სკოლების მდგომარეობის საქმეს რუსეთში. აქ უნდა შევნიშნოთ ერთი სასარგებლო მოვლენა რუსეთში სამრევლო სკოლების გასავრცელებლად; საზოგადო მიზეზად სკოლების გაუვრცელებლობისა სხვათა შორის აღიარებულია სამრევლოთა სიღარიბე, რის გამო არ შეუძლიათ საკუთარი შენობა ააგონ სამრევლო სკოლისათვის. ეს მიზეზი რუსეთში ბევრგან დაძლეულია შემდეგი საშუალებით: ბავშვების სწავლება წარმოებს თვითონ ეკლესიაში, მეცადინეობის დროს კანკელი ჩამოფარებულია; ეკლესიის შუა ნაწილში დგას საკლასო სკამები, დაფა, კედლებზე ჰკიდია ხელმწიფის სურათი, ამნაირად სწავლება სწარმოებს მთელ კვირას. შაბათს ეკლესიის მოსამსახურე ჩამოხსნის ხელმწიფის სურათს, გაიტანს გარედ საკლასო კუთვნილე-

ბას, დაჭვვის, დასწმენდს ეკლესიას და შემდეგ შეუდგებიან ღვთის მსახურებას; ორშაბათიდან ეკლესიაში ისევ განახლება მეცადინეობა ძველ წესზე და სხვ.

რუსების სამრევლო და საერო სკოლების ხელთ-საქნარისა და ნაწერების გადათვალთვლების შემდეგ დიდის კმაყოფილებით გადავსინჯე ჩვენებური სამრევლო და სამინისტრო სკოლების მოწაფეთა ნაწერებიც. სამრევლო სკოლებიდან გამოფენაზე გამოეგზავნათ რვეულები და მოწაფეების მიერ დამზადებული საგნები შემდეგ სკოლებს: წმ. მამა დავითის სამრევლო სკოლას ტფილისში, ყვირილა-ს სამრევლო სკოლას, რომელიც განირჩეოდა ბევრს სკოლებისაგან, როგორც სწავლების საქმეში წარმატებით, აგრედვე კარგი რუსულ-ქართული წერით, ჭოკნარის, შრომის, წევის, როხის, ქვაშვეთის, ბოდბის, ტფილისის ვერაზე, საჩხერისა და ახალი ათონის სკოლას; ამ სკოლების საქმეების გადასინჯვიდან მნახველი გამოიტანდა იმ საზოგადო შთაბეჭდილებას, რომ სამრევლო სკოლების საქმე სწავლების მხრით სამინისტროს სკოლებთან შედარებით ცუდად არ ყოფილა დაყენებული, პირიქით, რომ შევადაროთ უცხო ან სხვა ერის სამინისტრო სკოლები და იმავე ერის სამრევლო სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე უფრო კარგს პედაგოგიურს ნიადაგზედ არის დაყენებული, მით რომ ხსენებულს სკოლებში სასულიერო მთავრობა შესაფერისს ადგილს აძლევს ერის დედაენას სწავლა-აღზრდის საქმეში და რასაკვირველია, კარგ საფუძველზე აგებულს საქმეს, როგორც დედაენაა, კარგი შედეგი მოჰყვება.

ჩვენებურ სამინისტროს სკოლებთან შემდეგს სკოლებს გაეგზავნათ მოწაფეთა ნაწერები გამოფენაზე: 1. ვაქირ-ანაგის სკოლა. სახელმძღვანელო წიგნად რუსულში არის უშინსკის „Родное слово“ მეორე ნაწილი, მაგრამ ამ წიგნიდან მასწავლებელი გადის ისეთს სტატიებსა და ლექსებს რომლებიც ჩვენებურ სკოლებისათვის გამოტოვებულია მთავრობისაგან, როგორც მაგალითად, რუსი გლეხის ქობის აღწერილობა, რომელიც ჩვენებური ბავშვებისათვის უცხოა. საზოგადოდ მოწაფის – ნიკოლოზ ნიდაშვილის ნაწერს წარმატება ეტყობა, მხოლოდ ზოგიერთი შეცდომა უყურადღებოდ არის დატოვებული. 2. ეკის სასოფლო სკოლას საზოგადო წარმატება ეტყობა, მხოლოდ ვერ გაგვიგია თუ რად აწერინებს მასწავლებელი მოწაფეს, აპოლონ კუჭავას, შემდეგს: зре, крие, рик, сер, ощү, несчаст, снщ და სხვ. რომელნიც არაფერს არ ნიშნავენ, არც რამე წარმოდგენილება ექმნებათ მოწაფეებს მათ შესახებ; ამავე სკოლის მოწაფეების რვეულებში

შევნიშნეთ, რომ მოწაფეები რვეულებში ერთ გვერდს რომ ჩამოსწერენ, მისს მოპირდაპირე გვერდს რვეულებში თავისუფლად სტოვებენ იმისათვის, რომ იმ თავისუფალ სუფთა გვერდზე მოწაფემ შეცდომები ამოიწეროს. ამის წინააღმდეგ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ერთი მიზანი მასწავლებლის მხრით ის არის, მოწაფეებმა, რაც კი შეიძლება, გაფრთხილებით თუ სხვაფრივ, ცოტა შეცდომები დაუშვან, ან სულ არა, ისე რომ ეს შეცდომები გასწორდებოდეს ან ნაწერის პირდაპირ დატოვებულს ნაპირზე და ან ნაწერის ქვევით რვეულშივე. დატოვება რვეულში მთელის გვერდისა მოითხოვს მოწაფისაგან ხშირად რვეულების ყიდვას და ეს გარემოებაც კარგად ვერ იმოქმედებს გლახკაცის გაფხეკილ ჯიბეზე. 3. გურჯაანის ერთკლასიანი სკოლა სახელმძღვანელოდ რუსულის შესასწავლად ხმარობს ი. გოგებაშვილის „Русское право“-ს. როგორც რუსულში, ისე ქართულ წერაშიაც წარმატება ეტყობა. 4. კულაშის სასოფლო სკოლა, კალიგრაფიის მხრით რუსული წერა კარგია, ქართული არ გვინახავს, არც უნდა ასწავლიდნენ, რადგანაც ამ სკოლის მასწავლებელი ტატარანცევი ტომით რუსი უნდა იყოს, რომელმაც ქართულისა არა იცის რა. რუსული ენიდან წერის მასალას შეადგენს სხვა და სხვა ნაწყვეტები ზნეობითი სწავლიდან ჰომიროსზე, ალექსანდრე მაკედონელზე, და სხვ. ამავე სკოლის რვეულებში შევნიშნეთ ერთი საზოგადო ჩვეულება გამოუცდელი მასწავლებლებისა, – მოწაფეების რვეულებში გრძელი დარიგებების წერა მასწავლებლის მიერ, რომელსაც მოწაფეები არასოდეს არ კითხულობენ და მასთან დარიგებაც, რომელზედაც უბრალოდ დრო დაჰკარგა მასწავლებელმა, რჩება „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“. 5. ბორჯომის სკოლა – წარმოდგენილი იყო მოწაფის გაბრიელ ქუჩიშვილის ნაწერი 24 აპრილიდან 1 ივნისამდის. ნაწერი იყო სუფთა, მთელს რვეულში არ მოიპოვებოდა არც ერთი შეცდომა, არც არსად მასწავლებლის მხრით აღნიშვნაა წაკითხულის შესახებ. 6. ლანჩხუთის ნორმალური სასწავლებელი ყველაზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა: ორის მოწაფის – პლატონ ჟორდანიას და მიხეილ ჩხაიძის რვეულები ყოველის მხრით რიგიანი იყო, მასწავლებელ კ. წილოსანის მხრითაც დიდი ყურადღება ეტყობოდა რვეულებში შეცდომათა გასწორებას. ნივთიერი მდგომარეობა, როგორც სამრევლო, ისე სამინისტრო სკოლებისა, ბევრს სანუგეშოს ვერ წარმოადგენს. მოვიყვანთ აქ ცნობებს თუ ამ ათის წლის წინათ რამდენი ხარჯი ჰქონია სამინისტროს: პირველდასაწყისი სამინისტრო სკოლებისათვის მთელს სახელმწიფოში: 1885 წელს სახელმწიფოს დაუხარჯავს 4.900.000 მან.

1886 წ. 5 მილიონი, ამდენივე 1887 და 1888 წლებში თითოდ, 1889 და 1890 წელს ყოველ წელიწადს 5.100.000 მან. 1891 წ. 5.100.060 მან. 1892, 1893, 1894 წელს, ყოველს წელიწადს 5.100.000 მან. ხოლო 1895 წელს 5.400.000 მან. მასწავლებელთა ჯამაგირი რუსეთის პირველდასაწყის სკოლებში ირყევა 410-470 მანეთამდის.

სპეციალურს სახელოსნოს ს. კ. კიმოვისას, რომელიც ამზადებს ბუნდოვანი სურათებისათვის ფარნებს და სურათებს მინაზე დახატულს, გამოფენილი ჰქონდა გაუკეთესებული ფარანი ბუნდოვანი სურათებისათვის. განსხვავება ამ ფარნისა სხვა ამგვარ ფარნებთან იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფარნით შეიძლება გამოხატულება მიიღოს კაცმა არა მარტო მინაზე, ან აგელატინის ფიცარზე დახატული სურათისაგან, არამედ უბრალო ქალაქზე დახატული ნახატისაგანაც. ამიტომ ამისთანა ფარანი, მინაზე დახატული სურათების სიძვირის გამო, დიდს შემწეობას მისცემს სახალხო აუდიტორიებს, სასოფლო სკოლებს, სადაც ასე ხშირია ამ უკანასკნელ დროში ბუნდოვანი სურათების ჩვენება და ახსნა ხალხისათვის, რომელზედაც კარგს შთაბეჭდილებას ახდენს.

ერთს თვალსაჩინო ექსპონანტს შეადგენდა აგრეთვე დაკვირვებითი სწავლისათვის შედგენილი რუკა ევროპის რუსეთის სოფლის მასწავლებლის ტომასიკის მიერ, რომელიც თავისს შრომას უძღვნის ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ვ. ი. პოპოვს. ავტორს დაუხატავს თვალსაჩინოდ დიდს რუკაზე ევროპის რუსეთის ყველა კუთხე, მხატვრობითვე აღნიშვნით თუ სად რა ხალხი ცხოვრობს და რა შეადგენს უმთავრეს წყაროს ცხოვრებისას, სად რა ხელობას მისდევენ უფრო; ყველა ეს გამოხატულია ერთს დიდს რუკაზე. ავტორს თუმცაღა კარგი აზრი მოსვლია თავში, მაგრამ ეს საზოგადო აზრი ყველგან ერთნაირად ვერ განუხორციელებია, ზოგიერთი კუთხეების, როგორც კავკასია არის მაგალითად. კავკასიაში სხვა ერთა შორის, ავტორს დახატული ჰყავს ქართველიც, მაგრამ ის ქართველი კი არაა, რომლის სამშობლოს თავიდანვე მიწის მუშაობის სახელი აქვს, როგორც უმთავრესი წყაროსი ერის ცხოვრებაში, არამედ ქართველი ჩონგურით ხელში და იქვე ჩიქილოსანი ქართველი ქალი, რომლის სახეზე იხატება სრული კმაყოფილება. ეს სურათი ვერაფერს თვალსაჩინო წარმოდგენას ვერ აძლევს მნახველს იმის გამო თუ რა შეადგენს ქართველი ერის ცხოვრების უმთავრესს წყაროს.

V

კიევის I გიმნაზიის საკლასო სტოლი. წიგნაკი ოგიუსტ-კოლ-
ლესი მხედველობის დაცვის შესახებ. ლექცია ლუბენცისა – ნო-
რმალურ წიგნზე სკოლაში საკითხავად და მართლწერის გამო.
ლექცია რადეცკისა ბავშვების ხორციელ აღზრდაზე. ლექციები
სკოლაში წესიერების დაცვის გამო. საინტერესო კარტოგრამმა
ქაღალდის შემოღება-გავრცელებაზე.

სამინისტროს სამაგალითო სკოლის შენობაში გამოფენილი იყო
სულ რვა სხვა და სხვა სტოლები მოწაფეებისათვის; მათში ყველაზე
უფრო ყურადღებას იპყრობდა კიევის პირველი გიმნაზიის სტოლი, შე-
მუშავებული მთელის კომისიის მიერ, რომელსაც შეადგენდა ჰიგიენის
პროფესორი ორლოვი, პროფესორი ოფტოლმოლოგი ხოდინი, ანა-
ტომიის პროფესორი ტიხომიროვი, თერაპიის პროფესორი ჩირკოვი,
მედიცინის დოქტორი, ოკულისტი მანდელშტამი, გიმნაზიის ექიმი,
მედიცინის დოქტორი ჩეხიხი, ოლქის ხუროთმოძღვარი ჩეკმასევი,
ალექსანდრეს სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი, ინჟინერ-
ტექნოლოგი მანჟილოვი, გიმნაზიის დირექტორი და ინსპექტორი.

საკლასო სტოლების შესახებ საზოგადოდ ზემოდ მოყვანილს
კომისიას წარმოუთქვამს შემდეგი აზრი: საკლასო სტოლი საზოგა-
დოდ არ უნდა წარმოადგენდეს ისეთს მაშინას, რომელიც ყოველის
მხრით გარს შემოერთყმის მოწაფეს და უშლის მდებარეობის შეც-
ვლას. ხანგრძლივი ყოფნა ერთსა და იმავე, თუნდ ფიზიოლოგიის
მხრითაც კარგს მდგომარეობაში, ყოველთვის აუცილებლად ღლის
მოწაფეს, აწუხებს და საწვალეებლად აქცევს. ის სტოლები, რომელ-
თაც ძირი თუჯის ანუ რკინისა აქვს, საჯდომი და საზურგე კი ხის, უფრო
ნაკლებად სდევნის ჰაერს ოთახიდან, მაგრამ ამისთანა სტოლების
გაკეთება ითხოვს განსაკუთრებულს ტექნიკურს ცოდნას და ამიტომ
ადგილობრივ პირობათა მიხედვით წარმოადგენს დიდს სიძნელეს;
ამასთან თუჯის სტოლები შესაფერისად მკვიდრი არ არის, ამიტომ
საჭიროა იმათი ბურღებით დამაგრება იატაკზე, დაჭედვა, მაგრამ ბუ-
რღები მალე სუსტდება, ეშვება და სტოლი ისევ რყევას დაიწყებს. ამ
დროს ბურღებისაგან იატაკიც ფუჭდება. დაბრკოლებაა აგრეთვე ბუ-
რღით დაჭედილი სტოლების გადადგმაში. რაც შეეხება უბრალო ხის
სტოლებს, ეს შეიძლება ჩინებული, მკვიდრი და მსუბუქიც გააკეთონ
ადგილობრივმა ხელოსნებმა; ამიტომ კომისიას ზემოთ მოყვანილის

საბუთით გადაუწყვეტია ხის სტოლების გაკეთება, უფრო კოპიტის ანუ არყის ხის. კომისიას მიუქცევია ყურადღება აგრეთვე ეხლანდელ სტოლების დისტანციისათვის /დისტანცია ჰქვიან მანძილს სტოლის წინა ნაპირიდან სკამამდის მწოლიარედ/. კომისიის აზრით, უნდა აღირჩიოს სტოლი ცვლილებით დისტანციით. კომისიას ასახედელ ანუ შესაკეცავ საჯდომიან სტოლების გაკეთებაზე უარი უთქვამს, რადგან ამნაირ სტოლებში ხშირად შეიძლება ბავშვმა იტკინოს ან იღრძოს რამე;

კომისია შეჩერდა იმისთანა სტოლებზე, რომელსაც ზევით ფიცარი მოძრავი აქვს. კომისიამ განიხილა ორი ნიმუში საკლასო სკამებისა: ა. სტოლი გამოსაწევი ფიცრით /კუნცის სისტემა/ და ბ. სტოლი შესაკეცი ფიცრით /პაროვის სისტემა/. კომისიამ მეორე ნიმუშის სტოლები უფრო შესაფერისად იცნო შემდეგის მოსაზრების ძალით: კუნცის სისტემის სტოლებში აუცილებელია ღარში ამოჭმა ფიცრის მოძრაობის გამო, მისი დამტვერიანება და ამას მოჰყვება ფიცრის ძნელი მოძრაობაც; თუ ფიცარი ძნელად გადის ღარში, მაშინ მოწაფე, როგორც გამოცდილებიდან სჩანს, ეჩვევა წერას ფიცრის ჩამოუწევლად, ესე იგი დებულებითი /положительной / დისტანციით; თუ ფიცარი ღარში თავისუფლად დადის, მაშინ მოწაფე აწვება ფიცარს ზევით წევით ასე, რომ მიიღებს ისევ დისტანციას. რადგანაც სტოლის მთელი სიგანე გამოსაწევ ფიცარში მდგომარეობს, ამიტომ ღრმა ადგილი, რომელშიაც მოთავსებულია მარტო საწერელი, წარმოადგენს მკვდარს მანძილს 15-20 სანტიმეტრს; აზარმაცის ამგვარი იარაღი, სტოლის ჩაღრმავებულ ნაწილის გაზომიერებისათვის რთულად ხდის სტოლის კონსტრუქციას, წინააღმდეგ სტოლის ნაწილების სიმკვიდრე-სიმაკრისა. ამას გარდა ჩაღრმავებული სტოლის უჯრის მაგვარი ნაწილი, ზედა ფიცრის ქვევით, ხდება საუკეთესო ადგილად მტვრისა და ნაგავის შესაგროვებლად, მაშინ, როდესაც ყოველთვის საჭიროა უფროთხილდნენ სტოლებში იმისთანა პატარა უჯრების გაკეთებას, რომლის გაწმენდა-გასუფთავება ცოტად თუ ბევრად მაინც საძნელოა.

რაც შეეხება ფიცრის ასახედელ სტოლებს, იმათ, კომისიის აზრით, ერთი რომ ზემოთ ნაჩვენები ნაკლულევანება არ აქვთ და მეორედ, თუ ამისთანა სტოლებს აქვს რამე ნაკლულევანება, იმ შემთხვევაში ამ ნაკლულევანებათ ან არ აქვთ არსებითი მნიშვნელობა და ან ეს ნაკლულევანება საზოგადოა ყველა სკოლებისათვის, მაგალითად სასტიკი ხმაურობა ერთი სტოლის ფიცრის ახდისა და დახურვის დროს. დიდი ხნის მუშაობის შემდეგ საკლასო სტოლების შესახებ კომისიამ

დაადგინა შემდეგი დაწვრილებითი წესები საკლასო სტოლების გასაკეთებლად: ა/ დიფერენცია/ მანძილი სტოლის უკანა კიდიდან, ბავშვის მკერდის პირდაპირ საჯდომ ფიცრამდის ქეშაოდ / მოწაფეებმა რომ თავისუფლად შეძლონ წერა, სწორად დაიჭირონ იდაყვი და ხელი სტოლზე, ნათლად დაინახონ, რასაც სწერენ, ამისათვის კომისიას დიფერენცია დაუდგენია პროფესორის ერისმანის ტაბლიცის მიხედვით და მოწაფეების სპეციალურად გაზომვით. ბ/ დისტანცია, მისთვის რომ მოწაფე პირდაპირ იჯდეს, არ დაჰხაროს თავი წინ, ან არ მოიღუნოს მკერდში, უნდა იქმნას 5 სანტიმეტრი /отрицательная дистанция /, გ/ საჯდომი სკამი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მოწაფის ფეხები მთელის ტერფით თავისუფლად ებჯინებოდეს იატაკზე, მაშასადამე, სკამის სიმაღლე უნდა უდრიდეს წვივის სიმაღლეს ფეხის ძირიდან დაწყებული მუხლის ქვევით ორმომდის /подколенная ямка / ესე იგი მოწაფის სიმაღლის 2/7 სიგანე სკამისა უნდა უდრიდეს თეძოს სიგრძეს მუხლის მისაღუნავიდან ხერხემლის ძვლის ქვემოთ გასათავამდის /22,5 – 30 სმ/; სკამის ზედაპირი ამოღრმავებული უნდა იქმნას თანახმად ადამიანის საჯდომის ბუნებითი სიმრუდისა; სკამის წინა კიდე შუა ნაწილზე უფრო ამაღლებული უნდა იქმნას 1 – 1 1/2 სმ. რკალის მსგავსი ფორმა საჯდომის სკამის ზედა პირისა, სხვათა შორის, დაუშლის სკამიდან ცურვას. დ/ სტოლის დახრილობა. პირდაპირად ჯდომის დროს თავის წინ დაუხრელად მოწაფეს მანც შეუძლიან კითხვა, როდესაც წიგნი მოწაფის წინ ქეშაოდ სძევს ან დახრილია 45° კუთხით, უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა ძირს ცოტად თვალების დახრა; თუ წიგნი გორიზონტალურად ძევს, მაშინ, პირდაპირ ჯდომის დროს, თვალის დახრა ქვევით კითხვისა და წერის დროს ითხოვს შესამჩნევს ჩამოყვანას /сведения / თვალის ღერძისას, რომელიც მალე გამოიწვევს დაღლილობას და მოწაფე ამ შემთხვევაში არჩევს თავის დახრას წინ; ამას გარდა ხშირი და ხანგრძლივი კრუნჩხვა /сведение/ თვალების ღერძისა, ისრისა, არის მიზეზი ბრუციანობის გავრცელებისა სკოლებში. მაშასადამე, სტოლს უნდა ჰქონდეს დახრილი ზედაპირი, მაგრამ 45° დახრილობას კომისია არ ურჩევს მისთვის, რომ ამ შემთხვევაში წერა გაძნელებულია და წერის კუთვნილებანი ხშირად ჩამოცვივა სტოლიდან; თუ უკანასკნელის შესაკავებლად სტოლს მიაჭედენ თხელს ვიწრო ფიცარს – ის ხელებს დაუწყებს ჭრას, ამიტომ, კომისიის აზრით, სტოლის დახრილობა უნდა იქმნას მხოლოდ 15°.

ე/ საზურგეს ისეთი მოღუნულობა და სიმაღლე უნდა ჰქონდეს, რომ მთელი ზურგი მკერდის ქვემო ნეკნებიდან ბეჭებამდის ადვილად მი-

ებჯინოს, საზურგის მოღუნულობა შეძლებისდაგვარად ხერხემლის ძვლის მიხრილ-მოხრილობას ეთანხმებოდეს, გემო ნაწილში საზურგე ცოტა უკან უნდა იყოს გადაწეული 2-3 სანტიმეტრით, მისთვის, რომ დაჯდომის დროს მოწაფე ცოტათი უკან არის გადაწეული, რომლის დროს ფილტვები თავისუფლად სუნთქავენ, გული ძალა-დაუტანებლად სცემს, მუცლის ნაწლავები არავითარ შევიწროებას არ გრძნობენ და საზოგადოდ მთელი მკერდისა და მუცლის ორგანოების სამოქმედოდ მოწაფე სრულს თავისუფლებასა გრძნობს. სკამის სიმაღლე საჯდომი ფიცრიდან საზურგის ნაწილამდის შეთანხმებული უნდა იყოს მოწაფის სიმაღლესთან. წლოვანებასთან, 20-35 სმ.; სიგანე საზურგისა 14-25 სმ. სხვა და სხვა ნორმებისათვის. მოწაფეების სტოლები, კომისიის აზრით, ორ ადგილიანი უნდა იყოს, რადგანაც მოწაფეებს თავისუფლად შეუძლიათ ორივე მხრიდან შესვლა-გამოსვლა. ფიცრის მოძრავი ნაწილი ცალკე უნდა იხსნებოდეს თითო მოწაფისთვის. ასე რომ შეიძლებოდა ერთი მოწაფის თავისუფლად ადგომა მეორეზე დამოუკიდებლად. კომისიას საჭიროდ დაუნახავს სტოლის ზედაპირის ფიცარი გაკეთებული იქმნას მოძრავად სტოლის სიგანის მესამედზე, სტოლის მოძრავი ფიცრის დაშვებით; ეს კომისიის აზრით ჰშველის წიგნებისა და რვეულების მოხერხებულად შენახვას, რომ სტოლის ზედა ფიცარმა დაშვების დროს არ გამოსცეს უსიამოვნო ხმაურობა, ამისათვის კომისია ურჩევს ფიცრის მოსახვედრელ ადგილს მოაქციონ ან რეზინისა და ან ტყავის ნაჭერი. თითო სტოლზე საკმაოა იდგეს ერთი საწერელი; როდესაც საწერელი საჭირო არ იქმნება, ის მტკიცედ უნდა იქმნეს დაცული, რომ მელანი არ გამტვერიანდეს და არ გაშრეს. თარო წიგნებისათვის ზედა ფიცრის ქვევით უნდა იქმნას. სიმაღლე თაროსი წიგნების შესანახად შეიძლება 12-15 სმ. სიღრმე – 20-25 სმ. მისთვის, რომ ბავშვი მუხლებით არ მიედვას და თეძოს სწორად დატერა არ დაუშალოს. საფეხურების გაკეთება სტოლებისათვის კომისიას მეტად დაუნახავს, მისთვის რომ მოწაფის ფეხის გული მთლად ებჯინება იატაკზე და მეორედ, საფეხური უშლის კლასში სისუფთავის დაცვას. სიგრძე საკლასო სტოლების უნდა იყოს 120-125 სმ. სიგანე დახრილი ფიცრისა 40-45 სმ. სიგანე ფიცრის ჰორიზონტალური ნაწილისა /საწერლის, კარანდაშებისა და კალმების დასაწყობი /11 სმ. სტოლი, გარდა ზედა ფიცრისა, კარგად უნდა იყოს გასუფთავებული, გაკრიალებული, მაგრამ შეულებავად. დიდი განსხვავება რომ არ მოხდეს ქაღალდისა და სტოლის ზედა პირის ფერს შუა, სტოლის ზედაპირი არასოდეს შავად არ უნდა იყოს შეღებილი,

როგორც საზოგადოდ აკეთებენ, არამედ გასუფთავდეს კაკლის ფერად, ოღრო-ჩოღროებისა და უსწორ-მასწორობის მოსასპობლად, რომ მტვერი არ დადგეს შიგ, საჭიროა ცოტად სანდალოზის /пак/ წასმა, მაგრამ ისე, რომ არ გაკრიალდეს და სარკესავით სახე არ მიეცეს; საზოგადოდ სტოლსა და სკამს არ უნდა ჰქონდეს სადმე მწვეტიანი კიდები, რომ ბავშვმა ზედ არაფერი იტკინოს. ამ მიზნით სტოლის ორივე ზევით ასახდელ ფიცრებს შუა უნდა დარჩეს მანძილი 2 1/2 სმ.

სამეცნიერო და სასწავლო განყოფილებაში სათვალეების მკეთებლის ურლაუმის შკაფში მოიპოვება ერთი წიგნი ოგიუსტ კოლლესი. ეს წიგნაკი ეხება საზოგადოდ მხედველობის დაცვას. წიგნაკში მოყვანილია ბევრი საინტერესო ცნობა ჩვენს დროში გახშირებული ბრუციანობის მიზეზისა გამო და ზომები მისს მოსასპობლად. საჩივარი ცუდი მხედველობისა გამო ყოველგან ხშირად ისმის; განსაკუთრებით საშუალო სასწავლებლები იძლევიან ყველაზე უფრო მეტს რიცხვს ბრუციანებისას /близоуких/, ექიმს გარნუს თავისს თხზულებაში თვალისა და მისი ჰიგიენის შესახებ მოჰყავს შემდეგი ცნობები ბეცობაზე: სოფლის სკოლებში 1,5%, ქალაქის პირველდასაწყისს სკოლებში 7%, ქალების გიმნაზიაში 10%, რეალურ სასწავლებლებში 20%, კლასიკურ გიმნაზიებში 25%; მაშასადამე, რამდენადაც რომელიმე სასწავლებლის პროგრამა უფრო რთულია და უმაღლესი, მით მოწაფეების მხედველობა უფრო ცუდს მდგომარეობაშია. ამის მიზეზი ავტორის სიტყვით, ბევრია, მაგრამ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი არის საკლასო შენობა, სადაც სინათლე საჭიროზე ან ნაკლებია და ან შემოდის მარჯვენა მხრიდან; ამას გარდა თვითონ ბეჭდურ ასოებსაც დიდი გავლენა აქვს. მიუხედავად ექიმებისა და ჰიგიენისტების მოგონებისა, ხშირად საბავშვო და საზოგადოდ სასკოლო წიგნებს მეტისმეტი პატარა ასოებითა ბეჭდვენ. ამასთანავე ამბობენ, რომ შავი ასოები ცუდად მოქმედებენ თვალზედაო. ჰიგიენისტები უპირატესობას აძლევენ მოყვითალო ქალაქს, ხის ფერს, რომელიც ხშირად იხმარება მშვენიერ გამოცემათათვის. მაგრამ სასკოლო წიგნებისათვის ჯერ არ შემოუღიათ; შენიშნულია, რომ კითხვა უფრო ღლის თვალს, ვიდრე წერა, ამიტომ, რასაკვირველია, კითხვაც თხოულობს ცნობილი ჰიგიენური წესების დაცვას. ამ გარემოებას ჩვენში, როგორც სკოლებში, ისე ოჯახებშიაც, მცირე ყურადღებას აქცევენ; ხშირად ბავშვებს მოჰქანცავენ არა ძილისებრივი ხანგრძლივი კითხვით, ღამდამობით გაკვეთილების მზადებით ძლივს მბჟუტავ სინათლესთან; ხშირად ბავშვები კითხულობენ წიგნს იმისთანა ლამპასთან, რომელსაც საჩრდილობელი

არა აქვს, რის გამო ბავშვს ეწვება თავიცა და თვალიც, რაც დიდად მავნებელია; ზოგჯერ მეცადინეობენ მოკლებულს სინათლეში. ერთის სიტყვით, ბავშვების მხედველობის დაცვისათვის, საჭირო წესების დარღვევას ანგარიში არა აქვს არც სკოლაში და არც სახლში, პირიქით, ხსენებული წესების დაცვას თითქმის არსად არ ვხედავთ. ამის გამო საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ახალგაზრდობას მხედველობა უფრო სკოლის წლოვანების დროს უფუჭდება. იმ ზომათაგან, რომელიც ნაჩვენებია ხსენებულ წიგნაკში ბავშვებში მხედველობის დაცვისათვის, მოვიხსენებთ ხშირს ვარჯიშობას შორს ცქერაში, რომელიც ბეცობის საწინააღმდეგოდ ფრიად ნაყოფიერი საშუალებაა გარდა მეცადინეობაში ზომიერების დაცვისა, საკითხავი წიგნის შრიფტის შეცვლისა, სკოლისა და მისი ავეჯის ჰიგიენურად მოწყობისა. სერბიაში, ბოლგარიაში და ბოსნიაში ბავშვებს სისტემატურად ასწავლიან შორეული საგნების გარჩევას. ამიტომაც იქ იშვიათი არ არის არაჩვეულებრივის მახვილი მხედველობის პატრონი, რომელთაც ადვილად შეუძლიან 8-10 მეტრის სიშორეზე ადვილად წაკითხვა.

დოქტორი არლტი, ვენის ქალაქის ერთი ცნობილი ავტორიტეტთაგანი, ურჩევს, რომ მეცადინეობის შემდეგ ბავშვების დაღლილს მხედველობას მიეცეს ვარჯიშობა ვრცელსა და გაშლილს ტერიტორიაზე. სეირნობა ქალაქის ქუჩებში, სადაც მხედველობის მინდორი შევიწროებულია ყოვლის მხრით, მცირედ ეხმარება თვალის დასვენებას დაქანცულობისა გამო: საზოგადოდ ქალაქის სივიწროვე არა თუ ეხმარება მხედველობის განვითარებას, არამედ აფუჭებს კიდეც.

საზოგადოდ, ბავშვის ფიზიკურად მოვლის შესახებ ბევრი ლექცია იქნა წაკითხული; ამ საგანზე წაიკითხა ლექცია ბ-ნმა რადეცკიმ შემდეგის სათაურით: „ახალი თაობის სისუსტის მიზეზები და რა აკლია ჩვენს ბავშვებს?“ რადეცკიმ თავის ლექციაში ის ამრი გაატარა, რომ საკითხი ბავშვების მოქანცულობისა, სიგამხდრისა და უძლურობისა დიდი ხანია აღელვებს საზოგადოებას არა მარტო რუსეთში – საზღვარგარედაც, მაგრამ ლაპარაკი, მარტო ლაპარაკი, ტირილი, მარტო ტირილი ცოტა არის. ამ საკითხის შესახებ დასავლეთისაკენ უკვე დაიწყეს მწყობრად მუშაობა: ეხლანდელს დროში იქ ყველგან იმართება, იხსნება საზოგადოება ხალხთა ჯანმრთელობის დასაცველი, საზოგადოება ბავშვების ფიზიკურად აღზრდისა, ჰიგიენიდან ცნობების გამავრცელებელი საზოგადოება და სხვ. ამგვარი საზოგადოება, რამდენიმე ათასობით ითვლება დღეს დასავლეთს ევროპაში და საჭირო საკმაო თანხაც აქვთ შეგროვილი. ამის შემდეგ ლექტორი შეეხო

ბავშვების ფიზიკურ აღზრდას და მასთან უჩვენა ის ჰიგიენური პირობები, რომელშიაც იმყოფებიან ბავშვები სკოლაში და სახლში. რომ უკედ მოეფინა სინათლე თავისი ლექციისათვის, ლექტორმა მიმართა პროფესორის ვერიგოს გამოკვლევას. გასაკვირველი შედეგი მიიღო პროფესორმა საშუალო სასწავლებლებში ჰაერის მდგომარეობის გამოკვლევით, რომლითაც აღმოჩნდა, რომ სასწავლებლებისათვის არის ისეთი შენობები, სადაც მესამე გაკვეთილის შემდეგ ათი ათასი ჰაერის მოცულობაზე პეტენკოფერის სისტემით 96 მოცულობა ნახშირმუჟავა იყო; სხვანაირად 2000 ბოთლი სუფთა ჰაერის მაგიერ თითო მოწაფეს მოსდიოდა 180-170 ბოთლი გაფუჭებული ჰაერი. ამის შემდეგ პროფესორმა ვერიგომ გამოიკვლია ჰაერი მუშებისათვის ღამით თავშესაფარში და აღმოჩნდა, რომ განათებისას, ღამით ჰაერი თავშესაფარში $4 \frac{1}{2}$ -ჯერ უფრო სუფთა და უკეთესი იყო, ვიდრე იმ საშუალო სასწავლებლის ჰაერი მესამე გაკვეთილის შემდეგ.

ლექტორმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ბავშვებზე ჰაერს. ამ შემთხვევაში მიუთითა ხალხის უმეცრებაზე. ჰიგიენიდან, როგორც მაგალითად შრომის შემდეგ სამხედრო გიმნასტიკით გატაცება; გიმნასტიკა, ლექტორის სიტყვით, სწავრავს ბავშვის სულს და მუსრავს მისს მთელს სხეულს. გონებითად შრომის შემდეგ გიმნასტიკა მოსვენება კი არა, უარესი ტანჯვა და წვალებათ. თავისი ლექციის დასასრულ რადეცკიმ უჩვენა საზოგადოებას ის საშუალება, რომლითაც შეიძლება ახალთაობის ფიზიკურად აღზრდა და გაუმჯობესება. ლექტორი ურჩევდა ხშირად გავრცელებას ბავშვების ხორციელად აღზრდის საზოგადოებათა. ამისთანა საზოგადოება არსებობს ოდესაში, მოსკოვში და პეტერბურგში.

გამოფენაზე წაიკითხეს ლექცია აგრეთვე იმისთანა საგნების შესახებაც, რომელიც უფრო დაახლოვებულია სახალხო სკოლასთან, მისი საქმეების მოსაწყობად. ამისთანა ლექციას ეკუთვნის ლექციები სახალხო სკოლების ინსპექტორის ტ. გ. ლუბენცის, რომელმაც წაიკითხა ორი ლექცია: ა/ პირველ საკითხავ ნორმალურ წიგნზე და ბ/ მართლწერა, მისი მიზანი, მოცულობა და დანიშნულება პირველდასაწყის სკოლებში და ლექციები ლარიონოვისა და პოდობასისა სკოლაში წესიერების დაცვისა გამო.

ბ-მა ლუბენცმა თავისს პირველს ლექციაში ნორმალური წიგნის შესახებ გააცნო საზოგადოებას ძველებური სკოლების წიგნები. შემდეგ გადავიდა სამოციან წლებში დაბეჭდილი წიგნების გარჩევაზე. რამდენიმე წიგნის გარჩევის შემდეგ ლექტორმა სამაგალითო წიგნად

აღიარა უშინსკის „Родное слово“. დასასრულ, ლექტორმა გააცნო საზოგადოებას თანამედროვე საკლასო საკითხავი წიგნები, რომელიც დაჰყო სულ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შეიტანა ყველა ის წიგნები, რომლებშიაც უმთავრესად სჭარბობს ლიტერატურულ-მხატვრობითი ხასიათი; მეორე ჯგუფში შეიტანა იმისთანა წიგნები, რომლებიც ყველაზე უფრო საქმიანი სტატიების მასალით გამოიხატება, მესამე ჯგუფში კი ავტორმა შეიტანა იმისთანა წიგნები, რომლებშიაც შეტანილია პირველი ორი ხასიათის მასალები ერთად. თავისი ლექცია ლუბენცმა იმით დაასრულა, რომ წიგნების არჩევა სკოლებში საუკეთესო პედაგოგების აზრით დამოკიდებული უნდა იყოს თვით მასწავლებლებზე: „Нет ничего печальнее положения такого педагога, которому приходится учить читать и разьяснять ту книгу, к которой он не чувствует ни влечения, ни уважения. Книга Ушинского распространилась без придательных мер“.

მეორე ლექციაში ბ-ნმა ლუბენცმა გააცნო მსმენელებს მართლწერის ისტორია ძველს სკოლებში, სახელმძღვანელოები და სწავლაში საჭირო დამხმარებელი საშუალებანი, ამასთან დაწვრილებით გაარჩია უშინსკის „Родное слово“-ს მესამე ნაწილი. ამის შემდეგ ლექტორმა წარმოსთქვა თავისი აზრი სახალხო სკოლებში მართლწერის სწავლებისა გამო. ეს სწავლებათ, სთქვა ლუბენცმა, უნდა წარმოებდეს სკოლაში წაკითხული საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოების შეგნებასთან ერთად ხელჩაკიდებული. ეს ლექცია დიდის ინტერესით იქმნა მოსმენილი, რადგანაც ის ეხებოდა ერთს არსებითს მხარეს ხალხთა განათლების საქმისას რუსეთში. ლექციამ გამოიწვია აზრთა შეცვლა, თავიანთი აზრი ხსენებულის საგნის შესახებ წარმოსთქვეს სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორებმა, სოფლისა და ქალაქის მასწავლებლებმა. საზოგადოდ დადგენილი იქმნა შემდეგი ტემისები: პირველდასაწყისი სასწავლებელი მართლწერის მხრით უნდა სჯერდებოდეს მხოლოდ უსაჭიროესს, უნდა დაიტოვოს უყურადღებოდ ყველა პიროვნებითი და კერძობითი მხარე. პირველდასაწყისი სკოლის მოწაფეთათვის მართლწერაზე უფრო საჭირო არის თავისი აზრის წესიერად გამოხატვა, ამიტომ მართლწერის წინააღმდეგ შეცდომებს, თუ ის არ ამახინჯებს წინადადებასა და სიტყვების მნიშვნელობას, არ უნდა მიექცეს განსაკუთრებითი ყურადღება. ამას გარდა უმეტესთაგანმა წარმოსთქვა ის აზრი, რომ შეცდომები ასო ხ-ზე პირველ დასაწყის სკოლებში გამოცდაზე, არ უნდა მიიღებოდეს ყურადღებაში. გატაცება სქოლასტიკურად გრამატიკის კანონებისა და

გარეგანი ფორმების სწავლებით ყველას მიერ უარყოფილი და განკიცხული, განდევნილი იქმნა თანამედროვე სკოლებიდან.

„სკოლაში წესიერების დაცვისა და დასჯის“ გამო წაიკითხა ლექცია ჩერეპოვის სემინარიის მასწავლებელმა ლარიონოვმა, რომელმაც ხსენებულის საგნის შესახებ სიმპატიური აზრი წარმოსთქვა. საზოგადოდ გამოხატა ის აზრი, რომ სკოლაში ბავშვების დასჯა უნდა მოისპოს, მასწავლებელმა ზნეობრივი გავლენით უნდა იმოქმედოს მოწაფეებზე და მათ მშობლებზედაც, ოჯახთან დაახლოებით, და თუ ბავშვები მშობლებისაგან დასჯას დაჩვეულნი არიან ოჯახებში, მაშინ ამნაირად ოჯახთან სკოლის დაახლოვებას შეუძლიან მშობელთა აზრიც შესცვალოს ამ საქმეში სკოლის ზნეობრივად გავლენის გამო. საყურადღებო საკითხმა ბევრის ყურადღება მიიპყრო და აზრთა შეცვლაც მოხდა. ბ-ნმა ლუბენცმა სთქვა, სხვათა შორის, თუ რა გვარი სასჯელის შემოღება შეიძლება სკოლებში, მაგალითად, მოპირდაპირეობითი დასჯა /наказание контрастами/: თუ მოწაფეს შეუძლიან კარგად დაწეროს და ცუდად დაწერა – დასვამენ ცალკე და ხელახლა სუფთად და კარგად დააწერინებენ; ვსთქვათ ბავშვს ნაბრძანები ჰქონდა გაკვეთილის მომზადება, სიზარმაცით წიგნშიაც არ ჩაუხედნია, ამისთანა მოწაფეს მასწავლებელი დატოვებს გაკვეთილების შემდეგ ცოტა ხნით, დაასწავლის გაკვეთილს და გაუშვებს სახლში; ეს არის ჩვეულებრივი სასჯელი, რომელიც სრულდება სკოლებში და რომელიც არ შეადგენს დიდს დანაშაულობასო. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც ამისთანა სასჯელიც ფსიხოლოგიურად აღმაშფოთებლად მიაჩნდათ. ამისთანა საწინააღმდეგო სასჯელსო, ამბობენ ისინი, ბავშვები ცხოველებზე ხმარობენო, როცა მათი გამოჯავრება უნდათ, როცა ბავშვს უნდა ძაღლის გაღიზიანება, ართმევს საჭმელს ჭამის დროს, როცა ძაღლი გაქცევას მოიწადინებს, ბავშვები გზაზე გადაუდგებიან და სხვ. ამას გარდა ერთმა სოფლის მასწავლებელმა ხსენებულის საკითხისა გამო წარმოთქვა შემდეგი დებულება: ბავშვების დასჯა სკოლებში გამოიწვია საზოგადოდ სკოლაში წესიერების დარღვევამ. საკვირველია, წესიერების დარღვევა მაშინ, როდესაც ყველა ჩვენგანმა კარგად ვიცით ის საზოგადო მისწრაფება ჩვენი გლეხების შვილებისა სკოლისაკენ, რომელიც შეინიშნება საყოველთაოდ და რომლის წყალობით საერო სკოლებს შეიძლება არა აქვს ყველა სწავლის მწყურვალის სურვილი დააკმაყოფილოს ადგილის უქონლობისა გამო, როდესაც ყველა ჩვენგანმა ვიცით ის განუსაზღვრელი მოწიწებითი გრძნობა, რომლითაც თვითეული სო-

ფლელი ბიჭი შემოჰყოფს თავს სკოლაში, თუ სკოლაში მეცადინეობის დროს წესიერება დაირღვა ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ბავშვი ან დაღლილია დიდი ხნის მუშაობით და ან სწავლის ხალისი, რომლის გამო რამდენსამე ვერსს ტალახსა სტკეპნის სკოლაში სიარულით, დაფლეთილის, დაგლეჯილის ტანისამოსით და ფეხსაცმლით აუტანელს სასტიკს ყინვებში, შემოჰლევია, მოჰკლებია და ეს მისი დამამტკიცებელი საბუთია, რომ ან სწავლება არ ყოფილა ბავშვისათვის სახალისო და ან მასწავლებელს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, რომ ზოგიერთი მოწაფეები უკვე დაღლილან. მაშასადამე, აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ ის აუცილებელი ლოგიკური დასკვნა, რომ სკოლაში წესიერების დარღვევა ხდება მასწავლებლის შეცდომების შედეგად. მაშასადამე – სკოლაში წესიერების დარღვევისათვის ბავშვის დასჯა ხდება „მასწავლებლის შეცდომისათვის დასჯად“. ამიტომ დასჯის შესახებ საკითხი სამუდამოდ მოისპობა, თუ პედაგოგი შეიგნებს, რომ უფრო ბევრს შემთხვევაში თვითონ არის დამნაშავე მოწაფეთათვის უყურადღებობაში, ცელქობაში, რომელიც ყველაზე ხშირად დაღლილობის გამო მოხდება ხოლმე.

ამავე საგანზე წაკითხულ იქმნა კიდევ ლექცია პოდობას მიერ: „რამდენად აუცილებელია სასჯელი და როგორ დასუსტდეს ბავშვის ბუნებაზე მისი მავნებლობითი გავლენა“. ავტორმა წარმოსთქვა რამდენიმე კაცთმოყვარული აზრი ბავშვების აღზრდის შესახებ. დასჯას ბავშვებისას ლექტორი უარს ჰყოფს, როგორც გამოუსადეგარს საშუალებას, აგრეთვე მისთვის, რომ დასჯას არავითარი სასურველი შედეგი არ მოაქვს და მაშასადამე, მიზანსაც ვერ აღწევს; ენერგიული ბავშვის მხრით დასჯა გამოიწვევს წინააღმდეგობას, რომელსაც თან დაჰყვება თავნებობა: სუსტი ენერგიის პატრონ ბავშვში დასჯა გამოიწვევს გარეგნად დამშვიდებას, მტრობისა და სიბოროტის დაფარული გრძნობით, რომელიც ყოველს შემთხვევაში უფრო საშიშარია, ვიდრე ეშმაკობა, ცელქობა. ამ შენიშვნამ გ. პოდობისამ ჩვენ მოგვაგონა რუსსოს აზრი ერთს ეპიზოდზე თავის ბავშვობიდან. „ემილის“ ავტორი გადმოგვცემს ამ გარემოებას დიდის სამდურავით, ამბობს, რომ მას არასოდეს არ შეეძლო იმის დავიწყება. ერთხელ რუსსო დაუმსახურებლად დასჯილ იქმნა თავის მასწავლებლისგან ცემით და რა? ორმოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ერთი მოგონება უსამართლოდ შეურაცყოფის მიყენებაზე დიდად აღელვებდა. „ის წუთით, – ამბობს ის, – არ გაქრებოდა ჩემი მეხსიერებიდან, თუ გინდა ასი ათასი წელიც რომ მეცოცხლაო“.

განსაკუთრებით ცუდს გავლენას იჩენს, ამბობდა პოდობა, სკოლაში დასჯა. ოჯახში ბავშვს დაჩაგრული მდგომარეობა შეუმსუბუქებოდა იმ სიყვარულით, რომელიც გარს არტყია და რომელიც სკოლაში უფრო ცოტაა. სამწუხაროდ, ლექტორმა დაღლილობის გამო ზოგიერთს კითხვებზე უარი განაცხადა; ყოველს შემთხვევაში საგნის კარგად გამოსარკვევად ერთად გარჩევა, განხილვა საგნისა, მისი ყოვლის მხრით აწონ-დაწონვა ფრიად საჭირო იყო რუსეთის ყველა კუთხიდან მოსული მასწავლებელთათვის, უამისოდ ლექციები ვერ მოიტანენ სასურველს სარგებლობას.

იმისთანა ლექციების რიცხვს, რომელთაც მცირე წარმატება ჰქონდათ, ეკუთვნის ლექცია პოლკოვნიკის ეჩინაცისა და შატალოვისა უცხო ენის სწავლების შესახებ სკოლებში, და მიხაილოვის ლექცია – „მოცულობა“, წესი და ამოცანა გეოგრაფიული ცნობების შესასწავლად სახალხო სკოლებში“.

თავი აზრი ეჩინაცის მეთოდისა უცხო ენების სწავლების დროს იმაში მდგომარეობს, რომ უარს ჰყოფს ენის სწავლებაში დედა ენის შემწეობის დახმარებას. ყველა სიტყვების მნიშვნელობა, არა თუ სახელი არსებითისა, არამედ ყველა სიტყვის ნაწილები უნდა აეხსნას ბავშვებს მუნჯურად, დედაენაზე გადაუთარგმნელად, საგნების ანუ სურათების ჩვენებით და სხვ. საზოგადოდ ამ მეთოდს უცხო ენის სწავლებისას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს სპეციალისტებთან, განსაკუთრებით დედა-ენის დაუხმარებლობისა გამო. ეს მეთოდი ჩვენში გ. ლევიცკის წყალობით, განსაკუთრებით დასავლეთს საქართველოში, ყველას მიერ ცნობილი შეიქმნა და მისი ავკარგიანობაც კარგად აქვთ მასწავლებლებს შეგნებული და გამორკვეული გამოცდილებით.

მიხაილოვმა მთელი დანიშნულება გეოგრაფიისა სახალხო სკოლებში დაამყარა გეოგრაფიულის რუკების სქოლასტიკურად შესწავლაზე. ამოცანა გეოგრაფიის სწავლებისა პირველდასაწყისს სკოლებში მდგომარეობს, ავტორის აზრით, – „გეოგრაფიულს რუკაზე ცხადისა და სწორის წარმოდგენილებათა განვითარებაში“. ავტორის მიერ შემოღებული მოცულობა გეოგრაფიული ცნობებისა და სწავლების წესიც შეუფერებელია სახალხო სკოლების ტემპარიტის დანიშნულებისათვის. სკოლამ და ისიც ერთ კლასიანმა უნდა მისცეს მოწაფეებს არა დაწვრილებითი ტოპოგრაფიული განსხვავება რომელიმე ქვეყნისა ან მთებისა, არამედ თავდაპირველად უნდა გააცნოს მოწაფეებს ელემენტარული ცნობები გეოგრაფიიდან, კოსმოგრაფიიდან და სხვ. როგორ უნდა გაიზებროს მოწაფემ რომელიმე ქვეყნის

მთების სახელები, თუ მას არ აქვს არავითარი სისტემატური წარმოდგენილება მთაზე, მისს გაჩენაზე, მთის მიწეულობაზე და მცენარეულობაზე. ამნაირად, როდესაც ბავშვები შეადგენენ თავისთვის სხვა და სხვა გეოლოგიურს მოვლენაზე ცხადს წარმოდგენილებას, როდესაც ისინი არ აურევენ ერთმანეთში წარმოდგენილებათა მდინარისა და ტბის შესახებ, მაშინ სახალხო სკოლის მოწაფეები გაეცნობიან მცენარეულობას, ცხოველებს და ცხოვრებას, სარჩო-საბადებელს, მრეწველობას და ადგილობრივი ხალხის მდგომარეობას ჯერ სამშობლო ქვეყანაში და შემდეგ სხვა ქვეყნებშიაც. ამ აზრით იქმნა დაყენებული სკოლებში გეოგრაფიის სწავლების საქმე პროფესიონალურ განათლების მოღვაწეთა უკანასკნელს კრებაზე მოსკოვში.

ახირებულს ლექციას წარმოადგენდა აგრეთვე ოლონეცკის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის მარტინოვის ლექცია, რომელიც ეხებოდა „ადვილსა და მარტივს წესს წერა-კითხვის შესწავლისას“. ლექტორის აზრით, ყველაზე უფრო ადვილი და მარტივი წესი წერა-კითხვის შესწავლისა ყოფილა ძველებური ასოთაშემაერთებელი წესი, რომლის წინააღმდეგ სასტიკად იბრძოდნენ საუკეთესო პედაგოგები ყველა ქვეყნისა. წინასწარ სახმო სავარჯიშოებს, ანალიზს და სინტეზს წინადადების, სიტყვების და მარცვლებისას ლექტორი ყურადღებას არ აქცევს და ურჩევს პირდაპირ კითხვის დაწყებინებას. ამას გარდა, მიუხედავად საზოგადო დიდაქტიკურ-პედაგოგიური მოთხოვნილებისა, მარტინოვი ურჩევს ჯერ კითხვას და შემდეგ წერის სწავლებას, ფიქრობს, რომ ამ გაცოფით, ორნაირი სამუშაოს შექმნით, ბავშვების სწავლების საქმე უფრო ჩქარა წავა. დასასრულ, ლექტორმა სთხოვა დამსწრე საზოგადოებას არ მიექციათ ყურადღება მსწავლელებისათვის – „мало чего говорят ученые, все это, господа, пустяки“. ლექციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი საწინააღმდეგო აზრი გამოიწვია.

სახელმწიფო ქალაქების მომმზადებელ ექსპედიციის შკაფში მოთავსებული იყო საინტერესო კარტოგრამმა, რომელიც უჩვენებდა ქალაქის შემოღებას, ხმარებას და გავრცელებას უწინდელ დროიდან XIX საუკუნემდის ქრისტეს შემდეგ. კარტოგრამიდან სჩანს, რომ ყველაზე უწინ ქალაქის ხმარება დაუწყიათ ჩინეთში მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ: მერე, მერვე საუკუნეში გავრცელებულა შუა აზიაში, IX საუკუნეში – ესპანიაში და პორტუგალიაში, X საუკუნეში – იტალიაში და ალჟირში, XI საუკუნეში გავრცელებულა არაბეთში, XIII საუკუნეში პრუსიაში, დიდს ბრიტანეთში და საფრანგეთში; XV საუ-

კუნის დასასრულს – რუსეთში, შვეიცარიასა და დანიაში. XVI საუკუნეში – ამერიკის შეერთებულ შტატებში. შტატების დაფუძნების შემდეგ ქალაქის მზადება და ხმარება მალე შემოიღეს XVII საუკუნეში; დასასრულს, XIX საუკუნეში ქალაქის ხმარება შემოიღეს ავსტრალიაში.

VI

საკვირაო სკოლები რუსეთში. საკვირაო სკოლები დაარსებული საპატიმროებთან, სკოლის ბიბლიოთეკა, გამოფენილი წიგნების გამომცემლის სიტინის მიერ. ოსტროგორსკის ლექცია „საკვირაო სკოლები, მათი მიზანი და დანიშნულება“. ვახტეროვის წიგნაკი: „სოფლის საკვირაო სკოლები და გამეორებითი კლასები“. ლექცია ვახტეროვისა: „დედაენა და კლასს გარედ კითხვა“. ლექცია ტულუპოვისა: „სახალხო კითხვები, სამკითხველოები, როგორც საშუალება სასწავლებლის გარედ ხალხის განათლებისა“.

ხალხის განათლების საქმეში კერძო თაოსნობის მიერ მონაწილეობის მიღება ყველაზე უფრო იხატება საკვირაო სკოლების გავრცელებაში. ამ 30-35 წლის განმავლობაში რუსეთში საკვირაო სკოლებმა კარგად მოიკიდა ფეხი, გაიდგა ფესვი და წელს სრულიად რუსეთის აღებ-მიცემობისა და მრეწველობის დღესასწაულზე – საკვირაო სკოლაც, სადღაც მივარდნილ კუთხეში ცალკე, პატარა შენობაში მშვიდად და წყნარად ჰმართავს თავისს არამდიდრულს დღესასწაულს; მორთულობა საზოგადოდ ღარიბულია, მისს კუთვნილებას შეადგენენ: რვეულები, წიგნები, თვალსაჩინოდ დაკვირვებითი სწავლის დამხმარებელი ნივთები, სხვა და სხვა საკვირაო სკოლების ანგარიშები და საგნების ნიმუშები, – ამეებს შუა მოთავსებულია გამოქანდაკებული სახე ნატიფი მოხუცის პესტალოცისა, რომელსაც ცალი ხელი ბავშვისათვის მოუხვევია და მეორეთი უხსნის საგნებს, თავისს სიტყვას. ზოგი სკოლებიდან გამოეგზავნათ მარტო მოწაფეების ნაწერები, ზოგიდან სკოლის ანგარიშები, როგორც ერთი, ისე მეორეც სრულს მასალას იძლეოდა იმის შესახებ, თუ როგორ ვრცელდება თანდათან საკვირაო სკოლები რუსეთის ყველა კუთხეში და როგორი ნაყოფი მოაქვს ამისთანა სკოლებს საზოგადოდ; სკოლები იზრდება არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაგანიდანაც. აი, ზოგიერთი ცნობა

საკვირაო სკოლების გავრცელებაზე რუსეთში: პირველი საკვირაო სკოლა გახსნილა 11 ოქტომბერს 1859 წელს ცნობილის პიროგოვის მიერ. 1888 წლამდის სხვა და სხვა ადგილებში გამართულა სულ 14 სკოლა. 1889-90 წლებში მიმატებია 10 სკოლა, 1890-91 წლებში 19, 1891-92 წ. – 20, 1892-93 წ. – 25, 1893-94 წ. – 18, 1894-95 წ. – 20, 1895-96 წ. პირველ ნახევარს 10 სკოლა. ასე რომ დღეს რუსეთში საკვირაო სკოლა, რომელიც კერძო თაოსნობით არსებობს, ითვლება 150-ზე მეტი. რასაკვირველია ეს 150 სკოლა მთელი რუსეთის იმპერიისათვის ძალიან მცირეა, რადგანაც უკანასკნელ სტატისტიკურის ცნობებით მხოლოდ 3% რუსეთის იმპერიის მცხოვრებლებისას შეუძლიან მხოლოდ ისწავლონ ნორმალურს სკოლებში. საკვირაო სკოლები უმეტეს ნაწილად გამართულია საგუბერნიო და ან საოლქო ქალაქებში, მაგრამ ბევრია ისეთი ქალაქებიც, სადაც არცერთი საკვირაო სკოლა არ მოიპოვება. არსებულ სკოლებთანაა 70 ქალების სკოლაა, ვაჟების 60, არეული 12, გამოურკვეველი ხასიათის 3. ამნაირად უმეტესობას საქალებო სკოლები შეადგენს. 49% საზოგადო რიცხვისას, ვაჟების სკოლები შეადგენს მხოლოდ 40%, არეული სკოლები 8% და გამოურკვეველიც 3%. ამასთან თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ციფრებს და იმ გარემოებასაც, რომ ზოგიერთს ქალაქებში არის ორი ერთნაირი საკვირაო სკოლა, მაშინ ქალაქების რიცხვი წერა-კითხვის უმეტარი ხალხით კიდევ უფრო ბევრი იქნება. სრული ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მოწაფე დადის საკვირაო სკოლაში, ძნელი შესაკრები შეიქნა. უკანასკნელი ათი წლიდან, როგორც ანგარიშებიდან სჩანს, მოწაფეთა რიცხვი ყველგან შესამჩნევად მატულობს – ორთა შუა რიცხვით თითო სკოლას 100 მოწაფე მაინც ეყოლება, სულ 15.000. ასე რომ, დღეს, საზოგადო თაოსნობის წყალობით 15.000 კაცზე მეტი პოულობს შეძლებას მიიღოს პირველდასაწყისი სწავლა-განათლება ან შეიძინოს კიდევ ზედმეტი სწავლა.

საკვირაო სკოლების მასწავლებლად, უმეტეს შემთხვევაში, არიან პედაგოგთა პროფესიიდან მასწავლებელი ქალები და კაცები, მაგრამ საზოგადოდ მასწავლებელ ქალთა რიცხვი ყველგან აღემატება კაცების რიცხვს. მასწავლებელთა შრომა ყველგან უსასყიდლოა. აქ შეხვდებით მთელს დასს უსასყიდლოთ მშრომელთ პირთა, რომელნიც ერთის კვირის პედაგოგიურად შრომის შემდეგ თავისს მცირე ხნის თავისუფლებასაც საკვირაო სკოლას სწირავენ. რასაკვირველია, ამისთანა უსასყიდლო შრომა ეხერხებათ მხოლოდ იმათ, რომელთა გულშიაც ბრწყინავს განუსაზღვრელი სიყვარული, შეურყეველი

რწმენა სკოლის წმინდა დანიშნულებაზე და მის ბედნიერს მომავალზე; ამისთანა თავგანწირული სამსახური ხალხის კეთილდღეობისათვის შეუნიშვნელად არ დარჩება მოწაფეთა გულში. ამის შესახებ ვკითხულობთ ერთ ანგარიშში: „საკვირაო სკოლის მოწაფეებმა, მოზრდილმა ქალებმა, როცა გაიგეს, რომ მასწავლებლები თავიანთ შრომას უსასყიდლოდ ეწევიან, გადაწყვიტეს, რომ მასწავლებლები უეჭველად სულის საცხონებლად შრომობენ და ყოველის მხრით ცდილობენ გამოეცხადებინათ მათთვის თავიანთი გულითადი მადლობა“. თვინიერ შრომისა საკვირაო სკოლის მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სკოლის შენახვაშიაც. საკვირაო სკოლების წლიური შემოსავალი და გასავალი რთული არ არის: უფრო ბევრს შემთხვევაში ხარჯს შეადგენს წიგნთსაცავის შევსება, სკოლისათვის საჭირო სასწავლო ნივთების, დაკვირვებითი სწავლებისათვის საჭირო საგნების და წიგნების შეძენა, იშვიათად სახლის დაჭერა ქირით; ყველა ამ მხრით წლიური ანგარიში არც ერთს სკოლაში არ აღემატება 150-200 მანეთს, გარდა ერთის სკოლისა, სადაც ანგარიში არის გამოყვანილი 500 მან. და მეორე – 10 მან. იმის შესახებ თუ რა უჯდებოდა საკვირაო სკოლას წელიწადში თითო მოწაფე. ყველა ანგარიშებში პასუხი ვერ ვიპოვეთ; ზოგიერთ სკოლებში დაახლოვებითი აღრიცხვით იხარჯება თითო მოწაფეზე 18 კ. – 50 კაპეიკი; ზოგიერთში 50 კ. – 1 მან. ზოგში – 1 მან. – 2 მან. ერთს სკოლაში თითო მოწაფის ხარჯს შეადგენს 2 მან. – 3 მან. მეორეში 3-4 მან. მესამეში 4 მან. – 4 მ. 87 კაპ. და სხვ.

ხარჯს ჰფარავს კერძო შეწირულება, სცენის მოყვარეთაგან შემოწირულება, საწევრო ფული, საქველმოქმედო აზრით გამართული გასართობებიდან შემოსავალი და სხვ. ზოგიერთს ქალაქებში ქალაქის თვითმმართველობაც აძლევს შემწეობას, დახმარებას ნივთიერად, მაგრამ ეს ხშირი არ არის. ამნაირად მუშა ხალხთა განათლების საქმე დღეს სრულიად მოკლებულია განსაზღვრულს, სამუდამო წყაროს, მაგრამ სკოლები მაინც ასრულებენ თავის დანიშნულებას ძალიან მცირე ღონისძიებითაც; მაშასადამე, აქ საქმე საშუალებაში და წყაროში კი არ არის, არამედ შეგნებულად მისწრაფებაში და სურვილში მუშა ხალხისათვის კეთილდღეობის მოსანიჭებლად. მოწაფეთა უმეტესს რიცხვს ყველგან საკვირაო სკოლებში შეადგენენ მუშა ხალხი, სარწმუნოების, წოდების და წლოვანების განურჩევლად. უმეტესი ნაწილნი მოწაფეებისა მართლმადიდებელნი არიან, წლოვანებით 10-12 წლამდის, 25-30 წლამდის, არიან ორმოცი წლისანიც.

მოწაფეები უფრო ხშირად არიან ქალაქის დაბალი წოდებიდან – მუშები, ხელოსნები, ხელოსანთა შეგირდები, შინ მოსამსახურეები და სხვ. ყველა ესენი უმეტესს შემთხვევაში ცხოვრების ცუდს პირობებში არიან ჩავარდნილნი; „დაბადებიდან, – სწერია ერთს ანგარიშში, – ეს ხალხი ჰგრძნობს, სცდის სიბეჩავეს, სასტიკ დაჩაგრულობას სიღარიბისა გამო, იძულებულნი არიან პატარაობიდან იზრუნონ არსებითი პურისათვის“. აი, კიდევ ერთი გარეგანი აღწერილობა ერთის საკვირაო სკოლის მოსწავლე ქალისა: „ყვითელი, ფერმკრთალი, ნაცრისფერი გამხდარი სახე, პატარა ტანი, წლოვანებასთან შედარებით, ცხადად ამტკიცებს მომეტებული შრომის აუტანლობას; „ერთი კვირის დაუსვენებლად მუშაობის შემდეგ, ბევრი მოწაფე ღონემოკლებული, დასუსტებული თითქმის შიმშილითაც, რომლისთვის ერთის დღის დასვენება საღმრთო მოვალეობას შეადგენდა, არ მისდევს ამას და თავისს მცირე თავისუფლებასაც სწირავს სწავლის შეძენის წყურვილის დასაკმაყოფილებლად, მიდის სასწავლებელში, რომ შესწიროს თავისი ერთად ერთი თავისუფალი დრო მეორე საშრომელს საგანს – გონებითს შრომას, რომელიც მიუჩვევლობისა გამო, ითხოვს მათგან ერთს რიგს ძალდატანებასაც. თუ რამდენად შეგნებულია, რამდენად მომწიფებულია ხალხში განათლების მოთხოვნილება, ამას მოწმობს საკვირაო სკოლების მოწაფეებით ავსება. ხარკოვის საკვირაო სკოლაში ითვლება 500-მდის მოწაფე და ბევრს სკოლებში 300-400 მოწაფეც. განათლების შეძენისა და მოთხოვნილების სურვილი თანდათან მატულობს ხალხში. საკვირაო სკოლების ანგარიშების გადათვალიერებით ყველა დარწმუნდება, თუ რამდენად ვრცელია ხალხის სურვილი სწავლისა. მოწაფეების ნაწერებში წაიკითხავს შემდეგს ფრაზებს: „ჩვენ ბრმა ვიყავით, სიბნელეში დავდიოდით და ეხლა გავახილეთ თვალიო“, – სწერენ მოსწავლე ქალები წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ. „ერთს 28 წლის გასათხოვარს ქალს არ უნდოდა ჯვარი დაეწერა, სანამ წერა-კითხვას არ შეისწავლიდა“, – სწერს ანგარიშში ერთი საკვირაო სკოლის გამგე; „წერა-კითხვის სწავლა ძალიან უძნელდებოდა, მაგრამ ქორწილი მაინც მთელის წლით გადასდოვო“. „სახელოსნოში მკერვალი ქალები შაბათობით ხშირად მთელს ღამეს ათევდნენ, რომ მეორე დღეს გაკვეთილები არ გაეცდინათ“. „ზოგიერთი ჭრა-კერვის მოსწავლე ქალები ცხარე ცრემლით იხვეწებოდნენ დაგვერწმუნებინა მალაზიის ანუ სახელოსნოს გამგებელი, რომ მოსწავლე ქალისათვის ნება მიეცა სკოლაში სიარულისა“. „ერთს 26 წლის დედაკაცს ნაცნობები ეუბნებოდნენ ხშირად: რად გი-

ნდა სკოლაში რომ დადიხარ, ის არა სჯობია შენი პატარა ქალი ატაროვო; მაგრამ ამ კითხვაზე ის უპასუხებდა: „ჩემი ქალი სწავლას კიდევ მოესწრება და მე კი ეხლა მინდაო“. აი, ამისთანა პასუხებით არის სავსე საკვირაო სკოლების გამგებელთა ანგარიშები, რომელშიაც არა სჩანს არც გადამეტება და არც დამცირება საგნისა. ამას ამტკიცებენ თვითონ მოწაფეთა ნაწერებიც, რვეულები, რომელშიაც ბევრს მოწაფეს ტკბილის გრძნობით და მღელვარებით გამოუთქვამს თავისი შთაბეჭდილება სკოლასთან გამოთხოვების დროს. ერთი მოწაფეთაგანი ასე აღწერს თავის შესვლას, მიბარებას საკვირაო სკოლაში: „მე მეგონა საკვირაო სკოლაში ასწავლიდნენ მარტო წერა-კითხვის უმეცრებს, ამიტომ გავგზავნე იქ სასწავლებლად ჩემი უმცროსი ძმა. მეორე წელში 1895 წ. შევნიშნე, რომ ჩემს ძმას სკოლიდან მოჰქონდა საკითხავად წიგნები. მე მოყვარული ვიყავი წიგნების კითხვისა და ვკითხე ჩემს ძმას: არ აძლევენ სკოლაში უფრო დიდს წიგნებს წასაკითხავადა-მეთქი და გავიგე თუ არა, რომ სკოლაში დიდს წიგნებსაც იძლევიანო, მაშინვე გადავწყვიტე სკოლაში სიარული“. აი, მეორე წერილიც, რომლიდანაც სჩანს თუ უბრალო ხალხი როგორ უყურებს სწავლას, რა დიდს იმედს მოელის სკოლიდან, რა გავლენა შეუძლიან იქონიოს სკოლამ ერის მნებობრივ და ნივთიერს ცხოვრებაზე; ეს წერილი დაწერილია უბრალო მუშის მიერ, რომელიც თავის ქარხანაში მუშაობს და რომელსაც სულ 55 სასწავლო დღე უვლია სკოლაში; სკოლაში შესვლის დროს წერა-კითხვა სცოდნია ცოტად: „სწავლა მსურს და ცხოვრების პირობებიც ამას ითხოვს“, – პირდაპირ იწყებს წერილს ავტორი და შემდეგ განმარტავს წერა-კითხვის მნიშვნელობას ასე: „წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ კაცი ჰხედავს, რომ მისთვის მარტო ეს არ კმარა, ის სცდილობს გაიგოს კიდევ ბევრი, მაგრამ გარემოება ყოველთვის ნებას არ აძლევს განაგრძოს სწავლა“; ამის შემდეგ იწყება დაწვრილებითი, დალაგებული აღწერა ყველა მისი, რაც წერილის ავტორს მიუღია საკვირაო სკოლიდან: „საკვირაო სკოლამ შემაჩვია მეცნიერებას და მომაგონა დავიწყებული. საკვირაო სკოლამ გამაცნო სამშობლო ქვეყნისა და უცხოეთის ზოგიერთი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებს; აი ყველა, რაც მომცა მე საკვირაო სკოლამ“, – ასე დაასკვნის ავტორი თავისს მოგონებას და მასთან კიდევ უმატებს: „მაგრამ ეს მარტო არა კმარა ჩემთვის, მე მოველი მისგან კიდევ ბევრს რასმე“. მეორე მოწაფე იმავე საკვირაო სკოლისა აერთებს ყველა ცოდნას სკოლაში შეძენილს და ამბობს: „აქ ნასწავლი საგნები, მაგალითად დედაენა, ანგარიში, ხატვა, ფიზიკა და სხვა,

რომელთა შესახებ არავითარი წარმოდგენილება არა მქონია, ყველა ეს ჩემი ბნელი აზრების განმანათლებლად გამიხდა“.

თუ ზევით მოყვანილი წერილები საფუძვლიანად ახასიათებს გულწრფელსა და სერიოზულს მოთხოვნილებას საკვირაო სკოლის მოწაფეთა, მაშ როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება მოწაფეებისა იმ პირებთან, რომელთაც წილად ხვდათ მათი მოთხოვნისა და სურვილის დაკმაყოფილება. „დამოკიდებულება მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, კვითხულობთ ერთ ანგარიშში, იყო ფრიად სიმპატიური, რომელიმე ჯგუფის მასწავლებლის მოუსვლელი იწვევდა დიდს შეწუხებას და მღელვარებას მოწაფეებში – მოვა თუ არა? რატომ არ მოვიდა? ავად ხომ არ არის? – აი, ამისთანა კითხვებით დახვდებოდნენ სხვა მასწავლებელს, რომელიც დროებით იჭერდა ჯგუფის მუდმივი მასწავლებლის ადგილს. ხანდისხან მოწაფეები რომელიმე ჯგუფისა თუ შენიშნავდნენ, რომ მათი მასწავლებელი არ მოსულა და გაიგებდნენ არ მოვაო, – აიღებდნენ თავიანთ წიგნებს და არხეინად გაემგზავრებოდნენ შინისაკენ – „ჩვენი მასწავლებელი არ არის და ჩვენც მივდივართ“, მართლაც მიდიოდნენ.

ეს კავშირი, ეს მკვიდრი ერთობა საკვირაო სკოლის მასწავლებლისა და მოწაფეებს შორის, ეს ნათესავური დაახლოვება ფრიად უმაღლესი ჯილდო არის მასწავლებლებისათვის; ეს ერთობა რომ ნამდვილი, მკვიდრი და ეს კავშირიც ნამდვილი ღრმა იყო, ამის დასამტკიცებლად საკმაოა მოვიყვანოთ შემდეგი მომხდარი ამბავი: ბევრი მოსწავლე ქალი, რომელიც სხვა და სხვა გარემოებისა გამო იძულებული გამხდარა სკოლისათვის თავი დაენებებინა, რამდენიმე წლის შემდეგ უკვე მოწიფული ქალი ისევ შემოსულა სასწავლებელში. ყველა საკვირაო სკოლას თავისი წიგნსაცავი აქვს, ზოგს წიგნსაცავიც და სამკითხველოც. წიგნები წასაკითხად ბლომად გააქვთ, რაც შეეხება წაკითხულის შინაარსს, იმის შესახებაც დიდი სჯა და ბაასი აქვსთ ერთმანეთში მოწაფეებს გამართული. ამგვარია საზოგადოდ საკვირაო სკოლის ცხოვრება. ხალხი მიისწრაფვის სწავლისაკენ, სკოლის გარეთაც აგრძელებს შეძენილს სწავლას.

წრეულს მოსკოვში, – იანვარში მომხდარმა ტეხნიკურ და პროფესიონალურ მოღვაწეთა კრებამ საკვირაო სკოლების შესახებ შემდეგი შუამდგომლობა დაადგინა მთავრობის წინაშე: ა/ რადგანაც საკვირაო სკოლებში წერა-კითხვის უმეტრებთან ერთად შემოდინა წერა-კითხვის მცოდნენიც, რომელთაც პირველდასაწყისი სასწავლებლის კურსი უკვე დაუმთავრებიათ, რადგანაც ამისთანების

რიცხვი საკვირაო სკოლებში თანდათან მატულობს და რადგანაც ცხოვრების პირობათა მიხედვით სკოლაში კურსდამთავრებულებს ყველას არ შეუძლია განაგრძოს სწავლა თვინიერ საკვირაო სკოლებისა, – სექცია შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ გარდა არსებულის ჯურის საკვირაო სკოლების პირველდასაწყისი სკოლის პროგრამით /25 მაისის 1874 წლის დებულება/ ნებადართულ იქმნას, გაიმართოს საკვირაო სკოლები უფრო ვრცელის პროგრამით; ორკლასიანი სკოლის პროგრამით /29 მაისის 1869 წლის და 4 ივნისის 1875 წლებში გამოცემული კანონების მიხედვით/ და ქალაქის სკოლებისა 1872 წლის დებულებით; ბ/ სექცია შუამდგომლობს მთავრობის წინაშე 25 მაისის 1874 წლის კანონის მეორე მუხლის აღდგენაზე, რომლის ძალითაც საკვირაო სკოლები, ერთკლასიან კურსის პროგრამით, როგორც დაწესებული ყოველდღიური სკოლასთან, აგრეთვე დამოუკიდებელ სასწავლებლადაც გახსნილ იქმნას სახალხო სკოლების ინსპექტორების ნებართვით; გ/ რადგანაც საკვირაო სკოლები საზოგადოდ უფრო მოხერხებულ ადგილად ყოველდღიური სკოლის შენობას არჩევენ, სექცია შუამდგომლობს სახალხო განათლების სამინისტროს 27 ოქტომბრის 1885 წლის ცირკულიარის განახლებას, რომელიც სასწავლო უწყებათა დაწესებულებებს წინადადებას აძლევდა ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ მუშათა სკოლები-სათვის, უზრუნველყოთ იგი, სხვათა შორის, უფასოდ შენობის დათმობით; დ/ რადგანაც საკვირაო სკოლებში ხშირად მოზრდილები შემოდიან და საკვირაო სკოლის ბიბლიოთეკისათვის კი ნებადართულია დაბალი სასწავლებლებისათვის დანიშნული, ბავშვების საკითხავი წიგნები, რომელიც მოზრდილებს იმდენად ვერ წაახალისებს, სექცია შუამდგომლობს, საკვირაო სკოლების წიგნთსაცავისთვის ნებადართული იქმნას იმისთანა წიგნები, რომელსაც ხმარობენ სახალხო სამკითხველოებში.

საკვირაო სკოლების რიგს ეკუთვნიან აგრეთვე საკვირაო სკოლები საპყრობილეებთან დაარსებული პატიმრებთათვის. ამ ჯურის სკოლების დაარსება უფრო უკანასკნელს დროს ეკუთვნის. სამოცი წლებიდან, საზოგადო რეფორმების შემდეგ – პატიმართა შესახებაც აზრი შეიცვალა, ჩადენილი დანაშაულობისათვის, ნაცვლად დასჯით სამაგიეროს გადახდისა, კაცთმოყვარულ საზოგადოებაში ჩნდება, იბადება აზრი პატიმართა გასასწორებლად – საზოგადოებისათვის კეთილი წევრის დასაბრუნებლად. ამ აზრით იმართება ზოგიერთს საპყრობილეებთან სკოლები პატიმართათვის. სწავლების საქმე პა-

ტიმართა სკოლებში სხვადასხვანაირად არის დაყენებული, რაც აიხსნება იმ ცხოვრების პირობათა მიხედვით, რომელშიაც მოქმედებს ეს სკოლა. ყველაზე უფრო საპატიმროების სკოლები მისდევენ შეძლებისდაგვარად ჩქარა წერა-კითხვის შესწავლას, ანბანს სწავლობენ სულ რვა კვირა დღეს, რადგანაც სწავლებას თხოულობენ იმისთანა პატიმრები, რომელნიც 2-3 თვით არიან დატუსაღებული – ასწავლიან ცოტა ანგარიშსაც. წერა-კითხვის არ მცოდნე პატიმრებთან მეცადინეობას შემდეგი მიზეზი აქვს: წერისა და ანგარიშის შესწავლა, კითხვა პოეტური ნაწარმოებისა, რომლის გმირები განირჩევიან მაგარის ზნეობრივის ხასიათით ან იმისთანა წიგნების კითხვა, რომელიც ჭკუა-გონების გამხსნელია. სწავლობენ საპატიმროს სკოლებში 16-45 წლისანი. საკვირველია თურმე ის პატივისცემა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს კაცი, როგორსაც იჩენენ ეს განდევნილნი და დამცირებულნი სწავლა-განათლებისადმი. „ძნელი წარმოსადგენია, ვკითხულობთ ერთს ანგარიშში, რომ ეს თითქმის მხეცი ხალხი, ამგვარს მორთულობაში, ასეთის ცნობისმოყვარეობით ეპყრობა ყველაფერს“. სწავლის სურვილი ფრიად დიდი აქვთ ამ ცხოვრებიდან განდევნილთ, მიუხედავად იმისა, რომ მცირე დროის გამო მასწავლებლები ბევრის სწავლებას ვერ ასწრებენ. საკვირაო სკოლის გახსნას ერთი მასწავლებელი ქალი ამნაირად აღწერს: „წინადადება იმის გამო, რომ საპყრობილესთან სკოლა იქნება დაარსებული, პატიმარი დიდის თანაგრძნობით მიიღეს, – რვა წლის პატარა ქალი ერთის დედაკაცისა, რომელიც მეორე დღეს უნდა გასულიყო საპყრობილედან, ეუბნებოდა დედას: „დედილო, დავრჩეთ აქ კიდევ, მე ვისწავლიო!“ სწავლის სურვილი ცხადად იხატება ამ პატიმრების ერთმანეთთან ლაპარაკის დროსაც. ერთს საპყრობილეში შენიშნულ იქმნა, რომ მართლწერის წესის ახსნის შემდეგ საკლასო ოთახში პატიმრებს შორის ერთი დავა და ლაპარაკი ხდებოდა ნასწავლი წესის მოხმარების შესახებ. საკვირველი არ არის, რომ ამისთანა ხალხის შემდეგ, რომელსაც უღვიძებს პატიმრებს სწავლა-მეცნიერება, მეცადინეობაც მუყაითად და ჩქარა მიდიოდეს.

ყველა საპატიმროს სკოლებთან წიგნთსაცავიც არსებობს. თუკი სწავლა ასე იზიდავს პატიმართა დახავსებულს გულს – წიგნების კითხვა უფრო კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. „ბიბლიოთეკის წარმატებამ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა, – ვკითხულობთ ერთს ანგარიშში – არცერთი წერა-კითხვის მცოდნე არ დარჩენილა, რომ წიგნი არ წაეღოს წასაკითხავად, ამასთან შეინიშნებოდა, რომ წიგნის მკითხვე-

ლები ცალკე წაკითხვას არ არჩევდნენ, არ სჯერდებოდნენ, უფრო ხშირად ერთად კითხულობდნენ; თუ ჩემს მისვლამდის წიგნები წაკითხული ექნებოდათ, მაშინ ერთმანეთს უცვლიდნენ წიგნებს“. „იმის ამბავმა, – სწერს ერთი მასწავლებელი, რომ საპყრობილეში საკუთარი წიგნთსაცავი იქნება დაარსებული, დიდად გაახარა პატიმრები, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ მისს განხორციელებას“. ზოგს წიგნს პატიმრები რამდენჯერმე დიდის აღტაცებით კითხულობენ. ამისთანა შემთხვევა ყოფილა – ერთს ოთახში ერთს პატიმრისათვის ამ უკანასკნელის თხოვნით მეორე პატიმარს ხმამაღლა ხუთჯერ წაუკითხავს: „ღმერთი სიმართლეს ჰხედავს, მაგრამ მაშინვე არ იტყვის“, ლ. ტოლსტოისა.

ზოგიერთს ანგარიშებში ისიც არის მოხსენებული, რა შინაარსისა და რომელი ავტორის წიგნებს უფრო კითხულობენ, მაგალითად: ოსტროვსკის, ტურგენევის და პუშკინს, ლივენსის რომანს „დიდი იმედები“, წაკითხულის შინაარსის შესახებ ხშირად ბაასობენ და ურჩევენ ერთმანეთს ესა და ეს წიგნი წაიკითხეთო. პატიმრები ყურადღებით ეკიდებიან წიგნებს, მთელი მეცადინეობის განმავლობაში დაიკარგა მხოლოდ ორი წიგნი და ორი-სამიდან ფურცლები იყო ამოცვივნილი. ერთმა მოწაფე-პატიმარმა, რომელიც სხვა საპყრობილეში იქმნა გადაყვანილი, საახალწლოდ მასწავლებელს მილოცვის ბართი გამოუგზავნა, რომელშიაც დიდს მადლობას სწერდა სკოლაში სწავლებისათვის. ეს გარემოება სრული დამამტკიცებელია იმისი, თუ რა კეთილი განწყობილება ყოფილა მასწავლებელსა და მოსწავლე-პატიმართა შორის; ეს ფაქტი ბევრს ლაპარაკობს იმაზე, თუ რა გავლენა აქვს საკვირაო სკოლებს პატიმრებზე; დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ხსენებულის წერილის ავტორი საპყრობილედან განთავისუფლების შემდეგ მეორეჯერ იქ არ მოხვდება; გვჯერა ისიც, რომ დროზე, როცა ამისთანა სკოლები გახშირდება, საპყრობილეებიც არ იქნება ასე მჭიდროდ დასახლებული, მაგრამ ამისთანა სკოლების დანიშნულება მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ზნეობრივად მაღლა აყენებს პატიმრებს, არამედ აქ შექმნილი წერა-კითხვა ადიდება, აბევრებს საშუალებას ცხოვრებაში საბრძოლველად პატიმრის თავისუფლების დროს.

წიგნის გამომცემელთა ფირმის ი. დ. სიტინის და ამხანაგების საკუთარს პავლიონში გამოფენილი იყო სკოლის ბიბლიოთეკა, რომელიც შესდგებოდა 11 ნომრით. ბიბლიოთეკა განირჩევა შესანიშნავი სიიაფით და აგრეთვე წიგნების სისტემატურად დალაგებით. მაგა-

ლითად, №1 შესდგება 35 ლიტერატურული შინაარსის წიგნებისაგან, ღირდა 1 მანეთი, ბიბლიოთეკა №2 შეიცავდა წიგნებს ისტორიული შინაარსისას, დანიშნულია მოზარდისა და მოზრდილი მკითხველთათვის, შეიცავს 20 წიგნს და ღირს მანეთი. ბიბლიოთეკა №3 შემდგარია 13 წიგნისაგან ბიოგრაფიული შინაარსისა მოზარდთა და მოზრდილების საკითხავად, დაფასებულია მანეთად; ბიბლიოთეკა №4 შეიცავს 18 წიგნს სამეცნიერო შინაარსისას მოზარდისა და მოზრდილების საკითხავად – ღირს 2 მანეთი. ბიბლიოთეკა №5 შესდგება 12 წიგნისაგან საექიმო შინაარსისა, მოზრდილებისათვის საკითხავად, ღირს 1 მან. 25 კ. ბიბლიოთეკა №6 შეიცავს 18 წიგნს პრაქტიკულის შინაარსით მოზრდილთათვის, ღირს მანეთი. ბიბლიოთეკა №7 შეიცავს 31 წიგნს რუსული და საზღვარ-გარეთელი მწერლობის ნაწარმოებისა მოზრდილებისათვის, ღირს მანეთი. ბიბლიოთეკა №8 შედგენილია 20 წიგნისაგან მოწონებულის ხალხთა განათლების სამინისტროსაგან, ღირს მანეთი, ბიბლიოთეკა №9 – 24 წიგნისაგან – მოწონებული იმავე სამინისტროს მიერ ღირს – 2 მან.; №10 შეიცავს 25 წიგნს, ღირებულს 2 მანეთად; ბიბლიოთეკა №11 შეიცავს 40 წიგნს სახალხო გამოცემათაგანს, გამოცემულს სიტინის და ამხანაგობის მიერ, ღირს მანეთი. ყველა ნომრები ბიბლიოთეკისა კარგის ცოდნით და ხელოვნებით არის დალაგებული, წიგნებიც კარგად არის არჩეული, როგორც შინაარსით, ისე სხვა და სხვაობით.

პედაგოგიური ჟურნალის „Опразование“-ს რედაქტორმა ოსტროგორსკიმ წაიკითხა ლექცია საკვირაო სკოლების შესახებ შემდეგის სათაურით: „საკვირაო სკოლები, მათი მიზანი და დანიშნულება“. ლექტორმა თავისი ლექცია დაიწყო ბელინსკის სიტყვებით: „ჩვენ გვინდა სწავლა, სწავლა და სწავლაო“, მაგრამ სკოლები კი ძალიან ცოტა არისო; მთელს რუსეთში, ლექტორის სიტყვით სწავლობს 3 1/2 მილიონი ბავშვი სკოლის წლოვანობისა, 8 1/2 მილიონი რჩება პირველდასაწყის სწავლა-აღზრდის მიუღებლად. განათლებას რომ დიდი შედეგი მოსდევს საზოგადოდ, ისტორიით არის შემოწმებული – პრუსიამ საქვეყნოდ აღიარა, რომ საფრანგეთი სოფლის მასწავლებლებმა დაამარცხესო. ლექტორმა ბავშვების სწავლებაზე საკითხი მიატოვა და გადავიდა მოზრდილების სწავლების საკითხზე. მოზრდილთათვის ერთადერთი დაწესებულება, სადაც შეიძლება სწავლა-განათლების მიღებაო საკვირაო სკოლაა. შემდეგ ლექტორმა განმარტა ისტორია საკვირაო სკოლების შემოღებისა, რომელიც სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა გარეგანი პირობებისა გამო შეფერხებულია, შეჩერებულია

ამ დიდებისათვის ერთადერთი ხელმისაწვდენელი სკოლების გავრცელება, განვითარება, მაგრამ უკანასკნელი დრო, ავტორის აზრით, იძლევა სანუგეშო იმედს, რომ საკვირაო სკოლები მკვიცე ნიადაგზე იქმნებიან დამყარებული. ოსტროგორსკიმ უჩვენა დამსწრე საზოგადოებას ზოგიერთი განსხვავება საკვირაო სკოლების მოწყობისა, შემდეგ გამოარკვია ამოცანა საკვირაო სკოლისა, რომელიც, ავტორის აზრით, მდგომარეობს წერა-კითხვის შესწავლაში და თუ მოწაფეებში წერა-კითხვის მცოდნენი იქმნებიან – ეს დიდად შეუწყობს ხელს შეძენილი სწავლისა და ცოდნის შევსებაში. ამის შემდეგ ლექტორმა გააცნო დამსწრენი იმას, თუ რა საკითხებს იძლევიან საკვირაო სკოლის მოწაფენი და რას მოელიან ისინი სკოლიდან. ერთი მოწაფე ასე აღწერს თავისს მოლოდინს და ფიქრს სკოლაში შესვლის წინ: „მე მსურდა, რომ სკოლას ესწავლებია ჩემთვის მარტო წერა-კითხვა კი არა, არამედ აეხსნა, განემარტა ჩემთვის ცხოვრების ბევრი საკითხი“, მეორე მოწაფე კითხულობდა: „როგორ შეიძლება ფიქრის მიჩვევა?“ ან „სრულიად არ ფიქრობ?“ მესამე თხოულობდა საკვირაო სკოლისაგან გავგო „ლიტერატურა, პოეზია, კრიტიკა, ნაფიც მსაჯულთა საქმეები, უნივერსიტეტი“ და სხვ. ზოგი სკოლის მიტოვების დროს უკმაყოფილებას აღიარებდნენ სკოლის პროგრამის სივიწროვებედ და აცხადებდნენ სკოლისთვის თავის დანებების დროს: „იმედი მაქვს, რომ ოდესმე საკვირაო სკოლებში მეცადინეობა შემოღებული იქმნება უფრო სერიოზულ საგნებიდანაცო“. დასასრულ, ლექტორმა ასე დაახასიათა საკვირაო სკოლის მნიშვნელობა: საკვირაო სკოლები ჯერ წერა-კითხვას ასწავლიან, შემდეგ ხდიან ადამიანს მოაზრე არსებად, ბოლოს მოარბილებენ და ზრდიან ხალხის ზნეობასაც.

გამოფენაზე მყოფი საკვირაო სკოლების პავილიონში უფასოდ ურიგდებოდა ცნობილის პედაგოგის ვახტეროვის წიგნაკი: „სასოფლო საკვირაო სკოლები და განმეორებითი კლასები“ იმ მიზნით, რომ მსურველთ გაეცნოთ ეს ჯერ კიდევ მცირედ ცნობილი საქმე ბნელი ხალხის გასანათლებლად. ავტორი ხსენებულს წიგნაკში ჯერ გააცნობს მკითხველებს წერა-კითხვის მდგომარეობის საქმეს და მასთან მოჰყავს შემდეგი ფაქტი: 110-ე მაზრაში, რომელიც გამოკველეულ იქმნა საერო სტატისტიკით, წერა-კითხვის მცოდნე მკვიდრთა შორის ყოფილა მხოლოდ 9,4%, ეხლავე რომ მართებულობამ და ერობამაც – წერს ავტორი, – დაუყოვნებლივ განახორციელოს საზოგადო სავალდებულო სწავლება, მაშინაც დარჩება დიდი რიცხვი მცხოვრებლებისა, რომელნიც სკოლის წლოვანებას გადასულნი იქნებიან და,

მაშასადამე, მოკლებულნი ნორმალური სკოლით სარგებლობას, სამუდამოდ უმეცარნი უნდა დარჩნენ. მოგვიხსენებოდა ლოდინი მომავალი საუკუნის ნახევრამდის, როდესაც თავისი წერა-კითხვის უმეცრებით არავინ არ მოგვაგონებდა ეხლანდელ სკოლების სიმცირეს; ამდენს უმეცარსა და გაუნათლებელს ხალხს როგორ შეუძლიან დაიცვას ქვეყანაზე წესიერება, მშვიდობიანობა და კეთილი მდგომარეობა... აქედან ავტორი გადადის კერძო თაოსნობაზე – თუ რა შეუძლიან ამ შემთხვევაში საკვირაო სკოლებს და განმეორებით კლასებს. ავტორი გაცნობს მკითხველებს ამგვარი სკოლების ისტორიას, მეცადინეობის ხასიათს, სწავლების მეთოდებს და სხვ. ამისთანა სკოლების მოსაწყობ-გასამართავად, განსახორციელებლად ავტორი მოიწვევს სოფლის ინტელიგენციას, განათლებულებს, რომელთაც აცნობებს აგრეთვე, რომ ამისთანა დაწესებულებათა დასაარსებლად კანონმდებლობის მხრით არ შეიძლება შეხვედეს არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი. ინსტრუქცია სახალხო სკოლების ინსპექტორებისა უმაღლესად დამტკიცებული 29 ოქტომბერს, 1871 წელს და გადმოებეჭდილი 1893 წლის კანონთა კრებულში ვალად სდებს ინსპექტორებს, იბრუნონ იმაზე, რომ სასწავლებლებში, სადაც კი შესაძლებელი იქნება გამართულ იქმნას ცალკე გაკვეთილები მოზრდილთათვის, აგრეთვე კანონით წინადადება ეძლევა ინსპექტორებს, რომ პირდაპირის რჩევა-თათბირით, დაჯერებით მოიზიდონ მოზრდილები სასწავლებელში და გამოძებნონ საშუალება მასწავლებელთა დასაჯილდოვებლად ამისთანა სკოლებში შრომისათვის. ამას გარდა პირველდასაწყისი სახალხო სკოლების დებულება 25 მაისისა 1874 წლისა, საკვირაო სკოლებს პირველდასაწყის სკოლების რიცხვში აღიარებს / მუხ. 2-4/, ამისთანა სკოლების გახსნას კანონი ნებას აძლევს სახალხო სკოლების ინსპექტორების ნებართვით ერობას, ქალაქის და სოფლის საზოგადოებას და კერძო პირებს /მუხ.10/. მართალია, ამბობს ავტორი, 4 სექტემბერს 1891 წელს ხალხთა განათლების სამინისტროს მმართველობის მიერ გამოიცა ცირკულიარი იმის შესახებ, რომ უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორთან შეთანხმებით, ყველა ახლადგახსნილი საკვირაო სკოლები, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულებანი, ეპარქიის მთავრობის უწყებაში უნდა იქმნას და უნდა ექვემდებარებოდეს 13 ივნისის 1884 წლის და 28 მაისის 1887 წლის წესდებას, მაგრამ ეს ცირკულიარი სრულიად არ შეეხება საღამოობით გამართულს კლასებს და საკვირაო სკოლებს, როგორც გამართულს პირველდასაწყის სკოლებთან და მასთან მჭიდრო კავშირის მქონე-

ბელს. თავის წიგნაკს ავტორი ათავებს ერობისადმი მიმართვით, რომელთაც სთხოვს შემწეობა და დახმარება აღმოუჩინონ საკვირაო და განმეორებითი სკოლების დაარსებაში – შენიშნავს, რომ მასწავლებლების მხრით ნაკლულოვანება არ იქნება.

ხსენებულის წიგნაკის ავტორმა ბ. ვახტეროვმა გამოფენაზე წაიკითხა საყურადღებო ლექცია შემდეგის სათაურით: „დედა ენა და კლასს გარედ კითხვა“. მოვიყვანთ ამ ლექციის შინაარსსაც. დედაენის სწავლებაზე ლაპარაკი ბევრის მხრით შეიძლებაო, თქვა ბ. ვახტეროვმა, შეიძლება ლაპარაკი წერა-კითხვის სწავლების წესზე, უნდა ვასწავლიდეთ პირველდასაწყისი სკოლის მოწაფეებს სამშობლო ენის გრამატიკას თუ არა, ან რა მოცულობით და რა წესით, განმმევენებით გამოთქმით კითხვის სწავლებაზე, სამშობლო მწერლობისა და მისი ისტორიის გაცნობაზე; მაგრამ ავტორს აქვს აღებული უფრო ვიწრო ფარგალი – მას უნდა გამოარკვიოს თუ რა კავშირი უნდა არსებობდეს პირველდასაწყისი სკოლების მოწაფეების დედაენის სწავლებაში და კლასს გარეთ კითხვაში. აქ ლექტორს მოჰყავს ყველა ის მიზანი, რომელსაც უნდა მისდევდეს ერთკლასიანი სკოლა დედაენის სწავლების დროს. დედაენის სწავლებასო, ამბობს ვახტეროვი, მიზნად აქვსო პირველდასაწყისი სკოლის მოწაფეთათვის შექმნას ადვილმისაღწევად ყველა საუნჯე ცოდნის და ხელოვნებისა, რომელიც შენახულია სამშობლოს საუკეთესო მწერლობაში; მოწაფეები ისე უნდა მიეჩვიონ წიგნის კითხვას, რომ წიგნი შეუყვარდეთ; თავისუფალ დროს წიგნის კითხვა მოწაფის სულიერს მოთხოვნილებას უნდა შეადგენდეს, რომ წიგნის უქონლობა მისთვის დიდი დანაკლისი იყოს – უამისოდ ბავშვის მიერ სკოლაში შეძენილი წერა-კითხვა გამოუყენებელი და უსარგებლო იქნება; ფულების ხარჯვაც იმისთანა სკოლებზე, რომელიც მარტო წერა-კითხვას ასწავლის, უნაყოფოა, „რად უნდა წერა-კითხვა, თუ წიგნებს არ იკითხავენ“, – წერა-კითხვა მიზანი კი არა, საშუალებაა შემდეგ თვითგანათლების შეძენისათვის. ამიტომ მარტო წერა-კითხვაზე შეჩერება ვერაფერი სასარგებლოა: წერა-კითხვის მცოდნე გლესს, რომელიც წიგნების კითხვას არ არის დაჩვეული, რომელსაც წიგნი არ შეუყვარებია, წერა-კითხვა მალე დაავიწყდება და ამნაირად კიდევ უფრო მეტს სამწუხარო შედეგს მიიღებს. მასწავლებლებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ სახალხო სკოლებში სწავლა-დამთავრებულები უფრო ხშირად უბრუნდებიან თავის კერას, ოჯახს, სადაც წიგნი ძნელად შედის.

მარტო წიგნების კითხვის ჩვეულება და წიგნების სიყვარულიც ცოტაა, ამას გარდა კიდევ უფრო საჭიროა გაეგებოდეს, ესმოდეს

წაკითხული. მოწაფემ, რომელმაც გაიარა კარგი პირველდასაწყისი სკოლა, უნდა იცოდეს საუკეთესო მწერლების ენა, უნდა გაეგებოდეს მარტივად დაწერილი სასულიერო, ისტორიული, გეოგრაფიული და ბუნების სამეცნიერო შინაარსის წიგნები. ეს აუცილებლად საჭიროა. უამისოდ წერა-კითხვის მცოდნენი, სამწუხაროდ, თავის ცოდნას ანდომებენ ისეთს წიგნებს, რომლის კითხვაც უფრო მავნებელია, რადგანაც ვერავითარს სულიერს საზრდოს მკითხველი იქიდან ვერ გამოიტანს. მაშასადამე, კარგი წიგნის ენის ცოდნაც არ კმარა; ამის დასამატებლად საჭიროა კიდევ გაეხსნას მოწაფეს კითხვაში გემოვნებაც, რომლითაც შეეძლოს საუკეთესო მწერლების ნაწერებისათვის უპირატესობის მიცემა დანარჩენ წიგნებთან. თუ რომელიმე ამ პირობათაგანი დარჩა უყურადღებოდ, აუსრულებელი, თუ მოწაფეებში არ არის აღძრული წიგნების კითხვის სიყვარული, თუ მას არ გაეგება რასაც კითხულობს, ან სამშობლოს საუკეთესო მწერლების ნაწარმოებთან უპირატესობას აძლევს უსარგებლოსა და მავნებელ წიგნების კითხვას, ეს იმისი ნიშანია, რომ სკოლას ვერ აუსრულებია თავისი ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი, რომ მასწავლებლის შრომა წერა-კითხვის სწავლების დროს, ერობისა და საზოგადოების ხარჯი სკოლაზე, დრო მოწაფის მიერ მოხმარებული წერა-კითხვის შესწავლაზე – ყველა ეს ცუდად დაკარგული იქნება და მოწაფისთვისაც უსარგებლოდ, უკეთილგავლენოდ მისს გარშემორტყმულ ცხოვრებაზე. ამისთანა წერა-კითხვა, ვახტეროვის სიტყვით, არავისთვის და არარისთვის საჭირო არ არის. ამისთანა წერა-კითხვა კორეის კუნძულზე მცხოვრებლებთან კი აქვს თო.

ერთ საუკეთესო საშუალებად, რომლითაც შეიძლება პირველდასაწყისი სკოლისა და წერა-კითხვის, რომელსაც ეს სკოლა იძლევა, ნამდვილკულტურულ ძალად შექმნა, ლექტორს მიაჩნია ყველა საერო და სამინისტრო სკოლებთან მოწაფეებისა და მასწავლებელთათვის წიგნთსაცავის დაარსება. ლექტორმა მოიყვანა ბევრი ცნობა ბიბლიოთეკის გავლენის შესახებ ზოგი იმ პირთა ანგარიშებიდან, რომელნიც განაგებენ სამკითხველოს და ბიბლიოთეკას და ზოგი ერობისა და სახალხო სკოლების ინსპექტორების ანგარიშიდან და თვით ხალხისაგან, წიგნების მკითხველებისაგან. ლექტორმა მოიხსენია, რომ საჭიროა მასწავლებლებმა წიგნების კითხვაში ხელმძღვანელობა გაუწიონ ხალხს წიგნების არჩევით, წაკითხულის შემოწმებით, იმის გაგებით, თუ რა შინაარსის და როგორი წიგნები უფრო მოსწონთ; აგრეთვე აწარმოვოს ბიბლიოთეკის სტატისტიკა. – მასწავლებელს, რომელსაც მთელი სკოლა აბარია, რასაკვირველია, გაუჭირდება ბიბლიოთეკის

გამგებლობაც, მაგრამ დროებამ და გამოცდილებამ ისეთი ფორმები შეიმუშავა ამ უკანასკნელს დროს, რომელიც შესანიშნავად შეუმსუბუქებს მასწავლებელს შრომას ბიბლიოთეკის გამგებლობის საქმეში. ერთს კერძო სასწავლებელში ამისთანა შემთხვევა იყო: ბიბლიოთეკის დასაარსებლად არსაიდან საშუალება არ მოიპოვებოდა. წინადადება მიეცათ მოწაფეებს ერთმანეთში შეეგროვებინათ ფული ბიბლიოთეკის დასაარსებლად. მოწაფეებმა დიდის ხალისით შეაგროვეს ფულები და ბიბლიოთეკაც რამდენიმე წიგნებით დაარსებულ იქმნა. მაგრამ იმის გამო, რომ ბიბლიოთეკა დაარსდა მოწაფეთა ღონისძიებით, საჭირო შეიქმნა რამდენიმე იმათგანის მოწვევაც ბიბლიოთეკის გამგებლობაში. ამ აზრმა მოახდინა ფრიად კეთილმყოფელი შედეგი – შესანიშნავად შეუმსუბუქა მასწავლებელს შრომა მოწაფეთათვის წასაკითხ წიგნების მიცემის დროს წიგნთსაცავიდან. ამას გარდა ამგვარ სამუშაოს თვით მოწაფეებისათვისაც სერიოზული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და ამგვარი მოწყობით უნდა ისარგებლონ მასწავლებლებმა, მხოლოდ წაკითხულის შემოწმება უსათუოდ მასწავლებელმა უნდა იკისროს. თუმცა მასწავლებლის შრომის შემსუბუქება აქაც შესაძლებელია: ამისთვის შეიძლება დაყოფა მოწაფეებისა, ასე რომ, ერთს მიენდოს წიგნების მიცემა ცოტად წერა-კითხვის მცოდნეთათვის, მეორეს სრული წერა-კითხვის მცოდნეთათვის; დროზე გამოკიდება კლასში მასწავლებლის მიერ მოწოდებულის წიგნების სიებისა სხვადასხვა მკითხველთათვის და სხვ.

თუ სკოლაში გამართულია ბიბლიოთეკა დიდისა და კარგი წიგნების არჩევით, თუ მოწაფესა და ხალხს დროზე ეძლევა საკითხავი წიგნები, თუ მასწავლებელი რამდენადმე ხელმძღვანელობას უწევს ხალხს წიგნების კითხვაში – შეიძლება ვსთქვათ თამამად, რომ ამისთანა სკოლას გაუხდია კარგი წიგნები ხალხის მისაწვდომად, – გვგონია ცოტააო, მაგრამ დავუკვირდეთ ამ ფრაზას: „კარგი წიგნის ხალხის მისაწვდომად შექმნა“ – ეს ნიშნავს, რომ მისცეს შეიძლება უბრალო ხალხს, ილოს, რაც მას უნდა, ვეებერთელა გროვიდან ათასი წლობით შეგროვებული კაცობრიული გენიოსების, აზროვნების ნაწარმოებისგან ყველა სფერაში; ეს ნიშნავს – თვით უბრალო ხალხისათვის შექმნას მისაღწევად ერთი უდიდებულესი სიკეთე, რომლითაც განირჩევა ჩვენი დრო წარსულ დროებათაგან. ის, რაც ძველად ძლივსლა მისაწვდომი იყო მხოლოდ მდიდარ მონასტრების, სობოროების, დიდებულის სასახლეების, მღვდელმთავრებისა, თავადთა და აზნაურთათვის ეხლანდელ დროში შეიძლება და უნდა იქ-

მნას საკუთრებად ყველა წერა-კითხვის მცოდნე და ცნობისმოყვარე ადამიანისათვის. ერთი თანამედროვე ინგლისელი პოეტი ამტკიცებს, რომ ჩვენი მერმისი ემსგავსება საკვირველს სიზმარს. იმისი სიტყვით, ქვეყანაზე ასრულდება ის, რაზედაც ჩვენ ეხლა მხოლოდ ვოცნებობთ. ადამიანები ბრძენად გადაიქცევიან, მათი ჭკუა-გონების მისაწვდომი გახდება ისეთი სიმაღლე, რომელზედაც ჩვენ ეხლა დაახლოებით წარმოდგენილებასაც ვერ შევადგენთ. ხალხის გული გახდება ჩჩვილი და მოყვარული. ეხლანდელი წყურვილი გამორჩენისა და მაცდურობისა დაღპება მისსავე გათხრილს ორმოში. ერის ერთმანეთთან დამოკიდებულებაში გამეფდება სიყვარული და მშვიდობა. ყველა ამ სასწაულს, იმ პოეტის სიტყვით, მოიმოქმედებს წიგნი და სკოლა. დასასრულ, ლექტორმა მიაქცია მასწავლებელთა ყურადღება ბიბლიოთეკის სტატისტიკის წარმოებას, რომლის საშუალებით მასწავლებლები და პუბლიცისტები უფრო ადვილად განსაზღვრავენ მკითხველთა მოთხოვნილებას და გემოვნებას.

ამ საკითხის შესახებ, რომელსაც შეეხო ვახტეროვი თავისს ლექციაში, კიდევ იყო წაკითხული ლექცია ტულუპოვისსა შემდეგისს სათაურით: „სახალხო კითხვები და ბიბლიოთეკები, როგორც საშუალება სასწავლებლის გარედ ხალხის განათლებისს“. სხვა საკითხთა შორის, რომელიც ხალხთა განათლებისს საქმეს ეხება, სკოლის გარედ ხალხის განათლებისს საკითხიც საჭირო ყურადღებისს ღირსიაო. ხალხის სკოლის გარედ განათლება დამოკიდებულია სხვა და სხვა დაწესებულებებზე, რომელსაც მიზნად აქვს მოჭფინოს ხალხში საჭირო სწავლა – მეცნიერება და ამნაირად ემსახუროს იმ მცხოვრებთა გონება-განვითარებისს საქმეს, რომელნიც სკოლისს წლოვანებას გადასულნი არიან. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას რომ 85% რუსეთის მკვიდრთა დღეს წერა-კითხვისს უცოდინარნი რჩება და იმ მცირედს სწავლას, რომელსაც სკოლაში ღებულობენ მცირედ რჩეულნი, მაშინ თვალსაჩინო მნიშვნელობა სკოლის გარედ ხალხის განათლებისს საჭიროებისსა ყოველისს მხრით ეჭვს გარეშე იქნება. რუსეთში ამისთანა საზოგადო განათლებისს დაწესებულებად აღიარებულია საკვირაო სკოლები და გამეორებითი კლასები, სახალხო წიგნთსაცავები, სამკითხველოები, წიგნებისს საწყობები, ლიტერატურული დილა-სალამოები, სახალხო თეატრები, მუზეუმები, გამოფენები და სხვ. დასავლეთისს სახელმწიფოებში ხსენებულ დაწესებულებათა გასავრცელებლად მოძრაობა წარსულს საუკუნოებში დაიწყო და მას შემდეგ ისეთისს წარმატებით წავიდა, რომ მაშინდელი დროის

საკვირაო განმეორებითი სკოლები დღეს სახალხო უნივერსიტეტებად არის გადაკეთებული, სადაც მუშა ხალხი ისმენს უნივერსიტეტის კურსს. სამკითხველო და მუზეუმები გადაკეთდა სახალხო სასახლეებად და კლუბებად, სადაც მუშა ისვენებს და სწავლობს დღიურის შრომის შემდეგ.

საზოგადო სახალხო კითხვები, თანახმად ბევრის კერძო პირებისა და დაწესებულებათა აზრისა, რომელნიც ახლო სდგანან ხალხთა განათლებასთან, არის ფრიად შემძლებელი საშუალებათაგანი ხალხში განათლების გასავრცელებლად, იმიტომ რომ წერა-კითხვის ხშირი უმეცრებისა და სკოლების სიმცირის გამო, წიგნები საკითხავად მისაწვდენია მხოლოდ მცირედთათვის; საზოგადო კითხვები დიდს სარგებლობას მოუტანს არა მარტო სკოლაში ნასწავლებს – მოზრდილებს, რომელთაც სკოლა არ ღირსებიათ, საზოგადო კითხვები შეიქმნება ხალხში სასარგებლო ცნობების გასავრცელებლად. ვინ შეიტანს ეჭვს იმაში, რომ ჩვენ ხალხში არ იყოს საჭირო აგრონომიული, იურიდიული და ჰიგიენური ცნობების გავრცელება, ურომლისოდაც შეუძლებელია ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სწორი მიმდინარეობა. ამ მხრით უმეცარს ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვება – გადაგვარება, გადასახიჩრება. ეკონომიურად დაცემისა გამო გლეხი მთლად მცირდება, გადაგვარდება. რუსეთმა სიკვდილის სიხშირით მთელს ევროპას გაუსწრო წინ. რამდენი ბავშვები იხოცებიან ყვავილის, ყელჭირვების და სხვა სენთაგან. რამდენი ბრმა, რამდენი კუტი და ლატაკი, რომელთაც არ შეუძლიათ შრომა, აწევს მძიმე უღლად მშრომელ მცხოვრებლებს? ყველა ამას საფუძვლად აქვს უმეცრება. ამის შემდეგ ნუთუ საეჭვოა ხალხში სწავლა-განათლების აუცილებელი საჭიროება? ამ შემთხვევაში საზოგადო კითხვებს და საუბარს აქვს უაღრესი მნიშვნელობა, რადგანაც წერა-კითხვის მცოდნეთა და უმეცართათვისაც ერთგვარად მისაწვდომია.

ამის შემდეგ ლექტორი გადავიდა საზოგადო კითხვების ხალხისათვის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, როგორც საუკეთესო საშუალებაზე ხალხის გონიერად გასართობად, ნაცვლად სამიკიტნოებში და ტრაქტირებში დაღამებ-გათენებისა. საკვირველიაო, ამბობდა ტულუპოვი, რატომ ამდენ ხანს არ ჩანთქეს მთელი მუშა ხალხი სამიკიტნოებმა და ტრაქტირებმაო, რადგანაც თვითონ მუშა ხალხი მძიმე მუშაობის შემდეგ ისეთს გარემოებაში დგას, რომ არავითარი გონიერი გასართობი თავისს კმაყოფილებისათვის არ მოეძებნება. იმიტომ არა თუ მარტო სასურველია, არამედ აუცილებლად საჭიროც არის

სახალხო კითხვების, ლექციების, საუბრების გამართვა. ლექტორმა მოიყვანა რამდენიმე ფაქტი, რომელიც ამტკიცებს საზოგადო კითხვების გავლენას დაბალ ხალხზე, რომელნიც გროვად მიდიან აუდიტორიისაკენ, რომ ცალი ყურით მაინც გაიგონონ ცხოველი სიტყვა, რომელსაც მოკლებულნი არიან. საინტერესოა აგრეთვე ის ამბავიც, რომ საზოგადო კითხვების ხალხზე ზნეობრივად კეთილი გავლენა პოლიციელების ანგარიშებშიაც აღინიშნა. ამის შემდეგ ლექტორმა გააცნო დამსწრეთ საზოგადო კითხვების იურიდიული მხარე: უჩვენა 1894 წლის უმაღლესს დებულებაზე, რომელიც ნებას აძლევს სახალხოდ კითხვების გამართვას არა თუ საგუბერნიო და სამამრო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც: ლექტორმა მიაქცია ყურადღება ეხლანდელს დროში დარჩენილ პირობებსაც, რომელიც ხელს უშლის ამ საქმის წარმართვას. ეს გარემოება არის მეტისმეტი სიმცირე „სახალხოდ საკითხავად ნებადართულის წიგნებისა“.

თავისი ლექცია ტულუპოვმა დაასრულა ცნობილის პედაგოგის ვახტეროვის სტატიიდან მოყვანილის შემდეგის ციტატით: „დადგება დრო, რომელიც ახლოს არის, როდესაც ყველა შეიგნებს, რომ დროზე მიუხვედრებლობამ, დიდმა სიბეცემ და გაუხედაობამ, რომლითაც ჩვენ არ შევჩერდებით არავითარი ხარჯისათვის სხვა რომელიმე ასპარეზზე, ვერ შეგვარყია ღირსეულად ბნელითა და უმეცრებით მოსილის ხალხის განათლებისათვის... მოვა დრო, რომელიც შორს არ არის, როდესაც სხვა და სხვა სამიკიტნოები და ტრაქტირები წიგნებსა, სახალხო საკითხავებსა და სხვა საკაცობრიო დროს გასატარებელ დაწესებულებას მოკლებულს ხალხს გახდის მუდამ ლოთებად, უმართებულო ბრბოდ, როდესაც რკინის გზა, ქარხნები და ფაბრიკები გარყვნიან მცხოვრებლებს, პატიოსან და სინდისიან დედაკაცს გადააქცევენ როსკიპად, როცა ორივე სქესი დაღუბა ავადმყოფობაში, როცა გარეწარი ბრბო გაივლის გაუკეთესებულს საპყრობილებებში და იქ მიიღებს აღზრდას, რის შემდეგ შეიქნებიან დახელოვნებული ქურდები, გაქნილები, – მაშინ, რაც უნდა სერიოზული ზომები მივიღოთ განათლების გავრცელებისათვის, მაინც გვიანლა იქნება“, ამისათვის საჭიროა, რომ ყველა განათლებულმა კაცმა ღირსეულად და ჩქარა შეიგნოს თავისი მოვალეობა იმათ წინაშე:

„Чьи работают грубые руки,
Предоставив почтительно нам
Погружаться в искусства, в науки,
Предаваться страстям и мечтам ;

Кто бредет по житейской дороге
В беспросветной глубокой ночи,
без понятия о праве, о боге,
Как в подземной тюрьме, без свечи“.

გაზეთ „ივერიის“ 57 №-ში. . .

გაზეთ „ივერიის“ 57 №-ში „კახელი“ სწერს კავკავიდეგან, სხვათა შორის, ვითომ ის კარგა ხანია თვალყურს ადევნებს ჩემის მოწაფეების გალობას, მაგრამ ვერავითარს წარმატებას ვერ ამჩნევს. ამიტომ კორესპონდენტი აცხადებს სურვილს, რომ მიექცეს ყურადღება ამ გარემოებასაო.

ჩვენ იმდენად უვიცი არა ვართ, რომ სამართლიანი და საბუთიანი შენიშვნა საყურადღებოთ არ მივიმჩნიოთ, მაგრამ თუ რომელიმე შენიშვნა სიმართლეს მოკლებულია და თუ მას შეუძლიან საქმისა და გარემოების არ მცოდნე დააჯეროს, მაშინ კი იძულებული შევიქმნებით პასუხი გავცეთ ამ შემთხვევაში ბ-ნ კახელს და ვამხილოთ იგი, რომ საქმე სრულიად ისე არ არის, როგორც თვითონა ბრძანებს და მაშასადამე ვერც თვალყური უდევნებია კარგად გალობისა და მისის წარმატებისათვის. ჩვენ ძალიან იშვიათად მოგვიხდება ხოლმე საჯაროდ გალობა მოწაფეებით, ისიც ან წლიური აქტის დროს სკოლაში და ერთხელ თუ ორჯელ ეკლესიაში წირვაზედ. ამ შემთხვევისათვის ყოველთვის შეძლებისა და გვარად მომზადებული გყავს მოწაფეთაგან ხორო და ვაგალობებთ ისეთს საგალობელს, რომლის გალობაც უნაკლულოდ შეუძლიანთ. ამ სამის წლის წინად, 14 იანვარს, როცა მწირველი ბრძანდებოდა მისი მეუფება კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოზი ვლადიმირი, რუსულ ხოროსთან ჩემის სკოლის მოწაფენიც გალობდნენ ქართულად. მღვდელმთავარს ქართული გალობა მოეწონა და ქადაგების დროს, სხვათა შორის უთხრა შეკრებილს ქართველობას, რომ თქვენთან ერთად მეც მოხარული ვარ რომ თქვენი შვილები დედა-ენაზედ ასე მწყობრად ადიდებენ ღმერთსაო. ხალხსაც კარგად მოეწონა მოწაფეების გალობა. ორის წლის წინად, როდესაც საჯაროდ გაკვეთილებს ვაძლევდი სკოლაში ბ-ნ სახალხო სკოლის დირექტორისა, ინსპექტორებისა და 30 მასწავლებელთა თანადასწრებით, გაკვეთილების შემდეგ მოწაფეები გამოცდილნი იქმნენ გა-

ლობაში და ასე ჩასწერეს მზრუნველთან მოხსენებაში: „вполне удовлетворительным найдено и стройное гармоничное пение на русском и ружинском языках“. /იხ. „ცირკულიარი კავკასიის სამოსწ. ოლქის მზრუნველისა“, № 8, 1895 წ./.

შარშანდელი შენიშვნები, რომელიც შეეხება გალობის საქმეს და რომელიც ჩაწერილია სკოლის სარევიზიო დავთარში ინსპექტორისა და დირექტორის მიერ, იმასვე ამტკიცებენ, რომ გალობის საქმე შარშანაც კარგად ყოფილა დაყენებული. წელს უკანასკნელად მარტში მომხდარ რევიზიის დროს ბ-ნმა ინსპექტორმა როცა მოისმინა რამდენიმე საეკლესიო და საერო საგალობელი და სიმღერა, ამნაირი აზრი ჩასწერა სარევიზიო წიგნში: „Пение ведется в методическом отношении правильно, ученики поют на три голоса довольно стройно“.

ხალხისაგანაც ყოველთვის კარგი ხმები გვსმენია გალობის მოსმენის შემდეგ.

კვირას, 30 მარტს, როდესაც უკანასკნელი ქართული წირვა იყო შესრულებული სასაფლაოს ეკლესიაში, წირვის შემდეგ რამდენიმე ქართველი და სომხებიც მოვიდნენ ჩემთან და მადლობას მიცხადებდნენ ხოროს კარგად გაწვრთნისათვის. ეს ზემოთ მოყვანილი ცნობები სრული საბუთი უნდა იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ ამ სამიოთხის წლის განმავლობაში გალობის საქმე ყოველთვის სასურველად და რიგიანად ყოფილა დაყენებული. აქედან სჩანს, რომ ერთსა და იმავე საგნის შესახებ ზემოდ ნაჩვენებნი სხვა აზრისანი არიან და ბ-ნი კორესპონდენტი კიდევ სხვა აზრისა არის. რასაკვირველია, ყველას უფლება აქვს თავისი აზრი გამოსთქვას, მაგრამ ისიც სასურველია, რომ კორესპონდენტმა თავისი აზრიც გარკვევით წარმოსთქვას. მაგალ. ბ-ნი კახელს რომ ეთქვა, ყველა საგალობელს, რაც საჭიროა წირვა-ლოცვის დროს, ვერა ჰგალობენო, ჩვენც დავუჯერებდით, რადგანაც ამის საჭიროება, ამაზედ მოცდენა დღემდის საჭიროდ არ მიგვაჩნდა. ამის შემდეგ-კი, თუ ღმერთმა ინება და კავკაველ ქართველებს მიეცათ შეძლება თავიანთ დედაენაზედ წირვა-ლოცვის მოსმენისა სამუდამოდ, მაშინ სრული იმედია საგალობელთა მეტი რიცხვის შესწავლაც ადვილად მოხერხდება და მუდმივი ხოროს დაარსებაც. მაშინ, იმედია, ბ-ნი კახელიც ხელს შეგვიწყობს გალობის საქმეში, რადგანაც როგორც ეტყობა, გალობის მოყვარულიც ყოფილა და მისის ავ-კარგის მცოდნეც. დღეს-კი სრულიად უსაფუძვლო იქნება მოითხოვოს კაცმა ისეთი ხორო, ისიც პატარა მოწაფეთაგან შემდგარი, რომელიც ყველაფერს უნდა გალობდეს. ისიც უსამართლობა უნდა იყოს, რომ

უსაბუთოდ უკიჟინოს ვინმემ მასწავლებელს, რომ გალობას წარმატება არ ეტყობაო, როდესაც ამ შრომას მასწავლებელი სკოლაში და სკოლის გარეთაც თითქმის სრულიად უსასყიდლოდ ეწევა და საქმეც, ასე თუ ისე, რიგიანად აქვს დაყენებული.

რადეცკის ლექსები

მშობელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ

პეტერბურგში ბავშვების ფიზიკურად აღზრდის და მთელს რუსეთში ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოების წევრი ბ-ნი რადეცკი, რომელიც წარსულ ბაფხულს ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში, სრულიად რუსეთის გამოფენაზე ჰკითხულობდა ლექციებს ახალთაობის ფიზიკურად აღზრდის შესახებ, ამ ჟამად ეწვია ტფილისს. როგორც უკვე მკითხველებმა უწყიან, ბ-ნი რადეცკი ათი წელიწადია რაც რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში მოგზაურობს, კითხულობს ლექციებს და აარსებს ბავშვების ფიზიკურად აღზრდის მფარველ საზოგადოებას. ის საგანი, რომელიც პატივცემულ ლექტორს აუღია საქადაგებლად, იმდენად საგულისხმიერო და ჭეშმარიტია ყველასათვის, რომ ყველა, ვისაც კი ძვირფასად მიაჩნია ახალთაობის ბედნიერება, გონიერად აღზრდა ბავშვებისა, რომელშიაც იხატება ერის მომავალი იმედი, დიდს ყურადღებას აქცევს ლექტორის მიერ აღძრულს საკითხებს.

ჩვენც ვეცდებით გადავცეთ მკითხველებს მოკლე შინაარსი ბ-ნი რადეცკის ლექციებისა, რომელიც წაკითხულ იქმნა პატივცემულ ლექტორის მიერ შაბათს, 1 თებერვალს, სათავადაზნაურო თეატრის დარბაზში შემდეგის სათაურით: „ახალთაობის ფიზიკურად სისუსტის მიზეზი და რა აკლია ჩვენს ბავშვებს“, რომელშიაც ბ. რადეცკიმ განუმარტა საზოგადოებას, რომ საკითხი ბავშვებისა და საზოგადოთ ახალთაობის მოქანცულობაზე, სხეულის უნოყიერობაზე და უძლურებაზე დიდი ხანია აღელვებს საზოგადოებას, არა მარტო რუსეთში, საზღვარგარეთაც; მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი და ლაპარაკი, ტირილი, გოდება და მარტო გოდება, წუხილი და მარტო წუხილი ძლიერ ცოტაა. დასავლეთ სახელმწიფოებში ამ საგნის შესახებ დიდი ხანია დაიწყეს შეერთებულის ღონით, ერთობლივის ძალის მუშაობა. იქ, დასავლეთ სახელმწიფოებში, ამჟამად ყველგან არსდება ხალხის ჯანმრთელობის

დაცვის საზოგადოება, ბავშვების ფიზიკურად აღზრდისა და ხალხთა შორის ჰიგიენის წესების გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც ლექტორი უწოდებს საერთო სახელს „განმაახლებელ საზოგადოებას“ /инщество вознаграждения/, რადგანაც უმთავრესი და უახლესი დანიშნულება ხსენებული საზოგადოებისა მდგომარეობს განაახლოს და აღადგინოს ფიზიკური ანუ სხეულის ძალა მოზარდ თაობაში, რომელთაც ცხოვრების სხვა და სხვა პირობებისა გამო, ეტყობა როგორც ხორციელი, ისე სულიერი უძლურება და მოქანცულობა. ლექტორის სიტყვით დასავლეთ ევროპაში ამისთანა საზოგადოება ათასობით და ათი ათასობით ითვლება, რომელთაც შესაფერი საშუალებაც აქვთ მოპოვებული და შექცნილი.

შეეხო რა ბავშვების აღზრდას საზოგადოთ, ლექტორმა უჩვენა ის პირობები, რომელშიაც იმყოფება ბავშვი ოჯახსა და სკოლაში. თავის სიტყვების დასამტკიცებლად ლექტორმა მიჰმართა პროფ. ვერიგოს გამოკვლევას; პროფ. ვერიგოს გამოუკვლევია საშუალო სასწავლებლებში ჰაერის მდგომარეობა და აღმოუჩინა, რომ სასწავლებლები-სათვის ბევრი ისეთი შენობებია, სადაც ჰაერის ათი ათას მოცულობაზე 96 მოცულობა ნახშირმჟავა ყოფილა პეტენკოფერის სისტემით, ანუ სხვანაირად: ნაცვლად 200 ბოთლ სუფთა ჰაერისა თითო მოწაფეზე მოდიოდა 170-180 ბოთლი გაფუჭებული ჰაერი; ლექტორის სიტყვით იმავე პროფესორს ვერიგოს გამოუკვლევია შავმუშათა თავშესაფარი და აღმოჩინილა, რომ მუშათა თავშესაფარში გათენებისას ოთხნახევარჯერ უფრო სუფთა და უკეთესი ჰაერი ყოფილა, ვიდრე ზოგიერთს საშუალო სასწავლებლებში მესამე გაკვეთილის შემდეგ. ლექტორმა ბევრი ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სუფთა ჰაერს და რამდენს უმეცრებას იჩენს ჰიგიენაში ადამიანი. სხვათა შორის, უჩვენა ისეთი ნაკლულევანება, როგორიც არის ჰაერის შიში /воздыхание/ და გატაცება სკოლებში სამხედრო გიმნასტიკით, რომელიც ლექტორის აზრით, ავიწროებს და ჩაგრავს ბავშვის სულსა და სხეულს, ოთხი-ხუთი საათის გონებითის შრომის შემდეგ გიმნასტიკა დასვენებას კი არ შეადგენს, არამედ წვალებასა და ტანჯვასო.

ძალიან დაწვრილებით და დაბეჯითებით იბაასა ლექტორმა კორსეტების ხმარებისა და საზოგადოთ მოდის წინააღმდეგ. თვალსაჩინოდ დაუხატა საზოგადოებას, თუ რა მავნებელი და ცუდი შედეგი მოჰყვება საზოგადოთ კორსეტის ტარებას. დიდი ქალაქების ფაბრიკებიდან, სადაც აკეთებენ კორსეტებს, წარმოადგინა ისეთი ცნო-

ბები, რომლიდანაც სჩანს, რომ საზოგადოებაში თანდათან იზრდება მოთხოვნილება პატარა და ვიწრო კორსეტებზედ. ეს გარემოება ცხადი დამამტკიცებელია გადაგვარებისა და შემდეგი თაობის დაუძლურებისათ. ზოგი ამბობს, სთქვა ლექტორმა, რომ კორსეტი საზოგადოთ სხეულს სიკოხტავეს და სილამაზეს აძლევსო, მაგრამ ამნაირი შეხედულება უფრო დამახინჯებული და გაფუჭებული გემოვნების შედეგიაო. აბა, რომელი ეხლანდელი კორსეტიანი შეედრება სილამაზით და მოხდენილი ტანადობის ძველ ბერძნებისა და რომაელების ქალებს, რომელთა გამოქანდაკებულებას დიდს ქალაქებში აღტაცებაში მოჰყავს ყველა გონიერი და გემოგაუფუჭებელი ადამიანი.

ლექტორმა უჩვენა ბევრი მიზეზი, რომელთაგანაც დამოკიდებულია საზოგადოთ ჭლექით ავადმყოფობა. მსმენელთა ყურადღება მიაქცია საზოგადოთ სახლების, ეზოების და სკოლების ურიგოთ მოწყობაზე. სახლში ბავშვები მოკლებულნი არიან სუფთა ჰაერს, ქუჩებში იძულებულნი არიან ყლაპონ მტვერი, რომელსაც მოჰყვება ბევრნაირი ავადმყოფობა. 1885 წელს, პროფესორმა პავლოვსკიმ პეტერბურგში, სამხედრო მედიცინის ანატომიურ ინსტიტუტის ჰაერში აღმოაჩინა მიკრობები, რის გამოც ხდება ფილტვების ერთგვარი ანთება. ამავე ინსტიტუტის ჰაერში პროფ. პავლოვსკიმ აღმოაჩინა კიდევ თეთრი გროზდეკოკი და ყვითელი მიკრობი. 1888 წელს ექიმმა კორნეტმა აღმოაჩინა ჰაერის მტვერში ჭლექით ავადმყოფობის მიზეზი /*бугорковые палочки*/, მანვე აიღო მტვრის 147 ნიმუში და აუცრა 390 ცხოველს, რომლისგანაც ჭლექით ავად გახდა 59 /15%/ და სხვა სენით მოკვდა 196 ცხოველი /50%/. დოქტორმა გეინცელმა 1891 წელს, მტვრის 9 ნიმუშში აღმოაჩინა 145 თესლის სენი /*палочки столбняка*/, ამავე დროს ვოლგაზე გემების მტვერში დოქტორმა გრუბცევმა აღმოაჩინა ციმბირის ჭირის მიზეზები; უკანასკნელ დროს ნეაპოლში მტვერში აღმოუჩენიათ სხვა და სხვა ავადმყოფობის გამჩენი სოკოები. დოქტორს მოგუელს პარიზის საავადმყოფოში ერთს კუბიკურ მეტრს ჰაერში აღმოუჩენია 7510 სოკო /*микробы* /, მეორე საავადმყოფოში იმდენსავე ჰაერში აღმოუჩენია 26.900 სოკო. პარიზის ქუჩებში აღმოუჩენიათ 3480 სოკო ერთს კუბიკურ მეტრს ჰაერში. დოქტორმა სტრაუესმა პარიზში აღმოაჩინა შემდეგი: საავადმყოფოში სადაც ჩვეულებრივს დროს ერთი კუბიკური მეტრი ჰაერი იპყრობდა 1500 – 2000 ნასახს ჭირისას, დაგვის შემდეგ ჰაერის იმავე მოცულობაში აღმოჩენილა 466.000 ნასახი. დოქტორის ესმახის გამოანგარიშებით, ოთახის კედლებზე, რომელსაც სიმაღლე 3 და სიგრძე 5 მეტრი აქვს, არის და-

ახლოვებით 970.200 სოკო. აი, ის ჰაერი, რომელშიაც იმყოფებიან ბავშვები ქალაქებშიო.

სხეულის სისუსტისა და სისხლის ნაკლულევანების შედეგათ ლექტორმა აღიარა პესიმისტობაც. სისხლის დაკლება, ანუ ანემია შეადგენს საზარელს სასჯელს ადამიანისათვის, რომელზედაც ეს სენი ყველაზე უფრო ცუდათ მოქმედებს. სხვა მიზეზთა შორის, რომელთაც ახალთაობა მიყავს პესიმისტობამდის, ლექტორმა უჩვენა ყველა ის არანორმალური პირობები ცხოვრებისა, რომელშიაც იმყოფება ახალთაობა. დასასრულ ლექტორმა განაცხადა: საჭიროა, რომ ყველგან დაარსდეს ბავშვების ფიზიკურად აღზრდის დამხმარებელი საზოგადოება, როგორც არსებობს ამერიკაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ნორვეგიაში და ჩინეთ-იაპონიაშიც. ამ საზოგადოების მოქმედებათა შედეგი ცხადათ სჩანს მათის ანგარიშებიდგან. საზოგადო თამაშობამ, რომელიც დიდი ხანია შემოღებულია ხსენებულ სახელმწიფოებში, დიდი ხანია ყველას ყურადღება მიიპყრო, ჩვენში კი ჯერ მხოლოდ სალაპარაკოდ არის ქცეული. აგერ არსდება აქა-იქ რუსეთშიც საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს დაეხმაროს ახალთაობის სხეულის აღზრდას. ამისთანა საზოგადოება არის პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში.

ამის შემდეგ პატივცემულმა ლექტორმა საბაასო საგნად აიღო ქუჩის ბავშვების მდგომარეობა საზოგადოდ. განათლებულსა და შეგნებულს ქრისტიანულ საზოგადოებაში არ უნდა იყვნენ ბედისწერაზე მიგდებული და ყოველგვარ ტანჯვითა და წვალებით აღვსილი ბავშვები. ლექტორი დაწვრილებით შეეხო და გააცნო საზოგადოება ღარიბ ბავშვების მდგომარეობას დიდს ქალაქებში, სადაც ლექტორის სიტყვით, უბედური ბავშვები სხვა და სხვა პირობათა გამო, მოკლებულნი არიან წესიერად გამართულს ბავშვებისათვის მფარველობას: დაეხეტებიან ქუჩებში სამათხოვროდ და, რადგანაც გარს არტყიათ ბევრი მაცდურობაც, ხშირად მოხვდებიან ისეთს მიყრუებულსა და დაფარულს ადგილებში, სადაც სრულიად ილუპებიან და იხრწნებიან, როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივადაც. ლექტორმა ნათლად დაუხატა დამსწრე საზოგადოებას უბადრუკი მდგომარეობა და დალუპვა მფარველობას მოკლებულ ბავშვებისა, რომლებიც ხდებიან უმეტესად ქალაქის ცხოვრების არანორმალური პირობების მსხვერპლად. ლექტორმა დაანახვა საზოგადოებას, თუ რამდენი ღონე და საშუალება ეკარგება საზოგადოებას, როდესაც საწყალი და ბედშავი ბავშვები არ არიან გარშემორტყმულნი მფარველობის გონიერ სა-

შუალებით, რომ მიგდებულისა და ალაღბედმედ აღზრდილის ბენავ ბავშვებისაგან გამოდიან საზოგადოების მავნებელნი წევრნი და ავა-
ზაკებიც, რომელთა შენახვა ძრიელ ძვირად უჯდება საზოგადოებას
და სახელმწიფოს.

ლექტორმა მსმენელთა ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემო-
ებას, რომ ხშირად ქუჩებში მოტანტალე და მათხოვარა ბავშვები შეხ-
ვდებიან ქალაქის მკვიდრთა ბავშვებს, რომლებზედაც ცუდი გავლენა
აქვთ, რადგანაც ხშირად გაიტყუებენ მივარდნილს და მიყრუებულს
ადგილებში და გარდაქმნიან მათ ისეთ მავნებელ არსებად, როგორიც
თვითონ არიან. ამისთანა გარემოებასთან საბრძოლველად, ლექტო-
რის აზრით, საკმაო არ არის მარტო შემთხვევითი ქველმოქმედება
და კერძობითი წვლილის გამოღება; ამისათვის საჭიროა, რომ
ყველა დიდ ქალაქებში დაარსებულ იქმნას დღიური თავშესაფარი,
სასადილოები და „ბაგა“ /ЯСПИ/ და სხვა იმისთანა დაწესებულება,
რომელიც უმსუბუქებს ღარიბ-ღატაკ მცხოვრებს ყოველდღიურ
შრომით ბრძოლას ცხოვრებასთან, არ აცალკევებს მშობლებსა და
შვილებს, არ ასუსტებს ნათესაობითს კავშირს და გრძნობას, არ მო-
აკლებს ბავშვებს მშობლის ზრუნვას და აღერსს, რომელიც ჰშვენის
ოჯახის წევრთა შორის საჭირო და სასურველ კავშირის დაცვას; ამას
მოკლებულნი მშობლები და შვილები მიდიან სხვა და სხვა მხრით
და ხდებიან ერთმანეთისათვის უცხონი. დღიური თავშესაფარი, სა-
დაც ინახავენ და უვლიან საწყალ ბავშვებს 5-6 საათიდან საღამო-
მდის და სადაც ასწავლიან წერა-კითხვასთან ხელსაქმესაც, ყვე-
ლაზე უფრო გავრცელებულია ოდესაში, რომელიც ამ მხრით ბევრს
რუსეთის დიდს ქალაქებზე წინა დგას. რაც შეეხება ბავშვებისათვის
დახურულს თავშესაფრებს, რომლებიც ინახება კერძო საშუალებით
საქველმოქმედო საზოგადოებასაგან, ლექტორის აზრით, ვერ არის
კარგს ჰიგიენურსა და პედაგოგიურს პირობებში, ვერ ამზადებენ ბავ-
შვებს შრომით ცხოვრებისათვის და მისთვის ვერ ასრულებენ თავი-
ანთ დანიშნულებას, მიზანს.

ქუჩის ბავშვებზე გახრწნილობისათვის გავლენის მიზეზებთან სა-
ბრძოლველად ლექტორის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს საბავშვო
ბალებს გაშლილ ჰაერზე, სადაც იკრიბებიან საზოგადოთ სათამაშოდ
ბავშვები სხვა და სხვა წლოვანებისა და ჰპოულობენ კმაყოფილე-
ბას ბუნებით მიმზიდველობაში. ამისთანა ბალებში გაშლილს სუფთა
ჰაერზე ბავშვები თამაშობენ, მღერიან, კითხულობენ და, რადგანაც
გამოცდილ მასწავლებლების ყურადღების ქვეშ იმყოფებიან, ამიტომ
შესამჩნევად უმჯობესდებიან ყოველის მხრით.

„საბავშვო ბავშვთა ჰაერზე“ – რუსეთში პირველად გამართულ იქმნა ოდესაში. ამის მიხედვით უკანასკნელ დროს რუსეთის სხვა ქალაქებშიაც იმართება იმისთანა ბალები, რომლებიც შველიან აღზარდონ ბავშვებში საზოგადოებრივი გრძობის და გაუმადრონ სხეული; ამიტომ ამისთანა ბალები სასურველია საზოგადოდ ყველა ბავშვებისათვის.

დასასრულ, ლექტორმა უჩვენა აუცილებელი საჭიროებაზე, რომ გამართულ იქმნას „ბავშვების მფარველი საზოგადოება“ უფრო ფართო საფუძველზე, რადგანაც წუხილი საწყალ ბავშვებისა საზარელია და მფარველობა კი შემთხვევითი და ამიტომ არა საკმარისი. ამისთანა საზოგადოება მთელს რუსეთში მხოლოდ ორს ადგილას არის, პეტერბურგში და მოსკოვში. „თუ საზოგადოება გაიმსჭვალეა ღრმა შეგნებით, რომ ახალი თაობა იქმნას აღზრდის კარგს პირობებში, – დაასრულა ბ. რადეცკიმ თავისი მეორე ლექცია, – მაშინ, ცხადია, გამოჩნდებიან უფრო სასარგებლო და ჯანსაღი კაცები და მოქალაქენი, რადგანაც ბავშვებში არის კაცობრიობის მომავალი და მხოლოდ ბავშვებით იძენს ხალხი სრულმყოფელობას და აღწევს ბედნიერებას.

ბ. რადეცკის ლექციამ საზოგადოთ კარგი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, ბევრმა განაცხადა სურვილი გამხდარიყვნენ წევრებად და ბევრი კიდევ ჩაეწერნენ. ბ. რადეცკის აზრით, ტფილისში უნდა დაარსდეს პეტერბურგის „ბავშვების მფარველი საზოგადოების“ განყოფილება და ამ განყოფილების წევრებად უკვე ჩაეწერნენ ორასამდე პირნი ორივე სქესისა.

სამრევლო სკოლის მასწავლებელთა კრება ქუთაისში

ერთი კვირაა, რაც სამრევლო სკოლის მასწავლებლები იკრიბებიან ქუთაისში კურსებზე დასასწრებლად ლექციებისა და სამაგალითო გაკვეთილების მოსასმენად. ამჟამად ქუთაისში ორასზე მეტი სამრევლო სკოლის მასწავლებელია შეკრებილი. სასიამოვნო სანახავია, როდესაც ეს პატიოსანნი მუშაკნი ხალხთა განათლების საქმეში გულმოდგინედ ისმენენ ყველაფერს, რაც კი შეეხება მასწავლებლობას, რომ ცოტა თუ ბევრად სწავლით აღჭურვილებმა უფრო ნაყოფიერად განაგრძონ ხალხში განათლების გავრცელება.

ქუთაისში მოწვეულნი არიან გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპარქიების სამრევლო სკოლის მასწავლებლები. ბინად ზოგნი სასულიერო მასწავლებლის შენობაში არიან და ზოგიც კერძო სახლში.

ჩვენ დავესწარით მასწავლებელთა კრებას რვა ივლისს და მოვისმინეთ ლექცია პედაგოგიკისა, რომელსაც უკითხავდნენ სამრევლო სკოლის მასწავლებლებს, – ორი სამაგალითო გაკვეთილი და ერთიც გალობის გაკვეთილი. ყველა ამან გასტანა 12 საათამდის. ამის შემდეგ სამ საათამდის მასწავლებლებს მოსვენება ჰქონდათ და შემდეგ ლექციები სამეურნეო საგნებიდან და პრაქტიკულად სწავლება ფერმაში საბაღოსნო სკოლასთან.

რადგანაც თავისუფალი დრო არა გვქონდა, ამიტომ სამეურნეო საგნების სწავლება არ მოგვისმენია, ვეღარ დავესწარით სამეურნეო საგნის ლექციებს, რომ სრული წარმოდგენა შეგვედგინა ახლად გამართულს მასწავლებელთა კურსებზე. რაც კი ვნახე, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: ლექციამ, სამწუხაროდ, ვერც ჩემზე და ვერც ბევრ სხვამდე ვერ იმოქმედა სასურველად. ძნელი იყო გამოცნობა იმისა, თუ რა შეადგენდა საუბრის საგანს. ხშირად ლექტორისაგან გაიგონებდით ბევრს სხოლასტიკურსა და პარადოქსალურ აზრებს, რომლის ნიმუშს აქვე მოვიყვანთ: „სამღვთო სჯულის სწავლების დროს საჭირო არ არის აუხსნათ ბავშვებს შინაგანი აზრი საგნისა, მაგ. „მამაო ჩვენოს“ სწავლების დროს შესაძლებელია აუხსნათ მხოლოდ სიტყვები „არსებისა“ და „ბოროტისაგან“. რასაკვირველია, ეს სხოლასტიკური აზრი არ მოეწონებოდა არცერთს სამრევლო სკოლის მასწავლებელს, რომელსაც „иньяснительная записка“ საღმრთო რჯულის სწავლებისა მაინც აქვს წაკითხული, სადაც ცხადად არის ნა-

თქვაში და დამტკიცებული ვისგანაც ჯერ არს, რომ ყველა სასწავლო საგნისა და საღმრთო რჯულის შესახებაც ცხადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ბავშვს, როგორც გარეგანის განმარტებით, ისე შინაგანის აზრის შეთვისებითაც. ჩვენ ეს ჭეშმარიტება საანბანოდ მიგვაჩნია და ამის გამო ლაპარაკსაც არ განვაგრძობთ.

შემდეგი მარგალიტი პატივცემულის ლექტორისა იპყრობს სამდურავს ახალი სკოლებისას, სადაც ისეთს რასმე ასწავლიან თურმე მოსწავლეებს და ჰკარგავენ უბრალოდ დროს, რაც ბავშვებმა მასწავლებლებზედ უფრო გაცილებით კარგად იციან /?/. ამ აზრის დასასაბუთებლად ლექტორმა მოიყვანა მაგალითად ძროხის აღწერილობა და დასძინა, რომ ერთს გაკვეთილს ანდომებენ იმას, რომ ათქმევინონ ბავშვს სად ახია ძროხას კუდიო, რაც ბავშვმა ისიც კარგად იცისო. ჩვენ შეგვიძლიან კიდევ ბევრი მარგალიტი ამოგვეკრიბა ლექტორის სიტყვებიდგან, მაგრამ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

სასურველია მხოლოდ, რომ შემდეგში დაცული იქნას ჭეშმარიტი თანამედროვე შეხედულობა ყველა საგნისა და არ შეიქმნას ჩვენში „სტოლიპინიზმობა“, რომლის წინააღმდეგ სახელოვნად იბრძოდნენ რუსების შესანიშნავი პედაგოგები და დიდი ხანია გაიმარჯვეს კიდევ. იმედა, რომ პატივცემული ლექტორი შემდეგში ეცდება ნამდვილი გონივრული აზრები აღზრდისა და სწავლის მხრით ჩაუნერგოს გულში სწავლით მამვრალთ გამოუცდელ მასწავლებლებს.

დავესწარი აგრეთვე სამაგალითო გაკვეთილებსაც. პირველი გაკვეთილი მისცა პეტრიაშვილის სკოლის მასწავლებელმა ლ. ხმალაძემ, რომლის მეცადინეობამ ერთსა და იმავე დროს სამს განყოფილებაში კარგად იმოქმედა ყველაზე. უმთავრესს ღირსებას გაკვეთილებისას შეადგენდა ის, რომ სრულიად დაცული იყო გაკვეთილზე თვითმოქმედების წესები. ბ-ნ ხმალაძის გაკვეთილს დასწრებია წინა დღით მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა ექსარხოის ვლადიმერი, რომელსაც გაკვეთილი ძლიერ მოსწონებია. ბ-ნ ხმალაძის გაკვეთილს ცოტა მასწავლებლები დაესწრნენ, რადგანაც საკლასო ოთახში ბევრის დატევა შეუძლებელი იყო. მეორე გაკვეთილი მისცა ერთმა „ნორმალური“ სკოლის მასწავლებელმა ყველას რომ თვალსაჩინოდ დაენახა ეს სამაგალითო გაკვეთილი. სკოლა გაიმართა მღვდელმთავრის ეზოში, დიდს ასწლოვან ხის ჩეროში. მასწავლებელი თითონ მეცადინეობდა პირველს განყოფილებაში, ხანდახან მიაკითხავდა სხვა ორს განყოფილებასაც, მაგრამ, რადგანაც ამ ორს განყოფილებაში მთელის საათის განმავლობაში ბევრი არა გაკეთე-

ბულა რა, ამიტომ იმათ შესახებ არას ვიტყვით. რაც შეეხება პირველ განყოფილებას, რომელშიაც მეცადინეობდა მასწავლებელი, უნდა ვსთქვა, რომ ბევრი სამაგალითო ნიმუში ვერც აქ შევნიშნეთ. მასწავლებელი ბავშვების მოყვარული უნდა იყოს. ეს ისეთი კარგი თვისებაა, რომ ამ გრძნობით აღჭურვილს მასწავლებლებს ბევრი ნაყოფის მოტანა შეუძლიან მოსწავლეთათვის. რაც შეეხება გაკვეთილს, იმას ბევრი რამ აკლდა, რაც ფრიად საჭიროა მისთვის, რომ მოსწავლე პირველ დღიდგანვე უცქერდეს სწავლას, როგორც რაიმე სერიოზულს და არა სიცილ-ტირილის გამომწვევ საგანს. მასწავლებელი ხშირად ეტანება ეფექტებს და ეს უშლის საქმეს. გაკვეთილზედ ტიროდა თვითონ მასწავლებელი, ატირებდა მოსწავლეებსაც და ეს იწვევდა ხარხარს, როგორც მოსწავლეების, ისე დამსწრე მასწავლებლებისას. ამნაირად გამოდიოდა სწავლება კი არა, რაღაც კომედიისებრივი გართობა. ჩვენ სრულიად არა გვსურს ჩვენი წერილით ვაწყენინოთ ვისმე და ამიტომ ვიცით სამართლიანს შენიშვნას არც არავინ იწყენს.

მასწავლებელს უნდა ეჩვენებინა პირველი გაკვეთილი სკოლაში, ამისთვის აიღო სიტყვა „ია“ და დაუწყო წვალეზა – დაყოფა ხმებად, გამოცდილს მასწავლებელს ეს არ ეპატიება. მან კარგად უნდა იცოდეს, რომ სიტყვების ხმებად დაყოფით პირველი გაკვეთილი არ დაიწყება. ამას სხვა სავარჯიშოები უძღვის წინ, როგორც მაგალითად: საუბარი სკოლის წესრიგის შესახებ, წინადადების სიტყვებად დაყოფა და შედგენა, სიტყვების მარცვლებად და ამ უკანასკნელის ხმებად დაყოფა და სხვ. ეს თანდათანობა რომ დაეცვა მასწავლებელს, არც გაკვეთილი გამოვიდოდა გაჯახირებული. ნაკლულევიანებად უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ სამაგალითოდ მიცემულს გაკვეთილებს არ არჩევენ. ამის გამო ბევრს მასწავლებელს არ ექნება რიგიანი, შეგნებული სწავლების წესები, პირიქით, როცა არჩევენ რომელსამე გაკვეთილს მისი ღირსება-ნაკლულოვანების ჩვენებით, კრიტიკულად განხილვით, მასწავლებელი უფრო კრიტიკულის თვალთ დაუწყებს ყურებას როგორც სხვის მოქმედებას, ისე თავის თავსაც და ეს საუკეთესო საშუალებაა წარმატებისათვის. სასურველია, აგრეთვე, რომ გაკვეთილები მისცენ თვითონ სამრეველო სკოლის მასწავლებლებმაც.

ყველაზედ უფრო ძნელ საქმედ მიაჩნიათ მასწავლებლის მეცადინეობა ერთს დროს სამს განყოფილებაში. ეს საქმე ძნელია მასწავლებლისათვის, რადგანაც ყურადღება დანაწილებული უნდა ჰქონდეს სამივე განყოფილებისათვის, რომელიც ძალიან ასუსტებს მასწავლებლის ნერვებს და ღლის კიდევ. მაგრამ ეს საშუალება, ესე

იგი, ხშირი გადასვლა ერთის განყოფილებიდან მეორეში და მეორიდან მესამეში, საუკეთესოდ არის აღიარებული ყველგან სწავლების წარმატების მხრივ, ამას ნათლად დაინახავდა ყველა მასწავლებელი ხმალაძის გაკვეთილებიდან.

გალობის გაკვეთილებს მასწავლებელთა კურსებს ასწავლის სამეგრელო-იმერეთში ცნობილი მეგალობე დიტო ჭალაგანიძე. ჩემს დროს „რომელი ქერაბიმთას“ აგალობებდა. ეს საგალობელი ძალიან რთულია და ამის გამო გალობაც უჭირთ, როგორც ეტყობოდათ ერთისა და იმავეს რამდენჯერმე განმეორებით. ბ-ნ დიტოს წესად აქვს შემოღებული, რომ საგალობლები ასწავლოს იმ მიყოლებით, როგორც წირვაზე ითქმის. ამის გამო გალობის სწავლებაში არ არის დაცული ის წესი სწავლებისა, რომელიც მოითხოვს ჯერ ადვილისა და შემდეგ ძნელის საგალობლების შესწავლას. ის საგალობლები, რომელიც ერთის ხმით იწყება და ერთს კილოზედ იგალობება, შეიძლება ითქვას ერთი მეორეს მიყოლებით, აქ კილო საზოგადო იქნება, მხოლოდ სიძნელეს სიტყვების შესწავლა შეადგენს. ბ-ნი დიტო „რომელი ქერაბიმთას“ მხოლოდ სმენის საშუალებით აგალობებდა, მაშინ, როდესაც ნოტები დიტომაც კარგად უნდა იცოდეს და ცოტად თუ ბევრად არც მასწავლებლები იქნებიან უვიცნი ნოტებისა. ნოტებით სწავლა გალობისა უფრო ადვილია, რადგანაც, ყურის გარდა, იგი თვალებითაც ჰმოქმედობს ჩვენზედ, რის გამოც შეთვისება გვიადვილდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა კრებას იმ მხრივაც, რომ შემთხვევა ნებას აძლევს მასწავლებლებს მოილაპარაკონ საზოგადო საქმეზე, დაამკვიდრონ ერთურთში მკვიდრი ერთობა, რომელიც შეადგენს ქვაკუთხედს ყველა საქმისას. არაფერს საქმეში ისე არაა საჭირო ერთობა, როგორც სწავლის საქმეში. ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ამბავი, რომ გურია-სამეგრელო-იმერეთის ყველა სამრევლო სკოლაში სახელმძღვანელო წიგნებად შემოღებული აქვთ ჩვენი პატივცემულის პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის წიგნები, რომლებიც, როგორც სასულიერო მთავრობას, აგრეთვე სამრევლო სკოლის მასწავლებელთაც საუკეთესო სახელმძღვანელოდ მიაჩნიათ. სამწუხაროდ სამინისტროს სკოლებში ყველგან არ არის შემოღებული მისი წიგნები, განსაკუთრებით „Русские слова“, რომელიც ერთს საუკეთესო განძს შეადგენს რუსულს საპედაგოგო მწერლობაში, განსაკუთრებით მეორე ნაწილი, რომელიც, როგორც გაზეთებიდან ვუწყით აფხაზეთის სკოლებშიაც უნდა შემოიღონ სახელმძღვანელოდ.

მცირე შენიშვნა

ჩვენში ხშირად გაიგონებდით სამდურავს იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოება დიდს გულგრილობას იჩენს სწავლა-აღზრდის საქმეში. თუ ეს სამდურავი სამართლიანია, ამის მიზეზი უნდა იყვნენ ჩვენი ბური მასწავლებლები და შეგნებულნი, რომლებიც არა ცდილობენ გაავრცელონ ჩვენს საზოგადოებაში საღი შეხედულება საპედაგოგიო საგნების შესახებ.

ჩვენში ორიოდე კაცის მეტს საპედაგოგიო საქმის გამო ზრუნვა საჭიროდ არ მიაჩნია, მაგრამ აქაც, სამწუხაროდ, ვხედავთ არასასურველს და სასარგებლო მოვლენას – რასაც აკეთებს ერთი, მეორე სცდილობს იმის დაქცევას და განადგურებას, ამიტომ ერთობა, საზოგადო საქმის სიყვარული და არა კერძო ინტერესებით გატაცება ჩვენში, როგორც ყოველ საქმეში, ისე საპედაგოგიო საგნებშიაც, იშვიათს მოვლენას შეადგენს. თუ ერთობა საჭიროა სადმე და მოითხოვება კიდევ, ეს პირველად მასწავლებელს უნდა მოეთხოვოს, რადგან ისინი ადგანან ისეთს წმინდას, საშვილიშვილო საქმეს, რომელშიაც მცირე შეცდომასაც თავისი გავლენა აქვს. ერთობა რომ არა გვაქვს, ამიტომ მიდის ჩვენი საქმეებიც უკუღმართად, ბევრს მასწავლებელს ებადება სურვილი გააკეთოს ხალხისათვის რაიმე სასარგებლო საქმე, მაგრამ მათ პედაგოგობის სახელის მოსახვეჭად მიაჩნიათ რაიმე სახელმძღვანელოს თარგმნა ბავშვებისათვის, მიუხედავად იმისა, საჭიროა იგი თუ არა. ამნაირ შეხედულობას ზოგი ჩვენი მწერლებიც კი მხარს აძლევენ და აქებებენ: ვინძლო შენც შეადგინო კარგი წიგნი, სახელიც მოიხვეჭო და ცხოვრების წყარო გაიჩინო. ჩვენს დროსა და გარემოებაში მყოფი ხალხისათვის ეს აზრი ფრიად მავნებელი უნდა იყოს, რადგანაც ამ საქმეში მეტოქეობა არავის ხეირს არ დააყრის და საზოგადო საქმეს უფრო ავნებს. ეს აზრი ჩვენ წარმოგვათქმევინა ამ დღეებში დასტამბულმა წიგნმა, რომელსაც სახელად ეწოდება „ბავშვების მოკეთე“. ეს წიგნი შეუდგენია ბ-ნს ალ. ნათაძეს, გამოუცია ამხანაგობას და იპყრობს თავის შორის ანბანს და პირველსაკითხავ წიგნს სკოლებში სახმარებლად.

როდესაც რომელსამე სახელმძღვანელო წიგნს ადგენენ, უეჭველად სახეში უნდა ჰქონდეს შემდგენელს არსებულ წიგნზე უკეთესი შეადგინოს და ამნაირად წინ წასწიოს სამშობლო ენის შესწავლის

საქმე, როგორც ოჯახებში, ისე სკოლებშიც. ბ-ნი ნათაძეც ალბათ ამ მოსაზრებით ჰხელმძღვანელობდა თავისი წიგნის შედგენის დროს, მაგრამ განახორციელა ეს აზრი თუ არა, ამას ნათლად დაინახავს ყველა, ვინც გადაათვალიერებს ხსენებულ წიგნს და ვისაც ცოტად მაინც ესმის ღირსება პირველდასაწყისის სახელმძღვანელოსი.

ჩვენ გვახსოვს ბ-ნ ნათაძის აზრი, წარმოთქმული ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენის პატივცემულის პედაგოგის ი. გოგებაშვილის „დედაენის“ შესახებ. ეს აზრი წარმოითქვა მაშინ, როდესაც „დედაენას“ უფრო ნაკლულევანება ეტყობოდა, ვიდრე დღეს. აი, რასა სწერდა ბ-ნი ნათაძე თავის „მეთოდურს სახელმძღვანელოში“ /იხ. გვ. 23/: „ქართულ გამოცემებში სრული უფლება და წინამძღოლობა ბ-ნ გოგებაშვილის „დედაენას“ უნდა დავუთმოთ, რადგანაც ეს სახელმძღვანელო ცოტად თუ ბევრად დაფუძნებულია უტყუარ პედაგოგიურ ჭეშმარიტებაზე და მასალით მშობლიურ ნიადაგზეა აღმოცენებული“. ეხლა ბ-ნის ნათაძის აზრით, რომელიც მისის შედგენილ წიგნიდგანა სჩანს, არც მშობლიური ნიადაგია საჭირო და არც უტყუარი პედაგოგიური ჭეშმარიტება. ეხლა საჭიროა მხოლოდ გაცივრო რომელიმე უცხო ენისა და ხალხის სახელმძღვანელო, თუ გინდა უშინსკის „Родное слово“, გადმოაქართულო და სახელმძღვანელოც მზათ იქნება. და სახელად „ბავშვების მოკეთე“ ეწოდება. ამ უბრალო აზრს ვერ მიხვდა მხოლოდ ჩვენი პატივცემული პედაგოგი ი. გოგებაშვილი და ვერც რუსების განსვენებული პედაგოგი უშინსკი, თორემ ეს უკანასკნელი არ აღიარებდა, რომ პირველდასაწყისის წიგნის შედგენა ერთი უძნელესი ამოცანაა მთელს დიდაქტიკაში.

ჩვენ არ შევალთ ამჟამად ბ-ნ ნათაძის წიგნის განხილვაში, რადგანაც, ჩვენის აზრით, სადაც ისეთი სრული, ვრცელი, სისტემატიურად შედგენილი და ხელოვნურად დასურათებული წიგნი მოგვეპოვება, როგორც არის „დედაენა“ ი. გოგებაშვილისა, რომლითაც ცოტად თუ ბევრად შეგნებული და პედაგოგიის მხრივ განვითარებული ერი იამაყებდა კიდეც, იქ ჩვენ „ბავშვების მოკეთეს“-მაგვარ სიფრიფანა და ძალად გაბერილ კომპილიატიურ ნაწარმოების გამო, რომელიც ვერ გაუძლებს მიუდგომელ კრიტიკას, ლაპარაკი ზედმეტად მიგვანჩია; მხოლოდ გვაკვირვებს ერთი გარემოება, რომელიც ასე თუ ისე ახასიათებს ზოგიერთების გემოვნებას – არიან თურმე ჩვენში ისეთები, რომლებიც „ბავშვების მოკეთეს“ „დედაენაზედ“ უკეთესად სთვლიან. ეს თუ ასეა, ჩვენ ერთი საქმე დაგვრჩენია კიდეც – განსვენებულს ახპატელოვს აქვს დასტამბული ქართულად თარგმნილი ბუნაკოვის ან-

ბანი. რადგანაც ბუნაკოვის ანბანი მთელს რუსეთში ერთი საუკეთესო ანბანთაგანია, მაშ ჩვენშიაც კარგი იქნება, მითუმეტეს ეს ანბანი აჯობებს ბ-ნ ნათაძის ანბანსაც და შემოვიღოთ კიდევ.

რომ უსაბუთო ნალაპარაკედად არავინ ჩამომართვას გემოთ ნათქვამი, აქვე მოვახსენებ პატივცემულ მკითხველს, რომ გარდა ოცდათორმეტის სასაუბროსი, რომელიც თითქმის სრულიად გადმოღებულია უშინსკის „Подное слово“-დგან „ბავშვების მოკეთეს“ ავტორს იმავე წიგნიდგან გადმოუთარგმნია ოცდახუთამდის სხვა და სხვა მოთხრობა და ზღაპარი, რომელიც სასაუბროებთან ერთად შეადგენს წიგნის ნახევარზედ მეტს მასალას. ბ-ნ ნათაძეს ისეთი ზღაპარი და სტატიებიც კი უთარგმნია უშინსკის წიგნიდგან, მაგ.: „Козлятка и волк“, „Школа и поле“, როდესაც მთავრობაც ატოვებინებდა მასწავლებლებს როცა „Подное слово“-ს ასწავლიდნენ ჩვენს სკოლებში, რადგანაც ვერაფერ შესაფერისს მასალას ვერ წარმოადგენდნენ ბავშვების გონების სავარჯიშოდ. ამიტომ, ჩვენის აზრით, „ბავშვების მოკეთე“ ვერაფერი მოკეთე იქნება ვერც ჩვენის ბავშვებისათვის და ვერც „დედაენისათვის“, როგორც სახელმძღვანელო წიგნი.

ჩვენის აზრისა და შეხედულების უფრო უკეთ დასასაბუთებლად, თუ გარემოებამ მოიტანა, ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი, როდესაც ბ-ნი ნათაძე დაჰბეჭდავს სახელმძღვანელოს მასწავლებელთათვის. მხოლოდ შევნიშნავთ აქვე, ბ-ნ ნათაძეს რომ ეთარგმნა და გაეგრცელებინა იმისთანა წიგნები, როგორიც არის ბემეს წერილები და სხვა, უფრო დიდს სარგებლობას გაუწევდა საზოგადოებას, ვიდრე გამოცემა და ისიც სახელმძღვანელოდ იმისთანა მჭლე და უფერულის წიგნისა, როგორიც არის „ბავშვების მოკეთე“, რომლის გადასინჯვის დროს ერთმა სამრევლო სკოლის მასწავლებელმა სამართლიანად შენიშნა: „ეს ბავშვების მოკეთე კი არა, ნამდვილი მტერიაო“.

კიდევ „ბავშვების მოკეთის“ გამო

/პასუხად ბ-ნ. ა. ნათაძეს/

„ვინც სახნავი უკუღმართად,
მრუდედ ჰხნას და სთესოს, ჰფარცხოს,
ის მე პურსა ნულარ მაჭმევს
რაც იმ ფეკვილით გამოაცხოს.“

დ. გურამიშვილი

ჩემმა მცირე შენიშვნამ, რომელიც დასტამბული იყო „ივერიის“ 153-ე ნომერში და რომელიც, სხვათა შორის, „ბავშვების მოკეთესაც“ შეეხებოდა, ბ-ნ ალ. ნათაძის მხრით გამოიწვია ვრცელი წერილი რედაქციის მიმართ /იხ. „ივერია“ №182/. ჩემს შენიშვნას ავტორი ისე გაუფიცებია, რომ „ბევრჯელ ისე იმწვიტინოს, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა“.

ბ-ნი ნათაძე, რომელსაც, რასაკვირველია, არაფრად ეპრიანა ჩემი შენიშვნა, ნაღვლიანად ამბობს თავის წერილში, რომ არავინ აღმოჩნდა ჩვენში იმისთანა მადლიანი პედაგოგი, რომელსაც გაერჩია ხსენებული წიგნი და გადაეწყვიტა: „ყოფნა თუ არ ყოფნა ამ წიგნისაო“. ჩემის წიგნის შესახებ მართო ბოცვაძემ ამოიღო ხმა, მაგრამ ხმა საქმის გაურჩევლობისაო, რადგანაც ბოცვაძე იმ ბრალსა მდებს მხოლოდ, რომ წიგნში ოცდახუთი ნათარგმნია „Подное слово“-დგან და ძალად გაბერილს კომპილიატიურს ნაწარმოებს წარმოადგენს, რისთვისაც წიგნი გარჩევის ღირსიც არ არისო.

ჩემს შენიშვნაში მე უფრო მეტს ბრალსა ვდებდი ბ-ნ ნათაძეს, მაგრამ ამას ყველას გვერდს უხვევს. მე ვამბობდი, რომ 32 სასაუბროს გარდა /უნდა იყოს საგნების კლასსიფიკაციისა/, რომელიც სრულიად გადმოღებულია უშინსკის „Подное слово“-დგან „ბავშვების მოკეთეს“ ავტორს, იმავე წიგნიდან გადმოუთარგმნია 25-მდის სხვა და სხვა მოთხრობა და ზღაპარი, რომელიც სასაუბროებთან ერთად შეადგენს წიგნის ნახევარზედ მეტს მასალას. ამას დაუმატეთ თხუთმეტზედ მეტი საპასუხო, რომელიც შემდეგ შევნიშნე, როგორც გადმოღებული უშინსკის წიგნიდან და მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ „ბავშვების მოკეთე“ იგივე ქართულად გადმოჩიქორთებული „Подное слово“ -ა მასალითაც და სისტემითაც.

ბ-ნი ნათაძე ჰბრძანებს: „მთავრობამ იმისთვის აღკრძალა ზოგიერთი სტატიები და ზღაპრები „Родное слово“-ში, რომ ისინი დაწერილია ხალხურის ენით, რომელიც კავკასიელი ბავშვებისათვის გაუგებარია /ვითომ რუსული ლიტერატურული ენა ჩინებულად იციან/, თუმცა კი შინაარსი მეტად მარტივია და ბავშვების გამტაცებელი“. ბ-ნ ნათაძეს გაუგონია რაღაც ამ საგნის შესახებ, მაგრამ დაწვრილებით ვერ გამოუკვლევა. მთავრობა ჩვენში მარტო ზემო მოყვანილის მოსაზრებით არა ჰხელმძღვანელობდა „Родное слово“-დგან ზოგიერთი სასწავლო მასალის გამოტოვების დროს; ჩემ მიერ დასახელებული მასალა არცერთი არ არის ხალხურის ენით დაწერილი, არამედ შეიცავს ნამდვილს რუსულს ლიტერატურულს ენას. აქ სამოსწავლო მთავრობას ჰქონდა სახეში შემდეგი მოსაზრებაც: ზოგიერთი ზღაპრები „Родное слово“-ში ვერავითარს ზნეობრივს საზრდოს ვერ იძლევა ბავშვების ტკუა-გონებისათვის, იმ ზნეობრივ საზრდოს, რომელიც უნდა შეადგენდეს უმთავრესს ღირსებას საბავშვო ზღაპრებისას: ზოგიერთი მასალა „Родное слово“-ში ისე დაშორებულია ადგილობრივ ნიადაგს, რომ მისი თვალსაჩინოდ შესწავლა ჩვენებურ და ყველა უცხო ერის ბავშვებისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს: მაგალითად, „Родное слово“-ს II ნაწილში არის აღწერილი რუსის გლეხკაცის ქოხი. აწერილობა პოეტურია, ნამდვილის ლიტერატურული ენით, მაგრამ მთავრობა სტოვებდა ამ ლექსს იმისთვის, რომ რუსის გლეხის ქოხი კავკასიელ ბავშვებს არასოდეს არ უნახავს და განყენებულით საგნის შესწავლა თუთიყუშური გაზეპირება იქნებოდა, რომელიც უხშავს სულიერ ძალას განვითარებას. მეორე აღწერილობა, რომელიც მე მოვიხსენიე, — „Школа и поле“ უშინსკის აქვს „Родное слово“-ს მეორე ნაწილში, თითქმის მეორე წიგნის ბოლოშია მოქცეული, რვა-ცხრა წლის ბავშვისათვის სკოლისა და მინდვრის შედარება ძალზედ აღმატებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამისათვის საჭირო ცნობები ბავშვს წინდაწინ უნდა ჰქონდეს შეძენილი; შედარებითი სწავლება და ლოგიკური ვარჯიშობა უკეთესი საშუალებაა სწავლის კარგად შეთვისებისათვის და გონების განვითარებისათვის, მაგრამ ამნაირი სავარჯიშო თავდაპირველად ბავშვის სულიერ ძალ-ღონეს აღმატება და ვერც საგანს აღწევს, როგორც შედარება განყენებული საგნებისა: „В начальном преподавании следует обращать преимущественное внимание не на логические упражнения, а на обогащение учеников познаниями“ /Педагогика Докучаева, стр. 84/

ბ-ნი ნათაძე განაგრძობს: „განა გაჰბედავს ვინმე და უშინსკის დაუწუნებს „Родное слово“-ს რომელიმე სტატიას? ამისათვის, რომ

უშინსკი შესანიშნავი პედაგოგი იყო, განა შეიძლება მისი სახელმძღვანელოები დღესაც უნაკლულო იყოს? განსვენებული უშინსკი თავის სიცოცხლეშივე ატყობდა თავის სახელმძღვანელოებს ნაკლულოვანებას, სცდილობდა ყოველთვის შეცდომათა გასწორებას, დღემდის რომ ეცოცხლა, მისი წიგნებიც ბევრად შეცვლილი იქნებოდა, მაგრამ განსვენებულის შემდეგ არავინ აღმოჩნდა მეორე უშინსკი, რომ დრო-ჟამის მოთხოვნილებისდაგვარად შეეცვალა სახელმძღვანელო წიგნებიც. ამ ჟამად უშინსკის „Родное слово“-ს რუსეთშიაც იშვიათად ჰხმარობენ.

ბ-ნ ნათაძის განსაცვიფრებლად რუსეთში არა ერთია იმისთანა პედაგოგი, რომელიც „Родное слово“-ს აძაგებდეს. აი ამ საგნის შესახებ რასა სწერს რუსეთის ერთი ცნობილი მწერალი-პედაგოგი ჟიტომირსკი /იხ. ოსტროგორსკის პედაგოგიური კრებული ამ წლის იანვრის №, გვ. 75/: „Из всех учебников, смещения грамотности в тесном смысле и первоначального чтения, как воспитательного начала, нет только в учебниках отца нашей педагогики в „Родном слове“ Ушинского. Может быть потому учебник этот так усердно изгоняется из народных школ; его охотно изгнали бы из семьи, если бы домашнее обучение контролировалось учебным начальством. Все прославляют Ушинского и все усердно вытесняют его учебник из народных школ мерами, которые с конкуренцией добротности предлагаемого материала ничего общего не имеют“.

აი, ამისთვის არ ჰხმარობენ უშინსკის წიგნებს რუსეთის სკოლებშიაც კი, თუმცა, ბ-ნ ნათაძის აზრით, ვინღა გაბედავს არა თუ მთელი სახელმძღვანელო, არამედ ერთი წერილი დაუწუნოს უშინსკის, რომლის სახელმძღვანელოების ქართულად გადმომახინჯება ბ-ნ ნათაძეს მიაჩნია სასარგებლო და საკეთილდღეოდ ჩვენებურ ბავშვებისათვის.

ჩვენს მცირე შენიშვნაში გამოვთქვით მხოლოდ საზოგადო აზრი „ბავშვების მოკეთეს“ შესახებ. საგანი კი, ისე საყურადღებოდ მიგვაჩინია, რომ მისი გამორკვევა საჭიროდ დავინახეთ; თავიდგანვე წიგნის დაწვრილებით გარჩევას არ შევუდექით; რადგანაც ერთი გარემოება რომელიც რთულად ჰხდის რეცენზენტის მიერ საგნის რიგიანად, სავსებით გამოკვლევას და უტყუარის მსჯავრის დადებას, ჩვენც ცოტად თუ ბევრად ხელს გვიშლიდა. ეს გარემოება გახლდათ ის, რომ წიგნს არავითარი არც წინასიტყვაობა მიუძღვის და არც მასწავლებელთათვის სახელმძღვანელო, რომელშიაც განმარტებული იყოს ავტორის აზრი, შეხედულობა, მისი თვალთახედვის ისარი, დამაჯერებელი საბუთები და სხვ. რაც უნდა დაგვარწმუნოს ბ-ნმა ნათაძემ,

ჩვენ მაინც გვჯერა, რომ მასწავლებელთათვის სახელმძღვანელო დიდს შემწეობას გაუწევდა როგორც ავტორს, აგრეთვე რეცენზენტსაც გაუადვილებდა საქმის საბოლოოდ გამოკვლევას. ბ-ნ ნათაძეს რომ არ გამოეცხადებინა, მზადდება და მოკლე ხანში დაიბეჭდება სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის, რეცენზენტი იფიქრებდა, რომ ამ წიგნს არავითარი განმარტება არ ექნებაო და დაწვრილებით გარჩევასაც სხვა გზით შეუდგებოდა.

მე რომ ჩემს მცირე შენიშვნაში ყველა ნაკლულევანება არ ჩამოვუთვალე ბ-ნ ნათაძეს მისი წიგნის შესახებ, ეს კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ მე მცირეოდენ პედაგოგიურ ალღოს და ბავშვების ძალღონის განვითარების კანონების ცოდნასაც მოკლებული ვიყო. თავის ქება კიტრად ღირსო, ნათქვამია, და არც მოგახსენებთ რასმე ჩემს შესახებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ბ-ნი ნათაძე ასცილდა პირდაპირ გზას პოლემიკისას და ალბად თავის წერილსაც იმისთვის მისცა ამისთანა სათაური: – „უცნაური კილო პოლემიკისა ჩვენში“.

ბ-ნი ნათაძე ამბობს, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელოები ჩვენში „აუარებელი ანდაზების, გამოცანების, სენტენციების გაკვეთით სცდილობს ცალიერ მეხსიერების გახსნას ბავშვებში და თავისუფალი აზროვნების ნიჭისა და თვითმოქმედების უნარის დახშობას“. ეს ზემოთ ამოწერილი აზრი ბ-ნი ნათაძისა, ეხლანდელს დროში, პსიხოლოგიურად რომ გასინჯოს კაცმა, წარმოადგენს შეუსაბამობას, რუტინას. ანდაზებისა და გამოცანების სწავლებას არც ბ-ნი ნათაძე ჰყოფს უარს, რადგანაც თითონაც ჰხმარობს მათ თავისს სახელმძღვანელოში. რაც შეეხება ანდაზებ-გამოცანების სიბევრეს, რომელსაც ბ-ნი ნათაძე სხვებს უკიჟინებს, აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ანდაზებ-გამოცანათა სიბევრე დამოკიდებულია მასალის სიბევრისა და მასალისთანავე მკვიდრად დაკავშირებაზედ. ამის შემდეგ რად უნდა იყოს გასაკვირველი, რომ თუნდა მაგალითად „დედაენაში“, რომელიც მასალით ოთხჯერ მეტი მაინც იქნება „ბავშვების მოკეთებე“, უფრო მეტი ანდაზა-გამოცანა იყოს. სიბევრესთან საჭიროა კიდევ უნარი, ცოდნა შესაფერისის ანდაზა-გამოცანის შერჩევისა.

ავიღოთ მაგალითისათვის პირველი ანდაზა უშინსკისა, გოგებაშვილისა და „ბავშვების მოკეთისა“. უშინსკის, სასწავლო ნივთების ჩამოთვლის შემდეგ მოჰყავს შემდეგი ანდაზა: „Грамоте учиться, вперед пригодится,“ გოგებაშვილს „სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება“, ბ-ნ ნათაძეს საუკეთესოდ მიაჩნია შემდეგი ანდაზა: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, და სხვ. ამასა

ჰქვიან სახელმძღვანელოს შედგენის ალლო რაღა? ამას თავი დავანებოთ. განა შეიძლება წესიერად სწავლების დროს, რაც სავარჯიშო იყოს, ცალიერის მეხსიერების გახსნა ბავშვებში, როგორც ბ-ნი ნათაძე ჰბრძანებს. რამდენსამე ხნის წინათ თუ ჰფიქრობდა იმას, რომ მეხსიერების გაძლიერებით აზროვნება სუსტდებაო. გერბარტის შემდეგ ეს მოსაზრება შეცდომად არის აღიარებული და ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებული პედაგოგი იმ აზრს ადგას, რომ მეხსიერების გაძლიერებით აზროვნების ძალა ჰმატულობს:

„Можно сказать без большой натяжки, что воспитатель имеет дело только с одною памятью воспитанника и что на способности памяти основывается вся возможность воспитательного влияния. Только то, что мы удерживаем внутри нас, говорит Бенеке, можем мы перерабатывать далее, развивать в высшие духовные формы и прилагать к жизни. Разсудок, способность, суждений и умозаключений, короче, все духовные силы, в тесном смысле этого слова, зависят от совершенства памяти“ /„Человек как предмет воспитания“ Ушинского, стр. 124/.

ანდაზებს, გამოცანებს და სენტენციებს რაღაც სხვანაირად უყურებს ბ-ნი ნათაძე, რომელიც იწუნებს სხვის სტატიებს მისთვის, რომ თურმე „немецкая мертвечина“ არის და „пахнет затхлым поучением в виде сентенций“. არ ვიცით საიდან ამოუწერია ეს ფრაზები ბ-ნ ნათაძეს, მაგრამ რომ უსაფუძვლოდ მიუწებებია „დედაენისათვის“ ეს ცხადია. სენტენცია, საზოგადოდ მაშინ არის ცუდი და საგანს არ აღწევს, როდესაც დარიგებით, მშრალად გადასცემენ ხოლმე. „დედაენის“ სენტენციები ცოცხლად არის დახატული შესაფერის მოთხრობებში, ამიტომ შეიძლება იმოქმედოს პირდაპირ ბავშვების გრძნობაზე და განუღვიძოს მკითხველს თავისუფალი დამოუკიდებელი აზრი, რომელიც ჰბადებს ბავშვში გულის დაჯერებას /убеждение/, რომელიც ცოცხალია, კონკრეტულია და პირდაპირაც შედის ცხოვრებაში. ამისათვის იმისთანა სტატიებს, ზღაპრებს და მოთხრობებს, რომელშიაც გატარებულია რომელიმე მნეობრივი მხარე, დიდი გავლენა აქვს ბავშვების მნეობრივად განვითარების მხრით. ამიტომ ამისთანა მოთხრობებს, ბავშვებისათვის დაწერილს, სრულიად არ ეწოდება არც „немецкая мертвечина“ და არც „затхлое поучение“, ამას გარდა, ანდაზები და გამოცანები, როგორც ბ-ნ ნათაძეს ჰგონია ცალიერ მეხსიერებას არა ჰხსნის. პირიქით, იმისთანა სავარჯიშოები, როგორიც არის ანდაზები და გამოცანები, დიდად ჰშველის ბავშვების გონების ყოველის მხრით განვითარების საქმეს. ამ აზრის დასამტკიცებლად

ჩვენ შეგვიძლიან მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი შესანიშნავის პედაგოგის ნაწერებიდან, მაგრამ ჩვენ მარტო მიროპოლსკის აზრს მოვიყვანთ, რადგანაც ბ-ნი ნათაძე მიროპოლსკის გამოჩენილ პედაგოგს უწოდებს, იმისგან სესხულობს აზრებს და კარგადაც უნდა ჰქონდეს ბ-ნ ნათაძეს შესწავლილი ამ პედაგოგის ნაწერები, რადგანაც ერთს დროს თავისის მეთოდიურის სახელმძღვანელოსათვის ზორბად ეზიდებოდა აზრებს მიროპოლსკის მეთოდიკიდან და მეც ანდაზებ-გამოცანების შესახებ მოვავიწყებ ბ-ნ ნათაძეს მიროპოლსკის მეთოდიკიდან შემდეგ /იხ. გვ. 181/:

„Прекрасный материал для умственного упражнения детей представляют пословицы и загадки, которые также должны быть поставлены в тесную связь с изучаемыми предметами и нормальными словами. Пословицы составляют драгоценное достояние народной мудрости. Меткость и сила их выражения, краткость, простота и изящество их формы — всем хорошо известны, но они в то же время полны серьезного значения по мысли, которая выражается в них конкретно, мечется в глаза, и несмотря на свою жизненную глубину, доступна даже для ребенка. Пословицы, это уроки жизненной морали, чуждые всякой тенденциозности, сухости и навязчивости. Что касается загадок, то побуждая читателя по данным признакам определить искомое, оне сильно упражняют умственные силы детей, напрягают их внимание, изоощряют проницательность, возбуждают деятельность воображения, развивают навык и умение сравнивать предметы, находить между ними взаимные сходства“ და სხვა. ეს ზემოთ მოყვანილი ციტატა თვითონ ბ-ნ ნათაძეს აქვს გადათარგმნილი თავის მეთოდიურს სახელმძღვანელოში, ამიტომ საკვირველია, რადა ბრძანებს ეხლა ბ-ნ ნათაძე, რომ გამოცანების და ანდაზების გაკვეთით ცალიერი მეხსიერება ეხსნება ბავშვებსაო. საკვირველია აგრეთვე ერთი გარემოება: რა აზრსაც ბ-ნ ნათაძე ატარებდა წინად თავის მეთოდიკაში დღეს სულ იმის წინააღმდეგ ჰქადაგებს; ამიტომ იყო საჭირო სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის, რომლის გამოცემა სამართლიანად საეჭვოდ გახდა, რადგანაც ბ-ნი ნათაძე უსათუოდ თანდათან უნდა რწმუნდებოდეს, რომ „ბავშვების მოკეთის“ დაბეჭდვით ვერაფერი განძი ვერ შესძინა ჩვენს ღარიბს პედაგოგიურს მწერლობას.

თავის წერილში, რომელიც მე მიძღვნა ბ-ნმა ნათაძემ, არ დავიწყა არც თავისი თავი, რომ ქებით არ მოეხსენებინა და არც ვიღაც კეთილი კაცები, რომელთაც უთარგმნიათ ბ-ნ. ნათაძისათვის

ზოგიერთი სასწავლო მასალა „ბავშვების მოკეთეში“ მოსაქცევად. არ ვიცი კერძოდ ბ-ნ ნათაძისათვის როგორი სიკეთე გამოიჩინეს „ოთხი ნატერის“, „მელია და წეროს“ და ან „მთიული და ვენახის“ მთარგმნელებმა, სადაც ყვავი ჰაერში დადის, მთიული ღმერთს მადლობას მოახსენებს და სხვ. მაგრამ ჩვენის ბავშვების და დედაენისათვის არაფერი კეთილი კაცობა ეტყობათ.

ჩვენი აზრი „ბავშვების მოკეთეს“ გამო, რომელიც წარმოვსთქვით „მცირე შენიშვნაში“, მართლდება – ზოგიერთები თანდათან იღებენ ხმას ბ-ნ ნათაძის სახელმძღვანელოს გამო, მაგრამ ღირსება ხსენებულს წიგნში ჯერ არავის დაუნახავს. ალბათ ყველა ისინი ბ-ნ ნათაძის გარდა, მოკლებულნი უნდა იყვნენ ბავშვების გონება-განვითარების კანონების ცოდნას, თორემ როგორ მოხდა ეს, რომ იმისთანა წიგნში, სადაც, ნათაძის სიტყვით, არც ერთი ნათარგმნი არ მოიპოვება, რომელშიაც არ იყოს: „Истинно детской живости, задущеваго веселия, порою юмора, иногда сердечнаго чувства в картинных описаниях“ ვერ აღმოაჩინეს ეს დამარხული ხაზინა! იქნება რომელიმე აქ ჩამოთვლილი თვისებათაგანი ორიგინალში იყოს, მაგრამ თარგმანში კი, სამწუხაროდ, არსადა სჩანს; იქნება ავტორი „ბატკნების გოგმანს, კვიცების კუნტრუშს და ნესვების საამურ სუნს“ ეძახის „картинное описание“-ს.

დასასრულ, ბ-ნი ნათაძე საყვედურს მიცხადებს იმისთვის, რომ მისს სახელმძღვანელოში ვერავითარი ღირსება ვერ ვიპოვე, ვერც აღმოვაჩინე; შეიძლება უარესი თუ არა, საყვედური ამის შემდეგაც არ მომაკლდეს მისგან, მაგრამ რადგანაც ბ-ნი ნათაძე ძალიან მოწადინებულთა, რომ მისი წიგნი დაწვრილებით გარჩეულ იქმნას „დედაენასთან“ შედარებით, ჩვენც ვეცდებით არ შევლახოთ უმიზეზოდ ავტორის თავმოყვარეობა და თუ დრომ, გარემოებამ და მოცულობამ ნება მოგვცა, დავუპირისპიროთ ეს ორი წიგნი ერთმანეთს.

„დედა ენა“ ი. გომეზაშვილისა და „ბავშვების მოკეთე“

ალ. ნათაძისა, შედარებითი განხილვა ორივე წიგნის ანბანისა

ბ-ნმა ალ. ნათაძემ თავისს წერილში /„ივერია“ №132/ გამოთქვა სურვილი, რომ მისი სახელმძღვანელო წიგნი „ბავშვების მოკეთე“ „დედაენასთან“ შედარებით სამართლიანად და საქმის დაკვირვებით იქმნას გარჩეული. ბ-ნი ნათაძე დარწმუნებულია, რომ ამ ორ სახელმძღვანელო წიგნს შორის დიდი ზღვარი სძევს და უპირატესობაც, რასაკვირველია, მისს წიგნს ეკუთვნის, მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი და ბ-ნ ნათაძის სურვილს არავინ ასრულებს, ე. ი. „დედა ენასთან“ შედარებით არავის გაურჩევია მისი სახელმძღვანელო ჯერ; თუმცა ზოგიერთებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი ხსენებული წიგნის შესახებ, მაგრამ იმ შენიშვნებში „დედაენა“ არავის უხსენებია. ამიტომ ამჟამად ჩვენ ვკისრულობთ დავუპირდაპიროთ ამ ორივე წიგნის ანბანები თუ პატივცემულ მკითხველებს არ მობეზრდათ კითხვა ერთი და იმავე საგნის გამო და იმითი მოვიშოროთ თავიდან უსაფუძვლო საყვედური, რომლითაც მოგვმართა ბ-ნმა ნათაძემ თავისის წერილის ბოლოში და შემდეგ შევეხებით პირველ დაწყებითს საკითხავ წიგნსაც ანბანის შემდეგ.

დღეს ყველამ, ცოტად თუ ბევრად მომზადებულმა პედაგოგის მხრით, იცის, ანბანის სწავლება სკოლებში და ოჯახებშიაც უნდა სწარმოებდეს ესრედწოდებულ სახმო მეთოდით, მაგრამ სახმო მეთოდიც ბევრნაირია და ვინც კი დაჰკვირვებია ამ მეთოდის ზრდასა და თანდათან განვითარებას, შეამჩნევდა, რომ ზოგიერთი სახე სახმო მეთოდისა არ არის სრული, უნაკლული. ამ უკანასკნელ დროში ხსენებულს მეთოდს ჰყოფენ ოთხ სახედ: ა/ სინტეტურად, ბ/ ანალიტიკურად, გ/ ხერხი წერა-კითხვის თუ კითხვა-წერისა და დ/ ნორმალურის სიტყვებისა. ყველა ამ სახეს თავისი ნაკლულევანებაც აქვს და ღირსებაც; აქ, რასაკვირველია, საჭიროა მებანბანეთაგან ნაკლულევანებას გზა აუხვიონ და ღირსებას ჩასტიდონ ხელი. სინტეტურის წესით წერა-კითხვის სწავლება გაცალკევებულია – ჯერ შეასწავლიან რამდენსამე ასოს ბეჭდურს ან წერით და შემდეგ კითხვას აწყებინებენ. ამ ხერხს სწავლებისას ის ნაკლულევანებაც აქვს, რომ ნაწილიდან გადადიან მთელზედ – ჯერ ხმებს ასწავლიან, შემდეგ სიტყვებს და ფრა-

ზებს, მაშინ, როდესაც ბავშვებისათვის ფრაზები და სიტყვები უფრო ნაცნობია, ვიდრე ხმები.

ანალიტიკურის წესით წერა-კითხვის სწავლება იწყება წინადადებათა სიტყვებად და სიტყვების მარცვლებად და ხმებად დაყოფით. ეს ხერხი, რომელიც გამოიგონა ფრანგების პედაგოგმა ჟაკოტომ, უფრო დაახლოვებულია ბავშვის ბუნებრივად განვითარებასთან, მაგრამ უნაკლო არც ეს არის. ჟაკოტოს აზრით, წერა-კითხვის სწავლება ანალიტიკურის წესით ერთსა და იმავე დროს სრულდება. ნემეცების პედაგოგებმა მალე შენიშნეს, რომ პირველ დაწყებითის კითხვისა და წერისათვის საჭიროა შესაფერისის სიტყვების და წინადადებების არჩევა და ყოველნაირ წიგნში სწავლების დაწყებინება. ამ ნაკლულევანების თავიდან აცილებას შეუდგნენ ფოგელი და გემე. ფოგელმა შემოიღო ესრედწოდებული „ნორმალური სიტყვების“ მეთოდი ანუ ანალიტიკო-სინტეტიკური. ეს უკანასკნელი სახელი უწოდეს ამ მეთოდს მისთვის, რომ ფრაზების სიტყვებად და სიტყვების მარცვლებად და ხმებად დაყოფის შემდეგ მოითხოვება ხელახლად ისევ ხმებისაგან სიტყვების შედგენა, ე. ი. ამ შემთხვევაში ანალიზი და სინთეზი ერთსა და იმავე დროს სრულდება. რუსეთში ამ მეთოდს ფოგელისას უწოდებენ სინკრეტიულს მეთოდს რადგანაც, როგორც სინტეტიკურს, ისე ანალიტიკურს მეთოდს განცალკევებით აქვს ის ნაკლულევანება, რომელიც ზემოთ ვუჩვენეთ. ამიტომ ამ უკანასკნელს დროს ყველა ხალხის საუკეთესო პედაგოგები საუკეთესო მეთოდად წერა-კითხვის სწავლებისათვის ანალიტიკო-სინტეტიკურს აღიარებენ, რომლის დროსაც წერა-კითხვის სწავლება ერთს ჟამს სწარმოებს და ამიტომ მოწაფეებიც უფრო მტკიცედ აღნიშნავენ და აღიბეჭდავენ თავიანთ გონებაში ყველა იმას, რასაც ისმენენ, ჰხედავენ და აკეთებენ. ამ მეთოდის შესახებ ბ-ნის ნათაძის მიერ კარგად ცნობილი პედაგოგი მიროპოლსკი ამბობს: „Он вполне отвечает основной идее начального учебного курса, который должен представлять собою одно оригинальное целое, части котораго развились бы из основной идеи, концентрически. В этом способе обучение грамоте является живым центром, около котораго группируются все элементарныя знания и умения составляющия предмет обучения в начальной школе“.

(Обучения грам. СПб., 1881 г., изд. III, стр. 154).

„დედა ენის“ ანბანში ყველა შენიშნავდა, რომ ჯერ მოყვანილია სურათი და მისი სახელი „ნორმალური სიტყვისათვის“, რომელიც ნაწილდება ჯერ მარცვლებად და შემდეგ ხმებად /ანალიზი/, შემდეგ

იმავე ხმებისგან შესდგება სიტყვები და ფრაზები /სინტემი/. აქედგან ცხადია, რომ „დედაენის“ ანბანი შედგენილია ანალიტიკო-სინტეტიურს წესზედ, რომელსაც ბ-ნი გოგებაშვილი ადგას თავიდგან ბოლომდის გადაუხვევლად და ასწავლის კითხვას და წერას ერთსა და იმავე დროს.

ეხლა ვიკითხოთ, რომლის მეთოდის მიხედვით არის შედგენილი ბ-ნი ალ. ნათაძის ანბანი? სიტყვების ანალიზს ხსენებულს ანბანში დიოგენის ფარნითაც ვერ იპოვის მკითხველი; „ნორმალური სიტყვები“ არის მოყვანილი, მაგრამ ბოლომდის არც ეს არის გატარებული. ბ-ნი ნათაძე ჯერ აჩვენებს ბავშვებს კითხვას სურათების შემწეობით და შემდეგ დასაგეშებელ მეძებარსავით გზას უხლართავს. მაგალითებრ, სიტყვები – მეფე, უთო, ნინო, მაჟალო, რეჰანი უსურათოდ არის მოყვანილი. ამ შემთხვევაში და სხვა ბევრშიაც ბ-ნი ნათაძე ჰბაძავს რუსების მეორე ხარისხოვან პედაგოგებს, მაგალითად, ბუნაკოვი ხმარობს სიტყვებს *допора* /გვ. 31/, *ყოжай* / გვ. 35/ და სხვ. უცნობი ასო ამ შემთხვევაში სიტყვის ბოლოშია მოქცეული და არა თავში. აქედგან ბავშვები წაიკითხავენ ჯერ ცნობილ ასოებს და იქნება ალლოთი მიხვდნენ უცნობის ასოს შესაფერისს ხმას. ბ-ნი ნათაძე კი, უცნობის ასოთი აწყობინებს კითხვას და აქედგან გამოდის არა ცნობილიდგან უცნობზედ გადასვლა, არამედ უცნობიდგან ცნობილზედ. მაგალითად ავიღოთ სიტყვა ნინო. ბავშვებმა არ იციან „ნ“. რად ჰგონია ბ-ნ ნათაძეს, რომ ბავშვები უსათუოდ თავისთავად მიხვდებიან, წასაკითხი სიტყვა ნინოა და არა გიგო, ანუ კიკო, ლილო და სხვ.!

ბ-ნ ი. გოგებაშვილის ანბანი საკითხავის მასალის დალაგებით განიყოფება სულ ოთხ კონცენტრად, რომელთა შორის დაცულია სრული თანდათანობა. პირველი კონცენტრი ანუ წრე, შედგება მოკლე სიტყვებისა და იმავე სიტყვებიდგან შემდგარ ორსიტყვიან წინადადებისაგან. ამას მოჰყვება სამმარცვლოვანის სიტყვებისა და ორ-სამ სიტყვიან წინადადებათა კითხვა. შემდეგ კითხულობენ ოთხმარცვლოვან სიტყვებსაც და სამ-ოთხ სიტყვიან ფრაზებს, და ბოლოს, ანბანი სრულდება პირდაპირ ფრაზებისა, ანდაზების კითხვით. საკითხავის მასალის ამნაირად დალაგებით ბავშვები თანდათან გადადიან ძნელზედ და კითხვაც თანდათან უადვილდებათ.

„ბავშვების მოკეთის“ ანბანში ვერ შეხვდებით კონცენტრიულად დალაგებულ საკითხავ მასალას. აქ თავდაპირველადვე შეხვდებით სამ-ოთხ სიტყვიან ფრაზებს: „აი, სოსოს თითი“ /გვ. 8/, „იასე, აი, იესოს სახე“ /გვ. 10/, „ეს აკაკია, ის კეკეა“ /გვ. 12/, „ფეფო, ეს თოფი ვი-

სია?!“ /გვ. 13/, „ძია, ეს ძაფი ძიძას მიე“ /გვ.15/, „მარო, მიე მაშოს შეშა“ /გვ. 15/, ეს არის თითქმის ანბანის დასაწყისი, შემდეგ კი ხშირად შეხვდებით ორი სიტყვისაგან შემდგარ ფრაზას – „ნინო კივის“ /გვ. 19/, „ათი ღორი“ /გვ. 21/, „ნიკო კალოზე“ /გვ. 22/ და სხვ. შეცდომა ბ-ნის ნათაძისა, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ერთსა და იმავე გაკვეთილში ხშირად ჯერ აკითხებს სამ-ოთხ სიტყვიან ფრაზებს და შემდეგ ორ სიტყვისაგან შემდგარ ფრაზებს, მაგალითად: „ოთხი მაღალი ხე“; ამის შემდეგ ბავშვი კითხულობს „ათი ღორი“, „ლიზამ ნახა ლომი“, შემდეგ – „ნიკო კალოზე“. ხშირად ორ სიტყვიანის წინადადების შემდეგ აკითხებს ოთხ სიტყვიან ფრაზას: „ფეფო, ეს თოფი ვისია?“ და სხვ. რასაკვირველია, ადვილწასაკითხი მასალა ყოველთვის წინ უნდა უძღოდეს ძნელს, რომელითაც შეიძლება დაიცვას შესაფერისი და საჭირო თანდათანობა კითხვის სწავლებლაში.

ბ-ნი გოგებაშვილი წინადადებაში, ანუ ფრაზებში ჰხმარობს იმისთანა სიტყვებს, რომლებიც წინდაწინ წაკითხული აქვთ ბავშვებს. მკითხველი უეჭველად დამეთანხმება, რომ ერთხელ წაკითხულის სიტყვის წინადადებაში წაკითხვა სრულიად არ უძნელდებათ ბავშვებს და ეს წაკითხვის სიადვილე და სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა თავისთავად ჰშველის ფრაზების აზრის შეგნებასაც. ამ სასარგებლო და საჭირო მოსაზრებით ბ-ნი ნათაძე სრულიად არა ჰხელმძღვანელობს თავის ანბანში. ის ხშირად წინადადებებში პირველ ნაბიჯიდგანვე ჰხმარობს ისეთს სიტყვებს, რომელიც ბავშვებს წინდაწინ არა აქვთ ნაკითხი, მაგალითად: „თითო ოთახი“, „სისო, აი თოხი“, „ორი ხარი“, „ოთხი თოხი“, „ორი თარი“, „ერთი ხე“, „იასე, აი იესოს სახე“, ამ უკანასკნელს ფრაზაში სამი სიტყვა „იასე“, „იესო“ და „სახე“ სრულიად უცნობია.

ბ-ნი ალ. ნათაძე პირველს ოთხს გაკვეთილზედ აკითხებს მარტო სიტყვებს, სულ ცხრამეტ სიტყვას, რომელიც ორის გაკვეთილისთვისაც ცოტაა. ბ-ნი გოგებაშვილი კი პირველ გაკვეთილიდგანვე წაკითხულ სიტყვებიდგან ადგენს მოკლე ფრაზებს საკითხავად. ამ აზრის შესახებ როგორც რუსეთში, ისე ჩვენებურ პედაგოგებშიაც სხვა და სხვა შეხედულობა ჰსუფევს. ზოგიერთი, და მათ შორის ბ-ნი ნათაძეც, უფროთხის თავიდგანვე პატარა ფრაზების კითხვას იმ მოსაზრების გამო, რომ ვითომ ფრაზები დაუძლეველ მასალას უნდა წარმოადგენდეს თავდაპირველად ბავშვებისათვისაო. ცნობილია, რომ ბავშვებს საზოგადოდ უფრო რეალური წარმოდგენა აქვთ ფრაზების შესახებ, ვიდრე ცარიელ სიტყვებზე, რომელიც უფრო გასაგები ხდება მაშინ,

როდესაც რომელიმე სიტყვა იხმარება წინადადებაში. სიტყვების კითხვის შემდეგ მოკლე ფრაზების წაკითხვა უფრო ახალისებს ბავშვებს სწავლისათვის და შრომასაც უფრო აზროვნადა ჰხდის, რადგანაც, ვიმეორებთ, თუ ზომიერი და საჭირო თანდათანობა არის დაცული სიტყვებსა და ფრაზების კითხვაში, მის სულიერს ძალას სრულიად არ აღემატება. თუ ჩვენებურმა ბავშვებმა იას წაკითხვა შეიგნეს, „აი ია“-საც ადვილად წაიკითხავს და გაიგებს და „ათი ია“-საც. შემდეგ გაკვეთილში ამგვარ წესს მისდევს ერთი რუსების კარგად ცნობილი მეანბანე პავლენკოვი, რომლის ანბანი ძალიან გავრცელებულია მთელ რუსეთში.

„დედა ენის“ ანბანში, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, კითხვასა და წერასაც ერთ დროს სწავლობენ. ზოგიერთ რუსების პედაგოგებს ამ უკანასკნელ დროში წერისა და კითხვის ერთს დროში სწავლება ძნელად მიაჩნიათ იმის მიხედვით, რომ რუსული ნაწერი და ნაბეჭდი ასოები ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ ერთსა და იმავე დროს ბავშვს ორი სიძნელე ეძლევა, – დაიხსომოს როგორც ნაბეჭდი, ისე ნაწერი ასოც. ქართველ ბავშვებს თავიდაგანვე სტამბურის ხელით აწერინებენ, რომელიც ბეჭდურისაგან არაფრით არ განსხვავდება. მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი საბუთი წერა-კითხვის გაცალკევებისა სრულიად უსაბუთო და უმნიშვნელოა ქართულად წერა-კითხვის სწავლების გაცალკევებისათვის. პირიქით, კითხვა, როგორც სინტეზი და წერა, როგორც ანალიზი, ერთმანეთს შველის და სწავლის საქმესაც ნაყოფიერად ჰხდის. ბ-ნი ნათაძე ხუთს გაკვეთილს მხოლოდ კითხვას ანდომებს და შემდეგ ერთბაშად აწერინებს ხუთ-ექვს ასოს. რადგანაც მთელს ანბანში ასოების მეტს არაფერს აწერინებს, არც სიტყვებს და არც ფრაზებს, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბ-ნის ნათაძის ანბანის გათავების შემდეგ ბავშვებმა უნდა იცოდნენ მარტო ასოების ძალაუნებურად ჯღაბნა. ძალაუნებურად ჯღაბნაო, ვამბობთ იმიტომ, რომ როდესაც ბავშვს ერთსა და იმავე დროს აწერინებთ ხუთს და ექვსს ასოს, ე. ი. რამდენსამე სიძნელეს ერთბაშად მოახვევთ თავზედ, ის ვერც ერთს ვერ დასძლევს, ვერც წერას ისწავლის და სულიან-ხორციანადაც დაიტანჯება.

წერა-კითხვის სწავლების დროს ხმებისა და ასოების შესწავლა შემდეგს პირობებს უნდა ემორჩილებოდეს: ა/ ასოები უნდა იყოს დალაგებული წერის სიძნელის დაგვარად – ადვილად დასაწერი ასოები ამ შემთხვევაში წინ უნდა უსწრებდეს რთულსა და ძნელად საწერ ასოებს; ბ/ სახეში უნდა იქმნას მიღებული აგრეთვე თვით ხმის თვისე-

ბანი, რომელსაც ასოები გამოხატავენ, რაც ადვილი გამოსათქმელია რომელიმე ხმა და მისი თანაბარი ასო, რაც უფრო ადვილად საწერია, მით უფრო საჭიროა მათი წინდაწინ შესწავლა. ამის მიხედვით ხმოვანი ასოები წინდაწინ უნდა ისწავლებოდეს. ამ თვალთახედვის ისრით რომ შევადაროთ ორივე ანბანი, შევნიშნავთ შემდეგს: პირველი ექვსი ასო: ი, ა, თ, ს, ხ, ო, ორსავე ანბანში ერთნაირად არის მიყოლებული. ამის შემდეგ კი ბ-ნი გოგებაშვილი ასწავლის წერიტაც და გამოსათქმელადაც ადვილ ასოს „ე“-ს, ბ-ნ ნათაძეს ალბათ შერცხვენი გოგებაშვილის მიმბაძველად არავინ დამსახოსო და „ო“-ს შემდეგ მიუყოლებია ასო „რ“, რომლის ქვემო ელემენტი თუმცა იგივე „ო“ არის, მაგრამ ზემო ნაწილი ამ ასოსი ისეთი ძნელია, რომ მისი შესწავლა როგორც რთულის ასოსი, ადრე უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ ხმა „რ“ ფონეტიკურადაც ადვილი არ არის: პატარა ბავშვები ხშირად „ლ“ და „რ“-ს გამოტქმით ერთმანეთში ურევენ. ყველა მეანბანენი და ბ-ნი გოგებაშვილიც იმას ცდილობს, რომ თავდაპირველად, რაც კი შეიძლება, მალე შეასწავლოს ხმოვანი ასოები და შემდეგ თანხმოვანი. ამ გზას არ მისდევს ბ-ნი ნათაძე, რომელიც, მაგალითად, ასო „უ“-ს ასწავლის მეთხუთმეტე გაკვეთილზედ, მაშინ, როდესაც ამ ასოს შესწავლა შეიძლებოდა „ე“-ს შემდეგაც და მით სიტყვებისა და ფრაზების შედგენასაც გაიადვილებდა. საზოგადოდ ასოების დალაგება „ბავშვების მოკეთის“ ანბანში სავსებით ვერ აკმაყოფილებს გენეტიურს და ფონეტიკურს მოთხოვნილებას ასოებისა და ხმების შესახებ.

ყველა, ვისაც ბავშვებისათვის უსწავლებია რამე, შენიშნავდა, რომ ბავშვები ხშირად მალე ითვისებენ სასწავლო მასალას, მაგრამ მალევე ივიწყებენ. ეს პსიხოლოგიური კანონი ბავშვების მეხსიერებისა უსათუოდ სახეში უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც ბავშვებისათვის სთხზავს და არდგენს რასმე. ამისთვის საჭიროა ერთხელ ნასწავლის ხშირად გამეორება: *Repetitio est mater studiorum* – გამეორება შეთვისების დედააო/, ამბობდნენ ძველად და მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი საზოგადო მნიშვნელობა.

„დედაენის“ ანბანში წინად ნასწავლი ასო შემდეგს გაკვეთილში აუცილებლად იმეორება და ამით მტკიცედ აღიბეჭდება ბავშვის მეხსიერებაში. ამ პსიხოლოგიურს კანონს სრულიად ყურადღებას არ აქცევს ბ-ნი ნათაძე, რომელიც წინათ ნასწავლ ასოს შემდეგში არ ამეორებინებს: „შ“-ს შემდეგ ბ-ნი ნათაძე ასწავლის „ზ“-ს, მაგრამ აქ „შ“ სრულიად არ იმეორება, „ზ“-ს შემდეგ ასწავლის „უ“-ს, მაგრამ „ზ“-ს ვერც აქ იპოვით. „უ“-ს შემდეგ ისწავლება „ნ“, მაგრამ აქ „უ“-ს მხო-

ლოდ ერთხელ შეხვედებით და ისიც სიტყვებში და არა ფრაზებში, სხვა „ნ“ და „ო“ იმეორება ერთხელ, „ქ“ და „პ“ სულ არ იმეორება თითქმის ხუთს გაკვეთილში არ იმეორება აგრეთვე: ტ, გ, ჯ, ჭ და სხვანი.

წინად ჩვენ ვთქვით, რომ ბ-ნის ნათაძის ანბანით ბავშვი წერას ვერ ისწავლისო. ეხლა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ერთხელ ნასწავლი ასო შემდეგ გაკვეთილში უსათუოდ უნდა იმეორებოდეს, უნდა დავასკვნათ, რომ „ბავშვების მოკეთის“ ანბანში საბრალო ბავშვები კითხვის სწავლის ღირსნიც ვეღარ გახდებიან.

ნორმალურს სიტყვებში ის ასო, რომელიც უნდა შეისწავლოს ბავშვმა, ბ-ნის გოგებაშვილის ანბანში არაფრით არ გამოსჩანს, რომ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოს ბავშვმა ამ უცნობ ასოს. რუსების მეანბანენი – პავლენკოვი და ბუნაკოვი უცნობ ასოს უფრო მსუქნად ჰბეჭდავენ, თუმცა დიდად ღირსშესანიშნავ მოსაზრებას არც აქ ვხედავთ, რადგანაც შენიშნულია, რომ ერთსა და იმავე ასოში ცოტა რამ განსხვავებაც კი აბნევს ბავშვებს და უფანტავს წარმოდგენას, მაგრამ ბ-მა ნათაძემ აქაც გადააჭარბა ყველა პედაგოგს – მისი მორგვისოდენა უცნობი ასოები ბევრად განსხვავდება შედარებით პატარა ასოებთან. ავიღოთ თუნდ პირველი და უკანასკნელი ასო: ყველა დამერწმუნება რომ დიდს „ი“-ს და პატარას, არაფერი მსგავსება არა აქვს, დიდს „ჭ“-ს ბ-ნი ნათაძე უკეთებს ოთხ კბილს, პატარას კი სამ კბილს. ეს იქნება დიდ შეცდომად არ მიაჩნია „ბავშვების მოკეთის“ ავტორს, მაგრამ მეანბანემ ყველა წვრილმანი გარემოება უნდა მიიღოს მხედველობაში, რადგანაც თვით სწავლების საქმეც სულ წვრილმანებისაგან შესდგება ხოლმე და პატარა შეცდომას აუცილებლად დიდიც თან მოჰყვება.

თავდაპირველად კითხვის სწავლების დროს უნდა დაცულ იქმნას ის პედაგოგიური კანონი, რომელიც ამბობს: გადადი ცნობილიდგან უცნობზეო. ამ კანონს ბ-ნი გოგებაშვილი ასე ასრულებს: ავიღოთ მეორე გაკვეთილი – „თითი“. კითხვა იწყება სიტყვით „ათი“, ამის მიმყოლი სიტყვა იწყება იმ მარცვლით, რომლითაც თავდება პირველი სიტყვა /თითა/, ამის შემდეგი სიტყვა იწყება იმ მარცვლით, რომლითაც თავდება მეორე სიტყვა /თათი/ და სხვ. ამ წესის დაცვა ბ-ნის ნათაძის ანბანში ჩვენ შევნიშნეთ მხოლოდ მესამე გაკვეთილის სამ სიტყვაში. ორ და სამ მარცვლოვან სიტყვების ადვილად წაკითხვას ეხმარება ის გარემოება, თუ ის სიტყვები დანაწილებულია მარცვლებად. ამ წესს ადგას ბ-ნი გოგებაშვილი თავის ანბანში და ვიდრე აკითხებს ცალკე სიტყვებს, რამდენ მარცვლოვანიც უნდა იყოს სიტყვები, მაინც დანა-

წილებულია მარცვლებად. სიტყვების დაუყოფელად, ერთბაშად წაკითხვა, რაც უნდა იყოს, ადვილი საქმე არ არის პატარა ბავშვისათვის იმიტომ, რომ კითხვა თავისთავად ძალიან რთული საგანია, რომელიც ითხოვს ბავშვებისაგან სულიერს და ხორციელს ძალდატანებას.

როცა ბავშვები ასოების შეერთების საიდუმლოს მიხვდებიან, მაშინ შეიძლება საკითხავ მასალასაც მიემატოს. ამის მიხედვით საკითხავი მასალა ანბანში თანდათან უნდა იზრდებოდეს. ამგვარ მოვლენას თვალსაჩინოდ ვამჩნევთ ბ-ნ გოგებაშვილის ანბანში, ხოლო ბ-ნი ნათაძე აქაც სხვა გზას ადგას. მაგალითად ავიღოთ მეთექვსმეტე გაკვეთილი /იხ. გვ. 19/, სადაც ბ-ნი მეანბანე ორმოცდაათამდის სიტყვას წინადადებიანად აკითხებს, შემდეგი გაკვეთილი კი მხოლოდ თხუთმეტის სიტყვისაგან შედგება და იმის მიმყოლი ორი გაკვეთილი თითო ათ-ათ სიტყვიანია; ავიღოთ კიდევ თუნდ გვ. 24 სიტყვა „პეპელა“. აქ შეხვდებით სამ სიტყვას საკითხავად და სამს ფრაზას, ამის შემდეგ კი სამი სიტყვა და ერთი ფრაზა.

ბ-ნი ნათაძე თავის ანბანში ანდაზებს იშვიათად ხმარობს, ბ-ნის გოგებაშვილის ანბანში კი მეოთხე კონცენტრს უმეტესად ანდაზები შეადგენს. ანდაზების მაგიერ ბ-ნი ნათაძე ჰხმარობს ამისთანა ფრაზებს: „აბა, წყარო, ჩემო წყარო, თამაშობით მომდინარო“, რომელშიაც აზრი სრულიად არ მოიპოვება. ანბანის ბოლოში ბ-ნ ნათაძეს მოუთავსებია რთული ფრაზები, რომელიც შეიცავს პატარა მოთხრობას მუხასა და დედაბერზედ. უკანასკნელი მოთხრობა შეიცავს რვა მოკლე აზრს, რომელიც თუმცა მარტივია, მაგრამ ცხადია, რომ სანამ ბავშვი კითხვაში კარგად არ იქნება დახელოვნებული, მრავალაზროვანის მოთხრობისა და გაჭიანურებულის რთულ წინადადებათა კითხვა ჰკარგავს თავისს აზრს ბავშვებისათვის, რადგანაც ბავშვების კითხვა ამ შემთხვევაში გადაიქცევა მეხანიკურ კითხვად – ბავშვი არჩევს ხმებს, ამბობს სიტყვებს და ყურადღებას არ აქცევს წაკითხულის შინაარსს, რადგანაც მთელი მისი ყურადღება ასოების გამოცნობასა და სიტყვების წაკითხვაზეა მიქცეული. მაშასადამე, რთული წინადადებისა და თავიდგანვე მოთხრობების კითხვით ანბანში ბავშვი ეჩვევა მავნე ჩვეულებას – შეუგნებლად, თუთიყუშურად კითხვას. აი, იმიტომ ვერც ერთის საუკეთესო პედაგოგის ანბანში ვერ იპოვით ვერც მოთხრობებსა და ვერც რთულ წინადადებებს. ანბანში უსათუოდ ყველაფერი მოკლედ და მოჭრით უნდა იყოს გამოხატული. სიტყვებისა და ადვილად გასაგების მოკლე ფრაზების შემდეგ არც სახალხო ანდაზების კითხვა გაუჭირდებათ ბავშვებს, იმისთანა ანდაზებისა,

რომლის გარეგანი მხარე სრულიად მისაწვდომი და ადვილად გასაგებია ბავშვისათვის. ბევრი ანდაზა, როგორც სახალხო მასალა, ბავშვებს გაგონილიც ექნებათ და ამიტომ ნაცნობის მასალის წიგნში ამოკითხვა უფრო წახალისებს ბავშვებს სწავლისათვის. შინაგანი აზრი ანდაზისა, თუ იგი ბავშვებისათვის გაუგებარი იქნება, არც საჭიროა თავდაპირველად, რადგანაც შეიძლება დაკმაყოფილება ანდაზის გარეგანის მხრივაც. მაგ. ანდაზა: „ურემს რომ მეტს დაუდებენ, ჭრიალს დაიწყებს“ /დედაენა, გვ. 18/; გარეგანის მხრით ეს ანდაზა არავითარს სიძნელეს არ წარმოადგენს პატარა ბავშვის გონებისათვის – პირიქით, აძლევს შესაფერს სულიერს საზრდოს, ვიდრე ამისთანა ფრაზა: „ობოლი სტიროდა, დედაჩემმა მიუალერსა, ობოლს იამა და გაიცინა“ /„ბავ. მოკეთე“, გვ. 31/.

საზოგადოდ ანალიზების მნიშვნელობის შესახებ რუსების პედაგოგის მამამთავარი უშინსკი ამბობს: „Пословицы, тем именно хороши, что в них, почти всегда, несмотря на то, что они короче птичьего носа, есть нечто, что ребенку следует понять: представляет маленькую умственную задачу, совершенно по детским силам“. /სახელმძღვანელო უშინსკისა გვ. 62/.

ბ. გოგებაშვილის ანბანში იშვიათად შეხვდებით იმისთანა ანდაზას, რომლის გარეგანი მხარე გაუგებარი იყოს ბავშვებისათვის.

„დედაენის“ ანბანი დასტამბულია ერთნაირის შრიფტით, ბ-ნ ნათაძეს კი როგორც ანბანში, ისე საკითხავ წიგნშიაც შრიფტები არეული აქვს. შრიფტების შეცვლა და ისიც ანბანში, მავნებლად არის აღიარებული ჰიგიენისტების მიერ. ამ საკითხის შესახებ მთელს ევროპაში ცნობილი ჰიგიენისტი რემბოლდი სწერს შემდეგს: „Настоятельно необходимо от крупных букв не слишком скоро переходить к мелким, потому в низших классах допустить к употреблению лишь книги, буквы в которых имеют величину по крайней мере 1 3/4 мм, (следов. так назыв. „цицера“) (იხ. „Школьная гигиена“, გვ. 141) .

ამავე აზრისა არის ცნობილი ჰიგიენისტი ჟევალი, რომელიც ამბობს, რომ სანამ ბავშვი თავისუფლად კითხვას არ ისწავლის – შრიფტის გამოცვლა მავნებელიაო. საზოგადო აზრი ჰიგიენისტებისა შრიფტის შესახებ ამნაირად გამოიხატება: ზოგი არჩევს ციცეროს შრიფტს, ზოგი კორპუსს, რომელიც ციცეროზე ნაკლებია; ცნობილმა ოფტალმოლოგმა ვებერმა შემდეგი ცდა მოახდინა: სხვა და სხვა ადამიანს სხვა და სხვა მანძილზე დაათვლევინა ასოები ერთის წუთის განმავლობაში. ცდამ აღმოაჩინა, რომ ორთა შუა რიცხვით ერთს წუთში

კითხულობენ ხმამაღლა 1454 და ჩუმად 1900 ასოს. მაშასადამე, ერთ წამში 24 ასოს ხმამაღლა და 31 ასოს ჩუმად. ამნაირად ასოს გამოსაცნობად საჭიროა 0,0316 წამი, გამოსათქმელად 0,0409 წამი, განსხვავება 0,00093 წამი გამოხატავს იმ დროს, რომელიც საჭიროა გამოსათქმელად. ამ ცდამ და დაკვირვებამ ვებერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ორ მილიმეტრზედ მეტის სიდიდის ასოები არა თუ უმატებენ კითხვის სიჩქარეს, აბრკოლებენ კიდევ. ამის მიხედვით ვებერი შეჩერდა იმისთანა შრიფტზე, რომელსაც აქვს სიდიდე 1,5 მილიმეტრი, ე. ი. შრიფტი კორპუსი.

სტრასბურგის კომისიას შრიფტი 1,5 მილიმეტრის სიდიდისა პატარად მიაჩნია და ითხოვს, რომ სასწავლო წიგნები დასტამბული იყოს 1,75 მილიმეტრის სიდიდის ასოებით /იხ. ჰერმან კონი, გვ. 211/. მაშასადამე, ის შრიფტი, რომლითაც დასტამბულია ბ-ნის გოგებაშვილის ანბანი და რომელიც უდრის ციკერო შრიფტს, სრულიად არ მიაჩნიათ მანებლად არც ჰიგიენისტებს და არც სხვა და სხვა სკოლების კომისიებს.

„ბავშვების მოკეთის“ ანბანის ბოლოში არ არის მოყვანილი ბეჭდური ასოები არც ანბანთ წესზედ და არც გენეტიურს და ფონეტიურს წესებზედ. ბ-ნი ნათაძე თავის ანბანში უყურადღებოდ სტოვებს იმისთანა ასოებს /ჭ, ვ, უ, ჯ, შ /, რომელიც ეხლა არ იხმარება, მაგრამ მათი შესწავლა ძველი წიგნებისა და სახარების წასაკითხავადაც აუცილებლად საჭიროა. ბ-ნის ნათაძის ანბანში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მარტო ასოებს, არ არის სრული საჭირო დედანი წერისათვის, მაშინ, როდესაც ბ-ნის გოგებაშვილის ანბანი, წერის დედანითა და ასორმოცზე მეტის სურათ დედნით, რომელიც ანბანის ბოლოში აქვს ჩართული, სრულს მასალას იძლევა, როგორც წერისათვის, აგრეთვე იმ აზრის დასაკმაყოფილებლად, რომლისთვისაც საჭიროა საზოგადოდ სურათი-დედნები. მასალის მხრით თუ შევადარებთ ამ ორსავე ანბანს ერთად, თამამად შეგვიძლიან აღვიაროთ, რომ ბ-ნის ნათაძის ანბანი ერთს მეექვსედსაც ვერ შეადგენს იმ მასალისას, რომელიც მოქცეულია „დედა ენის“ ანბანში.

კიდევ ბევრ რასმეს ვიტყოდით ხსენებულის ანბანების ნორმალურ სიტყვების, სურათებისა და ენის სიფაქიზის გამოც, მაგრამ ვკონებ, ნათქვამიც საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ: ანბანი ბ-ნის ნათაძისა ვერავითარს მიუდგომელ კრიტიკას ვერ გაუძლებს, რადგანაც ანბანში, ჩვენის აზრით, არ არის დაცული საღი შეხედულობა არც პედაგოგისა და არც ჰიგიენის მხრივ.

ეგ ხომ სულ ნაკლულევანებას ამბობს, ღირსება სადღა არისო? იკითხავს მკითხველი. ჩემის ცოდვილის თვალით ბ-ნის ნათაძის ან-ბანში ღირსება ვერა ვიპოვე რამ იმისთანა, რაც საყურადღებო უნდა იყოს და თუ რამე შესანიშნავი ღირსება აქვს ხსენებულს ანბანს, მისი პოვნა მიგვინდვია „ბავშვების მოკეთეს“ გამომცემელ ამხანაგობისათვის და ან თითონ ავტორისათვის, რომელიც ისე გატაცებული ყოფილა თავისის წიგნის ღირსებით, რომ ბეჭდვითაც კი აღიარებს საზოგადოდ, განა ნათაძე ცუდს რასმეს შეადგენდაო.

წერილი კავკასიდან

აქაურმა ქართველმა მანდილოსნებმა შარშან თავი ისახელეს იმით, რომ კავკასის ქართული სკოლის დარბაზში საღამოს გამართვის ნებართვა გამოითხოვეს და გამართეს საღამო საქველმოქმედო მიზნით. შარშან, მართლა ისე ჩინებულად ჩაიარა საღამოს საქმემ, რომ საზოგადო სიამოვნებასთან საზოგადო კეთილ საქმესაც შეეძინა 300 მანეთამდის ნაღდი ფული. შარშანდელი წარმატებით წაქეზებულებმა წელსაც განიზრახეს საღამოს გამართვა საქველმოქმედო აზრით, როგორც შარშან. ამ საგნის გამო რამდენჯერმე კრება, ბჭობა და თათბირი ჰქონდათ აქაურს მანდილოსნებს და კაცებსაც. თავდაპირველად წარმოითქვა ის აზრი, რომ საცეკვაო საღამო გამართული იქმნეს კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში ცხოველის სურათების დადგმით შობა დღეს. მაგრამ ეს აზრი შემდეგ კრებაზე სხვა და სხვა მიზეზისა გამო ჩაიშალა და ნაცვლად კლუბისა გადასწყვიტეს, რომ საღამო გამართული იქმნას ისევ სკოლის დარბაზში მომავალი წლის ოთხს იანვარს. 21 დეკემბერს ამ საგნის გამო გამართულ კრებაზე, სხვათა შორის, წარმოითქვა ის აზრი, რომ ქართველი და სხვა მდაბიო ხალხი უფრო სიამოვნებით მოვლენ სკოლაში, ვიდრე კეთილშობილთა საკრებულოში, სადაც ხარჯიც ბევრია საჭირო, ვიდრე სკოლაშიო. სრული იმედია, რომ კავკასის ქართველობა და ყველა, ვისაც გული შესტკივა ქართველთა საზოგადო საქმისათვის, ბლომად დაესწრებიან განძრახულს საღამოს და თავისს სიამოვნებასთან ერთად საზოგადო საქმესაც დაეხმარებიან თავისი წვლილით.

სხვა კეთილ საქმეთა შორის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკა-
ვში ხანდისხან ქართულ წარმოდგენებსა მართავენ ხოლმე, მაგრამ
ეს წარმოდგენა ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ იმართება
წელიწადში მხოლოდ ერთხელ, მაშინ როდესაც, საქმე რომ უკეთ
იყოს დაყენებული და წარმართული, მოსახერხებელი იქნებოდა
წარმოდგენების რამდენჯერმე გამართვა საქველმოქმედო მიზნით.
ამნაირათ, საზოგადო საქმესაც ეშველებოდა რამე და ხალხიც დიდათ
მადლიერი იქნებოდა სცენის მოყვარეების. როგორც ყოველთვის ამ
საგნის შესახებ, ჩვენ წინათაც გვიწერია და ეხლაც გავიმეორებთ – კა-
რგს იქმნენ კავკავის სცენის მოყვარულები, თუ სცენის საქმეს უკეთე-
სად მოაწყობენ, ვიდრე დღეს არის და წარმოდგენასაც უფრო ხშირად
გაჰმართავდნენ. წრეულს ჯერჯერობით ამ საგნის გამო არავის ხმა
არ ამოუღია; ამისათვის ჩვენა გვგონია საჭიროა აქედანვე შეუდგნენ
ჩვენის სცენის მოყვარენი, როგორც პიესის არჩევის საქმეს, აგრეთვე
სხვა საჭირო თადარიგსაც, რომ ბოლოს შეძლებისდაგვარად საქმე
კარგად გაჩარხული დარჩეს. ქართული წარმოდგენები შესამჩნევ
კვალს აჩენს კავკავის ქართველობაზე, მომეტებულად მდაბიო ხალ-
ხზე, რომელსაც სცენაზე ნანახი და გაგონილი რამდენიმე ხნით სალა-
პარაკოდა აქვს. ხალხს სწყურიან გაიგონოს, მოისმინოს მშობლიურ
ენაზე სცენიდგან პიესები. ამას ჰქვიან სულიერი საზრდო, რომელსაც
ადვილად მიაწვდიან აქაური სცენის მოყვარენი ხალხს თუ საზოგადო
საქმის სიყვარულით მოჰკიდებენ ხელს და ღირსეულად გაუძღვებიან
სცენის მხრითაც ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ჩვენ
სრულიად ეჭვი არა გვაქვს იმაში, რომ აქაური სცენის მოყვარენი ნა-
მდვილს საქმის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, მაგრამ დამე-
რწმუნებით, რომ ყოველი საქმე ზრდას, განვითარებას და წარმატებას
ითხოვს. საქმე ის არის, რომ ჩვენ სცენის მოყვარულებს პიესების და-
დგმის რიცხვში წარმატება არ ეტყობათ. თუ ამ სამი წლის წინათ აქა-
ურმა სცენის მოყვარეებმა ერთხელ გამართეს წარმოდგენა, პროგ-
რესის კანონის მიხედვით საჭირო იყო შემდეგ წლებში წარმოდგენის
რიცხვს თანდათან ებარტყა და არ შეჩერებულყო ერთს წერტილზე,
როგორც დღეს ვხედავთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წრფელი გულის
წადილია, ვუსურვოთ აქაურ სცენის მოყვარულებს სრული წარმატება
წარმოდგენის გამართვით საზოგადო საქმის რიგიანად წარმართვაში
და მშობლიური ენის აყვავების საქმეში.

ერთი საზოგადო საკითხილო საქმე

სამშობლო ენის შესწავლა და მისი ცოტა თუ ბევრად ხალხში გავრცელება და ხალხის აღზრდა, გარდა სცენისა, შეიძლება სხვა გზითაც. ამ შემთხვევაში ერთ ეტყუარ გზად უნდა იქმნას აღიარებული ხალხში საკითხავი წიგნების გავრცელება ხალხის სულიერი საზრდოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აქაური ქართველთა ცხოვრებისა და ვითარების მუდმივი მეთვალყურე ყოველთვის სიამოვნებით აღნიშნავს, რომ აქაური ქართველები სამშობლო ენისა და ლიტერატურის სიყვარულით სასურველს უნარს იჩენს თანდათან. ჩვენს გაზეთებს რომ წესად ჰქონდეთ დადგენილი წლის ბოლოში გამოცხადება, თუ სად და რომელ ქალაქ-დაბებში რამდენი ცალი ჟურნალ-გაზეთი არის დაკვეთილი, ცხადად გავიგებდით რომ ქართველთა რიცხვის მიხედვით კავკავი ამ უკანასკნელ დროში ბოგიერთს ჩვენებურს დაბებს მაინც არ ჩამოუვარდება უკან ჟურნალ-გაზეთების რიცხვით. სრული იმედია, რომ ამნაირ განვითარებისა და თვითშემეცნების გზაზე ივლიან კავკავის ქართველები ამის შემდეგ კიდევ მომეტებულად. ამ აზრის დასამტკიცებელს საბუთს უკვე ვხედავთ. აქ შესდგა წრე უმეტეს ნაწილად ქართველ ვაჭართა, ხელოსანთა და ხელოსნის შეგირდებისაგან, რომელსაც, სხვათა შორის, მიზნათ აქვს შეერთებული ძალღონით და საშუალებით მომავალი წლიდან გამართოს საზოგადო წიგნის მაღაზია, რომელშიაც შეიძლება მოიპოვებოდეს შეძლებისდაგვარად ყოველგვარი საჭირო ქართული წიგნებიც გასასყიდად. ამ გარემოებასაც ჩვენ დიდის სიამოვნებით ვეგებებით და ვისურვებთ, რომ ეს საქმეც საქებრად და სასახელოდ წარმართულიყოს, სასახელოდ იმ წრისა, რომელსაც წარმატების მოყვარეთა ამხანაგობა ეწოდება. ვისურვებთ, რომ ყველა საქმეში, რომელიც ბუნებრივად მოჰყვება წიგნის მაღაზიის გახსნას, ნამდვილი წარმატება დასტყობოდეს ხსენებულს ამხანაგობას, რომლის შესახებ შეიძლება ჩვენ კიდევ გვქონდეს ლაპარაკი. ქართული წიგნის მაღაზიის გამართვით რომ დიდს სარგებლობას მოუტანს ამხანაგობა თერგის ოლქში მცხოვრებ ქართველთ. ამაში არავითარი ეჭვი არ შეიძლება იქონიოს კაცმა და ყველა უბრალო წერა-კითხვის მცოდნე თუ უმეცარი დარწმუნებული უნდა იყოს იმის სარგებლობაში. ამის შემდეგ ყიზლიარიდგან მოკიდებული გუდამაყრამდის და იქითაც თუშეთამდის, სადაც ქართულის

ხსენებაა, ყველას შეძლება მიეცემა კავკავიდეგან წიგნების შეძენისა. ამისათვის სიამოვნებით აღვნიშნავთ რა ამხანაგობის ამისთანა კეთილ საქმეს, ვისურვებთ ამ საგნის დროზე განხორციელებას.

ქართული წიგნების გავრცელება თერგის ოლქში

თქვენის გაზეთის „ცნობის ფურცლის“ მე-ნნ №-ში წავიკითხე, რომ ჩვენი წიგნების გამომცემლებს ბ. ი. როსტომაშვილს და ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავთ ჩემთვის თავიანთი გამოცემული ქართული წიგნების გამოგზავნა თერგის ოლქში მცხოვრებელ ქართველებისათვის უფასოდ დასარიგებლად. ეს აზრი ფრიად სასიამოვნო და სასურველიც არის, თუ სხვებიც მიაქცევენ ყურადღებას ამ მხრისაკენ გადმოხვეწილ ქართველობას, რომელთა გარემოება და მდგომარეობა, ასე თუ ისე, რიგიანად მაქვს გაცნობილი. აქაურს ქართველებში ქართული მწიგნობრობის გავრცელებას ზოგიერთ ნაცნობი პირების შემწეობით, დღემდისაც ვაქცევდი ყურადღებას, მაგრამ ამგვარი ყურადღება კერძოთ ჩემთვის არ იყო სანატრელი, რადგანაც საკომისიოდ გამოგზავნილს წიგნებს ვაგზავნიდი აქეთ-იქით, ფულებს კი ყოველთვის ვერ ვღებულობდი და მე კი იძულებული ვიყავი ჩემის ხარჯით წიგნების გამომცემლები დამეკმაყოფილებინა. თუ ამ გარემოებას ჩვენი წიგნების გამომცემლები ყურადღებას მიაქცევენ და მომაწვდიან უფასოდ ხალხში გასავრცელებლად თავიანთ წიგნებს, მე დიდის სიამოვნებით და სიხარულით ვიკისრებ ხალხში ქართული წიგნების გავრცელებას, რომელსაც დარწმუნებული ვარ, მოყვება ფრიად სასიამოვნო და სასურველი ნაყოფი.

პაპაპაპი

მეორე ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე

ბედნიერი დღეები დგება, მაგრამ ბედნიერი დღე მხოლოდ მისთვის არის, ვისაც შეძლება აქვს ამ დღეებში გაიხაროს. სადღაც წაგვიკითხავს – ყველა მდიდრის გვერდში ძონძებში გახვეული გლახაკი სდგასო. კარგია თუ მდიდარს არ აქვს თვალები დაბრმავებული და თავისს გვერდში ამჩნევს ღარიბსა და ღატაკს და გულიც აქვს ცოტა რამ ნასუფრალი უწილადოს. თუ ამას ჰგრძნობს მდიდარი და შველის რითიმე ცხოვრებისგან ტანჯულს და გაჭირებულს, მაშინ მდიდარიც ბედნიერია მით, რომ აღასრულა თავისი ვალი, არ დაივიწყა თავისი მოყვასი გაჭირების დროს. მაგრამ განა ყველა მდიდრები ამას ფიქრობენ? განა ყველა მდიდრები გამსჭვალულნი არიან ქველმოქმედებით? არიან მდიდარნი და თქვენს უმორჩილეს მონას, მორჩილს კახაბერს მხოლოდ ერთი არ უნახავს იმისთანები, რომლებიც, როგორც იტყვიან, საწყალსა და გაჭირებულს, მშიერ-მწყურვალეს ერთს ლუკმა პურსაც არ მოუტეხს, ანუ მაძლარს მშიერიც მაძლარი ჰგონია. ბედნიერი დღეებია! მაგრამ რა უნდა ჰქნან მათ, ვისთვისაც შეუძლებლობისა გამო ბედნიერ დღეებმაც უბედურად უნდა ჩაიაროს! ამ შემთხვევაში ნეტავი იმ მდიდარს და გულ-შემატკივარს, რომელსაც ძვალ-რბილში აქვს გამძდარი შემდეგი სიტყვები: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი, თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ მცემელი“. ჩვენ არა გვგონია, რომ სადმე ქალაქებში იყოს ისეთი სიღარიბე ქართველთა საზოგადოთ, როგორც კავკავშია. ეს მოვლენა აქ გასაკვირველიც არ არის. ბევრი ქართველი მოხევე, ხევსური თუ რაჭველი სტოვებს თავისს მამაპაპეულს მიწა-წყალს მოუსავლობისა გამო და ყოველ წლობით რამდენიმე მოსახლობა გადმოდის კავკავში საცხოვრებლად, ბედის საპოვნელად, სადაც მოელის უკეთესს ცხოვრებას, მაგრამ სანამ ამას გაახვევდეს, ბევრი, ძალიან ბევრი იძულებულია დიდი სიღატაკე და სიგლახაკე გამოიაროს. ამისათვის საჭიროა, რომ ცოტათ შეძლებულებმა არ დაივიწყონ გაჭირების დროს თავიანთი მოძმეები და ცოტა რამ ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინონ მათ. ერთმა აქაურმა ქართველმა მასწავლებელმა ქალმა თავს იდვა რამდენიმე წვლილის შეგროვება ღარიბ-ღატაკის

ოჯახისათვის დასარიგებლად ფულად და ნივთიერად ამ ბედნიერ დღეებში. ნამდვილი ქრისტიანული და კაცთ მოყვარული საქციელი ქალბატონ მასწავლებლისა სრულიად შეეფერება მისს მოწოდებას და ასპარეზს, როგორც სახალხო მასწავლებლისას. ამიტომ სასურველია რომ ეს ბრუნვა ღარიბთა შემწეობისათვის პირველი იქნება და არა უკანასკნელი პატიოსანის მასწავლებლის მხრით, რომელსაც, იმედია, აღმოუჩნდებიან ადგილობრივ და სხვაგანაც საკმაო რიცხვი მიმბაძველთა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და სავარჯიშო მოქმედებების წარმოების მასალა. შედგენილი ა. ნატროშვილისაგან. ნაწილი 1, ტფილისი, 1893 წ. ფასი 35 კ.

საზოგადოდ, ანგარიშის სწავლების წესი პირველ დასაწყის სკოლებში დღესაც ყველა საგნების სწავლების წესზე უფრო სუსტად არის შემუშავებული საპედაგოგო მწერლობაში. დღესაც ძალიან ბევრი მასწავლებელი მისდევს ანგარიშის სწავლების საქმეში ნემცების პედაგოგის გრუბეს მეთოდს, რომელიც რუსეთის სკოლებისათვის შემოღებული და განხორციელებული იქმნა ცნობილის პედაგოგის ევტუშევსკის მიერ. ამ ბოლო დროს კი ბევრი მიმდევარი აღმოუჩნდა შოხორტროცკსა და გოლდენბერგს, რადგანაც ამათი მეთოდი ანგარიშის სწავლების შესახებ ზოგიერთ საკითხში ბევრად განირჩევა ევტუშევსკის მეთოდისაგან. ევტუშევსკის აზრით, ელემენტარული ანგარიშის შესასწავლად პირველდასაწყის სკოლებში საფუძვლად უნდა დაიდვას ყოველმხრივი შესწავლა რიცხვებისა ასამდის. შოხორტროცკსა და გოლდენბერგს რიცხვების შესწავლა სრულიად უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ მიაჩნიათ. იმათი აზრით, პირველდაწყებით ანგარიშის სწავლება უნდა სწარმოებდეს მოქმედებათა შესწავლის საშუალებით. უკანასკნელ დროში, როგორც თეორიულმა მოსაზრებამ, აგრეთვე გამოცდილებამაც დაარწმუნა ბევრი შოხორტროცკისა და გოლდენბერგის მეთოდის უპირატესობაში, რომელიც უფრო სწორად და პირდაპირ აღწევს ელემენტარულ ანგარიშის სწავლების მიზანს. რიცხვების შესწავლა ევტუშევსკის მეთოდის მიხედვით წარმო-

ადგენს ერთნაირ მომხაზვებელ სავარჯიშოს, რომელიც სწარმოებს სრულიად მეხანიკურად. ძნელია აგრეთვე დამახსოვრება ყველა რიცხვების აუარებელი კომბინაციებისა, რომელიც უფრო ადვილად შეისწავლების არითმეტიკულ მოქმედებათა საშუალებით. მიუხედავად ამისა, ევტუმევსკის მეთოდს ბევრი კარგი ღირსება აქვს, რომელსაც ბევრი პედაგოგი საჭირო ყურადღებას არ აქცევს და რომელსაც ჩვენ ქვემოთ თავისს ადგილზე მოვიხსენიებთ.

კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა, რომლის სათაური გემოთ ამოვწრეთ, მცირე თავისებურებასთან შეიცავს სავსებით გოლდენბერგისა და შოხორტროცკის მეთოდის განხორციელებას ჩვენის სკოლებისათვის. ამ მეთოდზე შედგენილი ანგარიშის სასწავლებლად საჭირო სახელმძღვანელო წიგნი ჩვენ, ქართველებს, ჯერ არ მოგვეპოვება, მაშინ, როდესაც ევტუმევსკის კრებულები პირდაპირ ნათარგმნი, თუ გადმოკეთებულები სხვა და სხვა ავტორის მიერ, საკმაოდ გვაქვს. მთელი „კრებული“ ბ-ნის ნატროშვილისა იპყრობს ორი წლის საჭირო მასალას, რომელიც შეადგენს ასამდის ანგარიშის შესასწავლად სხვა და სხვა სავარჯიშოებს. პირველი წლის მასალას შეადგენს – პირველდაწყებითი ანგარიში ერთიდან ათამდის და ანგარიში ათეულებზე ასამდის, რომლის დროსაც მოწაფეები გაიცნობენ შემდეგს ნაწევრებს: $1/2$, $1/3$, $1/4$, $1/5$; მეორე წლის კურსს შეადგენს ვარჯიშობა თვლასი ერთიდან ასამდის, გაცნობა უსაჭიროების ზომებისა, შესწავლა მარტივი ნაწერებისა, დაშლა და გადაქცევა სახელწოდებულ რიცხვებისა. ამნაირად მკითხველი დაინახავს, რომ მოცულობის მხრით ევტუმევსკისა და გოლდენბერგის პროგრამას შორის, რომელიც უნდა შეისწავლოს ბავშვმა ორი წლის განმავლობაში, დიდი განსხვავება არ არის. ნაკლულებანება კი ორი პროგრამისა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში ბავშვები სწავლობენ თვლას მხოლოდ ასამდის, მესამე განყოფილებისათვის რჩება მთელი კურსი არითმეტიკისა, რომლის რიგიანად შესწავლას სამწლიან სკოლებში ვერსად ვერ ასწრობენ, ამის მიხედვით ბევრი თანამედროვე პედაგოგი აცხადებს სურვილს, რომ პირველი წლის განმავლობაში ბავშვებს შეძლებისდაგვარად შეასწავლონ ანგარიში ასამდის. განსხვავება ევტუმევსკისა და გოლდენბერგის მეთოდთა შორის მდგომარეობს სწავლების წესში და ნაწევრების ადრე გაცნობაში, რასაც ევტუმევსკი იწყებს მხოლოდ სისტემატიურის კურსის დასრულების შემდეგ, ლუბენეცი და ბ-ნი ნატროშვილი პირველი წლიდანვე, გოლდენბერგი მეორე წლის დასასრულიდან.

ბ-ნი ნატროშვილის „კრებული“ პირველ თერთმეტ გვერდზე შეიცავს თვლაში ვარჯიშობას მასწავლებლის დახმარებით და დაუხმარებლად. ამისთვის ავტორს აუღია რგოლები, ჯვრები და ოთხკუთხა ფიგურები. სავარჯიშო მასალა ბლომად არის მოყვანილი. აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თვლის სწავლა უფრო ნაყოფიერი ხდება, როცა ის დამყარებულია რეალურ საგნებზე და არა მარტო ფიგურებზე. ამას გარდა თვლას ბავშვები სწავლობენ იმ დროს, როცა წაკითხვა კი არა, ანბანიც არ იციან. მაშასადამე იმ სავარჯიშოებს, რომელიც ამ განყოფილებაში მასწავლებლის დაუხმარებლად უნდა შეასრულონ, ვერცერთი მოწაფე ვერ შეასრულებს. ციფრებს ავტორი აწერინებს ადრე და არა იმ წესზე, რომელიც ითხოვს წერის დროსაც ჯერ ადვილის წერას და შემდეგ უფრო ძნელისას. ამ განყოფილებაში შეინიშნება აგრეთვე თვლის სწავლების უმთავრესი პირობების დარღვევა. მაგ. მეშვიდე გვერდიდან მეთერთმეტემდის ხშირად შეხვდებით სხვადასხვა საგნების, მაგ. ჯვრის, რგოლის და ოთხკუთხიან ფიგურების ერთად შეერთებას ამნაირად: 00000 □ □ = 5±2=7 „Предметы для известного упражнения надобно брать однородные, так как сущность процесса образования, представления о числах состоят в том, что один и тот же предмет повторяется несколько раз“. /იხ. პედაგოგიკა ოლეს-ნიცკისა, გვ. /21/.

ამის შემდეგ ბ-ნი ნატროშვილის „კრებულში“ შეხვდებით ამოცანებს შეერთებაზე, გამოკლებაზე, გამრავლებაზე, გაყოფაზე და სხვ. სწორედ ამ წესით, როგორც გოლდენბერგს აქვს თავის „კრებულში“, ამნაირად დალაგებას ამოცანებისას მოქმედებებზე სასურველი ნაყოფი არ მოაქვს. ბავშვები წინდაწინვე მიხვდებიან, რომ იმ ამოცანებს, რომელსაც სათაურში შეერთება უწერია, გაკეთება შეერთების საშუალებით უნდა. ამიტომ ამ შემთხვევაში ბავშვის გონება თავის თავად სრულიად არ მუშაობს, ის სრულიად მიპყრობილია ამოცანაში მოცემულის რიცხვების შეერთებაზე მეხანიკურად. საზოგადოთ ეს წესი – ამოცანების დალაგებისა მოქმედებებზე, როგორც ხელოვნური წესი, არ ეთანხმება ბავშვების გონებით განვითარების საქმეს ანგარიშის სწავლების დროს აზროვნებაში და ამიტომ მიტოვებული უნდა იქმნას. თვითონ ცხოვრება ხუთი-ექვსი წლის ბავშვს და მით უფრო შვიდი-რვა წლისას, ასწავლის ანგარიშის სხვა და სხვა პროცესს, მოქმედებებს, როგორც სხეული ადამიანისა უფრო მაგრდება და ვითარდება, როცა იკვებება სხვადასხვანაირი საჭმლით და არა მარტო პურით, ისე ბავშვის სულიერი ძალაც უფრო ვითარდება და

მაგრდება, როცა აწვდით მას სხვადასხვაგვარს შესაფერისს საზრდოს გონებისას. კვებთ ბავშვი ერთი კვირის განმავლობაში მარტო პუ-რით და ადვილად მიხვდებით, რა გავლენა ექნება ამნაირად გამო-კვებას ბავშვის სხეულზე; აძლიეთ ბავშვს ერთი კვირის განმავლო-ბაში ამოცანები მარტო შეერთებაზე და თუ კარგი დაკვირვება გაქვთ, იმასვე შენიშნავთ. ამის მიხედვით ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ გრუბე და ევტუშევსკი უფრო ღრმად ჩასწვდნენ ბავშვის გონების ბუნებით მოთხოვნილებას და სამართლიანად ამტკიცებენ, რომ „нет надобности делать подбор задач по рубрикам“, ე. ი. საჭირო არ არის ბა-ვშვებმა აკეთონ ამოცანები ჯერ შეერთებაზე, რამდენიმე ხნის შემდეგ გამოკლებაზე და სხვ.

ეხლა ცოტას მოგახსენებთ ნაწევრების შესწავლის შესახებაც, რომელსაც ბ-ნი ნატროშვილი იწყებს გოლდენბერგზე უფრო ადრე. ყოველგან შენიშნულია, რომ მარტივი ნაწევრების შესწავლა დიდს სიძნელეს წარმოადგენს მოწაფეების მხრით არა თუ პირველი წლი-დგანვე, არამედ სისტემატიური კურსის დასრულების შემდეგაც. რუსე-ბის სკოლებში ბევრგან, სადაც სწავლება ოთხ წელიწადს სწარმოებს, სცადეს მეოთხე წელიწადს მარტივ ნაწევრებზე ოთხი მოქმედების შესწავლა, რომელსაც ყველგან შემდეგი შედეგი მოჰყვა: „результаты, получаемые здесь, или неудовлетворительны, или крайне не прочны. Знание простых дробей при более систематическом курсе не легко и легко забывается; восстановить в памяти те или другие правила путем личного соображения для очень многих тоже оказывается трудным“. იხ. მეთოდ. სახელმძღვანელო სახალხო სკოლების დირექციისა ნიჟგო-როდის გუბერნიაში/.

თუ სამი წლის სწავლების შემდეგ მეოთხე წელიწადს უძნელდე-ბათ ბავშვებს მარტივი ნაწევრების შესწავლა, რაშიაც ჩვენც გამოც-დილებიდან დარწმუნებული ვართ, მით უფრო ძნელი უნდა იყოს ნაწევრების შესწავლა პირველი წლიდგანვე, როგორც ურჩევნ თა-ვიანთ კრებულებში ლუბენცი და ბ-ნი ნატროშვილი. მაგ.

$1\frac{1}{2} = 3\frac{3}{4} - ; 3/4 ; 1/4 ; 3\frac{1}{5} - 3/5$ ანუ $(3/4 \times 3/4) \times 2 ; (2\frac{3}{4} \times 3\frac{1}{4}) \times 3 ; (5\frac{1}{4} \times 3\frac{3}{4}) \times 3$; და სხვ. რვა წლის ბავშვისათვის, ისიც მასწავლებ-ლის დაუხმარებლად, როგორც ურჩევს ბ-ნი ნატროშვილი, ადვილად გასაგები არ არის.

გაცოფისათვის ბ-ნი ნატროშვილის „კრებულში“ თავიდგანვე შე-ხვდებით ორს ნიშანს: : და | ; მეორე ნიშანს საზოგადოდ ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა გასაყოფად აღებულია მრავალნიშნოვანი

რიცხვი, რომ ამ შემთხვევაში ნაწილადი ცხადად იყოს განსაზღვრული და სხვა რიცხვებს არ შეერიოს; ასეც იქცევინან არითმეტიკის ყველა სახელმძღვანელოსა და კრებულების ავტორები, გარდა ბ-ნის ნატროშვილისა.

ერთს საჭირო და აუცილებელ საგანს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ „კრებულის“ ავტორებმა, შეადგენს ამოცანების დალაგება სიძნელისდაგვარად. ყველა ტიპიურს ამოცანას, რომელსაც მოსწავლეები აკეთებენ მასწავლებლის დახმარებით, უნდა მოჰყვებოდეს ანალოგიური ამოცანები, რომელსაც მოწაფეები აკეთებენ დამოუკიდებლად, თავისთავად, წინა ამოცანის მიხედვით; ეს წესი მეტ-ნაკლებობით დაცული აქვს ევტუშევსკის და ბ-ნ ნატროშვილსაც ზოგიერთ შემთხვევებში, მხოლოდ უმეტესი ნაწილი ბ-ნი ნატროშვილის ამოცანების ალგებრიულის ხასიათისაა, რასაც, რასაკვირველია, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ელემენტარულ ანგარიშის სწავლებაში.

საზოგადოდ ბ-ნი ნატროშვილის „კრებულს“ ისეთივე ნაკლებვანება აქვს, როგორც ბევრს რუსულ კრებულებს ამოცანებისას. მიუხედავად ამისა, ბ-ნი ნატროშვილის „კრებულის“ ხმარებას ჩვენს სკოლებში, სადაც ანგარიშს გოლდენბერგის პროგრამის მიხედვით ასწავლიან, გამოცდილი მასწავლებლის ხელში სარგებლობის მოტანაც შეუძლიან, მით უფრო, რომ ამნაირი „კრებული“, რომელიც ავტორის სიტყვით „არის ნაყოფი ახალი პედაგოგიური მიმართულებისა“, ერთადერთი სახელმძღვანელოა.

რა ვნება მოაქვს უცხო ენის აღრე სწავლებას /მშობელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ/ ვუძღვნი ან. ა. რ-ს

ოცდაათი წლის წინათ რუსეთში ერთი მეტად ცუდი და მავნებელი ჩვეულება იყო გავრცელებული. ამ ჩვეულების მიხედვით ყველა მშობელი ვალდებულად სთვლიდა თავისს თავს, აიდგამდნენ თუ არა ენას დედაენაზედ ბავშვები, მაშინვე უნდა დაეწყებინებინათ ერთის ან რამდენისამე უცხო ენის სწავლება. იმ დროში ხშირად შეხვდებოდით სამის წლის ბავშვს, რომელიც ტიტინებდა ფრანგულს, ნემენცურს და რუსულს ენაზედ. ამისათვის დიდს ოჯახში იჭერდნენ უცხოეთის „ბონებს“, რომლებმაც ერთი სიტყვაც კი არ იცოდნენ ბავშვების დედაენა-

ზედ და ამიტომ ძალაუნებურად ასწავლიდნენ პატარებს თავისს დედაენას. ამისთანა უკუღმართმა მიმართულებამ მიიქცია ყურადღება თანამედროვე მწერლობისა, რომელმაც სასტიკად გაჰკიცხა ამნაირი მიმართულება საზოგადოებისა, დაჰგმო უცხო ენის უდროოდ სწავლება და დაადგინა – ვიდრე ბავშვი სხეულით კარგა არ გამაგრებულია და ბუნება არ გაუცვნია დედაენის საშუალებით, მანამდის უცხო ენას ბავშვებს არ უნდა ასწავლიდნენო.

თუ დღეს რუსეთში ძველის მიმართულების მიმდევარი ცოტაა წინანდელთან შედარებით, ამისი მიზეზნი მაშინდელი მწერლები არიან საზოგადოდ და პიროგოვი კერძოდ, რომელმაც თავის მშვენიერ წერილში „Вопросы жизни“ ცხადად აღუნიშნა საზოგადოებას სალი მიმართულება ბავშვების კანონიერად აღსაზრდელად.

ამის მსგავსს მოვლენას, რომელიც რუსეთში შეინიშნებოდა ოცდაათის წლის წინათ, ცოტა განსხვავებით, ვამჩნევთ ჩვენს კურთხეულს ქვეყანაშიაც. ავიღოთ თუ გინდ ერთი მაგალითი, ამას წინათ წარმოთქმული ერთის პედაგოგის მიერ. ჩვენ წინ გვიძევს ამ წლის „ივერიის“ №134, (15) რომელშიაც ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენს სკოლებში „русское слово“-ს პირველი ნაწილი შეიძლება პირველ წელიწადსვე გაიარონ, ლექსიკური განყოფილება, რომელიც წინ წამძღვარებული აქვს ანბანს, უნდა გაიარონ პირველ სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში, ე. ი. ენკენისთვიდგან იანვრამდე, ხოლო დანარჩენი – იანვრიდან მაისამდე. მეორე წელიწადს მეორე ნაწილი „русское слово“-სი, ხოლო მესამე წელიწადს შეიძლება რადონეჟსკის „Книга для чтения и письменных работ“ შეისწავლონო“.

ამ აზრის მიმდევარნი და მისი განმახორციელებლები, მასწავლებელთა შორის დღეს ჩვენში ბლომად მოიპოვებიან სხვა და სხვა უწყების სკოლებში. ამ ყოვლად უმსგავსის მოვლენის მიზეზად ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ბევრს ჩვენებურს პედაგოგს არა აქვს სალი წარმოდგენა უცხო ენის კანონიერად და შეგნებულად შესწავლის მეთოდისა და ან ამ საღ წარმოდგენას ანაცვალებს სხვადასხვა უღირსს გარემოებათა.

ყველა, ვისაც ყურადღება მიუქცევია ჩვენებურის სკოლებისათვის, შენიშნავდა, რავგარად მომზადებულ ბავშვებს იძლევა დღევანდელი ჩვენი ოჯახი. ჩვენებურს ბავშვებს სკოლაში შესვლის დროს, უმეტესს შემთხვევაში, არა აქვთ ცოდნა არა თუ გარშემორტყმულ ბუნებისა, არამედ ისეთის საგნებისაც კი, რომელიც მუდამ გარს ახვევიათ ოჯახსა და სკოლაშიაც. ეს მოვლენა არა მარტო ჩვენში, სხვა

ქვეყნებშიაც შეინიშნება, სადაც ჭეშმარიტს განათლებას ჯერ სასურველი ნაყოფი არ გამოუღია. ამისათვის უმთავრეს და უპირველეს საშუალებად ყველა ერის პედაგოგებისა და მოაზრე ადამიანების მიერ აღიარებულია სამშობლო ენა, რომლის შემწეობითაც ბავშვი სინამდვილით გაიცნობს გარშემორტყმულს ბუნებას და შეიძენს საჭირო ცნობებს. საჭირო ცნობების შეძენა ითხოვს ბავშვის სულიერ ძალისაგან ერთგვარ სიძნელეს, რომელსაც ბავშვი ადვილად დასძლევს იმ შემთხვევაში, თუ იგი პირველს წელიწადს მაინც ვარჯიშობს მხოლოდ დედაენის საშუალებით. უცხო ენა პირველ წელიწადს ბავშვის გონებას არა თუ ჰმატებს რასმე, აუძღურებს კიდევ. ბავშვის გონება ითხოვს სხვა და სხვა მხრივ მეცადინეობას, რომ ერთსა და იმავე დროს შეძლებისდაგვარად ჰმოქმედობდეს ბავშვის ყველა ორგანო. რასაკვირველია, რასაც უნდა აკეთებდეს ბავშვი, ყოველ შემთხვევაში მონაწილეობას იღებს ბავშვის ტვინი, ურომლისოდაც შეუძლებელია რომელიმე სამუშაოს შესრულება, მაგრამ დიდი განსხვავებაა ტვინის მუშაობაში იმ დროს, როცა ბავშვი თავისთავად ჰხატავს რასმე, სტრის ხაზზედ ქალაქის მაკრატლითა, ჰმუშაობს ბაღში და ამ დროს ესმის მას რომელიმე ფრაზა უცხო ენაზედ, რომელიც უნდა დაიხსომოს. პირველ შემთხვევაში მონაწილეობას იღებს მხედველობა, ხელი, ტვინი, მაგრამ ეს უკანასკნელი ჰმოქმედებს არა ცალმხრივ, არამედ სხვადასხვა მხრივ, რადგანაც მაშინ, როცა ბავშვი ჰმოქმედებს თავისთავად, გაჰყავს ხაზი უჯრედებზე, ან ხაზებზედ სტრის ქალაქს მაკრატლით, სრულდება რთული გონებითი პროცესი.

სულ სხვაა, როდესაც ბავშვს ესმის ფრაზა უცხო ენაზედ, რომელიც უნდა დაიხსომოს. ამ შემთხვევაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ სმენა და მეხსიერება. აავსეთ ბავშვის ცხოვრება ამგვარ ფრაზებით და თქვენ აღზრდით ცალმხრივს, მახინჯს არსებას. ყველაფრის სწავლება შეიძლება მრავალის ორგანოს საშუალებით, მონაწილეობით, თვალსაჩინოდ, მაგრამ უცხო ენის სწავლების წარმოება სრულიად თვალსაჩინოდ მოუხერხებელია, ამიტომ უდროოდ უცხო ენის სწავლება უფრო მავნებლად ჰმოქმედებს ბავშვის სხეულზედ, ვიდრე სხვა ცნობებისა, რადგანაც მეხსიერების ძალდატანება დიდად მავნებელია ყველა ასაკში და მით უფრო ნორჩის არსებისათვის. ტვინის ცალმხრი მუშაობა ბევრს სამაგიეროს ითხოვს, ბევრს საზრდოს, და ეს საზრდო, რომელიც საჭიროა მთელის სხეულის თანაბრად გამოსაკვებად, მიდის, უმეტესს შემთხვევაში, ტვინისაკენ. ამის გამო სხეულის კუნთები სუსტდება, სუსტდება მთელი სტომაქი, ბავშვს უჭირდება

საჭმლის მონელება, ყვითლდება და სახით ემსგავსება იმისთანა ტანჯულს არსებას, რომელიც ყველას მიერ ცნობილია. ბოლოს ამისთანა ბავშვებს მესხიერება მთლად უჩლუნგდებათ, ან ხდებიან მეტის მეტად მგრძნობიარენი, ანჩხლნი და ამ თვისებიდგან ავად გახდომამდის დიდი მანძილი არ არის.

სტატისტიკა ბევრს საყურადღებო ცნობას შეგვძენდა იმის შესახებ, თუ რომელი ბავშვები ჰხდებიან ხშირად ავად და ჰკვდებიან კიდევ ისინი, ვისაც ადრე დაუწყია ტვინის ცალმხრივი მუშაობით უცხო ენის შესწავლა, თუ ისინი, ვისაც უცხო ენის შესწავლა დაუწყია ცოტა გვიან. ჩვენის ამრის დასაბუთებულად მოვიყვანთ ცნობებს რუსეთის ერთის ცნობილის პედაგოგისას:

„Известно, что дети, в столицах и в богатых домах, где умственное образование более распространено, имеют больше изнуренный вид, нежели дети в деревнях. Это обыкновенно приписывается недостатку свежего воздуха и хорошей пищи, но нельзя тут не видеть также влияния раннего обучения языкам, тем более, что в семействах в деревне, пользующихся ея воздухом и пищею, но окружающих себя французскими или немецкими гувернантками, дети редко бывают сильны, а городские семейства, ведущие простую и незатейливую жизнь, без разговора на чужих языках имеют здоровых детей“. იხ. პრაქტიკული აღზრდა მცირე წლოვანის ბავშვებისა, ა. ი. სიმონოვიჩისა, გვ. 249/.

ყველა ცნობილი პედაგოგი და მათ შორის მბრუნველი კავკასიის სასწავლო ოლქისა კ. პ. იანოვსკი, რომელიც ამჟამად სტამბავს ვრცელს წერილს აღზრდისა და სწავლების შესახებ ჟურნალ „Русская школа“-ში (16) იმ ამრისაა, რომ ერთკლასიან თუ ორკლასიან სკოლებს საზოგადო განათლების ხასიათი უნდა ჰქონდესო. საზოგადო განათლება მაშინ დგას ნაყოფიერს ნიადაგზედ, როდესაც ერთკლასიანს სკოლებში მაინც განათლება შეიძინება დედაენის საშუალებით.

ადამიანი იბადება, ცხოვრობს და იზრდება საზოგადოდ თავის ქვეყანაში, თავის ხალხში. ყველაფერს, რაც გარს არტყია ადამიანს – ხალხს, ცნობებს, მნე-ხასიათს, ჩვეულებას, საზოგადოდ ყველა გარშემორტყმულ არსებას, ბუნებას თავისის ხელოვნურისა და ბუნებრივის ნაწარმოებით, გავლენა აქვს ადამიანზედ. ადამიანიც ბავშვობიდან ემორჩილება ამ გავლენას და შთაბეჭდილებას იღებს გრძნობათა ორგანოების შემწეობით და შემდეგ ითვისებს. ბავშვის გონებაში ჩნდება სხვა და სხვა წარმოდგენა – ცნება, ამრი, გრძნობა და სურვილი და, ერთის სიტყვით, მთელი მისი სულიერი სიმდიდრე, რომელსაც მოსდევს ადამიანის სულის განვითარებაც.

ბავშვი თანდაყოლილ ნიჭიერებათა ვარჯიშობით, შთაბეჭდილებათა შეთვისებით სამშობლო ენაზედ თანდათან ვითარდება, მაგრდება და ძლიერი ხდება შემდეგ შთაბეჭდილებათა კარგად შესათვისებლად და უცხო ენის შესასწავლად. სწორედ ისე, როგორც ვითარდება ჩვენი სხეულის კუნთები და საზოგადოდ ჩვენის სხეულის ძალა, მთელი ჩვენი სხეული იმის გამო, რომ ჩვენ ვღებულობთ საჭმელს, ვმოძრაობთ და ვასრულებთ ფიზიკურს სამუშაოს. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით გამოცდილებით, რომ თუ ძალზედ მეტს ვჭამთ, ან ცოტას, ან ვხმარობთ ისეთს საჭმელს, რომელსაც ჩვენი სტომაქი ვერ ინელებს, მაშინ ავადა ვხდებით და ან ძლიერ ვსუსტდებით. ავიღოთ სხვა მაგალითი – ვსთქვათ მოვახდინეთ მეტად ძლიერი მოძრაობა, ან ავწიეთ ჩვენთვის მეტად სამძიმო ნივთი, ამით ჩვენ შეგვიძლია საუკუნოთ შევარყიოთ ჩვენი ჯანმრთელობა. თუ დიდხანს ვასრულებთ რომელსამე ფიზიკურს სამუშაოს, ან ხელს ვკიდებთ ისეთს სამუშაოს, რომელიც ჩვენს ძალას აღემატება, შეგვიძლიან ჩვენის სხეულის მოქანცვა-მოლაღვა. მაშასადამე, ყველა ამ შემთხვევაში ადამიანის სხეულის განვითარება წესიერად არა სწარმოებს, პირიქით, ასეთი განვითარება სხეულისა იქნება სწორი განვითარება. სწორედ ასეთი შედეგი მოელის ბავშვის სულიერად განვითარებასაც, თუ ბავშვის სულიერი ნიჭიერებანი გართულია ძალაზედ აღმატებულს მეცადინეობასა და ვარჯიშობაში. მაშასადამე, სწორი და საღი განვითარება სულიერი და ხორციელი ძალისა დამოკიდებულია ისეთს სავარჯიშოებისაგან, რომელიც მარგებელი უნდა იყოს ყოველს შემთხვევაში.

ეს ვარჯიშობანი თავდაპირველად ბავშვის სულიერ ძალთა განვითარებისათვის, როგორც ზემოთ მოვისხენიეთ, მდგომარეობს გარეგან შთაბეჭდილებათა შეგნება-შეთვისებაში, რომელსაც მოახდენს ბავშვზე ყველაფერი, რაც მას გარს არტყია. რა არტყია გარშემო ბავშვს? – ადგილი, სადაც სცხოვრობს და ხალხი, რომელიც ლაპარაკობს იმის დედაენაზედ. ეს გარშემორტყმული ბუნება შეადგენს ბუნებრივს, ყოვლად შეუცვლელს და სრულიად შესაფერისს მასალას ბავშვის ხორციელ და სულიერ ნიჭიერებათა ყოველმხრივ განვითარებისათვის და მაშასადამე, მისის საზოგადო განათლებისათვისაც, რომელიც ცოტად თუ ბევრად წინ უნდა უსწრებდეს უცხო ენის სწავლებას. აქ მოვიყვანთ აზრს ისეთი პედაგოგებისას, რომლებიც სრულიად მიუდგომლად, მარტო პედაგოგიურის მოსაზრებით შეეხებიან ამ საგანს: „Я положительно убежден, что знание родного языка должно предшествовать иностранному, потому что первое кладет прочный

фундамент, на котором основательно утверждаются другия, ибо является возможность сравнительного изучения. Вся мыслительная способность будет работать при этом; все познаваемое будет ясно, логично объясняться предыдущим; не только сходство, но и самое различие будет одним из средств к проверке и укреплению одного знания другим. Преподавание родного языка должно предшествовать двумя ступенями преподаванию иностранного, чтобы служить прочной основой для сравнительного изучения“. /იხ. ჟურნალი „Семья и школа“, 1873 წ. №9/.

ახლა, ბატონებო, თუ არ დაიშლით და შესაძლებლად მიგაჩნიათ, პირველ წელსვე დაასრულებინეთ ახლად სკოლაში შემოსულს შვიდ-რვა წლის ბავშვებს „Русское слово“-ს პირველი ნაწილი. მაგრამ რას მოახდენთ ამით? ბავშვმა პირველ წელსვე თავისს დედაენასა და უცხო ენაზედაც წერა კითხვა უნდა შეისწავლოს, უნდა შეისწავლოს აგრეთვე 500-600-ზედ მეტი უცხო სიტყვა და მათი ხმარება და ბევრი სხვა, რაც სულ ბავშვის მეხსიერებისათვის აუტანელი ბარგია. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს ყველა, რომ ასეთის აჩქარებული უცხო ენის სწავლებით ბავშვისაგან შეჰქმნიან არა გონებაგანვითარებულს, არამედ ხორციელად დატანჯულს და სულიერად კრეტინს არსებებს.

ყველა საკითხი ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმისა აუცილებლად უნდა სწყდებოდეს პედაგოგის კანონთა მიხედვით. ის პედაგოგი, რომელიც მოინდომებს „русское слово“-ს ორივე ნაწილის ორი წლის განმავლობაში გავლას მოსწავლეებთან, დიდს შეცდომას ჩაიდენს, რომლითაც ვნებას მოუტანს არა მარტო მოსწავლეებს, არამედ თვით სახელმწიფო ენის კანონიერად და შეგნებულად შესწავლასაც. მოზრდილ ადამიანსაც უჭირს პირველად ლაპარაკი უცხო ენაზედ, რადგანაც არ იცის ჯერ საკმაო რიცხვი უცხო სიტყვებისა, მითუმეტეს ამ სიძნელიდგან თავის დაღწევა გაუჭირდება ისეთს ბავშვს, რომელიც დედაენაში არ არის გაწაფული, არა აქვს შექმნილი ნამდვილი ცნობანი ნივთების შესახებ და არ შეუძლიან ამ მცნებათა ერთმანეთზე გადაბმა. ბავშვებმა თავდაპირველად უნდა ისწავლონ ლაპარაკი, ე. ი. აზროვნობა და თავისის აზრის აღნიშვნა. ეს შეადგენს, რასაკვირველია, ერთგვარ სიძნელეს – მეცნიერებას, რომლის შეთვისება და შეგნება მოსახერხებელია მხოლოდ დედაენის საშუალებით, რადგანაც იგი სამართლიანად ითვლება საუკეთესო საშუალებად ყველა საჭირო სათნოებისა და ცოდნის შექმნისათვის. ყოველივე კეთილი თესლი უნდა ჩაითესოს ბავშვის გონებაში ბავშვობიდანვე დედაე-

ნის საშუალებით. მაგრამ შესაძლებელია ერთის საგნით მეცადინეობა კანონიერად, როდესაც ერთსა და იმავე დროს იძლევიან ორს-სამს მეტს საგანს? ეს მეტი საგანია უცხო ენა, რომელიც უშლის ბავშვს პირველ წელიწადს მაინც ელემენტარულის განათლების საფუძვლიანად შეძენას და რომლის სწავლებაც დრომდის გადადებული უნდა იქმნას.

სანამდის უნდა იქმნას გადადებული უცხო ენის სწავლება? ამის შესახებ პედაგოგები სხვა და სხვა პასუხს იძლევიან: რამდენადაც ბავშვი სუსტია აგებულობით, იმდენად უცხო ენის სწავლება უფრო გვიან უნდა იწყებოდეს – უმრავლესობის აზრით, ათს წელიწადზე ადრე სწავლება უცხო ენისა სასურველს ნაყოფს ვერ მოიტანს. ამ ხანში ბავშვის ტვინი უფრო გამაგრებულია და გონებით მოქმედებასა და ფიზიკურ შრომასთან ერთად თანდათან უფრო მაგრდება. ამ ასაკში ბავშვს კარგად ესმის მნიშვნელობა უცხო ენის სწავლებისა და ამ შეგნებასაც დიდი მნიშვნელობა ექნება სწავლის წარმატებით მსვლელობისათვის.

რამდენადაც რუსული ენის შესწავლას აქვს დიდი მნიშვნელობა ყველა ქართველისათვის და ერთგულის ქვეშევრდომისათვის საზოგადოდ ბევრის მხრივ, იმდენად უფრო ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ სახელმწიფო ენა შესწავლილი იქმნეს ყველა ქართველის მიერ სრულიად შეგნებულად და არა მესხანიკურად, ანუ თუთიყუშურად. ყველა ქართველი, წოდების განურჩევლად, რომ მოწადინებულია თითონ და თავის შვილებსაც ადრე შეასწავლოს სახელმწიფო ენა, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა, მხოლოდ წესი, დრო და რიგი სწავლებისა კი დღემდის ბურუსით არის მოცული. ამ რამდენსამე წლის წინათ ადგილობრივმა სამოსწავლო მთავრობამ გამოსცა უმაღლესის მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოსწავლო გეგმა რუსულის ენის სწავლებისა ჩვენებურს სკოლებში. ეს გეგმა, როგორც ნაყოფი პედაგოგიურის მოსაზრებისა, მოწონებული იქმნა უმაღლესის მთავრობისა და პედაგოგების მიერ. ხსენებულის გეგმის კანონიერად შესრულებით დაკმაყოფილებული იქმნება მთავარი მოთხოვნილება რუსულის ენის კანონიერად და შეგნებულად შესწავლისა, რასაც ითხოვს ჩვენის ცხოვრების დღევანდელი გარემოებაც.

ამ გეგმის ძალით, რუსულის ენის სწავლება იწყება პირველის წლის მეორე ნახევრიდან ლექსიურად. ეს არის დასაწყისი რუსულის ენის შესწავლისა და რამდენადაც დასაწყისი ანუ საფუძველი კარგია და მკვიდრად არის დადგმული, იმდენად უკეთესი ნაყოფი მოაქვს შემდეგში. ტყუილად არ ამბობენ რუსები: „Хорошее начало пол дела откачали.“ თუ ეს პირველი საფუძველი შეგნებულად და გონივრულად

იქმნა ჩადგმული მასწავლებლის მიერ და შეთვისებული მოსწავლე-ების მიერ მესხიერების ძალდაუტანებლად, მაშინ, შემდეგი ნაბიჯიც სასურველს ნაყოფს მოიტანს. /non multa sed multum – ცოტა, მაგრამ ბევრიო/, აი, დევიზი, რომლის განხორციელებასაც უნდა ცდილობდეს ყველა მასწავლებელი რუსულის ენის სწავლების დროსაც. მაგრამ ამას დღეს ჩვენში ზოგი საჭირო ყურადღებას არ აქცევს და ურჩევს მასწავლებლებს, ორი წლის მასალა ერთს წელიწადში გაიარეთო. ჩვენ კი ყოველთვის ურწმუნოდ ვუცქერდით და დღესაც ვუცქერით იმ ზღაპრულ ნაყოფს, რომელსაც მოელიან ზოგიერთები უცხო ენის აჩქარებით სწავლებისაგან. აჩქარება თუ სხვა საქმეებში არ ვარგა, მით უფრო გამოუყენებელია იგი სწავლების საქმეში. გვგონია ამას დაემოწმება ყველა, ვისაც საქმე ჰქონია ბავშვების სწავლებასთან და ესმის აზრი გონიერის პედაგოგიისა.

წერილი კავკასიიდან

კავკასის ქართველებისათვის წრევანდელი წელიწადი ბედნიერი იყო. ეხლა ეკლესიაც, სკოლაც და მღვდელიც საკუთარი ჰყავთ და სიამოვნებით ისმენენ საღმრთო მსახურებას მშობლიურს ენაზედ. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკე მრევლი კავკასის ქართველებისა, როგორც უწმიდესის სინოდის ცნობებიდან სჩანს, რომელიც მიუღია ყ-დ სამღვდელო კავკასის ეპისკოპოსს ვლადიმირს, უკვე გაიხსნება და ოფიციალურად გამოცხადდება ამ ორს დღეში. ყველა ქართველი კავკასისა და მისს არე-მარეში მცხოვრებნი მიეწერებიან კავკასის სკოლის ეკლესიას. ამასთან ყ-დ სამღვდელოს ვლადიმირს უკვე მიუღია ცნობები, რომ პირველ იანვრიდან ქართველი მღვდელი მიიღებს წლიურად 400 მანეთს ჯამაგირს უწმიდესის სინოდისაგან და მედავითნე 120 მანეთს. ამნაირად, ფრიად სასიამოვნოა, რომ კავკასის ეპისკოპოსმა ასე მამობრივის სიყვარულით შეხედა აქაურს ქართველებს და იღწვის მათდა სასარგებლოდ. აღსანიშნავია აგრეთვე ის რჩევა-დარიგება, რომელსაც აძლევს ყოვლად სამღვდელო ქართველების მღვდელს მამა გ. ნათაძეს. როგორც გამოცდილის მისიონერის, ყოვლად სამღვდელოს ვლადიმირის რჩევა და დარიგება ფრიად სასარგებლოა და ნაყოფიერი აქაურის ქართველებისათვის. აქ მოვიყვანთ მცირე ცნობას ქართულის გალობის შესახებ, რომელიც

დაბეჭდილი იყო აქაურ „საეპარქიო უწყების“ უკანასკნელ ნომერში:

„На литургии некоторые песнопения были пропеты учениками грузинской школы на грузинском языке. В напеве грузин слышалось, что-то древнее, из глубины веков идущее. Пение это, прежде всего, просто. Нет в нем ни одного вычурного пассажа, ни выкриков. Но в нем есть иное богатство: сердечность и глубина непосредственного религиозного чувства; в нем поет не искусство, а душа, поет сердце, полное любви к Богу, готовое служить своему Создателю.

Пред освящением храма кафедральным протоиереем было совершенно освящение воды, при котором многие песнопения были пропеты теми же учениками. Пение было все тоже задушевное и глубоко трогательное. Напевы стоят того, чтобы на них обратили внимание и воспользовались частью из сокровищницы религиозной жизни и чувства единоверных нам грузин“. (იბ. Епарх. вед. № 22, 15 ნოემბრისა, გვ. 410)

ეს შენიშვნები ეკუთვნის დეკანოზს მ. კოლპიკოვს, რომელიც საზოგადოდ კარგი მცოდნე უნდა იყოს ეკლესიურის საგალობლებისა და მათის ღირსებისა. ბავშვები ჰგალობდნენ ბ-ნის ბენაშვილის მიერ გადაღებულ საგალობლებს ოთხს ხმაზედ. ეს შენიშვნები მ. კოლპიკოვისა უფრო მისთვის ამოვსწერეთ, რომ დაგვენახვებინა ზოგიერთებისათვის, რომლებიც ამბობენ, რომ ბ-ნ ბენაშვილს ქართული გალობის კილო დამახინჯებული აქვსო და სხ. ჩვენ-კი გვგონია, რომ ბ-ნმა ბენაშვილმა ბევრი სხვების მიერ მუსიკის მხრივ დამახინჯება ააცილა ქართულს გალობას და გამოიყვანა ისე, როგორც ყოფილიყო. ამ საკითხს ჩვენ სხვა დროს დავუბრუნდებით.

საზოგადო კრება კავკაველი ქართველობისა

ოცდა რვა დეკემბერს კავკავის ქართული სკოლის დარბაზში კავკავის ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარის, თავადის ეროთეოს გიორგის ძის სიდომონოვ-ერისთავის მოწოდებით მოხდა კრება კავკაველ ქართველობისა, რომელსაც უნდა განეხილა სამი საგანი: ა/ სკოლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, ბ/ ეკლესიის საქმე და გ/ სამზრუნველო კომიტეტის ახალის წევრების არჩევა. პირველი საგნის შესახებ თავმჯდომარემ კრებისამ თავადმა ე. გ. სიდომონოვ-ერისთავმა განუმარტა საზოგადოებას, რომ რადგანაც სკოლის ხაზინადარი რამდენიმე თვეა რაც კავკავში არ იმყოფება, ამის გამო ანგარიშის შედგენა დღეისათვის ვერ მოხერხდა; შემოსავალ-გასავლის დავთრები და მასთან სხვა საბუთებიც ხაზინადარს აბარია და როდესაც ეს უკანასკნელი მოვა, მაშინ შევადგენთ სრულ ანგარიშს და კიდევაც მოისმენთო. ამის შემდეგ შეუდგნენ ეკლესიის საქმეს. „ცნობის ფურცლის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავკავის ქართველობა დიდი ხანია მოწადინებულია ჰყავდეს საკუთარი მღვდელი და ეკლესია, რომ ყოველ დროს თავისუფლად შეეძლოს ღვთის მსახურების მოსმენა და მღვდელ-მოქმედების შესრულება მშობლიურს ენაზე. ამ ფრიად საჭირო საქმის განსახორციელებლად შეძლებისა და გვარად არავითარ ღონისძიებას და საშვალებას არ ზოგავენ აქაური ქართველები. ამ საგნის შესახებ დიდი ხნის ბჭობისა და ლაპარაკის შემდეგ საქმე იქამდინ მივიდა, რომ რაღაც „ბარტიობის“ ან დას-დასობის მსგავს არაფრის მომცემს და უფრო ბევრის დამღუპავ მოვლენასაც შეამჩნივდა მეთვალ-ყურე. ეკლესიის საქმის გამო, შარშან, ჩემი კარგი მეგობარი ბ-ნი Lonis-ი, სხვათა შორის სწერდა „ცნობის ფურცელში“ და ურჩევდა კავკავის ქართველებს შეერთებულიყვნენ აზრით და საქმით და ეკლესია სკოლასთან მოეხერხებინათ როგორმე, რომ ამ ორ სასარგებლო დაწესებულებას – სკოლას და ეკლესიას ხელიხელჩაკიდებულად, ერთმანეთის დახმარებით სასურველი და უფრო ნაყოფიერი სარგებლობა მოეტანა ადგილობრივის ქართველთათვის. მაშინ ბევრნი წინააღმდეგნი იყვნენ სკოლასთან ეკლესიის მოწყობაზე. გაიმართა ხელის მოწერა

იმის შესატყობლად თუ რამდენი ფულის შეგროვება შეიძლება კავკასი-ველ ქართველებში. ხელის მომწერთ სიამ ექვსი თვე იარა აქეთ-იქით და ბოლოს აღმოჩნდა, რომ კავკასის ქართველობას ეკლესიის საქმისათვის შეუძლიან ადგილობრივ მოაგროვოს მხოლოდ ხუთას-ექვსას თუმნამდის. აქედგან ცხადია თუ რამდენად შესაძლებელი ხდება ცალკე ეკლესიის აშენება. კრებას მოხსენდა ის აზრი, რომ ჩვენი ღონისძიების მიხედვით შესაძლებელია ეკლესიისათვის ცალკე სრული ოთახის გამართვა, ანუ მიშენება სკოლის შენობაზე. ადგილობრივი მწყემსთ მთავარიც, როგორც გადასცა კრებას ბ-ნმა კახიძემ, თანახმა არის, რომ ეკლესია სკოლასთან იქმნას მოთავსებული, როგორც ეს არის სხვა სასწავლებლებში. საზოგადო კრებამაც ამ ჟამად რიგიანად და საუკეთესოდ სცნო ეს აზრი და მისს განსახორციელებლად საჭირო გეგმისა და ხარჯთ აღრიცხვისათვის აღირჩია თორმეტი კაცი – ამშენებელი კომიტეტის წევრებად. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს თორმეტი კაცი ღირსეულად აღასრულებენ მათდამი მინდობილს საქმეს. ეკლესიის საქმის ამ გვარად გადაწყვეტის შემდეგ კრება ცოტ-ცოტათი დაიშალა. უკანასკნელი საკითხი იყო სამზრუნველო კომიტეტის ახალი წევრების არჩევა. წინად კომიტეტის წევრებათ ითვლებოდა ოცდა ათზე მეტი ქალი და კაცი. გამოცდილებამ დაარწმუნა სკოლის მზრუნველები, რომ წევრების ბევრი რიცხვი საქმისათვის სასარგებლო არ არის. შარშან, აგვისტოდგან დამოკიდებული ოთხი თვის განმავლობაში, რამდენჯერმე იყო დანიშნული სამზრუნველო კომიტეტის წევრთა კრება, მაგრამ ოცდა ათის მაგივრათ დანიშნულს დროზე გამოცხადდა მხოლოდ ოთხი ან ხუთი წევრი. ზოგიერთები ამ გარემოებას ასე ხსნიან, ვითომ კომიტეტის წევრები ფიქრობდნენ, რადგანაც ბევრნი ვართ, ჩემს მაგიერ სხვა წავა და კრება მაინც უჩემოდაც მოხდებაო. არ ვიცით, რამდენად საბუთიანია ეს მოსაზრება, მაგრამ მე ვერ დავფარავ იმას, რაც ჩემი თვალით მინახავს და ვერც იმას, რაც ყურებით მსმენია და ამიტომ, თუმცა არაფრად სასიამოვნოა, მაგრამ მაინც იძულებული ვარ აღვიარო, რომ კომიტეტის წევრების შეუკრებლობის მიზეზი იყო ერთმანეთში უთანხმოება, ერთი მეორის მიუყოლებლობა და ხშირად მწვავე ლაპარაკიც, რომელიც გვაშოროს ღმერთმან ამიერიდგან მაინც. საზოგადო კრებამ თავისს სხდომაზე სამზრუნველო კომიტეტის წევრებად ოცდა ათის ნაცვლად აღირჩია თხუთმეტი. ზოგიერთები, როგორც გაგვიგონია, წინააღმდეგნი არიან ამ განაჩენისა, რომელიც უკანონოდ მიაჩნიათ მისთვის, რომ წევრების არჩევას მეტად მცირე ხალხი დაესწრო. ბევრმა არ იცოდა, თუ ვინ

ჩაეწერა წევრებად, ამიტომ სწერდენ მხოლოდ იმათ, ვინც იმ ჟამად კრებაზედ იმყოფებოდა, სხვები-კი, უფრო საპატიო პირები, რომელთაც საკმაო ღვაწლი მიუძღვისთ სკოლის ნივთიერად ხელის შეწყობის საქმეში წარსულში და მომავალშიაც არა ნაკლებს იმედს იძლევიან, სულ უხსენებელნი დარჩნენ. საზოგადოთ, წრევანდელს კრებას ისე ბლომად არ დასწრებია ქართველობა, როგორც წინად იყო. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, თუმცა გაგებით ბევრმა გაიგო, მაგრამ წერილები ყველას არ მისვლიათ და ამ პატარა ვიწრო თავმოყვარეობამ ნება არ მისცა ზოგიერთებს კრებაზე დასწრებოდნენ. ამისთანა თავმოყვარეობა არაოდეს არ არის საქები. ვინც კეთილს და საზოგადო საქმეზედ გულს აიყრის და შეძლების და გვარად ყოველს შემთხვევაში მხარს არ აძლევს საზოგადო საქმეს იმისთვის, რომ წერილი არ მიუღია, ან მისთვის, რომ სადმე სახსენებელი იყო და არ ახსენეს. ეს უფრო იმის მლაღადებელია, რომ ჩვენ, საზოგადოთ, თავის გამოჩენა უფრო გვიყვარს, ვიდრე საზოგადო კეთილი საქმეები. ამ შემთხვევაში უადგილო არ იქმნება მოვიგონოთ მაცხოვრის სიტყვები: „როდესაც იქმ კეთილს საქმესა, ნუ გაიგებს მარცხენა შენი, რასაცა აკეთებს მარჯვენა“. ყველა შეძლების და გვარად უნდა მოქმედებდეს საქმისათვის და არა მარტო სახლისათვის, ანუ თავის გამოჩენისათვის, ხოლო კეთილს საქმეს, ვინც ღირსია, შესაფერისი სახელიც მოჰყვება თავის თავად. ზემოთ ნაჩვენები თავმოყვარეობის მიზეზით ბევრს დიდათ სასახელოდ მიაჩნიათ წევრობა კომიტეტში და თუ რომელიმე მიზეზის გამო გაშავებული იქმნა არჩევანის დროს, ეს გარემოება ისე მოქმედობს ზოგიერთების თავმოყვარეობაზე, რომ ცოტად თუ ბევრად გულსაც აიყრის სკოლის დახმარებაზე. ჩვენის ამრით, უფრო ნაყოფიერი იქმნებოდა, რომ სამზრუნველო კომიტეტის წევრებად, უმეტესს შემთხვევაში, აირჩევდნენ წევრებს შეწირულებისა და ღვაწლის მიხედვით. საჭიროდ მიგვაჩნდა და არა ერთხელ გვითქვამს, რომ სასურველია ყოველ წლობით იბეჭდებოდეს შემოსავალ-გასავლის და შემომწირველთა სია; ქართულად გავრცელდებოდეს ადგილობრივ მკვიდრთა შორის, ხელახლად არჩევა კომიტეტის წევრებისა, როგორც ამბობენ ზოგიერთები და როგორც ჩვენაც გვგონია, ურიგო არ იქნება. ამიტომ თუ ეს არჩევა მოხდა, სასურველია, რომ კომიტეტში არჩეულნი იქმნან იმისთანა პირნი, რომელთაც, როგორც მნებობრად, ისე ნივთიერის მხრითაც და სხვა მოხერხებით შეეძლოს სამი წლის განმავლობაში პირნათლად გაუძღვეს საზოგადო საქმეს, რომელსაც, შეიძლება, კომიტეტის წევრთა სასახელოდ, მუდმივი წყაროდ დაუარსდეს არსებობისათვის.

კავკასი

სალამოს გამართვა საქველმოქმედო მიზნით

სამს იანვარს, აქაური ქართველი ქალების თაოსნობით კავკასის ქართული სკოლის დარბაზში გამართული იქმნა საცეკვაო საღამო, რომლის შემოსავალი მთლად დანიშნული იყო კავკასის ქართული სკოლის სასარგებლოდ. საღამოს, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა, დიდძალი ხალხი დაესწრო. ასე რომ, საკმაოდ ფართო დარბაზი, ყველა ოთახები კოპწიად მოწყობილი სხვა და სხვა გემოზედ და ვრცელი დერეფანი სასადილო ოთახად მოწყობილი იმ დღისათვის, სავსე იყო ხალხით. საღამოზედ უკრავდა სამხედრო მუსიკა ღამის სამ საათამდის. ხალხი, დიდათ ნასიამოვნები ცეკვა-მოლხენით, დაიშალა მხოლოდ ექვს-შვიდს საათზე დილას. ბანქოს მოთამაშენი რვა საათამდის დარჩნენ. წრევანდელმა შემოსავალმა ორასი მანეთით გადაატარა შარშანდელს, რაც ერთი მხრით იმისი დამამტკიცებელია, რომ აქაური საზოგადოება, საზოგადოთ, სასურველს თანაგრძნობას უწევს ამ გვარს საქველმოქმედო საქმეებს. ამ ნაირად, ზოგიერთების აზრი სკოლაში საღამოს გამართვის უპირატესობისა გამო, ვიდრე კეთილშობილთა საკრებულო დარბაზში, ზედმიწევნით გამართლდა. ხალხი ყველა, უმეტესს ნაწილად ქართველნი და სომხებიც დაურიდებლად მოაწყდა სკოლის დარბაზს და კერძო სიამოვნებასთან არც საზოგადო საკეთილო საქმე დაივიწყეს. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაურმა სომხებმა ქართველებთან ერთად სასურველი თანაგრძნობა აღმოუჩინეს საღამოს გამართვის საქმეს, ზოგმა შეწირვით თუ სხვა დახმარებით აღასრულეს მებობლური ვალი. თუ ამისთანა საღამოებს ჩვენი პატივცემულნი მანდილოსნები კვლავაც ბევრჯელ გამართავენ ანუ წესად შემოიღებენ ყოველ წელიწადს ერთხელ მაინც მართონ საღამოები საქველმოქმედო მიზნით, სრული იმედია, რომ აქაურნი მკვიდრნი ქართველთა, სომეხთა და სხვა ერისაც ყოველთვის სრულს თანაგრძნობას და დახმარებას აღმოუჩენს საღამოს გამართვას, რომლიდგანაც, გარდა კერძო სიამოვნებისა, ყველა ჩვენებურები, შინაურულ საქმის გულშემატკივარნი, არც იმისთანა სიამოვნებას მოაკლებს თავს, რომელიც იხატება იმ აზრის შეგნებაში, რომ თვისი წვლილი, ცოტა თუ ბევრი დახმარებით, რამდენიმე საშუა-

ლება აღმოუჩინოს ისეთი წმიდა და საშვილიშვილო საქმის კეთილად და ნაყოფიერად წარმართვას, როგორც არის ახალ-მოზარდის კანონიერად აღზრდა-განათლების საქმე.

დიდი მადლობის ღირსნი არიან აქაური ქართველი მანდილოსნები, მაგრამ, ჩვენზე არა დამოკიდებულ მიზეზთა გამო, იძულებული ვხდებით ვერც ერთი მათგანი ვერ ვახსენოთ. ჩვენი მიზანია ამჟამად საზოგადო შთაბეჭდილების აღწერა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა გამართულმა საღამომ დამსწრე საზოგადოებაზე, ხოლო თუ ვის რა ღვაწლი მიუძღვის საღამოს ასე თუ ისე, ჩინებულად და სასურველად დაბოლოვების საქმეში, ეს მიგვიჩვენებს საღამოს გამგეთათვის, რომელნიც, იმედია, წელს მაინც თავიდგან აიცილებენ ისეთს სამდურავს, საზოგადოებაში პირს იქით კიცხვა-ძაგებას და უკადრისად ხსენებას, რომელიც შეხვდა შარშან ერთს კორესპონდენტს შარშანვე გამართულ საღამოს რედაქციაში წერილის მოწერისათვის, რომელშიაც საბრალო რეპორტიორს, ზოგიერთი მშვენიერ სქესისაგან ყბადაღებულს იმჟამად, დავიწყებოდა მოეხსენებია საგაზეთო წერილში იმისთანების ღვაწლი საღამოს გამართვის საქმეში, რომელიც იხატებოდა ხელსახოცების ნათხოვრობაში. იმედია, საღამოს გამგენი ისეთს ანგარიშს დაბეჭდვენ ჩვენს გაზეთში, რომ შეძლებისა და გვარად არავის დასტოვებენ უხსენებლად.

კაკაკაკი

ქართული წირვა-ლოცვა მღვდელ-მთავრის ეკლესიაში

სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ კაკაკაკისა და მოზღოკის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ვლადიმირი დიდის მღვდელმთავრულის ყურადღებით ეპყრობა როგორც ყველა სხვა ხალხის, აგრეთვე ქართველთა ზნეობრივის მდგომარეობის საქმესაც. არც ერთს მღვდელ-მთავარს არ მიუქცევია ისეთი მწყემსმთავრული ყურადღება აქაურის ქართველებისათვის, როგორც ყოვლად სამღვდელო ვლადიმერმა ინება, რომელიც არც ერთს თხოვნას ქართველებისას უყურადღებოდ არ ტოვებს, პირიქით, თვითონაც რჩევით თუ სხვა საშუალებით მზად არის ყოველივე კანონიერი მოთხოვნილება ქართველებისა სახსრებით დააკმაყოფილოს. მკითხველებს

ემახსოვრებათ, რომ ყოვლად სამღვდელომ კავკავის ქართველობას, რომელთაც საკუთარი ტაძრის აგების შეძლება არ აქვთ, ისეთის ტაძრის, რომელიც შეეფერებოდეს ქალაქის ადგილს, ნება დაერთო, რომ სკოლასთან აეშენათ ჯერ-ჯერობით ერთი ოთახი ეკლესიისათვის და შემდეგ თუ შეიძლებოდა სრული ეკლესიის აშენებას, ის იქმნება, თუ არა და რამდენიმე ხანს სკოლაში აშენებული პატარა ეკლესიაც საკმარისი იქმნებაო. რასაკვირველია, ამ პატიოსანს აზრს მღვდელ-მთავრისას ყველა სიამოვნებით მიეგება. შარშან, დიდ-მარხვაში, სთხოვეს აქაურმა ქართველებმა ყოვლად სამღვდელოს ქართველი მღვდელი დაგვინიშნეთ, რომ გვილოცოს, გვაზიაროსო. მღვდელ-მთავარმა მაშინვე სამი კვირით დაუნიშნა ქართველი მღვდელი და მასთან დაუთმო კიდევ სასაფლაოს ეკლესია. წელს დიდ-მარხვაში კიდევ სთხოვეს მღვდელ-მთავარს და რადგანაც ამ ჟამად სასაფლაოს ეკლესია შესაკეთებლად არის მოწყობილი და მუშაობა სწარმოებს, ამიტომ თავისი სასახლის ეკლესია დაუთმო, დაიბარა ქართველი მღვდელი სოფ. სანებიდგან – მამა ნესტორ ბაკურაძე, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში გამუდმებით უნდა სწიროს და ილოცოს ქართულად და აზიაროს აქაური ქართველები. დღესაც ქართველობა ბლომად დადის მღვდელ-მთავრის ეკლესიაში და სიამოვნებით ისმენს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვას, რომელსაც ამდენ ხანს მოკლებულნი იყვნენ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო.

კ ა ვ კ ა ვ ი

ეკლესიის საქმე

წარსული წლის 21 დეკემბერს მომხდარმა საზოგადო კრებამ აქაურის ქართველებისამ ეკლესიის ამშენებელი კომიტეტის წევრებად აღირჩია ი. ბაქრაძე, ნ. გუბნელოვი, მ. ინასარიძე, ტ. ვასიძე, ი. ლორთქიფანიძე, ი. მოზდოკელოვი, სტ. პოპოვი, ნ. ფხაკაძე, გ. სამადოვი, ი. უშვერიძე, ნ. ჩხუბიანი და იოსებ შვილევი, რომელთაც თავიანთ შორის თავმჯდომარედ აღირჩიეს იოსებ ვასილის ძე მოზდოკელოვი. კომიტეტს დაევალა გამოკვლევა იმისი, თუ რა საშვალეობით შეიძლება კავკავის ქართულ სკოლასთან ეკლესიის მოწყობა. ორი თვის განმავლობაში კომიტეტის წევრებს რამდენჯერმე ჰქონდათ სჯა და ბაასი

ხსენებულის საგნის გამო, მაგრამ ერთს გადაწყვეტილს საზოგადო აზრს მანც ვერ დაადგენენ; ამიტომ ოცდა ორს თებერვალს მოწვეულს კრებას წარუდგინეს განსახილველად სამი გეგმა: ერთი გეგმით ეხლანდელი სკოლის შენობა უნდა გადაკეთდეს ეკლესიად, სკოლისათვის კი ცალკე უნდა მიედგას შენობას ორი თუ სამი ოთახი. ღირსება და უპირატესობა ამ გეგმისა, უმრავლესობის აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ეკლესია მთავარი ქუჩისაკენ იქმნება და ხალხისათვისაც ადვილად შესასვლელი, ხოლო ნაკლულევანება სიძვირეში მდგომარეობს, რადგანაც სკოლის შენობის გადაკეთება უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე ახალი შენობის აგება. თუ მივიღებთ მხედველობაში კავკაველ ქართველთა სიღარიბეს და მასთან მცირედს უპირატესობასაც ხსენებულის გეგმისას, სკოლის შენობის გადაკეთება ეკლესიისათვის დიდად ნაყოფიერი არ იქმნება არც ერთისთვის, არც მეორისათვის. მეორე გეგმის ძალით ეხლანდელი სკოლის დარბაზი ისევ ხელ-უხლებლად უნდა დარჩეს, მაგრამ ეს დაიჭერს მლოცველთათვის სადგომ ადგილს, რადგანაც იმას ემატება მასწავლებლის ოთახები და კიდევ რამდენიმე ადგილი საკურთხევლისათვის. ამნაირად მომართულს ეკლესიაში კვირა-უქმე დღეებში იმავე ოთახში შეიძლება სწავლება წარმოებდეს, რომლის დროსაც კანკელი და საზოგადოთ საკურთხეველი დახურული იქნება. ეს გეგმა წარმოადგენს საზოგადოთ ესრედ წოდებულს ეკლესია-სკოლას, რომელსაც მართავენ ამ უკანასკნელ დროებში სხვა და სხვა ადგილებში უფრო ნივთიერად შევიწროებულ მდგომარეობისა გამო. საზოგადო კრებამ ეს გეგმა არ შეიწყნარა, არ ინდომა, რომ ეკლესიაც და სკოლაც მოთავსებული ყოფილიყო ერთს ოთახში, თუმცა მართალი არის, რომ სკოლა იგივე ეკლესია არისო, მაგრამ ქართველი ხალხის ცნება ამ საგნის გამო უფრო სხვა გზას ადგას. ქართველ ხალხს ჯერ არ უნახავს ამისთანა ეკლესია-სკოლები. ქართველი ხალხის ცნებით ეკლესია, როგორც ღვთის სახლი, უფრო მაღლა უნდა იდგეს სკოლაზე, თუმცა-და ორივე ერთს მიზანს მისდევს; უბრალო ხალხი ასე უყურებს ეკლესიას, ხშირად ეამბორება კედლებს, იატაკს ეკლესიისა და ეს რელიგიოზური გრძნობა რომ არ დაეკარგოს ხალხს, ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილე მართებს ხალხის მეთაურთ, რომ არ იქმნას შელახული ეს გრძნობა და დაიკავონ კავშირი ხალხის რელიგიურს ცნებებთან. ამის მიხედვით არც ჩვენ მოგვწონს მეორე გეგმა, თუმცა სიიაფის მხრით ეს გეგმა ყველაზე უფრო ადვილად განსახორციელებელია. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აგრეთვე ზოგიერთების აზრს, რომ თუ ხალხი სხვანაირად

უყურებს ეკლესიას და სკოლას, ეს მოვალეობაა მოწინავე ხალხის, ინტელიგენციის, რომ ხალხის ცნება მოიყვანეს თავის ცნებასთან, მაგრამ ეს ისეთი ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ხალხი მაშინ დაადგება ინტელიგენციის ცნებას, როცა ცოტად თუ ბევრად განათლების გზას დაადგება და თან-და-თან შეითვისებს დროს შესაფერისს აზრებს, ხოლო უცბად მოწყვეტა იმისი, რაც ძვალ-რბილში გაჯდომია ხალხს, ავია თუ კარგი, ერთბაშად არ შეიძლება. მესამე გეგმით საუკეთესოდ მიაჩნიათ ეკლესიისათვის სრული ოთახის აშენება სკოლის ეზოში სამხრეთის მხრით. ეს ოთახი, ანუ ვრცელი დარბაზი მიშენებული იქნება სკოლის შენობასთან ისე, რომ სკოლასა და ეკლესიას შუა იმართება ვრცელი ტალანი, სადაც სწავლის შემდეგ მოწაფეებს შეუძლიან დასვენება სუფთა ჰაერზე და წირვა-ლოცვის დროს ხალხს შეუძლიან დგომა თუ ეკლესიაში ტევა არ იქმნება. ამ გეგმაზე აშენებული ეკლესია ორი ათასი მანეთით მაინც უფრო იაფად ჯდება პირველ გეგმაზე – როგორც ეს გამოიანგარიშა ხუროთ მოძღვარმა ბ-მა კავალევმა. მასთან ეს გეგმა ყველაზე უფრო სახიეროთ მიგვაჩნია ყოველის მხრით. მაშასადამე, რა წუნი უნდა ჰქონდეს ამ გეგმას კომიტეტის ანუ საზოგადოების თვალში. აი, რას ამბობენ – ეკლესია იქმნება სკოლის ეზოში და არა ქუჩისაკენ და ეს მოუხერხებელია, რადგანაც პირველი ადგილი ეკლესიას უნდა ეჭიროს და მეორე სკოლასაო, – გაიძახიან უმეტესი ნაწილი კომიტეტის წევრებისა და თითქმის საზოგადოებაც ამ აზრს აჰყოლია. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რისთვის უნდა იყოს ეკლესია უსათუოდ ქუჩისაკენ და თუ ეზოში იქმნა სკოლა მოფარებული ერთის მხრით, ეს არ ივარგებს? ამაზე საბუთიანს პასუხს კი სამწუხაროდ ვერავისგან ვერ გაიგონებთ. ეკლესიას, ამ მესამე გეგმის მიხედვით მოწყობილს, საკუთარი შესავალი ექნება. ყველას და ყოველ დროს შეუძლიან შესვლა ეკლესიაში ისე, რომ არც სკოლას დაუშლის რასმეს და არც სხვას, ხოლო სკოლას ამ მხრით ემატება თბილი ტალანი და ეკლესიას უფრო ვრცელი ადგილი ეთმობა მლოცველთათვის. ამისათვის და კიდევ სხვა კეთილ მოსაზრებათა მიხედვით, ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ საეკლესიო კომიტეტის წევრებს, რომ სკოლის შენობის გადაკეთებით, რომელსაც შეიძლება დამაბრკოლებელი მიზეზიც მოჰყვეს სასწავლო მთავრობისაგან, ვერც სკოლას უშველიან ბევრს რასმე და ვერც ეკლესიას. მართალია, საზოგადო კრება მიემხრო კომიტეტის წევრების უმეტესობას და იმ აზრს დაადგა, რომ სკოლის შენობა იქმნას გადაკეთებული ეკლესიად, მაგრამ მე მგონია, ამ შემთხვევაში ვერც კომიტეტის წე-

ვრები და ვერც სხვები ვერ ხელმძღვანელობენ საჭირო მოსაზრებით. ყოველ შემთხვევაში სასურველია, რომ ყველა წევრებმა კომიტეტი-სამ კარგად გაითვალისწინონ ეს საქმე და ისე სასურველად დააგვირგვინონ, რომ ბოლოს სანანებელი არ დარჩეს, თორემ „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმე თითზედა კბენანი“

პ ა ვ კ ა ვ ი

ქართული ეკლესიის საძირკვლის კურთხევა

7 ივნისს კავკავის ქართულ სკოლასთან მოხდა ეკლესიისა და ახალი სკოლის სადგომის საძირკვლის კურთხევა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ როგორც ადგილობრივი ქართველი საზოგადოება, აგრეთვე, ბევრი საპატიო პირებიც. საძირკვლის კურთხევა შეასრულა ადგილობრივის გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მღვდელმა კ. ალექსანდროვმა ოსების მღვდლის მამა გათუვის და სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურის მამა იოსებ ორეხოვის დახმარებით. კურთხევა ასრულებული იქმნა რუსულად ქართული გალობით. კურთხევას, მიუხედავად მისდა, რომ ცუდი ამინდი იყო, ხალხი ბლომად დაესწრო. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ადგილობრივი ქალაქის თავი ა. თ. ფროლკოვი, პოლიციის უფროსი და პროფესორი ალ. ხახანაშვილი. კურთხევის შესრულების შემდეგ მამა კ. ალექსანდროვმა მიმართა ხალხს მოკლე სიტყვით, რომელმაც უსურვა ადგილობრივ ქართველებს წარმატებით დაგვირგვინება იმისთანა ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე, როგორც ეკლესია არის. ამის შემდეგ ზოგი საპატიო სტუმრები და მღვდლები მიწვეულნი იყვნენ მცირე საუბრეზე.

ამ ნაირად კავკაველ ქართველების დიდი ხნის წადილმა და კანონიერმა სურვილმა ფესვი გაიდგა. ეხლა მხოლოდ საჭიროა შეერთებული ძალით დაგვირგვინება დაწყებულის საქმისა. ის საზოგადო თანაგრძნობა, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ არა მარტო ქართველებში, უცხო ტომის ხალხშიაც, ის თავ-გამოდებით ენერგიული შრომა, რომელსაც ეწევა ეკლესიის ამშენებელი კომიტეტი, სრულს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამა წლის აგვისტოს დასასრულს ეკლესიისა და სკოლის შენობაც ორივე დასრულებული იქმნება, რომლითაც აქა-

ური ქართველობა საშვილიშვილო ძეგლს დაიდგამს მომავალ თაობის ხსოვნაში. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ სურვილი გამარჯვებისა ამ საკეთილო საქმეში.

ПЕДАГОГИЧЕСКИЕ КУРСЫ ВО ВЛАДИКАВКАЗЕ

На днях в г. Владикавказе закончились краткосрочные педагогические курсы, устроенные здесь для учителей и учительниц народных училищ Терской области, под руководством директора народных училищ С. Ф. Грушевского и двух инспекторов народных училищ губернии. Частное устройство подобных курсов в Терской области является чрезвычайно желательным, в виду того, что в области нет ни одного специального учебного заведения, имеющего целью приготовить учителей начальных школ. На собрании учителей и учительниц сельских школ в последнее время смотрят не столько, как на школу для повторения раньше приобретенных знаний и изучения новейших методов и приемов обучения, сколько как на средство, объединяющее деятельность народных учителей и возбуждающее у них силу и энергию к трудовому и ответственному делу начального обучения. Благодаря курсам, выясняются действительные потребности и нужды народной школы и самих учителей. Улучшенное положение народных школ в Терской области, во многом обязано учительским собраниям, устраиваемым здесь ежегодно. Недавно учрежденное общество для вспомоществования учащим и учившим в начальных школах Терской обл. также является результатом деятельности педагогических курсов.

В последние дни курсов учитель местной греческой школы дал урок по так называемому „естественному“ методу. Чины дирекций и все учителя и учительницы, бывшие на съезде, признали непригодность и несостоятельность „естественного“ метода. Директор народных училищ С. Ф. Грушевский разъяснил присутствующим учителям и учительницам, какое великое значение имеет родной язык при изучении чужих языков и какие затруднения может испытать учитель при обучении чужому языку, не прибегая к помощи родного языка детей. Г. директор убедительно доказывал, что от применения „естественного“ метода, недопускающего участия родного языка при изучении чужой речи, не может быть хоро-

ших результатов. Поэтому учителя и учительницы русских инородческих школ должны прибегать к помощи родного языка детей при изучении русской речи. Там, говорил г. директор, где нельзя найти для инородческих школ подходящих учителей, знающих язык детей, поневоле придется обучать по „естественному“ методу, но таких исключительных случаев бывает весьма мало, и у такого учителя, если он не будет предварительно изучать язык детей, результаты будут самые плачевные.

В дополнение к разумному замечанию г. директора, мы можем сказать, что „естественный“ метод, прозванный во Франции шарлатанством в виду жалких результатов, полученных от его применения в разных местах западной Европы, в последнее время совершенно выходит из употребления и его заменяет опять старый „Переводный“ метод, достоинство которого вполне ясно для всех истинных педагогов, смотрящих на дело обучения и воспитания только с педагогической точки зрения.

О ПЕРЕУТОМЛЕНИИ УЧАЩИХСЯ

В последние годы наши педагогические журналы стали обращать особенное внимание на злободневный вопрос о переутомлении учащейся молодежи. На страницах педагогического журнала „Русская школа“ за прошлый и настоящий годы мы находим ряд статей докторов Вирениуса, Гориневского, Страхова, Якубовича, Явейна и других, которые знакомят читателей с мнениями иностранных ученых: Бургерштейна, Крепелина, Лазара, Грисбаха, Моссо, Келлера и др. много писавших по вопросу о переутомлении. В статьях своих названные ученые указывают на соответствующие меры для борьбы с указанным злом в деле воспитания подрастающего поколения. Ученые эти признают, между прочим, заблуждением убеждение многих педагогов, что гимнастика после умственной работы приносит пользу. Она, по их наблюдениям, только еще более истощает организм; упражнение в фехтовании, гимнастика и вообще всякое мышечное напряжение только ухудшают состояние. Чтобы восстановить ослабленные умственной работой силы организма нет никакого другого средства, кроме спокойного сиденья и полного отдохновения. Для восстановления сил лучше всего дать детям полный отдых и возможность

развлечься т. е. поиграть и повозиться на чистом воздухе и на свободе.

Проф. Крэпелин приводит многочисленные опыты, доказывающие что у взрослого человека даже 12 часовая прогулка на долгое время понижает умственную работоспособность, поэтому — заключает профессор — „телесные упражнения нельзя вставлять с целью отдохновения“. Даже пение является столь же утомительным, как гимнастика. По словам Келлера, процесс пения сопровождается обыкновенно значительным понижением работоспособности и даже до того сильным, что при его продолжительности едва ли не наступает состояние истощения. Известный доктор-гигиенист г. Вирениус главнейшими мерами против опасности переутомления считает: достаточный сон, удовлетворительное питание, правильное распределение занятий и надлежащее чередование их с отдыхом. Проф. Крэпелин исследовал одного субъекта, у которого после недостаточного сна, при ночном путешествии по железной дороге, скорость процесса складывания чисел упала почти на одну треть. Вообще юношеский мозг, по словам того же профессора, легче и скорее утомляется, чем мозг взрослых субъектов, потому — заключает профессор — „Молодым людям необходимо давать более времени на отдых, на сон“.

Европейские ученые, установив вполне точно общие взгляды на переутомление, принялись за экспериментальные работы в этой области. Первая попытка принадлежит Гальтону, который на основании опытов пришел к выводу, что ослабление памяти при умственном утомлении проявляется в неспособности читать слова, в выбрасывании слов при письме. Занятия математикой оказались особенно утомляющими, потом шло утомление от занятия языками.

За Гальтоном последовали первые опыты проф. Сикорского, производившего их на воспитанниках военно-учебных заведений в с.-Петербурге в конце 70-х годов. Опыты заключались в следующем: профессор заставлял учеников в начале утренних уроков и после полудня, на последнем уроке, писать под диктовку, а затем отмечал количество ошибок. Получились следующие результаты: послеполуденная диктовка представляла в среднем на 30% более ошибок, нежели утренняя.

По строго научным исследованиям известного педагога и гигиениста венского профессора Лео Бургерштейна, работоспособность учащихся меняется в течение рабочего времени. По прошествии получаса работы обнаружилось значительное умножение числа ошибок так: в первые 10 минут было ошибок 3 %, в следующие 10 минут 4 %, потом 5 % и 6 %.

Доктор Гепфнер тоже пришел к тому общему заключению, что при продолжительной умственной работе качество ее постепенно ухудшается. Но интереснее результаты д-ра Лазаро: работоспособность в первый час ученья наименьшая, потом увеличивается до 3-го числа, не уменьшается в 4 часу. Мальчики сосчитывают меньше цифр, чем девочки, но зато делают более поправок. Число ошибок у тех и других почти одинаково. Проф. Крзепелин заставил учеников без перерыва складывать целые ряды цифр в напечатанных для этой цели тетрадах: когда сумма доходила до сотни, ее отбрасывали и снова начинали считать оставшиеся единицы до новой сотни. Каждый пять минут раздавался звонок, и по этому сигналу исследуемый ученик должен был каждый раз подчеркнуть последнее полученное сложением число. В конце опыта, конечно, уже легко было определить, сколько сложено цифр в каждые пять минут. Наиболее медленно работавшие складывали каждые пять минут 140 цифр, наиболее быстро работавшие — 384.

Проф. Крепелин рисует безотрадную картину умственного состояния нашей молодежи: „Школа, — говорит он, — ставит учащимся изо-дня в день требования выполнять определенную меру умственной работы, хотя до сих пор и не решено, в состоянии ли на самом деле юношеский мозг ответить такому требованию без значительного вреда для здоровья. У 12-летних учеников уже простая работа в течение четверти часа приводит к утомлению, понятно, что многочасовое уменье приводит к совершенному истощению. Ученики вечно находятся в состоянии отупления от утомления.“

Считая гимнастические упражнения в школах вредным, г. Явейн в статье „о физическом воспитании детей“ („Рус. школа“ № 7 и 8 за 1897 год) предпочтение дает играм, как более щадящим нервные центры ребенка и развивающим у детей гибкость, ловкость, сообразительность, энергичность, привычку быть внимательным и т. д. Доктор Вирениус, чтобы сделать вообще воспитываемого причастным ко всем благам современной культуры, считает настоятельно необходимым в школах преподавание гигиены.

Правильно установленная гигиена, основывающаяся на самопознании, самообладании и самопомощи, всегда будет служить важнейшим фактором в выработке в человеке разумного и нравственного поведения. Разумная гигиена повышает силы страны, увеличивает телесную и духовную работоспособность. разумная гигиена в состоянии вести к

успокоению и довольству обширных групп народа, потому наука эта может превосходно подействовать и решению великого социального вопроса. Каждый человек не только в виду своего собственного интереса и интересов своей семьи, но и в виду блага общего, обязан, насколько возможно, заботиться о телесном и духовном своем здоровье, чтобы со своей стороны содействовать благосостоянию общества и государства, многими благодеяниями коего он пользуется и которым он обязан своею жизнью в культурной среде.

Приведенные соображения и заключения людей науки относительно переутомления учащейся молодежи и о значении гигиены вообще во всех сферах человеческой деятельности, по нашему мнению, заслуживает внимания как воспитателей, так равно и читающей публики.

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ (17) 1898 წლისა

ყველა ცოტად თუ ბევრად განათლებული ერი, იმის განსაკუთრებულ ზრუნვაშია, რომ მომავალი თაობა კანონიერად აღზრდილი იქმნას ბავშვების სულიერ ძალ-ღონის განვითარების მიხედვით. ამ რთულ საქმეს, როგორც არის ბავშვების აღზრდა-განათლება, ყველგან ხელს უწყობს სამი დაწესებულება – ოჯახი, სკოლა და საბავშვო მწერლობა. ოჯახის გამო რალა უნდა მოგახსენოთ, ბევრგან ჩვენებურს ოჯახში ბავშვების აღზრდას მხოლოდ სასმელ-საჭმელის ძლევის და დროზე გამოკვებას უწოდებენ, რომ სასმელ-საჭმელ მოკლებული ბავშვი არ დაზიანდეს ფიზიკურად. აღზრდის სხვა ზრუნვას ჩვენ მაშინ უნდა მოველოდეთ, როდესაც ჩვენი დედები, რომელთა ხელშიაც არის უმეტეს ნაწილად ჩვენის მომავლის იმედის ბედნიერება და უბედურებაც, უფრო დაუკვირდებიან თავიანთ მოვალეობას ბავშვების აღზრდის საქმეში.

სკოლებსა და ოჯახებში ბავშვების გონიერად განვითარების საქმეში უპირველესი ადგილი საბავშვო მწერლობას უჭირავს, რომელსაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ყველა ყველგან, ვისაც ძვირფასად მიაჩნია მომავალი კეთილგონივრული არსება თავისი ერისა; ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი ერის გულშემმატკივარნი, ჭეშ-

მარიტად განათლებულნი, ყველაფრის დაუზოგველად სცდილობდნენ საბავშვო მწერლობის აყვავების საქმეს ჩვენშიაც. ამ მხრივ ყველაფერი ჩვენ ხელთ არის, მხოლოდ საჭიროა ერთმანეთის დახმარება და კერძო ინტერესების მიუხედავად, კეთილად წარმართვა საბავშვო მწერლობის საქმისა ჩვენში. სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენის ერთადერთის საბავშვო ჟურნალის გამგენი შეძლებისდაგვარად, სიტყვით თუ საქმით, არავითარს ღონისძიებას არ აკლებენ, რომ ამ ჟურნალის საქმე კეთილად წარმართონ. მაგრამ ჩვენის საზოგადოების ზოგიერთ ნაწილში თითქოს საჩივარიც ისმის ჟურნალის უვარგისობის გამო. რამდენად მართალია ეს აზრი, ამის განხილვაში არ შევალთ ამჟამად, მხოლოდ შევნიშნავთ რომ ერთადერთი ჟურნალი „ჯეკილი“, რომელიც ზოგიერთს სკოლებშიაც კი შემოიღეს სახმარებლად, ღირსია მეტის ყურადღებისა, როგორც განათლებულების, აგრეთვე ჩვენის საზოგადოებისა და მთელის ერის მხრივ. ვფიქრობთ, ამ წლიდგან გამოსულის „ჯეკილის“ ნომრების გადასინჯვას და განხილვას. საგანი რთულია, მაგრამ ამასთან ფრიად საჭიროც. ვეცდებით სრულიად პირუთვნელად შევხებით ამ საგანს, რომლისთვისაც დღემდის საჭირო ყურადღება არავის მიუქცევია. იქნება ჩვენმა სუსტმა შენიშვნებმა სხვებს, უფრო დახელოვნებულებს მადა აღუძრას და ჩვენს საბავშვო მწერლობას შესაფერისი ყურადღება მიაქციონ. არც ეს იქნება ურიგო.

წინ გვიძევს პირველი ნომერი ამ წლის „ჯეკილისა“, რომელიც სულ ათის მოთხრობისაგან შესდგება, ორი ნათარგმნია და სხვა ორიგინალური უნდა იყოს. ლექსებს შორის პირველი ადგილი უჭირავს ჩვენის ახალგაზრდა საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის ლექსს „მერცხალს“, რომელსაც ჩვენი ბავშვები სიამოვნებით წაიკითხავენ და განიმსჭვალებიან იმ გრძნობით, – რა ცუდია, როცა რომელსამე ცხოველს თუ ფრინველს აწვალებენ პატარა ცელქი ბავშვები. ეს ვრცელი ლექსი თავდება მშვენივრად და ტრაგიკულად. მცირე ნაკლულევაწება ლექსისა ის არის, რომ შესაჩერებელი ნიშნები ყველგან არაა დასმული და არც ეს ტაეპი მიგვაჩნია კანონიერად:

„ორი ლამაზი მერცხალი
 სიყრმითვე შემოჩვეოდნენ /? /
 მრავალჯერ გაფრენილიყვნენ /? /
 მრავალჯერ ისევ სწვევოდნენ “ /? /

მგონია, ასე ამბობენ და სწერენ კიდევ: ორი კაცი მოვიდა, ორი მერცხალი მოფრინდა... და სხვ. ეს გრამატიკოსებისათვის მიგვინდვია.

მეორე ლექსი, იგავ-არაკი „შეშის მტრელი და მუხა“ ეზოპედგან უთარგმნია ბ-ნს ბ. დავითაშვილს. ლექსს როგორც გარეგნობით, აგრეთვე შინაგანის აზრითაც არა უშავს-რა, მხოლოდ ზნეობითი სწავლა იმ იგავ-არაკისა, რომელიც იხატება იმ ტანჯვის ორკეც აუტანლობაში, რომელსაც მოკეთე უშვრება სხვას, პატარა მკითხველისათვის სრულიად მიუწვდომელია. ეს უფრო მოზრდილებისათვის არის და „ჯეჯილს“ მოზრდილებიც კითხულობენ.

ორიგინალურ მოთხრობათა შორის საუკეთესოა „სახალწლო სურათი“. ჩვენი მწერალი ქალი ეკ. გაბაშვილისა მოგვითხრობს ერთის ღარიბის ხელმოკლე გლეხის გრიგოლა ბოტორაშვილის ამბავს, რომლის მთელი ოჯახი გაახარა სანოვანე-ტკბილეულობის ერთმა შეძლებულმა და ღარიბთათვის გულშემატკივარმა კნ. თაფლომ. ამ მოთხრობაში გულკეთილობა კნენა თაფლოსი და გრიგოლას ცოლი ნინო, რომელიც არამს არაფერს არ გაატარებს ოჯახში, კარგი მაგალითია სხვებისათვის. მთელს სტატიამში ჩვენ არ მოგვეწონა მხოლოდ ერთი ადგილი, სადაც პატივცემული მწერალი ქალი მოგვითხრობს მედუქნის საქციელს: „ცუდს, დამპალს, დაზიანებულს ხილს ქვეშ აყოლებდნენ და მყიდველთა შეუნიშნავათ, ათასში ერთს წონაში აპარებდნენ“. მართალია, ბავშვები ცხოვრებაში ამაზე უარეს უზნეო სცენებსაც ჰხედავენ, მაგრამ კრიტიკულის თვლით გარჩევა რომელსამე საქციელისა ბავშვს არ შეუძლიან. ამიტომ გონიერმა აღმზრდელმა ამისთანა სცენებს უნდა აშოროს ბავშვები. ბავშვებისათვის საკითხავი მოთხრობებიც მოკლებული უნდა იყოს უზნეო სცენებს. ბავშვს უნდა უჩვენო, რაც კარგია და მოარიდო ყველაფერს, რასაც კი შეუძლიან ზნეობრივად ცუდად იმოქმედოს.

ჩვენი პატივცემული მწერალი ქალი ჰხმარობს სიტყვას „აპელსინს“, რომელსაც იმერეთში, მთელს დასავლეთ საქართველოში ფორთოხალს ეძახიან. მგონია ეს უკანასკნელი სჯობდეს. ზოგიერთი სიტყვები, მაგალითად – „ნუგბარი“, ყველა ბავშვს არ ესმის.

ვაუგებარი სიტყვები უფრო ბევრია მეორე წერილში „ობობა“, რომელიც ეკუთვნის ახალგაზრდა მწერალს თ. რაზიკაშვილს: მაგ. „ყურმელა“, „კაჩებზე“, „გაგლინდა“, „მაზა“ და სხვ. ეს სიტყვები ჩვენის სამშობლოს ყველა კუთხეში არ იხმარება, ამიტომ კარგს ინებებდა „ჯეჯილის“ რედაქცია ყველგან არხმარებულს და ძნელად გასაგებს სიტყვებს სტრიქონებში და ან სხოლიოში განმარტავდეს, რომ ბავშვს მიეცეს შეძლება, უფროსის დაუხმარებლად წერილის წაკითხვისა და გაგებისა. „ობობათი“ ბავშვები გაიცნობენ სამოგადოდ ობობის ცხოვრებას, იმის მოსისხლეობას. დედააზრი ამ მოთხრობისა ის არის,

რომ ფეიქარი, მოსისხლე ობობა მისივე მეზობლის შავი ობობასაგან იღუპება, ბოროტება ისჯება; ამგვარს მოთხრობებს, იმისდა მიუხედავად, რომ შიგ მკვლელობაა აწერილი, იშვიათად არ შეხვდებით საბავშვო მწერლობაში.

შემდეგ „ჯეჯილში“ ვკითხულობთ ვრცელს წერილს წმიდა ნინოს შესახებ მდაბიურად და ადვილად გასაგების ენით დაწერილს ჩვენის პედაგოგის ბ-ნის გ. წყალტუბელის მიერ. წერილს წინ უძღვის წმიდა ნინოს სურათი და სიამოვნებით წაიკითხავენ როგორც პატარები, ისე დიდებიც. არ ვიციტ მხოლოდ პატივცემული პედაგოგი ნინოს მამას რად უწოდებს სახელად საბუნს. ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში და საბინინის „საქართველოს სამოთხეშიც“ წმიდა ნინოს მამას ზაბულონს ეძახიან. იქნება ეს სახელები ერთი და იგივე იყოს, მაგრამ ბავშვებისათვის კი არ იქნება კარგი ერთისა და იმავე კაცის სახელის არევა.

წმიდა ნინოს მოთხრობას მოსდევს მოთხრობა „შობის ხე“. ეს მოთხრობა ვითომ ორიგინალობს, მაგრამ ჩვენ გვგონია უფრო გადმოკეთებული უნდა იყოს სხვა ხალხის ცხოვრებიდან. ჩვენში შობის ხეების გამართვა ამ ცოტა ხანში შემოიღეს და ისიც მხოლოდ ქალაქად, სოფლად კი იშვიათია. ამის გამო ის სურათი, რომელსაც წერილის ავტორი აგვიწერს გლეხის დარბაზში /ჩვენში დარბაზებიც ჰქონდათ გლეხებს/, ჩვენებურ გლეხის ცხოვრებას ჯერჯერობით დაშორებულია. სხვაფრივ წერილს არა უშავს-რა.

„ჯეჯილის“ პატარა მკითხველებს ბოტანიკიდან ცნობებს აწვდის ბ-ნი აღნიაშვილი. ამ ნომერში ბ-ნი აღნიაშვილი აცნობს ბავშვებს ორს მცენარეს. ერთს უწოდებს სახელად „ხელიფაფას“ /Timosa /, მეორეს „გამარჯობას“ /queriber /. აზრი კეთილი და პატიოსანია, მაგრამ ჩვენ გვგონია ნაკლებ სასარგებლო არ იქნებოდა, რომ ბ-ნს აღნიაშვილს ესწავლებინა პატარა ბავშვებისათვის ჯერ ადგილობრივი მცენარეები და შემდეგ ემოგზაურა ამერიკასა და მაგადასკარის კუნძულებზე. ამას გარდა, ბ-ნი აღნიაშვილი „ხელიფაფა“ მცენარის შესახებ ეუბნება ბავშვებს: „ამ მცენარეს გრძნობა აქვს ისეთივე, როგორც ცხოველებს აქვთო“, მაგრამ იქვე დასძინს: „უკაცრავად, იქნება ეს არც ისეთი გრძნობა იყოს, როგორც ცხოველებს აქვთ. ეს არც ჩვენ ვიციტ და არც მეცნიერებმაო“. არ ვიციტ ბ-მა აღნიაშვილმა იცის თუ არა, მაგრამ რაც შეეხება მეცნიერებას ტყუილ ბრალსა სდებს. „ხელიფაფას“, ანუ მიმოზას ჯურის მცენარეთა განსაკუთრებულ თვისებას მეცნიერება მცენარეთა ძილს უწოდებს: „Все феномены этого рода

Линней обозначил общим именем сна растений“. /იხ. „მცნარეთა ცხოვრება“ ლუი ფიგესი, გვ. 97/. ამას ეთანხმება დეკანდოლიც და ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი დოგელი, რომელსაც ერთს თავის წიგნაკში კარგად აქვს განმარტებული ეს საგანი. ამისდა მიუხედავად ბ-ნ ალნიაშვილის წერილებს სიამოვნებით წაიკითხავენ ბავშვები.

ზემოთ ვთქვით, რომ ჩვენებური ოჯახი ბავშვების კანონიერად აღზრდის ცოდნას მოკლებულიაო. ამ საქმეში პატივცემული „ჯეჯილის“ რედაქცია დიდს დახმარებას აღმოუჩინდა ჩვენებურ ოჯახებს, რომ „ჯეჯილის“ დამატებად ებეჭდა პედაგოგიური წერილებიც. ამას, რასაკვირველია, ხარჯი უნდა და რედაქციამ რა ჭქმნას, თუ ამ მხრივაც ჩვენი საზოგადოება დახმარებას არ აღმოუჩინს ჟურნალის დაკვეთით მაინც.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ ამ წლის „ჯეჯილის“ პირველი ნომერი რივიანად არის შედგენილი. შემდეგში, თუ ენის სიფაქიზესაც მიაქცევენ ყურადღებას, ბლომა კორექტურულ შეცდომებსაც აიცილებენ თავიდან და მასალაც თუ ისე ხელოვნურად და დროს შესაფერისად იქმნა დალაგებული, როგორც პირველ ნომერშია, სრული იმედია, რომ „ჯეჯილი“ სასურველს სამსახურს გაუწევს ჩვენს მოზარდს თაობას.

* * *

ჟურნალ „ჯეჯილის“ მეორე ნომერი, სამეცნიერო გასართობის და გამოცანა-რებუს-შარადების გარდა, შეიცავს სულ ორ ლექსს და შვიდამდის ორიგინალურს თუ ნათარგმნს მოთხრობას. ლექსში პირველი ადვილი უჭირავს „იადონსა და ბულბულს“. ამ ლექსს არც შინაარსით, რომელიც ადვილად გასაგებია პატარა მკითხველებისათვისაც, და არც ლექსთა წყობილებით არა უშავს-რა. ამას გარდა ხსენებულის ლექსის ღირსებას შეადგენს ის გონებითი საზრდოც, რომელსაც იძლევა ლექსი „იადონი და ბულბული, რომლის კითხვის დროს პატარა მკითხველები ადვილად გაიგებენ ფრინველების განსაკუთრებულ თვისებას იადონთან შედარებით. ლექსიდგან ბავშვი გაიგებს, რომ ბულბულს, შაშვს, ტოროლას, გუგულს და სხვებს ტყვეობაში სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ, მაშინ როდესაც იადონისთვის სულ ერთია ტყვეობაცა და თავისუფლებაც. მეორე ლექსი „სიკვდილი“, როგორც სურათის ხელოვნურად აღწერილობით, აგრეთვე შინაარსით და შიგ გატარებულის აზრით უკეთესია პირველზედ. ლექსში არის საკმაო

ესტეტიკურ-მხატვრული ელემენტი. იგი თავდება ტრაგიკულად, და გარდა იმისა, რომ დიდად ჰმოქმედებს მკითხველზედ, იძლევა საუკეთესო მასალას ზოგიერთის ბავშვის მწიგნობრივად გასწორებისათვის.

ორიგინალურ მასალად „ჯეჯილის“ ამ ნომერში დაბეჭდილია მოთხრობა სათაურად „კაკის მეფობა“, რომელიც შეეხება თანამედროვე სკოლის მოწაფეების ცხოვრებას. უმთავრესი გმირი მოთხრობისა არის კაკი, ანუ ერეკლე, რომელიც მკვირცხლი, სიცოცხლით სავსე და თავმოყვარე ბავშვია. კაკი არის მთელის კლასის გამაცოცხლებელი. კაკი, ერთხელ თამაშის დროს, ერთის თავისის ამხანაგის მიერ შეურაცხყოფილი, მოთმინებიდან გამოდის და სილას გარტყამს თავისს ამხანაგს სანდროს. მასწავლებელი ამ გარემოების მიხედვით ჯერ წაავლებს კაკის სახელოში ხელს, გააჩანჩხალებს და საქმის გამოძიების შემდეგ, ერთს დღეს საბნელეთში ამყოფებს. ამნაირად მოუფიქრებელ და თავხედურ საქციელისათვის კაკი ისჯება და აქ საკვირველი არაფერი არ არის, მაგრამ კარგად რომ დავუკვირდეთ მოთხრობას, ადვილად დავინახავთ, რომ კაკის დასჯის მიზეზში ბრალი მასწავლებელსაც უდევს. აი, რას ვკითხულობთ მოთხრობაში: მასწავლებელმა წაუკითხა მოსწავლეებს ლექსი „პამპულა და ერეკლე“ და ამის შემდეგ უამბო მეფე ერეკლეს ისტორია; ის გასაოცარი მეომარი იყო, ყველას ამარცხებდა, ის კი არავის არ დაუმარცხებიაო. საზოგადოდ მასწავლებლის სიტყვებმა შემდეგი არასასურველი სურვილი აღძრა ბავშვებში: „ნეტა მეც ერეკლესთანა ღონიერი ვიყო, რომ ერთის შემოკვრით კაცი შუაზე გადავჭრაო. მაშინ ყველას ჩემი შეეშინდება და ყველა ჩემი მორჩილი იქნებაო“. ამის შემდეგ რა საკვირველი იქნებოდა, თუ კაკი მიჰბაძავდა მეფე ერეკლეს ისე, როგორც ეს დიდებული მეფე დაუყენეს მას თვალწინ და თავისს ამხანაგს მარტო სილის გარტყმასაც კი არ დასჯერდებოდა. მასწავლებელმა მეფე ერეკლე გააცნო მოსწავლეებს არა იმ მხრით, რა მხრითაც ბავშვს შეეფერება და ამიტომ ამ გაცნობას შედეგიც არასასურველი მოჰყვა. საზოგადოდ „კაკის მეფობა“ სუსტად მიგვაჩნია და ზოგ ადგილას სიმართლეს მოკლებული. კაკის შესახებ ამხანაგები ამბობენ, ამის შემდეგ კაკის ხმას ნულარ გავცემთო. ერთი ამხანაგი, დედის დარიგებით, შერიგების შესახებ ელაპარაკა ამხანაგებს, მაგრამ ისინი არა სთანხმდებიან. ავტორის სიტყვით, „კაკი სულს უდგამდა და ამხიარულებდა მთელს კლასს“ და ამისთანა ამხანაგი მთლად გაწირეს მოწაფეებმა. ეს ამბავი დაუჯერებელია, როგორც ზოგი სხვაც „კაკის მეფობის“ ამბავში. ბავშვების ცხოვრებაში

ერთი კარგი რამ თვისება შეინიშნება – ერთობა, ერთპირობა, ერთმანეთის გატანა. ეს ისეთი თვისებაა, რომ დიდებისთვისაც მისაბადია: ვთქვათ ერთმა მოწაფემ მეორესა სცემა და ნაცემი წავიდა საჩივლელად უფროსთან. ამანაც დაიბარა მოჩხუბარი ბავშვი და უთხრა, – შენის ამხანაგის შეურაცხყოფისათვის, ცემისათვის შენ უსათუოდ დაისჯებიო, თუ არა სთხოვ შენს ამხანაგს, რომ გაპატიოსო. ამას პატივაც მოჰყვება და ამხანაგების მხრით თანაგრძნობაც და ეს ორი მოჩხუბარიც მალე ისევ მეგობრებად ხდებიან. საზოგადოდ, ძნელად წარმოსადგენია იმისთანა საქციელი ბავშვებში, როგორც კაკის მეგობრები მოექცნენ. აქ ავტორს ნაძალადეობა ეტყობა, – უნდოდა ეთქვა პატარა მკითხველებისათვის ერთმანეთში მეგობრულად მოიქცით და ნუ გააჯავრებთ ერთმანეთს, თორემ ცუდს მოწაფეს მთელი კლასი ხმას არ გასცემსო და სთქვა კიდევ! წერილს ჩართული აქვს მეფე ერეკლეს ყმაწვილობის დროის სურათი.

„კაკის მეფობის“ შემდეგ, „ჯეჯილში“ ვკითხულობთ თარგმნილ მოთხრობას „მგელი-კალია სოლანჟი“ მარსელ პრევოსი. მოკლე შინაარსი ამ მოთხრობისა ასეთია: გრილიე და სოლანჯი პატარაობიდანვე დიდი მეგობრები იყვნენ. ისინი პატარაობისას ერთად აძოვებდნენ ხბოებს. ბოლოს, ერთმანეთი შეუყვარდებათ. სოლანჯის მშობლები უარს არიან, არ უნდათ თავისი ქალი მიათხოვონ გრილიეს, რადგანაც ღარიბია, როგორც თვით ისინი. გრილიე ღამ-ღამე სანადიროდ დადის. ერთ ღამეს ჩუმად სოლანჯიც თან გაჰყვება სანადიროდ. ნადირობა უბედურებით თავდება – გრილიე ფეხს იტკენს და დავარდება ერთს ადგილას; სოლანჯი მოუწვება გვერდით ღორან გრილიეს, მოეხვევა ორსავე ხელით, თავს ლოყაზე დაუდებს და ამ გარემოებაში მყოფნი ელიან სიკვდილს სიცივისაგან. ამათ თავს წაადგება ექიმი, რომელიც წაიყვანს ორივეს და სიკვდილს გადაარჩენს. ამის შემდეგ სოლანჯი და გრილიე დაქორწინდებიან.

მკითხველი დაინახავს, რომ ამ მოთხრობაში მეტად სჭარბობს ესრედწოდებული ეროტიული ელემენტი. ეს მოთხრობა უფრო რომანია და უფრო მომწიფებულთათვის საკითხავი, ვიდრე საბავშვო მოთხრობა. ამგვარი შინაარსის წერილები არა თუ რამე საღს სულიერს და ხორციელს საზრდოს ვერ მიაწვდის მოზარდ თაობას, პირიქით, მავნებელია კიდევ, როგორც უდროოდ შეყვანა ბავშვისა ისეთ სფეროში, რომელიც არ გამოუცდია. საზოგადოდ, ეროტიული ელემენტის გატარება საბავშვო საკითხავ წიგნებში იმდენად შეუწყნარებელია თანამედროვე პედაგოგის მხრით, რომ ამის დასამტკიცებლად ლაპარაკის განგრძობა მეტად მიგვაჩნია.

შემდეგ, ამავე ნომერში დასტამბულია ფრანგულიდან გადმოკეთებული წერილი „მოლაპარაკე ხე“, „ახალი ქვეყანა“ და „პატარა მოწამენი“.

„ახალი ქვეყანა“ ჯერ დაუსრულებელია და ამის გამო ლაპარაკს სხვა დროისთვის გადავდებთ. „მოლაპარაკე ხეს“ საზოგადოდ არა უშავს-რა. შინაარსი შეეხება ხალხურ ცრუმორწმუნეობას ქაჯების შესახებ. თუმცა წერილი სავსებით ვერ უხსნის პატარა მკითხველებს ამ საკითხს, მაგრამ დაათქვამებს მაინც და ათქმევინებს: „იქნება ყველა ქაჯები ადამიანები იყვნენო“. მოზრდილი მკითხველი როცა წაიკითხავს სათაურს – „მოლაპარაკე ხე“ იფიქრებს უთუოდ ამონეფოსის ქანდაკის ნანგრევების ამბის მსგავსს ამბავს გვპირდება ავტორიო, იმ ქანდაკისას, რომელსაც დიდის ხნის განმავლობაში განუწყვეტელი კვნესა გაჰქონდა და განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველები, რომლებიც ბლომად მიდიოდნენ საბერძნეთის ქალაქში ამ სასწაულებრივის მოვლენის სანახავად; მაგრამ „მოლაპარაკე ხე“-ში მოლაპარაკედ გამოდის ვიქტორი /ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ ბიკტორი, ბესარიონი და არა ვისარიონი/ და არა ხე.

საზოგადოდ შენიშნულია, რომ რომელსამე ისტორიულის კაცის ცხოვრების აღწერილობას დიდი აღმზრდელობითი გავლენა შეუძლიან იქონიოს მოწაფეებზედ. ამგვარ სასარგებლო მოთხრობებს ეკუთვნის მოთხრობა ძველის აღთქმიდგან მაკაბელების შესახებ „პატარა მოწამენი“. ბავშვები ყოველთვის სცდილობენ ყველაფერში უფროსს მიბადონ. უშინსკი, რუსების პედაგოგთა მამამთავარი ამბობს: „В склонности души к привычке и подражанию воспитание находит сильнейшее средство для воздействия на воспитанника: вся сила примера основывается на них“. ამისთვის ბედნიერად მიგვაჩნია ის ბავშვები, რომლებიც როგორც ცხოვრებაში, აგრეთვე წიგნებშიაც ჰპოულობენ მისაბად კაცებს; ამისთანა საუკეთესო მოთხრობად მიგვაჩნია პატარა მოთხრობა მაკაბელების შესახებ, რომელსაც დიდის ხალისით წაიკითხავენ „ჯეჯილის“ ყველა მკითხველები განურჩევლად და სარწმუნოებაზედ მტკიცედ დგომის აზრით განიმსჭვალებიან.

ბოტანიკურ წერილებიდან პატარა მკითხველები გაიცნობენ მანათობელს მცენარეებს /Les Lumineuses /. ეს წერილი არ იქნება ინტერესმოკლებული, მაგრამ განყენებულად მიგვაჩნია. ამ წერილის წაკითხვის დროს ბავშვის გონებაში უსათუოდ აღიძვრის სურვილი ამ საკვირველის მცენარის ნახვისა სურათით მაინც და ამ უბრალო და სამართლიანს ცნობისმოყვარეობას მკითხველისას წერილი სავსებით ვერ აკმაყოფილებს.

„ჯეჯილის“ ბოლოში მოქცეულია ერთი იგავი და სამეცნიერო გასართობი. იგავს სათაურად უზის დიდის ასოებით – „ქველმოქმედი“. მაგრამ, წარმოდგინეთ, რომ ქველმოქმედს იგავის ავტორი ეძახის იმისთანა კაცს, რომელმაც ღამით ერთის სოვდაგრის დუქანი გატეხა, ფული გამოიტანა და გამვლელ-გამომვლელ გლახაკს დაურიგა. სწორედ კარგი მაგალითია ქველმოქმედებისათვის!?

სამეცნიერო გასართობი კარგია და სასურველიც არის ამისთანა გასართობები სისტემატიურად იბეჭდებოდეს ყველა ნომერში. ამისთანა გასართობებს ბავშვები საზოგადოდ ძალიან მისდევენ.

როგორც ამ ორის ნომრის გასინჯვიდგან დავინახეთ, „ჯეჯილში“ უფრო მეტი ყურადღება აქვს მიქცეული თარგმანებს, უცხო ქვეყნის ნაწარმოებს, ადგილობრივი ელემენტი „ჯეჯილში“ ან სულ არ მოიპოვება, არ არსებობს და ან არა აქვს მიქცეული საჭირო, სასურველი ყურადღება. ადგილობრივ ცხოვრებიდან აღებული საკითხავი მასალა, ადგილობრივ საგნებს, მოვლენათა აღწერილობა იქნება თუ სხვა, შეიძლება უფრო ადვილი გასაგები იყოს პატარა მკითხველისათვისაც. ადგილობრივ მასალიდგან ადვილად შეიძლება თუ უფროსებს განუმარტონ პატარებს ჩვენი ცრუმორწმუნებანი, თვალსაჩინოდ დაანახონ მისი შეუძლებლობა და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის მხრივაც. ახალის გავლენის შეთვისებისათვის საჭიროა ახლის შეერთება წარსულ გავლენასთან. ამას ნათლად დავინახავთ თუ დავუკვირდებით ჩვენს წარმოდგენას. ყველაზე უფრო მკვიდრი ის წარმოდგენაა, რომელიც უერთდება ანალოგიურს მსგავსს მოგონებას; სუსტი ის წარმოდგენაა, რომელიც მიღებულია შემთხვევით გზადაგზა და რომელსაც არც კავშირი და არც ადგილი არა აქვს სხვა ჩვენ წარმოდგენასთან. ჩვენთვის და ჩვენის ბავშვებისათვის ყველაზე უფრო ადვილად გასაგებია მშობლიური ჰანგები, მშობლიურის ქვეყნის აღწერილობა, ადგილობრივის ბუნების მოვლენანი, ჩვენი წარსული ისტორიული ამბები და სხვა, რადგანაც ყველა ის ჩვენ სულში, გონებაში იპოვის მზა ნიადაგს შეთვისებისათვის. ამიტომ ყველა საბავშვო საკითხავ წიგნში ადგილობრივ ელემენტს უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უცხო ქვეყნის მცენარე იქნება თუ ფრინველი, უფრო გავიცნობთ, როცა ჩვენებური გვეცოდინება, ხოლო პირდაპირ უცხო ერის ნაწარმოების თუ საგნების შესწავლა იმავე ადგილობრივის საგნის მიუხედავად ხელს უშლის აგრეთვე ბავშვის მეხსიერების კანონიერად განვითარებას, რადგანაც ამისთანა მასალა მძიმე ბარჯი იქნება ბავშვის მეხსიერებისათვის. „Все не наше не такое“, ამბობს გონჩაროვი, რუსების შესანიშნავი მწერალი-მოგზაური: „Промелькнет воробей –

გარაზდო наряднее нашего, Франт, а сейчас видно, что воробей, как он ни Франт. Тот же лёт, те же манеры и так же копаются, как наш, во всякой дряни, разбросанной по дороге. И ласточки, и вороны есть; но те: ласточки серее, а ворона чернее гораздо. Собака залаяла, и то не так, отдает чужим, как будто на иностранном языке лаает“. /იხ. თბზულება გონჩაროვისა VI, გვ. 165/. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენში, როგორც სჩანს ჩვენის საბავშვო მწერლობის მიმდინარეობისაგან, საბავშვო მწერლები ძალიან ცოტა გვყავს; ისეთი მწერლები, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ ბავშვის ბუნება და მისი მოთხოვნილება პედაგოგ-პსიხოლოგები იყვნენ.

ყურადღება რომ მივაქციოთ ბავშვის სულიერ ნიჭთა განვითარების საქმეს საბავშვო მწერლობის საშუალებით, დავინახავთ, რომ ყველა საბავშვო ჟურნალი უნდა იპყრობდეს უმეტეს შემთხვევაში ხუთს განყოფილებას: სარწმუნოებრივ-ზნეობრივს, საბუნებისმეტყველო-საისტორიოს, ისტორიულ-ბიოგრაფიულს, გეოგრაფიულ და ბელეტრისტულს. ამის მიხედვით რომ გადავხედოთ „ჯეკილს“ საზოგადოდ, დავინახავთ, რომ ზოგი განყოფილება სრულიად აკლია, ზოგი კი სუსტობს და ამისთვის გვითქვამს და შემდეგშიაც ბევრჯელ ვიტყვით, რომ ჟურნალის წარმატებისათვის ფრიად საჭიროა მეტი თანაგრძნობა და დახმარება ვისაც რით შეუძლიან.

* * *

ჟურნალ „ჯეკილის“ მარტის ნომერი შეიცავს იმდენ მასალას, რამდენსაც იანვრისა და თებერვლის ნომრები სათითაოდ. ამ ნომერში პირველი ადგილი უჭირავს პატარა სამტაეპიან ლექსს „მდინარე“, რომლის აზრი ნასესხებია. ლექსი „მდინარე“ საზოგადოდ საშუალო ღირსებისაა, მაგრამ ჩვენ მაინც არ მოგვეწონა უკანასკნელი ტაეპის უკანასკნელი ორი სტრიქონი: „ეს კი გვწყინს, მირბი ჩვენგან შორს და ველარ გხედავთ თვალითა“. ერთი, რომ „მდინარის სირბილში“ საწყენი არა უნდა იყოს რა და მეორედ, ეს გრძნობა წყენისა, მდინარის სირბილის გამო, იშვიათად დაიბადება რომელისამე ბავშვის გულში, იმისდა მიუხედავად, რომ ბავშვებს საზოგადოდ, განსაკუთრებით ბავშულობით, მდინარეებში თამაშობა ძალიან უყვართ ხოლმე.

მეორე ლექსია იგავ-არაკი „ძალდი და ცხვრის ფარა“, რუსულიდან გადმოკეთებული. შინაარსი იგავ-არაკისა ასეთია: მწყემსმა ერთი ძალდი იპოვა მიგდებული, „გააძღო და გაახარა“. როცა ძალდი

მომძლავრდა, ცხვრის ფარა ჩააბარა. გავიდა დრო, მოკვდა მწყემსი, ძალლი დაერია ცხვრებს და მუსრი გაავლო. ძალლი ეუბნება ცხვრებს:

„თუ მოგმწყემსეთ და ნადირსა
არ მიგეცით სახრავათ/დ/ო,
მაშ ნებაც მაქვს მოგიხმართ
საკლავად და საწვავათ/დ/ო“.

ზნეობრივი სწავლა ხსენებულის იგავ-არაკისა ძალიან დახლართულია და ამიტომ პატარა მკითხველები ბევრს ვერაფერს ვერ გამოითანენ ამ იგავ-არაკებისაგან, რომლის აზრი ასე გამოიხატება – „კარგისთვის კარგი ვის უქნია, მოუჭირე გველოვო“.

მოთხრობათა შორის „ჯეჯილის“ ამ ნომერში პირველი ადგილი უჭირავს „გაზაფხულს“, რომელიც შეიცავს ზამთრის აღწერილობას და გაზაფხულის დადგომას. ამ აღწერილობას, ამბად მოთხრობილს, ბევრი ღირსება აქვს, რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ ხელოვნურად და ცოცხლად აღწერა ზამთრის ბუნების სხვადასხვა სურათისა და გაზაფხულის დადგომა. ყველა სურათი, რომელიც აღწერილი აქვს წერილის ავტორს პატარა მკითხველებს ნანახი და გაგონილი აქვთ წარსულს ზამთარში, რომლის მოგონება, როცა ჯერ გაზაფხული სრულიად არ გამეფებულა, ბავშვის გონებაში ცოცხალია. მხოლოდ, ლექსიკონის სიღარიბისა გამო პატარა მკითხველს არ შეუძლიან გამოთქვას, გამოხატოს ის სურათი ისე ხელოვნურად, როგორც უფროსებს შეუძლიანთ ხოლმე. აი, ამ სურათის ხელოვნურად და ცოცხლად აღწერას სიამოვნებით წაიკითხავენ ბავშვები და ადვილადაც შეიგნებენ, რადგანაც ამისთვის საჭირო ნიადაგი ყველა მკითხველის გონებაში მოიპოვება. „ზამთარი“ ეკუთვნის თ. რაზიკაშვილს, რომელიც ხშირად ისეთს სიტყვებსა ჰხმარობს, რომელიც ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეში არ იხმარება. ენის სიმდიდრისათვის ეს აუცილებლად საჭიროა, მაგრამ კითხვის დროსაც რომ ყველა ბავშვს გაუადვილდეს წაკითხულის სრულიად შეგნება, საჭიროა ზოგიერთის სიტყვების განმარტება. სხვა შემთხვევაში უცნობი სიტყვები უცნობადვე რჩება და ამით ბავშვის ლექსიკონს ბევრი არა ემატება რა.

ამავე ნომერში იბეჭდება აგრეთვე მეორე ორიგინალური მოთხრობა: „ხარება“, ფრანგულიდან ნათარგმნი „ერთი დღის დაია“ და ინგლისური მოთხრობა „ლუელინი და მისი ძალლი“.

მეორე და მესამე ნომერში დასტამებულია ვრცელი მოთხრობა სათაურით – „ახალი ქვეყანა“. მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ მოიარა ქრისტეფორე კოლუმბმა ქვეყნის მეორე მხარე. შესანიშნავი

ადამიანთა ცხოვრების აღწერას დიდი აღმზრდელობითი გავლენა აქვს მოზარდ თაობაზედ. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ როცა ბავშვებისათვის ასწერენ რომელსამე შესანიშნავის კაცის ცხოვრებას, საჭიროა მოიხსენონ ამ შესანიშნავი ადამიანის ბავშვობის დროც, მოკლედ მაინც, თუ რა შეადგენდა იმის საყვარელს და სასურველს საგანს ბავშვობის დროს. ეს ბავშვობის ხანა შესანიშნავის ადამიანისა მკითხველ ბავშვებისათვისაც სასიამოვნო იქნება, როგორც უფრო დაახლოვებული მათ ცხოვრებასთან. ქრისტეფორე კოლუმბის შესახებ ქართულად ცნობები თუმცა შემოკლებულად, მაგრამ მაინც მოგვეპოვება ერთს პატარა წიგნაკში მხცოვანი პოეტის თ. რაფ. ერისთავისა, რომელსაც ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მოსაზრება, თუმცა მოკლედ, მაგრამ სრულიად უყურადღებოდ არა აქვს დატოვებული. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ ხსენებულს წიგნაკში კოლუმბის ბავშვობის შესახებ: „ქრისტეფორე ძალიან მცოდნე ყმაწვილი იყო და გულმოდგინედ სწავლობდა, გეოგრაფია და ვარსკვლავთა მრიცხველობა იყო იმისი საყვარელი საგნები“ და სხვ. ამ მხრით უნდა გამოიჩინონ პატარა მკითხველებმა მიმბაძველობა შესანიშნავ კაცებისა და თუ ამას მოკლებულია რომელიმე ბიოგრაფიული ცნობა ცნობილ მოღვაწეებისა, მაშინ ამგვარი ნაწერი პატარა მკითხველების გულში ვერ დასტოვებს და ვერ აღბეჭდავს სავსებით სასურველს კვალს შესანიშნავის ადამიანის მისაბაძველად. ქრისტეფორე კოლუმბის ამბავს „ჯეჯილში“ ჩართული აქვს ხუთამდე სურათი, რომელიც თვალსაჩინოდ ჰხდის მოთხრობის შინაარსს. მოთხრობაში ხშირად ორი ტერმინი – ზღვა და ოკეანე არეულია. მაგალითად, ატლანტიის ოკეანე ზღვად არის ნახსენები. ზოგიერთის შესწორების შემდეგ რომ ცალკე წიგნაკადაც გამოიცეს ქრ. კოლუმბისა და ამერიკის აღმოჩენის ამბავი სურათებით, კარგი იქნება, მითუმეტეს, რომ „ჯეჯილში“ დასტამბული მოთხრობა თავ. რაფ. ერისთავის მოთხრობებზედ უფრო ვრცელია.

ამავე ნომერშივე არის დასტამბული ერთი საყურადღებო წერილი, რომელსაც სათაურად აქვს „ფიზიოლოგიური წერილები“. ამ წერილში, რომელიც პირველია და რომელსაც, ავტორის სიტყვით, მოჰყვება მეორე, მესამე და სხვაც, ავტორი უხსნის „ჯეჯილის“ მკითხველებს საზრდოსა და იმის წყაროს. ავტორი ცდილობს, რაც კი შეიძლება მარტივად და გასაგებად გარდასცეს მკითხველებს ცნობები ფიზიოლოგიიდან. წერილის ავტორს სახეში ჰყავს, რასაკვირველია, პატარა მკითხველები, რომლებსაც სიტყვა ფიზიოლოგიას უხსნის ასე: „ფიზიოლოგია სხვა და სხვა არსებათა სასიცოცხლო მოვლენების

მეცნიერებააო“. მკითხველები, რომლებიც ბავშვებს იცნობენ, დამე-
რწმუნებიან, რომ ამ განმარტებაში, გარდა სიტყვა ფიზიოლოგიისა,
სხვა სიტყვებიც, მაგალითად არსება, მოვლინება და მეცნიერება სრუ-
ლიად განყენებულ ცნებებს წარმოადგენენ პატარა მკითხველებისათ-
ვის. „მოქმედებისათვისო“, ამბობს წერილის ავტორი, „საჭიროა ერ-
თგვარი ძალა, რომელიც მოიპოვება ყოველგვარ საჭმელში, როგორც
ხორცეულში, აგრეთვე მცენარეულშიაც“. უნდა იყოს, რასაკვირველია,
მეტ-ნაკლებობით სინოცივრის მიხედვით – ტყუილად კი არ ამბობენ,
ერთი კვერცხი სინოცივრით მეოთხედ გირვანქა ხორცს უდრისო; მა-
გრამ მოქმედებისათვის ნუთუ მარტო სმა-ჭამაა საჭირო და მოსვენე-
ბას კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!?

წერილის ბოლოში ავტორი ამბობს: „ყოველგვარი სიცოცხლის
უკანასკნელი /თუ პირველი?/ მიზეზი ჩვენ ქვეყანაზე არის მზეო“.
ვთქვათ, ეგ ყველა კარგია, მაგრამ ფრიად განყენებულად არის ნა-
თქვამი – თითქოს დაჯერების მეტი არაფერია საჭირო. მეცნიერებს
სჯერათ, რომ ბევრი ცვლილება, რომელიც ჰბდება ცხოველ არსებაში,
დამოკიდებულია ფიზიკურ და ქიმიურ ძალისაგან, სინათლე-სით-
ბოსა, ელექტრონის ძალასა და სხვა და სხვა ქიმიურ მოქმედთაგან
/химические деятели/, რომლითაც ერთი ძალა შეიცვლება მეორეთი,
მაგრამ ამასთანავე დასძენენ, რომ „Настоящее состояние наших зна-
ний не дает еще удовлетворительного объяснения всех проявлений
жизненной деятельности, сообразно их теории“. /დასაწყისი ფიზიო-
ლოგიისა პროფ. ლეგროკლერკისა, თარგმანი კოროპჩევსკის მიერ/.
მეორე მხრით, იგივე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „Жизнь есть особая
и независимая способность, которая не может произойти от какого бы
то ни было сочетания жизненных сил и может передаваться только пу-
тем наследования“. აქედგან სჩანს, რომ სიცოცხლე საზოგადოდ ისეთი
რთული საგანია მეცნიერებაში, რომ საჭირო გამოკვლევასაც მოკლე-
ბულია და ამისთანა საგნის გამო ლაპარაკიც პატარა მკითხველებ-
თან ადრე უნდა იყოს. ფიზიოლოგია რთული მეცნიერებაა. იგი დამყა-
რებულია სხვა მეცნიერებაზედ, როგორიც არის ქიმია, ჰიდრავლიკა,
მეხანიკა, ოპტიკა და სხვა. ამის გამო ფიზიოლოგიური წერილები,
რომელსაც საგნად მარტო უბრალო ფიზიოლოგიური ჭეშმარიტების
განმარტებაც რომ ჰქონდეს, მაინც ძნელია საკითხავად პატარა მკი-
თხველებისათვის, რომელთაც ჭირივით ეჯავრებათ დოღმატიურად
დაწერილი წერილები და ისიც სამეცნიერო, რომელიც ასე თუ ისე
ითხოვს ისეთს მკითხველს, რომელსაც მცირე საზოგადო განათლება
მაინც უნდა ჰქონდეს მიღებული.

„ჯეჯილის“ მესამე ნომერში დასტამბულია მცენარე ბამბუკის აღწერილობაც სათაურით: „საკვირველებანი ბუნებისა“. წერილის ავტორს საგნად უნდა ჰქონდეს გააცნოს „ჯეჯილის“ მკითხველებს ამ შესანიშნავის მცენარის თვისება. ამისათვის სრულიად საჭირო არ არის ის ლეგენდა, რომელიც აღწერილობას წინ უძღვის და არც უკანასკნელი კითხვები, რომლითაც ავტორი მიჰმართავს პატარა მკითხველებს და რომელსაც ჩვენ აქვე ამოვწერთ: „აბა, ეხლა თქვენ მითხარით თითონ: შეინახეს ჩინელებმა თავისი წინაპართა უმადურობა და აღუთქვეს თუ არა ყოვლად შემძლებელს ღმერთს, რომ ისინი უსათუოდ ბოდის მოიხდიან, უკეთუ ის კიდეც ოდესმე მოევიწიება ქვეყნად ჩინელებს“. ლეგენდისა და ამის გამოტოვებით საგნის მიღწევას არა დააკლდებოდა რა. ამათ ნაცვლად რომ მოეხსენებია ავტორს ის გარემოება, რომელიც ხელს უწყობს ჩინეთში ამ შესანიშნავ მცენარის მოყვანას, უფრო მეტი ცოდნა შეეძინებოდათ პატარა მკითხველებს.

„ჯეჯილის“ ბოლოში დასტამბულია პატარა მოთხრობა „სწავლული შვილი“. მოთხრობაში მამა ეუბნება შვილს: „შვილო! ეხლა მკის დროა, აიღე ფოცხი, წამოდი, მიშველეო“. აქ ფოცხის მაგიერ სხვა იარაღი რომ ეხმარათ, უკეთესი იქნებოდა, რადგანაც ფოცხი მკის დროს, ანუ მკაში საჭირო იარაღს არ შეადგენს. საზოგადოდ „ჯეჯილის“ მესამე ნომერში უფრო კარგსა და აზრიანს მასალას ვხედავთ, ვიდრე წინა ნომერში.

წინა წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ საბავშვო საკითხავი მოთხრობების თუ ლექსების მწერლები ცოტა გვყავს. მაგრამ ვისაც ცოტა რამ უფრო რიგიანად შეუძლიან ამ საქმესაც ემსახუროს, როგორც სჩანს მცირე მონაწილეობას იღებენ საბავშვო მწერლობაში. მე მოგახსენებთ მაგალითად ვაჟა-ფშაველას შესახებ, რომლის საბავშვო საკითხავ წერილებსაც სასურველი შემოქმედებითი უნარი ეტყობა და ამიტომ მისი წერილების ხშირად დანახვა „ჯეჯილის“ ფურცლებზედ ყველასათვის სასიამოვნო იქნება. ჩვენი მწერლები რომ მცირე მონაწილეობას იღებენ „ჯეჯილის“ ზრდასა და დაპურებაში, ეს ნათლად სჩანს მარტის ნომრიდან, რომელშიაც ნახევარზედ მეტი მასალა ეკუთვნის ერთადერთ ბ-ნ ვანოს, რომელსაც ამავე ნომერში აქვს დასტამბული დასაწყისი მოთხრობისა „ქალაქელი ძამია“. ამ მოთხრობის განხილვას შემდეგისთვის გადავდებთ, როცა მოთხრობის ბეჭდვა დასრულდება.

ჟურნალ „ჯეჯილის“ აპრილის ნომერში პირველ გვერდზე მოთავსებულია ერთი სურათი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ახსნა-განმარტებას. ამ სურათს არც სხვა საკითხავ მასალასთან აქვს რაიმე კავშირი, ამის გამო ძალიან ხელოვნურ ნახატსაც რომ წარმოადგენდეს, მაინც ცოტად თუ ბევრად, მოკლებული იქნება სრულს მნიშვნელობას საბავშვო ჟურნალში.

მთელი საკითხავი მასალა, რომელიც დასტამბულია აპრილის ნომერში შეიძლება შინაარსით გაიყოს სამ რიგად: ლექსები, ბელეტრისტული წერილები და სამეცნიერო წერილები. ამ ნომერში სამი ლექსია დასტამბული. სამივეს შინაარსს შეადგენს გაზაფხულის სურათის აღწერილობა. უმაღლესი ნიჭი ადამიანის ზნეობრივი მხარისა არის ესთეტიური გრძნობა, რომელიც მჭიდროდაა შეკავშირებული ადამიანის ყველა ზნეობრივ მხარესთან, ამიტომ ამ გრძნობის გახსნა-განვითარებას ადამიანში მოსდევს მისი ზნეობრივად ამაღლება, გაკეთილშობილება და ზნეობრივად გაფაქიზ-განსპეტაკება. როგორც სხვა გრძნობა, აგრეთვე ესთეტიური გრძნობაც ბავშვებს სუსტი და განუვითარებელი აქვთ თავდაპირველად. რა გზით და რა საშუალებით შეიძლება ამ გრძნობის განვითარება ბავშვებში? ერთ უპირველეს საშუალებად ბავშვებში ესთეტიურ გრძნობათა განვითარებისათვის, სამართლიანად აღიარებულია საბავშვო მწერლობა – ხელოვნურად და სინამდვილით დახატვა გარშემორტყმულის ბუნებისა, პოეზია, რომელსაც ძველ დროში პედაგოგიკის საღმრთო ნაწილს უწოდებდნენ და დღეს კი უსამართლოდ ექცევიან ბევრგან სკოლებში, ოჯახებში, საზოგადოებაში. ხალხშიაც, სადაც ნათლად შეინიშნება დღითი დღე დასუსტება სარწმუნოებრივის გრძნობისა საზოგადოების მატერიალურის მხრივ მიმართულებისა გამო. ამ უკანასკნელს შემთხვევაში პოეზია უფრო საჭირო ხდება იმ დანაკლისის შესავსებად, რომელიც რჩება სარწმუნოებრივი გრძნობისა და იდეალის დანაკლისის შემდეგ.

ერთს ადგილას თავისს უკვდავს თხზულებაში დიდებული გენიოსი შექსპირი ამბობს: „უბედურია ის კაცი, ვინც ყურს არ უგდებს იმ ხმას, რომელიც გაისმის თითოეულის ჩვენგანის გულში“. მეორე შესანიშნავი მორალისტი ლამარტინი ამბობს: „პოეზია არასდროს არა კვდება, ის თანაშემზრდილია ადამიანის სულთან და წარმოადგენს ერთს უსაჭიროესს და უკვდავს ნაწილს ჩვენის სულიერი ბუნებისას“.

მართლაც, პოეზიას თავისი მომჯადოვებელის ენით დიდი გავლენა აქვს ადამიანზედ. ის უღვიძებს ადამიანს მძინარე ძალას, მისი წყალობით უვიცი ხალხი იღვიძებს გონებითის ძილისაგან, რადგანაც პოეზია ახედებს თავისს თავზე, ჩასძახის იდეალურს სიტყვებს, ე. ი. ისეთს სიტყვებს, რომელშიაც იხატება ზნეობრივი სიმართლე – გამთბარი კაცობრიულის გრძნობით, უმღერის მას გრძნობას სიყვარულისას, სიმხიარულე-სიმწუხარისას, ჩივილ-სამდურავისას, წუხილიმედისას, ეჭვიანობის, რწმენისას, რომელიც ბუნდოვნად გაისმის ადამიანის საკუთარს სულში. პოეზია აღამაღლებს კაცობრიობას, აშორებს ადამიანს მის გამათახსირებელს, გაქსუებულს ანგარიშიან თავმოყვარეობას და ჰშველის იშვას ადამიანი კაცობრიობისათვის, რომ მართლა არსებობდეს ქვეყანაზედ, თუ არსებობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ჰქონდეს უსათუოდ შეგნებული სული, ხოლო ქონება სულისა ნიშნავს კაცობრიულის გრძნობის ქონებას, ცხოვრებას თავისთვის და სხვისთვისაც, თავისის საკუთარის მე-ს გაფართოებას იმ საზღვრამდის, რომელშიაც მოქცეული უნდა იყოს ოჯახიც, სამშობლოც, კაცობრიობაც, ბუნებაც და ღმერთიც. სამი ლექსი, რომელიც დასტამებულია „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერში, არ არის მოკლებული იმ ღირსებას, რომელსაც შეუძლიან აღძრას პატარა მკითხველებში ესთეტიური გრძნობა, სიყვარული გარშემორტყმულ გაზაფხულის ბუნებისა. ამ სამს ლექსში მხოლოდ უკანასკნელის ლექსის ერთი ტაეპი მიგვანჩნია უხერხულად:

„მზე გადიხრება ჩრდილოეთს, /? /
 მის სხივნი გაცხოვლდებიან,
 და გასათობა/დ/თ ცივ ქვეყნის
 პირდაპირ დაეშვებიან /?/“

მზე როცა დასავლეთისკენ გადიხრება და ჩრდილი აღმოსავლეთისკენ წარსდგება, ჩრდილოეთის მხარეს მზის სხივები უფრო ხვდება, მაგრამ ის სრულიად არ შეიძლება ითქვას, ვითომ ჩრდილოეთის მხარეში ტროპიკების ზევით მზე თავის სხივებს პირდაპირ ჰგზავნიდეს.

ბელეტრისტულ წერილებში, რომელიც „ჯეჯილის“ ამ ნომერშია დასტამებული, ფრიად შესანიშნავია საბავშვო მოთხრობა ბ-ნის ვაჟა-ფშაველასი „ქუდოვანი“. მაღალის ნიჭით შემკული ავტორი ხსენებულის და სხვა მრავალ ღირსშესანიშნავი პოეტური ნაწარმოებისა, საოცარის ხელოვნებითა და ჩვეულებრივ ნიჭიერად უამბობს პატარა მკითხველებს თავგადასავალს ერთი უხეირო დიამბეგისას, რო-

მელსაც „ჯეჯილის“ ბოლოშივე აკროსტიხში ასე ახასიათებს თვითონ ავტორი „ქუდოვანისა“:

„დიდ-ფაშვიანი, თვალე ბრიალა
იყო ერთ დროსა მსაჯული ჩვენი,
არ შეხედავდა მოჩივარს სწორედ
მრისხანე სახის მეღურად მჩენი.
ბატონი, კარგი, იმის მოწყალე –
ესტუმრებოდა რომელიც ძღვნითა,
გაამტყუნებდა ალალ-მართალსა
იგი შუბლ შეკვრით, მალალი ხმითა“.

ჩვენ არ ვიკისრებთ ამ შესანიშნავ მოთხრობის შინაარსის გადმოცემას, მხოლოდ წრფელის გულით ვურჩევთ ყველას, როგორც დიდებს, ისე პატარებსაც, თითონ წაიკითხონ და დასტკბნენ ფრიად ნიჭიერის მწერლის ნაწარმოებით, რომლის მარტივი შინაარსი, მოთხრობის ზნეობრივი სწავლა თვალის წინ დაეხატება ყველა მკითხველს. ჩვენ მხოლოდ აქ მოვიხსენიებთ ზოგიერთს საყურადღებო ღირსებას, რომლითაც შემკულია მოთხრობა „ქუდოვანი“ და რომლიდგანაც ცოტად თუ ბევრად შეგნებული მკითხველი ადვილად მიჰხვდება, თუ რა ნიჭით არის დაჯილდოებული მოთხრობის ავტორი და რამდენად კარგად ესმის მას ბავშვის, პატარა მკითხველის პსიხოლოგია. ბავშვის პსიხოლოგიის მიხედვით მის საკითხავად მარტო მხატვრობითი აღწერა სინამდვილისა საკმარისი არ არის; ამასთან საჭიროა შინაგანი გაბრწყინვება, განათება რომელიცამე სურათისა, რომ მკითხველს ადვილად შეეძლოს სინათლისა და ჩრდილის, კეთილისა და ბოროტის გარჩევა. ამ მხრივ ასში ერთს საბავშვო მწერალს თუ შეუძლია გაატაროს ბავშვის გონებაში განსაზღვრული დედააზრი. ამ სიძნელეს ყველა საბავშვო მწერალი ვერა სძლევს. ამას მოწმობს მთელის რუსეთის თანამედროვე საბავშვო მწერლობის მიმდინარეობაც. ვისაც გადაუთვალეიერებია საბავშვო დროგამოშვებითი გამოცემები, შენიშნავდა, რომ შესაფერისის ნიჭით აღსავსე საბავშვო მწერალი იშვიათი მოვლენაა. ეს არ შეგვიძლია ვთქვათ ჩვენს მგოსანს ვაჟა-ფშაველას შესახებ, რომლის პოეზიას, ნაწარმოებს საბავშვოს თუ მოზრდილთათვის დაწერილს, დიდის ნიჭის ბეჭედი აზის. უმთავრესს პირობას საბავშვო მოთხრობებისას უნდა შეადგენდეს მოთხრობის სიცხოველე, დედააზრი, იდეა და მისი განხორციელება ცოცხალის გამოხატულებით, ხშირი ცვლა მოქმედებისა და სურათე-

ბისა, რადგანაც როგორც პოეტის, ისე ბავშვის გონებაში განმსჭვრეტელობა /cooperательности/ უფრო სჭარბობს და ბავშვებიც პოეტებივით ამროვნებენ სურათებით /образами/.

ამ თვალთახედვის ისრით რომ შევხედოთ ვაჟა-ფშაველას მოთხრობას „ქუდოვანს“, ჩვენ წინ ჩნდება ყოველის ღირსებით შემკობილი საბავშვო მწერალი, რომელიც „ჯეჯილის“ მკითხველთა სამწუხაროდ იშვიათად სჩანს „ჯეჯილის“ ფურცლებზე. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ქუდოვანი“, რომელიც ხალხურის მასალით არის შეზავებული, შეადგენს მთელს პოემას, მშვენიერის ქანდაკებით მოკაბმულს, რომელშიაც ყველაფერი საინტერესოა, ყველაფერი ჰიბილავს პატარა მკითხველებს, ხელის გულივით უშლის თვალწინ მდიდარს ბუნებას მთა-ბარისას, მოკლედ და მოჭრით, სავსებით უხასიათებს მომქმედთა და ცხოველთა, რაც ვერ ძალუძს ვერცერთს ფიზიოლოგს. ამისთანა მაღალის ღირსების მოთხრობების ხშირად წერით და ბეჭდვით ბ-ნ ვაჟა-ფშაველას დიდნი მადლიერნი იქმნებიან არა მარტო „ჯეჯილის“ მკითხველნი და თანამედროვე ახალგაზრდობა, არამედ საზოგადოება და შთამომავლობაც.

ბელეტრისტულ წერილის რიცხვს „ჯეჯილში“ ეკუთვნის აგრეთვე მეორე მოთხრობაც. სახელდობრ „ქალაქელი ძამია“, რომელიც ვერ დასრულებული არ არის და ამის გამო ვერ-ვერობით არაფერს ვიტყვით.

სამეცნიერო, ანუ სასწავლო მასალას „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერში შეადგენს: „ქრისტეს პერანგი“ /კვართი/, „ფიზიოლოგიური წერილები“ /წერილი მეორე/, „ხვლიკი“ და „ჭინჭარი“. ცნობები ქრისტეს კვართის შესახებ მეტად მარტივად და ადვილად გასაგებად არის გადმოცემული. მოთხრობის ავტორი ისე ლოგიკურად და მწყობრად უამბობს პატარა მკითხველებს ქრისტეს პერანგის ამბავს, მცხეთელ ებრაელის ელიოზის, მისის დის სიდონიას და დედის ღრმა სარწმუნოებრივ გრძნობას, რომ იშვიათი მკითხველი იქნება, რომლის გულშიაც არ განიღვიძოს ამგვარმა სარწმუნოებით აღელვებამ. ეს მოთხრობა ქრისტეს კვართის შესახებ უერთდება წინანდელ მოთხრობას წმინდანინოს შესახებ, რომელთაც „ჯეჯილის“ მკითხველებს ეძლევათ შემთხვევა მოიგონონ წინად წაკითხულიც, რომელიც უფრო დაამახსოვრდებათ, ვიდრე ნაწყვეტ-ნაწყვეტი და უკავშირო ცნობები.

მოთხრობა ხვლიკის შესახებ კარგია. ამ მოთხრობის მკითხველები ადვილად შეითვისებენ საზოგადოდ ხვლიკის ცხოვრების ამბავს ქვეყნად გაჩენიდან უკანასკნელ დღემდის. ისეთს სამეცნი-

ერო მოთხრობას, როგორც ცხოველების აღწერილობაა, შესაფერი-სად უხდება ისეთი კილო, რომლითაც მოთხრობილია ამბავი ხვლი-კის ცხოვრების შესახებ. მხოლოდ ამ მოთხრობას აკლია გარეგანი აწერილობა ხვლიკისა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ბავშვები-სათვის საგნების დაკვირვებით შესასწავლად.

წერილში „ჭინჭარი“ ავტორი ეუბნება პატარა მკითხველებს: „ჭინ-ჭარი გამოსადეგი მცენარეა. მისგან აკეთებენ ქაღალდებს და სხვა და სხვა ქსოვილებს, ჩვენში კი ჭინჭრისას თუ მოხარშავენ მხალს, თორემ სხვაფრივ არაფერში არ იციან მისი გამოყენებაო“. აქედგან სჩანს, რომ ჩვენებურის ჭინჭრიდგან ბევრი სხვა და სხვა ქსოვილე-ბის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ამის გამოყენება. ჩვენ, ქართველები, რომ საზოგადოდ მოკლებულნი ვართ სამეურნეო ცოდ-ნა-განათლებას, ცხადია, მაგრამ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენე-ბურის ჭინჭრისაგან ვერაფერი ქსოვილი ვერ გაკეთდება. ქაღალდი, ქსოვილები და სხვა რამ კეთდება ესრეთ წოდებულ ჩინურის ჭინჭრი-საგან, რომლის თესვაც ზოგიერთ ადგილას კერძო მემამულეებმა ჩვენშიაც შემოიღეს.

რაც შეეხება მეორე ნაწილს ამ მოთხრობისას, რომელშიაც „ჭინჭრის“ ავტორი უამბობს პატარა მკითხველებს ჭინჭრით დასუსხ-ვის ამბავს, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ნაწილი მოთხრობისა უფრო თვა-ლსაჩინოდ და მარტივად არის მოთხრობილი.

დასასრულ, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჯეკილში“ ბო-ტანიკურ წერილების ავტორი, დიდი ხნის უცხო ქვეყნებისაკენ გა-სეირნებისა და იქაურ მცენარეთა აღწერის შემდეგ, უკვე დაბრუნდა ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში და დაიწყო საუბარი ჭინჭრიდგან. ამის შემდეგ მაინც იმედია პატივცემული ავტორი უცხო ქვეყნებს ჯერჯერო-ბით თავს დაანებებს და ადგილობრივის მცენარეების შესახებ ისა-უბრებს პატარა მკითხველებთან.

საზოგადოდ „ჯეკილის“ მეოთხე ნომერს სიამოვნებით წაიკითხავს ყველა მკითხველი და ამ წაკითხვიდგან გამოიტანს სასურველს საზ-რდოს, როგორც ზნეობითად, აგრეთვე გონებით განსავითარებლად, რაც სასახელოა, როგორც რედაქციისა, აგრეთვე „ჯეკილის“ თანამ-შრომელთათვისაც.

„ჯეჯილის“ მეხუთე ნომერში პირველ გვერდზე დასტამბულია ლექსი „გაზაფხული“, რომელიც იპყრობს გაზაფხულის დასაწყისის და დასასრულის სურათის აღწერილობას; ეს ლექსი არ არის მოკლებული პოეზიას, მაგრამ ზოგიერთს მეტაფორულ გამოთქმას, მაგ. „იმედით გული ამივსო გაზაფხულის კარმა ღიამა“, – პატარა მკითხველები ვერ გაიგებენ. გრამატიკის მხრივაც უკანონოდ მიგვაჩნია: „მოვნახეთ ხეს /?/ ქვეშ ჩრდილია“ – /უნდა იყოს – „ხის ქვეშ“/.

მეორე ლექსს სათაურად აქვს „ჯეჯილი“. ეს ლექსი სულ ათტაეპიანია, რომელთაგან მარტო ოთხი ტაეპი იპყრობს ჯეჯილის აღწერილობას, სხვა გაზაფხულის სურათს გვიხატავს. ამ ლექსს სათაურად უფრო „გაზაფხული“ შეეფერებოდა, ვიდრე „ჯეჯილი“. საზოგადოდ ეს ლექსი, როგორც ლექსთა წყობილებით, აგრეთვე შინაარსითაც კარგია.

ამ ორ ლექსს გარდა, „ჯეჯილის“ ამავე ნომერში დასტამბულია სააღდგომო მოთხრობა შემდეგის სათაურით: „სინანული დიდი საქმეა“. მოთხრობა ადვილი საკითხავია და შინაარსსაც არ არის მოკლებული. მოთხრობის ბოლოში ავტორი /უნდა ვიგულისხმოთ, რასაკვირველია, მოწიფული ადამიანი/ ეუბნება პატარა მკითხველებს: „იქნება არ დაიჯეროთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მას აქეთ, რამდენჯერაც ქათმის ხორცს დავინახავ სუფრაზე, წარსული მაგონდება და გული ფანცქალს დამიწყებს ხოლმე“. რაც დამაჯერებელი არ არის და საეჭვოა, იმის გამო ლაპარაკიც აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს. არც მოთხრობაში ვხედავთ ისეთს ძლიერს ფაქტებს, რომლის საშუალებითაც გამართლებული იქმნას პოეტის სიტყვები: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაიცემისო“. არც ისეთი ძლიერი ფაქტებია მოყვანილი, რომლის წყალობითაც ბავშვს სამუდამოდ შესძულებოდა ქათმის ხორცი. პსიხოლოგიურადაც რომ გავარჩიოთ ეს საგანი, ისიც დაგვემოწმება ამას: ცნობილია, რომ ადამიანი თავისის წლოვანების მიხედვით როგორც სულიერად, ისე ხორციელადაც სხვადასხვაფერდება, ბავშვობის მოგონება უფრო ახსოვს მოზრდილს ადამიანს, მაგრამ რომელიმე ძლიერი შემთხვევაც ბავშვობის დროინდელი, ჰკარგავს მოწიფულობაში პირველ სიძლიერეს, ამის მიხედვით საბავშვო მწერალმა რომ თავისი ბავშვობის მოგონება აღწეროს და ბოლოს მოთხრობას ჩაურთოს „წარსული მაგონდება და გული ფანცქალს დამიწყებსო“, მკითხველების მოტყუება იქნება. ბავშვებისათვის საჭიროა მარტო შესაფერისი ფაქტები, რომელთაც შეუძლიან ადვი-

ლად იმოქმედონ ბავშვების გონებაზე და მიაწვდინონ მათ სასურველი სულიერი საზრდო.

ამავე ნომერში მთავრდება ერთი ვრცელი მოთხრობა – „ქალაქელი ძამია“, რომელიც მესამე ნომრიდან იბეჭდებოდა. მოკლე შინაარსი ამ მოთხრობისა ასეთია: წვრილშვილიანს ღარიბ-ღატაკს გლეხს საჩინო ლობიანიძეს თავისი უფროსი შვილი, ათის წლის ბავშვი სოსანა მიჰყავს ქალაქში მოსამსახურედ დასაყენებლად. საჩინო გაურიგდება ერთს სომეხს, რომელიც აიყვანს ბავშვს წელიწადში ექვს მანეთად. სოსანა ნიჭიერი ბავშვია, კითხვის ხალისი აქვს. ამ მხრივ ჰშველის სოსანას მეზობლის მზარეული ბაქარა, რომელიც კარგ მასწავლებლად გამოადგება სოსანას. სოსანა თავისუფალ დროს სულ წიგნის კითხვაში ატარებდა. ღამით, როცა თავისის აღას ჯალაბობა დაიძინებდა, სოსანა აანთებდა ლამპარს და დიდხანს კითხულობდა. ერთხელ ლამპარი გადავარდა სტოლიდან და ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მალე ჩააქრეს; მაგრამ ამ შემთხვევის გამო, აღამ სოსანა მეორე დღესვე დაითხოვა. ბაქარა ამ დროს სოფელში იყო წასული. სოსანა დარჩა დიდხანს უადგილოდ. როცა ბაქარა ჩამოვიდა სოფლიდან, სოსანას თავისს ახალ აღასთან უშოვა ადგილი. ახალი აღა – დავით ჩავლიშვილი მეტად გულკეთილი და სათნო ადამიანია. ის შენიშნავს, რომ სოსანა მეტად ნიჭიერი ბავშვია, დაუჭერს კერძო მასწავლებელს, მოამზადებს და მიაღებინებს გიმნაზიაში, სადაც ჰზრდის თავის ხარჯით. საჩინო ხშირად ჩამოდის ქალაქში, მაგრამ თავისის შვილის გზა-კვალს ვერ იგნებს, დაღონებული ბრუნდება სახლში და ცოლს ატყუებს – სოსანა ვნახე, კარგად არისო. მეხუთე კლასში რომ გადავიდა, სოსანა დაბრუნდება სახლში, ყველა დიდს სიხარულს მიეცემა, მეზობლები გაკვირვებულნი გაიძახიან: „კაცო, იჩინოვნიკი ვინ ესტუმრა საჩინოსა? – „შვილია მისი, ქალაქში მოსამსახურედ წაიყვანა, იქ ვილაც ლევრობია გამოჩენია“ და სხვ. ახალი აღა სოსანას გიმნაზიას დაასრულებინებს და ჰპირდება უნივერსიტეტში გაგზავნასაც, სადაც აღას შვილი სერგო, კარგი მეგობარი სოსანასი, კაი ხანია სწავლობს.

მთელი მოთხრობა, როგორც საზოგადო შინაარსით, ისე კერძო აღწერილობითაც ყურადღების ღირსია ბევრის მხრივ. ბავშვის სულიერ ძალ-ღონის გასაკეთილშობილებლად ერთს საუკეთესო საშუალებად ითვლება დაბადება და გამოწვევა ბავშვის სულში თანაგრძნობისა და გულშემატკივრობისა, რომ ეს თანაგრძნობა და გულშემატკივრობა გამოდიოდეს პირდაპირ გულიდან. რაგვარ სუ-

რათს და როგორ გმირებს შეუძლიან გამოიწვიონ ბავშვის გულში თანაგრძნობა და გულშემატკივრობა? იმისთანა მოთხრობებს, მივუგებთ ჩვენ, რომლის სურათი და გმირები, ანუ მოქმედნი აღებულია ადამიანის ცხოვრებიდგან ანუ ცხოველთა სამეფოდგან, რომლის ცხოვრების გამოხატულება ასე თუ ისე უახლოვდება ადამიანის ცხოვრებას. საზოგადოდ ბავშვები და დიდებიც თანაუგრძნობენ არა მარტო სულიერს, არამედ უსულო არსებათაც – ქვას, ყვავილს, რომლის მხატვრობითს აღწერასაც შეუძლიან გამოიწვიოს პატარა მკითხველებში შესაფერი თანაგრძნობა. თუ თანაგრძნობა და გულშემატკივრობა ჰნიშნავს მკითხველის გრძნობის შეერთებას ტანჯულ არსებათა თანაგრძნობასთან და თვით მკითხველის მიერ გამოცდას იმ ტანჯვისას, რასაც გრძნობს და სცდის მოქმედი, მაშინ უნდა შევნიშნოთ, რომ იმისთანა მოთხრობებს, რომელიც აღებულია პირდაპირ ადამიანის ცხოვრებიდგან და ჰხატავს ამ ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს, უფრო დიდი აღმზრდელიობითი გავლენა ექმნება მკითხველებზედ, ვიდრე იმისთანა მოთხრობებს, რომელშიაც ადამიანის სახით აღნიშნულია სხვა და სხვა ცხოველები, სულიერი და უსულო საგნები. მართალია, ამისთანა მოთხრობები უფრო გასართობია, სახალისოა და საინტერესო პატარა მკითხველებისათვის, რომელთაც ამასთან აძლევს საჭირო გონებითს საზრდოსაც გარსშემორტყმულის ბუნების გასაცნობლად, მაგრამ მოქმედნი ამისთანა მოთხრობებში, ცხოველებისა და სხვა საგნების სახით, უფრო დამორებულნი არიან ადამიანზედ, ვიდრე თვით ადამიანი ადამიანზედ. გრძნობის შეერთება სულთან უფრო ადვილია, როცა საქმე გვაქვს მონათესავე არსებასთან, ე. ი. თვით ადამიანთან, რომლის სულისკვეთება ადვილი გასაგებია და მისახვედრია მისის მოყვასის მიერ. „ქალაქელ ძამიაში“ პატარა მკითხველი გაიცნობს ჩვენის გლეხი კაცის ცხოვრებას, მისს ავ-კარგს, რომლის ცოდნა ფრიად საჭიროა ყველა მამულიშვილისათვის, რომლის წმინდა მოვალეობას შეადგენს უანგარო სამსახური თავისის ერისათვის. ამიტომ, რამდენადაც ადრე გააცნობენ ბავშვებს გლეხი კაცის ცხოვრებას თავისი ჭირ-ვარამით, მით უკეთესია – ბავშვობიდანვე აღიზრდება პატარა მკითხველებში გრძნობა გულშემატკივრობისა და თანაგრძნობისა.

ყურადღებას თუ მივაქცევთ გლეხკაცის მდგომარეობას ჩვენში და ბევრგან სხვაგანაც, ადვილად შევნიშნავთ, რომ ყველგან საჭიროა განსაკუთრებული გარემოებანი გლეხი კაცის ნივთიერად და ზნეობრივად არსებობისათვის. ამის მიხედვით, ვიმეორებთ, მოთხრობას „ქალაქელ ძამიას“ ექმნება შესაფერისი აღმზრდელიობითი გავლენა

პატარა მკითხველებზე. ამ მოთხრობაში ჩვენ არ მოგვეწონა ის, რომ საჩინო ყოველთვის ატყუებდა და სიმართლეს უმაღლავდა თავის მეუღლეს თამარს. ძნელად დასაჯერებელია, რომ ქმარმა რამდენსამე წელს დაფარულად შეინახოს იმისთანა ამბავი, რომელიც თითონაც აწუხებს და არ ეუბნება თავის მეუღლეს, ატყუებს იმისთვის, რომ ამისთანა გრძნობა არ გამოაცდევინოს იმას, რომელიც ჭირში და ლხინში განუყრელი და თანაზიარი მეუღლეა. ეს საქციელი კარგად, მნეობრივად ვერ ახასიათებს საჩინოს. ამ მოთხრობაში არ მოგვეწონა აგრეთვე ის ადგილი, სადაც სოსანა სიხარულის გრძნობით აღელვებული მიუახლოვდა თავის სახლს. აქ მკითხველი მოელის შემდეგ სცენებს, თუ რა მოხდება, როცა დიდი ხნის უნახავი, ცოცხალ-მკვდარად აღიარებული შვილი, გიმნაზიის მოსწავლე, შედის თავის ეზოში; ამის ნაცვლად ავტორი მიაყოლებს საჩინოს ქალაქში ნახულსა და გაგონილ ამბავს სოსანას გამო. ეს ამბავი გაჭიანურებულია ჟურნალის ერთ გვერდნახევარზე.

„ქალაქელ ძამიას“ მოსდევს აღწერილობითის ხასიათის მოთხრობა – „აბრეშუმი“. ამ წერილის ავტორი ცდილობს დაუმტკიცოს პატარა მკითხველებს, რომ საზოგადოდ აბრეშუმეულობა კეთდება წყლისა, მიწისა და ჰაერისაგან, მაგრამ ეს დამტკიცება პატარა მკითხველებისათვის ბუნდოვნად გამოდის და ვერ წარმოუდგენია აბრეშუმის ძაფი, ისეთის ფაფის მსგავსი და წებოიანის სითხისაგან გაკეთებული, რომელიც მზადდება აბრეშუმის ჭიის სტომოქში ქიმიურად სხვადასხვა ნივთიერებისაგან. პატარა მკითხველები, რომლებმაც არ იციან, რასაკვირველია, არც მიწისა, წყლისა და ჰაერის ქიმიური შედგენილობა, როგორ უნდა მიხვდნენ, რომ თუთის ხე გაჩნდა მიწისა, ჰაერისა და წყლისაგანაო; განა სინათლეს, მზის სხივებს კი არ მიუძღვის ამ საქმეში რამე ღვაწლი? ამისთანა ხასიათისა არიან ფიზიოლოგიური წერილებიც, რომელიც იბეჭდებოდა ორს წინანდელს ნომერში და ამ ნომრებშიაც; ეს წერილები პატარა მკითხველებისათვის შეუსაბამოდ მიგვაჩნია, რადგანაც მათი კანონიერად შეგნება მოითხოვს მკითხველისაგან ცოტად თუ ბევრად მეცნიერულს მომზადებას, საზოგადო განათლებას.

ამის შემდეგ „ჯეჯილში“ ვკითხულობთ: „ბავშვი და გულყვი-თელა“, ნათარგმნი ზღაპარი სტანიუკოვიჩისა და „ცოცხალი ქვა“. შინაარსით არცერთს არა უშავს რა, თარგმანი კი ზოგან ჰღალატობს ქართულ ენას. მაგ. „სიცივე იყო კრიმში“/?!/. კრიმი რუსულია, ქართულად ხმარობენ: ყირიმის ომი, ყირიმის თოფი; „ერთ აივანში დაინახა

ხეზე მკდომი ჩიტუნია“ – აივანში ხეს რაღა უნდა? „ბევრი კოკრები ისევ გაუშლელი დარჩენილიყვნენ“ /?/, „ერთი ათი მინუტი“ /?/, „კუ მშვიდობიანად იჯდა ბუდეში“, „მაგიერად დღეს არ გავიყვანდი /?/ რომ სამბრედიაში არ შევსულიყავ“, „კუს კვერცხები ძირს ეყარენ“ / თუ ეყარა/ და სხვ.

ბოტანიკური წერილების ბეჯითი ავტორი ამ მეთხუთმეტე წერილში, რომელიც დასტამბულია „ჯეჯილის“ მეხუთე ნომერში გააცნობს მკითხველებს ერთს ამერიკისა თუ აფრიკის მცენარეს, რომელსაც ჰაია-ჰაიას უწოდებს. „ჰაია-ჰაიას“ ავტორი ჯერ მოგვითხრობს საზოგადო დასკვნას მცენარეების გამო და შემდეგ აგვიწერს „ჰაია-ჰაიას“. არ ვიცი, შარშან რა შინაარსის წერილებს სტამბავდა ავტორი „ჯეჯილში“, რაც შეეხება წლევიანდელს, უნდა შევნიშნოთ, რომ ის დასკვნა, რომელიც მოყვანილი აქვს „ჰაია-ჰაიას“ ავტორს ამ წერილის დასაწყისში, წინა წერილებიდან სავსებით არ გამოდის. მაგ. „მცენარიდან აკეთებს კაცი ღვინოებს“, „მცენარე აძლევს მზამზარეულს /?/ წამლებს“, არც ვაზი და არც ერთი სამკურნალო ბალახი არ აუწერია წელს ავტორს აფრიკ-ამერიკულ მცენარეებისა.

სამეცნიერო გასართობი №5 კარგია. კარგია აგრეთვე „თხა და ცხვრები“, „ვნახოთ ვინ ვის აჯობებს“. სრულიად უამროა პატარა საუბარი და-ძმას შორის – „მორთული და ძმა“. „სასაცილო გასართობი“. „ჯეჯილის“ ბოლოში სასაცილოსთან საგულისხმიეროდ იქნებოდა, ცოტა გონებაამახვილობაც რომ იხატებოდეს შიგ.

* * *

ივნისის ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“ იწყება ლექსით, რომელსაც სათაურად აქვს „ყვავი“. ლექსს იგავ-არაკის ხასიათი აქვს. შინაარსი ამ იგავ-არაკისა ასეთია: ყვავი უქებს ტყის /?/ შაშვს თავისს თავს, როგორც შეუდარებელ მგალობლისას, აძაგებს ბულბულს და გაკვირვებით ამბობს: „ჩემ კილოს, აქ, ჩვენში რად არ ხმარობენ, როდესაც სხვაგან ფასი აქვს და კიდევაც გალობენ“ /ნეტავი სად აქვს ასეთი პატივი ყვავის ჩხავილს/. პოეტის ტყის შაშვიც რაღაც ახირებულის მნისა ყოფილა. იმის ნაცვლად რომ ამხილოს ყვავს მისი უმეცრება და მედიდურობა, უფრო აქებებს და არწმუნებს, რომ პირიქით, „უმეტესობა მოწიწებით ყურს გიგდებს და სტკბება შენი გალობითაო“. ამ არაკიდგან ბევრს ვერაფერს სულიერ საზრდოს ვერ გამოიტანს პატარა მკითხველი. ისეთი იგავ-არაკი, რომლის მნეობრივი სწავლა მეტად

დახლართულია, ან შეიცავს ცნობიერებას, უსამართლობას, პატარებისათვის საკითხავად სასარგებლო არ იქნება, რადგანაც ზოგიერთი ნაწილი ამისთანა იგავ-არაკებისა პატარებისათვის სრულიად გაუგებარი ხდება და ამიტომ ასეთის მასალის წაკითხვამ მიიყვანა რუსო იმ დასკვნამდის, რომ საჯაროდ ეთქვა „*чтение-нич детского возраста.*“ ისეთის იგავ-არაკების კითხვით, რომლის მეოთხედი ნაწილი გაუგებარია პატარებისათვის, რადგანაც ბავშვები ჯეროვნად ვერ ახსნიან წაკითხულს, ადვილად შესაძლებელია, რომ რომელიმე გაქნილი და ვერაგი მოქმედი გმირი იგავ-არაკისა, სამაგალითოდ და მისაბაძად იქმნას პატარა მკითხველის მიერ აღიარებული.

იგავ-არაკის შემდეგ „ჯეჯილში“ ვკითხულობთ ორ საბავშვო მოთხრობას: „რა გვიყო ჭიაკოკონამ“ და „ვისი ბრალი იყო“. მოკლე შინაარსი პირველი მოთხრობისა ეს არის: ორს პატარა ბავშვს, შაქროსა და ნიკოს, დიდ მარხვის უკანასკნელ კვირაში უნდათ ჭიაკოკონა აანთონ. ამისთვის მიდიან მენახშირესთან თივის მოსაპარად. მენახშირე შეუტყობს მათ და იმდენს სცემს, ვიდრე გულს მოიჯერებს; ნაცემი ბავშვები თავისას არ იშლიან, მიდიან ეზოში, სადაც ჩალით სავსე „ბოჩკა“ ეგულებათ. „ბოჩკა“ დაგორდება და ბავშვებიანად პატარა მდინარეში ჩავარდება. ბავშვები გაიხდიან ტანს და მდინარის გაღმა გავლენ. ამ დროს შაქროს მამა წკეპლით ეპარება. ბავშვები შენიშნავენ თუ არა, მაშინვე მოჰკურცხლავენ. ქუჩაში ტიტლიკანებს უბნის მაწანწალა ბიჭები აედევნებიან და ერთი კიჟინა და ჟრიაშული გააქვთ. შაქრო და ნიკო გადარჩებიან ამჟამად გალახვას, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან: საღამოსათვის შეაგროვებენ ფალას-ფულასებს და ეზოში კარგს ცეცხლს გააჩაღებენ. ფალას-ფულასების სუნით მთელი სოფელი ფეხზე დადგება, მისცვივდებიან და მანამდე სცემენ საბრალო ნიკოსა და შაქროს, სანამ „ჯეჯილის“ პატარა მკითხველები არ მიეშველებიან“. იშვიათი ბავშვი უნდა იყოს, რომ ყველა ეს ამბები მოისმინოს ბოლომდის და არ იგრძნოს ღრმა ზიზღი უგემურ-უხამსის მოთხრობიდგან.

მოთხრობაში – „ვისი ბრალი იყო“ ბიძია ვასილი უამბობს თორმეტის წლის ნატოს მისის დაბადების დღეს თავის თავგადასავალს, ყმაწვილობის მოგონებას სკოლაში სწავლის დროს. ვასილი მეტის-მეტე შურიანი ყმაწვილი ყოფილა, თავისზე უკეთესი მოწაფე ძალიან ეჯავრებოდა. სკოლაში ერთი მოწაფე სჯობდა ბიძია ვასილს სწავლითაცა და ყოფაქცევითაც. შურიანობამ იქამდის მიიყვანა ბიძია ვასილი, რომ არავითარს საზიზღარს საშუალებას არა თავილობდა, ოღონდ პირ-

ველი შევირდი გამხდარიყო, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაიარა და ბოლოს უკანასკნელ მოწაფეთა რიცხვში მოხვდა. ერთხელ მასწავლებლების შკაფის გასაღებები ამოაწყო, ჩუმად გააღო და თავისი რვეული მოიპარა ხელახლად გადასაწერად. შკაფის გაღების დროს დაიჭირეს და ამის გამო ბიძია ვასილი დათხოვნილი იქმნა სასწავლებლიდან. ვასილი ეუბნება ბავშვებს, რომ ჩემი დათხოვნა სკოლიდან ჩემი ბრალი არ იყო. მაშ, ვისი ბრალი იყო, ეკითხებიან ბავშვები. აქ მოთხრობა შეწყდება და ყველანი ჩაის დასალევად გავლენ. ამისთანა მოთხრობების წერას არც განსაკუთრებული ნიჭი უნდა და არც დიდი განვითარება. ჩვენ გვეონია, ყველა წერა-კითხვის მცოდნე რამდენსამე საათის განმავლობაში გამოაცხობს მთელს კრებულს ამისთანა მოთხრობებისას. ეს ორი მოთხრობა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, უფლებას გვაძლევს ამჟამად შევეხოთ საზოგადოდ საბავშვო მოთხრობათა იმ ნაკლულევენებას, რომელშიაც გამოყვანილნი არიან ბავშვები. ამისთანა მიმართულება საბავშვო მოთხრობებისა, სადაც ბავშვები გამოდიან მოქმედებად, ის არის, რომ ასწავლონ პატარა ბავშვებს ზნეობა. /ამ ამრით მოთხრობაში გამოყვანილია ჭკვიანი და პატიოსანი ბავშვი, რომელიც ჩინებულად უგონებს მშობლებს და მშვენივრად მსჯელობს ან ხანდახან გამოჰყავთ მოთხრობაში ცუდი და გარყვნილი ბავშვები, რომლებიც მოთხრობის ბოლოში შესაფერისად ისჯებიან/. მაგრამ დრომ და გამოცდილებამ დაარწმუნა ყველა, რომ იმისთანა წინადავე განსაზღვრული მოთხრობა ბავშვების ცხოვრებიდან ბევრს არაფერს ზნეობას არ ასწავლის და არ ასწორებს ბავშვებს ზნეობრივად. ამბობენ, რომ საზოგადოდ ბავშვები თავის ტოლ-ამხანაგებთან მხიარულად თამაშობენ და, მამასადაძამე, იმათ შესახებ დაწერილს მოთხრობასაც მხიარულად წაიკითხავენო; მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევენ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ცოცხალ ბავშვებსა და მოთხრობაში აღწერილს ბავშვებს შორის. ვთქვათ, რომელიმე მოზრდილი ადამიანი წარმოადგენს ხუთის წლის ბავშვს, დარბის, დახტის და ყბედობს იმასავით. ამისთანა ადამიანი არა თუ გამოიწვევს ბავშვების თანაგრძნობას, პირიქით სასაცილოდ და საზიზღრად მოეჩვენებათ როგორც ყველაფერი არაბუნებრივი. რომელ მოთხრობას წაიკითხავენ უფრო ხალისიანად ბავშვები, იმისთანას, რომელიც შეეხება პატარათა ცხოვრებას, თუ ისეთს, რომელიც ხატავს მოზრდილების ცხოვრებას! ყველაზე უფრო უტყუარის პასუხის მიცემა შეუძლიან ცდას – მიეცით ბავშვს ერთნაირად შესაფერისი და ადვილად გასაგები მოთხრობა, როგორც

ბავშვების, ისე დიდების ცხოვრებიდგან და ადვილად დაინახავთ, რომელს მოთხრობას ამჯობინებს. თუ ორივე მოთხრობა ერთნაირის ნიჭით არის დაწერილი, თუ მოთხრობათა ავტორები არ არიან მოკლებული ხელოვნებითს ნიჭს, შემოქმედებითს ძალას და თუ მკითხველ ბავშვის ბუნება არ არის დამახინჯებული არაბუნებრივის აღზრდის წყალობით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბავშვები უპირატესობას მოზრდილთა ცხოვრებიდგან ალებულს მოთხრობას მისცემენ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ბავშვების ცხოვრების ცისკიდური ძალიან განსაზღვრული და შევიწროვებულია. ეს შევიწროვება უფრო თვალსაჩინო ხდება ბავშვებისათვის, როცა ისინი თავიანთ ცხოვრებას ადარებენ დიდების ცხოვრებასთან. ბავშვის ცხოვრება ისეც ღარიბია ფაქტებით. სახელმძღვანელო წიგნებში ხშირად შეხვდებით ისეთს მოთხრობებს, რომლებიც ბავშვების ცხოვრებას შეეხება და რაც ბავშვს გარს არტყია, მაგრამ ამას სულ სხვა აზრი და საგანი აქვს. საბავშვო მოთხრობები საბავშვო ჟურნალებში გაკვეთილს არ შეადგენს რომელსამე მეცნიერებისას. პირდაპირი აზრი ამისთანა მოთხრობებისა ის არის, რომ მკითხველი გაართოს ხელოვნურის პოეტურის ნაწარმოებით. უმთავრესი პირობა საბავშვო მოთხრობისა, როგორც ხელოვნურის პოეტურ ნაწარმოებისა, ხასიათის დახატვა უნდა იყოს. კარგი დახასიათებანი ისე საჭიროა საბავშვო მოთხრობისათვის, როგორც ხმები სამუსიკო პიესისათვის, როგორც უკანასკნელი შეუძლებელია იქ, სადაც არ არის სუფთა ხმები, ან სუსტი ხმებია, აგრეთვე პოეტური ნაწარმოებიც შეუძლებელია იქ, სადაც არ არის ნამდვილი ცხადად განსაზღვრული ხასიათი. ჟურნალ „ჯეჯილის“ ბელეტრისტული ნაწილის ზოგი თანამშრომლები, რომელთა ნაწარმოები წინათაც გაგვიჩვენია და ამ ნომერშიაც ვხედავთ, იმ შეცდომას სჩადიან, რომ იღებენ მასალას ხშირად მართო ბავშვების ცხოვრებიდგან პირდაპირ მნეობრივის აზრის მისაღწევად, მაგრამ ის მხარე მწერლობისა, რომელშიაც უმთავრესს საგანს შეადგენს ესთეტიკური გემოვნება, ჩვენს საბავშვო მწერლების ნაწარმოებში ძალიან დაცემულია, ხელოვნება მათს ნაწარმოებში იშვიათი მოვლენაა: ავილოთ, თუგინდ ეს ორი მოთხრობა: „რა გვიყო ჭიაკოკონამ“ და „ვისი ბრალი იყო“. არც ერთს ამ მოთხრობათაგანს, რასაკვირველია, ხელოვნურს ნაწარმოებთან ადგილი არა აქვს. ამ მოთხრობათ შეუძლიათ მკითხველი დააძინოს მაშინ, როდესაც ყველა საბავშვო მოთხრობათა საგანი ის უნდა იყოს, რომ განაღვიძოს, შეარყიოს და ააღორძინ-განავითაროს, რაც საუკეთესო რამ მოიპოვება ადამიანში. საცოდავნი არიან ბავშვები,

რომელთაც მოუხდებათ კითხვა იმისთანა მოთხრობებისა, რომელიც წარმოადგენს გონების მეტად სუსტს და მჭლე საზრდოს. ზნეობრივი სისუსტე, სხეულის უნოყიერობა და სხვა მავნე მოვლენაც აუცილებელია ამგვარის სულიერ ფარეზობისაგან.

თუ საბავშვო საკითხავ მოთხრობის წერისათვის საჭიროა ნიჭი, მით უფრო აუცილებლად საჭიროა იგი ლექსებისათვის. საბავშვო მოლექსეებიც წარმოადგენდნენ ცოტა მაინც „ზეგარდმო მადლით ცხებულს“ არსებას. ის პოეტი, რომელიც მამლის ყვილით და ქათმების კრიახით მოდის ალტაცებაში, მოკლებული უნდა იყოს ბუნებრივს მაღალს ნიჭს და ძალად ცდილობს აფოფხდეს პარნასის მთაზედ. „ჯეჯილის“ მეექვსე ნომერში, სხვათა შორის, ერთი ლექსია – „ყვინჩილა“, რომელიც ავტორს და რედაქციას ძალიან მოსწონებიათ, მკითხველისა კი რა მოგახსენოთ. ლექსი ასე იწყება:

„ნავავს ჰქექენ ქათმები,
ფეხებს აფხაკუნებენ,
ჭიას ნახვენ, ჰყლაპავენ
დიდხანს არ უყურებენ.
თანაც მხიარულობენ,
დიდიან პატარიან,
დედლები სხვილი ხმითა
კრიახობენ, მღერიან“.

/ვიშ, ნეტარებავ, „დედლები კრიახობენ, მღერიან“/ პოეზიაა, მაშ რა ეშმაკია! თუმცა ეს ლექსი ჩვენ არ მოგვეწონა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენებურის პედაგოგის ბ-ნ ალ. ნათაძის პედაგოგიურს და პოეტიურს გემოს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბ-ნ ნათაძის გემოვნებას ეს ლექსი დააკმაყოფილებს სრულიად და ამიტომ თავის ნეტარხსენებულს „მოკეთის“ მეორე გამოცემაში ჩაურთავს კიდევ.

მოთხრობა დავით და კონსტანტინეს შესახებ ჩვეულებრივ კარგია, მხოლოდ სამწუხაროდ, ყველა ნომერში ვერა ვხედავთ პატივცემულის პედაგოგის ნაწერებს. ამის გამო მაშინ, როდესაც ზნეობრივს განყოფილებას საბავშვო ჟურნალში საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს, ზოგიერთი ნომრები ჟურნალ „ჯეჯილისა“ სრულიად მოკლებულია ამ განყოფილებას.

მოთხრობას დავით და კონსტანტინეს შესახებ მოჰყვება მოთხრობა ფრინველთა ცხოვრებიდან – „ჰომრეი“. ღირსება ამ მოთხრობისა ის არის, რომ მისი ავტორი მოთხრობას იწყებს ბავშვების მიერ

ცნობილის საგნიდგან, რომელსაც ცოტა მონათესაობითი კავშირი აქვს ჰომრეისთან. მოთხრობას ჩართული აქვს მოზრდილი სურათი, რომელიც თვალსაჩინოდა ჰხდის დაწერილს. არ მოგვეწონა ის ადგილი, სადაც აღწერილია ჰომრეის ამოყვანა ბუდიდგან. ძვალ-რბილ და სახსრებდადუნებული ფრინველი ჩამოიყვანეს ბუდიდგან და ისევ იქვე დააგდეს; იმდენი ზნეობრივი გამოცდილება ვერ იხმარეს, რომ ისევ ბუდეში ჩაესვათ. ფიზიოლოგიური წერილები ძალიან გაჭიანურებულია. ავტორი ხშირად ისეთს რამის შესახებ ელაპარაკება პატარა მკითხველებს, რასაც არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არ აქვს უმთავრესს საგანთან. ისეთი რთული საგანი, რომელსაც ავტორი აწვდის პატარა მკითხველებს, ითხოვს მკითხველის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას, ხოლო სხვა და სხვა საგნის გამო ლაპარაკი ხელს უწყობს მხოლოდ გულისყურის დანაწილებას და გონების გაფანტულობას. ბოტანიკური წერილები რომ სრულიად არ იბეჭდებოდა იმ სახით, როგორც ეხლა იბეჭდება „ჯეჯილს“ არც დააკლდება და არც შეეძინება რამე. სამეცნიერო გასართობი – „გულშემატკივარი მეზობელი“ და „მგელი გაჭირვებაში“ კარგებია. საზოგადოდ „ჯეჯილის“ მეექვსე ნომერი სხვა ნომრებთან შედარებით სუსტია.

* * *

ჟურნალ „ჯეჯილის“ ზაფხულის ნომერი იწყება ლექსით, რომელსაც სათაურად აქვს მოწერილი „ყმაწვილი და ციყვი“. აზრი ლექსისა ნასესხებია. ეს ლექსი საზოგადოდ რიგიანია. „ყმაწვილი და ციყვის“ შემდეგ ვკითხულობთ მოკლე მოთხრობას „თოფ-ხმლის საუბარს“. ამ მოთხრობაში ის აზრი არის გატარებული, რომ წინანდელს დროში, ძველად, რაც მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოდ თოფ-იარაღს, დღეს ის მნიშვნელობა სრულიად არ უნდა ჰქონდესო: დღეს თოფიც და ხმალიც უნდა მოხმარდეს ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამის მიხედვით მოთხრობაში ვკითხულობთ შემდეგს: „ხმლის პატრონმა ხმალი საკვეთად გააკეთებინა მჭედელს, თოფის ლულა კი შუაზე გასტრა ქლიბით და ეს ნაჭრები წყაროს გაუკეთა მილად“. რამდენად სამართლიანი და საბუთიანია წერილის ავტორის შეხედულება და აზრი, რომელიც გატარებულია მოთხრობაში, ამის გამოკვლევას ჩვენ არ შევუდგებით, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ეს მოთხრობა დღიურის ვარამის მიხედვით უნდა იყოს დაწერილი და ამიტომ მისი წაკითხვა და აზრის შეგნება შეეძლება მხოლოდ ისეთს მკითხველებს „ჯეჯილი-

სას“, რომლებიც გაჩვეულნი არიან აზრ-გადატანით, განყენებულად მსჯელობას და აზროვნობას, პატარა მკითხველები კი ამ მოთხრობი-დგან ბევრს ვერას შეიძენენ. მოთხრობაში ძველებური კაჟიანი თოფი ასე ესაუბრება ხმალს: „რამდენი თათარ-ლეკი მომიკლავს, ვინ მო-სთვლის. აბა ახლანდელი თოფები... მესკიასაც ვერ მოჰკლავენ /?/, არა თუ თათარ-ლეკს?“ ამ თოფს მეტისმეტი ბაქიობა და ტრაბახობა ჰყვარება: ვინ არ იცის, რომ ახლის სისტემის თოფები გაცილებით სჯობია კაჟიან თოფებს. თუ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ადა-მიანს, რომლებიც ყველა ღირსებას მხოლოდ თავის თავში ჰპოულო-ბენ და სხვებში კი არა, – მაშინ სხვა საქმეა.

შემდეგ „ჯეჯილში“ დაბეჭდილია ნათარგმნი მოთხრობა „პატარა პუმის თავგადასავალი“. რა არის ეს თავგადასავალი? პატარა პუმის მშობლებს წვეულება აქვთ. მოწვეულია ცამეტი კაცი. პატარა პუმის დედას არ მოსწონს რიცხვი ცამეტი, ამიტომ ცოლ-ქმარი ჩავარდე-ბიან დიდს საგონებელში და დიდის თათბირის შემდეგ გადასწყვეტენ, რომ პატარა პუმაც სტუმრებთან დასვან სადილის დროს და ამნაი-რად ცამეტის ნაცვლად თოთხმეტნი იქნებიან. ეს ამბავი პუმისაც გა-მოუცხადეს, რომელიც სიხარულით მიეგება დედ-მამის გადაწყვეტი-ლებას. მაგრამ სადილის წინ ერთის სტუმრისაგან ამბავი მოუვიდათ, რომ ვერ გაახლებითო. ცოლ-ქმარნი კვლავ მიცემიან ფიქრს და ეხლა გადაწყვეტენ, რომ პატარა პუმი თავის ოთახში დასვან. ასეც მოიქ-ცნენ. პუმი დასვეს ცალკე ოთახში. ის სიხარულით მოელის ტკბილე-ულობას. სტუმრებმა სადილი გაათავეს. მოსამსახურე შედის პუმთან, რომ გახადოს ტანთ და დააწვინოს. – „ვაშლის შაქარლამა, პაუ-ლინა? – ეკითხება პუმი, – აღარ დარჩენილა“... ასე თავდება პუმის თავგადასავალი. პატარა ქართველ მკითხველს, როცა კითხულობს ამ მოთხრობას, სადღაც უცხოეთში ჰგონია თავის თავი. მას გარს არტყია პუმი, პაულინა, რიპერტი, ფირმანი, ზეტი და სხვ. ამათ შორის ჰხე-დავს მხოლოდ ერთს მზარეულს ქალს მარინეს, რომელიც სახელით მაინც მოაგონებს, რომ ქართველი უნდა იყოს. საზოგადოდ ამისთანა მოთხრობებში, სადაც არცერთი რიგიანი ტიპი არ არის გამოყვანილი და მასთან დაშორებულად არის ქართველ ბავშვის გარშემორტყმულ ბუნებას, ბევრს ვერაფერს შესძენს მკითხველებს.

ამის შემდეგ დასტამბულია ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“. შინაა-რსი და აზრი ამ ლექსისა ისეთივეა, როგორც ლექსის „სიკვდილისა“, რომელიც დასტამბული იყო ამ წლის „ჯეჯილის“ მეორე ნომერში და რომელიც ეკუთვნის ჩვენს საყვარელ და სასიქადულო პოეტს აკაკის.

„ცმაწვილი და პეპელა“, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აზრისა და პოეზიის საციქვლობას, საზოგადოდ კარგია, მაგრამ ზოგან გრამატიკის მხრით ქართული არ არის კანონიერი:

„მიმოფრინავდნენ პეპლები
ყვავილის გარეშემოსა /?/
და იმის გულში მალხაზნი
ექებდნენ სიტკბო გემოსა“.

„გარეშემოსა“ და „გემოსა“ – გემოსა გვესმის და კანონიერიც არის, „გარეშემოსა“ კი როგორც არაცვალებადი სიტყვის ნაწილი /გარეშემო/ უკანონოდ უნდა იყოს ნახმარი.

მოთხრობა „აფრიკის სპილოზე“, რომელშიაც მკითხველები გაიცნობენ საზოგადოდ სპილოს და მისს ცხოვრებას, კარგია. ბიოგრაფიულს წერილს ლუდვიგ ბეთჰოვენზე შემუშავება და რედაქციის მხრივ შალაშინი აკლია. აზრები არ არის დალაგებული ლოგიკურად და დიდ განსაცდელშია ნაცვალსახელი უადგილო ადგილას ხმარებითვე, მაგალითად: „მან /ვინ? / ყველას პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, მისი /ვისი? / სახელგანთქმული შვილის შვილი ბეთჰოვენი აღტაცებით იხსენიებდა თავის /„ჯეჯილის“ მართლწერა/ პაპას, რომელსაც ასეთი დიდი გავლენა ჰქონდა მასზე /ვისზე?/“. – ბიოგრაფიული ცნობები ბეთჰოვენისა მოკლებულია აგრეთვე თვით ბეთჰოვენის სურათსაც, ამიტომ ეს ცნობები ვერ იმოქმედებს შესაფერისად პატარა მკითხველებზედ. ამის შემდეგ „ჯეჯილის“ მეშვიდე და მერვე ნომერში დასტამბულია პატარა ლექსი ბ-ნის ვანო ბირკაძისა. ამ ლექსს სახელად ჰქვია „ლორი“. ამოვწერთ ამ პატარა ლექსს სრულად:

„ლორო, შესულხარ ყანაში,
ჭამ, ახდენ, არა გრცხვენია
/რა უსინდისო ღორი ყოფილა/
გარემოება ხელს გიწყობს,
ბურთ-მოედანი შენია“.
„მაგრამა მალე შენ დაგკვლენ
/რადგან გარემოება ხელს გიწყობს და ყანასა სჭამ/
დილა არ გაგიტენდება...
და კვლავისათვის ყანიდგან /?/
სიმინდი აღმოცენდება“.

თუ „ყანას“ საზოგადოდ მოსამკელ პურს ეძახიან, ყანიდგან სიმინდი როგორ აღმოცენდება!? არა გვგონია, ღორების დახოცვამ ყანი-

დგან სიმინდი აღმოაცენოს. ამ ლექსის ავტორი ახალგაზრდა პოეტი უნდა იყოს, რადგანაც მისი ლექსები ჯერ არსად შეგვხვედრია, მაგრამ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ამ ახალგაზრდა პოეტს ღორებში დაუწყია მუზისა და პოეზიის ძებნა.

ფიზიოლოგიურ წერილში ვკითხულობთ სისხლის მოძრაობისა, ტრიალის ამბავს და ბიოგრაფიულს ცნობებს ვილიამ ჰარვეისას, რომელსაც ეკუთვნის სისხლის ტრიალის მეცნიერულად გამოკვლევა. ბიოგრაფიული ცნობები, რომელსაც თვალსაჩინოდ ჰხდის სურათი ვილიამ ჰარვეისა, რიგიანია. ავტორი ფიზიოლოგიურის წერილებისა, ხშირად ჰხმარობს სიტყვას „მინუტი“ მაშინ, როდესაც ამ ცნების გამოხატველი ტერმინი, „წამი“, ქართულად ყველგან ხმარებაშია და ჯერ არავის შეუცვლია მინუტად. პირიქით, ქართული ენა დროის გამოხატველი ცნებებით ისეთი მდიდარი ყოფილა, რომ საბა ორბელიანს წამის შემდეგ კიდევ ცხრა ცნება აქვს მოყვანილი /წუთი, კესმასი, არდი, მეყი, წენი, ვაწე, ბლისი, წვინი/.

მოთხრობა „შალვა და თამარო“, რომელიც დასტამებულია „ჯეჯილის“ ამავე ნომერში და ეკუთვნის ქ-ნს მარიამ დემურიას, საუკეთესო მოთხრობად მიგვაჩნია მთელს ჟურნალში. ამ მოთხრობისათვის ავტორს აულია კარგი სიუჟეტი – ინტელიგენტისა და გლეხის ბავშვების შეხვედრა და მათი ურთიერთშორისი კაცობრიული დამოკიდებულება. ეს ისეთი ნიადაგია, რომელზედაც ადვილად შეიძლება ქალაქელი ბავშვები სოფლის გლეხკაცის ცხოვრების გაცნობას და გლეხის ბიჭები ქალაქელებისას. ამისთანა მოთხრობები პოეტურის აღწერილობით ვერა ჰხიბლავენ მკითხველებს, მაგრამ აზრისა და შინაარსის მხრივ დიდად მოსაწონია. რუსულ საბავშვო მწერლობაში მოიპოვება რამდენიმე ასეთის შინაარსის მოთხრობები. მაგ. „Генедки“ ახშარუმოვისა და „Дети под землей“ კოროლენკოსი, რომელთაც ბევრი მკითხველები ჰყავს რუსეთში. „შალვა და თამარო“ მოთხრობაში ვკითხულობთ: „ელენე იყო ღვთის მოყვარე და მცოდნე ხუცური და მხედრული ენისა“. ხუცურად და მხედრულად ქართული ენა ჯერ არავის დაუყვია. ისეთი განსხვავება, როგორც რუსულ ხუცურსა და მხედრულს ასოებს შორის არის, ქართულს ხუცურსა და მხედრულს შორის არ უნდა იყოს. მწიგნობრივი კილო საზოგადოდ ხუცურშიაც შეიძლება და მხედრულშიაც. შემდეგ ვკითხულობთ: „შალვამ და თამარომ კალოზე ფერხული გამართეს და მშვენიერის ხმით გალობდნენ /?/“. ქართულად „გალობდნენ“ იტყვიან საეკლესიო საგალობლების შესახებ, საერო სიმღერებზე ამბობენ და სწერენ – მღეროდნენ და სხვ.

სამღვთო წერილიდგან მოთხრობა „მარიამობა“ ჩვეულებრივ კარგია.

ბევრს საინტერესო ცნობებს ამოიკითხავს „ჯეჯილის“ მკითხველი მოთხრობიდან „ვეშაპი“, რომელიც იწყება ასე: „დედამიწა დაყოფილია ხმელეთსა და წყალს შუა“. ამ აზრის გამოხატვა შეიძლებოდა უფრო მარტივად და ადვილ გასაგებად. იქვე, მეორე გვერდზე ვკითხულობთ, რომ ციმბირში ძალიან სიცივეები იცისო, „ამიტომ, როცა ვინმეს ციმბირში გზავნიან, ჩვენ იმას გამოვიტირებთ, აღარ გვაქვს იმედი, რომ ის დიდხანს იცოცხლებს“. ციმბირში ცხოვრობს ხალხი, მაგრამ სიცივისაგან არ იხოცება, როგორც ბ-ნს პეტრესა ჰგონია. ამას გარდა, განა მარტო იმიტომ გამოიტირებენ ციმბირში წამსვლელებს, რომ ისინი სიცივისაგან დაიხოცებიან? გლოვისა და სიმწუხარის მიზეზად ჩვენ ისა გვგონია, რომ ციმბირში წამსვლელი, უმეტეს შემთხვევაში, სამუდამოდ უნდა მოშორდეს თავის ტოლს, ამხანაგს, ნათესავებს და სამშობლოს და სხვ. ეს უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი და არა ციმბირის სიცივეები, რომლის შესახებ ბევრს ჩვენებურს ნამდვილი წარმოდგენაც არა აქვთ.

მოთხრობაში „ნიშნების გამოცხადება“ კარგად არის დახატული ის პსიხოლოგიური წუთი, რასაც გრძნობს ყოველი მოსწავლე სამოსწავლო წლის დასასრულს ნიშნების გამოცხადებისა და ერთი კლასიდგან მეორეში გადასვლის დროს. მოთხრობა „მგლების ნადირობა“ არ არის ინტერესმოკლებული, მხოლოდ ამ მოთხრობაში ყველა მკითხველი ვერ გაიგებს სიტყვებს კაპიტანი, კაიუტა და სხვ.

დანარჩენი პატარა მოთხრობები „სამშობლოსათვის თავდადებული“, „საჩივარი მებაღეზე“ და „პატარა ხუროები“ – თავისის აზრისდაგვარად შესაფერს საკითხავ მასალას წარმოადგენენ.

დასასრულ, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჯეჯილის“ ფურცლებზედ ვხედავთ ზოგიერთ ახალს თანამშრომლებს, რომელთა შორის ზოგიერთს თამამად შეუძლიანთ შესაფერისი საკითხავი მასალა მიაწოდონ „ჯეჯილის“ პატარა მკითხველებს.

* * *

ჟურნალ „ჯეჯილის“ მეცხრე ნომერის პირველ გვერდზედ დასტამბულია ლექსი „ორი პასუხი“. ამ ლექსის შინაარსი ახალს არას წარმოადგენს, რადგანაც ამისთანა შინაარსის ლექსები სხვა ჩვენს პოეტებსაც უწერიან, მაგალითებრ ბ-ნს ცახელს. ამისდა მიუხედავად

ეს ლექსი კარგად ჰმოქმედებს მკითხველებზედ. ამ ლექსის შემდეგ „ჯეჯილში“ დასტამბულია მშვენიერი მოთხრობა „გუგული“, რომელშიაც მკითხველები გუგულის საზოგადო ხასიათისა და ცხოვრების გარდა, გაიცნობენ, თუ რა შედეგი მოჰყვება იმისთანებს საზოგადოდ ვინც თავისთავად არა ჰშრომობს და მხოლოდ გუგულსავით სხვისის ნაშრომ-ნაღვაწით სარგებლობს. ეს სწავლა, რომელიც გატარებულია მოთხრობაში, კარგად არის დასრულებული. მოთხრობა ეკუთვნის ბ-ნს თ. რაზიკაშვილს, რომლის ნაწერებს სიამოვნებით კითხულობენ „ჯეჯილის“ პატარა მკითხველები და წაკითხვასთან ერთად კიდევ ესმით, გაეგებათ, რასაც კითხულობენ. წააკითხეთ ბავშვებს ერთხელ მოთხრობა „გუგული“ და თუ ის ცოტა გონებაგახსნილია, მაშინვე ერთხელ წაკითხვის შემდეგ, მშვენივრად, დალაგებით მოგიყვებათ მთელს შინაარსს მოთხრობისას. ეს შეადგენს დიდს ღირსებას მწერლისას. ამისთანა მწერალს კარგად ესმის პატარა მკითხველის პსიქოლოგია და მისი კანონები. ამიტომ თითოეული სიტყვა, თითოეული ამბავი მოთხრობისა ისე ხელოვნურად და მოკლედ არის აღწერილი, რომ შესაფერ კვალს სტოვებს ბავშვის გონებაში.

ამას მოსდევს „ჯეჯილში“ ვრცელი მოთხრობა „ვამლების ქვეყანაში“. მოთხრობა თარგმანია და ჯერ არ არის დასრულებული.

„ჯეჯილის“ რედაქცია და ნათარგმნ მასალების ავტორები კარგს ინებებენ, თუ თავიანთ თარგმანის შესახებ ჟურნალის სათაურში უჩვენებენ რომელიმე მოთხრობა საიდგან არის ნათარგმნი. ეს დიდს შეღავათს აძლევს რეცენზენტს რომელსამე საკითხავი მასალის სავსებით განხილვისა და ღირსეულად დაფასების დროს.

ლექსი „მოწყენილი ჩიტი“, რომელიც ამ მოთხრობის შემდეგ არის დასტამბული, საზოგადოდ კარგია და წასაკითხად ბავშვებისათვის არა უშავს-რა.

მოთხრობა „კალიის შურის ძიება“ /თარგმანი/ რიგიანია. ამ პატარა მოთხრობაში გატარებულია ის აზრი, რომ სამაგიეროს კეთილად უნდა უხდიდეს ერთმანეთს ყველა. მკითხველის ყურადღებას იპყრობს მოთხრობაში იმ ყმაწვილის საქციელი, რომელსაც მეტ სახელად „კალიას“ ეძახიან; ამ ყმაწვილს ერთის ოჯახიდან გამოაგდებენ და სიმღერისათვის სასყიდელს არაფერს აძლევენ. ამის შემდეგ გაივლის რამდენიმე ხანი და ეს „კალია“ იმ ოჯახის პატრონს წყალში დახრჩობისაგან შვილს გადაურჩენს, ამისთვის „კალიას“ დასაჩუქრებას უპირებენ, მაგრამ „კალია“ არ იღებს საჩუქარს. აი, ამ მოთხრობისათვის მთარგმნელს თუ ავტორს დაურქმევია „კალიის შურისძიება“,

თუმცა, არავითარ შურისძიებას აქ არა ხედავს მკითხველი.

„ჯეჯილის“ ამავე ნომერში დასტამბულია ისტორიული მოთხრობა მეფე ვახტანგ გორგასლანისა და ორის გოლიათის შესახებ. ამ მოთხრობაში მეფე ვახტანგი ღრმად მორწმუნე, ღვთის მსასოებელი, დიდი ჭკუის პატრონი და მოხერხებული მეომარია. ღირსებაც აქ უნდა იხატებოდეს და ამიტომ ეს მოთხრობა უეჭველად სასურველად იმოქმედებს მკითხველებზედ.

კარგ მოთხრობად მიგვაჩნია აგრეთვე „პირუტყვთა ჭკუა-გონება“/ ძალლი მხლებელი /, თარგმნილი მოთხრობა შვეიცარიის ცხოვრებიდან. ყველგან ცნობილია სენ-ბერნარდის ძაღლების, ამ ძლიერ და ჭკვიან ცხოველების, მოხერხებული საქციელი ადამიანის გადარჩენის დროს სიკვდილისაგან ალპის მთებში. ათი საუკუნე იქნება რაც ბერნარდის წმინდა მამები შეუდგნენ მთებში გზადაბნეულთა და ყინვა-სიცივისაგან გონმიხდილი მგზავრების გადარჩენას. ბერნარდი სძევს იტალიისა და შვეიცარიის საზღვარზედ, მაღალ მთებში, სადაც ზამთრობით მგზავრობა ნამქერისა და ქარ-ბუქისაგან ძლიერ გასაჭირია. ყოველთვის იმ დროს, როცა ცუდი ამინდია, ბერნარდის ბერები ჰგზავნიან ძაღლებს, რომელთაც კისერზედ ბოთლით არაყი ჰკიდიათ გაჭირვებულ მგზავრების გადასარჩენად. ეს ძაღლებიც დიდის ჭკუითა და ხელოვნებით ასრულებენ ამ მინდობილობას. „ჯეჯილში“ დასტამბულს მოთხრობაში აღწერილია ამბავი ერთის ძაღლისა, სახელად ნუარისი, რომელიც კარგად ასრულებს ადამიანის მოვალეობას, მხლებლობას. იმ ბავშვისათვის, რომელსაც გაცნობილი აქვს საზოგადოდ ძაღლის ჭკუა-გონება „ბუნების კარიდგან“, ეს მოთხრობა, როგორც დამატებითი ცნობები, საინტერესოც იქნება.

ფიზიოლოგიურს წერილში ავტორი საზოგადოდ სუნთქვის შესახებ ესაუბრება მკითხველებს. ამ წერილში მოხსენებულია ფილტვები, ხორხი, საყლაპავი მილი, ბრონხები, კუჭი და სხვ. საჭირო იყო და აუცილებელი, რომ ყველა ეს ნაწილები სურათების შემწეობით მაინც ეჩვენებინათ მკითხველისათვის, რათა მშრალს საუბარს სრულიად უმნიშვნელოდ არ ჩაეარა. ამავე წერილში ზოგიერთი ალაგი მარტივად და ადვილ-გასაგებად ვერ არის გამოხატული. მაგალითად, ამ წერილში ვკითხულობთ: „ეხლა უნდა გავიგოთ თუ რაობით /?/ ჩადის და ამოდის ჰაერი ფილტვებში“. ამ აზრის ამოკითხვის შემდეგ მკითხველი უეჭველად იფიქრებს, ამ საკითხის პასუხს აქვე ამოვიკითხავო; მაშ ჩავყვეთ ქვევით: „როცა ადამიანი სუნთქავს, მაშინ გულის ფიცარი და გვერდის წკნელები ადიან და ჩადიან /?/ მუცელი გამოიწევს და შეი-

წევს; ამით გულის კოლოფი განიერდება, ჰაერიც ფილტვებისაკენ მიისწრაფის და ფილტვების ნახვრეტებს ავსებს. როცა გულმკერდი და მუცელი ისევ დაეშვებიან, ფილტვებს მიაწვებიან და ჰაერი ისევ უკან ამოდის“. აბა, აქედგან როგორ უნდა გაიგოთ თუ რაობით ჩადის ჰაერი ფილტვებში და ამოდის და ან რას ჰნიშნავს ეს სიტყვა „რაობით? !“.

მოთხრობა „უგუნური ბუებიც გრძნობენ ჩემს უსამართლობას“ შინაარსით აღმოსავლეთის ზღაპარს მოაგონებს მკითხველს. ამ ზღაპარში უმთავრესს მომქმედად გამოყვანილია, სხვათა შორის, ერთი სულელი მეფე, რომელსაც რაღაცა არა ცნობილი მიზეზისა გამო ავტორი უწოდებს „დიდებულს“ იმიტომ, რომ ეს მეფე მეტად შეუბრალებელი ყოფილა, რადგანაც თავის სამეფოს მკვიდრთ თითქმის სრულად ანადგურებდაო. ზღაპრის შინაარსი რიგიანია, მაგრამ ხსენებული თვისება „დიდებული“ მეტად შეუფერებელია იმ მეფისათვის, რომელიც მოთხრობაშია მოხსენებული.

ამის შემდეგ „ჯეჯილში“ დასტამბულია ბოტანიკური წერილი №18 მჟაველა /*Oxalis acetosella* /. ამ წერილსაც როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, სხვა ამგვარი წერილების შესახებ, სამი უმთავრესი ნაკლულევანება აქვს: მეტსიტყვაობა, აზრის ხშირი დაუმთავრებლობა და გრამატიკის ლაღატი. მოვიყვანოთ სამივე აზრის დამამტკიცებელს საბუთს; წერილი იწყება ასე: „მე უნდა გაგაცნოთ დღეს თქვენ ერთი უცნაური /?/ მცენარე და როგორც მოითხოვს ზრდილობა /ზრდილობისა-კი რა მოგახსენოთ და პედაგოგიური კანონი კი მოითხოვს, თვით საგნის ან მისი სურათის ჩვენებას. ან რა საჭირო იყო ეს ფრაზა?!/ ჯერ წარმოგიდგინოთ მის გარეგან სანახაობას, მის შეხედულებას“. ვთქვათ ვინმემ მოინდომა საუბარი ბავშვებთან რომელისამე უცნობის საგნის შესახებ და არ უჩვენა თვალსაჩინოდ ის საგანი, რომლის გამო ესაუბრება. აქ შეიძლება დავწამოთ მხოლოდ უმეცრება პედაგოგიისა, თუმცა შეიძლება იგი ძალიან ზრდილობიანიც იყოს. ამავე წერილში ვკითხულობთ კიდევ შემდეგს: „თუ მეორე დილით, როცა უკვე გაშლილია, ამოვარდა უეცრად ქარი, ან წამოვიდა წვიმა, არ გეგონოთ, რომ მჟაველას წინათვე არ ჰქონდეს დაჭერილი თავდარიგი; ის წინათვე ჰგრძნობს ამისთანა მოვლენას და ადრევე შეუდგება ხოლმე სამზადისს“. აქ მკითხველს უბრალო ლოლიკის კანონით ებადება საკითხი, გაიგოს თუ რა სამზადისს შეუდგება მჟაველა: მაშასადამე პასუხიც აქვე უნდა იყოს მოყვანილი, მაგრამ ამ საკითხის პასუხს მკითხველი ოდნავ გაიგებს მხოლოდ წერილის ბოლოში. ეს ფრაზაც „არ გეგონოთ, რომ მჟაველას წინათვე არ ჰქონდეს დაჭერილი თავდარიგი“, სულ მეტია და მისი გამოტოვება აზრს სრულიად არ ამახინჯებს.

„ყველა მის ფოტოლსა და ყვაგილს გრძელი ყუნწი აქვს და ისე სხედს /?/ მიწაში“. ეს ზმნა „სხედს“ არ არის ნახმარი კანონიერად. მართალია, ქართულ ენაში ბევრი უკანონო ზმნაა, მაგრამ ამ უკანონო ზმნებსაც თავისი კანონი აქვთ და იმ კანონის მიხედვით უნდა იუღვლებოდეს კიდეც და არა ისე, როგორც ვისმე ჰსურს. მაგ. ზმნა ჯდომა იუღვლილება ასე: მე ვზივარ, შენ ჰზიხარ, ის ჰზის, ჩვენ ვსხედვართ, თქვენ სხედხართ, ისინი სხედან. „**სხედს**“ თუ კანონიერია, მაშინ მე „ვსხედვარ“ კანონიერი უნდა იყოს.

პატარა მოთხრობა „ურჩი მიუშვი ნებასა“ – ნაძალადეგია. ამას გარდა ამ მოთხრობაში შეხვედებით ხშირად ქართული ენის დამახინჯებასაც. მამა ეუბნება ექვსი წლის ვაჟს: „თუ ხასიათი არ გამოიცვალე და არ დაჭკვიანდი, იცოდე **გაროზგვა** /?/ არ აგცდება ჩემგანო“. ასეთი მამა-შვილის აღზრდაში რომ სრულიად უმეცარი ყოფილა, ეს თუ გინდათ არაფერი, მაგრამ ეს გაროზგვა სადაური ქართულია! არც ამ საბრალო ბავშვის დედა ყოფილა კარგი მცოდნე ქართულისა – „**შენ შენი დლით** არ მოკვდები შვილო, ან სხვა შეგამთხვევს რასმეს /თუ რასმე/, ან შენ სხვას შეამთხვევ თუ ჭკვიანად არ მოიქცევიო“. ნაცვალსახელი „**რამე**“ იკანკლელდება ასე: რამე, რისმე, რასმე და სხვ. ან რას ნიშნავს ეს ფრაზა – **შენი დლით არ მოკვდები**. ამ წერილის ავტორსაც არ ეტყობა ქართულის სახელების ცოდნა, მაგ. ასე ჰხმარობს: კოლამ ერთი თავისზე მოზრდილი ამხანაგი ბიჭი ვანკა /?/ აიღვენა და წავიდა. ეხლა თუ ქართული სახელი ვანო ავტორს ვანკად გადაუკეთებია, საფიქრებელია შემდეგში ვანიუხასაც იხმარებს.

სხვა სამი პატარა იგავ-არაკი „მეცხვარე და მგელი“, „ცისარტყელა და მზე“, „ყვაგი და ბულბული“ რიგიანია. ჩვენი ყურადღება მიიქცია ორმა სახუმარომ, რომელიც დასტამბულია „ჯეჯილის“ 58-ე გვერდზე. ამამედ უხეიროსა და უაზრო ნაწარმოებს „ჯეჯილში“ ჩვენ ჯერ არ შევხვედრივართ. ამოვწერთ ერთს ამ სახუმაროს: „ოსტატმა მოსწავლეს გაკვეთილის დაუსწავლელობისათვის ცუდი ნიშნები დაუსვა, კუთხეში დააყენა, უსადილოდ დატოვა და ბოლოს ორი სილაც გააკრა ლოყაზე“. რა სახუმაროა ეს ჯალათური ამბავი მასწავლებლისა, რომელსაც ერთის მცირე დანაშაულობისათვის, რომელშიაც იქნება წილი თითონაც უძევს გაკვეთილის სუსტად ახსნის მხრივ ოთხის სხვა და სხვა საშუალებით დაუსჯია საწყალი ბავშვი. ერთის დანაშაულობისათვის ოთხნაირი სასჯელი ჯერ მგონია კანონმდებლობაშიაც არ უნდა იყოს მოხსენებული: ამის შემდეგ რალა უნდა ეთქვა საწყალ უსამართლობით გაბრაზებულს მოწაფეს თუ არ შე-

მდეგი: „დაიცა, რაკი აგრეა, აღარც ხვალ დავისწავლი გაკვეთილს, აღარც ზეგ, არც მამეგ... და არც არასოდესო“. ამ ამბავში ჩვენ ვერაფერი ვერც სახუმარო და ვერც დამაფიქრებელი რამე ვერ ვიპოვეთ. საზოგადოდ კი მთელი მეცხრე ნომერი „ჯეჯილისა“ რიგიანია. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ერთი „გუგული“ ჰხდის ჟურნალს ყურადღებისა და წაკითხვის ღირსად.

* * *

ჩვეულებრივად ჟურნალ „ჯეჯილის“ მეათე ნომრის შინაარსს შეადგენს ორი ლექსი და რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც ამ ნომერში თითქმის ყველა თარგმანია. პირველ გვერდზე დასტამბულია მოზრდილი ლექსი „ტყის სურათები“. ეს ლექსი ადვილი საკითხავია და შინაარსითაც სახალისოა პატარა მკითხველებისათვის, რადგანაც ლექსს ჩართული აქვს ხუთამდი იმ პირუტყვის სურათი, რომელთა შესახებაც ლაპარაკია ლექსში. ნაკლულეგანებანი ლექსისა ის არის, რომ სათაური სავსებით ვერ ახასიათებს ლექსის შინაარსს. ზამთრის სურათის აღწერას ამ ლექსში მხოლოდ პირველი ექვსი სტრიქონი იპყრობს და ისიც ძალიან მცირედ, რაც შეეხება მედიის, დათვის, მგლის, ირმის და წრუწუნის შესახებ საუბარს, უნდა შევნიშნოთ, რომ აქ არავითარი აღწერილობა ტყის სურათისა არ მოიპოვება. ამას გარდა ამავე ლექსში შეხვდებით ზოგიერთს გაუგებარს ადგილსაც; მაგალითებრ:

„შესწყდა ბულბულის ხმა ტკბილი,
ყელში რაკრაკი, კრიალი,
შაშვთა და შურთხთა დაჰფარეს /?/
ნაკადის კლდეზე /?/ ჩხრიალი /?/“

„დაჰფარეს ჩხრიალი“-ო. ჩხრიალი ნიშნავს მდინარის ხმაურობას /журчание ручья/, ამიტომ „დაჰფარეს“ უადგილოდ არის ნახმარი; ვერც ეს „ნაკადის კლდე“ არის რიგიანი, რადგანაც ისედაც სუსტს სურათს მეტად ბუნდოვნად ჰხდის:

„გაჩაღდა ყველგან სიცოცხლე,
შეიქმნა ფუსფუს-ტრიალი,
მისვლა და მოსვლა ცხოველთა,
მწერთა ბზუილი, ყიალი“ /?/.

აქ სიტყვა „ყიალი“ მისთვის არის ნახმარი, რომ რითმობა გაუწიოს სიტყვა „ტრიალს“, მაგრამ მწერთა ყიალი კი გვგონია, ახლად შეთხზული ქართული უნდა იყოს.

მეორე ლექსი, რომელიც მეათე ნომერშია დასტამბული, ხალხურია, სახელად „აბრაამის ლექსი“. ეს ლექსი გადმობეჭდილია ჟურნალ „კრებულის“ XII ნომრიდან. ლექსის შინაარსია აბრაამის შვილის ყოლა და მისი მსხვერპლად შეწირვა. ეს ყველა მოკლედ ხალხურის ამრის თანახმად არის მოთხრობილი ლექსად, რომელიც როგორც პოეზიით, აგრეთვე მნეობრივის დასკვნითაც მდიდარია და შესაფერი საყმაწვილო ჟურნალისათვის. ამოვსწერთ უკანასკნელს სტრიქონებს:

„შვიდჯერ იჭევა შვიდმა ცამ
ზედ ვარსკვლავი გადიყრება,
გადმოხედა ქრისტე ღმერთმა:
დახე აბრამ რასა შვრება;
ერთი ცხვარი გადმოკიდე,
ათას ფერად აყვავდება!
ეს დაჰკალი, ეგ გაუშვი,
შვილი ფეხზე დაგიდგება,
ღვთის ვედრება-სამსახური
აგრე კარგად მოგიხდება“.

პირველი ლექსის შემდეგ „ჯეჯილის“ მეათე ნომერში ვკითხულობთ რუსულიდან ნათარგმნს მოთხრობას „ბელურებს“. ამ მოთხრობიდან პატარა მკითხველები, თუმცა სავსებით არა, მაგრამ რამდენადმე მაინც გაიცნობენ მოთხრობითის სახით ნაამბობ მასალიდან ბელურების და სხვა ფრინველების ცხოვრებას. თარგმნის მხრით კი ამ წერილს ცოტა უყურადღებობა ეტყობა, მაგ. „ამ ოდას ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან აქ არავინ ცხოვრობდა და / , / რაკი არავინ ცხოვრობდა / , / არც საზრდო ექნებოდა მათთვის...“ ეს ამდენი „რაკი არავინ ცხოვრობდა“-ს მაგიერ შეიძლებოდა უფრო მოკლედ გამოთქმა იმავე ამრისა. მეტადრე აღდგომა იყო ამ ბელურებისათვის, როდესაც „კალოობას /?/ და პურის ლეწვას დაიწყებდნენ. კალოობა ჰნიშნავს დროს, როცა პურსა ჰლეწვენ, ამიტომ, „კალოობას დაიწყებდნენ“ ვერ არის რიგიანი ქართული. ეს შეიძლებოდა გამოეთქვათ აგრე: – როდესაც კალოობა დადგებოდა და პურის ლეწვას დაიწყებდნენ. „ბელურებმა კარგათ /დ/ იციან, რომ სასტიკ ზამთარს ბოლო მოელება და დადგება ადრე თუ გვიან გაზაფხული“.

ამ ფრაზაში ქართული სიტყვები ქართულად არ არის დალაგებული. ამას ქართულად ასე იტყვიან: ბელურებმა კარგად იციან, რომ სასტიკ ზამთარს ბოლო მოეღება და, ადრე თუ გვიან, გაზაფხული დადგება. „დაჟანგული სახლის სახურავის ჟესტი /?/ წითლად შეღებეს“. „ჟესტი“ რუსულია, მაგრამ საქმე ის არის, ეს დაჟანგული სახლი ყოფილა, თუ იმავე სახლის რკინის სახურავი? ჩვენ არ ამოვწერთ ყველა შეცდომას, რასაკვირველია, მაგრამ ნაჩვენებიდგანაც ცხადად სჩანს, თუ რა სიფრთხილე ჰქმარებებს რედაქტორს არა მარტო სხვების, არამედ თავისის ნაწერების გულდასმით რამდენჯერმე გადასინჯვის დროს, რომ არ გამოეპაროს გაუსწორებლად ზემოთ ნაჩვენების მსგავსი და სხვა შეცდომანი, რომელნიც სრულიად არ უნდა მოიპოვებოდეს საყმაწვილო ჟურნალში.

„კეკილის“ მეცხრე ნომერში დაიწყო და მეთექვსმეტე დასრულდა ბექტვა ერთის ვრცელის მოთხრობისა, სახელდობრ, „ვაშლების ქვეყანაში“. ამ ვრცელის მოთხრობის მოკლე შინაარსი ეს არის: მოხუცი პაპა და იმისი შვილისშვილები, ცამეტის წლის დეჟემა და ათი წლის ბინდო, თავიანთ სამშობლო ქვეყნიდგან, ნიაპოლიდგან, გაჰყვებიან ერთს ცირკის უფროსს ინგლისში ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ცირკის უფროსს მალე განშორდებიან და თავისთავად დაიწყებენ ლუკმა პურის მოპოვებას – დეჟემა და ბინდო თამაშობენ და პაპა კი თვალთმაქცობს. დეჟემა შესანიშნავი ლამაზი ქალია, აღზრდილი თავისუფლებაში, მდიდარის ბუნების გავლენით. ის მტკიცე ხასიათისაა და არავის მცირე შეურაცხყოფასაც არ აპატიებს. ერთხელ დეჟემა, სიტყვიერად შეურაცხყოფილი ერთის ინგლისელის, ფილიპე კორრეისაგან, თვალებში ცეცხლანთებული შეახტება ყმაწვილის კაცის ფილიპეს უნაგირს და ორს ისეთს სილას უთავაზებს, რომ თქვენგან მოწონებულს, მაგრამ ფილიპე ხმასაც არ გასცემს და დარცხვენილი წავა. ინგლისელები დარბაისელი ხალხია; ისეთს ხელობას, რომელსაც პაპა და იმისი შვილიშვილები მისდევენ, ყველას სასტიკად უკრძალავენ. ამიტომ ეს პაპაც თავისი შვილიშვილებით ერთს დღეს დაიჭირეს და სამართალში მისცეს. მოსამართლეთა შორის ფილიპე კორრეიც იყო, მაგრამ მას მონაწილეობა არ მიუღია საქმის გარჩევაში. მსაჯულებმა მოხუცს დატუსაღება და ბავშვებს თავშესაფარში გაგზავნა გადაუწყვიტეს. ბავშვებს არ უნდოდათ მოხუცი პაპის განშორება, მაგრამ ვერას გახდნენ. დეჟემა ყველა ბრალს ფილიპე კორრეისა სდებს, რომელსაც ორი სილა გააწნა წინათ. ამიტომ დეჟემას უნდა კიდევ სამაგიერო გადაუხადოს. ღამით დეჟემა გაიპარება თავშესაფარიდგან, მივა ფი-

ლიპპეს სახლთან და უნდა სახლს ცეცხლი წაუკიდოს, მაგრამ ძალი შეუტყობს და ხელს შეუშლის. ძალის ხმაზე ფილიპპე გამოვა გარეთ და დაინახავს დუემას, შეიყვანს სახლში, გამოჰკითხავს ყველაფერს, ხან მუქარით, ხან ალერსით. ფილიპპე გულკეთილი კაცია, აპატიებს ყველაფერს და შეჰპირდება დუემას თავისის ძმისა და პაპის განთავისუფლებას და სამშობლოში გამგზავრებას. ამ სიტყვების შემდეგ, დუემა მოეხვევა ფილიპპეს და მადლობის ნიშნად კოცნას დაუწყებს. რამდენადაც წინად სძულდა მას ფილიპპე და ეჯავრებოდა იგი, იმდენად ეხლა უფრო შეუყვარდა ასეთის გულკეთილობისათვის. მოახლოვდა გამგზავრების დროც. პაპას ზღვის ავადმყოფობისა ემინიან, ბინდოს ენანება იქაური ვაშლები და დუემას ფილიპპეს მოშორება. ფილიპპე იმათ იქვე ცალკე დაასახლებს. როცა დუემა წამოიზრდება ცოლად შეირთავს და მეგობრები გახდებიან.

როგორც მკითხველი დაინახავდა, ამ მოთხრობაში უმთავრესი მოქმედი ცამეტის წლის ქალი დუემაა. დუემა იდეალური ტიპი არ არის, მაგრამ პსიხოლოგია უარს არ ყოფს ასეთის ტიპის არსებობას, როგორც არის დუემა, აღზრდილი თავისუფლებაში, რომელიც ეკუთვნის პატივმოყვარე ტიპს /честолюбивый тип/ და რომელსაც შეუძლიან მცირე შეურაცხყოფაც არ აპატიოს არავის, რადგანაც ზნეობრივი თვისება ბევრად განვითარებული არ აქვთ: „Они все защищают, все находят возможным, чувствуя себя оскорбленными, обиженными, они обыкновенно предпочитают защищаться кулаком и пощечиной“. /იხ. სკოლ. ტიპ. ლესსგაფტისა, გვ. 43/. ამისდა მიუხედავად მოთხრობა „ვაშლების ქვეყანაში“ მოკლებულია ტენდენციურობას, დაწერილია მარტივად; სახე პატარა ქალის დუემისა, მშვენიერის, შავი თვალებით, დაბრაწულის ლოყებით, ხუჭუჭა ოქროსფერ თმით, იმ დუემისა, რომელიც ცხოვრების აუტანელისა და მძიმე უღლის მიუხედავად, არა ჰკარგავს თავის სიწმინდეს, სიმშვიდეს და გრძნობას საკუთარ ღირსებისას, აღძრავს მოზრდილ მკითხველებში კეთილსა და კარგს გრძნობებს. თარგმანი კი აქაც კოჭლობს ზოგიერთს ადგილას, მაგ. „პოლი, დორტური, სტავნა, სტრაფილები“ და სხვა ქართული არ არის და მათი გამომხატველი ქართული სიტყვებიც ძნელი მოსაგონებელი არ უნდა იყოს.

ამის შემდეგ „ჯეჯილში“ დასტამბულია გრიგოროვიჩის მოთხრობა „დამტვრეული დედოფალა“. შინაარსი ამ მოთხრობისა ასეთია: ერთს ღარიბსა და ქვრივს დედაკაცს ჰყავს ერთი პატარა ქალი. ეს ქვრივი დედაკაცი დღიურის მუშაობით ცხოვრობს. ერთხელ ეს დედაკაცი

მდიდარის სახლიდგან წამოიღებს დედოფლებს ტანისამოსის შესაკერად. ამ დედაკაცის პატარა ქალი უეცრად ერთს დედოფალას გასტეხს. როცა დედაკაცი ჩააბარებს დედოფლებს უკან, მდიდრები დამტვრეულის დედოფალის ფასში მუშაობის ხელფასს გამოუბრინან: დაღონებული ქვრივი დედაკაცი ამ ამბავს თავის ქალს არ ეტყვის, აიღებს ძველს ბეჭედს, ჰყიდის და ამ ფულით მხიარულად გაუთენებს ბედნიერ დღეს.

ამ წერილებს ის აზრი აქვს, რომ მკითხველის გონებაში დაბადოს სიძულვილი იმისა, ვინც არ არის შემბრალებელი ქვრივ-ობლისა. ამ აზრს წერილი ცოტად მაინც მიაღწევს. რამდენადაც მდიდრის მოსამსახურის სახე ჰბადავს მკითხველებში უკმაყოფილების გრძნობას, იმდენად ქვრივი დედაკაცი იზიდავს მკითხველის ყურადღებას.

ბოტანიკურ წერილებს №19, სახელდობრ „მოხელტას“ /*Aristolochia clematitis* / მცირე წარმატება ეტყობა, თუმცა „უსხედს“ და „სხედს“ აქაც შეხვდებით. ამას გარდა ყვავილის სურათზე არ არის ნაჩვენები, სად არის ნასკვი და სად მტვრიანანი. თუმცაღა ესენი ახსნილია სხოლიოში, მაგრამ მათი ჩვენება სურათზედ აუცილებლად საჭირო იყო, რომ მკითხველებს თვალსაჩინოდ შეეგნოთ და შეეთვისებიათ ეს ორი ბოტანიკური სახელწოდება.

იგავი „ძეძვი“ საზოგადოდ კარგია. ამ იგავში იხატება ადამიანის გონიერება და სრული უფლება მისი ქვეყნიერებაზედ.

„ჯეჯილის“ მეათე ნომრის ბოლოში დასტამბულია ერთი პატარა მოთხრობა „პალიკოს ვირი“. ეს მოთხრობა ორიგინალური უნდა იყოს. მოთხრობის ავტორი ეუბნება პატარა მკითხველებს: „პალიკო ზოოფილიაო“ და მაშინვე ჰკითხავს: „იცით /,/ ყმაწვილებო რას ნიშნავს ეს ახირებული /?/ ბერძნული სიტყვა?“ – „ზოოფილი ნიშნავს პირუტყვების მეგობარს“. ძალიან კარგი. ეხლა გავიგოთ, თუ როგორი ზოოფილი, ე. ი. პირუტყვების მეგობარი ანუ მოყვარული ყოფილა პატარა პალიკო. პალიკომ თავის სადღესასწაულო საჩუქრად ვირი მიიღო. ეს ვირი ერთხელ იმან აიყვანა სახლის ზემო სართულში, იქ „ღონივრად შოლტი გაართყა საცოდავ პირუტყვს, ბავშვმა გაუმეორა კიდევ შოლტი და საცოდავი ჩოჩორი თავდაყირა წამოკიდა ზემო სართულიდგან ძირამდის“. ამის შემდეგ ბავშვს ბევრი უტირნია, მაგრამ ვირს რაღას უშველიდა. ეს მოთხრობა, კარგად რომ დავუკვირდეთ თვითონ პალიკოს ზნე-ხასიათს, სუსტად გვეჩვენება. პალიკო, ავტორის სიტყვით, შვიდის წლის ბავშვია, შეუცდომლადაც სწერს /?/ და სწრაფადაც ანგარიშობს, მაგრამ ის ნაკლულევიანება აქვს, რომ „ზო-

ოფილია“. ზოოფილობა, ანუ ცხოველების მეგობრობა არა თუ ნაკლულევანებაა, პირიქით, ღირსებაც არის, თუ კი ბავშვი ნამდვილი მეგობარი და მოყვარულია ცხოველებისა და არა ისეთი მტარვალი, როგორც შვიდის წლის პალიკო ყოფილა. ამას გარდა, რადგანაც პალიკო გულკეთილი ბავშვი არა ყოფილა და ცხოველების წვალემა ჰყვარებია, მისი ტირილიც და ცრემლებიც საეჭვოა, დაუჯერებელია, რადგანაც პსიხოლოგიურად შენიშნულია, რომ ის ბავშვი, რომელიც სასტიკად ეპყრობა ცხოველებს და აწვალებს, ბევრს შემთხვევაში იმდენად დიდს კმაყოფილებას პოულობს, რამდენადაც ტანჯვა ცხოველისა ძლიერია.

* * *

ნომბრის ნომერს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისას“ შეცდომით თუ ვუწოდებთ ნახატებიანს, თორემ ამ ნომერში გარდა ერთის საცოდავი კნუტისა და მცენარის ენკინარისა, როგორც ავტორი უწოდებს ერთს ჩვენებურს მცენარეს, ვერც ერთს შესაფერის და აუცილებლად საჭირო სურათს ვერ იპოვით. ეს გარემოება აიხსნება რედაქციის სიღარიბისა თუ სხვა მიზეზების გამო, ჩვენ ამის განხილვაში არ შევალთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი წერილები, მაგ. „კოლო“ უსურათოდ სრულიად რომ არ დაებეჭდათ, ამით არაფერი დაშავდებოდა. ამ საზოგადო სიტყვების შემდეგ შევუდგებით ყველა მასალის კერძოდ ცალკე განხილვას.

„ჯეჯილის“ მეთერთმეტე ნომერში ჩვეულებრივი ორი ლექსია დასტამბული. ერთს ჰქვია „კატა“, მეორეს – „ია და ეკალა“. უნდა გამოვტყდეთ, რომ ვერცერთი ამ ლექსთაგანი ვერ აკმაყოფილებს საბავშვო ლექსის დანიშნულებას. პირიქით, ეს ორივე ლექსი მესამე კლასის მოწაფის ნაცოდვილარს უფრო წარმოადგენს, ვიდრე საჭირო ცოდნით და შესაფერის სწავლით აღჭურვილის საბავშვო მწერლის ნაწარმოებს. პირველს ლექსში, რომელიც ასე მოსწონებია „ჯეჯილის“ რედაქციას, რომ პირველი ადგილი დაუთმია მისთვის, ვკითხულობთ:

„ნუ თუ ჩიჩია მოგნდომებია
და შენ ფუფალაც გაგწყრომებია /?/
მაცადე /?/ ფისოს, დაუგებ რაგვსა /?/
გათენებამდის დაგიჭერ თაგვსა და სხვ.“

ვთქვათ ეგ „გაგწყრომებია“, „მაცადე“, მე „დაუგებ“ და სხვა „წა-
რმოშობილია დასავლეთ საქართველოს ერის საშოდგან, რომელსაც
დრამატიკა არ მოეძევა“ /„კვალი“ №47, 1898 წ. /.

მაგრამ ვერ გავგივია, ეგ „ფუფალა გაგწყრომებია“ რას ჰნიშნავს,
ან რა აზრი აქვს „კატას ფუფალა გაწყრომებია“-ს ან რად გასწყრო-
მია ფუფალა კატას? განა მისთვის, რომ საჭმელი მონდომებია! ეს
სიტყვა „რაგვი“ არც დასავლეთ საქართველოშია ყველგან ხმარე-
ბული, აქაც ალბათ მისთვის უხმარიათ „რაგვსა“, რომ შეწყობილიყო
სიტყვებიდან „დაგიჭერ თაგვსა“. ჩავყვეთ ამ ლექსს ქვევით: შენიშ-
ნეთ, რომ კატას ჰპირდებიან მე დაგიჭერ „რაგვით“, ანუ ხაფანგით
თაგვსაო, შემდეგ:

„მოგცემ კლანჭებში, ჯერ ათამაშე,
შეჰკარი /?/ მალლა შეათამაშე;
ზოგჯერ გაუშვი და დაემალე,
როს მიდიოდეს კვლავ ეცი მალე,
ასე აწვალე და აწრუწუნე,
შემდეგ დაჯექ და შეაკნატუნე.“

ვიმ ნეტარებაგ! სწორედ საუცხოვო სურათია პატარა მკითხვე-
ლების გონების სავარჯიშოდ. ეს საზიზღარი ჩვეულება კატებისა ნუთუ
მოსაწონია? რომ ათასნაირ წვალებას მიაყენებენ თავის მსხვერპლს
და შემდეგ მთლად მოუღებენ ბოლოს, ან რა სამაგალითოა ეს პატარა
მკითხველისათვის! ამას გარდა, ხსენებულის ლექსის ავტორი იმ კა-
ტას, რომელსაც თავისთავად თავგების დაჭერაც კი არ შესძლებია,
შემდეგს დარიგებას აძლევს:

არ არის /, / ფისო, დასანდობელი,
სხვისა ნაღვაწის არ დამდობელი /?/
და ვინც თავგევით ცხოვრობს ქურდულათ /დ/
გაჰკარ კლანჭები, მოექეც მტრულათ /დ/
გააქრე ყველგან მათი ხსენება,
და ყველას მოგვეც მით მოსვენება.“

საკვირველი კატა ყოფილა ამ ახირებულის პოეტის კატა, რომ-
ლისაგანაც ავტორი ხსენებულის ლექსისა მოელის მტრისაგან „და-
ხსნას“ და „მოსვენებას“. იქნება ბ-ნ კახ-იმერს ჩემი პირუთვნელი
და სამართლიანი შენიშვნა არ ეამოს და თავისი ძლევა მოსილი კატა
ჩემსკენაც გამოგზავნოს, მაგრამ მაინც დაურიდებლად მოვასხენებთ
ავტორს, რომ მისი ლექსისა არც თავი ვარგა და არც ბოლო ბავშვები-

სათვის საკითხავად და ამას გარდა მტრის სამაგიეროს გადახდაც ცუ-
დათ მოქმედებს ბავშვის ნორჩ გონებაზედ /„Рассказы о мести слишком
способны развивать злые склонности“. იხ. თხზულება ბენისა /.

მეორე ლექსიც რაღაც უცნაურია; კითხულობ და არ გჯერა, ნუთუ
ამისთანა რამე არის ღირსი დასტამბვისა და ისიც საყმაწვილო ჟურ-
ნალში. ამ მეორე ლექსში საუბარი აქვთ იასა და ეკალას, თუ ეკალს.
ია ტირის, ჩივის თავისს ბედს, რომ „ბუნებამ იმაზედ იცვალა პირი და
არ იზრდება ველად“:

„გემოდგან ბუჩქი ზრდას მიშლის
და გარს მიბერავს ქარ-სუსხი,
თავჩალუნული ვწუწუნებ,
ვით ასი წლისა მოხუცი /? /
როდის მომივა ზაფხული /?/
ვარ ამის სანატრელშია.“

გემოთ მოყვანილის იის ჩივილმა მოგვაგონა ჩვენის ნიჭიერის
მგოსანის ვაჟა-ფშაველას „ია“. შესადარებლად ავიღეთ თხზულებანი
ვაჟასი /იხ. გვ. 37/, სადაც ამოვიკითხეთ შემდეგი სიტყვები იისა: „ხე-
ებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი ტოტებს მე მა-
ფარებენ; ჩვენს იას არ შეგვიცივდესო, ან არაფერმა არ აწყინოსო.
პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის, წვიმას შეუძლიან
ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები. ხეები გარშემო მეხვევიან და
მყარაულობენ, წვიმის ნამს ინახავენ ტოტებით, ფოთლებით და მერე
ნელ-ნელა მამცვრევენ პირზე თითო ოროლა ნამობით, პირს მბანენ“
და სხვ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ „ია და ეკალას“ ავტორს
ვაჟა-ფშაველას „ია“ წაკითხულიც არ ექნება, თორემ ისეთს უცნაურსა
და ყოვლად უმსგავსოდ არ დაახასიათებდა ამ საბრალო მცენარეს.
როგორი შედარებაა ია და ასის წლის მოხუცი! ან „როდის მომივა
ზაფხული, ვარ ამის სანატრელშია“. ყველა სულდგმული – ცხოველი,
მცენარე გაზაფხულს შეჭხარის, აღტაცებით მოელის ძვირფასს სტუ-
მარს გაზაფხულს, ავტორის იას კი გაზაფხული არ მოსწონს ალბათ
და გაიძახის: „როდის მომივა ზაფხული?!“ საზოგადოდ სიცოცხლესა
და აზრს მოკლებული ლექსები და მოლექსეები ჩვენში ფარნით საძე-
ბარი არ არის. პირიქით, ეს საზოგადო მოვლენაა.

„ჯეჯილის“ მეთერთმეტე ნომერშივე ვკითხულობთ ერთს ვრცელს
მოთხრობას ბავშვების ცხოვრებიდან, რომელსაც სათაურად უზის
„ნალიტა და ფეთება“. ეს ნალიტა და ფეთება მეტი სახელია ორის მო-
წაფისა; ისინი სწავლობენ ქალაქის ერთს სასწავლებელში. ნალიტა

ტკვიანი ყმაწვილია, სუსტის აგებულებისა, ამხანაგების თამაშობაში მონაწილეობას არ იღებს, ფეთება კი, გათავდება გაკვეთილები თუ არა, ერთს ყოფაშია, ხან ერთს ჯგუფს ყმაწვილებისას დაერევა, ხან მეორეს დაუქროლებს, აქეთ-იქით თვალებს აფეთებს და ამიტომ ამხანაგებს მეტ სახელად ფეთება დაურქმევიათ. ნალიტა და ფეთება კლასში ერთად სხედან. ფეთებამ ხშირად გაკვეთილები არ იცის, მაგრამ ჰკითხავს თუ არა მასწავლებელი გაკვეთილებს, ფეთება მუჟ-ლუგუნით შეატყობინებს ნალიტას თავის გაჭირვებას და ისიც წაუჩუჩრულეებს გაკვეთილს და ასე გადარჩება ხოლმე.

საზაფხულოდ ყმაწვილებს დაითხოვენ და ყველანი სოფლებში წავლენ მშობლებთან. ნალიტა, როგორც ღარიბის კაცის შვილი, ზაფხულში ხშირად შველის მუშაობაში მშობლებს და აუტანელის ჯაფისაგან ხშირად დიდს გაჭირვებაშია. შემოდგომა დადგება, მოწაფეები ისევ იკრიბებიან სასწავლებელში. ნალიტაც ჩამოდის სოფლიდგან, მაგრამ ისეთი ავადმყოფია, რომ მაშინვე საავადმყოფოში დააწვენენ. ფეთება ელაპარაკება თავის ამხანაგებს, თუ როგორ გაატარა ზაფხული, როგორ ინადირა და რა მოჰკლა. ამ დროს აღმზრდელი ფეთებას დაუძახებს, შეიყვანს საავადმყოფოში ნალიტასთან, რომლის გამხდარი სახე ისე იმოქმედებს ფეთებაზედ, რომ ეს უკანასკნელი თვალცრემლიანი გამოდის საავადმყოფოდგან. ამ მოთხრობით ავტორს აზრად ჰქონდა აღეძრა მკითხველებში სიბრაღულის გრძნობა ღარიბის, ლატაკის ბავშვების მიმართ, მაგრამ მოთხრობა ისეთი გაჭიანურებულია და მასთან მოკლებულიც იმ თვისებას, რომელსაც შეუძლიან გამოიწვიოს მკითხველებში სასურველი გრძნობები, რომ საეჭვოა ავტორმა საგანს მიაღწიოს. საზოგადოდ მოთხრობა „ნალიტა და ფეთება“ სუსტია და ვერც იმოქმედებს მკითხველებზე სასურველად. სხვათა შორის ხსენებული მოთხრობის ავტორს ჩვენებური სოფლის ხალხის ცხოვრების დაკვირვებაც არა ჰქონია. მოთხრობაში ვკითხულობთ შემდეგს: „კევრი თოკებით აებათ ცხენისათვის /?/, თოკებზე ძონძები ეხვია, ცხენს ბარკლები არ დააცვდესო. ჩამოძინდილ ხმაურთ /?/ ქვეშ მჩვარი დაეფინათ“. საქართველოში საზოგადოდ, როგორც ხვნა-თესვა, აგრეთვე პურის ლეწვაც ხარ-კამეჩებით იციან და არა ცხენებით, როგორც მაგალითებრ, რუსეთში. მამა ეუბნება ნალიტას: „წადი შემა შემოიტა, საჭმელს მოუმარჯვე, სამოვარი დადგი“. ჩვენებური გლეხი და სამოვარი!

„ნალიტასა და ფეთებას“ შემდეგ დასტამბულია ერთი პატარა მოთხრობა „პეტრე“, რომელიც წარმოადგენს ფოტოგრაფიულს სუ-

რათს სოფლის სკოლის ცხოვრებიდგან. მოთხრობა კარგია, აზრი-სადაგვარად შესაფერისად და კარგად ჰმოქმედებს მკითხველზედ. ავტორს ხსენებულის მოთხრობისას ეტყობა ნიჭი, სრული დაკვირ-ვება და ცოდნა სოფლელ ბავშვის ცხოვრებისა, ამიტომ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამისთანა ორიგინალურის მოთხრობე-ბის წერით, რომელიც ამოღებულია ჩვენებური ბავშვების ცხოვრე-ბიდან, ავტორს „პეტრესას“ შეუძლიან კარგი მოკეთეობა გაუწიოს ჩვენს ბავშვებს.

ვრცელი მოთხრობა „პატარა ურია“ საზოგადოდ კარგია, არა მარტო ბავშვების, არამედ სახალხო საკითხავადაც. საბავშვო მწერ-ლის, როგორც კარგის მქადაგებლის საუკეთესო თვისებას შეადგენს თავისი ნალაპარაკევი შეუფარდოს მსმენელთა ცნებას და შეარყიოს შინაგანი გრძნობანი და წაახალისოს შრომაში. ერთს ადგილას დანი-ელის შესახებ ავტორი ასე მოგვითხრობს: „თუმცა სკოლაში სწავლა ბაბილონელთა ენაზედ იყო, მაგრამ დანიელი და მისი მეგობრები თავისს საყვარელ დედაენას ბეჯითად სწავლობდნენ და სამშობლოს არ ივიწყებდნენო“. ქართულის გრამატიკის ღალატს აქაც შეხვდებით, მაგრამ ეს გარემოება „ჯეჯილის“ რედაქციისათვის „არ ახალია, ძვე-ლია“. მაგალითად, ვკითხულობთ: „ყმაწვილებთა /?/ შორის ერთი საკვირველი ყმაწვილი აღმოჩნდა“. ამ სიტყვას „ყმაწვილებთა“ ორ-ნაირი დაბოლოვება აქვს მრავლობითს რიცხვში – საერო და სამწიგ-ნობრო, უნდა იყოს ან ყმაწვილებს შორის, ან ყმაწვილთა შორის. „შე-კრიბეს მრავალი ბრძენი“, უნდა იყოს „მრავალნი ბრძენნი“.

ამის შემდეგ ვკითხულობ წერილს „კატის ჭკუა-გონება“. ამ წე-რილის ავტორს, როგორც სჩანს, ბევრი სხვა და სხვა წყაროებიდგან უსარგებელია მასალით, მაგრამ შეკრებილი მასალების დალაგება ვერ მოუხერხებია და შეკრებილი მასალები უკავშიროდ დომხალივით აუ-რევია ერთმანეთში. ამისთანა წერილები, რომლის ნაწილები ლოგი-კურის ჯაჭვით არ არის დაკავშირებული; გარდა ამისა, რომ ძნელი და მძიმე საკითხავია, თვით მკითხველის მეხსიერებაშიაც ვერ რჩება დიდ ხანს. ამასთან „კატის ჭკუა-გონებაში“ ზოგიერთი ადგილი გაზ-ვიადებულად და სიმართლეს მოკლებულად მიგვანჩნია. „კატა საში-ნელი გულ-მტკივნეულია, განსაკუთრებით როცა კნუტები ჰყავს, ის მზად არის თავის /თუ თავისი/ ძუძუ პატარა ლეკვებს, კურდღლებს, ვირთხებს და თავგებსაც კი აწოვოს“. დავიჯეროთ ვითომ ვირთხა, ანუ თავი კატას ძუძუს სწოვდა? შენიშნულია მეცნიერების მიერ, რომ კა-ტას, რომლისთვისაც კნუტები წაურთმევიათ, თავისი ძუძუ ციყვისა და

კურდღლისათვის უწოვებია, მაგრამ ამ გარემოებას იგივე მეცნიერებანი ხსნიან არა კატის გულშემატკივრობით, არამედ იმით, რომ კატას უნდა მოიშოროს ძუძუებში შეგროვილი რძე, რომელიც ძალიან აწუხებს. „კატის ტკუა-გონება“ არც გრამატიკის მხრით არის უნაკლულო, ყველაზე უფრო დიდს განსაცდელშია ნაცვალსახელი „თავისი“. იმისდა მიუხედავად რომ ამ ნაცვალსახელის კანონიერად ხმარება და სხვა კანონებიც ქართულის ენისა საკმაოდ გამოკვლეული და დამტკიცებულია ჩვენს მწერლობაში. „კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია მაინც თავისებურობას მისდევს მართლწერაში, რომლის გრამატიკა და კანონები „კვალის“ სიტყვით შემდეგში უნდა შემუშავდეს და დაიწეროსო /იხ. „კვალი“ №47/; მაგრამ ეს მოსაზრება სრულიად საბუთს არ გვაძლევს ეხლანდელი გრამატიკა უარვყოთ და ყველამ ისე ვწეროთ, ვისაც როგორ გვსურს, სწორედ ასე იქცევა „ჯეჯილის“ თანამშრომელთა უმრავლესობა. თუ რა შედეგი მოჰყვება ასეთს არეულს მწერლობას, ყველასთვის ცხადია და ამის დამტკიცებას არც ჩვენ შევუდგებით. მხოლოდ აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ: ყველა საბავშვო საკითხავი წიგნი, სახელმძღვანელო და საყმაწვილო საკითხავი ჟურნალები უსათუოდ უნდა იწერებოდეს ბავშვისათვის შეძლებისდაგვარად ადვილად გასაგების, მაგრამ აუცილებლად საზოგადო ლიტერატურულის ენით და არა მხოლოდ ადგილობრივის კილოს მიხედვით, იმ კილოთი, რომელიც მიღებულია მხოლოდ სამშობლო მკვიდრთა რომელსამე ნაწილში. ამოცანა ანუ დანიშნულება თვით პირველდასაწყისის სახალხო სკოლებისა იმაში მდგომარეობს, რომ გააცნოს მოწაფეებს საზოგადო სამწიგნობრო ლიტერატურული ენა, რომლის შემწეობით მოწაფისათვის ადვილი მისაწვდენი შეიქნება ის სულიერი საუნჯე, რომელიც დაცულია წინაპართაგან აღწერილს წიგნებში და ადვილად შესაგნებელი, რომ საზოგადო ლიტერატურული ენა, რომელიც წინ გაგვიშლის დიდებულს სამშობლო ქვეყანას, ეკუთვნის მთელს ეროვნებას, რომელსაც საზოგადო ლიტერატურული ენა აერთებს და კერძო ადგილობრივი კილო კი აცალკევებს. ამ საკითხის შესახებ მოვიყვანთ აზრს ერთის ცნობილის ნემცების პედაგოგისას: „Литературный язык обладает предметными наречиями одним несомненным преимуществом — правом победителя; они должны уступить властителю, и хотя целыя столетия пройдут, быть может, прежде чем они совсем исчезнут, тем не менее несомненно, что они медленно близятся к гибели. И это право — высокое, нравственное право, так как завоевано на пользу духовного просвещения и силою просвещения“.

ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ ნაცვალსახელი „თავისი“ უკანონოდ არის ხმარებული „კატის ჭკუა-გონებაში“. მოვიყვანთ ამის დამამტკიცებელს მაგალითს: „კატა მზათ /დ/ არის თავის /ი/ ძუძუ ლეკვებს აწოვოს“, „ერთს კაცს თავის /ი/ საყვარელი გულწითელა დაეკარგა, დაიჭირა და სიხარულით მიუყვანა თავის /ს/ პატრონს /მიცემ. ბრუნვა/ როგორც თავის /ი/ საკუთრება“.

წერილი „კოლო“ ვერ იმოქმედებს მკითხველებზე სასურველად. ამ წერილიდგან ძალიან ძნელია ბავშვმა გაიგოს რამე შეგნებულად კოლოს შესახებ. ჩვენ აგრეთვე მივაქცევთ ყურადღებას კილოს წერისას, როცა კოლო კვერცხებიდან დაწყებული, ვიდრე ნასახ კოლოდ გახდებოდეს, დაიწყებს ლაპარაკს თავის თავგადასავლის შესახებ. ასეთი კილო წერისა საპედაგოგიო მწერლობაში ხშირად შემოღებულია, ხშირად უსულო საგნებიც კი გააბმენ ხოლმე საუბარს; ეს ყველა ხდება იმის გამო, რომ სასწავლო საგანს ცოტათ თუ ბევრად სიცოცხლე მიეცეს. სასწავლო საგანს, რომელიც თვალსაჩინოდ უნდა იქნას შესწავლილი. ეს ყველა კარგი, მაგრამ როცა საბავშვო მწერალი დააწყებინებს კვერცხში ნასახს კოლოს ლაპარაკს, ეს არის მკითხველების შეცდომაში შეყვანა, მტკნარი სიცრუე, რომელსაც არავითარის სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან მკითხველისათვის. კოლოს უსურათობა დიდს ნაკლულევანებას აძლევს. ამისთანა წერილები უსათუოდ დასურათებული უნდა იყოს. ამგვარსავე წერილს „Комарь“-ს ტაშენბერგისას ათი სურათი აქვს ჩატანებული, რომლის შემწეობით მკითხველები თვალსაჩინოდ გაიცნობენ კოლოს გაჩენისა და ზრდის ამბებს. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ წერილი „კოლო“ უდროვოდ როს არის დასტამბული, იმ დროს, როცა კოლოს ხსენებაც არ არის, არა თუ თვით კოლო, რომ დაკვირვებოდა ბავშვი იმის კითხვის დროს.

საბოტანიკო წერილებში ავტორი მოუთხრობს მკითხველებს ენკინარის ამბავს /Dispacis /. ღირსება წერილისა ის არის, რომ ხსენებული მცენარე ჩვენს ქვეყანაშიაც მოიპოვება, მაშასადამე, წერილის ავტორს საგნად აუღია გააცნოს მკითხველებს ჩვენებური მცენარე. ნაკლულევანება კი თვით მცენარის ახსნა-განმარტებაშია. ამ წერილში შეხვდებით ასეთს ადგილებს: „ენკინარს ისეთი ხერხი უხმარია, რომ ვერც ერთი მავნე /?/ მწერი ვერ მიაღწევს მის ყვავილს, ვერას აკენკავს /?/ მისგან“. „მწერი ვერ აკენკავსო“, ნეტავი სად ამბობენ ასე! ჩავყვეთ ქვევით: „ფოთლები ენკინარს უსხედს /?/ ერთი მეორის პირდაპირ, ყუნწები ამ ფოთლებისა მოკლევბია /?/, განივრები, ერთმანეთთან შეხორცებული და ისე სხედს /?/ ეს წყვილ-წყვილი ფო-

თოლი, რომ ენკინარს ყველა მუხლთან პატარ-პატარა ფიალასაებრ ორმოები აქვს დაკეთებული“. ეს „ყუნწები მოკლეები და განივრები“ ხომ ახალმოდური გრამატიკული ფორმაა, პირდაპირ რუსულიდგან გადმოღებული.

დანარჩენ მასალას, რომელიც დასტამბულია „ჯეჯილის“ მეთერთმეტე ნომერში, არა უშავსრა; საზოგადოდ კი ეს ნომერი „ჯეჯილისა“ სუსტია და ზოგიერთი მასალა სრულიადაც რომ არ დასტამბულიყო „ჯეჯილის“ მკითხველებს არა დააკლდებოდათ-რა, რადგანაც მათგან ვერც-კი შეიძენენ რასმე საჭირო და საგულისხმიეროს.

* * *

ყველა ჟურნალ-გაზეთის გამომცემლები იმას ცდილობენ, რომ წლის დასასრულს, უკანასკნელი ნომრები ჟურნალ-გაზეთების შექმნის დაგვარად საინტერესო და უნაკლო იქმნას, რომ მოიპოვოს მკითხველთა შორის სასურველი ბაზარი. რეკლამა ეს, თუ სხვა გარემოება, ამის განმარტებას ჩვენ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ საზოგადო მოვლენით ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციაც სარგებლობს, როგორც სჩანს ხსენებულის ჟურნალის მეორემეტე წიგნიდგან. ამ წიგნში მოქცეულია დროის შესაფერისი მოთხრობები, რომელსაც შეუძლიან ცოტად თუ ბევრად აღუძრას „ჯეჯილის“ მკითხველებს გრძნობა მოყვარის სიბრაღულისა და სიყვარულისა. ამისთანა მოთხრობებს ეკუთვნის „შაქროს სიზმარი“ და „ორი მეგობარი“. შინაარსი ამ ორის მოთხრობისა თითქმის ერთიდაიგივეა, ასე რომ მკითხველი იფიქრებდა, ვითომ ერთის მოთხრობის გავლენით იყოს მეორე დაწერილი, მაგრამ ამ ორს მოთხრობაში განსხვავებაც დიდია. უმთავრესი გმირი „ორი მეგობარი“-სა ვახტანგი ჩვეულებრივი ბავშვია, ისეთი ბავშვი, როგორსაც ითხოვს ბავშვის აგებულება, მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა და ამიტომ ეს მოთხრობაც უფრო ბუნებრივია და ბავშვების ცხოვრებასთან დაახლოვებული. მეორე მოთხრობაში – „შაქროს სიზმარში“ დახატულია უფრო იდეალური ტიპი ბავშვისა, ვიდრე ბუნებრივი. ამ ტიპის წარმომადგენელი ბავშვი სრულიად მორჩილია უფროსებისა, უკლებლად აღმასრულებელი სკოლის წესდებისა. ასე რომ, შაქროს „რაც უნდა კარგი /?/ ქართული ან რუსული წიგნი ენახა, ის უეჭველად მასწავლებლის ნებართვით /?/ იყიდდა“ და სხვ... თუმცაღა ავტორის მიერ დახატული ტიპი ბავშვისა ცხოვრებაში იშვიათია, მაგრამ ხსე-

ნებულს მოთხრობას შეუძლიან დააფიქროს მკითხველები და აღუძრას კეთილი გრძნობანი. თვითონ სიზმარი შაქროსი პსიხოლოგიურად წარმოადგენს სწორესა და სამართლიანს მოვლენას. სკოლის შეგირდები ხსენებულის სიზმრის საშუალებით გაიმეორებენ ბევრს ცნობებს საღმრთო წერილიდგანაც.

ამ ორ მოთხრობას გარდა „ჯეჯილის“ უკანასკნელ მეთორმეტე ნომერში დასტამბულია კიდევ ორი ნათარგმნი მოთხრობა: „ფული არ არის ბედნიერება“ და „წყარო“ /სომხურიდგან/. პირველის მოთხრობის აზრია გააცნოს, დაანახვოს პატარა მკითხველებს ცხოვრებიდგან აღებული მაგალითებით, რომ ბედნიერება ადამიანისა სიმდიდრე კი არაა, არამედ ჯანსაღობაა. ამ სამართლიან აზრს ბავშვი ადვილად შეითვისებს ხსენებულის მოთხრობიდან, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ის უტყუარი ტეშმარიტება, რომ ადამიანის ბედნიერებას მარტო ჯანის სისაღე არ შეადგენს. ებრაელების მეფე სოლომონ ბრძენი ჯანის სისაღის მომდურავე არ იყო, მაგრამ თავისის მეფობის დასასრულს თავალებულმა ცხოვრებამ და სინდისის ქეჯნამ სამართლიანად ათქმევინა ერთს თავის წიგნში, რომ არც სიმდიდრე და არც სახელი ბედნიერებას არ შეადგენს კაცისათვისო. ბედნიერება მხოლოდ სინდისის სიმშვიდეში მდგომარეობსო. ამნაირად ადამიანისათვის ბედნიერებას შეადგენს, როგორც ჯანის სიმრთელე, აგრეთვე – სულის, სინდისის სიმშვიდეც, როგორც სამართლიანად შენიშნა ბრძენმა მეფემ. ამ უკანასკნელის აზრის გატარებით ხსენებულს მოთხრობაში მკითხველები უეჭველად შეიძენდნენ სამართლიანს შეხედულობას და მტკიცე აზრს იმის შესახებ, თუ რა შეადგენს ბედნიერებას ყოველის კაცურის კაცისათვის.

„წყაროს“ ის დედააზრი აქვს, თუ რა ცუდი შედეგი მოელის ისეთს ადამიანს, რომელიც წურბელაობს, სხვისის დახმარებით თვითონ მდიდრდება და გაჭირვებულს ერთს წვეთს წყალსაც არ აწვდის. ენა თარგმნისა სუსტობს. მოკლე შინაარსი ხსენებულის მოთხრობისა ეს არის: სომხები მტერს გაექცევიან და დასახლდებიან ისეთს ადგილას, სადაც წყლის სახსენებელიც არ მოიპოვება. ერთი მათგანი – ჰაგა, გამოცდილი და შორსგამჭვრეტი კაცი, მიჰყობს ხელს ტის თხრას. ამ საქმეში მეზობლებიც მიეშველებიან და მალე კარგს წყაროს აღმოაჩენენ, მაგრამ ჰაგა მეზობლებს მუქთად წყალს არ ანებებს, პირიქით, წყლის გამო ჰაგა თავის მეზობლებს ყურმოჭრილ ყმად გაიხდის. იგი მხიარულობს სხვისის მწუხარებით, მაგრამ კარგი ბოლო არც ჰაგას მოელის. ერთხელ, როცა ჰაგას ეზოს რკინის კარები მაგრად ჩაკე-

ტილი იყო, მოვიდა კოკისპირული წვიმა, აივსო წყლით ეზო, შევიდა წყალი სახლში და დაარჩო ჰაგა თავის ოჯახობით. აქედგან გამოდის შემდეგი ზნეობრივი მოძღვრება: შენი სიმდიდრე სხვებსაც უნდა გაუზიარო, რომ ბოლო კეთილად მოგელოს. ამ აზრის წინააღმდეგ ჩვენ არაფერს ვიტყვით. რასაკვირველია, ყველა მდიდარი ვალდებულია არასოდეს არ ივიწყებდეს გაჭირვებულს მოყვასს და ჰშველოდეს ღარიბ-ღატაკებს როგორ და რითაც შეუძლიან. მოთხრობაში არ არის მოყვანილი პასუხი შემდეგს საჭირო კითხვაზე, რომელიც უნებლიედ დაებადება ყველა მკითხველს ხსენებულის მოთხრობისას. რად გაუბდნენ მეზობლები ყურმოჭრილ ყმებად ჰაგას და თვითონვე ვერ გამოსძებნეს ისეთი წყარო, როგორიც ჰაგამ აღმოაჩინა თავდაპირველად? ჰაგა წურბელაა, რომელიც დაურიდებლად სწოვს სისხლს თავისს მეზობლებს, მაგრამ მეზობლებიც არ უნდა იყვნენ ისეთი ცხვრები, რომ თავისთავად არ იღონონ რამე და ისე დაებრიყვნენ თავიანთ სისხლის მწოველს. შეიძლება „წყარომ“ შეიძლოს სასურველი გავლენის მოხდენა მოზრდილს მკითხველებზე და ამიტომ ამისთანა მოთხრობები დასტამბული უნდა იქმნას რომელსამე ჟურნალ-გაზეთში და არა საყმაწვილო ჟურნალში, რადგან ხსენებულს მოთხრობაში არის, სხვათა შორის, ისეთი ადგილებიც, რომელსაც შეუძლიან ძალიან ცუდად იმოქმედოს პატარა მკითხველებზე. ამ აზრის დასასაბუთებლად მოვიყვანთ ერთის ცნობილის პედაგოგის აზრს, რომელიც გაგვახსენა ამ მოთხრობამ, რომელსაც ქვემოთ მოყვანილი აზრი სრულიად შეეფერება. „Произведения, рисующая картины несчастий, бедствий, жизнь горя, безотрадность человеческого существования, разобьют душу читателя вообще, а тем более читателя маленького, у которого нет еще никаких разсудочных и опытных средств для борьбы с мыслями книги, который в книге видит всю и единственную правду. Горе ребенку, если он попадает на рассказы о жизни мрачной и свирепой, полной зависти, бешенства, злодейств“.

„ჯეკილის“ მეორე მხარეში დასტამბულია ორი ლექსი: „ტყის სურათი“ და „სოლოღას ლექსი“. პირველი ლექსი გაგრძელებაა იმ „ტყის სურათისა“, რომელიც დასტამბული იყო „ჯეკილის“ მეათე წიგნში, რომლის გარჩევის დროს ერთს ადგილას შეცდომით არის ნახმარი სიტყვა „ზამთრის ტყის“ მაგივრად. ეს ლექსიც შინაარსის მხრივ კარგია და საბავშვო ჟურნალებისთვისაც შესაფერისი. ერთს ადგილას ამ ლექსში დარღვეულია მუსიკალური მხარე ლექსისა, მაგ.:

„შვილებს გულს როგორ ააცლის,
დაუგინგლავებს, ტვლიპებს,
ან როგორ ანდობს მათ ბავშვებს
თუნდა ჩხართვებს, გინდა ჩხიკვებს.“ /? /

უკანასკნელ სტრიქონში ერთი მარცვალი მეტია. საზოგადოდ კი მეთორმეტე ნომერს ჟურნალ „ჯეჯილისას“ თუმცაღა ერთფერობა ეტყობა მასალის მხრივ, მაგრამ მაინც სიამოვნებით წაიკითხავდნენ პატარა მკითხველები წარსულს უქმეებში. აღსანიშნავია აგრეთვე სურათების სიმცირეც მეთორმეტე ნომერში.

ამით ვათავებთ ჩვენს საუბარს ჟურნალ „ჯეჯილის“ გამო. საჭიროდ მიგვაჩნია, ორიოდ სიტყვით გადავცეთ მკითხველებს ის საზოგადო მოქმედება, რომელიც მოახდინა ჩვენზედ ხსენებულის ჟურნალის წარსულის წლის ნომრების დაწვრილებით განხილვამ. საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ თავისის აზრის მიხედვით შეგვიძლიან ჩავთვალოთ სუსტ გამოცემად. რასაკვირველია, უნაკლოდ გამოცემა რომელსამე დროგამოშვებითის ჟურნალ-გაზეთისა და მით უფრო საყმაწვილო ჟურნალისა ძნელია, ისიც ჩვენს დროში, როცა ჩვენი საზოგადოება ნათლის თვალთ ვერ შესჩვევია საბავშვო მწერლობას; მაგრამ, ჩვენის აზრით, დიდის მადლობის ღირსია „ჯეჯილის“ რედაქცია, რომელიც მეათე წელიწადია დაულალავად იღწვის ახალთაობის, ამ ერის მომავალი იმედის სასარგებლოდ. ჩვენ ვიცით ბევრი რუსული საბავშვო ჟურნალი, რომლებიც „ჯეჯილზე“ უფრო სუსტ გამოცემად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამისდა მიუხედავად „ჯეჯილის“ გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია რედაქცია მოიწვევდეს ჟურნალში თანამშრომლად არა ყველას, ვისაც მხოლოდ ანბანი უსწავლია და ორი-სამი ლექსიც გამოუცხვია, არამედ სინამდვილის ნიჭიერს გამოცდილს მწერლებს, რომელთა რიცხვი, როგორც დავრწმუნდით, საკმაოა ჩვენში. რედაქციაში შეგროვილის მასალისაგან ჟურნალის შესადგენად და მასალის რიგზე დასალაგებლად საჭიროა სარედაქციო წრე განსაკუთრებით პედაგოგებისა, რომელსაც კარგად უნდა ესმოდეს, რომელსამე მოთხრობას, ლექსს თუ სხვა მასალას რა გავლენა შეუძლია მოახდინოს მკითხველებზედ. რადგანაც საყმაწვილო ჟურნალებს სხვა და სხვა წლოვანების მკითხველები ჰყვანან, ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ სათაურში მოეხსენებინათ, თუ რომელი სტატია ანუ ლექსი რომელ წლოვანების, ასაკის მკითხველისათვის არის შესაფერისი. ამით რედაქცია საშუალებას მისცემს მშობლებსაც წააკითხონ თავიანთ შვილებს ასაკის

შესაფერისი მასალა. სარედაქციო წრეს შეუძლიან არჩევით დასტამბოს მასალა ჟურნალში. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ იმისი, რომ დროგამოშვებით „ჯეჯილში“ ნათარგმნი მასალაც იბეჭდებოდეს, მაგრამ უმთავრესი ადგილი აუცილებლად ადგილობრივს ელემენტს უნდა ეჭიროს. უცხო ენის მასალიდგან შეიძლება იბეჭდებოდეს ისეთი მასალა, რომელსაც აქვს საზოგადო, საკაცობრიო მნიშვნელობა და არა ისეთი, როგორიც იყო მაგ. „პატარა პუმის თავგადასავალი“, დასტამბული წარსულის წლის „ჯეჯილის“ ერთს ნომერში. ადგილობრივი ელემენტი, რომელიც შედგება სამშობლო ქვეყნის გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ და ისტორიულ აღწერილობითა და მოგზაურობით, გააფართოვებს ჟურნალის პროგრამასაც.

რასაკვირველია, ყველა დროგამოშვებითის გამოცემის არსებობა დამოკიდებულია საზოგადოების იმ თანაგრძნობისაგან, რომელსაც იჩენენ ჟურნალის დაბარებით და ჟურნალზედ ხელისმომწერით, რადგან ეს შეადგენს უპირველეს სახსარს და უმთავრესს საშუალებას ჟურნალ-გაზეთის არსებობისას და ნაყოფიერად წარმოებისას. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს საჭირო ცნობები თუ რამდენად დაიმსახურა ქართველ საზოგადოების ყურადღება ამ ერთადერთმა საყმაწვილო ჟურნალმა ჩვენში; ვიცით მხოლოდ, რომ ჟურნალი „ჯეჯილი“ წინათ გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ. ამ რამდენისამე წლის განმავლობაში გამოდის ყოველთვიურად. ამას გარდა, შარშანდელ ხელისმომწერლებს, რედაქცია „ნობათსაც“ ჰპირდებოდა. ყოველი ეს საბუთს გვაძლევს, რომ ცოტად თუ ბევრად თანაგრძნობა საზოგადოებისა საყმაწვილო ჟურნალის მიმართ თანდათან ჰმატულობს, მაშასადამე, ეს თუ ასეა „ჯეჯილს“ ჯერჯერობით უკვე გამოუტანია მოსალოდნელი ნაყოფი, რომელიც იმედია მომავალში უკეთ აღორძინდება და დამწიფდება თუ კი რედაქცია „ჯეჯილისა“, მკითხველები და ღირსეული თანამშრომლები ისე მოექცევიან ამ ჟურნალს, როგორც საზოგადო საკუთრებას და არა კერძო კაცის კუთვნილებას. ამის შემდეგ, ჩვენ იძულებული ვართ სხვა და სხვა გარემოების გამო ჯერჯერობით შევწყვიტოთ ჟურნალ „ჯეჯილის“ შესახებ წერა. ჩვენი სურვილი და უმთავრესი აზრი იყო მიგვეცია ჩვენის საზოგადოების ყურადღება ისეთის საჭირო საქმისათვის, როგორიც არის საბავშვო მწერლობა. თუ ცოტად მაინც მივალწიეთ ამ აზრს, ისიც სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს.

ქართული საღამო კავკაზში

27 დეკემბერს, შობის მესამე დღეს, კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ, ბ-ნ ალექსანდრე პეტრეს ძის სარაჯიშვილის თაოსნობით, მეცადინეობითა და მხნეობით გამართული იქმნა ქართული საღამო, რომელსაც დაესწრო აუარებელი ხალხი ადგილობრივის საზოგადოებისა, წოდებისა და ეროვნებისა განურჩევლად. საღამო იქმნა გამართული სკოლის შენობაში, სადაც ერთი სრული დარბაზი დანიშნული იყო მოცეკვავეთათვის, ხოლო მეორეში გამოფენილი იყო სხვა და სხვა ნივთები, საბაზრო. იქვე იდგა დიდი ფეტვით სავსე კასრი, რომელშიაც არეული იყო სხვა და სხვა ნივთები სხვა და სხვა ფასისა. მსურველს შეეძლო გადაეხადა აბაზი და ამოეღო ბოჭკიდგან ნივთი, რომელიც ერგებოდა. ნივთები ნახევარის საათის განმავლობაში სულ დაიყიდა, ასე რომ, ბევრი მსურველი აღმოჩნდა შემდეგაც ეყიდნათ, მაგრამ ნივთები გაყიდული აღმოჩნდა. იქვე, სადაც ბაზრობა იყო გამართული, მოწყობილი იყო ჩაისის სასმელი, რომელსაც განაგებდნენ: ქ-ნი თამარი იოსების ასული გაბაშვილი, ანნა ალექსანდრეს ასული როგოვსკაია და დარია ილარიონის ასული ბაქრაძე, მეორე ოთახში გამართული იყო საუბმე, სადაც დიასახლისობდა თვითონ მეუღლე ალექსანდრე სარაჯიშვილისა, პატივცემული სოფიო იოსების ასული. ვრცელს დერეფანში გამართული იყო ბალი დეკორატიულის მცენარეებით, რომელიც სასიამოვნო სანახავი იყო. საღამომედ უკრავდა სამხედრო მუსიკა და საზანდარი. საზოგადოდ საღამომ მხიარულად ჩაიარა და შემოსავალიც წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი იყო, რაც უნდა მიეწეროს გონიერს გამგეობას და კარგს თავოსნობას ალექსანდრე პეტრეს ძის სარაჯიშვილისას.

პასუხად ბ-ნს ივ. გომართელს

(მისი შურნ. „ჯეჯილის“ გარჩევის გამო)⁵

„Беда коль пироги начнет печь сапожник,
А сапоги точать пирожник.“

კრილოვი

რუსების ცნობილმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ სამართლიანად აღნიშნა ერთი უტყუარი ფაქტი: „რომ ვისმე ჰკითხო რჩევა ხიდის, ან სახლის აშენების შესახებ – გეტყვის, მე არც ინჟინერი ვარ და არც ხუროთმოძღვარიო; მაგრამ თუ იმავე კითხვით მიჰმართავთ ვისმე ავადმყოფობის ანუ შვილის აღზრდის გამო, უეჭველად მიიღებთ აუარებელს რჩევას, ამოკრეფილს თავისის ბებუის კარაბადინიდან“. ერთს ნიმუშს ამგვარის მოვლენისას, სხვათა შორის, ვხედავთ ბ-ნ გომართელშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძნელი იქნება ისეთი საკითხი, რომლის გამოც ბ-ნმა გომართელმა არ გააბას ბაასი. ახლა პედაგოგიასაც შეებლაუჭა და ცდილობს დაანახვოს „კვალის“ მკითხველებს შეუძლებლობა და უხერხულობა იმ პედაგოგიურის აზრებისა, რომელიც ჩვენ წარმოვთქვით „ივერიაში“ სხვადასხვა დროს, საყმაწვილო შურნალ „ჯეჯილის“ გარჩევისას.

ვინ არ იცის, რომ მოკლე ბიბლიოგრაფიულ წერილებში ძნელია წარმოთქმა ყოველის მხრივ დასაბუთებულის, აწონ-დაწონილის აზრებისა რომელისაზე რთული საკითხის შესახებ, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობდით შეძლებისდაგვარად გაგვეტარებინა დასაბუთებული აზრებიც და ამიტომ გვგონია, რომ ყველა წამკითხველი ჩვენის წერილებისა ისეთს დასკვნას ვერ გამოიტანდა იქიდან, როგორც გამოუტანია ბ-ნს გომართელს, რომელმაც თავისი აზრი, ჩემი წერილების გამო, მიძღვნა „კვალის“ ფურცლებზედ. ამის მიუხედავად ბ-ნმა გომართელმა მაინც ვერ დაარღვია საბუთიანად ჩვენი აზრები ბავშვების აღზრდის შესახებ, რასაც ქვემოთ დავინახავთ. მე მსურს

5. ეს წერილი „კვალს“ გაუფგავნენ, მაგრამ ამ გაზეთის რედაქციამ არ ინება მისი სრულად დაბეჭდვა.

ავტორი

ამ წერილში გავარჩიო ბ-ნ გომართელის შეხედულება ბავშვების აღზრდის საქმეში.

შარშან ჟურნალ „ჯეჯილის“ პირველი ნომრის გარჩევის დროს ჩვენ შევნიშნეთ, რომ იმისთანა სცენებს, რომელსაც შეუძლია ზნეობრივად ცუდად იმოქმედოს ბავშვზე, უნდა მოარიდონ ბავშვი-მეთქი. ეს აზრი წარმოგვათქმევინა ქ-ნ ეკ. გაბაშვილის მოთხრობამ, რომელშიაც ერთ ადგილას შევნიშნეთ, რომ მედუქნე ატყუებდა მყიდველს. ეს სცენა მოთხრობაში ისეა გატარებული, თითქოს ეს ჩვეულებრივი მოვლენა სრულიად გასაკიცხი არ იყოს, ან დასაძრახისი. ბავშვს თავის თავად კრიტიკულად აწონ-დაწონა ფაქტისა არ შეუძლია, რომ შეეძლოს, მაშინაც ვინ იცის, რა გზას დაადგება, – განა მედუქნე, რომელიც ატყუებს მყიდველებს, იმას არ ფიქრობს, რომ კარგს საქმეს სჩადის, რადგანაც ამ მოტყუებას მისთვის სარგებლობა მოაქვს! ამიტომ ვამბობდით, ნუ უჩვენებთ ბავშვებს ისეთ მაგალითს, რომელსაც შეუძლია ცუდად იმოქმედოს იმაზე. თუ საყმაწვილო მწერლობაში, რომელსამე მოთხრობასა ანუ ლექსში გატარებული იქნება უზნეობაც, ცხოვრების ცუდი მხარეც, რომელიც ბავშვს ცხოვრებაში უკვე გამოუცდია, მაგრამ გატარებული იქნება ხელოვნურად, რომ ბავშვს ადვილად შეეძლება თავისთავად კარგისა და ავის გამოცნობა, რასაკვირველია, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვყოფილვართ და არც ვართ. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ – „ივერიდგან“ ჩვენ სიტყვებს; მაგალითად, პირველის ლექსის „მერცხლის“ გარჩევის დროს, რომელშიაც უზნეობაც არის დახატული – მერცხლების წვალება, რომელიც ყველა ბავშვს გამოუცდია. ჩვენ ვწერდით: „ჩვენი ბავშვები სიამოვნებით წაიკითხავენ ამ ლექსს და განიმსჭვალებიან იმ გრძნობით, თუ რა ცუდია, როცა რომელსამე ცხოველს თუ ფრინველს აწვალებენ პატარა ცელქი ბავშვები“ /„ივერია“, №54, 1898 წ./. ამასვე ვამბობდი მოთხრობის „ობობას“ შესახებაც, რომელშიაც მოსისხლეობაა აღწერილი, მაგრამ ბოროტება ბოლოს ისჯება და სხვა. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ საყმაწვილო მწერლობაში შესაძლებელია იხატებოდეს ცხოვრების ზოგიერთი ცუდი მხარეც, მაგრამ დიდის სიფრთხილით, წლოვანების შესაფერისად.

რაც შეეხება პატარა მკითხველებს, იმათთვის ჩვენ ყოველთვის უპირატესობას მივცემთ ისეთ მასალას, რომელიც იძლევა კარგ მაგალითებს, ვიდრე ცუდს. მართალია, ამ საკითხის შესახებ სულ სხვადასხვანაირი აზრი არსებობს, მაგრამ ჩვენ ყველაზე უფრო საბუთიანად მიგვაჩნია ის აზრი, რომელიც დამყარებულია ბავშვის

პსიხო-ფიზიოლოგიაზედ. პატარა ბავშვები ათი-თერთმეტის წლისა-ნიც და შემდეგშიაც, შესანიშნავად იჩენენ მიმბაძველობას, რომელიც შეადგენს ქვაკუთხედს, უპირველესს საშუალებას ბავშვებზედ ზნეობრივად გავლენისათვის. როდესაც ბავშვს /თუ გინდ მიმბაძველობით/ აჩვენებ კარგად ქცევას, ეს იმას ნიშნავს, რომ აჩვენებ კარგად ფიქრს; რასაკვირველია, თუ ბავშვის გონების განვითარება ჰარმონიულად წარმოებს. ცუდის საქციელის დახატვით ფიქრობენ აღძრან ბავშვში სიძულვილი ყველა ცუდისა და ბიწიერებისა და განავითარონ მისწრაფება და სიყვარული სათნოებისა. ამნაირად, ზოგიერთების აზრით, ცუდი სცენები მისთვის არის საჭირო, რომ ბავშვმა ბოროტი შეიძლოს და კარგი შეიყვაროს. ბ-ნი გომართელის აზრით კი „აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი ის უნდა იყოს, რომ ბავშვს კრიტიკული აზროვნება განუვითაროს, კარგიც გააცნოს, გლახაც, კრიტიკულად აწონ-დაწონოს, ცალმხრივობაც ააცილოს და მართო მის რწმენაზე არ იმოქმედოს“ /„კვალი“, №14/.

ეს აზრი, იმას გარდა, რომ სრულიად უსაფუძვლოა, ამასთანავე ძნელად შესასრულებელია, ისიც საყმაწვილო ჟურნალის შემწეობით. პატარა ბავშვებში, როგორც ზემოთა ვთქვით, ჩვენ ვხედავთ მიმბაძველობას, რომელსაც სრულიად არ აქვს განსაზღვრული მიმართულება. ბავშვისათვის ერთნაირად გადამდებია როგორც კარგი, აგრეთვე ცუდი მაგალითიც; პირიქით, ცუდი უფრო გადამდებია, ვიდრე კარგი. ბუნებრივი ზიზღი ცუდისა ბავშვს არ აქვს, არ აქვს აგრეთვე არც აზრი ცუდის შესახებ და თუ ამისთანა აზრი ბავშვს დაეებადება, ყოველ შემთხვევაში მოკლებული იქნება კრიტიკულ აზრს, რომელიც საჭიროა კარგისა და ცუდის გასარჩევად. კრიტიკული აზრიც რომ ჰქონდეს, მაშინაც ყოველ შემთხვევაში საეჭვოა, რომ ზნეობრივი ნება იმდენად ხელს უწყობდეს, რომ შეგნებულად მოიქცეს ეკლიანს გზაზედ კეთილსა და ბოროტს შორის. ბავშვს აქვს გრძნობა. ეს არის ერთადერთი ხელმძღვანელი სიმპატია-ანტიპათიის გამოსაცნობად. გაატარეთ კეთილი აზრები მოსაწყენსა, მაგრამ საზნეობრივო მოთხრობებში, შენიშნავთ, რომ ბავშვი გულს აიცრუებს კითხვაზედ და წიგნსაც უკუაგდება; მაგრამ მოაქციეთ ბოროტება, სიძულვილი და სხვა ბიწიერებანი გრძნობით ლამაზად დახატულ სურათებში და შენიშნავთ, როგორ შეიყვარებს, იმისდა მიუხედავად, რომ ის ბოროტებაა. მაშასადამე, თავდაპირველადვე ბავშვზედ შეიძლება ზნეობრივი გავლენა ვიქონიოთ მისი გრძნობის საშუალებით.

რადგანაც კრიტიკულად აწონ-დაწონვა რომელიმე ფაქტისა ბავშვს შეეძლება მხოლოდ უფროსის ხელმძღვანელობით, საყმაწვილო ჟურნალი ყველაზე უფრო უნდა იპყრობდეს ისეთ მასალას, რომლის წაკითხვა და წაკითხულის შეგნება ბავშვს თავისთავად არ გაუძნელდება. ამ აზრს ჩვენ უკეთ წარმოვიდგენთ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, როგორს გავლენას ახდენს წიგნის კითხვა ერთის მხრივ მოზრდილ, უკვე მომწიფებულს მკითხველზე და მეორეს მხრივ პატარა ბავშვზე, რომელსაც წერა-კითხვა შეუსწავლია და წიგნების კითხვისათვის მიუყვია ხელი. ყველა ხელოვნური ნაწარმოები აღძრავს მოზრდილის სულში ცნობილს გრძნობებს, გამოიწვევს მკითხველში ან კმაყოფილების და ან უკმარისობის გრძნობას მოქმედების მიხედვით. მეორეს მხრივ იმავე ხელოვნურ ნაწარმოების კითხვას გავლენა აქვს მკითხველის ჭკუა-გონებაზე, წარმოდგენილებათა აღძვრასა და მცნებების შედგენაზე. მკითხველს შეუძლიან თავისი აზრი, შეხედულება, შეუერთოს წიგნში გამოთქმულ აზრს ან გამოიცვალოს, გარდაქმნას თავისი შეხედულება ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. რამდენადაც უფრო განვითარებულის ჭკუა-გონების პატრონია მკითხველი, იმდენად მეტ კმაყოფილებას პოულობს იგი საკითხავ წიგნის განყენებულ სფეროში, დასკვნაში და სხვ. მისთვის წიგნი შემამოწმებელია იმ გრძნობებისა, რომელსაც დიდის ხნის განმავლობაში თავი მოუყრია, დაუბუნია მოზრდილის მკითხველის სულში, გონებაში.

სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს განუვითარებელი გონება ბავშვისა, რომელიც ცხოვრობს გრძნობითის შთაბეჭდილებებით; გრძნობა ბავშვში სჭარბობს გონებასაც და ნებასაც. აქედგან ცხადად სჩანს, მოზრდილი მკითხველი იღებს წიგნების კითხვიდგან შთაბეჭდილებას გრძნობითაც და გონებითაც ნებასთან შეერთებულად, რომელიც უკვე მოწიფული აქვს. ბავშვს კი არა აქვს შესაფერისი და საჭირო განყენებული ცნებები. იგი წიგნის შთაბეჭდილებას იღებს რწმენით, პირველ რიგზე ბავშვს გრძნობა აქვს, რომლის საშუალებით შეიძლება ვიმოქმედოთ გონებაზედაც. ამასთან სხვა ბევრი პსიქოლოგიური გარემოებაც რომ მივიღოთ მხედველობაში, იმ უტყუარ დასკვნას დავადგებით, რომ საბავშვო ლიტერატურა ბევრად განსხვავებული უნდა იყოს მოზრდილთა ლიტერატურისაგან. ის აზრი, რომ ლიტერატურა სარკეა ცხოვრებისა და ის ვალდებულია ხატოს ავიც და კარგიცო, სავსებით ეკუთვნის დიდების ლიტერატურას, საყმაწვილო მწერლობას კი არ შეუძლია ეს ვალდებულება მთლიანად იკისროს და სინამდვილით შეასრულოს იგი.

ბ-ნის გომართელის აზრით: „ქვეყანაზე უზნეობაც ყოფილა, ბოროტებაც არის და კიდეც იქნება და ეს ბოროტება უნდა ჰხატოს საყმაწვილო მწერლობაში“. კაცობრიობას თანდაყოლილი აქვს აზრი კეთილისა და ბოროტის შესახებ, მაგრამ ჭეშმარიტის აღზრდის იდეალი იმაში მდგომარეობს, რომ ბოროტება თანდათან მოისპოს, მომავალი თაობა ბევრითა სჯობდეს ძველ თაობას, როგორც ზნეობრივად, ისე სხვაფრივადაც. ბოროტება ყოფილა და არის, მაგრამ ისე ძლიერი არ არის, როგორც ძველად ყოფილა. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენი ვნება მოუტანია კაცობრიობისათვის ბოროტების ცნებას; ზნეობრივ სიბოროტისა და კეთილის განსხვავებისაგან წარმოდგარან ბიწიერების კულტი, სიწამხდრის გმირები, სხვა და სხვა მაცდური ტიპები. ბოროტებას, როგორც დამოუკიდებელს ამაყს და დემონიურს ძალას, არ შეუძლია ყველა ადამიანში ზიზღი გამოიწვიოს. მხოლოდ ზოგიერთს დიდბუნებოვანს, ზნეობრივად აღზრდილს ბუნებას შეუძლიან იგრძნოს ბუნებრივი ზიზღი. ზოგი ადამიანი უმეტეს შემთხვევაში ბოროტებისაგან თავშესაფარს პოულობს ან ზნეობრივს მოვალეობაში ან სარწმუნოებაში, მაგრამ ძველს დროს არც სარწმუნოება რჩებოდა ხელუხლებლად ბიწიერებისაგან. ძველად ბოროტება, როგორც დამაქცეველი ძალა ბუნებისა, უნერგავდა ადამიანს კეთილ მოკრძალებობითს შიშს, მაგრამ როგორც უზნეო ძალა, გრძნობით მიმზიდველ ფორმებში გამოხატული, არა თუ იშორებდა – იზიდავდა კიდეც ადამიანს თავისკენ. ბავშვებს არავითარი თავშესაფარი არ მოეპოვებათ არც მოვალეობასა და არც სარწმუნოებაში და მით უმეტეს საჭიროა ავარიდოთ უზნეო სცენებსა და სურათებს. თუ ბიწიერების ხატვა აუცილებლად საჭიროა ბავშვის კანონიერად აღზრდისათვის, მაშინ აუცილებლად საჭირო უნდა იყოს ისიც, რომ რამდენადაც არ უნდა ზნეობრივად დაცემული იყოს გმირი, მის ბუნებაში მაინც სჩანდეს თუნდ სუსტი ზნეობრივი სიკეთე. მაშინ ავი ზნე, როგორც შემთხვევითი გარემოება, ჰკარგავს ძალას ზეგავლენისას. ქვეყნიერებისა და ბუნების სისტემატიურად გაცნობა, რასაკვირველია, საჭიროა და ფრიად საჭიროც ბავშობიდანვე, მაგრამ ადამიანის ბუნების გაცნობა ბავშვისათვის ყოვლის ღირსება-ნაკლულევანების მხრივ წარმოადგენს ორლესულ მახვილს, რომელმაც სარგებლობის მაგიერ შეიძლება უფრო მეტი ვნებაც მიაყენოს.

ვინც კი დაჰკვირვებია ბავშვების აღზრდას ოჯახსა და სკოლებში, შენიშნავდა, რომ ჩვენს ოჯახებში ბავშვის აღზრდა ბედზედ არის მიგდებული. მშობლები ან მცირე ყურადღებას აქცევენ ბავშვების კანო-

ნიერ ზნეობრივად აღზრდას, ან სრულიად არ აქცევენ ყურადღებას. ამის გამო ბავშვები ხშირად ვარდებიან არასასურველ ვითარებათა გავლენის ქვეშ და ითვისებენ ცუდს საქციელს, არა სასურველს ჩვეულებებს; ერთის სიტყვით, ბევრს ოჯახში ბავშვები მოკლებულნი არიან წმინდა ზნეობრივად გამასპეტაკებელ გავლენას. ამისთანა ბავშვი სასწავლებელშიც, ოჯახშიც, ქუჩაშიც ჰხედავს თავის ამხანაგებს, ისე აღზრდილს, როგორც თითონ, მეტი თუ არა, არა ნაკლების თვისებებით შემკულს. ვთქვათ, ამისთანა ბავშვს ჩაუვარდა ხელში კარგი მოთხრობა, რომელიც შინაარსით განირჩევა სკოლისა და ოჯახის ერთგვარის ცხოვრებისაგან, მაშინვე პატარა მკითხველში დაიბადება უკეთესი გრძნობები, რომელიც წაახალისებს. ბავშვის სულში გაჩნდება ბრწყინვალე აზრები, რომელიც მოითხოვს თანაგრძნობით მოპყრობას.

„გაცნობა ადამიანისა, რომელიც ნამდვილად არსებობს“, როგორც ბ-ნი გომართელი ბრძანებს, მოუხერხებელია არა თუ პატარებისათვის, არამედ 15-16 წლის ყმაწვილებისათვისაც. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთს 16 წლის ყმაწვილის აზრს, რომელსაც წაუკითხავს რუსების ცნობილი მწერლის დოსტოევსკის თხზულება: „არ შემიძლია არ ავწერო ის საშინელი გავლენა, რომელიც მოახდინა ჩემზე დოსტოევსკის კითხვამ. ამ დროს მოხდა მთელი არეულობა ჩემს ცხოვრებაში; თუ აქამდის ჩემი ბუნება იყო ცხადი, წმინდა და უშფოთველი, დოსტოევსკის კითხვის დროს ეს სანეტარო მდგომარეობა ამემღვრა. გამოვცადე რა წვალემა საწყლისა ხალხისა, გავიგე რა საშინელი საიდუმლოება ცხოვრებისა, მე თვითონ შევიქენ უბედური. დაკვარვე გონიერი შეხედულება ცხოვრებაზედ საზოგადოდ და ჩემსაზედ კერძოდ; საშინლად მეშინოდა ჩემის არსებობისა; დაუკვირდი ცხოვრებას ყოველის მხრივ და მომეჩვენა ბნელად მოცული, გაუგებარი, შევუდგე ჩემის არსებობის საგანს და მეჩვენა იგი არაფრად. რა კითხვები არ მივეცი ჩემს თავს ამ დროს! განსაკუთრებით მძიმე წუთში გამოვცადე. ღამლამობით, როდესაც გარშემორტყმულ ბუნებას ეძინა, მე ვრჩებოდი მარტო ჩემის ფიქრებით, ძალიან მეშინოდა. რაღაც წყვილიადით იყო მოცული ჩემს გარშემო და ჩემშიაც“/ იხ. რუსული ჟურნალი „образование“, №4, 1899 წ/. ამის მიხედვით ბ-ნი გომართელის აზრს, რომ 15-16 წლის ყმაწვილს ყველაფერი უნდა გავაცნოთ, ჩვენ ვერ ვაღიარებთ საზოგადო სახელმძღვანელო აზრად აღზრდის საქმეში. ცხოვრება გავაცნოთ ბავშვებს ამის წინააღმდეგი არა ვართ ჩვენ, როგორც ვთქვით, მაგრამ სრულიად არც საჭიროა

და არც სასარგებლო, რომ ბავშვების ყურადღება მივაპყროთ ავად-
მყოფს და ზნეობრივად გახრწნილს კაცებს, რომელიც ცხოვრებაში
ბლომად შეიძლება მოიპოვებოდეს. ცოდნა სიბილწისა ბავშვს არ გა-
უწევს ხელმძღვანელობას, არ მისცემს იდეალურს სახეს, რომელსაც
უნდა მიჰყვეს მკითხველი. ამისთანა მოთხრობები, რომელშიაც აღ-
წერილია ცხოვრების ცუდი მხარე, გამოიწვევს ბავშვებში უკეთესს კი
არა, უარესს სულის მოძრაობას. განა უგუნურება არ იქნება ვკვებით
ბავშვი დამპალის საჭმლით იმ აზრით, რომ გამოცდილებით გაიგოს
მან ვნება ამგვარის საჭმლისაო. სწორედ ამაზე უარესი უგუნურება
უნდა იყოს და მასთან უღვთობაც ასაზრდოვოთ ბავშვის სული ზნე-
ობრივის სიმყრალით, განძრახ გააცნოთ ბავშვს ცხოვრებაში შენიშ-
ნული სიმყრალე. ამ აზრის მიმდევარს აღმზრდელს ავიწყდება ერთი
პსიხოლოგიური კანონი, რომელიც ამბობს, ადამიანის სულში ძნე-
ლად გაივლის რამე, რომ შიგ კვალი არ დატოვოსო; როგორც ფი-
ზიკურს, ისე სულიერს ბუნებაშიაც არაფერი იკარგება. მოქმედებასა
და საქციელს ისეთი გავლენა აქვს ბავშვზედ, რომ ხშირად მონადა
ჰხდის მათ. თითქმის ფიქრიც კი რომელისამე საქციელის შესახებ შე-
ადგენს დასაწყისს იმავე საქციელისას. ყოვლის ფიქრის დროს, რო-
მელისამე ცუდის საქციელის გამო, ბავშვს ემატება შემთხვევა, რომ
ჩაიდენს იმავე საქციელს, თან და თან მზადდება და განსაცდელში
ვარდება. ამისთანა აზრებს დიდი გავლენა აქვს ბავშვის ხასიათის შე-
მუშავებაზედ.

ყველა ზნეობრივად აღმზრდელი ბავშვისა იმას უნდა სცდილობ-
დეს, რომ აღზარდოს მომავალი წევრი საზოგადოებისა. ამ შემთხვე-
ვაში აღმზრდელი ხელმძღვანელობს საუკუნისა და საზოგადოების
იდეალით. მასწავლებელი ანუ აღმზრდელი თავდაპირველად წარმო-
ადგენს მხატვარს, მოსწავლე კი მასალას, რომელსაც უნდა მისცეს
რამე ფორმა. აღმზრდელი ცდილობს თავისი აღზრდილი თითონ მას
დაემსგავსოს. რამდენადაც შესაძლებელია ეს, ამის შესახებ პასუხს
მომავალი მისცემს. წინდაწინ კი ძნელია ითქვას, რით იქნება ბავშვი
მოვალე თავისი აღმზრდელისა ზნეობრივად განვითარებაში, ან რა
უნდა მიეწეროს ბავშვის თვითმოქმედებას. ამის მიხედვით ჰედაგოგი
უკუაგდება ყველა მოსაზრებას და ცდილობს ჩაუხერგოს ბავშვს კა-
რგი ჩვეულებანი. რა იქნება მომავალში, არ ვიცით, მაგრამ ყოველ
შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ბავშვისაგან მომავალში
გამოვა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლება ზნეობრივი წესიერე-
ბის დაცვა. ამიტომ ვამბობდით ჩვენ, რომ „აღმზრდელმა ბავშვი უნდა

ააშოროს ისეთ სცენებს, რომელსაც შეუძლია ზნეობრივად ცუდად იმოქმედოს“. ბ-ნ გომართელს ეს აზრი არ მოსწონს. კაცია და გუნება!

ერთს ოჯახში რაღაც დანაშაულობისათვის ბავშვი დაუსჯიათ. ბ-ნ გომართელის კითხვაზედ ბავშვს ვერ მიუგია, თუ რისთვის გალახეს. ეს მაგალითი მოჰყავს ბ-ნს გომართელს საკუთარის დაკვირვებიდან და მოყვება ღალადის: „ამგვარი ბავშვი მეორედ იმას კი არ ეცდება, რომ თავისი ცუდი საქციელი აღარ გაიმეოროს, არამედ იმას, რომ ვეღარ გაუგონ /რა?/ ცუდ საქციელს კიდევ ჩაიდენს /იმავეს თუ სხვას?/, რადგანაც მისი სიცუდე არავინ გააგებია, ხოლო უფრო ფრთხილი იქნება /როდის? რაში?/. როდის მოგახსენეთ, ბ-ნო გომართელო, რომ ბავშვს ცუდის საქციელისათვის ნუ ამხელთ-მეთქი. ან რათ დაგჭირდათ ეს მაგალითი, რომელიც სრულიად უკავშიროდ ჩაგიწებებიათ თქვენს წერილში! ნეტავი რა დარიგებას მისცემდა ბ-ნი გომართელი იმ ბავშვის მშობლებს ამ საქმეში? ალბათ ეტყოდა, ჯერ აუხსენით, გააგებინეთ დანაშაული და შემდეგ სცემეთ, რომ იმისთანა საქციელი მეორედ არ გაიმეოროსო. კარგი დედა აზრია!!

* * *

ერთის იგავ-არაკის გარჩევის დროს, ჩვენ მოვიყვანეთ შინაარსი იგავ-არაკისა და შემდეგ დავსძინეთ: „ისეთის იგავ-არაკების კითხვით, რომლის მეოთხედი გაუგებარია პატარებისათვის, რადგანაც ბავშვები ჯეროვნად ვერ ახსნიან წაკითხულს, ადვილად შესაძლებელია, რომ რომელიმე გაქნილი და ვერაგი მოქმედი გმირი იგავ-არაკისა, სამაგალითოდ და მისაბაძად იქმნას პატარა მკითხველის მიერ აღიარებული“ /„ივერია“, №151, 1898 წ./. ამის გამო ბ-ნი გომართელი წერს: „იგავ-არაკი სატირაა და არა ადამიანის ღირსებათა დიფირამბებიო“. მერე რაო? განა არ შეიძლება ბავშვმა თანაგრძობა გამოიჩინოს იგავ-არაკის რომელიმე გმირის მიმართ, იმ ბავშვმა, რომელიც არა თუ მართო სულიერს, უსულო საგნებს – ქვებს და ყვავილებსაც კი თანაუგრძობს. ამიტომ იგავ-არაკი, კრილოვის იქნება თუ ლაფონტენისა, არჩევით უნდა მიაწოდონ პატარა მკითხველებს და არა განურჩევლად. ასე იქცევიან ყველა პირველდასაწყის სახელმძღვანელოს და ქრესტომატიის შემდგენლებიც; ბ-ნი გომართელი კი გვწამებს, ვითომ ჩვენ ყველა იგავ-არაკის მტერი ვიყოთ. საიდანაა სადაო! თუ ბავშვს იგავ-არაკში არ ესმის რა და ან ცოტა ესმის, იმას თავისთავად წასაკითხად არც ერთი გონიერი აღმზრდელი არ მისცემს,

რადგანაც ამისთანა მასალა, სხვათა შორის, დააჩვევს ბავშვს შეუგნებლად კითხვასაც.

სხვათა შორის „ჯეჯილის“ მეექვსე ნომერში ჩვენ დავიწუნეთ ერთი მოთხრობა: „რა გვიყო ჭიაკოკონამ“. ბ-ნი გომართელი ცდილობს გაგვამტყუნოს, დაანახვოს მკითხველებს ღირსება ამ მოთხრობისა. ამისათვის მოთხრობიდგან გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: „მიუხედავად მრავალის დაბრკოლებისა ბავშვებმა თავის მიზანს მიაღწიეს“. შემდეგ განაგრძობს: „ამგვარი მაგალითებით შეგიძლიათ ჩააგონოთ ბავშვს, რომ ის დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეს ხოლმე, ხოლო მიზანი კეთილი უნდა იქონიოს /როგორც ჭიაკოკონის ანთებაა, არა?/ და მისკენ მიისწრაფოდეს“. ახლა მოვიგონოთ, თუ როგორ თავდება მოთხრობა „რა გვიყო ჭიაკოკონამ“. „ბევრს ვეცადეთ თავის დაღწევას, მაგრამ ვერაფერი გავაწყეთ და ორივეს მანამდე გვირტყეს, სანამ თქვენ მოგვეშველებოდით, ჩემო პატარა მკითხველებო“ /„ჯეჯილი“ №5, 1898 წ./. ახირებული დასკვნაა, – ბავშვებმა მართალია „მიზანს“ მიაღწიეს, მაგრამ ხანგრძლივი ცემა-ტყეპაც დაიმსახურეს. განა ეს ცემა-ტყეპა იმას არ ეუბნება პატარა მკითხველებს, რომ თუ შენსას არ დაიშლი, ცემა არ აგშორდებაო. განა ეს ჩააგონებს ბავშვს – დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეთ, თუ უფრო დააფრთხობს და მოუკლავს თვითმოქმედების ძალას.

მოთხრობების გარჩევის დროს /„ივერია“ №151/, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „უმთავრესი პირობა საბავშვო მოთხრობისა, როგორც ხელოვნურის პოეტურის ნაწარმოებებისა, ხასიათის დახატვა უნდა იყოს. კარგი დახასიათებანი ისევე საჭიროა საბავშვო მოთხრობებისათვის, როგორც ხმები სამუსიკო პიესისათვის, როგორც უკანასკნელი შეუძლებელია იქ, სადაც არ არის სუფთა ხმები, ან სუსტი ხმებია, აგრეთვე პოეტური ნაწარმოებებიც შეუძლებელია იქ, სადაც არ არის ნამდვილი, ცხადად განსაზღვრული ხასიათი. იმისთანა მოთხრობებს, რომელშიაც დიდებია კარგად დახასიათებული, ის უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ ბავშვის ცხოვრებიდგან აღებულ მოთხრობასთან, რომ პირველ მოთხრობის კითხვის დროს ბავშვები თავიანთ ცხოვრებას ადარებენ დიდების ცხოვრებასთან და ამნაირად მათი გონება, მიმბაძველობის ძალით, თანდათან შედის მომწიფებაში. ამისთანა მოთხრობას ბავშვები ხალისიანად კითხულობენ-მეთქი. ბ-ნმა გომართელმა მიგვითითა მაინ რიდსა და ჟიულ ვერნზე და წერს: „ამ თხზულებებს ბავშვები კითხულობენ გატაცებით არა იმიტომ, რომ გმირები დიდ-კაცებია და დამთავრებული ხასიათი აქვთ, არამედ იმიტომ,

რომ ამ ავტორების რომანები სავსეა ისეთი ფაქტებით, შემთხვევებით და გმირების თავ-გადასავალით, რომელიც ბავშვის ფანტაზიას მეტად ხიბლავს და იტაცებს“. ბ-ნს გომართელს ავიწყდება, რომ მაინ რიდის თხზულება ეკუთვნის საზოგადოდ იმ დარგს მწერლობისას, რომელსაც ეკუთვნიან ზღაპრები. თუ მაინ რიდს გატაცებით კითხულობენ ბავშვები, ეს იმიტომ, როგორც სამართლიანად შენიშნავს რუსების მწერალი აქსაკოვი, ბავშვებს აქვთ: „Страсть к чудесному“. ამის გამო, კარგი დახასიათებაც რომ იყოს გმირისა მაინ რიდის თხზულებაში, ბავშვი იმას ყურადღებას არ მიაქცევს, როგორც არ აქცევს ყურადღებას ამერიკის ბუნების აღწერილობას, რომლითაც სახეში ჰქონია მაინ რიდს გაცნო მკითხველებისათვის ამერიკის ბუნება. შემოქმედებითი ძალა მაინ რიდის თხზულების კითხვით მოქმედებს გადაჭარბებით, ფანტაზია ჰღებულობს არა ნორმალურს განვითარებას, ბავშვის გონებაში მაინ რიდის კითხვით იბადება სიმართლეს მოკლებული შეხედულება ბუნების შესახებ, ამიტომ იმისთანა პოეტური ნაწარმოები, რომელშიაც იდეალური და რეალური ბუნების შეხედულება ერთმანეთში შეკავშირებულ-შედულებული არ არის, არც სასურველია საკითხავად ბავშვებისათვის. ამიტომ არც მაინ რიდის წიგნების ხშირ კითხვას ვურჩევდით ჩვენ ჩვენს მოზარდ თაობას. თუ პოეტური ნაწარმოები არა ისეთი ფანტასტიურია, როგორც მაინ რიდის თხზულებას და გმირების დახასიათებაც არის, როგორც მაგალითად ვაჟა-ფშაველას მოთხრობებშია ხშირად, მაშინ ამისთანა მოთხრობებსაც დიდის ხალხისთა წაიკითხავენ ბავშვები, იმისათვის რომ მკითხველებს იტაცებს სწორი და ნამდვილად დახასიათება გმირებისა, როგორც მუსიკალურ პიესაში კარგი ხმები.

ახირებული აზრი წარმოსთქვა ბ-მა გომართელმა შესანიშნავ კაცების ბიოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ. ბ-ნი გომართელი თანახმაა, რომ რომელიმე შესანიშნავი კაცის ბიოგრაფია აღძრავს ბავშვებში მიმბაძველობას, მაგრამ იმდენად კი არა, როგორც მე მგონია. „თუ ბავშვი ცუდმა აღზრდამ და მემკვიდრეობამ გააზარა, ათასი უჩინინო: პატარა კოლუმბი, პატარა გარბალდი ბეჯითი იყვნენო, ამით მას ვერ გააბეჯითეთ“. მაშ, რომ არ ვუთხრათ, ხომ გაბეჯითდება! მემკვიდრეობას დიდი გავლენა აქვს სწავლა-აღზრდის საქმეში, მაგრამ ეს ბ-მა გომართელმა სრულიად უადგილოდ ჩააჩხირა აქ. მემკვიდრეობით ბევრი რამ ცუდი თვისება გარდაეცემა ბავშვს, მაგრამ აღზრდამ თუ ვერ მოსპო მთლად ეს თვისება, უნდა შეასუსტოს მაინც. აქ საჭიროა შთაგონება. ბავშვის სულიერი აგებულება საზოგადოდ

ისეთია, რომ რაც უნდა გაზარმაცებული იყოს, მიმბაძველობას მაინც საკმაოდ იჩენს; ამ თვისებას არ არიან მოკლებულნი არც ქართველი ბავშვები, რაც უნდა მემკვიდრეობით გაზარმაცებულები იყვნენ. ჩვენ გვეონია, ზარმაცები უფრო ჰსაჭიროებენ შთაგონებას და ყოველს ღონისძიებას, რომ მათში აღიძრას ბეჯითობა და სხვა კეთილი სურვილები. სმაილსის სიტყვით, საშუალო ნიჭის კაციც შეიძლება მხნეობისა შრომისა, საქმის სიყვარულის წყალობით გახდეს გენიოსად; ათი წლის სუგოროვში პლუტარხის კითხვამ აღძრა ისეთი გრძნობები, რომელთაც გენიოს სარდლად გაჰხადეს ბოლოს. იოანე გუსის ბიოგრაფიამ იმოქმედა ლიუტერზედ იმდენად, რომ მთელი რეფორმაცია მოახდინა სარწმუნოებისა და ეკლესიის საქმეში.

როცა ბიოგრაფიების შესახებ შენიშვნებსა ვწერდით, სახეში არ გვექონია ყოველის მხრივ დაგვეხასიათებინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ბიოგრაფიების კითხვას, ან რა სარგებლობის მოტანა შეუძლია პატარა მკითხველებისათვის. ბ-ნი გომართელი კი გვამცნევს: „კოლუმბის ბიოგრაფიიდან ბავშვები გაიგებენ ამერიკის აღმოჩენის ამბავსო“. გომართელისა კი რა მოგახსენოთ და ჩვენ კი ვერ წარმოვიდგენთ, კოლუმბის ბიოგრაფია დაწეროს კაცმა და ამერიკის აღმოჩენის შესახებ არაფერი თქვას! „საღმრთო პირების ბიოგრაფიაში სინამდვილე და ბუნებრიობა უნდა იყოს დაცულიო“, ე. ი. ბიოგრაფიის კარგი და ცუდი მხარეც უნდა იყოს მოხსენიებულიო; ეს იმისგანაა დამოკიდებული, თუ ვისთვის სწერენ ბიოგრაფიას. თუ ბავშვისათვის, მაშინ ბიოგრაფიის დამწერს თავდატერილობა მართებს, რომ იმისთანები არა თქვას რა, რასაც შეუძლიან ცუდი გავლენა მოახდინოს ბავშვზედ; საჭიროა რომ ბიოგრაფიის კარგმა თვისებებმა დაჰფაროს ის ნაკლულევანებანი, რომელიც მიუძღვის ყველა კაცურ კაცს. საზოგადოდ, ბიოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ სმაილსი შენიშნავს: „ჩვენთან წინაპართა ცხოვრების აღწერილობას შეუძლია მოგვიტანოს სარგებლობა იმ მხრივ, რომ შევისწავლოთ და შევითვისოთ, რაც მისაბაძია. ის კაცი, რომლის ცხოვრების აღწერა გვამცნევს უმაღლესს საქციელს, უანდერძებს შთამომავლობას დაუშრეტელს წყაროს სიკეთისას, მისთვის, რომ მისი საქციელი სამაგალითო გახდება მომავლის თაობისათვის. ამისთანა ცხოვრების აღწერილობის კითხვა გამოიწვევს მიმბაძველობის სურვილს, ე. ი. გაგვიახლებს ხასიათს, რომელიც შემუშავდება მაგალითების მიხედვით. ამისთანა წიგნი უძვირფასესი საუნჯეა – ის ჰგავს ძლიერს სულს, რომელსაც შეუძლია გააცოცხლოს მოღუნებული სხეული“ /სმაილსი, „თვითმოქმედება“, II, 239/.

შარშან „ჯეჯილში“ იბეჭდებოდა ფიზიოლოგიური წერილები, რომელიც ეკუთვნოდა ბ-ნს გომართელს. ჩვენ, შენიშვნებში ვამბობდით: „ფიზიოლოგია რთული მეცნიერებაა. იგი დამყარებულია სხვა მეცნიერებაზედ, როგორც არის – ქიმია, ჰიდრაულიკა, მეხანიკა, ოპტიკა და სხვა. ამის გამო ფიზიოლოგიური წერილები, მათ საგნად მართო ფიზიოლოგიურ ტექნიკების განმარტებაც რომ ჰქონდეს, მაინც ძნელია საკითხავად პატარა მკითხველებისათვის, რომელთაც ჭირივით ეჯავრებათ დოგმატიურად დაწერილი წერილები და ისიც სამეცნიერო, რომელიც, ასე თუ ისე ითხოვს ისეთს მკითხველებს, რომელსაც მცირე საზოგადო განათლება მაინც უნდა ჰქონდეს მიღებული / „ივერია“, №91/. ამის წინააღმდეგი ბ-ნმა გომართელმა ვერა სთქვარა. იგი წერდა: „ფიზიოლოგია სხვა და სხვა არსებათა სასიცოცხლო მოვლენების მეცნიერება“ /„ჯეჯილი“ №111, გვ. 37/. ბ-ნი გომართელი სასიცოცხლო მოვლენების შესახებ ესაუბრება მკითხველებს; ჩვენ შევნიშნეთ, რომ სიცოცხლე რთული საგანია და მეცნიერებაშიც გამოურკვეველი. ეს დაუმტკიცეთ კიდეც; ამის წინააღმდეგი ვერა თქვა რა ბ-ნმა გომართელმა, ვერც ავტორიტეტის სიტყვებით და ვერც თავის მეცნიერებიდან. თქვა მხოლოდ ის, რომ „ავტორიტეტის შეწუხება სამარცხვინოდ მიგვაჩნიაო“. აქ მოგვაგონდა ერთი უნიჭო მოსწავლე, რომელიც რამდენჯერმე ცდილობდა ეგზამენების გარდახდას, მაგრამ ყოველთვის წერას უწუნებდნენ, თავს კი იმით ინუგეშებდა ამხანაგებში რომ ჰკითხავდნენ ხოლმე: „написал ны великое произведение да боялся, что в Сибирь не сослали“-ო.

ფრაზაში: „ყოველგვარ სიცოცხლის უკანასკნელი მიზეზი ჩვენ დედამიწაზე მზე არის“, ჩვენ გავუსწორეთ, რომ სიტყვა **უკანასკნელი** უხერხულად არის ნახმარი, რადგანაც აქედგან ცხადია, რომ თუ უკანასკნელი მიზეზი მზეა, მაშ მზის გარდა სხვა მიზეზიც ყოფილა პირველი, მეორე ... უკანასკნელი და სხვა. მაგრამ ამას ვერ მიმხვდარა ბ-ნი გომართელი და უმეცრებას გვწამებს, ვითომ მზეში ვერ ვხედავთ იმ ცხოველმყოფელობას, რომელიც ცისა და ქვეყნის გამჩენს დაუშკვიდრებია მისთვის.

ლექსებისა და მოთხრობების გარჩევის დროს ჩვენ მოგვყავდა ან შინაარსი მოთხრობისა მთლიანად ან რომელსამე ლექსის საქებარი, ანუ დასაწუნი ტაეპი და იქვე ჩვენი აზრიც, ზოგჯერ ვრცლად, მაგალ. ლექსების შესახებ /„ივერია“ 111/ ნათქვამს მთელის წერილის მესამედი უჭირავს, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ვამბობდით, რომელი-სამე პატარა იგავისა ანუ გასართობის შესახებ, რომ „რიგინია“, „არა

უშავს რა“ და სხვა. ბ-ნი გომართელი ამ ორიოდე შემთხვევითგან და ისიც იმისთანა უბრალო საკითხავ მასალის შესახებ, რომელიც რეცენზენტს შეეძლო სრულიად უყურადღებოდაც დაეტოვებინა, დაასკვნის: „როდესაც ბ. ბოცვაძე ლექსებსა და მოთხრობებს არჩევს, უმთავრეს ყურადღებას გრამატიკას აქცევს, დანარჩენის დასაფასებლად კი ცხონებულის სუმაროკოვის კლასიფიკაციით ხელმძღვანელობს“ / „კვალი“ №17 /. ეგ კრიტიკის კრიტიკაა, მაშ რა ჯანაბაა! ბ-ნმა გომართელმა სუმაროკოვი ახსენა, ეტყობა ძალიან დაახლოვებული უნდა იყოს იმასთან, მაგრამ ბ-ნს გომართელს უყურადღებოდ დაუტოვებია სუმაროკოვის ცხოვრების ერთი საგულისხმიერო მხარე, რომელიც კარგს გაკვეთილს მისცემდა, რომ ბიოგრაფიის კითხვას იმაზედ ისეთი გავლენა ჰქონდეს, როგორც სხვებზედ: „Ведь Александр Петрович хотел блистать во многих родах сочинений и ни в одном не достиг совершенства“. ეს სწორედ გაკვეთილია ყველასათვის, ვინც ებლაუჭება ყველა საქმეს და რიგიანი წარმოდგენა და საფუძვლიანი სწავლა არც ერთისა არ აქვს.

„თარგმანს ბ-ნი ბოცვაძე ძალიან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს. ნუთუ რობინზონს, ანდერსენის ზღაპრებს და სხვ. ქართველ ბავშვებისათვის მნიშვნელობა არ ექნება“? წერს იგი / „კვალი“ №17/. თქვე დალოცვილო, ვიდრე ამას იტყოდით, წაიკითხავდით ჩვენს ამბს თარგმანების შესახებ. – აი, რასა ვწერდით ჩვენ: „ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ იმისა, რომ დროგამოშვებით „ჯეჯილში“ ნათარგმნი მასალაც იბეჭდებოდეს, მაგრამ უმთავრესი ადგილი აუცილებლად ადგილობრივს ელემენტს უნდა ეჭიროს; უცხო ენის მასალიდგან შეიძლება იბეჭდებოდეს ისეთი მასალა, რომელსაც აქვს საზოგადო საკაცობრიო მნიშვნელობა“ / „ივერია“, №22, 1899 წ./ . ანდერსენის ზღაპრები და რობინზონი ყველა ერს აქვს გადათარგმნილი, ვისაც თავისი საკუთარი წერა-კითხვა და ანბანი მოეპოვება და ეს, მგონია, საზოგადო საკაცობრიო კუთვნილებას შეადგენს. ჩვენ დავიწუნეთ ფრანგულიდგან თარგმნილი მოთხრობა „პუმის თავგადასავალი“, რასაკვირველია, ქართველის მკითხველისათვის, თორემ შეიძლება საფრანგეთში ეს მოთხრობა „ხელისხელ საგოგმანებელიც“ იყოს. ჩვენი კრიტიკოსი კი გვარწმუნებს რომ „პუმი ნამდვილი ტიპია, საუცხოვოთ არის დახასიათებული ექვსი წლის ბავშვიო“. პუმი ცხოვრობს მდიდრულს სახლში, ხშირად ასაზრდოებენ ფანტასტიური ზღაპრებით, ხშირად ატყუებენ, აშინებენ, რის გამოც მხდალიც არის. მშობლები პუმისა ცრუმორწმუნენი არიან; პუმს შეჰპირდებიან სადილზე სტუმრებთან დასვან

მისთვის, რომ იკრიბება სულ ცამეტი კაცი. ამას გარდა პუმი მსუნა-გია, საზოგადოდ კი პუმი წარმოადგენს უხეიროდ და ურიგოდ ცრუმორწმუნეობაში აღზრდილ ბავშვს. იქნება ამ მოთხრობის ავტორს უნდოდა მშობლებისათვის დაენახვებინა ტიპი უხეიროდ აღზრდილის ბავშვისა მათდა საგულისხმიეროდ; ქართველს მკითხველს რომ „პუმის თავგადასავალი“ ვერ აძლევს ვერავითარს გონებრივს საზრდოს, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. სწორედ ორი თვის შემდეგ, რაც ჩვენ გავარჩიეთ ეს მოთხრობა, რუსულ ჟურნალ „описание“ (18) №11-ში . გამოვიდა იმავე მოთხრობის რუსული თარგმანის რეცენზია: რეცენზენტი „პუმის თავგადასავალს“ უწოდებს: „калейдоскопом болтавни пошловатой и не всегда опрятной“.

სხვათა შორის ამ მოთხრობაში არის ძალიან ბევრი უცხო სახელები, რომლის კითხვაც ბავშვს ხალისს უკარგავს; ამ შემთხვევაში შეხვდება თუ არა რამდენიმე სიტყვა უცხო, ბავშვი მაშინვე უკუაგდება წიგნს. ჩვენ ეს შევნიშნეთ და აი, ამის პასუხად ბ-ნი გომართელი გვიწერს: „ქართველ პედაგოგებში არ იქნება ისეთი ლაყე თავიანი, რომ ყმაწვილებს ვერ აუხსნას პუმი და ფრიმანი ადამიანებს ჰქვიან თუ კატებსო“ /„კვალი“ №17/. ბ-ნის გომართელის შეცდომა ის არის, სხვათა შორის, რომ საყმაწვილო ჟურნალს ისე უყურებს, როგორც სახელმძღვანელოს, რომელიც მასწავლებელმა უნდა აკითხოს ბავშვებს და გაუგებარი ადგილი აუხსნას კიდევ. ბ-ნი გომართელი რომ ამ ამრისა ყოფილა, სჩანს აქედგანაც: „ჩვენს მიზანს ის უნდა შეადგენდეს, რომ საშუალო სასწავლებლებში საღმთო სჯულის სწავლება ისე წარმოებდეს, როგორც საზღვარგარეთ; როდესაც ამ მიზანს საყმაწვილო ჟურნალი ივიწყებს, სარგებლობის მაგიერ ბარალი მოაქვს ბავშვებისათვის“ /„კვალი“ №17/. ნეტავი რა „მიზანი“ უნდა იყოს, ან რა მიზანს უნდა მისდევდეს ჟურნალი „ჯეჯილი“, რომ გიმნაზიის მეშვიდე და მერვე კლასის მოწაფეებმა იქიდგან საღმრთო სჯულის გაკვეთილები ამზადონ. ეს რაღაც ახალი რეფორმატორი გამოგვეცხადა, მაგრამ ძალიან ბუნდოვნად გამოსთქვამს თავისს ამრს. ვინ არ იცის, საზღვარგარეთ ყველა საგნებზედ უფრო ცუდად საღმრთო სჯულს ასწავლიან. ეს დიდი ხანია საზღვარგარეთ შეამჩნიეს და ცდილობენ, რომ სარწმუნოებისა და საღმრთო სჯულის სწავლებას სკოლებში შესაფერისი ადგილი ეჭიროს. ამას გარდა საზღვარგარეთ არიან ისეთი პროგრესისტები, როგორც თავისს თავს უწოდებენ, რომლებიც ბავშვებს ჰზრდიან სარწმუნოების გარეშე: რა შედეგიც მოჰყვება ამნაირად აღზრდას ბავშვისას, ეს სჩანს მშვენიერის წიგნიდგან „ისტორია

ბავშვის სულისა“, (19) ინგლისურიდან თარგმნილი, რომელიც შარშან მოსკოვში დაიბეჭდა.

წერილის დასასრულს ბ-ნი გომართელი შეეხება საზოგადოდ საცმაწვილო მწერლობას და წარმოსთქვამს თავის აზრს. ზოგი ამ აზრთაგანი ჩვენც მოვიხსენეთ შარშან, ზოგიც ამ წერილში გვაქვს გარჩეული. ჩვენც არა ერთხელ აღვნიშნეთ შარშან ის ფაქტი, რომ ჟურნალ „ჯეჯილს“ ძალიან მცირე თანამშრომელი ჰყავს; ამისათვის ვიწვევდით ყველას, ვისაც კი შეუძლიან დახმარება და შემწეობა გაუწიოს იმ საზოგადო საქმეში ჟურნალს. ბ-ნი გომართელიც იწვევს თანამშრომლებს, მაგრამ მარტო ქალებს, თითქოს თავის მეტი კაცი არავინ უნდა, რომ მონაწილეობას იღებდეს ჟურნალში. მაგრამ საყურადღებოა თვით საბუთი ბ-ნი გომართელისა: „პირველდაწყებითი განათლება ქალს უკეთ შეუძლია, ვიდრე მამაკაცსაო და საუკეთესო ასპარეზსაც საცმაწვილო ჟურნალი უნდა წარმოადგენდესო“. ახირებული აზრია სწორედ! იმან, ვინც პირველად თქვა, პირველდაწყებითი განათლება ქალს უკეთ შეუძლიაო, აღნიშნა შინაური აღზრდა ოჯახში, დედობრივი გავლენა, რომელიც შეადგენს დედაკაცის პირდაპირ ზნეობრივს მოვალეობას. შეიძლება, რომ ყოველისფრივ კარგი აღმზრდელი დედა იყოს, მაგრამ საბავშვო მოთხრობის წერა კი არ შეეძლოს. ან შეიძლება კარგს მოთხრობებსაც წერდეს, მაგრამ აღმზრდელი კი ცუდი იყოს. ან რატომ მამაკაცები კი არ მოიხსენია ბ-მა გომართელმა? ჩვენ გვგონია, მამაკაცთა შორის უფრო ბევრს შეუძლია მწერლობა საცმაწვილო მოთხრობებისა, რომელთაც ასე თუ ისე ცოტად მაინც უნდა ესმოდეს ბავშვის პსიხოლოგია. ბავშვის პსიხოლოგიის ცოდნა სავალდებულოა როგორც მწერლისა, აგრეთვე კრიტიკოსისათვისაც. ბ-ნის გომართელის ჩვენის წერილების შესახებ მსჯელობა არ არის დამყარებული ბავშვის პსიხოლოგიის კანონებზე და ამიტომ მეტად უძლურია.

საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში

ათი დღე იქნება, რაც ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან ტფილისის სასულიერო სემინარიის შენობაში თავი მოუყრიათ სამოცამდე სამრევლო სკოლის მასწავლებელთ პედაგოგიურს კურსებზე დასასწრებად. ჩვენშიაც უკვე აღინიშნა ის პრაქტიკული სარგებლობა, რომელიც მოაქვს პედაგოგიურს კურსებს მასწავლებლის დახელოვნებაში და სკოლაში სასწავლო საგნების კარგად სწავლებაში.

წლებადელი კურსები სხვა წლებში გამართულ კურსებიდან, სხვათა შორის, იმითაც განირჩევა, რომ წელს ლექციებს ამა თუ იმ საგნის სწავლების შესახებ არ კითხულობენ – ყველაფერი დამყარებულია პრაქტიკულად საქმის წაყვანაზე, სამაგალითო და სანიმუშო გაკვეთილებზე. სანიმუშო გაკვეთილები ნასადილევს ირჩევა მასწავლებლებისა და კურსების ხელმძღვანელთა მიერ ერთად ყოველ დღე. ჩვენ დავესწართ რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილს და მათ გარჩევას, ამიტომ საჭიროდ მიგვჩნია ჩვენი შთაბეჭდილება მკითხველებსაც გაუზიარო. ძნელი წარმოსადგენია ის ერთგულება და საქმისადმი თავგამოდებითი სიყვარული, რომელიც ეტყობათ კურსებზე მოსულ მასწავლებლებს კურსებზე მუშაობის დროს სანიმუშო გაკვეთილების მიცემით და გალობაში მეცადინეობით. დღეს ყველამ კარგათ ვიცით, თუ რა უანგარო მუშაკია სოფლის მასწავლებელი, რომელიც მომავალში ბევრს სანუგეშოს ვერარას ჰხედავს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ ტფილისის კურსებზე ბევრს ისეთს მასწავლებელს, რომლებიც დიდის გრძნობით და თავიანთი საქმის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი და თუ ცოდნა არ შესწევთ საქმის ნაყოფიერად წაყვანაში, ცდილობენ, რომ საჭირო ცნობები შეიძინონ და ამნაირად სასარგებლონი გახდნენ როგორც ახალი თაობისა, აგრეთვე საზოგადოებისათვისაც. ესენი გულდასმით ისმენენ ყველა რჩევას ხელმძღვანელობისას, რომლებიც ხედვენ რა მასწავლებლებში მუყაითობას და ერთგულებას. თვითონაც თავგამოდებით მეცადინეობენ და ეხმარებიან, კანონიერს ხელმძღვანელობას უწევენ მასწავლებლებს, აძლევენ მასწავლებლებს მასალას გაკვეთილებისათვის, აწერინებენ კონსპექტებს და აზეპირებინებენ კითხვებს, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ მასალის შესამუშავებლად გაკვეთილების დროს. აღსანიშნავია აგრეთვე ის საღი პედაგოგიური მიმართულება,

რომელიც მიუღია კურსებს კარგის და გამოცდილის ხელმძღვანელების წყალობით. საგნების სწავლება სკოლებში სწარმოებს პატივცემულის პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მიხედვით. ამ საგნის შესახებ ინსპექტორი სემინარიისა, მამა დიმიტრი, გამგე კურსებისა ბ-ნი ნ. ტატიშვილი და ბ. ილია ფერაძე ხშირად აცნობებენ მასწავლებლებს ხსენებულს სახელმძღვანელოების ღირსებას და მასთან ხშირად ეუბნებიან გაცნონ მეთოდურ სახელმძღვანელოს ხსენებულის პედაგოგისას. საღვთო სჯულის სწავლება, როგორც სამართლიანად განუმარტა მასწავლებლებს ბ-მა ნ. გ. ტატიშვილმა, უნდა სწარმოებდეს თავიდანვე ბავშვის ღვიძლს ენაზე, რომელიც არის ენა გრძნობისა, გულისა და მას, მხოლოდ მას შეუძლიან მიიყვანოს ბავშვის გონება ღვთის განგებათა კანონიერად შეგნებადმდის. მართალია, სამაგალითო სკოლა, რომელიც კურსებზეა გამართული, არ არის ისეთი, როგორც სოფლის სკოლებია საზოგადოდ, სადაც რუსული ენა თავიდგანვე არ იციან, მაგრამ როგორც კურსების ხელმძღვანელნი უმარტავენ მასწავლებლებს – რასაც პირველი განყოფილება სწავლობს ეხლა კურსებზედ, ის ყველაფერი სკოლებში უსათუოდ ქართულად უნდა ისწავლებოდეს. ამიტომ სრული იმედია, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებლები კარგად დაუკვირდებიან ხელმძღვანელთა განმარტებას და ისე მოაწყობენ საქმეს თავიანთ სკოლებში, როგორც სასურველია და სასარგებლო და რასაც ითხოვს თანამედროვე საღი პედაგოგიური მიმართულება.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამ კურსებზედ იმ გარემოებასაც, რომ აქ თავი მოუყრიათ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მასწავლებლებს, რომელთაც ერთმანეთში სრული თანხმობა, სიყვარული და კეთილი განწყობილება აქვთ. ძმობა, ერთობა და საზოგადო საქმის სიყვარული და უანგარო შრომა მასწავლებლობისა მტკიცდება მათში ერთმანეთთან საუბრის დროს, რომელიც დიდად ამხნევეს მათ და ხალისს ჰმატებს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის უანგარო სამსახურისათვის.

გაუმარჯოს მასწავლებლებს, მათს ხელმძღვანელებს და ვუსურვებთ მათ დიდ წარმატებას ეკლიან გზაზედ.

წერილი კავკასიდან

25 დეკემბერს, შობა ღამეს, კავკასის ქართულს სკოლის დარბაზში ამავე სკოლის სასარგებლოდ გამართულ იქმნა ჩვეულებრივი ქართული საღამო. სკოლის დარბაზში შესავალი დერეფანი მშვენივრად იყო მორთული ფიჭვის ტოტებისაგან გაკეთებული თალებით, სხვა და სხვა ცხოველთა, ფრინველთა, სხვა და სხვა ძვირფასი იარაღებით და სურათებით. მოზრდილ დარბაზის ერთ კუთხეში გამართული იყო ფარდული, სადაც იყიდებოდა ჩაი და სხვა ტკბილეულობა; მეორე კუთხე დარბაზისა მორთული იყო ძვირფასის ნოხებით, ხალიჩებით და მუთაქებით სტუმართა მოსასვენებლად. დარბაზის მახლობლად ერთი პატარა ოთახი იყო მორთული ქართველთა და რუსთა შესანიშნავის ისტორიულ კაცთა სურათებით, იქვე მაგიდაზე იყო „ვეფხისტყაოსანი“ ძვირფას ყდაში. ეს ოთახი დანიშნული იყო საპატიო სტუმრებისათვის. დერეფნის ერთ კუთხეში გამართული იყო ქართული სამიკიტნო დუქანი და იქვე ახლო საკლასო ოთახებში – ევროპული ბუფეტი და სასადილო ოთახი. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო.

ცხრა საათზე მოზრდნდა თერგის ოლქის უფროსი ბ-ნი ტოლსტოვი, რომელმაც ყურადღებით დაათვალიერა ყველა ნივთები და მოწყობილობა საღამოსი, ბ-ნმა უფროსმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ საგნებს, რომელიც ეკუთვნის ქართველი ერის წარსულ ცხოვრების სიდიადეს. გულდასმით და სიამოვნებით მოისმინა საღამოს გამგის ბ-ნის პ. გოთუას მიერ განმარტება და ცნობები ძვირფასი საუნჯის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. საზოგადოდ ბ-ნი თერგის ოლქის უფროსი ფრიად კმაყოფილი დარჩა და არ დაიშურა თავისი წვლილიც საზოგადო საკეთილო საქმისათვის. ადგილობრივი ქართველი საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა იმ გარემოებით, რომ საღამოზედ ბრძანდებოდა ბ-ნი უფროსი მთელის თერგის ოლქისა. თავისი მოზრდნებით და ნივთიერად დახმარების აღმოჩენით ბ-ნმა უფროსმა ნათლად დაანახვა ქართველ საზოგადოებას, რომ იგი ყოველთვის მზად არის ყოველს სასარგებლო საზოგადო საქმეს, რომელსაც მოჰყვება ხალხის კეთილდღეობა, მხარი მისცეს და სასურველი სამსახური გაუწიოს. ეს სასურველი მაგალითი თითონ ქართველების თვითშეგნებითს გრძნობაზედ იმოქმედებს უეჭველად

და ისინიც ჩვეულებრივის გრძნობით ალიტურვებიან საზოგადო საკეთილო საქმისათვის სამოქმედოდ.

საღამომედ უკრავდა თერგის ოლქის ყაზახთა ჯარის სამხედრო მუსიკა, ზურნა და საზანდარი. საზოგადოდ საღამომ მხიარულად ჩაიარა, ბევრი გათენებამდისაც დარჩა. აღსანიშნავი აგრეთვე ის წესიერებაა, რომელიც ჰსუფევდა საღამომედ, მიუხედავად აუარებელის ხალხისა, ეროვნების განურჩევლად; ყველა ქართველს თავი მასპინძლად მიაჩნდა და უცხო ერის ხალხი სტუმრად და ამიტომაც ყველა ქართველი თავაზიანად და ზრდილობიანად ეპყრობოდა სტუმრებს.

სრული შემოსავალი საღამომედგან ამჟამად უდრის 1230 მანეთს და 40 კაპ. მოელიან კიდევ შემოსავალს, ასე რომ, საღამოს გამგეთა ანგარიშით ათას მანეთამდის დარჩება ნაღდად სასწავლებელს. ასეთი თვალსაჩინო შემოსავალი საღამომედიდან აქ ჯერ პირველია და ესეც იმ გარემოებით აიხსნება, რომ აქაური ქართველი საზოგადოება თანდათან იღვიძებს და დიდის თანაგრძნობით ეკიდება საზოგადო საქმეს, რომელიც თვალსაჩინოდ იზრდება. საღამოს გამართვაში კავკავის სკოლის სამზრუნველო კომიტეტის ახალ წევრთა გარდა დიდი მონაწილეობა და შრომა გასწიეს პატივცემულმა კნეინამ ელისაბედ ხიმშიევისამ, ელენე გვარამაძისამ, აბრამ თამაზიშვილმა, ივანე მესხიშვილმა, იოსებ შვილიევმა, შაქრო კიკნაძემ და სხვებმა, რომელთა შემოწირულების შესახებ სრული ცნობები მოხსენებული იქმნება საღამოს გამგედ კომიტეტის წევრთა მიერ შედგენილს ანგარიშში. ჩვენ კი დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ საზოგადოდ კავკავის ქართველობა ჩვეულებრივად დიდს უნარს იჩენს საზოგადო საქმეში და ჩვენც ვისურვებთ, რომ ეს საზოგადო ერთობა, საზოგადო საქმის უანგარო სიყვარული განმტკიცებულიყოს.

წელს გამართულმა საღამომ ყველას ნათლად დაანახა, რომ კერძო ადამიანს, რაც უნდა დიდი შეძლების პატრონი იყოს იგი, საზოგადო საქმისათვის იმდენი სიკეთე არ შეუძლიან გამოიჩინოს, როგორც მთელს საზოგადოებას, მთელს ხალხს, რომელშიაც უნდა ვეძებდეთ ყოველს ღონისძიებას და სახსარს საზოგადო საქმის კეთილად წარსამართავად.

ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ გონიერი ხელმძღვანელი, რომელსაც ხალხის გულწრფელი ნდობა და პატივი ჰქონდეს მოპოვებული. ჩვენ გვჯერა, რომ ამ მხრივაც კავკავის ქართველთა საზოგადოება ამჟამად სრულიად უზრუნველყოფილია და სრული იმედია, კავკავის ქართველობა შემდეგშიაც ბევრისათვის სამაგალითოდ დარჩება საერთო საზოგადო საქმის გონიერად წარმართვაში.

წერილი კავკასიიდან

ამას წინად ვსწერდი, რომ კავკასიში გამართულმა ქართულმა სალამომ საზოგადოდ ჩინებულად ჩაიარა მეთქი. ამ ნაყოფიერად ჩატარებულს სალამოს მოჰყვა სხვა საკეთილო აზრებიც, რომლის განხორციელებას გულ-მხურვალედ ეტანებიან ყველა აქაურ ქართველთა გულშემატკივარნი. სკოლის შენობის სივიწროემ, რომელიც შემჩნეული იქნა სალამოს დროს, გამოიწვია ის აზრი, რომ სკოლის შენობას მიემატოს კიდევ ერთი მოზრდილი დარბაზი, რომლის აშენება იკისრა ნაცნობთა შორის შემოწირულების შეგროვებით, პატივცემულმა ქართველმა და კეთილ საქმისათვის ყოველთვის დაუღალავმა მუშაკმა იოსებ გრიგოლის ძე შვილევმა. ის საზოგადო თანაგრძნობა, რომელიც სუფევს აქაურს მკვიდრთა შორის კავკასის სკოლისადმი, თავდება იმისა, რომ რა კეთილ საქმესაც დაიწყებენ, ყველა სასურველად დაბოლოვდება.

ნათლისღება ღამეს, ნი იანვარს, თავი მოიყარეს ერთად ოცმედ მეტმა ქართველმა და რამდენიმე უცხო კაცმაც, რომელთაც სალამოს გამართვაში მონაწილეობა მიიღეს; ეს პატივცემული კაცები, თანახმად მათის სურვილისა, მიწვეულნი იყვნენ მასწავლებლების მიერ ვახშმად, რომლის დასაწყისს ბ-ნმა პ. ალ. გოთუამ წაუკითხა ყველას დაწვრილებითი ანგარიში სალამოს შესახებ. ანგარიშიდან სჩანდა, რომ ყველა ხარჯს გარდა, ნაღდი ფული დარჩენილიყო 891 მ. 60 კაპ. მაშინვე ერთმა პატივცემულმა ქართველმა – აბრამ თამაზაშვილმა ეს ფული შეასრულა 900 მ. 60 კ. ამ შინაურ ვახშამზე ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო სიტყვები ქალაქ ყიზლიარში მცხოვრების, საზოგადო საქმისათვის ყოველთვის გულშემატკივარის, მიხეილ პავლეს ძე ჯაფარიძისა, რომელიც დიდი ხანია კარგად იცნობს კავკასის ქართველ საზოგადოებას და მის სასწავლებელს. ბ-მა მიხ. ჯაფარიძემ წარმოსთქვა ის აზრი, რომ სასწავლებელი რომ მომავალში უზრუნველყოფილ იქმნეს, საჭიროა აქედგანვე ვიზრუნოთ მისთვის, რათა ამ სასწავლებელს დავუარსოთ ძირითადი ხელუხლებელი თანხაო; ამისთვის ამ ხანად ვსწირავ ჩემის მხრით ამ საქმის განსახორციელებლად 100 მანეთს. ეს აზრი ყველას მოეწონა და, შეძლებისდაგვარად, ყველამ მოიწადინა მისი განხორციელება. ბ-მა იოსებ შვილევმა იქვე გადა-

სცა ასი მანეთი ხსენებულის საგნისათვის პ. ალ. გოთუას, რომელმაც თავისის მხრითაც შესწირა 25 მანეთი. მიხ. ვას. ინასარიძემ აღუთქვა ხუთი თუმანი, აღუთქვეს დახმარება აგრეთვე მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილმა, რომელიც ისედაც ყოველთვის დიდი შემწე და დამხმარეა კავკავის სკოლისა; ივ. ფიცხელაურმა, ივანე ჩითაშვილმა და ერთმა მალოროსმა, რომელმაც 15 მანეთი გადასცა ბ-ნს შვილევს. ამნაირად, როგორც ნამდვილად ვიცით, დღეს ნაღდათ თუ დაპირებით ხსენებულის ძირითადის თანხისათვის შეკრებილია 500 მანეთამდის. აქაურს სამზრუნველო კომიტეტს აზრად აქვს ყოველ წელიწადს სრული შემოსავლიდან 10% გადასდოს ხსენებულის საქმისათვის, გარდა იმ შემოწირულებისა, რომელსაც პირდაპირი დანიშნულება ექმნება და ძირითადს თანხას მიუმატოს. სამზრუნველო კომიტეტმა დაადგინა, რომ ამ ძირითადს თანხას ეწოდოს სახელი სასწავლებლის დამაარსებლის ნეტარ-ხსენებულის მიხეილ ზაალის ძის ყიფიანისა, რომლის მამობრივს ზრუნვას კავკავის ქართველები არასოდეს არ დაივიწყებენ.

ამ ამბიდან მკითხველები დაინახვენ, რომ კავკაველი ქართველები სასწავლებლისათვის ზრუნვაში საუკეთესო გზას დასდგომიან, რაიცა შედეგია იმისი, რომ კეთილს სურვილს ხალხისას საკუთარი „მე“ არ ეღობება გზაზედ და ხელს არ უშლის საზოგადოების კეთილს აზრების განხორციელებას.

წერილი კავკავიდან

ყველიერის შაბათს, კავკავის ქართული სკოლის მასწავლებლებმა ადგილობრივს სცენის მოყვარეთა დახმარებით სკოლის დარბაზში გამართეს უფასო წარმოდგენა სკოლის მოწაფეებისა და მათი მშობლებისათვის. წარმოდგენა შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მონაწილეობას იღებდნენ განსაკუთრებით სკოლის მოწაფეები, რომლებიც კითხულობდნენ რუსულ-ქართულ იგავ-არაკებს როლების განაწილებით, დაჰმღეროდნენ რუსულ-ქართულ სიმღერებს.

მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს ორ მოქმედებიანი კომედია გ. ერისთავისა „ძუნწი“. წარმოდგენის დასაწყისში კავკავის ქართულის სკოლის ყოფილმა მოწაფემ ნიკო გვარამაძემ, რომელიც ამჟამად აქაურს გიმნაზიაში სწავლობს და ნიჭიერ მოწაფედ ითვლება,

მშვენივრად წაიკითხა მონოლოგი რუსულად პუშკინის „ძუნწი გმი-რიდგან“.

წარმოდგენაში უმთავრესს როლს ასრულებდა მასწავლებელი ბ-ნი ნიკ. კურდღელაშვილი /კარაპეტა/, რომელმაც თავისის როლის ხელოვნურად შესრულებით დიდი სიცილი გამოიწვია საზოგადო-ებაში. ქალთაგან მონაწილეობას იღებდნენ მასწავლებელი ქალი ალექ. ხახიშვილისა /ხამფერვან/ და ბარბ. ბოძიევის ასული /მონავა-რდისა/, რომლებიც თავისუფლად და კარგად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. ამათ გარდა თამაშობდნენ თომა სარაჯიშვილი /არჩილი/, დათიკო ჩიგოგიძე /ივანიკა/ და იოსებ ბაროხოსტოვი /გლეხი/. საზო-გადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, რადგანაც თავიანთი როლები ყველას შეძლებისდაგვარად შეთვისებული ჰქონდათ გამოცდილის ხელმძღვანელის ბ-ნის ბაგ. ვ-ლადის დახმარებით.

წარმოდგენის დასასრულს ბ-ნ მელ. კუხიანიძის ლოტბარობით მის მიერ შედგენილმა ქართულმა ხორომ იმღერა ათი სხვა და სხვა ქართული სიმღერა.

ბ-ნი კუხიანიძე მოყვარეა საზოგადოთ მუსიკისა, რომელსაც სპე-ციალურად სწავლობს კარგა ხანია. ამ ორის წლის წინად მან მოი-ნდომა აქ კავკასში სიმღერების მოყვარეთაგან ქართული ხოროს შედგენა. თავდაპირველად საქმე კარგად ვერ მიდიოდა, მაგრამ როცა ყველამ შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყო და სიმღერის მოყვარუ-ლთაც მეტი ბეჯითობა გამოიჩინეს, საქმე გაიჩარხა და ბ-ნმა კუხია-ნიძემ რამდენიმე ქართული სიმღერა ისე კარგად შეასწავლა მგალო-ბელთა გუნდს, რომ ყველა, ვისაც მუსიკისა ესმის რამე, სიამოვნებით მოისმენს.

ვისურვებთ, რომ ეს კარგი დასაწყისი უკანასკნელი არ გახდეს და შემდეგშიაც არა ერთხელ მოგვესმინოს ამ უცხო მხარეში მშობლიური ტკბილი საერო ხმებიც.

წარმოდგენას დაესწრო ბევრი ადგილობრივი საპატიო კაცი. წინა ღამესაც, როცა რეპეტიცია იყო დანიშნული, აუარებელი ხალხი მოა-წყდა სკოლის დარბაზს. საპატიო სტუმართა შორის, ადგილობრივის ქართველების გარდა, დაესწრო თითონ თერგის ოლქის უფროსი ბ-ნი ტოლსტოვი ოჯახობით, რომელნიც ამას წინად ჩაეწერნენ კავკასის ქართველ საზოგადოების წევრებად.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გასართობმა ყველა-ზედ კარგად იმოქმედა და მნახველნი ნასიამოვნებნი დაბრუნდნენ. ამისთანა სახალხო სხვადასხვა ფეროვანი უფასო გასართობი კა-

ვკავში პირველად გაიმართა. ამიტომ ვუსურვებთ, რომ შემდეგში ეს საქმეც დამდგარიყოს აყვავებისა და განვითარების გზაზე.

წერილი კავკასიდან

კვირას, 26 მარტს, ადგილობრივი ქართული სცენის მოყვარეთ, კავკასის ქართული სასწავლებლის სასარგებლოდ წარმოდგინეს ვ. გუნიას ხუთ მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“. წარმოდგენას, ეროვნების განურჩევლად, ბევრი ხალხი დაესწრო; თავისუფალი ადგილი თეატრში თითქმის სრულიად არ მოიპოვებოდა. სრული შემოსავალი თეატრიდან აღემატება ექვსას მანეთს; ხარჯს გარდა კი, როგორც ანგარიშობენ, წმიდა შემოსავალი დარჩება სკოლის სასარგებლოდ ოთხას მანეთზე მეტი.

ამასთან სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ წარმოდგენამ საზოგადოდ ჩინებულად ჩაიარა; სცენის მოყვარენი ისეთის ხელოვნებით თამაშობდნენ სცენაზე, რომ მაყურებლები დიდს აღტაცებაში მოჰყავდათ. ჯერ კავკასის სცენაზე ქართულად დრამები და სხვა სერიოზული პიესები არ წარმოუდგენიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ სცენებს „სამშობლოდან“, რომელიც წარმოდგინეს აქ ამ რამდენიმე წლის წინათ ქ-ნმა ავალიშვილმა, ბ-მა მესხიშვილმა და შათირიშვილმა და სხვ. წელიწადში ერთხელ აქ აქაურ სცენის მოყვარენი უფრო ხშირად არდგენენ ცაგარელის კომედიებს. წელს, როცა პირველად გაისმა ხმა აქაურს საზოგადოებაში, რომ სცენის მოყვარენი დრამასა სდგამენო, ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა ამ განზრახვას, რთულის პიესების წარმოდგენას სცენის მოყვარენი ვერ შესძლებენო და ზოგმა ამისა თუ სხვა მიზეზების გამო უარიც განაცხადა მონაწილეობის მიღებისა. მაინც ბ-ნის პ. გოთუას ბეჯითის მეცადინეობით დანარჩენთ ერთგულად მოჰკიდეს ხელი და სულ ორ-სამ კვირაში ისე კარგად შეითვისეს თავიანთი როლები, რომ ბევრი მათგანი რამდენისამე ხნის გაწრთვნილ მსახიობებად წარმოგიდგებოდათ.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ელ. გვარამაძისა / მარინე/, ქ-ნი ალ. ხახიშვილი /გადია/, ბ-ნი ბ. ბაგრატიძე /ოტია/, ნიკო კურდღელაშვილი /გაიოზი/, თომა სარაჯიშვილი /ფაშა/, ივ. ჩითაშვილი /ადაშია/, პ. მეფურნიშვილი, ჩიკვარიძე, ხიზანიშვილი და ბა-

რახოსტაშვილი. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ქ-ნი გვარამაძისა, ბ-ნი ბაგრატიძე და ნიკო კურდღელაშვილი, ქ-ნი ხუხიშვილი და სარაჯიშვილი ისეთ ძალას წარმოადგენენ ქართულის სცენისათვის და ისეთს უნარს იჩენენ სცენის საქმეში, რომ მათ შეუძლიანთ თამამად გამოვიდნენ უფრო სერიოზულ როლებშიაც. სასცენო ტანისამოსი პიესისათვის დაბარებული იქმნა ტფილისიდან, მაგრამ რადგანაც ტფილისიდან უარი შემოთვალეს, ამიტომ იძულებულნი გახდნენ ზოგიერთი ტანისამოსი აქვე შეეკერათ. პიესის შესწავლის დროს რეჟისორობის მოვალეობა და წარმოდგენის დროს სცენარიუსობა იკისრა თავადმა იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძემ, რომელმაც დიდი შრომა და ჯაფა გასწია და რომელიც არის, სხვათა შორის, ერთი თავი მიზეზი წარმოდგენის ასე ჩინებულად ჩატარებისა. ეს წარმოდგენა გვაძლევს საბუთს იმისას, რომ ადვილად შესაძლებელია კავკავში ქართული წარმოდგენები უფრო ხშირად იმართებოდეს.

მგზავრის შენიშვნები

კავკავიდან ვარშავამდე

მსოფლიო გამოფენის გამო დღეს აუარებელი ხალხი მიემშურება საფრანგეთისაკენ. ყველა ხელობის კაცს, რასაკვირველია, თავისი საგანი აქვს – ზოგი მიდის მრეწველობისა და აღებ-მიცემობის საქმისათვის, ზოგი მიემშურება დროს გასატარებლად, გასართობად და ზოგსაც ჰსურს გაიცნოს, შეძლებისდაგვარად, განათლებულ სახელმწიფოების მდგომარეობა სწავლა-აღზრდის მხრივ, გაიცნოს ის საშუალებანი, რომლებიც ხელს უწყობს სწავლა-განათლების კეთილს მიმდინარეობას დასავლეთს ევროპაში. მეც, თქვენს უმორჩილეს მონას, ამ აზრით აღჭურვილს, საღერღელი ამეშალა, ავყევი ფეხის ხმას და, თუმცა-ღა კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც მივჩინდრიკობ: თუ საფანელი არ შემომაკლდა, ვაპირებ პარიჟის გამოფენის და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ შესანიშნავ ადგილის ნახვას.

რაც შეადგენს უმთავრესს საგანს ჩვენის მგზავრობისას, ამის შესახებ შემდეგ, უფრო გარკვევით და დალაგებულად, ეხლა კი ვეცდები გადავცე მკითხველებს სხვა და სხვა ჭრელ-ჭრელი ამბავნი, გზად ნაამბობნი.

მგზავრობის დროს ხშირად შეხვედებით სხვა და სხვა ჯურის ხალხს, რომელთაც პირველად ჰხედავ. ყველა აქეთ-იქით იცქირება, იქნება ვინმე ნაცნობი ვიპოვო და დაველაპარაკო. ვაგონში, სადაც მე მოხვდი, ძალიან ბევრი ხალხი იყო, მგზავრები ერთმანეთს შეს-ცქეროდნენ და ჩუმად იყვნენ. ამ საზოგადო სიჩუმის დროს ვაგონში შემოვიდა თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებული ოსი. ჩემ გვერდით ერთი გერმანელი იჯდა; ცოტა თავისუფალი ადგილი კიდეც იყო და ოსმაც იქ მოიკალათა. გერმანელი დიდხანს უცქეროდა ოსის მო-კაზმულობას, ცოტა არ იყოს ეწყინა კიდეც, რადგანაც ოსმა ადგილი შეუვიწროვა, მაგრამ გული მალე მოიბრუნა, მიუთითა მასრებზე და ჰკითხა, რა არის ეს და ან რისთვის გინდაო? ოსი ოხუნჯი გამო-დგა: უპასუხა, მასრებში ასაფეთქებელი წამალი მაქვს და თუ საჭირო გახდა, თითო მასრიდგან შეიძლება შვიდი კაცი იქმნას მოკლული. გერმანელი ჩაფიქრდა. გავიდა ცოტა ხანი და ოსმა თამბაქოს დაუწყო წევა. გერმანელს შეეშინდა, პაპიროსისაგან წამალი არ აფეთქდესო, ადგა და გავიდა მეორე ვაგონში. ამის ადგილსაც ოსი დაეპატრონა. ამ ოსის ოხუნჯობამ ერთი ამბავი მომაგონა. ერთხელ, განსვენებული აღ. ყაზბეგი ცხვარს აძოვებდა. მივიდნენ მასთან მთაში ფრანგი მოგ-ზაურნი და დაუწყეს ლაპარაკი დამტვრეულის რუსულით. ყაზბეგმა ფრანგებს ფრანგულად მისცა პასუხი. ფრანგებს გაუკვირდათ, რომ უბრალო მწყემსი ფრანგულად ლაპარაკობდა. ეს შეატყო ყაზბეგმა და დაუმატა, – რა გიკვირთო, ჩვენში ყველა მწყემსმა ჩემზე უკეთ იცის ფრანგული. ეს უბრალო ოხუნჯობა ფრანგებმა მართლად მიიღეს და ერთს ფრანგულს ჟურნალში, სადაც თავისს მოგზაურობის ამბებს სწერდნენ, სხვათა შორის ისიც დაეწერათ, რომ საქართველოს მწყე-მსები ჩინებულად ლაპარაკობენ ფრანგულსაო.

ოსის ოხუნჯობამა და გერმანელის გაქცევამ საბუთი მისცა მგზა-ვრებს ელაპარაკათ საზოგადოთ კავკასიელების შესახებ. ვისაც რა გაეგონა ზღაპრად, თუ ნამდვილად, ყველამ წარმოსთქვა – ვინ რა და ვინ რა; ერთმა დედაკაცმა, რომლის ქმარიც თურმე ტფილისში ჰმსა-ხურობდა, სთქვა, რომ ტფილისში ცოლი და ქმარი რომ მიდიოდნენ ერთად, გამოვარდება ვინმე, ცოლს წაართმევს და მოიტაცებსო. მო-იხსენიეს „თუშურის ყველის“ ამბავიც და სხვანი, რომლის მსგავსი და შეიძლება უარესიც სხვაგანაც ბევრი ხდება, მაგრამ ან უყურადღებოდ რჩება და ერთის უკუღმართის საქციელს მთელს ხალხს და ერს არ აწერენ; მაგრამ სავალალო უფრო ის არის, რომ ასეთის ცრუ ამრე-ბის შედგენას და ხალხში გავრცელებას კავკასიელთა შესახებ ხელს

უწყობენ ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთებიც, სადაც ხშირად იბეჭდება ამბები კავკასიის შესახებ შემდეგის სათაურით: „Кавказские нравы“. მერე იცით რა ყოფილა ისეთი მნეობა, რომელიც თურმე მარტო კავკასიაში ხდება – რკინის გზის კონდუქტორს უბილეთო მგზავრი წაუყვანია, ფულები თითონ აულია და ჯიბეში ჩაუდვია. ეს ამბავი, თურმე, ნუ იტყვით, მარტო კავკასიაში ხდება და არა ყველგან, თვითონ ავტორის თვალწინაც ყოველდღე. ამისთანა მეგაზეთეები ან სრულიად მოკლებულნი არიან დაკვირვებითს ნიჭს და ან განზრახ ცდილობენ სახელი გაუტეხონ კავკასიელთ. ბეჭდვითის სიტყვით ქვეყნის სამსახური მარტო ჭორების წერით არ გამოიხატება და ვინც საქმითა და სიტყვითაც თავისს საგანს სიმართლით არ ემსახურება, ის ყოველთვის მავნებელია და უღირსი საზოგადო საქმის სამსახურისა.

ამ გრძნობით ვიყავი შეპყრობილი, როდესაც ვაგონში შემოვიდა ერთი მეტად მოხუცებული სამსახურს გარეშე მყოფი რუსის მღვდელი. ორპირის ქარისა ეშინოდა და მყუდრო ადგილს ეძებდა. მეც ჩემთან მოვიწვიე და დავიწყეთ ბაასი. დიდი ღირსება ამ პატიოსანის მამისა, როგორც მისი სიტყვებიდანა სჩანდა, ის იყო, რომ მას თავისს სიცოცხლეში არ უღალატნია ერთხელ არჩეულის გზისა და ამრისათვის. მისის სიტყვით, როცა მღვდლად კურთხეულა, წაუკითხავს მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილება, რომელშიაც სწერია, რომ მღვდელი ახალთაობის აღმზრდელი უნდა იყოსო. იმასაც უფიქრია, მოდი, ჩემს სიცოცხლეში ამ ამრს მაინც განვახორციელებო და მართლაც, სამოციის წლის განმავლობაში თავისის საფასითა და მეცადინეობით უწარმოებია პირველ დასაწყისი სასწავლებელი თავისის მრევლის შვილებისათვის. ამ მოღვაწეობისათვის ქვეყნიურ ჯილდოდ ხელმწიფე იმპერატორის კაბინეტიდან დიდი გულსაკიდი ოქროს ჯვარი მიუღია ოქროსავე ძეწკვით. ამ საქმეში ჩემი ნივთიერი შეძლებაც ხელს მიწყობდა და ეხლა მოხარული ვარ, რომ თავიდან დაწყებული საქმე სამოცი წელი ვაწარმოვე და არ მიღალატნია არც ერთხელაო. ნეტარება იმას, ვისაც ქონებასთან ერთად ასეთი პატიოსანი სული და გულიც თან დაჰყვება. იმას სვიმონისებრ თამამად შეუძლიან სიამოვნებით წარმოსთქვას: „აწ განმიტევე მონა შენი, მეუფეო“–ო.

ერთი სადგურის შემდეგ დავშორდი ერთმანეთსა, გადავკეე მეორე მატარებელში, სადაც ვაგონში დავინახე ახალგაზრდა მღვდელი; რადგანაც პირველი მღვდლის გაცნობით და მასთან ლაპარაკით ნასიამოვნები დავრჩი, მივედი და ამ მღვდლის გვერდით დავიჭირე თავისუფალი ადგილი. ეს მღვდელი პოლტავის გუბერნიიდან იყო –

მცირე როსიელი; მაშინვე მომაგონდა, რომ ამ გუბერნიაში გაატარა თავისი უკანასკნელი დღეები მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს გამოჩენილმა პოეტმა დ. გურამიშვილმა და ვკითხე, საეჭვოა, რომ მისს შესახებ რამე ცნობები ზეპირგადმოცემით ან წერილობით არ დარჩენილიყოს მეთქი. მღვდელმა მიპასუხა: დ. გურამიშვილის შესახებ წამიკითხავს რაღაცეები ძველს ისტორიულს წიგნში, მაგრამ ახლა არ მახსოვს, რადგანაც მაშინ ისეთი ყურადღება არ მიმიქცევია – ის წიგნი ეხლაცა მაქვსო, მიმიპატიუა სოფელში, მაგრამ მოუხერხებელი იყო წასვლა მასთან და ამიტომ შემპირდა – ხელახლად წავიკითხავ, ამოვწერ და გამოგიგზავნიო. ამის შემდეგ გავშორდით ერთმანეთს.

კიევში ჩამოვხდი. კიევი მთელს რუსეთში ერთი უმშვენიერესი ქალაქია, მდებარეობითა და ბუნების სიმშვენიერით მას ვერცერთი რუსეთის ქალაქი ვერ შეედრება. დავათვალიერე წმ. სოფიოს ძველი ტაძარი, წმინდანების ნაწილები და ტაძრის ყველა შესანიშნავი ადგილები... ეს ტაძარი ერთი უძველესთაგანია მთელს რუსეთში და თავისის ძველის ბერძნულ მხატვრობით კარგად ჰმოქმედებს მნახველებზედ. კიევის ლავრა ცოტად მოშორებით არის ქალაქზედ და ამიტომ მისი ნახვა ვერ მოვასწარი.

კიევში ოცდაათამდის ქართველი სტუდენტობა იქნება. ამათ თავისი მოვალეობა კარგად აქვსთ შეგნებული – მათი აზრია შეიძინონ საფუძვლიანი სწავლა-ცოდნა და შემდეგ დაუბრუნდნენ იმ ქვეყანას, რომელიც „ზრდის და ჰპატრონობს, ისტუმრებს შორსა გზაზედა“, რომ სწავლით აღჭურვილნი უკეთ გამოადგნენ სამშობლოს.

ქალაქი ვარშავა სძევს მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირას იმპერატორის ალექსანდრე მეორის ხიდს გაღმა. მდინარის ნაპირას აღმართულია ძველი სამეფო სასახლე, სადაც ეხლა სცხოვრობს ვარშავის გენერალ-გუბერნატორი თავადი იმერეტინსკი. ამ სასახლის წინ აღმართულია მაღალს მრგვალ ქვის სვეტზედ პოლონელთა უკანასკნელი მეფის სიგიზმუნდ III ქანდაკება-ძეგლი. მას ცალ ხელში ამოღებული ხმალი უჭირავს და მეორეში ჯვარი, იქვე ცოტა მოშორებით აღმართულია ძეგლი პოლონელთა მწერლის მიცკევიჩისა. ეს ძეგლიც დიდის ხელოვნებით არის გაკეთებული. ეტყობათ, რომ პოლონელები ქართველებსავით გულგრილად არ უყურებენ ისტორიულ გმირებს და ქვეყნის მოღვაწეებს. სხვა ძეგლთა შორის შესანიშნავია ძეგლი პამკევიჩისა და პოლონეთის რუსეთთან შეერთების სახსოვარი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ვეებერთელა ოთხკუთხს შავ მარმარილოს სვეტს, რომლის ძირში წვანან ლომები და ცოტა ზევით ყოველ კუთხეში ორთავა არწივებია სამეფო გვირგვინით.

საზოგადოდ ეტყობათ, რომ პოლონელებს გატაცებით უყვართ თავისი ღვიძლი ენა და ლიტერატურა. აქ გამოდის რამდენიმე პოლონური გაზეთი, წიგნის მაღაზიებიც ბლომად არის, რუსული გაზეთი მხოლოდ ერთია და ისიც ოფიციალურს ორგანოს შეადგენს. პოლონური ენა ყველგან ხმარებაშია. რუსულად მოლაპარაკეს იშვიათად იპოვით. ლაპარაკი და საქციელი პოლონელებისა დიდად განსხვავდება რუსებისაგან.

ვარშავიდგან ბერლინამდე

ვარშავა, როგორც წინათ მოვისხენიეთ, ბევრით განსხვავდება რუსეთის სხვა ქალაქებისაგან, მაგრამ გაშორდებით თუ არა ვარშავას და პირს იხამთ დასავლეთისაკენ – ეს განსხვავება უფრო თვალსაჩინო ხდება: მატარებლების სწრაფი მიმოსვლა, ყველაფერში სისწრაფე, გაცილებით ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი გატყობინებთ, რომ აქ სულ სხვა ჰაერი და სხვა ხალხია. მაგრამ ერთი გარემოება – გერმანული ენის უცოდინარობა მეტად აღონებს გამოუცდელს მგზავრს. მართალია, რამდენიმე საყველპურო სიტყვა უკვე გაზეპირებული მქონდა, მაგრამ ორიოდ სიტყვით გზის გაგნებაც ძნელია, თორემ ყველაფრის გაგება და საფუძვლიანად დათვალეიერება ხომ სრულიად მოუხერხებელია. ამ ფიქრით ვიყავი მოცული, როცა ვაგონში დავინახე ერთი ჩემი ნაცნობი პეტერბურგელი ყმაწვილი, კარგად მცოდნე გერმანული ენისა, რომელიც საზღვარგარეთ მიდიოდა. იმის დანახვამ სრულიად გამიფანტა ბურუსიანი ფიქრები, რადგანაც ის შეიქმნა ჩემთვის ყოვლის მხრით სასურველი ჩიჩერონე.

გასცილდებით თუ არა საზღვარს, ჭრელი სვეტები თავს დაგიკრავს, თქვენს თვალწინ გადიშლება უზარმაზარი ფიჭვნარი, მშვენიერი ბაღები, რიგზე ჩამწკრივებული დეკორატიული ხეები. მთელი ეს არე-მარე, განსაკუთრებით ზაფხულში, წარმოადგენს ერთს ყვა-ვილოვანს, ვეებერთელა წალკოტს, სადაც ყველაფერი თავის რიგზეა, ყოველი მცენარე, ბალი, ბოსტანი, ყანა თავის თავად გეუბნებათ, როგორის კულტურის მქონებელია მისი პატრონი. მართალიც უნდა გითხრათ, აქ ყველაფერში გერმანული გამჭრიახობა იხატება, გერმანული სისუფთავე, რომელიც წინად მხოლოდ გაგონილი გვექონდა, ეხლა ჩვენის თვალით ვიხილეთ ყველგან. თითონ ტყეში, თითოეული

ხე არ არის დატოვებული უყურადღებოდ, ხეზე ვერ იპოვით ვერც ერთ გამხმარ ტოტს, ტყეში ვერ იპოვით ვერც ერთს იმისთანა საგანს, რომელიც თვალში ეჩხირებოდეს ვისმე.

მიუახლოვდებით გერმანიის სატახტო ქალაქ ბერლინს. სურათი თანდათან ჰმატულობს. ვეებერთელა ქალაქი ორ მილიონ ნახევარ მცხოვრებელითურთ, უზარმაზარი ხუთ სართულიანი შენობები, ურიცხვი რკინის გზები, ვაგონების სწრაფი მოძრაობა ქალაქის ერთის კუთხიდან მეორეში, აუარებელი ძეგლ-ქანდაკებანი, რომლის შესახებ ცნობებს აქაური შვიდი-რვა წლის ბავშვიც კი გადმოცემთ, სასტიკი წესიერება – ყველა ეს უცხო მგზავრზედ ძლიერადა და ამოუშლელად ჰმოქმედებს. ბერლინის ყველა შესანიშნავი ნაწილის დათვალიერებას და გაცნობას კაცი რამდენიმე წელიწადს ვერ მოასწრებს, ამიტომ, რასაკვირველია, ბევრი კარგი და შესანიშნავი ადგილი დაუთვალიერებელი დაგვრჩა.

ერთს ფრიად შესანიშნავ დაწესებულებას არა მარტო ბერლინში, არამედ მთელს ქვეყნიერებაზედ შეადგენს აქაურის ბოლოლოგიური ბაღი. იშვიათი იქნება ქვეყნიერებაზედ ისეთი ცხოველი არსება, რომ ამ ბაღში არ მოიპოვებოდეს, ისიც რამდენიმე ცალი. ყველა ჯურისა და მოდგმის ცხოველსა და ფრინველს თუ ქვეწარმავალს თავისს შესაფერისად აქვს ცხოვრება და სადგომი მოწყობილი. როგორც უზარმაზარი სპილოები ინდოეთისა, ისე ყინულიანი ზღვის ძაღლებიც თავიანთ თავს სამშობლოში ჰგრძნობენ. ბაღში შესვლა ღირს 50 ფენინგი – 25 კაპ. ბავშვები ნახევარს იხდიან. გერმანელი მოდის თავისის სახლობით, დაათვალიერებს რომელსამე უფრო საინტერესო ნაწილს ბაღისას, მამა ესაუბრება შვილებს ცხოველთა ცხოვრების შესახებ და შემდეგ, როცა დაღლილობას იგრძნობენ, დასხდებიან ბაღში საუზმედ, რომელიც თან მოტანილი აქვთ; ბუფეტიდან მოითხოვენ მხოლოდ ლუდს, რომელსაც დიდიან-პატარიანად დიდის სიყვარულით ეტანებიან და ბლომდაც სვამენ. დასტამბული წიგნების გავრცელება თავდაპირველად გერმანიიდან დაიწყო. პირველი მომგონი და დამაარსებელი სტამბისა იოვანე გუტენბერგი ღვიძლი შვილი იყო გერმანიისა. ხუთასი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაიბადა ეს კაცობრიობისათვის შესანიშნავი მეცნიერი, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქვეყანას თავის გამოგონებით. ვინ არ იცის უსტამბოდ რა გაჭირვებაში იყო ძველად ყველა ერი; სტამბის დაარსებამ გუტენბერგის წყალობით, ყველა საუკეთესო ადამიანის გულისა და გონების ნადები და მოქმედებანი ადვილად მისაწვდენი

გახდა ყველასათვის. იმის წყალობით წიგნმა, რომელიც ძველად მხოლოდ მდიდართა კუთვნილებას შეადგენდა და ამშვენებდა მდიდრულ სასახლეებს, შესძლო ღარიბის ქოხში შესვლაც და შიგ შეტანა სიყვარულისა, ცოდნისა და განათლებისა. ტემპარიტად, წიგნის ბეჭდვის საქმემ უეჭველად ბევრი იმოქმედა ხალხში განათლების გავრცელებისათვის. ლუდოვიკ XII სწერდა 1513 წელს, როცა პირველად გამოვიდა ბეჭდური სიტყვა: „წიგნების სტამბვის ხელოვნება და მეცნიერება უფრო ღვთაებრივი გამოგონებაა, ვიდრე კაცობრივი“. ამ შესანიშნავის მეცნიერის ხუთასის წლის დაბადებას დღესასწაულობდნენ წელს ივნისში თითქმის ყველა ერი, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვა და სხვა რიცხვს, რადგანაც ნამდვილი რიცხვი მისი დაბადებისა არავინ იცის. გერმანელები კი დღესასწაულობდნენ 24 ივნისს, რადგანაც ამ დღეს არის დაბადება იოანე ნათლის მცემლისა და გუტენბერგსაც იოანე ერქვა. ყველამ, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ამ სტამბის დღესასწაულში, კარგად მოაწყო, იდღესასწაულეს შესაფერისი პროგრამით და დაუდგეს ძეგლები. ყველაზე უფრო კარგად ეს სტამბის დღესასწაული გარდაუხდიათ ქ. მაინცს, სადაც დაიბადა გუტენბერგი. 24 ივნისს აქ გადაუხდიათ დღესასწაულებრივი პარაკლისი და შემდეგ დაუდვიათ გუტენბერგის ძეგლზე აუარებელი გვირგვინი. 25 ივნისს ყოფილა დიდებული ცერემონია-მსვლელობა, რომელშიაც მიუღია მონაწილეობა 3000 კაცს ფეხით, ცხენებით და ეტლებით. ამ მსვლელობაში ცალკე ისტორიული ჯგუფი წარმოადგენდა თურმე უკეთესს კულტურულს მოვლენას ამ ხუთასის წლის განმავლობაში. ამნაირად, მაცურებელნი ჰხედავდნენ თვალწინ მიმავალს ეპოქის შესაფერისის ტანისამოსით ფილოსოფოსებს, შესანიშნავ მეცნიერებს, პოეტებს ერაზმიდგან დაწყებულს ტორკვატო ტასსოს, კოპერნიკის და სხვათა უკანასკნელ საუკუნომდე. ამ სტამბის დღესასწაულით ყოველგან სცდილობდნენ ეგრძნობინებინათ კმაყოფილება სტამბაში მოღვაწეთათვის, მაგრამ არსად თვალსაჩინო სასარგებლო საქმით, რომლის ღირსია ხსოვნა დიდებულის მეცნიერის გუტენბერგისა, მისი 500 წლის დაბადების დღესასწაული არ დაუგვირგვინებიათ. თვით გერმანელებს, რომელთაც ამ საქმეში შეეძლოთ ბევრის გაკეთება, სხვებთან შედარებით, ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ. აქ ბერლინში ერთმა მესტამბემ მიაშობ, რომ საზოგადოდ ამ დღესასწაულს ბერლინში ძალიან უფერულად ჩაუვლია.

ერთს რუსულ გაზეთში, რომელიც საზღვარს ახლო გამოდის, ამ ცოტა ხანში ამოვიკითხე ბერლინის ცხოვრებიდან ერთი ძნელად და-

საჯერებელი ამბავი, რომელიც შემოწმების შემდეგ მართალი გამოდგა და რომელიც დიდს ჩრდილს ჰფენს გერმანელების სწავლა-განათლების საქმის გავრცელებას ხალხში. არ გვეგონა თუ ასეთი ამბები შეიძლებოდა მომხდარიყო უგანათლებულების ქვეყნის დედაქალაქში. რასაკვირველია, გუტენბერგმა ერთის მხრივ თავისი გამოგონებით განათლების საქმე წინ წასწია გერმანიაში და მთელს ქვეყნიერებაზედ. გერმანიაში მწიგნობრობის საქმემ მიიღო დიდი განვითარება, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ აქაურს ხალხშიაც ცრუმორწმუნეობა, სხვა და სხვა გვარ მისნობის რწმენა, რომელიც შეადგენს თვისებას ადამიანის უმეცრებისას, ყოფილა და ისიც სატახტო ქალაქში. აი, ამის საბუთიც: ერთს ახალგაზრდა კაცს, მუშათა კლასიდან, რომელსაც მუშაობაში ვერაფერი ხეირი უნახავს, გამოუცხადებია გაზეთში, რომ მისანი ვარ / Цыган/, ვიცი ბანქოთი მკითხაობა და სხვა და სხვა მისნობაო. სხვა და სხვა წოდებიდან მუშტარი ბლომად აღმოსჩენია. ამ ახირებულ და გაიძვერა კაცის მახეში მოჰყოლია, სხვათა შორის, ერთი ყმაწვილი მკერვალი ქალი, რომელსაც ჯერ უკითხავდა და შემდეგ ეთამაშებოდა ბანქოს და თითონ იგებდა. ამნაირად თანდათან აცლიდა თურმე საბრალო ქალს რაც ფული ებადა. შემდეგ მისანს მიუცია რაღაცა სასმელი და უთქვამს, თუ გსურს ერთბაშად გამდიდრება, წადი ეშმაკების ტბასთან პოტსდამში /ბერლინის ახლო/, იქ დალიე და ავი სული დაგაყრის ფეხებში აუარებელს ოქროსაო. ქალი გაბრიყვებულა, აუსრულებია ყველა ეს და რამდენისამე წუთის შემდეგ იქვე გარდაცვლილა, სასმელი საწამლავი აღმოჩენილა. მკვლელი გაქცეულა საბრალოს ბინაზედ, წაულია რაც ფული უნახავს სახლში და ნივთებიც დაუგირავებია. სასამართლოში აღმოჩენილა, რომ ეს გმირი არა ერთს სულიერს ატყუებდა თურმე, რადგანაც ცრუმორწმუნეთა რიცხვი აქ ბევრი ყოფილა. ნაფიც მსაჯულთ ბრალდებულისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ. კითხულობ ყველა ამას და არ გჯერა, რომ ეს მოხდა XIX საუკუნის მიწურულში უგანათლებულების ერის სატახტო ქალაქში და არა სადმე მიყრუებულს პროვინციაში; არა გჯერა, რომ ხალხი წიგნებიდან განვითარების გარდა ამისთანა განათლებულს ქალაქში იჩვევა და სწამს მისნობა და მკითხაობა.

ბერლინიდგან პარიჟამდე

გერმანელთა შორის ყველაზე უფრო მოსაწონია წესიერების დაცვა და სიყვარული, როგორც საზოგადო, ისე კერძო საქმეებშიაც. გერმანელს კარგად ესმის, რომ ცხოვრებაში წესრიგს დიდი მნიშვნელობა აქვს – ბერლინელი ფრანგთან შედარებით უფრო ამაყად გეჩვენებათ, მაგრამ ყველგან ასე არის – საზოგადოდ მოქალაქეობრივი ცხოვრება გერმანელთა შორის ბევრგან ძალიან განვითარებულია. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ერთი პატარა ქალაქი ჰონოვერი. ეს ქალაქი ფრიად ლამაზი და კოხტაა და მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხშირად გარეგანი სახე სრული გამომხატველია შინაგან თვისებათა. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს პატარა და კოპწია ქალაქი პირდაპირ ელაპარაკება მგზავრს, რომ აქ ისეთი მკვიდრია, რომელიც თავისის მოქალაქეობრივი ცხოვრებით ევროპის ბევრს სხვა ქალაქზედ წინა სდგას. ჰონოვერში იშვიათად შეხვდებით პოლიციის რომელსამე მოხელეს და თუ არის სადმე, სრულიად უსაქმოდ, რადგანაც არავითარი შფოთი, ერთმანეთის წყენა, მშვიდობიანობის დარღვევა და სხვა პოლიციის სათვალყურო საქმეები აქ სრულიად არა ჰხდება.

ქ. ჰონოვერიდგან მგზავრი გაივლის მეორე ქალაქ კელნში, რომელიც სძევს მდ. რეინის ნაპირს. რეინი დიდი მდინარეა. ამ მდინარეზე თავისუფლად და სწრაფად დადიან მოზრდილი გემები. ქ. კელნის ერთს შესანიშნავს და ძვირფასს განძს შეადგენს კელნის ტაძარი, აშენებული რვაასის წლის წინად. ყველა მგზავრი სიამოვნებით სტკბება, როცა უცქერის ამ ძვირფასს განძს საზოგადო ხუროთმოძღვრებისას. მგზავრი სტკბება ცქერით და თან ჰსურს თვალი დიდხანს არ მოაშოროს. სიმაღლე ამ ტაძარს 156 მეტრი აქვს, რაც 72 საჟენს შეადგენს; ეიფელის კოშკთან შედარებით ეს სიმაღლე ძალიან ცოტა არ არის, მაგრამ ყველაზედ უფრო აღტაცებაში მგზავრი მოდის ამ ტაძრის ხუროთმოძღვრებით – ყველა ნაწილი ტაძრისა, გარეგანი თუ შინაგანი, მშვენიერს და სუფთა ქანდაკებას წარმოადგენს და ადამიანი განცვიფრებაში მოდის რომ რვაასის წლის წინად ადამიანის ხელსა და გონებას შეუქმნია ასეთი უნაკლო და ყოვლის მხრივ ესტეტიური გრძნობის დამამტკიცებელი ქანდაკება-მხატვრობანი. ეს ტაძარი თითქმის შუა ქალაქშია, რკინის გზის სადგურთან. უცხო მგზავრს აქვე ეგებება

განსაკუთრებული ამ საქმის მოხელე კაცი, რომელიც ჰპირდება სამსახურს ტაძრის დათვალიერების დროს. ამას გარდა ეს ქალაქი განთქმულია შესანიშნავის ოდეკალონით, რომელსაც ფარინის ოდეკალონი ჰქვია; იშვიათად გაივლი ქუჩაში, რომ ოდეკალონის სურნელება არ იყნოსო. ზოგიერთს დიდს მალაზიებს ოდეკალონით რწყავენ. ყველა ამასთან ქ. კელნი განირჩევა საზოგადოდ ყველაფრის სიძვირით: ბინა, სასმელი, საჭმელი, სხვა ქალაქებთან შედარებით ძალიან ჰძვირობს. აქვე არის ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღები; ბაღში შესვლა ძვირად ღირს, მაგრამ ვისაც ამისთანა ბაღი უნახავს ბერლინში, იმაზედ კელნის ბაღები უკეთესად ვერ იმოქმედებს.

ქ. კელნიდან გაივლით ერთს პატარა სახელმწიფოს – ბელგიას. ამ სახელმწიფოს კოხტა ბუნება, ჰაერი, მცენარეულობა და საზოგადო მდებარეობა მოგაგონებთ იმერეთის ზოგიერთს ადგილებს, მხოლოდ, იმ განსხვავებით, რომ აქ სიცოცხლე სდუღს, უთვალავი ფაბრიკები, ქარხნები და საზოგადოდ ხვნა-თესვა, მრეწველობა გაჩაღებულია; ყველა მიყრუებულ კუთხეშიაც კი გადის რკინის გზა, თხუთმეტის დღის განმავლობაში ერთ თუმნად შეგიძლიანთ მთელი სახელმწიფო შემოიაროთ. მგზავრი ცხადად ჰხედავს, რომ ალებ-მიცემობასთან ერთად ბელგიაში ძალიან განვითარებულია მიწის მუშაობაც; ბელგიაში ერთ მუჭა თავისუფალ მიწას ვერ იპოვით. საქონლისათვის სთესენ იონჯას და სხვა ნოყიერ ბალახს, რომელიც მშვენიერ საკვებ მასალას იძლევა და მასთან მიწასაც არა ჰღლის. იონჯას შემდეგ ჩინებული პურის მოსავალი იცის. მშვენიერი ბაღები, კარგი ყანები, ბოსტნები ბელგიაში იმასა ჰმოწმობენ, რომ მიწის სივიწროვეს აქ სრულიად არ მოჰყვება ნიადაგის გამოფიტვა; ეტყობა, რომ ბელგიელი მიწის მუშაკი შესაფერისად უვლის მიწას, საკმაოდ უბრუნებს იმ საზრდოს, რაც მოსავლით წაართვა, ამუშავებს წესიერად და ამიტომ მისი შრომა ყოველთვის უხვად დაჯილდოვებულია.

ახენში, რომელიც ბელგიისა და გერმანიის საზღვარზეა, ფრანგი კონდუქტორები იბარებენ გერმანიის ვაგონებს. აქ ყველა მგზავრი შენიშნავს, რომ ფრანგებსა და გერმანელთა შორის კეთილი ძმური განწყობილება არ უნდა იყოს: ფრანგი არასოდეს გერმანულად არ დაელაპარაკება გერმანელს და არც ეს უკანასკნელი ფრანგს გამოელაპარაკება ფრანგულად. მამ ბურთი და მოედანი მუნჯურ ლაპარაკს რჩება. ფრანგის კონდუქტორი ჩაიბარებს ვაგონებს და გაუდგებიან გზას. ამგვარი დამოკიდებულება მათ შორის აღმოცენებულია ისტორიულს ნიადაგზედ. მას შემდეგ, რაც გერმანიამ სძლია საფრანგეთს და

წაართვა მშვენიერი პროვინცია ელზას-ლოტარენგია, ფრანგს მოსვენება არა აქვს; თუმცა-ღა დღეს გარეგნობით ყველა მშვიდობიანობის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ ეს დამარცხება ფრანგს ლახვარსავით ასვია გულში და მუდამ იმის ჭმუნვაშია, როდის დადგება შესაფერისი დრო, რომ მშვენიერი ვოგების მთები გადავიარო და კვლავ დავიბრუნო უკან ქვეყნიერი სამოთხე – ელზას-ლოტარენგიაო; მაგრამ ეს ოცნება ფრანგისა დიდხანს ოცნებადვე დარჩება, რადგანაც ფრანგის საზოგადო ცხოვრებაში ვერ შენიშნავთ ისეთს საზოგადოების წესრიგიანობას, როგორც გერმანელთა შორისაა. მართალია ფრანგი სხვა განვითარებით გერმანელს არა თუ ჩამორჩება, არამედ საფრანგეთი გერმანიაზე ბევრით მაღლა სდგას, მაგრამ რაც შეეხება საზოგადოებრივ წესრიგიანობას – ეს გერმანიაში უფრო განვითარებულია, ვიდრე საფრანგეთში.

მსოფლიო გამოფენა საზოგადოდ თავისის სიდიადითა და კეთილგანწყობილებით დიდათ ჰმოქმედებს მნახველზედ, რომელიც ურიცხვის სანახავობისა გამო უცბად იღლება. ამ ჟამად პარიჟში აუარებელი ხალხია; გამოფენის გარდა ამის მიზეზია ფრანგების საერთო დღესასწაული, რომელიც ერთ კვირას გასტანს. ეს დღესასწაული რესპუბლიკის დაარსების ასის წლის დღე, რომელიც შესრულდა 14 ივლისს. ამის გამო ქალაქი გაჩირალდებულია, თეატრებში წარმოდგენები ხალხისათვის უფასოდ არის; ეს ეროვნული დღესასწაული მშვენიერი სანახავია ღამით, მაგრამ ამასთან ჰხედავთ ქუჩებში აქეთ-იქით არეულობასაც.

ფრანგს ზარხოშად ყოფნა უყვარს. იქნება ესეც დღესასწაულის გამო იყოს; ზნეობით თავისუფლება ხომ უმწვერვალესს ხარისხამდის არის ასული ამ განათლებულს ქვეყანაში. ზოგიერთს სასტუმროებში მოსამსახურე ქალები თითქმის ევას სამოსლით ჰმსახურობენ. ამას გარდა, ფრანგებს ხალხისათვის ათასნაირი სათვალსეირო მოუგონიათ. ერთს ქუჩაზედ აჩვენებენ ტრანსვალიდგან მოყვანილს ზანგებს, რომელთაც ხალხის გასართობად ამასხარავებენ. დაქანცული და მრავალტანჯული სახე ამ საცოდავებისა გულშემატკივარს ადამიანს უფრო კაცთმოყვარულ გრძნობებს გაუღვიძებს, მაგრამ ფრანგი ამას არ დაგიდევს. იგი სცდილობს მხოლოდ ამ საცოდავების მასხარაობით, რაც-კი შეიძლება, ბევრი ფული შეიძინოს. ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ გვჯერა, რომ უკეთესს მდგომარეობაში არ იქმნებიან ის 30 ოსი, რომელნიც ჩვენის ქვეყნიდგან აქ წამოიყვანეს ამას წინათ.

პავკაპის ავ-კარმი

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს. მანდილოსანთა საზოგადოება, – მათი საერთო საქმის უკან სვლა და ამის მიზეზები. წიგნით ვაჭრობის საქმე. ხელოსანთა შორის ახალი ამხანაგობა. სასურველი შედეგი ახალის ჩვეულებისა. სამაგალითო საქმე ერთის პატიოსანის ქართველისა. სიტყვას ყოველთვის საქმე სჯობიან

დიდი ხანია თქვენს უმორჩილესს მონას კავკავიდეგან „ივერიის“ მკითხველებისათვის არაფერი ამბავი მოუწერია. ამის მიზეზი, სხვათა შორის ისიც არის, რომ იტყვიან: მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. ბევრის ჩემისტანისათვის შეკაზმული ცხენი კი არა, უხეირო ჯაგლაგიც ზოგჯერ სანატრელია, რადგან მართლის თქმა მათ იაფად არ უჯდებათ ხოლმე, მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც ყველა ადამიანის ბუნება ვერ იტანს დუმილს საზოგადო ცხოვრების შესახებ და ბოლოს მაინც იკრებს მოქალაქეობრივ სიმამაცეს და ყველა ავ-კარგის გამჟღავნებას არჩევს, რადგანაც „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდება“.

ვინც კარგად დაჰკვირვებია ქართველის ხალხის საზოგადო ცხოვრებას, შეტველად შენიშნავდა, რომ ყოველთვის, რამე საზოგადო საქმის დასაწყისს თავდაპირველად დიდის ხალხისთ ვეგებებით, მაგრამ გაივლის მცირე ხანი თუ არა, ჩვენისავე გულგრილობით, დაუდევრობით, ბევრს საზოგადო საქმეს ან ბოლო ეღება სამუდამოდ და ან ისე საცოდავად ჰღაფავს სულოს, რომ მისი არსება მხოლოდ სასიკვდილოდ განმზადებულს მოგაგონებთ. ამ საზოგადო მოვლენამ ზოგიერთ საქმეში აქ, კავკავშიაც, იჩინა თავი. ხუთის წლის წინად აქაურმა ქართველმა მანდილოსნებმა საქებური საქმე დაიწყეს: გამართეს პატარა წრე, რომლის წევრები იკრიბებოდნენ მორიგეობით ხან ერთთან და ხან მეორესთან, ატარებდნენ დროს ხელსაქმის მუშაობით და წიგნების კითხვით. ამასთან თავიანთ ხელის ნაწარმოებს აგროვებდნენ, ჰყიდდნენ და შემოსულის ფულით შემწეობას აძლევდნენ საზოგადო საქმეს. ამისთანა აზრიანი ცხოვრება და კეთილი მოქმედება აქაურის მშვენიერის სქესისა სიამოვნებას მოჰგვრიდა ყველა გონიერს ადამიანს, მაგრამ სხვა რა ყოფილა მუდმივი, რომ

ეს წრეც ამდენხანს დარჩენილიყო. იჩინა თავი უაზრო თავმოყვარეობამ, შეეტაკნენ ერთმანეთს მოპირდაპირენი, შეიქმნა მითქმა-მოთქმა – ამან ის თქვაო, იმან ის და ამის გამო უმრავლესი რიცხვი წევრებისა მოშორდა საზოგადო წრეს. დარჩა მხოლოდ თავმჯდომარე, ხაზინადარი და ორიოდ სხვა წევრი; შემდეგ თავმჯდომარეც მოაკლდათ და დღეს დარჩა მხოლოდ ორიოდ ადამიანი, რომელნიც თავის სასახელოდ არა სტოვებენ ამ წრეს და არჩევენ უფრო აზრიანად ცხოვრებას და დროს გატარებასაც, ვიდრე ლოტოებში სიარულს და ოჯახისა და საზოგადოებისათვის უსარგებლოდ ყოფნას. როგორც ამბობენ, აზრად აქვთ შეგროვილის თანხიდგან კავკავში ტრა-კერვის სკოლა გამართონ. აზრი კეთილი და პატიოსანია, მაგრამ ამ აზრის განხორციელებისათვის, ჩვენის აზრით, საჭიროა განდგომილი წევრების შემოერთებაც და საზოგადო საქმის ერთად წაყვანა. ამიტომ სასურველია, რომ ამ ჟამად წრის გამგებლები მოიწვევდნენ ყოფილ წევრებსაც და წარუდგენდნენ მათ შემოსავალ-გასავლის ანგარიშს. ამითი, უეჭველია, მოისპობა ის მითქმა-მოთქმა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში ზოგიერთების შესახებ და სხვა არა სასურველი ხმები, რომელსაც ავრცელებენ ბოროტი ენები. საზოგადოდ იტყვიან, რომ ცუდის ხმების გავრცელება, ჭორიკანაობა და სხვა ამგვარი ბოროტი საქციელი უსაქმური დედაკაცების ჩვეულებათაა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ დედაკაცურს ჩვეულებას ბევრი ჩვენებური ვაჟბატონებიც არ აკლებენ ხელს.

„როდესაც კაცთა გული ნიადაგ
ექებს მოყვასთა ძვირებსა;
გული მშვიდი და მდაბალი
ძრახვას არ გაიკვირვებსა! “...

ზოგიერთი აქაური უსაქმო ვაჟბატონები დიდის გაფაციცებით ყურს უგდებენ, იქნება რასმე ყური მოჰკრან, სალაპარაკო საგანი გაიჩინონ და ათასნაირად გაზვიადებულ-გადასხვაფერებული გაგონილი ხალხში გაავრცელონ. ვინ არ იცის რამდენს ბოროტებას სჩადის ამისთანა სულმდაბალი ადამიანი, ვინ არ იცის, რომ „ენა უკლიტოდ მორბედი ჭირია ულხინებელი“, მაგრამ უფრო ცუდია ის, თუ ცუდმა უაზრო ხმებმა ხალხში ნიადაგი იპოვა. წარმოიდგინეთ, რომ მართლა ვინც უაზრო მითქმა-მოთქმას ყურს უგდებს, ყველაფერი რაც ესმის, მართალი ჰგონია, ყველაფერს თავისს გულის თქმას ჭორზედ ამყარებს, დიდს შეცდომას სჩადის. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის მაგალითები არა ერთი ყოფილა აქ მოკლე დროში, სადაც

„სიცოცხლე, აგრევ სიკვდილი
ხელთა უპყრია ენასა;
სისხლს დაღვრის უბრალოთასა
აჰყვება ვინ შესმენასა“.

ამ სამი წლის წინათ აქ, კავკავში, ბ-ნის მესხიევის სახელობაზმედ დაარსდა საამხანაგოდ ქართულის წიგნებით ვაჭრობა. თავდაპირველად ამ საქმესაც, როგორც მანდილოსნების წრეს, დიდის ხალისით მიეგებნენ, ყველა სიამოვნებით ეკიდებოდა და იხდიდა გადასახადს წიგნებით ვაჭრობის მოსაწყობად და გასაძლიერებლად. ყველანი იმ აზრით იყვნენ გატაცებულნი, რომ ამ უცხო მხარეში წიგნები გავრცელებინათ და ამ საშუალებით ხელი შეეწყოთ შეძლებისდაგვარად დედაენისა და ხალხის გონების განვითარებისათვის. მაგრამ გავიდა დრო, თვე, წელიწადები და ვერც ეს მოლოდინი გავვიმართლდა სასურველად; ან როგორი ვაჭრობა შეიძლება წიგნებითა, როცა არცერთი სახეირო წიგნი არ მოეპოვებათ და არ იბარებენ წიგნებს. ერთის სიტყვით, დაუდევრობასა და უთავდარიგობის წყალობით, შესაძლებელია, რომ მხოლოდ ერთი თუმნის წიგნები გაიყიდოს აქ წელიწადში, მაშინ, როდესაც წელს ერთმა პატარა ბიჭმა მთელის ზაფხულის განმავლობაში ქ. პიატიგორსკში, სადაც ათიოდე ქართველი თუ მოიპოვება, მეტი არა, რვა თუმნის საღირალი ქართული წიგნი გაჰყიდა. მაშასადამე, ყველაფერი შესაძლებელია, თუ საქმეში საზოგადოდ მეტს მხნეობასა და ნიჭს გამოვიჩინთ და ყველა საქმის მოთავენი მოწადინებული იქნებიან საქმეების ნაყოფიერად წარმოებას.

როდესაც კაცი უყურებს ზოგიერთ საერთო საქმის ცუდათ მსვლელობას, უსათუოდ ეჭვი დაებადება, რომ სხვა ახალ საამხანაგო საქმესაც ამნაირი ბედი არ ეწიოს. ამ ჟამად კავკავის ქართველი ხელოსნები აარსებენ ურთიერთ შორის დამხმარებელ ამხანაგობას. აზრი და საგანი ამ ამხანაგობისა რომ ყოვლად კეთილი და პატიოსანია, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა, მაგრამ როცა სხვა აწეწილ საქმეებს ჰხედავს კაცი, რასაკვირველია, ამ ახალს საზოგადო საამხანაგო საქმესაც ეჭვის თვალთ შეხედავს. ყოველს შემთხვევაში ვისურვებთ, რომ ჩვენი ეჭვი არ გამართლებულიყოს და ამ ახალ ამხანაგობას უფრო ნაყოფიერად და საზოგადოდ სასარგებლოდ წარემართოს თავისი ახალი საქმეები და გამოეკეთებინოს ძველი, ამ ჟამად სულმღაფავი საქმეებიც.

ჩვენი საზოგადო საქმეების საერთოდ კეთილად წარმართვა დამოკიდებულია, სხვათა შორის, იმ ერთს კარგს ჩვეულებაზმედაც, რომე-

ლიც გააცნო ამას წინათ ჩვენმა პატიოსანმა მოძღვარმა თავის მრევლს. ეს სასურველი ჩვეულება ის არის, რომ ყველა ადამიანი თავისი ცხოვრების რომელსამე შესანიშნავ დღეს აღნიშნავს არა მარტო უთავბოლო სმა-ჭამით და ქეიფით, არამედ საქველმოქმედო საქმიანაც. ყველა – ნათლობა ექნება, ქორწინება, მიცვალებულის დასაფლავება თუ სხვა, სასურველია აღნიშნავდეს მცირე შეწირულებით, საზოგადო საქმის დახმარებით, საზოგადო საღაროში წვლილის შეტანით. ეს აზრი კავკავში ზოგიერთებმა უკვე განახორციელეს. იმედია, მომხრე ამ ახალის საკეთილო ჩვეულებისა ჩვენში ბევრი აღმოჩნდება და დასასრულ, ეს ჩვეულება სჯულის უმტკიცეს ჩვეულებად შეიქმნება ყველა კეთილშობილის ოჯახისა და კერძო კაცისათვის.

საზოგადოდ კი კავკავის ქართველობა სამაგალითოდ იღწვის საერთო საქმისათვის. ყველა ქართველი არა თუ შეძლებისდაგვარად მზად არის ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს აქაურს სკოლას – პირიქით, აქ თქვენ იპოვით ისეთ კერძო კაცებსაც, რომლებიც თავდავიწყებამდის ჰშრომობენ საზოგადო საქმისათვის, უმატებენ ახალ რასმე სასწავლებელს და ჰზრდიან საზოგადო საქმეს. წელსაც ერთმა მაგალითმა ყველას ნათლად დაანახვა, თუ რამდენი სიკეთე შეუძლიან კერძო კაცს საზოგადო საქმისათვის, თუ იგი არ არის მოკლებული მოძმის სიყვარულს და თუ მას ცხოვრების დევიზად დაუსახავს პოეტის სიტყვები:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე;
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,
აბა მე დღეს ვის რა ვარგე?“

ამისთანა ბუნებისა და ძლიერი სულის პატრონი ადამიანი უფულოდაც მდიდარია. მისი სიმდიდრეა კეთილი გული, მოძმის მიმართ უანგარო და არა დონკიხოტური სიყვარული, სიყვარული იმ პატარა ცხოველ არსებისა, რომელიც შეადგენს ერის მომავალს და მისს ბედნიერებას და ეძებს მისთვის ყველა საჭიროს და სასარგებლოს. კავკავის ქართველებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ წელს ერთმა პატიოსანმა მამულიშვილმა, ღარიბმა ფულით, მაგრამ მდიდარმა სულით, რომელიც ყოველთვის დიდი მოამაგე ყოფილა და არის აქაური საზოგადო საქმეებისა, თავისი საფასით აუშენა აქაურს სასწავლებელს ერთი მოზრდილი დარბაზი, მასწავლებლისათვის სრული ოთახი, სამზარეულო და სრული დერეფნითა, ავეჯეულობით და ყველა მოწყობილობით, რომლის ფასი, თუ არ ვცდებით 800-900 მანეთამდის

იქნება. იმედია, კავკასის ქართველი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ამ პატიოსანის საზოგადო მოღვაწის ღვაწლს. ეს მაგალითი ჩვენ გვაძლევს სრულს საბუთს ის აზრი გამოვთქვათ, რომ სადაც ამისთანა მცირე შეძლების ადამიანს, როგორც ბრძანდება ბ-ნი ი. გ. შვილევ, შეუძლიან მცირე საშუალებით ბევრის გაკეთება. იქ იმაზედ უფრო მდიდარს მეტი უნდა შეეძლოს და მთელს საზოგადოებას კიდევ მეტი, თუ საზოგადო საქმეში არ მოჭმლიან ერთობას, არ აწყვიებინ უსაფუძვლო ხმებს და არ ჩამოაგდებენ სიძულვილს საზოგადოების წევრთა შორის. ვიცი, რომ ბევრს ეს ჩემი შენიშვნა, ეს ჩემი სიტყვები სასიამოვნოდ არ დაურჩება, მაგრამ მე მაინც

„მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას ვუქებ საძაგელთა, უფერულთა პირსაფერად.
მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მას ვერ ვიტყვი კახაბერად“.

ქართული საღამო

წელსაც, ჩვეულებისამებრ, შობა ღამეს კავკასის ქართული სკოლის დარბაზში, ამავე სკოლის სასარგებლოდ, გამართული იქმნა ქართული საღამო ბაზრით. წრევანდელი საღამო, როგორც შემოსავლით, ისე მოწყობილობით სხვა დროს გამართულ საღამოებისაგან ბევრად განირჩეოდა. სრული შემოსავალი უდრის 1550 მანეთს; მცირედი ხარჯის გარდა, წმინდა შემოსავალი ათას ოთხას მანეთამდე იქნება რაც, საკვირველია, დიდად სანუგეშო და სასახელოა ამ საღამოს გამართვაში მონაწილეათვის. საღამომედ ქართული სასწავლებელი კოხტად იყო მორთული: სკოლის გაფართოებულ დარბაზის დერეფნის კედლები და თვით დერეფანიც მორთული იყო დეკორატიულის მცენარეებით, ნაძვის შტოებით, სხვა და სხვა დასაკრავ და საომარ იარაღებით, გაგუდულ მხეცებითა და ფრინველებით. ესენი ყველა კარგს გემოზედა და ხელოვნურად იყო შესაფერის ადგილას ჩამწკრივებული. დერეფნის ერთი კუნჭული მორთული იყო ძვირფასის ხალიჩებით, ნოხებით, სასტუმრო ოთახად, რომლის კედლებს ამშვენებდნენ საქართველოს შესანიშნავი მწერლებისა და ისტორიული პირების სურათები, მეორე კუნჭულში გამართული იყო ქართული დუქანი სხვა და სხვა სანოვაგით სტუმართათვის; ერთს

ოთახში მოთავსებული იყო ევროპულს გემოზედ მოწყობილი ბუფეტი. ბევრი ქართველთაგანი საღამოზედ გამოწყობილი იყო წითელს ქულაჯებსა და სხვა ეროვნულს ტანისამოსში, რომელიც, სხვათა შორის, ხელს უწყობდა ქართულს საღამოს საზოგადო შთაბეჭდილებას.

ამავე ღამეს, 25 დეკემბერს, კავკავში სხვა ადგილასაც იყო დანიშნული საზოგადო გასართობი საქველმოქმედო აზრით; ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს საღამოს მცირე საზოგადოება დასწრებოდა, რაც დიდად აფიქრებდა და აღონებდა საღამოს გამგებლებს, მაგრამ, მიუხედავად ამ გარემოებისა, დანიშნულს დროს აუარებელი ხალხი მოაწყდა სასწავლებლის დარბაზს. ასე რომ, ახლად გაფართოებული შენობაც კი ვიწროდა სჩანდა. ქართველთა გარდა, საღამოზედ შენიშნავდით ყველა ჯურის და ეროვნების ხალხს: რუსს, ბერძენს, სომეხს, ოსს, ებრაელს, სპარსელს. სასწავლებლის საღამოზედ ბრძანდებოდა თვით თერგის ოლქის უფროსიც თავისის სახლობით, რომელმაც საზოგადო მორთულობა საღამოსი დიდად მოიწონა. ბ-ნმა თერგის ოლქის უფროსმა მთელი საათი დაჰყო სასწავლებელში და ნასიამოვნები დაბრუნდა.

რასაკვირველია, ჩვენ, ქართველებს, გულუხვობა და სტუმართმოყვარეობა არ გვაკლია; სტუმრის მიგებება და დახვედრაც შეგვიძლიან დაურცხვენლად და საზოგადო ცხოვრებაში წესიერებასაც თანდათან ვეჩვევით, მაგრამ ამასთან შევნიშნეთ არა მარტო ქართველებში, არამედ კავკავის ყველა მცხოვრებლებში ერთი ფრიად სიმპატიური თვისება, რომელიც ღირსია ყურადღებისა და ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია ამ თვისებას ყურადღება მივაქციოთ: ყველა ადამიანში, მიუხედავად ეროვნებისა, თუ რომ იგი აღჭურვილია ნამდვილის ადამიანურის გრძნობით, არსებობს საზოგადო აზრი, იდეა სიკეთისა, ქველმოქმედებისა და საზოგადოდ კეთილის საქმის სიყვარული. ეს დედა აზრი, ეს კეთილი განზრახვა და მისწრაფება ანათესავებენ და აკავშირებენ ერთად სხვა და სხვა ერსა და წოდებათ, რომლებიც სხვაფრივ ბევრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ საზოგადო დედა აზრის, იდეის მეოხებით მტკიცედ შეკავშირდებიან ხოლმე ერთმანეთთან წინ მსვლელობის გზაზედ სხვა და სხვა ერნი. ამ საზოგადო აზრის განსახორციელებელ ასპარეზად, სადაც იდეა, სიტყვა საქმედ იქცევა, უპირველეს ადგილად ჩვენ სასწავლებელი და მის კეთილდღეობისათვის ბრუნვა მიგვაჩნია. კავკავის საზოგადოებას, ეროვნების განურჩევლად, კარგად აქვს შეგნებული კავკავის ქართული სკოლის მდგომარეობა, აქაური ქართველების უმეტესი ნაწილის ნივთიერად დაქვეი-

თება, აქაური მცხოვრებლები ყველა ეროვნებისა კარგად იცნობენ ამ სასწავლებელს, იციან ისიც, თუ როგორის მომზადებით შედიან ამ სასწავლებელში ბავშვები და რა სარგებლობა მოაქვს მას ადგილობრივის მკვიდრთათვის და საზოგადოდ ქალაქის მცხოვრებლებისათვის. გულკეთილი მცხოვრებლები ქ. კავკავისა, ეროვნების განურჩევლად, მზად არიან ყოველთვის, რითაც კი შეუძლიანთ, კავკავის ქართულ სასწავლებელს დახმარება აღმოუჩინონ და ამნაირად მოიხადონ ზნეობრივი ვალი მცირედის მოძმის წინაშე. ვისურვებთ, რომ აქაური სახელგანთქმული ქართული საღამო მომავალშიაც ასეთი გამამხნევებელი იყოს მკვიდრთა კეთილი აზრებისა. ვისურვებთ, რომ იდეა საზოგადო საქმის სიყვარულისა, სხვა და სხვა ერთა შორის შეკავშირებისა მომავალშიაც უფრო განმტკიცებულიყოს.

კავკავის ქართულ სასწავლებელში ას სამოცდაათამდის მოწაფე სწავლობს. ამათს მშობლებში შეიძლება მხოლოდ ოცდაათი მოიპოვებოდა ისეთი, რომელთაც შეეძლოს თავისის ხარჯით შვილის გამოზრდა; დანარჩენი სულ ქვრივთა, ობოლთა და უმწეოთა შვილებია. ბევრი, სიღარიბის გამო, სადღაც მიყრუებულ ნესტიანს სარდაფის კუნჭულში ცხოვრობს, სადაც საქონელიც კი საცოდავია, არა თუ ადამიანი. ამისთანა მივარდნილს ანტიჰიგიენურს სადგომში სცხოვრობს რამდენიმე სული ერთად. ამ სიღარიბესთან ადვილი წარმოსადგენია ისიც თუ როგორი ჯანის პატრონი უნდა იყვნენ ეს საცოდავები. აი, უმეტესი ნაწილი ამისთანა გაჭირვებულთა შვილები ჰპოულობენ სულიერს საზრდოს კავკავის ქართულ სასწავლებელში, რომელიც წარმოადგენს ყველას მიერ თანაგრძნობის ღირსს საქველმოქმედო დაწესებულებას კავკავში. ერთს დროს აქაური ქალაქის თვით-მმართველობა ყოველ წლივ 300 მანეთით შემწეობას აძლევდა ამ სასწავლებელს და ამით ასრულებდა ერთს საუკეთესო დანიშნულებას ქალაქის თვით-მმართველობისას მკვიდრთა შესახებ. შემდეგ, სახსარის უქონლობის გამო, ქალაქმა მოუსპო ხსენებულის შემწეობის ძლევა სასწავლებელს. ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ კავკავის თვით-მმართველობას ხელახლად განეგრძო ძველებურად შემწეობის ძლევა ქართული სკოლისათვის, რომელიც მეტის ღონისძიებით მეტად შეიძლებოდა ადგილობრივის მცხოვრებთათვის სამსახურის კანონიერის აღზრდა-განათლების გავრცელებით და სკოლა, როგორც სახელმწიფო დაწესებულება, მეტის საშუალებით მეტს სინათლეს მოჰფენდა იმ ერთა შორის, რომელიც რუსეთის სახელმწიფო-თან ისტორიულად და ძმურად შეკავშირებულია.

ПЕДАГОГИЧЕСКОЕ ЗАБЛУЖДЕНИЕ

В №5530 „Нов. Обозрения“, от II-го истекшего ноября, напечатана маленькая библиографическая заметка по поводу „Курс русского языка“ г. Левитского. Автор заметки г. Ом. касается на званного учебника только со стороны той массы неверных научных и грамматических сведений, которыми выделяется книга г. Левитского из всех подобных им учебников по русскому языку в инородческих школах. г. Ом. упускает из виду методическую сторону книги г. Левитского, отсутствие всякой системы в расположении материалов по степени трудности и отдаленности, вместо чего в учебнике находим разнообразные непосильные для инородческих детей и непоследовательные обороты русской речи, способствующие лишь одному механическому и бессознательному долблению государственного языка в туземных школах. Совершенно верно замечает г. Ом. что книга г. Левитского не одобрена к преподаванию в народных школах Министерством народного просвещения. Равным образом и попечительный совет кавказского учебного округа не допускает книгу г. Левитского в виде пособия в начальных школах. В этом случае как министерство, так и равно и попечительский совет держатся педагогического взгляда, ибо преподавать русский язык в инородческих школах по книге г. Левитского – это значит наносить ущерб изучению русского языка и общему умственному развитию инородческих детей. Тем не менее, как замечает г. Ом. „во всех школах Кутаисской губернии русскому языку обучаются по этой книге, совершенно игнорируя „Родное слово“ Ушинского“ (Курсив г. Ом).

Насколько верен взгляд г. Ом. на книгу г. Левитского, настолько он ошибочен относительно „Родного слова“ Ушинского.

Конечно, Ушинский – отец русской педагогики, и в настоящее время является неугасаемым светилом в русской педагогической литературе, но смею уверить читателей, что и сам Ушинский, если бы он дожил до нашего времени, не мало был бы поражен педагогическим заблуждением тех учителей, которые пожелали бы в инородческих школах вести преподавание русского языка по „Родному слову“, потому именно, что „Родное слово“, как показывает и само название книги, составлено вовсе не для инородческих детей, а если где-нибудь в инородческих школах

употребляли или употребляют и теперь „Родное слово“ Ушинского в качестве учебника по русскому языку, то это объясняется или неимением подходящего лучшего учебника для известных народностей, входящих в состав русского государства, или педагогическим невежеством лиц, преподающих русский язык в инородческих школах по этому учебнику.

Все русские учебники, предназначенные к употреблению в инородческих школах, прежде всего должны быть рассчитаны на то, чтобы быть самоучителями русского языка для инородцев.

По обыкновенной русской книге инородец не может учиться без учителя. Чтобы учиться русскому языку по „Родному слову“, или произведению г. Левитского, нужна постоянная помощь учителя. Раз нет учителя, по такой книге инородцу выучиться нечему, кроме механической долбни русского языка.

Изучить русский язык для инородца — это прежде всего перевоспитать свою мысль. Русская фраза строится иначе, чем инородческая, расположение слов в предложении и способ соединения предложений между собою в инородческих языках иные, чем в русском. Поэтому правильное развитие умственных сил детей инородцев и успешное обучение русской речи возможно только при сближении между собою родного и русского языков, — в том случае, когда родной язык служит необходимым посредником, при помощи которого учащимся становятся доступны новые сведения из совсем чуждой им области.

И книга Ушинского „Родное слово“ и тем более „Курс“ г. Левитского лишены этого достоинства для инородческих школ. Если по этим учебникам в инородческих школах достигают кое-каких результатов, выражающихся в стереотипно затверженных наизусть оборотах и фразах, которые дают повод думать, что ученики хорошо знают русский язык, то это надо приписать дрессировке памяти, которая должна быть устранена из всякой педагогически-организованной инородческой школы.

Если бы кто-нибудь, составляя статистические сведения относительно детей-инородцев, обучавшихся по „Родному слову“ Ушинского или по „Курсу“ Левитского, пришел бы к убеждению, что большинство учащихся инородцев не доходит даже до 6 класса средних учебных заведений, то это зависит от первоначальной неправильной постановки обучения русскому языку в тех школах, где он идет по „Курсу“ г. Левитского или по тем учебникам, которые вовсе не приноравлены для преподавания русского языка в школах нерусских.

Для доказательства высказанной мысли приведем факты из жизни казанской учительской семинарии, констатированные преподавателями этой семинарии: Можете себе представить, каким темным лесом является для ребенка наука, преподаваемая на неотчетливо понимаемом языке. Ежегодно от 16-го до 20-го августа я испытываю величайшую печаль, слушая экзамены инородцев, поступающих в казанскую учительскую семинарию. Представьте себе, что огромный процент их выучивает священную историю наизусть. Какое педагогическое развитие имеют учителя и законоучители тех школ, вы скажете и без меня, я же скажу лишь, что причина этого печального явления — благонамеренное желание способствовать усвоению детьми русского языка.

Из 25-летнего опыта казанской учительской семинарии мы знаем, что в семинарии учатся лучше те воспитанники из инородцев, в школах которых инородческий язык употребляется учителями охотнее и чаще, и этот результат может быть доказан статистически. Лучше других инородцев в казанской семинарии учатся татары, за ними идут чувашы, значительно слабее черемисы, вотяки, в школах которых инородческий язык допущен лишь в последние годы и то далеко не во всех.

Выходит, что чем менее налегать сначала исключительно на русский язык, тем дети выходят более способными к основательному его усвоению. Это и понятно: чем естественнее развились дети сначала, тем менее было у них зубрения, тем они будут умнее и тем лучше будут учиться. Мы учителя казанской учительской семинарии, часто видели первых учеников в классе и из чуваш и из татар; первых учеников из черемис, вотяков, мордвы правда, мы видели реже, но это именно потому, что в школах для этих инородцев пренебрегают инородческим языком и в погоне за видимыми успехами в русском языке не дают времени созреть мыслям ученика“; (журнал „Городской и сельский учитель“ за 1898 г., № 2).

Интересный и поучительный взгляд существует в колониальных французских школах в Алжире и Тунисе, который и осуществляется на самом деле. Русские посетители всемирной выставки в нынешнем году были удивлены теми результатами, которые достигаются в школах Алжира и Туниса. Прежде всего, родной язык обязателен во всех школах. Обязательно и то, чтоб учитель понимал язык детей. Обучение Французскому языку в школах Алжира и Туниса предшествует чтению и письму на арабском языке. Одинаковое количество письменных работ по родному и французскому языкам в низших и средних школах, представленных

на выставку, доказывали, в каком почете и какое место дают французы инородческому языку в школах. Чтению французскому обучаются по учебнику, где рядом арабскими буквами напечатаны соответствующие французские буквы и чтение по слогам на французском языке происходит с помощью арабских букв.

Таким образом, этот учебник является в одно и то же время и самоучителем в туземных школах, что безусловно способствует быстрому распространению знания французского языка среди туземцев Алжира и Туниса.

Таковы взгляды лучших педагогов всего света на обучение туземцев государственному языку, тех педагогов, которые науку педагогику считают священным делом и у которых не мешало бы и нам поучиться.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

(1). „ივერია“ იყო ქართული პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული ორგანო. იგი გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან ჯერ გაზეთის სახით, 1879–85 წლებში იგი შურნალად გადაკეთდა, ხოლო 1886 წლიდან კვლავ გაზეთის სახით გამოდიოდა. „ივერიის“ დამაარსებელი და რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც გაზეთს 1901 წლის 5 დეკემბრამდე რედაქტორობდა. 1902 წლის 20 ივლისიდან 1903 წლის 4 ივლისამდე გაზეთს რედაქტორობდა ალ. სარაჯიშვილი, 1903 წლის 4 ივლისიდან 1905 წლის 17 თებერვლამდე „ივერიის“ დროებითი რედაქტორია გრ. ყიფშიძე, ხოლო 1905 წლის 17 თებერვლიდან გაზეთის დახურვამდე – 1906 წლის 27 აგვისტომდე – ფილიპე გოგინაიშვილი.

„ივერია“, რომლის ძირითად პროგრამას ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება, მათი კონსოლიდაცია და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეა წარმოადგენდა, ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო იყო. გარდა ამისა „ივერია“ ხმალამოღებული იბრძოდა ქართული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის, დიდ ადგილს უთმობდა სახალხო განათლების პრობლემებს. იგი აშუქებდა მუშათა მოძრაობის საკითხებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, გეოგრაფიის, სოციოლოგიისა და სხვა საკითხებს. „ივერიაში“ დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მისი თანამშრომლები იყვნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ლ. ბოცვაძე, ა. ყაზბეგი, ნ. ლომოური, ეკ. გაბაშვილი, სოფრ. მგალობლიშვილი, ს. ჭრელაშვილი, ა. ყიფშიძე, გ. ყიფშიძე, ა. ნანეიშვილი, ა. ახნაზაროვი, დ. მიქელაძე, გ. ლასხიშვილი და სხვ.

(2). წერილის ავტორი გულისტკივილით წერს იმ სავალალო მდგომარეობის შესახებ, რომელშიც სოფლის სკოლების მასწავლებლობა იმყოფებოდა. „ყველა ყველასა ჩიოდა და მენახირე ბუზანკალსაო“, ნათქვამია. რა ვქნათ, რომ ჩვენც ჩვენს ვარამზედ არ ვილაპარაკოთ. რაც გაფიქრებდეს, ის გატკივებდესო

ვისაც სახლი არ აუშენებია, ასე ჰგონია, ბოძები მიწიდვან თავის თავად ამოსულაო. გარეშე კაცისათვის, რომელიც მოშორებით სდგას

და სეირს უცქერის, ადვილად წარმოსადგენი და სათქმელია სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა: რა უჭირსო, ბძანებს ის: თავისუფალია სოფლად, ყოველსავე ზედამხედველობას და ბატონობას განშორებულიო; თავს არ ადგია უფროსი და მუდამ დღე თითს არ უშვერს, აი ასე უნდა გაგეკეთებინა, ეს ასე არ გაგიკეთებია და ეს ასე გააკეთეო...“ – ასე იწყებს ავტორი წერილს და ამის შემდეგ კონკრეტულად საუბრობს ყველა იმ დაბრკოლების შესახებ, რაც სოფლის მასწავლებელს ცხოვრებასა და საქმიანობაში წინ ელობება. წერილის ბოლოს ავტორი მოუწოდებს სოფლის მასწავლებლებს, რათა თვითონაც იზრუნონ საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად: „თვითონ ჩვენც, მასწავლებლებმა, ვიზრუნოთ რამ ჩვენს თავზედ, კაცები ვართ, ქუდები გვხურავს. გამოვძებნოთ ყველამ თითო რამ ღონე ჩვენის ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ერთმანეთს გავუზიაროთ“.

(3). გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ წარმოადგენდა ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაზეთს. მისი დამაარსებელი იყო თბილისში ნაფიცი რწმუნებული ა. ვ. სტეპანოვი.

გაზეთი გამოდიოდა 1884-1906 წლებში.

გაზეთის მიმართულება რედაქტორის მიერ გადმოცემული იყო 1884 წლის პირველი ნომრის მოწინავე წერილში „profession de foi“: „ბეჭდვითი სიტყვა უნდა ამაღლდეს ყველა საზოგადოებრივ საკითხთა და უთანხმოებათა გადაწყვეტაში მიუკერძოებელი შუამავლის როლამდე: ყველა მისი სიმპათია... ფაქტობრივი, ტენდენციურ შეფერადებას მოკლებული სიმართლისკენ უნდა იხრებოდეს. ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც ერთგულია დევიზისა: „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა...“, აუცილებლად უხელმძღვანელებს საზოგადოებრივ აზრს, შეიქმნის ავტორიტეტს და მის ხმას, თუგინდ გარემოებათა გამო შესუსტებულს, ყურს დაუგდებენ, „ნოვოე ობოზრენიე“ ბედნიერი იქნება, თუ ის შესძლებს ისეთი ორგანო გახდეს, რომელიც ადვილობრივ გაჭირვებასა და კანონიერ სურვილებს გულთან მიიტანს, გახდება იმ აზრთა და იდეათა გამტარებელი, რაც ჩვენს საუკეთესო ადამიანებს ალელვებთ, მათ, ვინც კარგად იცნობს ამ მხარეს, მაგრამ მოკლებულია აზრის გამოთქმის საშუალებასა და სახსარს. ჩვენ გულწრფელად ვაცხადებთ, რომ ჩვენი გაზეთის გვერდები არ დაეთმოა არც „ფილურ“ მიდრეკილებებს და არც მათ საწინააღმდეგო ტენდენციებს. ჩვენი აზრით, ყოველ ეროვნებას აქვს უფლება განავითაროს თავისი გენიის ყველა დამახასიათებელი თავისებურება.

რაც უფრო ფართო, რაც უფრო თავისუფალი იქნება მისი განვითარება, მით უფრო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ესა თუ ის ხალხი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში“.

გაზეთში თანამშრომლობდნენ ცნობილი ჟურნალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები – კ. ბებუთოვი – „ტიფლისკი ვესტნიკის“ ყოფილი რედაქტორი, ნ. იზმაილოვი – შემდგომ თბილისის ქალაქის თავი, ნ. ოპოჩინინი – „ფალანგის“ ყოფილი რედაქტორი, ი. თხორ-ჟევსკი – „გუსლის“ ყოფილი რედაქტორი, ცნობილი მთარგმნელი ქართული და უცხოური მწერლობისა, ლ. ზაგურსკი, ა. მიჩურინი, ა. შავროვი, ს. კრივენკო, დ. კეგელი, ი. ხონელი, ა. პლემჩევი, ვ. დინგელშტედტი, გ. უსპენსკი, ვ. ფაუსკი, გ. ყაზბეგი, ვ. გარშინი და სხვები.

1887 წლიდან ა. სტეპანოვის ავადმყოფობის გამო, გაზეთის გამომცემელი იყო ნ. ნიკოლაძე, ხოლო რედაქტორი, გაზეთის ყოფილი მდივანი ა. სტეპანოვი.

1891 წლიდან გაზეთის გამომცემელი ხდება თავადი კ. თუმა-ნიშვილი, რედაქტორები იყვნენ ძმები ვასილ და გიორგი თუმა-ნიშვილები.

ამის შემდეგ გაზეთში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები – ვ. ლუნკევიჩი, ჟურნალ „სოლნცე როსის“ რედაქტორი მ. გოროდეცკი, ი. ტავტავაძე, ლ. ბოცვაძე, ა. წერეთელი, გ. ყიფშიძე, ბაქოელი ჟურნალისტი ვ. კუმინი, საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ყოფილი მდივანი დ. პაგირევი, თავადი ა. არგუტინსკი, პუბლიცისტი ვ. ბოგუჩარსკი, თბილისის ხელოსანთა სასწავლებლის დირექტორი ი. აკულოვი, „კიევსკაია მისლის“ ერთ-ერთი რედაქტორი ი. იაბლონოვსკი.

1904 წლიდან გაზეთის რედაქტორი იყო კ. კალანტაროვი, ხოლო 1906 წელს მას მონაცვლეობით რედაქტორობდნენ კ. კალანტაროვი და ნ. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ დაიხურა 1906 წელს.

(4). მიუხედავად მრავალი მოწინააღმდეგისა, სამრევლო სკოლების ერთგული დამცველი რუსეთში იყო სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი, რომელმაც 1881 წელს დაამუშავა ამ სკოლების ახალი წესდება. ეს წესდება ალექსანდრე II მიერ დამტკიცდა 1884 წლის 13 ივნისს. სინოდის სამრევლო სკოლების შესახებ განმარტებაში ასახული იყო მათი მიზანი: „...აღზარდონ ყრმებში შიში ღვთისა, გარდასცენ მათ ცოდნა სარწმუნოებისა, შთანერგონ გულთა შინა

მათთა სიყვარული წმინდისა ეკლესიისა და ერთგულება მეფისა და მამულისა...“

ჟურნალ „მწყემსის“ 1884 წლის №16-ში გამოქვეყნებული წესდების V მუხლში აღნიშნულია: „საეკლესიო-სამრევლო სკოლანი შეიძლება იყონ ერთკლასიანი ორი წლის და ორკლასიანი ოთხი წლის კურსით. მათ შინა ასწავლიან: 1/საღმრთო სჯულს /და სახელდობრ/: ა/ლოცვებს, ბ/საღმრთო ისტორიას და ღვთის მსახურების ახსნას, გ/მოკლე კატეხიზმოს; 2/ საეკლესიო გალობას; 3/ ხუცური და მხედრული ნაბეჭდის კითხვას და წერას; 4/ პირველდაწყებითი ცნობათა არითმეტიკისაგან. ორკლასიან სკოლებში, გარდა ამისა, ასწავლიან პირველდაწყებით ცნობათა საეკლესიო და სამშობლო ისტორიიდან.

XIX საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც საქართველოში სახალხო სკოლები იწყებენ განვითარებას, სამრევლო სკოლების ზრდა შენეულდა. 1884 წლის 13 ივნისის წესდების შესახებ ჟურნალი „მწყემსი“ /1886 წ. №28/ წერდა: „დღეს, მადლობა ღმერთს, შემცდარი აზრი სამღვდელოებაზე მოისპო; დღეს უმაღლესმა მმართველობამ ისევე მიანიჭა სამღვდელოებას სამრევლო სკოლების გახსნისა და მათი გამგეობის უფლება. ამ სკოლების მართვაზე სასულიერო წოდება არც დირექტორებს და არც მათ ინსპექტორებს ანგარიშს არ მისცემს“.

სამრევლო სკოლების დაარსებით ქართველი ხალხის რელიგიურ-ზნეობრივი მრწამსი კიდევ უფრო განმტკიცდებოდა.

სამრევლო სკოლებში საგნები ქართულ ენაზე ისწავლებოდა. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ გაკვეთილების ცხრილში პირველი საათი საღვთო სჯულს ჰქონდა დათმობილი, მეორე და მესამე – დედა ენას, მეოთხე რუსულ ენას, მეხუთე არითმეტიკასა და გალობას.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცი ვერ ეგუებოდა ამ სკოლებში რუსული ენის მდგომარეობას და ამის გამო სასულიერო უწყებასთან განუწყვეტელი დავა ჰქონდა. მისთვის უფლება რომ მიეცათ სამრევლო სკოლებს ერთიანად დახურავდა, მაგრამ ამაში მას ხელს უშლიდა 1884 წლის 13 ივნისის დებულების მე-18 მუხლი, სადაც ეწერა: „სამასწავლებლო ინსპექციის წევრთ შეუძლიანთ დახედონ სკოლებს, მაგრამ არ შეუძლიანთ, რომ თვისით მოახდინონ რაიმე განკარგულება, ან შთაგონება მასწავლებლებისა დახედვის დროს. ყველაფერს, რასაც ნახავენ და შენიშნავენ, ისინი ატყობინებენ სკოლის ხელმძღვანელ პირს და საჭიროების დროს წარუდგენენ ეპარქიის არქიერსა“.

1889 წელს თბილისის გუბერნიაში მხოლოდ 20 სამრევლო სკოლა იყო, იმერეთის ეპარქიაში – 64, გურია-სამეგრელოში – 40, ხოლო სოხუმის ოლქში – 16.

(5). კონსტანტინე უშინსკის უპირველესი დამსახურება რუსული პედაგოგიკის ისტორიაში მოუტანა მისმა სახელმძღვანელოებმა – „როდნოე სლოვომ“ და „დეტსკი მირმა“, რომლებმაც, მაშინ, როდესაც ოჯახებში უცხო ენები იყო მოდაში, რუს ხალხს მშობლიური ენა შემოუნახეს და მისი დაცვის სადარაჯოზე იდგნენ. „როდნოე სლოვოს“ პირველი გამოცემა 1864 წელს გამოვიდა და ავტორის გარდაცვალებამდე /1871 წ./ იგი უცვლელად გამოდიოდა. სახელმძღვანელოს გამოცემვლებს არც მისი გარდაცვალების შემდეგ არ შეუტანიათ მასში ცვლილებები.

„როდნოე სლოვოს“ პირველი – საანბანო ნაწილი ანალიტიკურ-სინთეტიკური მეთოდით იყო შედგენილი, რაც კ. უშინსკის თქმით, მართლაც შემდეგში გამოიხატებოდა:

1. შევაჩვიოთ ბავშვის თვალი და ხელი ასოთა ელემენტების წერას;
2. შევაჩვიოთ ბავშვის სმენა სიტყვაში ცალკეული ბგერის მონახვას;
3. შევაჩვიოთ ბავშვის ენა ბგერების გარკვევით წარმოთქმას;
4. შევაჩვიოთ ბავშვის ყურადღება სიტყვებისა და მათ შემადგენელ ბგერებზე შეჩერებას და
5. შევაჩვიოთ ბავშვის თვალის, ხელის, სმენის, ენისა და ყურადღებაც გონებაში წარმოდგენილი, წარმოთქმული, დაწერილი და დაბეჭდილი სიტყვების დაშლასა და შედგენას.

ყოველივე ამას, ერთად აღებულს, – წერდა კ. უშინსკი, – მიზნად აქვს: წერა-კითხვის შესწავლასთან ერთად, ავარჯიშოს ბავშვის ყველა უნარი, განავითაროს, განამტკიცოს, გამოუმუშაოს სასარგებლო ჩვევა, გააცხოველოს მისი თვითმოქმედება და, თითქოს სხვათა შორის, მივალწიოთ კითხვისა და წერის სწავლებას“. /კ. უშინსკი. რჩ. პედაგოგიური თხზულებანი. 1950 წ. ტ. II, გვ. 80/.

ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს კ. უშინსკი ისტორიულ ხერხს უწოდებს და ამ ხერხით იგი ისტორიულობის პრინციპს იცავდა წერა-კითხვის სწავლებისას. მისი შეხედულებით სწორედ ამ მეთოდით განვითარდა წერა-კითხვის ისტორია.

„როდნოე სლოვოს“ მეორე ნაწილი ანბანის შემდეგ საკითხავ მასალას შეიცავს.

(6). „რუსსკოე სლოვო“ გამოიცა 1887 წელს და მან შეცვალა გერასიმე კალანდარიშვილის სახელმძღვანელო „Начальный курс русского языка“, რომელიც 1886 წლიდან გამოდიოდა. ამ დროს ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნად ხმარობდნენ კ. უშინსკის „როდნოე სლოვოს“, რომელიც რუსული სკოლებისათვის იყო განკუთვნილი და შორს იყო ქართული სინამდვილისაგან.

იაკობ გოგებაშვილი 1888 წლიდან შეუდგა „რუსსკოე სლოვოს“ სახელმძღვანელოდ დამტკიცებისათვის ზრუნვას და 1889 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭომ იგი დამხმარე სახელმძღვანელოდ დაამტკიცა. იგი განკუთვნილი იყო სწავლების პირველი სამი წლისათვის, ხოლო 1890 წლიდან ორ ნაწილად გაიყო. პირველი ნაწილი – „მოსამზადებელი საფეხურები“ სწავლების პირველი წლისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე ნაწილი, „საკითხავი წიგნი“ სწავლების მეორე წლისათვის.

კ. უშინსკის „როდნოე სლოვო“, რომელიც ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნად იყო გამოყენებული, ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოს“ მეორე ნაწილით შეიცვალა.

„რუსსკოე სლოვო“ იმდენად საქმის ცოდნითა და მაღალი პროფესიონალიზმით იყო შედგენილი, რომ მას ორმოცი წლის განმავლობაში იყენებდნენ საქართველოს სკოლებში. მას წარმატებით იყენებდნენ ამიერკავკასიის სკოლებსა და მის ფარგლებს გარეთაც. როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის პრესაც დადებით რეცენზიებს აქვეყნებდნენ ამ სახელმძღვანელოს შესახებ. ჟურნალი „ფილოლოგიჩესკაია ბიბლიოტეკა“ წერდა:

„იმ უამრავ სახელმძღვანელოთა შორის, რომლებიც შედგენილია უცხო ერისანთა მიერ რუსული ენის შესასწავლად, იშვიათად შეხვდებით ისეთ საუცხოო და ნიჭიერად შედგენილ სახელმძღვანელოს, როგორიცაა ი. გოგებაშვილის ნაშრომი. მასალა მეტის მეტად უხვადაა წარმოდგენილი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, განლაგებულია მკაცრი თანმიმდევრობით“.

სახელმძღვანელოს შესახებ დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა აგრეთვე ჟურნალმა „ნაჩალნოე ობუჩენიემ“: „გამოსცა რა თავის სასწავლო სახელმძღვანელო საქართველოსათვის, ბ-ნმა გოგებაშვილმა გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიის თითოეული ხალხისათვის ფრიად აუცილებელია ჰქონდეს რუსული ენის განსაკუთრებული სახელმძღვანელო. კავკასიელი პედაგოგის აზრი უეჭველად სწორია. მისი პრაქტიკული განხორციელება სასურველია

არა მარტო კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა მიმართ, არამედ საერთოდ მთელი რუსეთის ყველა სხვა ტომების მიმართაც“.

1900 წელს ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“ დამტკიცებული იქნა საერო და სამრევლო სკოლებისათვის ძირითად სახელმძღვანელოდ.

„რუსსკოე სლოვო“ გამოდიოდა 1923 წლამდე.

(7). საქართველოში ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმების შემდეგ წელს /1865 წ./ გლეხთა დებულების თანახმად გლეხებს უფლება მიეცათ, რათა დაწყებითი სკოლები დაეარსებინათ იმ პირობით, თუ ყველა ხარჯს თვითონ გლეხები გაიღებდნენ. „იქ, მეფის რუსეთში, გლეხთა ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლებას, ისეთი ორგანიზაციის დაარსება მოჰყვა /თუმცა 34 გუბ-ში, როგორც ერობა, რომელიც განცხადებითი წესით ხსნიდა დაწყებით სკოლებს. აქ კი, საქართველოში, სკოლების გახსნის ინიციატივა თვით გლეხებს უნდა გამოეჩინათ. თვით გლეხებს უნდა შეედგინათ ეგრე წოდებული „პრიგოვორი“ /განაჩენი/ თავიანთ ყრილობებზე და მის საფუძველზე გაეხსნათ სკოლები. გლეხებში კი ასეთი საქმის დამწყებნი ნაკლებად მოიპოვებოდნენ“. /სგმ. ვ. ბურჯანაძის ფონდი № 6757/. ვ. ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ ისევ თუ ვინ მე სამაზრო ან საბოქაულო ადმინისტრაციის მოხელე იკისრებდა სკოლის თაობაზე ხალხთან მოლაპარაკებას, შეაგნებინებდა მას განათლების საჭიროებას და ყრილობაზე განაჩენს გამოატანინებდა, მაგრამ ასეთ მოხელეთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელი იყო. 1874 წლამდე, სახალხო სკოლების დირექციების ჩამოყალიბებამდე სკოლების გახსნის საქმე ნელი ტემპით მიდიოდა, ხოლო ჩამოყალიბების შემდეგ ეს საქმე წარმატების გზას დაადგა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, „ისეთი ორგანიზაცია კი, რომელსაც უნდა ეზრუნა ჩვენი სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელო წიგნების გამოცემაზე, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენაზე და თვით სკოლების გახსნაზე და მათ პედაგოგიკის სალი პრინციპების თანახმად მოწყობაზე, – ჩვენში არ ყოფილა“. /სგმ. ვ. ბურჯანაძის ფონდი № 6757/.

ქართულ სკოლებზე ზრუნვა ისევ კერძო პირს უნდა გამოეჩინა და ეს უაღრესად საპატიო მისია იაკობ გოგებაშვილმა იკისრა.

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, 1864 წელს, – აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი, – დაიბადა აზრი, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანს სიკეთეს, როცა გლეხოთა უმეცრებისაგან განთავისუფლდებო, ხოლო ასეთ განთავისუფლებას გლეხოთა უნდა

მოელოდეს ქართველი მოწინავე საზოგადოებისაგან მას შემდეგ, როდესაც იგი შექმნის ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც განათლების მოფენა შეეძლება ხალხშიო. „ამ მოსაზრებამ დაბადა წადილი. „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსებისა. მაგრამ წადილის განხორციელებას ესაჭიროებოდა პროპაგანდა საზოგადოებაში, მოძრაობის დაბადება და გაძლიერება. ამას ხელი მოუმართა იმ გარემოებამ, რომ მაშინ, სამოციანს წლებში, ზოგი ქართული ოჯახები ნამდვილს ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც იკრიბებოდნენ ძველის და ახალის თაობის საუკეთესო წარმომადგენელი“. / ი. გოგებაშვილი. თხზ., 1955, ტ. 4, გვ. 391/.

საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა სამოციანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა იოსებ მამაცაშვილის ბინაზე, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით დაარსებულ წრეში ხდებოდა მსჯელობა ქართველი ერის სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებზე. აქ ხშირად იკრიბებოდნენ დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გეგე მალალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ცოლ-ქმარი სიმონოვიჩები, ნიკო ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი, ანა ბესარიონის ასული მუსხელიშვილისა.

იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით ამ წრეში დაარსდა სალარო წრის წევრთა საწევრო გადასახადებისათვის. აქედან შემოსული თანხებით წრე სოფლებში ხსნიდა სკოლებს და ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას.

საქმის ვითარებამ წრის წევრები დაარწმუნა, რომ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ფართო საზოგადოების ჩამოყალიბება სათანადო წესდებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა ყოფილიყო დამტკიცებული. წრის წევრებმა დაავალეს ვახტანგ თულაშვილს, თავის სიმამრის – ზაქარია ერისთავის დახმარებით რუსეთიდან გამოეთხოვათ საზოგადოების ნორმალური წესდება.

ვ. თულაშვილის ცნობით, ნ. ცხვედაძემ, ი. გოგებაშვილმა და თვითონ თხოვეს დ. ყიფიანს, რათა ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო. თავდაპირველად დ. ყიფიანი თავს იკავებდა, მაგრამ საბოლოოდ მოეწონა მათი აზრი, დაეთანხმა და სისტემატურად ესწრებოდა წესდების მოსამზადებელ სხდომებს. წესდების შედგენა თითქმის ერთი წელი მოანდომეს /1877 – 1878 წ. წ./.

როდესაც წესდების პროექტზე ხელის მოწერის დრო დადგა, იაკობ გოგებაშვილს უთქვამს:

„რათა დამტკიცებას ავაცდინოთ ყოველი დაბრკოლება, საჭიროა წესდებულებას ხელი მოაწერონ დამფუძნებელად მხოლოდ იმგვარმა გვარებმა, რომელთაც სრული ნდობით ეპყრობა მთავრობა. მე, მაგალითად, სამსახურიდან დათხოვნილი ვარ მესამე მუხლის ძალით, და ამიტომ ყოვლად მოუხერხებელია დამფუძნებელთა შორის მეც მოვექცე. გარდა ამისა... ძლიერ დაეხმარება საქმეს, თუ ჩვენს წესდებულებას მოაწერენ ხელს დიდი თანამდებობის სომხებიც, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ქართველ საზოგადოებასთანა“.

სტაროსელსკიმ წესდება ნამესტნიკს დაუყოვნებლივ დაამტკიცებინა. 1879 წლის 15 მაისს საზოგადოების კრებაზე გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დ. ყიფიანი, მოადგილედ – ილია ჭავჭავაძე, მდივნად – ალექსანდრე სარაჯიშვილი. გამგეობის წევრებად არჩეული იქნენ იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, ხოლო გამგეობის წევრობის კანდიდატებად – დ. ავალიშვილი, გ. უთურგაული და ნ. ქანანოვი.

იაკობ გოგებაშვილი ფაქტიურად საზოგადოების სკოლების მეთვალყურე და ხელმძღვანელი იყო.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ როლი ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში ნათლად არის ასახული ი. გოგებაშვილის კერძო საუბარში საზოგადოების მდივანთან ალ. მიქაბერიძესთან:

„...ჩვენი საზოგადოების საქმიანობაში თავიდათავი სამზრუნველო სკოლები და ბიბლიოთეკებია. დღევანდელი გადაგვარებული სახელმწიფო სასწავლებლები ჭეშმარიტად განათლებულ ქართველ თაობას ვერ აღგვიზრდის.

საზოგადოების სკოლების დანიშნულებაა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას ქართული სული შთაბეროს, მოსწავლე ქართველის აზროვნება მშობლიურ ნიადაგზე წარმართოს. . .

ვფიქრობთ, რომ თქვენი ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა, თქვენი განათლება, თქვენი გულწრფელი სურვილი საზოგადოებრივ ასპარეზზედ მუშაობისა სრული თავდებია იმისა, რომ თქვენ საზოგადოების სკოლებს ღირსეულ ხელმძღვანელობას გაუწევთ, უზრუნველყოფთ სკოლებს ღირსეულ სასწავლო ნივთებით და იარაღებით, გამოცდილსა და დახელოვნებულ მასწავლებლებს შეარჩევთ, გულთბილად მიუდგებით მათ პასუხსაგებ ყოველდღიურ საქმიანობას, საჭირო დროს კიდევაც გაამხნევეთ და ამრიგად სკოლებში შექმნით ჯანსაღ ატმოსფეროს.

საზოგადოების არსებობის მთავარი წყარო ჩვენი წიგნების მაღაზიაა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ წიგნებით ვაჭრობის საქმეს. თუ წიგნებით ვაჭრობის საქმეს, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში, რიგიანად დააყენებთ, საზოგადოებას დიდ თანხებს შემატებთ და ამრიგად უზრუნველყოფთ ჩვენი სკოლების, ბიბლიოთეკების და ქართული წიგნების გამომცემლობის წესიერად მოგვარებას...“ /სგმ. აღ. მიქაბერიძის ფონდი № 141 /.

1927 წელს, როდესაც სახელმწიფო გამომცემლობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა, საზოგადოება გაუქმებული იქნა.

(8). საქართველოში პირველი სამეურნეო სკოლა დააარსა ილია წინამძღვრიშვილმა 1883 წლის 4 სექტემბერს მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში. სკოლის გახსნის ზეიმზე მონაწილეობა მიიღეს ილია ჭავჭავაძემ, ნიკო ცხვედაძემ, ილია ოქრომჭედლიშვილმა, დიმიტრი სტაროსელსკიმ და სხვ.

ზეიმზე პირველი სიტყვა ილია წინამძღვრიშვილმა წარმოთქვა:

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი, – მართლა რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა, მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა, ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულისშვილის ვალია. შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმცარს ხალხსა, და მეორეს მხრივ, აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზე ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლიან საქმისათვის სიყვარულს, გულის დადებასა და ენერჯიას. როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის, – საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თვითონ საზოგადოებისა.

მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოვუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გავულოთ სასწავლებლის კარი ყოველ ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა.

მოგმართავთ რა თქვენ, ჩემს ამხანაგებს, და ახლად გახსნილი სკოლის პირველ მოძღვრებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგხვდებათ სასიამოვნო, მაგრამ ძნელი დანიშნულება, თქვენ პირველთ უნდა გააბნოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუმორწმუნეობას, უნდა აღუძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი

და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისათვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თითონ სკოლის მომავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელის კავკასიისათვის და თქვენ, თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას... მივანებოთ თავი თავმოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი ვემსახუროთ სულიერსა და ნივთიერს ინტერესებს იმ ხალხისას, რომელიც ყოველთვის ჩვენი ზრუნვის საგანი იქნება. მაშინ სკოლის მტერნი მეგობრებად გადაიქცევიან და ჭეშმარიტებაც აღდგება“.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, სადაც ყველა საგნის სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, ექვსწლიანი იყო – ოთხი მოსამზადებელი და ორი სპეციალური კლასი. სკოლა კავკასიის სასწავლო ოლქის გამგებლობაში შედიოდა, ხოლო უშუალო გამგედ თბილისის სახალხო სკოლების დირექტორი ითვლებოდა. სკოლაში ისწავლებოდა საღმრთო სჯული, ქართული და რუსული ენა, ისტორია, არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, სამშობლოს მცოდნეობა, კავკასიისა და ევროპული ქვეყნების მოკლე გეოგრაფია, ელემენტარული ზოოლოგია, ბოტანიკა და მინერალოგია, მიწათმოქმედება, მეტყვეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ანგარიშწარმოება, ცხოველთა მკურნალობა, ჰიგიენა, ხატვა-ხაზვა და სიმღერა-გალობა.

ილია წინამძღვრიშვილმა სკოლას აჩუქა ორმოცდაათი ჰექტარი მიწა, სახლები კლასებისა და მუზეუმისათვის, მასწავლებლებისათვის, სასადილო სამზარეულოთი და სარდაფით, ორი ოთახი საერთო საცხოვრებლის ზედამხედველ-მასწავლებელთათვის, პურის საცხობი და სახელოსნოები, ღვინის სარდაფი 4000 ვედრის ტევადობისა, საწნახელი, ქვის ეკლესია, თავლა მუშა და მეწველი პირუტყვისათვის, 35 ათასი ვედრო წყლის ტევადობის აუზი და მოსწავლეთა ბიბლიოთეკა.

სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების სამი წლისთავზე ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიაში“ /1886 წ. № 141/ გამოქვეყნებულ მობრძილ წერილში ამ სასწავლებლის შესახებ აღნიშნა:

„ბევრი ხანი არ არის, რაც სოფელ წინამძღვრიანთკარში, დუშეთის მაზრაში გაიმართა ქართული სამეურნეო სკოლა. ეს სკოლა გამართულია ერთი კაცის მხნეობით, ღონითა და ღვაწლითა. კაცმა დღეს რომ ამ სკოლის ყოფა-ცხოვრება თავის თვალთა ინახულოს, სწორედ გაცოდება და მართლაც გასაოცებელია. ჰკვირობთ, როგორ შესძლო ამოდენა ერთმა კაცმა, რომელსაც ამისათვის არც საკმაო შეძლება

აქვს საკუთარი, არც მოცლა. ეს დღევანდელი ყოფა სკოლისა, მარტო მის გულგაუტეხელს მხნეობას, მის ზნეობით ძალ-ღონეს უნდა მიეწეროს. რაკი ყველაფერი ეს იცი და ჰხედავ ამ სკოლის სიკეთეს, გულში გაცეცებით ამბობ: დაუძინებელს მხნეობას, საქმის უანგარო და გულ-წრფელად სიყვარულს, ერთობ ზნეობითს ძალ-ღონეს, ერთს რაიმე სიკეთეზე დაჟინებით და უკან დაუხევლად მიმართულს, სწორედ მივიჩნიეთ, როცა ამ სკოლის ვითარება და გარემოება ჩვენის თვალით ვნახეთ“.

იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო სკოლის სასწავლო გეგმის, პროგრამისა და წესდების შედგენაში, თვალყურს ადევნებდა მის საქმიანობას და სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთ კრებაზე, სადაც სკოლისათვის მუდმივი დახმარების დაწესების საკითხი იხილებოდა, აღნიშნა:

„...ეს სკოლა როდია მარტო სასიხარულო მოვლენა, ფაქტი, ღირსი სულიერის თანაგრძნობისა და უხვის შემწეობისა. იგი ამავე დროს არის განხორციელებული პრინციპი ჭეშმარიტის განათლებისა, იმისთანა პრინციპი, რომლის გარეშე ერის ფეხზე წამოყენება და მისი წარმატება ყოვლად შეუძლებელია; სადაც კი ჭეშმარიტის განათლების ლამპარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედა-ენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შექენისა...“

ჩვენში მხოლოდ წინამძღვრიანთკარის სკოლა ადგია მტკიცედ და შეურყევლად ამ დალოცვილსა და ჭეშმარიტს გზას განათლებისას; მარტო იგი ასრულებს ძირითად მცნებას პედაგოგიკისას, მხოლოდ მას უპყრია ხელში დროშა გონებრივის წმინდა ნათელისა; მარტო იგია მოშორებული კომლსა და ხრჩოლვას, რომელიც მეტნაკლებობით ტრიალებს ყველა სხვა სასწავლებელში და სულს უხუთავს მობარდ თაობას“.

1893 წელს, ამ სკოლაში სასწავლებლად შევიდა ცნობილი ქართველი პროზაიკოსი მიხ. ჯავახიშვილი, რომელმაც კურსის დამთავრების შემდეგ სწავლა იალტაში, ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში განაგრძო.

1933 წელს სკოლის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ხოლო 1940 წელს იგი გაუქმდა და დამხმარე მეურნეობად გადაიქცა. 1956 წელს კვლავ აღდგა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და დღემდე წარმატებით ახორციელებს სწავლა-განათლების საქმეს.

ილია წინამძღვრიშვილისა და მის მიერ დაარსებული სკოლის შესახებ საინტერესო წიგნები გამოსცეს დ. ნავდარაშვილმა „ილია წინამძღვრიშვილი“, 1973 წ./ და გრ. თოდუამ „ცოდნისკარი არაგვის ხეობაში“, 1965 წ./.

(9). 1884 წლის 15 დეკემბერს მოზდოკელმა ქართველებმა წერილობით მიმართეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას, რათა დახმარებოდნენ ქ. მოზდოკში ქართული სკოლის გახსნაში. წერილში, რომელსაც ორმოცი კაცი აწერდა ხელს, ნათქვამია:

„უმახსოვარის დროიდან გადმოხვეწილებს შორე მხრისაკენ და ჩამოსახლებულებს უცხო ტომების ხალხთა შორის, დიდის მანძილით დაშორებულებს ჩვენს სამშობლო ქვეყანაზედ, მისი მდგომარეობისა და ცხოვრების მსვლელობის უმეცრებს, დღემდე მდგომარეობამ ნება არ მოგვცა შევსდგომოდით ჩვენი ვინაობის გამოკვლევას, დაცვას ხალხოსნობისა და დედა-ენისა, რომელსაც დღესდღეობით ჩვენს შორის ძირი მეტად შეერყა და თუ ჯეროვნული ყურადღება არ მივაქციეთ, სრულიად ბოლოს მოღებაც მოელის. დღეს კი, როცა, ჩვენდა სასიხარულოდ, შევიტყვეთ, რომ ჩვენს სამშობლოში დაწესებულია საზოგადოება, რომელსაც მიზნადა აქვს განავრცელოს ქართველთა შორის წერა-კითხვა და აგრძნობინოს ქართველ კაცს თვისი ვინაობა, ჩვენ, ძველი საქართველოსავე შვილები, მოზდოქის ქართველთა საზოგადოებისაგან ამორჩეულნი პირნი, უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რათა, შეძლებისა და გვარად, აღმოგვიჩინოს საშუალება ჩვენში ქართული სკოლის დასაარსებლად. ჩვენ ვალდებულნი შევიქმნებით, გარდა სხვა და სხვა წვრილმანი მოთხოვნილებისა, დავიქირავოთ სკოლისა და მასწავლებლისათვის სახლი და მოსამსახურე, დავუმზადოთ შეშა და სანთელი. ამ პირობათა გარდა, მოზდოქის ქართველი საზოგადოება ყოველსავე ღონისძიებას იხმარს სკოლის უკეთესს ნიადაგზედ დაყენებისათვის“. /საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 481, აღწ.1, საქმე 76, ფ. 1/

1884 წლის 24 დეკემბერს გამგეობის სხდომაზე განხილულ იქნა მოზდოკელი ქართველების წერილი. ილია ჭავჭავაძემ, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, აღნიშნა რომ „მიეწეროს იოსებ გუბნელიძეს, გამოუცხადოს, რომ გამგეობა ვიდრე გადაწყვეტილ რასმეს იტყოდეს მოზდოკის ქართველთა თხოვნაზედ, ჰსაჭიროებს შეიტყოს: 1/რამდენი კომლია მოზდოკში ქართული, 2/რამდენი ფული შეუძლი-

ანთ გაიწერონ სკოლის სამართავად და სახარჯოდ“. / საქ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 481, აღწ. 1, საქმე 66, ფ. 28/.

გაურკვეველი მიზეზების გამო სკოლის გახსნის საკითხი საზოგადოების გამგეობას არ გადაუწყვეტია.

მოზდოკელმა ქართველებმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას 1894 წლის 23 აპრილს კვლავ მიმართეს თხოვნით სკოლის გახსნის თაობაზე:

„Собрав 2.500 руб. денег и выстроив на них училищное здание с помещением для учителя, общество Моздокских грузин имеет честь просить „общество грамотности“ открыть у них школу в г. Моздоке. Моздокское общество гарантирует школу ежегодным денежным взносом в размере 200 рублей“.

/საქ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 481, აღწ. 1, საქმე 76, ფ. 2/. წერილს ექვსი კაცი აწერს ხელს.

ეს წერილი საზოგადოებას პირველად 1894 წლის 3 მაისს მოხსენდა, ხოლო მეორედ იმავე წლის 17 მაისს.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ გადაწყვიტა, რათა ქ. მოზდოკში გაეგზავნა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, კავკასის ქართული სკოლის მასწავლებელი ლუარსაბ ბოცვაძე, რომელიც ადგილზე შეისწავლიდა საქმის ვითარებას და შემდეგ მოახსენებდა საზოგადოების გამგეობას.

ქ. მოზდოკიდან დაბრუნების შემდეგ, 1894 წლის 16 ივნისს, ლ. ბოცვაძემ საზოგადოების გამგეობას შემდეგი შინაარსის მოხსენება წარუდგინა:

„მაქვს პატივი მოვახსენო ხსენებულს გამგეობას, რომ 1894 წ. მაისის 20, № 182 მოწერილის წინადადების შესახებ – მოზდოკის სკოლაზე ცნობების შესაკრებად ყველაზე უფრო სარწმუნოდ და დასაჯერებლად დავინახე მოზდოკში წასვლა და ადგილობრივ საქმის გარემოების გაგება; ამ მიზნით ვიყავი კიდევ მოზდოკში 7 – 10 ივნისამდე და შევკრიბე შემდეგი ცნობები: მოზდოკში მცხოვრებს კარგად შეძლებულს ქართველს იოსებ თევდორეს ძე გუბნელოვს თავისი საფასით აუგია ეკლესიის გალავანში სასკოლე შენობა, რომელსაც აქვს ორი სრული და ერთი პატარა ოთახი სრული დერეფნით; შენობა საზოგადოთ აკმაყოფილებს სკოლისათვის საჭირო, როგორც პედაგოგიურს, ისე ჰიგიენურს მოთხოვნილებას. მოზდოკში ცხოვრობს დღეს 84 მოსახლე ქართველი, 300 სულზე მეტი, უმეტესი ნაწილი აქაურის ქართველებისა დიდს სიღარიბეში არის. ქართული სკოლის დაარსება

და მისი სამართლიანი და აუცილებელი მოთხოვნილება დაუნახავთ და უკისრნიათ მოზდოკელ შეძლებულს ქართველებს, რომელთა შორის, როგორც ნივთიერის ისე მნეობრივ დახმარებაშიაც სარწმუნონი არიან: 1/იოსებ თევდორეს ძე გუბნელოვი, 2/ პოლიცმეისტერი სვიმონ დავითის ძე გაბაშვილი, 3/ დეკანოზი ბართლომე სინანოვი / სინანაშვილი/, 4/ მათე იაკობის ძე ზუზინოვი, 5/ სტეფანე დიმიტრის ძე იეგოროვი, 6/ იაკობ ისააკის ძე კონჭუხიძე, 7/ მიხეილ ჭყონია /მასწავლებელია იქაური სასწავლებლის/, 8/პეტროვი, 9/ მარცვალაძეები და 10/ მარჯანიშვილი.

თუმცა ქართველი ბავშვები 17-მდის სწავლობს აქაურს სკოლებში, მაგრამ რუსული ენის წესიერად შეუთვისებლობისა გამო, სხვა ტომის მოწაფეებთან შედარებით, სუსტად სწავლობენ.

ზემო მოხსენებულ პირთა შორის ჯერ-ჯერობით 3-ს თუ 4-ს აღუთქვამსთ ყოველ წელს ერთად 200-250 მანეთის გადახდა სკოლის სასარგებლოდ, ესენივე კისრულობენ სკოლისათვის პირველად საჭირო ნივთების შეძენას, მოპოვებასაც; შემდეგში უეჭველია აქაური პატარა წრე ქართველებისა, ერთი ამრითა და გრძნობით აღჭურვილი იფიქრებს სკოლისათვის უფრო მეტი საშუალების მოპოვებასაც.

ხოლო რაც შეეხება სკოლის აუცილებელ საჭიროებას მოზდოკელ ქართველთა შორის, ამას ჩემის მხრით დავსძენ, რომ მოზდოკელ ქართველთა, როგორც ეკონომიურ, ისე მნეობრივად ასამაღლებლად ერთად ერთი საშუალება იქნება მათთვის ქართული სკოლა, რომლის გახსნას დიდის აღტაცებით მოელის ის მოზდოკელი ქართველიც, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია დედა ენის მცირედი ნაწილი, რომელიც მისს მპყრობელთან ერთად დღეს თუ ხვალ გაქრობას აპირებს...“ /საქ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 481, აღწ. 1, საქმე 76, ფ. 3/.

საბოლოოდ ქ. მოზდოკში ქართული სკოლა მაინც ვერ გაიხსნა.

(10). „ხომლი, ანუ ლექსთა კრება მოზრდილი ყმაწვილებისათვის“ ი. გოგებაშვილმა 1882 წელს გამოსცა. კრებულში მოთავსებული იყო ქართველ და რუს კლასიკოს პოეტთა ლექსები, რომლებიც ნორჩ მკითხველს პატრიოტიზმისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის გრძნობებს უნერგავდა.

(11). შემდგომში „პედაგოგიური წერილების“ გაგრძელებები აღარ ჩანს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლ. ბოცვაძეს იგი აღარ გაუგრძელებია.

(12). ბალტაბარმა წერილი – „მომავალში საქართველოს შვილთა მოქმედების პროგრამა“ გამოაქვეყნა ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის №№ 33, 34, 37, 38, 39.

ბალტაზარი წერს:

„...წერა-კითხვის საზოგადოება გვაქვსო, წერა-კითხვის საზოგადოება, ყველა ამას გაიძახით. მერე, რას გვიკეთებს ეს წერა-კითხვის საზოგადოება? ამ რაღაც თოთხმეტი წლის განმავლობაში რა გავკვიკეთა იმის მეტი, რომ ვაი-ვაგლახით ასრულებდა და ასრულებს რაღაც შვიდიოდე მეანბანეთა მოვალეობას და ბ-ნ გოგებაშვილის დედა-ენის მექარხნეობას. ეს არის და ესა, მეტი ხომ არაფერი? განა ბ-ნ გოგებაშვილის დედა-ენის დაბეჭდვას და შვიდიოდე მეანბანეთა მოვალეობის ასრულებას მთელი საზოგადოების დაარსება სჭირია? ერთი გულშემატკივარი ქართველი ზაქარია ჭიჭინაძე, თუ კი იკადრებს ეს უკანასკნელი მისანდობ გამოცემას, მთლად აუვიდოდნენ ამ შემთხვევაში მთელ საქმეს წერა-კითხვის საზოგადოებისას. ამასაც გაიძახით ხოლმე მუდამ, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ საშვილიშვილოთ შეგვიძინა ფასდაუდებელი საუნჯეო, ე. ი. ძველი ხელთნაწერების ბიბლიოთეკა. ამ განძის შეძენაში მე არავითარს გარჯას და მეცადინეობას წერა-კითხვის საზოგადოების წევრებისას არც ვხედავდი და არცა ვხედავ...“

დრამატიული საზოგადოება? ერთი, მითხარით, რომელი შესანიშნავი არტისტები შესძინა ამ საზოგადოებამ ქართულ სცენას? რომელი პიესით გაამდიდრა ჩვენი რეპერტუარი? ახინონიების წარმოდგენების მართვით, განა თქვენა გგონიათ, ზნეობით აამაღლებდა საზოგადოებას, შეაყვარებდა სამშობლო ხელოვნებას და გაუღვიძებდა მას თვითცნობიერებას? მაშ, რის დანიშნულებას ასრულებს ეს ჩვენთვის ფუჭად მომქმედი საზოგადოებაც, რისთვის ბოგინობს იგი საქართველოს დედა ქალაქში?...

თფილისის წიგნების გამომცემელთა ამხანაგობა იგივე მახხაანის დეპო-კასაა. განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ მახხაანის დეპო-კასაში ჩით-ფართლებს ასაღებენ, აქ კი სამზარეულო წიგნებს, იქ მეტოქეობა გაუწიეს მყვლეფავ-ჩარჩებს, აქ კი ვითომდა ახპატელოვებსა, იქ გულახდით გვარწმუნებენ, ღმერთმანი, ჩარჩები არა ვართო, აქ კი ურცხვათ ახპატელოობენ“ და ა. შ.

წერილში ბალტაზარი თავს ესხმის აგრეთვე ი. გოგებაშვილის „დედა-ენას“. მას მიაჩნია, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოზე უკეთესი სახელმძღვანელოები არსებობდა მაშინ და საჭირო იყო მათი გამოცემა, რომ „დედა-ენას“ უამრავი ნაკლი გააჩნდა და საჭირო იყო მისი დროზე შეცვლა. ბალტაზარს ორი კატეგორიის პედაგოგები აღმოუჩენია ჩვენს საზოგადოებაში – თავზარდამცემნი და

დაშინებულნი. როგორც იგი წერს, თურმე დაშინებული პედაგოგები „ხანდახან გაუთამაშებენ ხოლმე არხი-პედაგოგს, ბ. გოგებაშვილს; ხან აქედან წაჰკრავენ, ხან იქიდან; ერთი სიტყვით, მოსვენებას არ აძლევენ საწყალს... მართალია, ეს დაშინებული პედაგოგები მართებულათ ვერ იქცევიან, იმის მაგიერ, რომ სახელგამოცხადებით ებაასონ ბეჭდვით მოწინააღმდეგეებს საკამათო საგანზე, ესენი ხშირათ ფსევდონიმებს ამოჭფარებიან და იმდენს საგანზე არ ლაპარაკობენ, რამდენსაც ილანძღებიან ხოლმე. გარეშე პირებს-კი ბაასის დროს დალაგებით, დაწვრილებით ჩამოუთვლიან ხოლმე მრავალ რიგიან საბუთებს იმის შესახებ, რომ „დედა-ენა“ ბ. გოგებაშვილისა ვერ აკმაყოფილებს პედაგოგიკის მოთხოვნილებას. როდესაც დაეკითხებით, რატო სახელგამოცხადებით, დინჯათ, დარბაისლურათ არ გამართავთ სჯა-ბაასს მაგ საინტერესო კითხვებზე, გიპასუხებენ:

„მერე, „დედა-ენას“ რომელი სულელი შეეხება სახელ-გამოცხადებით?.. თავდები ვინ იქნება, რომ ცოლ-შვილიანათ არ დავიღუპებით? ან, თუნდაც რომ მოვინდომოთ, დაგვიბეჭდავენ კი სადმე „დედა-ენის“ საწინააღმდეგოს? „ბევრ მწარე ფიქრებს აღმიძრავს ხოლმე მათი ამგვარი მსჯელობა. მაგრამ ამ წვრილმან „შენ-მე“-ობის გარდა ბევრჯელ გვსმენია კიდეც ამ დაშინებულ პედაგოგებისგანვე ისეთი რიგიანი საბუთებიც „დედა-ენის“ ნაკლულევანების შესახებ“.

(13). დრამატული საზოგადოება დაარსდა 1879 წელს. საზოგადოების დამფუძნებელი წევრები იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვ. აბაშიძე, ივ. მაჩაბელი, დიმ. ყიფიანი, რაფ. ერისთავი, კ. ყიფიანი, ან. ფურცელაძე, ალ. ყაზბეგი, ალ. ბერიძე /მხატვარი/, ი. ბაქრაძე, ნ. ავალიშვილი და სხვ. საზოგადოებამ წესდების შედგენა დაავალა ნ. ნიკოლაძეს, რომელიც დამტკიცებული იქნა 1880 წლის ივნისში. წესდების დამტკიცების თარიღის შესახებ სხვა და სხვა აზრი არსებობს. 1881 წლის „დროებაში“, სადაც საზოგადოების წესდება არის გამოქვეყნებული, აღნიშნულია: „ხელმწიფე დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა ამ წესდებულების დამტკიცება ინება. მთავარ სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი. თფილისი, 1880, სექტემბერი“.

1881 წლის 18 იანვარს შედგა ამ საზოგადოების წევრთა პირველი ყრილობა. წესდებაში საზოგადოების ძირითადი მიზანის შესახებ აღნიშნული იყო: „ქართული დრამატული საზოგადოება ფუძნდება ქ. თბილისში, რათა დაეხმაროს დრამატული ხელოვნების წარმატებას კავკასიის სანამესტნიკოში მცხოვრებ ქართველთა შორის, ამასთა-

ნავე დაეხმაროს სამუდამო და შემთხვევით ქართულ წარმოდგენების გამართვას კავკასიაში“.

დრამატული საზოგადოების დაარსების მნიშვნელობის შესახებ ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა:

„საზოგადოებას შეუძლიან ხელი მოუწყოს ქართულ წარმოდგენების გამართვას, სადაც-კი ამ წარმოდგენების გამართვა მოხერხდება; შეუძლიან ყოველივე თეატრისთვის საჭირო ნივთეულობა და თვით თეატრისთვის საჭირო შენობაც საკუთრებად შეიძინოს; შეუძლიან შემწეობა გაუწიონ აქტიორებს, დრამატიულ წევრებს; შეუძლიან ქართულს ენაზედ ბეჭდოს სხვადასხვა სათეატრო თხზულებები და გამოსცეს სათეატრო ჟურნალი; შეუძლიან გამართოს ქალაქს ტფილისში სათეატრო სკოლა.

ერთი სიტყვით, საზოგადოებას ფართო მოედანი აქვს წინ გადაშლილი და თუმცა ჯერ საშუალება იმდენი არა აქვს, რომ თავისი დანიშნულება რიგიანათ შეასრულოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეხლა ისეთმა ნიავემა დაჰბერა ქართველ საზოგადოებას, რომ თუ ამ საქმის მოთავენი ენერგიულად და დაუზარებლივ მოიწადინებენ თავიანთ დანიშნულების შესრულებას, თანაგრძნობაც ბევრი იქნება“. ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამდა, რომ თუ საზოგადოებას ბევრი მხარდამჭერი და ხელისშემწყობი გამოუჩნდებოდა, ისიც წარმატებით გაართმევდა თავს ამ ფრიად კეთილშობილურ საქმეს. მიუხედავად ამისა, ქართული საზოგადოებრიობა ვერ იჩენდა სათანადო ყურადღებას დრამატული საზოგადოების მიმართ, მნიშვნელოვნად გაღარბდა თეატრების რეპერტუარი და სხვ.

1886 წელს, ამ ფაქტთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე წერდა:

„დრამატიულმა საზოგადოებამ, რომელმაც კისრად იდგა ჩვენი თეატრის საქმე, დიდი მხნეობა გამოიჩინა თეატრის კარგ გზაზედ დაყენებისათვის, დიდი შრომა და ჯაფა შეაღია ზედ. ამ მხნეობამ, შრომამ და ჯაფამ ამაოდ არ ჩაიარა: ჩვენი თეატრი დღეს მართალს თეატრსა ჰგავს ყოველისფრით. თვალისათვის საკმაოდ ფაქიზად და ლამაზად მომართულია. გინა სცენის მორთულობა აიღეთ, გინა დეკორაციები, გინა არტისტების ჩაცმა-დახურვა სცენაზედ, გინა წესი და რიგი წარმოდგენების მიმავლობისა – ყველა ეს იმოდენად კარგია და მართებული, რომ გვიკვირს კიდევ, ამ მოკლე ხანში როგორ შესძლო დრამატიულმა საზოგადოებამ, რომ ამ მხრით ესე მალე განაკარგა თეატრის საქმე... მართალია, ცოტაოდნად რეპერტუარი ჰღალატობს, ზოგჯერ უფერულს და ხშირად ნახულს პიესას გვაყურებინებენ

ხოლმე, მაგრამ ნუთუ ეს ბრალად უნდა დაედვას დრამატიულს საზოგადოებას? აქ დრამატიული საზოგადოება არაფერს შუაშია იმიტომ, რომ რეპერტუარის სიმდიდრე, სიკარგე, განახლება – ყოველივე ეს მწერალთა საქმეა და მწერალნი კი, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ ხანად არსადა სჩანან. . .“

იმდროინდელ პერიოდულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები, სადაც საყვედური იყო გამოთქმული ქართველი საზოგადოების მიმართ, რომლებიც გულგრილობას იჩენდნენ დრამატული საზოგადოების მიმართ, დახმარებისა და გვერდში ამოდგომის ნაცვლად აკრიტიკებდნენ და თეატრის წარუმატებლობას მხოლოდ მას აბრალებდნენ. „ივერიის“ 1890 წლის №206-ში გამოქვეყნებულ წერილში – „დრამატიული საზოგადოების ყოფა“ პ. უმიკაშვილი დრამატიული საზოგადოების წევრის პირით საყვედურს გამოთქვამს საზოგადოების ზოგიერთი ასეთი პირის მიმართ:

„თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე, ჩემო მაცვედრებელო, მკილავო და გამკიცხველო, რომელსა აღგილესია ენა, ვითარცა მახვილი! რა გაგიკეთებია ჩემთვის, რა შემწეობა მოგიცია ზნეობითი ანუ ნივთიერი, რა გზა გიჩვენებია გზის დაბნევის დროს, რა გულშემატკივრობა მოგშველებია ჩემის საქმისათვის... ათი წელიწადია /წესდება და-მტკიცდა ივნისში 1880 წელს/ რაც საზოგადოება დაფუძნდა, თითქმის იმავე დროს, როდესაც სამუდამო დრამატიულმა დასმა დაიწყო მოქმედება და ქართულ სცენას სამუდამო საფუძველი დაედვა. ამ ათი წლის განმავლობაში საკმაოდ შესამჩნევი თავგადასავალი უნახავს ამ საზოგადოებას. პირველად გამოიჩინა სიფხიბლე და საქმიანობა, მერე მიიძინა და კინალამ სრულიად გაუქმებას აპირებდა. მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოების წევრნი ბევრნი წავიდ-წამოვიდნენ და არ იბრუნეს-კი, რომ პირველშივე საზოგადოება ფეხზე მაგრად დაეყენებინათ. ამ შემთხვევაში ბრალი თვით ტფილისის ქართველობას და მის ინტელიგენციას ედება, ამიტომ რომ არ აღმოუჩინეს ჯეროვანი თანაგრძნობა და თანამშრომლობა...“

1899 წელს კავკასიის მთავარმართებელმა თავადმა გოლიცინმა თეატრის საქმეების გასაუმჯობესებლად დრამატიულ საზოგადოებას ორასი თუმანი შესწირა. ამ ფაქტს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე და „ივერიის“ 1899 წლის № 225-ში აღნიშნა:

„ჩვენთვის დიდი საქმეა, რომ ჩვენმა უმაღლესმა მართველმა, რომელზედაც ბევრ გვარად დამოკიდებულია ჩვენი ქონებითი, გონებითი და ზნეობითი ყოფა-ცხოვრება, ჩვენი წინ-სვლა და წარმატება,

ინება და უხვი შესაწირავი შეაწია ერთს იმისთანას საქმეს ჩვენსას, რომელსაც საგნადა აქვს გონებითად და ზნეობითად ჩვენი აღმატება, ჩვენი გაწურთვნა და გაფაქიზება. თეატრს სხვა დანიშნულება არა აქვს... ამ შესაწირავის ამბავი და გარემოება უცილობელ საბუთს გვაძლევს ვირწმუნოთ, რომ ჩვენი მთავარ-მართებელი მზად არის ხელი შეგვიწყოს და მფარველობა გაგვიწიოს ყოველს იმისთანა მეცადინეობაში, რომელსაც აზრად და საგნად აქვს ჩვენი მშვიდობიანი, კეთილ-გონიერი წინ-სვლა და წარმატება და მით წაგვახალისოს, რომ უფრო მომეტებულის და გაძლიერებულის მხნეობით შევეჭიდნეთ ყოველს საქმეს, მომართულს და აგებულს ჩვენის გონების, ზნეობის და ქონების გაძლიერებისათვის...“

1899 წლის 13 ივნისს თბილისში აკურთხეს დრამატიული საზოგადოების კანტორა. გაზეთ „ცნობის ფურცელში“, 1899 წლის № 842-ში ვკითხულობთ:

„გუშინ წინ, კვირას, 12 საათზედ აკურთხეს ახლად გახსნილი კანტორა დრ. საზოგადოებისა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა და კანცელარია. კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო, როგორც გარეშე პირნი, აგრეთვე საზოგადოების წევრნი და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. აშკარად ეტყობოდა, რომ ყველა დიდად მოხარული იყო ამ საგულისხმიერო მოვლენით. რაც უნდა სთქვან ქართული თეატრი დიდ სარგებლობას აძლევს ჩვენ ხალხს, მწერლობასთან ერთად ბეჯითად ემსახურება ერის გონებრივსა და ზნეობრივ ზრდასა და წარმატებას.

კანტორა ღია იქნება ყოველ დღე დილის თერთმეტ საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. ბიბლიოთეკა აბარია ჩვენს საყვარელ არტისტს ვასილ აბაშიძეს, ხოლო კანცელარია საზოგადოების მდივანს ნოე ჟორდანიას“.

(14). „პედაგოგიჩესკი სბორნიკი“ გამოდიოდა 1864-1918 წლებში სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-სასწავლო დაწესებულების მთავარი სამმართველოს მიერ და იმ დროისათვის ყველაზე პოპულარულ ყოველთვიურ ჟურნალს წარმოადგენდა. ჟურნალის რედაქტორები იყვნენ – ნ. ვესელი /1864-1882წწ./, ა. ოსტროგორსკი /1883-1910 წწ./ და ნ. სიმონოვი /1910. III – 1917 წწ./ ჟურნალში გაერთიანებულნი იყვნენ რუსეთის პროგრესული პედაგოგიური წრეები. ჟურნალი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო გამოსვლის პირველ წლებში, როდესაც მის პედაგოგიურ მიმართულებას კ. უშინსკის სტატიები განსაზღვრავდა. ჟურნალმა ხელი შეუწყო პედაგოგიკის თეორიისა და

მეთოდის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკის ანალიზსა და მეთოდურ საკითხებს ეთმობოდა, ქვეყნდებოდა სამაგალითო გაკვეთილების ნიმუშები, სწავლებისა და აღზრდის ისტორიის მასალები. ჟურნალი აშუქებდა აგრეთვე უცხოეთის პედაგოგიურ გამოცდილებას. ჟურნალში ქვეყნდებოდა რუსული პედაგოგიკის თვალსაჩინო წარმომადგენლების – დ. ტიხომიროვის, კ. სენტ-ილერის, დ. სემიონოვის, ლ. მოძალეცკის, პ. ლესგაფტის, ა. გერდის, ვ. ვოდოვოზოვის, ნ. ბუნაკოვის, პ. კაპტერევის, ც. ბალტალონის, ა. ფლეროვის და სხვათა პუბლიკაციები.

(15). გაზეთში გამოქვეყნებულია წერილი – „საპედაგოგიო კურსები ტფილისში. 22 და 23 ივნისი“. წერილს ხელს აწერს ნ. კ., რომელიც ნიკო კურდღელაშვილის ფსევდონიმი იყო. /იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1967 წ. ტ.V, ნაკვ. I. შედგ. თ. მაჭავარიანის მიერ/.

(16). პედაგოგიური ჟურნალი „რუსსკაია შკოლა“ გამოდიოდა პეტერბურგში 1890-1917 წწ. ჟურნალის რედაქტორები იყვნენ – პედაგოგ-ისტორიკოსი მ. გ. გურევიჩი – 1890-1906 წწ. და მ. ი. გურევიჩი – 1906-1917 წწ. ჟურნალში ქვეყნდებოდა სხვადასხვა ხასიათის იმ დროისათვის პროგრესული სტატიები. დაწყებითი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის აქტუალური ხასიათის სტატიებთან ერთად ჟურნალი დიდ ყურადღებას უთმობდა რუსეთის სკოლისა და პედაგოგიკის ისტორიას. ფართოდ იყო წარმოდგენილი აგრეთვე სახალხო განათლების ქრონიკა რუსეთსა და უცხოეთში, ინფორმაციები დასავლეთში უახლესი პედაგოგიური მიმდინარეობების შესახებ, რეცენზიები ზოგადპედაგოგიურ და სასწავლო ლიტერატურის შესახებ და სხვა. ჟურნალში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები: ვ. ვახტეროვი, პ. კაპტერევი, ა. კალმიკოვი, პ. ლესგაფტი, პ. მიჟუევი, ვ. ოსტროგორსკი, დ. სემიონოვი, ს. შოხორ-ტროცკი და სხვები, აგრეთვე ექიმები, პუბლიცისტები და ლიტერატორები.

(17). 1889 წლის 29 ივნისს ცნობილმა ქართველმა მწერალმა ანასტასია თუმანიშვილმა განცხადებით მიმართა ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს, რათა ნება დაერთო მისთვის ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემისათვის. იმავე წლის 3 ოქტომბერს დამტკიცებული იქნა ჟურნალის პროგრამა. პროგრამის მიხედვით ჟურნალში იქნებოდა შემდეგი განყოფილებები: 1. მოთხრობები, ამბები, ზღაპრები, ბიოგრაფიები, პოემები, ეტიუდები; 2. ლექსები, 3. მეცნიერება და ხე-

ლოვნება, 4. ნარევი, 5. წვრილმანი, 6. საბავშვო პედაგოგიური, საჭადრაკო და სხვა თამაშობანი, რებუსები, მათემატიკური ამოცანები, ანეკდოტები, იგავები, ანდაზები, 7. ილუსტრაციები, 8. სიმღერები ნოტებით, პასუხები და განცხადებები.

ანასტასია თუმანიშვილმა მაშინვე მოუწოდა ქართველ ინტელიგენციას, რათა მხარში ამოსდგომოდნენ ჟურნალს და საჭირო მასალები მიეწოდებინათ რედაქციისათვის: „ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენში საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა, შემდეგ „ნობათის“ დახურვისა, სხვადასხვა მიზეზების გამო აქამდის ჟურნალს ვერავინ მოჰკიდა ხელი. ეხლა მე გავბედე ამ მძიმე საქმეს შევუდგე, მაგრამ ჩემი შრომით და მეცადინეობით რას გავხდები, თუ თქვენი იმედი არ მექნება. ვიცი არ დაიზარებთ, ამისთანა საზოგადო საქმეში გულ-მოდგინებას გამოიჩინებთ და მიშველით, რომ ჩვენს ნორჩს შთამომავლობას დახმარება აღმოვუჩინოთ სწავლის და მეცადინეობის წარმატებაში.

ამასთანავე მოგართმევთ ჟურნალის პროგრამას და იმედი მაქვს, რომ თქვენი კალმის ნაღვაწით, ან შეგროვილი სახალხო ზღაპრებით, გამოცანებით და სხვ. ხელს გამიმართავთ.

თქვენი თანამშრომლობის მოიმედე კნ. ანასტასია თუმანიშვილი“.

იაკობ გოგებაშვილი დიდი იმედით შეეგება ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემას, რის შესახებაც „ივერიის“ 1889 წლის № 262-ში აღნიშნა:

„...მომავლის წლიდგან ჩვენს ყმაწვილობას ექმნება თავისი პერიოდული გამოცემა, შესაბამი ყოველ-თვიური გონებრივი საზრდო. ბედ-გამოჭრილი სახელი, შესაფერი პროგრამა, აწონილი ვადა წიგნების გამოსვლისა, რჩეულნი თანამშრომელნი, მხნე რედაქტორ-გამომცემელი, ზომიერი ფასი, ერთი სიტყვით, ყველა გარემოება ძლიერ თავ-დარიგიანად დაჭერილი, გვაძლევს სრულს იმედს იმისას, რომ „ჯეჯილი“ იქმნება ჩვენს პედაგოგიურს ცაბედ არა დროებითი მოჩვენება კუდიანი კამეტასავით, არამედ, ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სასიხარულოდ წმინდა ნათელით იკაშკაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს, იქნება მუდამაც. ვინ იტყვის, რომ ეს არ იქმნება დიდი ნაკლის შევსება და ძლიერ ხელს არ შეუწყობს უფრო გონიერის, უფრო მხნეს და უფრო ქვეყნისათვის გამოსადეგის ახალთა თაობათა აღზრდასა, მომზადებასა“.

ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემის ნებართვისთანავე ანასტასია თუმანიშვილმა მოიწვია კრება, რომელსაც დაესწრნენ – იაკობ გოგებაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილი, სოფიო ცი-

ციშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ეკატერინე მესხი და სხვები. კრებაზე შემუშავდა ჟურნალის პირველი ნომრის გეგმა და გაიმართა ხელის-მოწერა. ჟურნალის სახელწოდება ი. გოგებაშვილმა შეარჩია.

ჟურნალ „ჯეჯილის“ პირველი ნომერი ნორჩმა მკითხველმა 1890 წლის იანვრის თვეში მიიღო. მისი აქტიური თანამშრომლები იყვნენ – ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, თ. რაზიკაშვილი, ბაჩანა, ალ. ყაზბეგი, შ. მღვიმელი, შ. არაგვისპირელი, ეკ. გაბაშვილი, ბ. ჯორჯაძე, ნ. ლომოური, ლ. ბოცვაძე, ვ. ბარნოვი, ი. ევდოშვილი, ზ. ჭიჭინაძე, დ. თურდოსპირელი, დ. მეგრელი, გრ. აფ-შინაშვილი, მ. დემურია, ან. ერისთავ-ხოშტარია, მ. გარიყული, ლ. გე-გეტკორი, ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ი. სიხარულიძე, დ. კასრაძე, გ. ლეონიძე და სხვ.

ჟურნალის ძირითადი მიზანდასახულობის შესახებ ანასტასია თუმანიშვილმა მისი გამოცემის მეათე წლისთავზე „ჯეჯილის“ მეთო-რმეტე ნომერში მოთავსებულ წერილში – „პაწია მკითხველისადმი“ აღნიშნა:

„ჩემო პაწია მკითხველებო! ათი წელიწადი შესრულდა, რაც მე ჟურნალ „ჯეჯილს“ გაწოდებთ საკითხად. მე და ჩემი თანამშრომლები ვცდილობდით, რათა თქვენ დედა-ენაზე წერა-კითხვა გესწავლათ და დედ-მამის, და-ძმის და სამშობლოს სიყვარული ჩაგნერგებოდათ გულში. ჩვენ გვსურდა, კითხვა შეგყვარებოდათ, შეჩვეოდით მას და უსაქციელო დროს გატარების მაგივრად „ჯეჯილიდან“ კარგი ამბების ამოკითხვით სიამოვნებით გაგეტარებინათ დრო და ჭკუა გესწავლათ“.

ჟურნალი „ჯეჯილი“ დაიხურა 1921 წელს.

(18). ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი „ობრაზოვანიე“ გამოდიოდა სანკტ-პეტერბურგში 1892-1909 წლებში. იგი წარმოადგენდა 1876-1891 წლებში გამომავალი ჟურნალის – „ჟენსკოე ობრაზოვანიეს“ გაგრძელებას. რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ – ვ. სიპოვსკი – 1896 წლამდე, ა. ოსტროგორსკი და შემდეგ ჯ. კარიშევი – 1908 წლამდე. დასაწყისში მისი ქვესათაური იყო – „პე-დაგოგიური და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, მიძღვნილი ქალთა და ვაჟთა აღზრდისა და სწავლების საკითხებისადმი“, რომე-ლიც ჟურნალის პედაგოგიურ მიმართულებას განსაზღვრავდა. 1896 წელს ა. ოსტროგორსკის მიერ შექმნილმა ახალმა რედაქციამ ჟურ-ნალის წინაშე შემდეგი ამოცანები დასახა: ხელი შეუწყოს ხალხში თვითგანვითარებისა და ცოდნის გავრცელების საქმეს, გამოექვეყ-ნებინა რუსეთისა და უცხოეთის კულტურული და სამეცნიერო ცხო-

ვრების საყურადღებო ფაქტები, ეჩვენებინა განათლების საკითხების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მისი კავშირი ცხოვრებასთან, საზოგადოებაში განათლებასა და მის საჭიროებაზე სწორი შეხედულების განმტკიცება. 1906 წლიდან „ობრაზოვანიე“ იქცა ლიტერატურულ, სამეცნიერო-პოპულარულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალად. ჟურნალში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პ. კაპტერევი, ვ. ოსტროგორსკი, დ. სემიონოვი, ა. ანასტასიევი და სხვ. ჟურნალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ლიტერატურულ-კრიტიკულ განყოფილებას. მასში აქვეყნებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს კ. სტანიუკოვიჩი, დ. მამინ-სიბირიაკი, ვ. ვერესაევი, ა. სერაფიმოვიჩი და სხვები. ჟურნალი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა რუსეთში სახალხო განათლების მდგომარეობას, მოითხოვდა საყოველთაო განათლების შემოღებას და სასკოლო განათლების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჟურნალის პროგრესული მიმართულება მთავრობის სასკოლო პოლიტიკის კურსის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, რის გამოც, სახალხო განათლების სამინისტროს საგანგებო კომიტეტმა 1902 წელს მიღებული ბრძანებით ჟურნალი „ობრაზოვანიე“ უფასო სახალხო ბიბლიოთეკებისათვის აკრძალა და მათთვის დაშვებული პერიოდული გამოცემების სიიდან ამოიღო.

(19). „ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა“ – წიგნი ამ სათაურით ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ნატალია რ. გიგაურმა 1901 წელს ქ. ქუთაისში. მოთხრობის ავტორია ცნობილი ინგლისელი მწერალი მარიამ კორელი. წიგნს გარეკანზე, სათაურს ზემოთ ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: „მოთხრობა არა ბავშვებთათვის“.

მოთხრობას წამძღვარებული აქვს მოკლე შესავალი, სადაც წერია:

„წიგნი ესე გადაღებული არს ინგლისელ ცნობილ მწერალ მარიამ კორელის მოთხრობიდან.

სათაურად „The Mighty Atom“ /ძლიერი ატომი/ ამ სინამდვილის მოთხრობას წინ უძღვის წინასიტყვაობა ავტორისა შემდეგის წარწერით:

„იმ პროგრესისტებს, ვინც თვისის სწავლა-მოდღვრებით და თვისის მაგალითით ხელს უმართავენ არა სვინდისიერ საქმეს ყმაწვილთა სარწმუნოების გარეშე აღზრდისას.

რომლებიც ავრცელებენ ყოველ დასაწყის სკოლებში და დანარჩენ სასწავლებლებშიაც საფრანგეთის უღმერთოების იდეას – განდევნას ყმაწვილთა სულთაგან ღვთის შეგნებისა და ღვთისადმი სიყვარულისას.

ეს ერთად ერთი ჭეშმარიტი ამაღორძინებელი საფუძველი კეთილ დღეობისა ხდება დანაშაული მკვლელობაზე უსაშინლესი“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

2. „სოფლის მასწავლებელთა საყურადღებოდ“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1881 წ., № 140. ლ. ორპირელის ფსევდონიმით.
3. „წერილი იმერეთიდან“ – დაიბეჭდა „ივერიაში“, 1890 წ., № 269. ლ. ორპირელის ფსევდონიმით.
4. „მცირე შენიშვნა“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1891 წ., № 234. ლ. ორპირელის ფსევდონიმით.
5. „ქართული თეატრი ქუთაისში“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1892 წ., № 218, ლუარსაბ საჩინოელის ფსევდონიმით.
6. „პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ“ – დაიბეჭდა ჟურნალ „მწყემსში“ 1893 წ., №№ 5-6, 8, 10, 12, 13, 14, 20, 21, 1894 წ., №№ 8, 14, 15-16, 17, 1895 წ., №№ 13, 14-15, 16, 1896 წ., №6.
7. „ანგარიში კავკავის ქართულ სკოლისათვის 1892/3 წ.“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1893 წ., №131
8. „მცირე შენიშვნა“ – დაიბეჭდა „კვალში“ 1893 წ., № 49.
9. „ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1893 წ., № 277.
10. „ნინილიოგრაფია – „Курс русского языка для грузинских начальных школ“ – დაიბეჭდა „ნოვოე ობოზრენიეში“, 1893 წ., № 3166.
11. „დრამატურლის დღიურიდან“ – დაიბეჭდა გაზ. „კვალში“ 1893 წ., № 3. კახაბერის ფსევდონიმით.
12. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას“, – ხელნაწერი დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 76, ფურც. 3.
13. „მეთვალყურის შენიშვნები“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1894 წ., №№ 154, 156, 169, Ignatus-ის ფსევდონიმით.
14. „პედაგოგიური შენიშვნები საერო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ“ – დაიბეჭდა „მწყემსში“ 1895 წ., № 13-16.
15. „პედაგოგიური წერილები“ – დაიბეჭდა „კვალში“ 1895 წ., № 36./ ლ. ბოცვაძეს განზრახული ჰქონია გამოექვეყნებინა წერილების სერია ბავშვის აღზრდის შესახებ, მაგრამ ჩანაფიქრი აღარ განუხორციელებია, რაც იქედან ჩანს, რომ მომდევნო წერილები გაზეთში აღარ გვხვდება. ზ. ბ./

16. „მეთვალყურის შენიშვნები“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1895 წ., № 217, Ignatus-ის ფსევდონიმით.
17. библиография – „Курс русского языка для грузинских начальных школ“ – დაიბეჭდა „Новое обозрение“-ში 1896 წ., № 4133.
18. Библиография – „Новейшие легкие способы сознательно закреплять в памяти все слышанное и читанное“ – დაიბეჭდა „Новое обозрение“-ში 1896 წ., № 4288.
19. библиография – „Русско-грузинский словарь“ – დაიბეჭდა „Новое обозрение“-ში 1896 წ., №4311.
20. „არქიფო ტყემალაძის ხსოვნას“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1896 წ., № 64, ხელმოწერით – ლუარსაბ.
21. „პედაგოგიური განყოფილება სრულიად რუსეთის გამოფენისა ნიჟნი-ნოვგოროდში“ -დაიბეჭდა ჟურნალ „მომამბეში“ 1896 წ., № 12, 1897 წ., № 1-2.
22. „გაზეთ „ივერიის“ 57 №-ში“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1897 წ., № 73.
23. „რადეცკის ლექციები მშობელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1897 წ., № 105.
24. „სამრევლო სკოლის მასწავლებელთა კრება ქუთაისში“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1897 წ., № 142.
25. „მცირე შენიშვნა“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1897 წ., № 153.
26. „კიდევ „ბავშვების მოკეთის“ გამო – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1897 წ., № 216.
27. „დედა ენა“ ი. გოგებაშვილისა და „ბავშვების მოკეთე“ ალ. ნათაძისა“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1897 წ., №№ 234, 235.
28. „წერილი კავკავიდან“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“, 1897 წ., № 412, კახაბერის ფსევდონიმით.
29. „ერთი საზოგადო საკეთილო საქმე“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1897 წ., № 413, კახაბერის ფსევდონიმით.
30. „ქართული წიგნების გავრცელება თერგის ოლქში“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1897 წ., №75.
31. „კავკავი – მეორე ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1897 წ., № 414, კახაბერის ფსევდონიმით.
32. „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. კრებული არითმეტიკის ამოცანებისა“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1898 წ., №14.
33. „რა ვნება მოაქვს უცხო ენის ადრე სწავლებას“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1898 წ., № 149

34. „წერილი კავკავიდეგან“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1898 წ., № 260, ბ-ძე-ს ხელმოწერით.
35. „კავკავი – საზოგადო კრება კავკაველი ქართველობისა“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1898 წ., № 420 კახაბერის ხელმოწერით.
36. „კავკავი – სალამოს გამართვა საქველმოქმედო მიზნით“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1898 წ., № 423, კახაბერის ხელმოწერით.
37. „კავკავი – ქართული წირვა-ლოცვა მღვდელ-მთავრის ეკლესიაში“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1898 წ., № 469, კახაბერის ფსევდონიმით.
38. „კავკავი-ეკლესიის საქმე“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1898 წ., № 470, კახაბერის ფსევდონიმით.
39. „კავკავი – ქართული ეკლესიის საძირკვლის კურთხევა“ – დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1898 წ., № 555, კახაბერის ფსევდონიმით.
40. „Педагогические курсы во Владикавказе“ – ხელმოუწერლად დაიბეჭდა „Новое обозрение“-ში, 1898 წ., № 5039.
41. „О переутомлении учащихся – დაიბეჭდა „Новое обозрение“-ში 1898 წ., № 5056.
42. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია – „საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯევილი“ 1898 წლისა“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1898 წ., №№ 54, 91, 111, 133, 161, 209, 235, 262.; 1899 წ., №№ 3, 22.
43. კავკავი-„ქართული სალამო კავკავში“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1899 წ., № 1. კახაბერის ხელმოწერით.
44. „პასუხად ბ-ნს ივ. გომართელს“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1899 წ., № 137-138.
45. „საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1899 წ., № 129.
46. „წერილი კავკავიდეგან“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1900 წ., № 1. კახაბერის ფსევდონიმით.
47. „წერილი კავკავიდეგან“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1900 წ., № 11, კახაბერის ფსევდონიმით.
48. „წერილი კავკავიდეგან“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1900 წ., № 42. კახაბერის ფსევდონიმით.
49. „წერილი კავკავიდეგან“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1900 წ., № 72, კახაბერის ფსევდონიმით.
50. „მგზავრის შენიშვნები“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1900 წ., №№ 144, 148 და 151.

51. „კავკავის ავ-კარგი“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1900 წ., № 259, კახაბერის ფსევდონიმით.
52. „ქართული საღამო“ – დაიბეჭდა „ივერიაში“ 1900 წ., № 284. კახაბერის ფსევდონიმით.
53. „Педагогические заблуждения“ – დაიბეჭდა „Новое обозрение“-ში 1900 წ., № 5556

სახელთა საძიებელი

ა

აბასი, შაჰ 114
აბაშიძე, ვ. 403, 406
ავალიშვილი, დ. 395
ავალიშვილი, ნ. 364, 403
აკაკი 316
აკულოვი, ი. 389
ალექსანდროვი, ა. 282
ალექსანდროვი, კ. 28, 282
ალისტეევსკი 169
ანასტასიევი, ა. 410
ანდერსენი, ჰ. 354
ანტონ II. 157, 158, 159
არაგვისპირელი, შ. 409
არგუტინსკი, ა. 389
არლტი 199
აფშინაშვილი, გრ. 409
აქსაკოვი, ს. 351
აღნიაშვილი, ლ. 290, 291
ახნაზაროვი, ა. 387
ახპატელოვი, მ. 237, 402,
ახშარუმოვი 318

ბ

ბაგრატი 114
ბაგრატიძე, ბ. 364, 365
ბაკურაძე, ნ. 279
ბალანჩივაძე, ვ. 49
ბალტაზარი 140, 141, 142, 144, 145, 146,
147, 149
ბალტალონი, ც. 407
ბანგულოვსკი 167
ბარანოვი 80
ბარახოსტაშვილი 364, 365

ბარნოვი, ვ. 409
ბაროხოსტოვი, ი. 363
ბატონიშვილი, ი. 108
ბაქრაძე, დარია 341, 394, 409
ბაქრაძე, ეკ. 11
ბაქრაძე, ი. 279, 403
ბაქრაძე, ნ. 11, 12
ბაჩანა 10, 409
ბაცკევიჩი 120
ბებუთოვი, კ. 389
ბეთჰოვენი, ლ. 317
ბელინსკი, ბ. 215 342
ბემე 238
ბენაშვილი, ა. 273
ბენი, ა. 86, 331
ბერლინცი 171
ბირკაძე, ვ. 317
ბოგუჩარსკი, ვ. 389
ბოკშეევსკი 169
ბოლქვაძე 49
ბორკოვსკი 169
ბორცოვსკი 169
ბოტორაშვილი, გ. 289.
ბოცვაძე, ლ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 15,
16, 17, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28,
29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40,
41, 239, 354, 387, 389, 409
ბოცვაძე, ნ. 10
ბოძიევი, ბ. 363
ბუნაკოვი, ნ. 80, 237, 238, 248, 252, 407
ბურჯანაძე, ვ. 393

გ

გაბაშვილი, ეკ. 10, 289, 343, 387, 408, 409

გაბაშვილი, თამარი 341

გაბაშვილი, სვ. 117, 401

გათუევი 28, 282

გამრეკელი, ს. 50

გამრეკლოვი, ა. 108

გარიბალდი, ჯ. 351

გარნუ 198

გარიყული, მ. 409

გარშინი, ვ. 389

გეგეჭკორი, ლ. 409

გეინცელი 228

გემე 247

გეორგიევსკი 169

გერბარტი 243

გერდი, ა. 407

გვარამაძე, ელ. 360, 364, 365

გვარამაძე, ნ. 362

გიგაური, ნ. 410

გირშელი, ჯ. 132

გოგებაშვილი, ი. 5, 7, 9, 10, 14, 16, 22, 23, 26, 31, 33, 79, 80, 81, 97, 129, 140, 141, 142, 143, 144, 145, 147, 192, 235, 237, 242, 246, 248, 249, 251, 252, 253, 254, 255, 290, 358, 387, 390, 392, 393, 394, 395, 398, 401, 402, 403, 408, 409, 413

გოგინაიშვილი, ფ. 387

გოეთე, ი. 19

გოთუა, პ. 359, 361, 362, 364

გოლდენბერგი, ა. 99, 100, 261, 262, 263, 264, 265

გოლიცინი 405

გომართელი, ივ. 342, 343, 344, 346, 347, 349, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 414

გონჩაროვი, ი. 295, 296

გორგასლანი, ვახტანგ 321

გოროდეცი, მ. 389

გრაზერი, ი. 142

გრიგოროვიჩი, დ. 327

გრიშაშვილი, ი. 409

გრუბე, ა. 261, 264

გრუბცევი 228

გრუზინსკი 160

გრუმი 120

გრუშევსკი, ს. 6, 105

გუბნელიძე, ი. 399

გუბნელოვი, ნ. 116, 117, 279, 400, 401

გულიაშვილი, ისმ. 37

გუნია, ვ. 364

გურამიშვილი, დ. 137, 239, 368

გურევიჩი, მ. 407

გუსი, იოანე 352

გუტენბერგი, ი. 370, 371, 372

გუცინსკი 169

გუცკოვი 49

დ

დავითაშვილი, ბ. 289

დარვინი, ჩ. 19

დემურია, მარიამ 37, 318, 409

დერჟავინი 186

დიმიტრიევი 8

დინგელშტედტი 389

დიოგენი 248

დისტერვეგი ფ. 41, 43, 44, 56

დიუბუა, რ. 19

დოგელი 291

დოსტოევსკი, თ. 347

ე

ევთიდიმე 16

ევდოშვილი, ი. 10, 409

ევტუშევსკი, ვ. 99, 100, 173, 174, 261, 262, 264, 265
ეზოპე 126, 289
ეკატერინე II 49, 159, 177
ელიოზი 304
ერეკლე II 292, 293
ერისთავი, გ. 362
ერისთავი, ვ. 159
ერისთავი, ეროთეოს სიდომონოვ 109, 274
ერისთავი, ზაქ. 394
ერისთავი, რაფ. 133, 298, 395, 403
ერისთავ-ხოშტარია, ან. 409
ერისმანი, ფ. 168, 196
ესმახი, ფ. 228
ეჩინაცი 204

3

ვართაგავა, იპ. 10
ვასილი 311, 312
ვასიძე, ტ. 279
ვასტეროვი, ვ. 206, 216, 218, 219, 221, 223, 407
ვებერი, ე. 254, 255
ვერესაევი, ვ. 410
ვერიგო, ბ. 200, 227
ვერნი, ჟიულ 350
ვირენიუსი, ა. 163, 168, 172, 173
ვესელი, ნ. 406
ვლადიმერი 233, 278
ვლადიმირი 224, 272, 278
ვოდოვოზოვი, ვ. 407
ვოლგასტი, ჰენრიხ 23
ვოლოტოვსკი 80
ვოლპერი 80
ვოსტორგოვი, ი. 8

ზ

ზაგურსკი, ლ. 389
ზავადსკი, მ. 6
ზაკი 170, 171
ზალცმანი 41
ზეგანელი 49
ზევსი 16
ზუზინოვი, მ. 117, 401

თ

თამაზაშვილი, ა. 360, 361
თამარ მეფე 50, 114
თაყაიშვილი, ექვთიმე 106
თემურლენგი 114
თვალჭრელიძე, ა. 168
თოდუა, გრ. 399
თულაშვილი, ვ. 394
თუმანიშვილი, ან. 407, 408, 409
თუმანიშვილი, გ. 389
თუმანიშვილი, ვ. 389
თუმანიშვილი, კ. 389
თურდოსპირელი, დ. 10, 409
თხორჟევსკი, ი. 389

ი

იაბლონოვსკი, ი. 389
იაკობი 182
იანოვსკი, კ. 268
იეგოროვი, სტ. 117, 401
იესო ქრისტე 41, 51, 205, 304, 325
იზმაილოვი, ნ. 389
ილმინსკი, ნ. 166
იმერეტინსკი, ა. 368
ინასარიძე, მ. 279, 362
იოანე III 159
იოანე ნათლისმცემელი 371
იოსებ II 122
იოსელიანი, გ. 394

პ

კავალევი 281
კალანდარიშვილი, გ. 392
კალანდარიშვილი, მ. 362
კალანტაროვი, კ. 389
კალმიკოვი, ა. 407
კანდელაკი 123
კაპტერევი, პ. 407, 410
კარიშევი, ჯ. 409
კასატკინი 183, 188
კასრაძე, დ. 409
კახიძე, ტ. 106, 275
კერი 55
კეზელი, დ. 389
კიკნაძე, შაქრო 360
კიმოვი, ს. 193
კლიუჩინსკი 169
კოლლე, ოგიუსტ 194
კოლუმბი, ქრ. 297, 298, 351, 352
კოლბიკოვი, მ. 273
კომენსკი, ა. 18, 59, 80
კონი, ჰ. 171, 255
კონტუხიძე, ი. 117, 401
კოპერნიკი, ნ. 371
კოროლენკო, ვლ. 318
კოროპჩევსკი 299
კორელი, მ. 410
კორნეტი 228
კორფი, ნ. 143, 144
კრივენკო, ს. 389
კრილოვი, ივ. 6, 342, 349
კუმინი, ვ. 389
კუნცი 195
კურდელაშვილი, ნ. 363, 364, 365, 407
კუტაისოვი 169
კუჭავა, აპ. 191
კუხიანიძე, მ. 363

ლ

ლამარტინი 301
ლარიონოვი 200, 202
ლასხიშვილი, გ. 387
ლათიშევი, ვ. 173, 176, 177, 178, 188
ლაფონტენი 349
ლეგროკლერკი 299
Левитски Ф. 110
ლევიცკი, გ. 8, 204, 390
ლეონიძე, გ. 10, 409
ლესგაფტი, პ. 327, 407
ლესინგი 41
ლივენსი 214
ლიუტერი 352
ლობიანიძე, საჩინო 307
ლომოური, ნ. 10, 387, 409
Lonis 274
ლოპატინი, ლ. 19
ლორთქიფანიძე, ი. 279, 365
ლუბენეცი, ტ. 100, 262
ლუბენცი ტ. გ. 194, 200, 201, 202, 264
ლუდოვიკო XII 371
ლუნკევიჩი, ვ. 389

მ

მაინ რიდი 350, 351
მაკედონელი, ალექსანდრე 192
მამაცაშვილი, ი. 394
მამაცაშვილი, კ. 394
მამინ-სიბირიაკი, დ. 410
მანდელშტამი 194
მანუილოვი 194
მარტინოვი 205
მარცვალაძე 117, 401
მარშალი 15
მარჯანიშვილი 117, 401
მალალაშვილი, გ. 394

მაჩაბელი, ივ. 395, 403
მაჭავარიანი, თ. 407
მგალობლიშვილი, სოფრ. 387
მეგრელი, დ. 409
მერკელი 171
მესხი, დ. 49
მესხი, ეკ. 409
მესხი, კ. 49, 50
მესხიევი 378
მესხიშვილი 364
მესხიშვილი, ივ. 360
მეფურნიშვილი, პ. 364
მინინი, კ. 157, 158
მიროპოლსკი, ს. 55, 244, 247
მიჟუევი, პ. 407
მიქაბერიძე, ალ. 5, 7, 395, 396
მიქელაძე, დ. 387
მიჩურინი, ა. 389
მიცკევიჩი 368
მიხაილიდი, დ. 47
მიხაილოვი 204
მიხეილ თეოდორის ძე 158
მოგუელი 228
მოზდოკელოვი, ი. 279
მორგანი 182
მოძალევესკი, ლ. 407
მოხირი 105, 106
მუსხელიშვილი, ა. 394
მუსხელიშვილი, დ. 394
მღვიმელი, შ. 10, 288, 409

ნ

ნავდარაშვილი, დ. 399
ნათაძე, ალ. 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 314, 413
ნათაძე, გ. 6, 8, 272

ნაკაშიძე, ილ. 10
ნაკაშიძე, ნ. 11
ნანეიშვილი, ა. 123, 387
ნატროშვილი, ა. 261, 262, 263, 264, 265
ნეგელსბახი 66
ნემიროვიჩი-დანჩენკო, ნ. 389
ნიდაშვილი, ნ. 191
ნიკოლაძე, ნ. 389, 403
ნინო წმ. 133, 290, 304
ნოვოლინევესკი 169

ო

ოგიუსტ-კოლლე 194, 198
ოვსიანიკოვ-კულიკოვსკი 19
ოლდენბურგი, პ. 162
ოლესნიცკი, მ. 263
ონიკაშვილი, ყ.-პ. 37
ოპოჩინინი, ნ. 389
ორბელიანი, გრ. 83
ორბელიანი, ვ. 408
ორბელიანი ს. 318
ორეხოვი, ი. 28, 282
ორლოვი, ვ. 194
ოსტროგორსკი, ა. 206, 215, 216, 241, 406, 409
ოსტროგორსკი, ვ. 407, 410
ოსტროვსკი, ნ. 214
ოქრომჭედლიშვილი, ი. 396

პ

პაგირევი, დ. 389
პავლენკოვი, ფ. 250, 252
პავლოვსკი 228
პაროვი 195
პაშკევიჩი 368
პესტალოცი, პ. 41, 43, 85, 206
პეტენკოფერი 200, 227

პეტრე დიდი 177
პეტრიაშვილი, ვ. 233
პეტროვი 117, 401
პიროგოვი, ნ. 207, 266
პლეშჩევი, ა. 389
პლუტარხი 352
პობედონოსევი, კ. 389
პოდვალახინსკი 169
პოდობა 200, 203, 204
პოპოვი, ვ. 193
პოპოვი, სტ. 279
პოსპელოვა 187, 188
პოსპელოვი 183
პოტებნია, ა. 19
პრევი, მ. 293
პუშკინი, ალ. 214, 363
პუციკოვიჩი, თ. 80

ჟ

ჟაკოტო, ჟ. 247
ჟევალი 254
ჟიტომირსკი 241 გვ
ჟორდანია, ნ. 406
ჟორდანია, პლ. 192

რ

რადეცკი, ი. 194, 199, 200, 226, 231, 413
რადონეჟსკი 266
რაევსკი 179
რაზიკაშვილი, თ. 10, 289, 297, 320, 409
რეიხი 171
რემბოლდი 171, 254
რენანი, ჟ. 19
რიდი, მაინ 350, 351
როგოვსკაია, ა. 341
როჟდესტვენსკი 169
როსტომაშვილი, ივ. 27, 147, 259

რუსთაველი, შ. 50
რუსო, ჟან-ჟაკ 55, 203, 311

ს

სამადოვი, გ. 279
სარაჯიშვილი, ალ. 7, 31, 33, 341, 387, 395
სარაჯიშვილი, დ. 31
სარაჯიშვილი, თ. 363, 364, 365
სარაჯიშვილი, ს. 341
სარუმელი 49
სემიონოვი, დ. 407, 410
სენტ-ილერი, კ. 407
სერაფიმოვიჩი, ა. 410
სერენოვი, ი. 19
სიგიზმუნდ III 368
სიდამონ-ერისთავი, ე. 109
სიდომონოვ-ერისთავი 274
სიდონია 304
სიმონოვი, ნ. 406
სიმონოვიჩი, ა. 120, 268, 394
სინანოვი /სინანაშვილი/, ბ. 117, 401
სიპოვსკი, ვ. 409
სიტინი, ი. 206, 214, 215
სიხარულიძე, ი. 409
სკოროვი 120
სლავინსკი, კ. 6
სმაილსი, ს. 127, 352
სოკრატე 16, 41, 63, 73
სოლოვიოვი, ს. 19
სოლომონ ბრძენი 337
სოროკინი 120
სუვოროვი 352
სუმაროკოვი, ა. 354
სტანიუკოვიჩი, კ. 309, 410
სტაროსელსკი, დ. 395, 396, 403
სტეპანოვი, ა. 388, 389
სტეფანე, ჰ. 142
სტრაუესი 228

ტ

ტაბიძე, გალ. 10
ტაბიძე, ტ. 409
ტატარანცევი 192
ტატიშვილი, ნ. 358
ტაშენბერგი, ე. 335
ტენი, იპ. 19
ტიხომიროვი, დ. 194, 407
ტოლსტოი, ლ. 214
ტოლსტოვი 359, 363
ტომასიკი 193
ტორკვატო ტასო 371
ტულუპოვი 206, 221, 222, 223
ტურგენევი, ი. 19, 214
ტყემალაძე, ა. 155, 156, 413

უ

უთურგაული, გ. 395
უმიკაშვილი, პ. 405
ურლაუზი 198
უსპენსკი, გ. 389
უშვერიძე, ი. 279
უშინსკი, კ. 17, 18, 22, 44, 50, 57, 78, 80, 82, 83, 97, 143, 144, 191, 201, 237, 238, 239, 240, 241, 242, 254, 294, 391, 392, 406

ფ

ფაუსკი, ვ. 389
ფერაძე, ი. 358
ფიგე, ლ. 291
ფიცხელაური, ივ. 362
ფლეროვი, ა. 407
ფოგელი, ი. 247
ფროლოკოვი, ა. 282
ფურცელაძე, ა. 394, 403
ფშაველა, ვაჟა 10, 300, 302, 303, 304, 331, 351, 387, 409
ფხაკაძე, ნ. 279

ქ

ქანანოვი, ნ. 395
ქურქიშვილი, გ. 192
ქუჩიშვილი, გ. 10, 409

ყ

ყაზბეგი, ალ. 109, 366, 387, 403, 409, 412
ყაზბეგი, გ. 389
ყიფიანი, დიმ. 394, 395, 403
ყიფიანი, კ. 403
ყიფიანი, მ. 103, 362
ყიფშიძე, ა. 387
ყიფშიძე, გრ. 387, 389

შ

შავროვი, ა. 389
შათირიშვილი, კ. 364
შატალოვი 204
შაჰაბაზი 114
შექსპირი, უ. 301
შვილევია, იოსებ 105, 279, 360, 361, 362, 380
შოხორ-ტროცკი 99, 100, 173, 176, 178, 179, 261, 262
შუშერტი 170

ჩ

ჩავლიშვილი, დავითი 307
ჩეხიხი 194
ჩეკმასევი 194
ჩიგოგიძე, დ. 363
ჩითაშვილი, ივ. 362, 364
ჩიკვარიძე 364
ჩიჟკოვსკი 169
ჩირკოვი 194
ჩხაიძე, მიხ. 192
ჩხუბიანი, ნ. 279

ც

ცაგარელი 364
ცახელი /თვალჭრელიძე/, პ. 319
ცინცაძე, ი. 37
ცირული 188
ცხვედაძე 37
ცხვედაძე, ნ. 394

წ

წერეთელი, აკ. 10, 387, 389, 403, 409
წერეთელი, მ. 37
წილოსანი, კ. 192
წინამძღვრიშვილი, ი. ნ. 396, 397, 399
წყალტუბელი/იოსელიანი/, გ. 290, 394

ჭ

ჭავჭავაძე, ი. 8, 9, 18, 387, 389, 395, 396,
397, 399, 403, 404, 405, 409
ჭალაგანიძე, დიტო 235
ჭიჭინაძე, ზ. 27, 259, 402, 409
ჭრელაშვილი, ს. 387
ჭყონია, მიხ. 117, 401

ხ

ხახანაშვილი, ალ. 10, 282
ხახიშვილი, ა. 363, 364
ხიზანიშვილი 364
ხიმშივეცი, ელ. 360
ხმალაძე, ლ. 233, 235
ხოლდინი 194
ხოხელი, ი. 389
ხოჯევანოვი, ელისაბედ 106
ხუხიშვილი 365

ჯ

ჯავახიშვილი, მიხ. 398
ჯაფარიძე, მ. 361
ჯაჯანაშვილი, რ. 103
ჯიქია 46
ჯორჯაძე, ბ. 409

ჭ

ჭარვეი, ვ. 318
ჭერა 16
ჭესიოდე 126
ჭომეროსი 126
ჭუმბოლდტი, უ. 19

შინაარსი

ლუარსაბ ბოცვაძე.....	5
სოფლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.....	42
წერილი იმერეთიდან.....	45
მცირე შენიშვნა	47
ქართული თეატრი ქუთაისში	49
პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.....	50
ანგარიში კაკავის ქართულ სკოლისათვის 1892/3 წ.	103
მცირე შენიშვნა	107
ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო	109
Библиография „Курс русского языка для грузинских начальных школ“, Год второй. Составлен Ф. Левитским. Тифлис, 1891 г.	110
დრამატურლის დღიურიდან.....	114
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას.....	116
მეთვალყურის შენიშვნები	118
პედაგოგიური შენიშვნები საერო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ. ლექსები, როგორც ერთი საშუალებათაგანი დედაენის შესასწავლად პირველდასაწყის სკოლებში	125
პედაგოგიური წერილები. წინასწარი განმარტება ბავშვის აღზრდაზე, ანუ პედაგოგის მეცნიერებაზე /წერილი პირველი/.....	135
მეთვალყურის შენიშვნები. ზოგიერთი ჩვენებური კრიტიკოსები, ბ-ნი ბალთაზარი. „მშიშარა მასწავლებლები“ და მათი აზრი ბ-ნ გოგებაშვილის ანბანისა და „დედა-ენის“ შესახებ.....	140
Библиография. „Курс русского языка для грузинских начальных школ“, Год второй. Составлен Ф. Левитским. Тифлис, 1891 г.	149
Библиография. Новейшие легкие способы сознательно закреплять в памяти все слышанное и читанное. Научный рассказ. С. Петербург, 1896 г.	152
Библиография Русско-грузинский словарь по астрономии, зоологии, минералогии и разных терминов и технических слов. Составил К. Д. Кипиани, Тифлис, 1896 г.	154
არქიფო ტყემალაძის ხსოვნას.....	155
პედაგოგიური განყოფილება სრულიად რუსეთის გამოფენისა ნიჟნი-ნოვგოროდში.....	157
გაზეთ „ივერიის“ 57 №-ში.....	224
რადეცკის ლექციები მშობელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ.....	226

სამრევლო სკოლის მასწავლებელთა კრება ქუთაისში.....	232
მცირე შენიშვნა	236
კიდევ „ბავშვების მოკეთის“ გამო /პასუხად ბ-ნ. ა. ნათაძეს/.....	239
„დედა ენა“ ი. გოგებაშვილისა და „ბავშვების მოკეთე“ ალ. ნათაძისა, შედარებითი განხილვა ორივე წიგნის ანბანისა.....	246
წერილი კავკავიდან	256
ერთი საზოგადო საკეთილო საქმე	258
ქართული წიგნების გავრცელება თერგის ოლქში.....	259
კავკავი. მეორე ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე	260
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და სავარჯიშო მოქმედებების წარმოების მასალა.....	261
რა ვნება მოაქვს უცხო ენის ადრე სწავლებას /მშობელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ/	265
წერილი კავკავიდან.....	272
კავკავი. საზოგადო კრება კავკაველი ქართველობისა.....	274
კავკავი. საღამოს გამართვა საქველმოქმედო მიზნით	277
კავკავი. ქართული წირვა-ლოცვა მღვდელ-მთავრის ეკლესიაში.....	278
კავკავი. ეკლესიის საქმე.....	279
კავკავი. ქართული ეკლესიის საძირკვლის კურთხევა	282
Педагогические курсы во Владикавказе.....	283
О переутомлении учащихся.....	284
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ 1898 წლისა	287
კავკავი. ქართული საღამო კავკავში	341
პასუხად ბ-ნს ივ. გომართელს (მისი ჟურნ. „ჯეჯილის“ გარჩევის გამო).....	342
საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში	357
წერილი კავკავიდან.....	359
წერილი კავკავიდან.....	361
წერილი კავკავიდან.....	362
წერილი კავკავიდან.....	364
მგზავრის შენიშვნები	365
კავკავის ავ-კარგი.....	376
ქართული საღამო	380
Педагогическое заблуждение	383
კომენტარები.....	387
შენიშვნები	412
სახელთა საძიებელი	416

